ტომი I

წინასიტყვაობა

გურამ რჩეულიშვილის შემოქმედება იქმნებოდა ოთხი წლის განმავლობაში ჩემ გვერდით, თითქმის ჩემ თვალწინ. ძალიან ხშირად ვიყავი მისი ნაწარმოებების პირველი მკითხველი. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული ავტოგრაფის იერსახე, არაფერს ვამბობ მათ შინაარსზე, ჩემთვის ძალიან ნაცნობი და ახლობელი იყო, არქივზე მუშაობის დასაწყისიდანვე ისინი მოულოდნელად გამიუცხოვდნენ და მივხვდი, რომ მათ შესახებ არაფერი ვიცოდი. შეშინებულმა აღმოვაჩინე, რომ სრულიად მარტო დავრჩი ხელნაწერებთან, რომლებიც თითქოს რაღაც ამოუცნობი საიდუმლო მნიშვნელობით იყვნენ სავსენი. მათი გაგება ხშირად ჩემს ძალას აღემატებოდა.

მალე მივხვდი იმასაც, ჩემი შეგრძნება არ იყო გასაკვირი და განსაკუთრებული, რადგან, როგორცა ჩანს, თვითონ გურამისთვისაც შემოქმედებითი პროცესი საიდუმლოებით იყო მოცული. მას შემდეგ, რაც «შიგ შუა ცხოვრებაში ჩავარდნილს თავზე დაემხო შემოქმედება» და გაიტაცა მისთვისაც ჯერ ამოუცნობი სიღრმეებისაკენ, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ის არ მალავდა საოცრების განცდას, როდესაც «კალამზე მინდობით,» თითქოს მისგან დამოუკიდებლად, იბადებოდა «ხილული ფაქტი» (*გურამის სიტყვებია*), მხატვრული ნაწარმოები, რომელიც უკვე თითქოს თვით მწერალზე მეტიც იყო.

«ეს ვანო რა შუაშია, ა?», ვკითხულობთ ამხანაგების დაძახილზე სახლიდან გარეთ გასავარდნად მომზადებული ჩემი ძმის ერთ მოკლე დღიურში. ეს დღიური უშუალოდ მოსდევს მოთხრობას, რომლის მთავარი პერსონაჟი არის სოფლელი ვანო.

ცხოვრებამ და მასში ნიაღვარივით შემოჭრილმა შემოქმედებამ გურამს წაუყენა სულ სხვა მოთხოვნები, ვიდრე ის იყო შეჩვეული (*მწერლის სიტყვების პარაფრაზი*). ამ ორი ფენომენის მუდმივი ურთიერთდამოკიდებულების შეგრძნება მიჰყვება გურამ რჩეულიშვილის ოთხწლიან შემოქმედებით პროცესს და განაპირობებს მის მხატვრულ თავისებურებას. წერის დაწყებიდან ორ წელიწადში გურამი უკვე ნამდვილ ხელოვანად აღიქვამს თავს (*«მე დიდი ხანია მოვიპოვე უფლება ჩემ თავს ხელოვანი ვუწოდო და მერე იცი, ხელოვნება რა არის?» ოდესის დღიურიდან*), რამდენიმე თვეში კი უკვე არენაზე გასულ ტორეადორად. ის თითქოს ორ სანტიმეტრში ეთამაშება ხარის რქებს (*მწერლის სიტყვების პარაფრაზი*) და, ალბათ, წინათგრძნობით სავსე, აფრთხილებს თავის თავს: «მთავარია, ზედ არ წამოვეგო ამ რქებს»

გრძნობა, რომელიც გურამ რჩეულიშვილის არქივზე მუშაობის დაწყებისათანავე დამეუფლა, იყო ელდასავით წამიერი. დაუნაწევრებელ ბუნდოვანებაში გამოიკვეთა სინანულით და სიყვარულით აღსავსე ჩემი ძმა, თავისი სევდანარევი ცეცხლოვანი თვალებით. იგი მიაქროლებდა თავის მერანს «წინ», უკანმოუხედავად, დაბრკოლებების უგულებელყოფით, როგორც

გიჟი (*«რადგან სულელებს სჩვევიათ წინ სიარული, ჭკვიანი აქეთ-იქით იხედება და ეშინია»*) «უცნობი პორტისაკენ», თითქოს მართლაც ბედის საზღვრის გადასალახავად.

მას შემდეგ, ამ ხელნაწერებით შეპყრობილი, ნაბიჯ-ნაბიჯ მივყვები გურამ რჩეულიშვილის თითოეულ სიტყვას, წინადადებას... ვაკვირდები მის ხელწერას, სასვენ ნიშანს, აბზაცს, გრაფიკულ სტრუქტურას, თაბახის ფურცლის ფაქტურას, ზომას და პატარ-პატარა ნაწილებისაგან შემდგარ ავტოგრაფს, ისევე როგორც ჩემს ძმასთან დაკავშირებულ ყველა ამბავს, აღვიქვამ როგორც დოკუმენტს, რომელიც მოწმობს მისი ცხოვრების სიუჟეტური ხაზის თავისებურებას. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ვცდილობ ამოვიცნო ის საიდუმლო, მისი ბოლო, დაუმთავრებელი რომანის გმირს, მწერლის ალტერ ეგოს, გურამს რომ აწუხებდა: «საიდან მოვდივარ, საით მივდივარ, რა მინდა?»

გურამ რჩეულიშვილის პირველი მოთხრობა თარიღდება 1956 წლის თებერვლით, ბოლო ლექსი, «დედას», 1960 წლის აგვისტოთი. ის დაწერილი უნდა იყოს გარდაცვალებამდე სულ ერთი-ორი დღით ადრე.

მთელი ამ ხნის განმავლობაში იგი მუშაობდა ინტენსიურად, გაუჩერებლივ (*თუმცა ხშირად სიზარმაცეს სწამებდა საკუთარ თავს.*) წერდა ყველგან: თბილისში, თელავში, ოქროყანაში, ჩრდილო კავკასიაში, მოსკოვში, ოდესაში, კარპატებში, ბაკურიანში, თიანეთში... შინ, ლექციაზე, მუზეუმში, საავადმყოფოში, ფოსტაში...

გურამის გარდაცვალების შემდეგ, სულ მალე, საქართველოს მუზეუმიდან, სადაც გურამი რამდენიმე თვე მუშაობდა, მოგვიტანეს სქელი საერთო რვეული, სავსე ნაწარმოებებით. აქ იყო მოთხრობა «შპილკა», საკმაოდ ვრცელი დაუმთავრებელი რომანი: «საიდან მოვდივარ...» და სხვ. მოგვიტანეს რვეული გაგრის სანატორიუმიდან, სადაც გურამმა გაატარა სიცოცხლის ბოლო დღეები. ამ რვეულში ეწერა ლექსები, მოკლე დღიურები. მოგვიტანეს მეორე საერთო რვეული ისევ გაგრიდან, ისიც სავსე ჩანაწერებით. შინ ხელნაწერები ინახებოდა ლომბერის მაგიდის უჯრაში, მაღალ ტუმბოში, ზოგიც მწერლის საწერ მაგიდას შემორჩენოდა.

გურამის გარდაცვალების შემდეგ მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა აშკარად ბედის ანაბარად იყო მიტოვებული.

სულ მალე, იმ მძიმედ მოსაგონარი დღეების შემდეგ, მამაჩემის რჩევით, რომელმაც ყველაზე ადრე იგრძნო მწერლის უკვე არქივადქცეული ხელნაწერების მოწესრიგების აუცილებლობა, გივი კაკილაშვილი, ერლომ ახვლედიანი და მე შევუდექით არქივის დალაგებას. აღვწერეთ ხელნაწერები და ქრონოლოგიურ-ჟანრული თანამიმდევრობით სხვადასხვა საქაღალდეებში გავანაწილეთ. ეს საკმაოდ რთული აღმოჩნდა, რადგან ავტოგრაფების უმეტესობა დაუთარიღებელ-უსათაურო იყო. რამდენიმე საქაღალდე გაივსო უმისამართო ფურცლებით, მოინიშნა პირველად გამოსაცემი მოთხრობები და სხვა. მწერლის მომდევნო გამოცემები ფაქტობრივად ეყრდნობოდა არქივის დალაგების ამ პირველ ცდას. თავიდანვე გაირკვა, რომ ნებისმიერ რედაქტორს ბევრ სირთულესთან ექნებოდა საქმე. უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ გურამ რჩეულიშვილის სიცოცხლეში გამოქვეყნდა სულ ცხრა მოთხრობა, ახლა კი მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა არქივის უკვე მთლიანი დამუშავების შემდეგ ხუთ ტომად მზადდება გამოსაცემად.

არქივში შემონახულია მწერლის მიერ შედგენილი მოთხრობების სამი სია (*ეს სიები დაბეჭდილი იქნება სრული სახით 1959 წლის ჩანაწერებთან ერთად*). ისინი «შენიშვნებში» მოიხსენიება, როგორც «სია არქივიდან». ერთ სიაში დასახელებულია მხოლოდ რვა მოთხრობა, მეორეში, სამოცდაჩვიდმეტი, მესამეში «გადაბეჭდილებში», თოთხმეტი. ეს სია თარიღდება 1959 წლის ზაფხულის თვით. მახსოვს, როგორ თქვა გურამმა იმ ზაფხულის ერთ დღეს: უნდა გამოვცე მოთხრობების კრებული, უკვე საკმაოდ ბევრი დამიგროვდაო და მაშინვე დაიწყო ხელნაწერების შეგროვება. თუმცა მან ეს «უტოპიური» ოცნება მალევე უკუაგდო. (*ეს იყო, როგორცა ჩანს, იქამდე, სანამ ის დაიწყებდა მოთხრობების გამოსაცემად მომზადებას*) და კვლავ განაგრძო ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობა. ეს მუშაობა, როგორც აღვნიშნეთ, წერის დაწყებიდან თითქმის არც შეუწყვეტია. თვითონ «სიასაც» ეტყობა, რომ მოულოდნელად არის მიტოვებული. ბოლოში წერია რიცხვი «77». ამ რიცხვს არ მოჰყვება მოთხრობის სათაური. თუმცა, ეს ნაუცბათევად შედგენილი სია, როგორც მკითხველი თვითონვე დარწმუნდება შენიშვნების გაცნობისას, ერთგვარად დამაკვალიანებელი აღმოჩნდა ამ გამოცემის მოსამზადებლად. გარდა ყველაფრისა, ამ სიაში ჩანს გურამის დამოკიდებულება თავისი შემოქმედების მიმართ. მაგალითად, აქ შესულია პატარა ჩანახატი «სურათი ჩემს კედელზე», «ნათელა» (*იმ დროისათვის სულ ახალი შექმნილი*) და არ არის შეტანილი მაგ. «ირინა და მე» და სხვა, ერთი წლის წინ დაწერილი მოსკოვში.

მწერლის სიცოცხლეში გამოქვეყნებული რამდენიმე მოთხრობა ძნელია გამოდგეს რედაქტორისათვის ამოსავალ წერტილად თავისი სიმცირის და აგრეთვე მაშინდელი ცენზურის გამო, რომლისათვისაც მხატვრული ნაწარმოების სტილისტური თავისებურებანიც კი შეიძლება გამხდარიყო ფარული იდეოლოგიური ბრძოლის მიმანიშნებელი. ავტოგრაფების პირველი დამუშავების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ზოგი იყო გადათეთრებული, ძალიან ცოტა გადაბეჭდილი, უმეტესი კი მხოლოდ შავი ვარიანტით წარმოდგენილი. მწერლის ბოლო ნების ძიებისას მოსაფიქრებელი იყო ბევრი რამ, რადგან რედაქტორი უნდა მიჰყოლოდა გურამის ხელიდან უშუალო შემოქმედებითი პროცესის დამთავრების შემდეგ გამოსულ ხელნაწერს. ამას შესაძლებელია, გამოსაქვეყნებლად მომზადებისას, ან უბრალოდ, გადათეთრების დროსაც კი განეცადა ესა თუ ის ცვლილება. რედაქტირებისას ძალიან მნიშვნელოვანი გამოდგა მწერლის შემოქმედებითი ლაბორატორიის შესწავლა: უშუალოდ ავტოგრაფზე დაკვირვება, შავი და თეთრი ავტოგრაფების შედარება, ზეპირი გადმოცემა, მოგონება და სხვა. არქივში შემონახულია მწერლის პირველი რედაქტორის, ბატონ გიორგი შატბერაშვილის მამაჩემისადმი მოწერილი წერილი, ინახება სხვა წერილებიც, არსებობს ბევრი მოგონებაც, ჩემი თუ სხვისი, რომელიც სწორედ ამ საკითხებს შეეხება.

ამ წლების განმავლობაში ეპიზოდურად მქონია ურთიერთობა გურამ რჩეულიშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობის რედაქტორებთან. აქ არ ვგულისხმობ წიგნების რედაქტორებს: გიორგი შატბერაშვილს და ნუგზარ წერეთელს, არამედ იმათ, ვინც ამა თუ იმ ჟურნალსა და გაზეთში გურამის გარდაცვალების შემდეგ აქვეყნებდა მის ნაწარმოებებს. ყოველთვის ვეჯახებოდი მწერლის სიტყვის სრულიად თვითნებური შეცვლის და გადაკეთების ცდებს. ზოგჯერ ეს, ალბათ, გამართლებულიც იყო. იყო შემთხვევები, როდე-

საც ესა თუ ის რედაქტორი ფიქრობდა, რომ გურამის მიერ შექმნილი ხატი არ იყო ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო, და ცდილობდა «ბევრად უკეთესი», «უფრო ქართული», «უფრო მხატვრული» ვარიანტის დამკვიდრებას, ან მიაჩნდა, რომ ამა თუ იმ ნაწარმოების აზრი დაუმუშავებლობის გამო ბუნდოვნად იყო გადმოცემული და უნდოდა მისი «ნათლად წარმოჩენა». მისი ღრმა რწმენით, გურამს რომ დასცლოდა, თვითონვე გააკეთებდა ამას. ეს ყველაფერი, ალბათ, სინამდვილესთან ახლოა. ყველა რედაქტორს, ცხადია, ამოძრავებდა კეთილი სურვილი. ასეთ დროს მიუთითებდნენ ხოლმე მწერლის სახელის გაფრთხილების საჭიროებაზე. ძალიან ბევრი ჩასწორება ჩემი აქტიური წინააღმდეგობით ავიცილე, მაშინ ჩემგან აბსოლუტურად გაუაზრებლად, აპრიორულად მიმაჩნდა მწერლის კალმიდან გამოსული ბრალიანი თუ უბრალო სიტყვის მნიშვნელობა და მისი უშუალო კავშირი ნებისმიერი მწერლის შემოქმედების მთლიანობასთან: გარდა ორთოგრაფიისა, პუნქტუაციისა და სხვა. ამგვარი სახის სწორება ნებადართულია ყველა ტიპის აკადემიურ გამოცემაში, თუ მათ არა აქვთ ფუნქციური დატვირთვა. რა თქმა უნდა, ბევრი რედაქტორი იყო მართალი და, ალბათ, გურამი ბევრ რამეს ან არ დაბეჭდავდა, ან დაბეჭდავდა სხვანაირად, შეიძლება უფრო დახვეწილადაც კი. ეს ასეა.

არის ერთი მომენტი: «ცისკრის» თანამშრომლებს ახსოვთ, _ ეს გაიხსენა ტარიელ ჭანტურიამ, _ რომ გურამი ადვილად იღებდა შესწორებებს, უბრალო რედაქტორულ ჩარევას. ერთხელ უთქვამს: მე ისტორიკოსი ვარ, თქვენ ფილოლოგები, შემისწორეთ, ბევრი რამ არ ვიციო.

არის მეორე მომენტიც: როგორც თეთრი და შავი ავტოგრაფების შედარება, ისე თითოეულ ავტოგრაფზე დაკვირვება მოწმობს, რომ გურამი წერის პროცესში თითქოს სიტყვაზე არ მუშაობდა. ეს პროცესი, როგორცა ჩანს, ხდებოდა იქამდე, სანამ ის კალამს აიღებდა ხელში _ ამხანაგებთან ყოფნისას, უნივერსიტეტში, რესტორანში, ქუჩაში და სხვაგან, რაც გარეშეთა თვალთახედვით, იყო მთელი მისი ცხოვრება, იმდენად, რომ გურამის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც თანდათანობით დაიწყო მისი მოთხრობათა გამოქვეყნება, ყველას უკვირდა, როდის წერდა? როდის მოასწრო? მწერლის შემოქმედებითი პროცესი არ იწყებოდა მაშინ, როდესაც ის აუცილებლად საგანგებოდ ჩაცმული, თავისი შავი ან დაახლოებით ისეთივე თეთრი სქელი ქსოვილისაგან შეკერილი პერანგით, მომდგარი შარვლით და ბათინკებით, მიუჯდებოდა ხოლმე საწერ მაგიდას და იწყებდა წერას. ეს არ იყო შემთხვევითი, მოულოდნელი, მუზის უეცარი «გადმოღვრა», ის ყოველთვის შინაგანად თუ გარეგნულად ემზადებოდა ხოლმე დასაწერად, როგორც რაღაცა მნიშვნელოვანი რიტუალის დაწყების წინ, თუნდაც ეს ყოფილიყო სულ პატარა ჩანახატი, როგორიცაა, მაგალითად «ჩემი დღე». შემოქმედებითი პროცესი არ მთავრდებოდა არც მაგიდიდან ადგომისას, როდესაც ის ასევე თითქოს რიტუალურად ჩაცმულ-დახურული (*თუმცა საინტერესოა, რომ ყველა ფიქრობდა, გურამი ჩაცმას, გარეგნობას არ აქცევდა ყურადღებას*) გადიოდა გარეთ, დაუყვებოდა ქუჩას, ისწრაფვოდა, რომ თავის გმირთა ცხოვრებით ეცხოვრა (*მწერლის სიტყვების პარაფრაზი*).

როდესაც არქივზე დავიწყე მუშაობა და მიზნად დავისახე, გამომეცა მისი ნაწარმოებები სრულად, აღმედგინა მათი პირვანდელი სახე, მაშინ, ცხადია, არ ვფიქრობდი აკადემიურ თუ მეცნიერულ გამოცემაზე. ვიცოდი, რომ გუ-

რამის ნაწარმოებთა უმრავლესობა დაწერილი იყო სწრაფად, ერთი ამოსუნთქვით. ამ ნაწერებს შემდეგ აღარ დაბრუნებია და მათ დაბეჭდვაზე, შესაძლოა, არც უფიქრია. არქივზე მუშაობისას სულ სხვა სურათი გადაიშალა ჩემ თვალწინ. გურამისათვის მნიშვნელოვანი იყო ყველაფერი, რაც შემოქმედებითი პროცესის დროს იღებდა სიტყვიერ, ხილულ ფორმას.

არქივში ინახება ნაწარმოები, რომელიც იწყება სიტყვებით: «ჩემ წინ კედელზე ათი სურათი კიდია ...» ამ პატარა, სულ რამდენიმე წინადადებიან ჩანახატში აღწერილია გურამის სამუშაო მაგიდის წინა კედელი. ის თავისი სიმარტივის, დოკუმენტურობის გამო ჩათვლილი იყო უბრალო ვარჯიშად, ანუ ისეთ ჩანახატად, რის დაბეჭვდასაც, ბევრის აზრით, გურამი არც იფიქრებდა. არქივის მთლიანი დამუშავების შემდეგ სრულიად საწინააღმდეგო ვითარება გადაიშალა: ამ პატარა ჩანახატის რამდენიმე შავი და ორი თეთრი ვარიანტი არსებობს. ის შეტანილია მოთხრობების სიაში, რომელსაც გურამი გამოსაცემად ამზადებდა. ყველაფერი მოწმობს გურამის მიმართებას ამ ნაწარმოებისადმი. ეს კი ჩემთვის ბევრი სხვა შემთხვევის დროსაც გზის მიმნიშნებელი იყო.

ასეთმა დამოკიდებულებამ გურამ რჩეულიშვილის შემოქმედების მიმართ განაპირობა ამ გამოცემის თავისებურება. მინდა მკითხველს მივაწოდო მწერლის მაქსიმალურად უცვლელი ავტოგრაფი, რათა მკითხველმა შეძლოს თვითონ დაამყაროს პირდაპირი კავშირი უშუალოდ შემოქმედებით პროცესში დაბადებულ სიტყვასთან და შეექმნას შთაბეჭდილება, რომ მის თვალწინ ცოცხლდება დედანი და არა რედაქტორის ხელში გამოვლილი, დახვეწილი (*ხშირად თუნდაც გაუმჯობესებული*) ნაწარმოები.

მარინე რჩეულიშვილი

“მთის კალთაზე შეფენილ მეჩხერ ტყეში...”

მთის კალთაზე შეფენილ მეჩხერ ტყეში სახლი იდგა. ფანჯრიდან ბოლი გამოდიოდა.

_ მე სახლი დატოვებული მეგონა, _ თქვა დათომ.

_ ეტყობა შევცდით, _ უპასუხა ლაშამ.

კარს არავინ აღებდა. მაშინ ბიჭებმა თვითონ გააღეს კარი და შევიდნენ. შუაცეცხლთან მოხუცი თვლემდა, ძლივს ბოლავდა მეჩხერ კბილებს შუა გარჭობილი ჩიბუხიც.

_ გამარჯობა, ბაბუა.

_ გაგიმარჯოთ, _ ჩიბუხს კვამლი მოემატა, ბაბუას თვალებს სიცოცხლე.

_ ალბათ, ნადირობას მიხვალთ.

_ ნადირობას. _ მოუქციეს ბიჭებმაც.

_ ქალაქელები ხართა?

_ დიახ.

შუაცეცხლს ალი მოემატა და ზედ დაკიდებულმა წყალმა დუღილი დაიწყო.

სამივე უხმოდ შეუდგა ჯიხვის ხორცის ჭამას.

_ იცით ნადირობა? _ შეეკითხა ბაბუა.

_ ცოტა.

მოხუცმა ქეჩები დაუგო და ნაბდები მისცა დასახურად.

_ დილით წავიდეთ. მე გაგაღვიძებთ. ვაჟკაცი, გულით და ჯან-ღონით სავსე, ყველაფერს ადვილად ისწავლის. ოთხმოცი წლისა ვარ და, ალბათ, ბევრი ამდენი ჯიხვის სისხლი მმართებს, ახლა კი ცოტა მიჭირს ნადირობა.

სიცივემ და მოხუცის ხმამ შუაღამისას გააღვიძა ბიჭები. მზის ამოსვლამდე თითქმის მძინარეებმა იარეს. დილით მოხუცმა ბიჭებს ჩასასაფრებელი ადგილები მიუჩინა და თვითონ გზა განაგრძო. თოვლიან ბექობზე სიარულისას განსაკუთრებით გრძნობდა წელთა სიმრავლეს. მთაში კარგი ამინდები იდგა და ჯიხვს ზევით აეწია. თოვლი რბილი იყო. მოხუცი კვალს მიჰყვებოდა, შემდეგ მარჯვნივ გადაუხვია და ქედს გაჰყვა. მთის ფერდზე ქვათა ცვენა დაიწყო. ღამით მიყინული ქვების ძირები გათბნენ და დაიწყეს ხეობისკენ დაგორება. ზოგი ქვა გზაზე მთელ ზვავსა ქმნიდა და შხუილით ეშვებოდა. ზვავთა ხმაური და აღმოსავლეთის ქარი მოხუცს სვლას უადვილებდა. შორს, აღმოსავლეთის მხარეს ჯიხვებმა ფერდობი გადაჭრეს და კლდეებში მიიმალნენ. მოხუცმა შურით გააყოლა თვალი და კიდევ ერთხელ შეეხვეწა ნადირობის ღმერთ ოჩოპინტრეს ჯიხვის თავი. არასოდეს სდომებია ისე ძალიან ჯიხვის მოკვლა, როგორც ახლა, თავისი ცხოვრების მეოთხმოცე წლისთავზე, როდესაც ქვევით, საფრებში უცდიდნენ პატარა მონადირეები _ ქალაქელი სტუმრები, რომელნიც, ალბათ, მთელ ქალაქს მოუყვებოდნენ მისი ვაჟკაცობის ან ჯაბნობის ამბავს. მოხუცს მიზნად ჰქონდა, მიეღწია ჯიხვთა საზაფხულო სადგომებამდე, სანამ შუადღე დადგებოდა და შემდეგ მშვიდად ელოდნა საღამოსათვის, როდესაც პატარა ფარები ხეობისაკენ დაეშვებოდნენ საბალახოდ.

წინა ღამეს წამოსულ ზვავს წყლისთვის მიმართულება შეეცვალა და კლდეებს შორის ჩაწოლილ ასწლოვან ყინულზე გადმოეგდო. მოხუცი წყალს აჰყვა, მაგრამ ზევით მორენებს პირი დაეღოთ და ქვით ჩაშავებული ყინული ორი-სამი მეტრის სიღრმეზე დაკიდებულიყო კლდის ზევიდან. მოხუცმა ამჯერად უკან დახევა ამჯობინა და ყინულის ფსკერიან მდინარეზე გადასვლა გადაწყვიტა. თოფის კონდახით ძლივს მოასწორა ფეხის დასადგამი ყინულზე და გადახტა, მაგრამ ერთი

ნახტომი არ ეყო, ფეხი ვერსად შეინაცვლა. იგი ყინულის ლიპ ზედაპირზე დაცურდა. ყინული ცოტა ქვევით, ნაპრალში ჩადიოდა, რომლის კედლებსაც მიენარცხა მოხუცი. ნაპრალიდან ამოსულმა მაშინვე ვაზნები გასინჯა, მხოლოდ რამდენიმეს დასველებოდა წამალი, რამაც იგი დაამშვიდა. მოხუცი კვლავ მაღლა მიიწევდა, ხოლო სისხლიანი კვალი ზოლად რჩებოდა მის ნაკვალევს. «გამხიარულდი, ბებერო, გამხნევდი, შენ ჯიხვი უნდა მოკლა, შენი ბადალი მთას მონადირე არა ჰყოლია; ჰაი დედასა, ალიოშა ჯაფარიძე რომ არ მიყურებს, იქნება მასაც შეშურებოდა ჩემი ვაჟკაცობა; ეგ წინათ, ახლა კი ალბათ დაბერდი, მაგრამ შენი სიბერე არავის ავალებს, რომ პური გაჭამოს. ჰმ? ახალგაზრდობა. აფსუს, სად არის ჩემი ბადიში დათვიკა. ალბათ, ისიც ნადირობს სადღაც მთაში, ბაბუამისთან. ან კი ბაბუამისმა რა ქნას, იგიც უკვე მოხუცია; ვინ იცის, მგონი, სამოცი წლისა გახდა ჩემი უფროსი ვაჟი. იგიც ხომ ნიადაგ მამაჩემს დასდევდა ნადირობის სასწავლად და მეც ხომ ბაბუაჩემისგან ვისწავლე, რითიც ყველაზე ძალიან ვამაყობ. მთაში ჩემისთანა ადგილები და სროლა ბევრმა არ იცის. მაგრამ მუხლები, მუხლები, რისთვისაც მგელიკას მეძახდნენ, ჩემი მგლის მუხლები. ნუთუ ვეღარ შევძლებ კვლავ ნადირობას ძველებურად. მაშინ მოკვდი, ბებერო მგელო, როცა შენით შვლის ხორცს ვეღარ იშოვი».

მოხუცი ფიქრებიდან ჯიხვის მიერ დაშვებულმა ზვავმა გამოარკვია. იგი სმენად გადაიქცა. ერთხანს ასე კლდედქცეული იდგა, ხოლო შემდეგ ნელა წაუწვა კლდეს და თოფი შემართა. ორიოდ წუთსაც არ გაეარა, რომ ჯიხვების ფარა გამოჩნდა მოპირდაპირე სერიდან, რომელთაც წინ ათი-თორმეტი წლის ბელადი მოუძღოდა ჩვეული სიდარბაისლით. ასეთი ჯიხვი მოხუცს არსად ენახა. იქნება ენახა და არ ახსოვდა, ვინ იცის? ახლა ჯიხვები ფერდობის კალთის გასწვრივ წავიდნენ და მთელი ტანით გამოჩნდა მათი ბელადი. იგი მთელი ტანით დიდი იყო დანარჩენებზე, ხოლო მისი რქები «რა უზარმაზარია», ამოიოხრა მგელიკამ, «ჰაი დედასა, თოფის სასროლზე მაინც მოვიდოდეს.» ჯიხვებმა ხეობა გადმოჭრეს და ფერდობს შეუყვნენ ზევითკენ. ახლა მოხუცი ჯიხვებს ვეღარა ხედავდა. ისინი მის ქვევით იყვნენ და ბექობი ფარავდა მათ. მოხუცის გულმა ცემას უხშირა. ვინ მოთვლის, რამდენი ჯიხვის სისხლი ემართა და ასე არასდროს აღელვებულა. «ეს მოჰკალ, მგელიკავ, და თუნდ ბოლო ჯიხვ იყოს», ბუტბუტებდა ჩუმად მოხუცი. ცოტაც და ბექობიდან თავი ამოყო ბელადის რქებმაც. ერთი, ორი და მოხუცის თოფი გავარდა. დაიგვიანა ტყვიამ, ბეჭსა და ნეკნს შუა გაიარა. ასეთი ჭრილობით ჯიხვი სამ დღემდე ცოცხლობს. ფარამ ელვის უსწრაფესად იცვალა გეზი და სანამ მოხუცი ვაზნას გამოცვლიდა, თვალს მიეფარა. ბელადმა არ იკადრა სხვების გადასწრება და თავის დამჭრელს თვალი მოავლო, სანამ თავად თვალს მიეფარებოდა. სწორედ ამ დროს მგელიკას წამოსადგომად გამართული, ყინულზე გაჭრილი ფეხი აუცდა და წაიფორხიალა. წაიბორძიკა ჯიხვმაც, რომელსაც ნატყვიარი ბეჭსა და ნეკნებს შუა ჰქონდა. დაღამებამდე მიჰყვებოდა ერთმანეთს ნადირისა და ადამიანის სისხლი. ორი უტყუარი დასტური შეუპოვარი ხასიათისა, რომლის შეძენა მხოლოდ ოთხმოცი წლის მანძილზე შეუძლია ადამიანს, ხოლო ჯიხვს თორმეტი წელიც ჰყოფნის. ჯიხვთა მოდგმის თორმეტი წელი ჩვენი მოდგმის ოთხმოც წელს უდრის.

შებინდებისას მგელიკამ კვალი დაკარგა, მაგრამ გუმანით მიიწევდა წინ. ახლა იგი უკვე ფორთხვით მიიწევდა, რადგან კლდე ისეთი პიტალო გახდა, რომ უხელოდ მასზე სიარული შეუძლებელი შეიქნა.

დაღამდა.

სიცივემ მოუჭირა და მოხუცს ტანზე მიაყინა სველი ტანსაცმელი. მგელიკას დათვიკაზე ფიქრში ჩაეძინა. მას ეჩვენებოდა, რომ დათვიკა მის გვერდით იყო და

დაკოდილი ჯიხვის კვალს მისდევდა. აქ მას სიზმარი აერია. ახლა იგი იყო შვილიშვილი და პატარა მგელიკა თავის ბაბუას მოკლული ჯიხვის ჩამოტანაში ეხმარებოდა. იგი ცხადად იგონებდა წინაპრის რჩევა-დარიგებებს: «ჯიხვს ასეთ ბილიკზე დილით უნდა ჩაუსაფრდე, ხოლო აქ, საღამოს. არამც და არამც ქარი შენგან არ უნდა სცემდეს. გაზაფხულზე დედალი ჯიხვი არ მოკლა, თუ საკმაო ჯიხვი გყავს უკვე დახოცილი, ნუ აჰყვები სიხარბეს და რასაც ვეღარ მოერევი წასაღებად, ნუღარ ესვრი.» სურათი კვლავ გაორდა და მას თავისი მოხუცი თავი წარმოუდგა დათვიკასთან მოსაუბრე. ისე ძლიერ მოუნდა მოხუცს პატარის ნახვა, რომ თვალი გაახილა ძილში და სიცივისგან შეწუხებულს გამოეღვიძა. ვარსკვლავები თვალისმომჭრელად კიაფობდნენ ცაზე, მთვარე კი არსად ჩანდა. «შუაღამეა», გაიფიქრა მგელიკამ. შემდეგ ფეხები გაისინჯა. ვერაფერი იგრძნო. «ტიალი, მოყინულა», კვლავ გაუელვა აზრმა, მან წინდა გაიხადა და ზელა დაიწყო. ცოტა ხანში თითებიც აამოძრავა, შემდეგ სიზმარი მოაგონდა და მეხსიერებაში აღდგენა დაიწყო.

«მართლაც და რა საინტერესოა», ფიქრობდა მოხუცი. «მეც ხომ დათვიკას ტოლა ვიყავი ალბათ, ჩემი მამა-პაპანიც და ისინი უკვე წავიდნენ. მალე მეც წავალ. დათვიკა დარჩება. როდემდის? დატოვებს იგიც მამა-პაპათა მსგავსად შთამომავლობას. კაცი არ კვდება. ალბათ მხოლოდ მრავლდება ადამიანი. ვინ იცის?» მოხუცის ფიქრები კვლავ ბურანმა მოიცვა და მას კვლავ ესიზმრა ბაბუამისი, თავისი ბავშვობა, თავისი ბადიში დათვიკა. «ოჰ, ნეტავ!» ამოიოხრა მგელიკამ. ალბათ, უნდოდა ეთქვა: @_ ნეტავ დათვიკა აქა მყავდესო. შემდეგ სახეზე ღიმი გამოეხატა. შეიძლება, იმ წუთში იგი დათვიკას უყურებდა, რომელიც ჯიხვებს გზას უჭრიდა. დილის სუსხმა კვლავ გამოაღვიძა მოხუცი. _ ახლა კი გათენებამდე ბევრი აღარ დარჩენილა, _ ხმამაღლა თქვა მან და ასევე ხმამაღლა განაგრძო თავისთავთან ლაპარაკი: _ «იმ ტიალმა მგონი შემატყო თვალისა და მუხლის დაუძლურება. ვინ იცის, იქნებ, უხარია ჩემი სისუსტე, მაგრამ არა, ამაყ ჯიხვთა შორის უამაყესს არასოდეს გაუხარდება უღირსი მტრის ყოლა; განა მე არ მიხარია, როცა ჯიხვი თუ ნადირი, რაიმე ძლიერი და ძნელი მოსაკლავია? განა მეტად არ მიიწევს გული მასთან საომრად. ან თუნდაც ახლა, სუსტსა და პატარა ჯიხვს დიდი ხნის წინ დავანებებდი თავს, მაგრამ ამას თუნდ სიკვდილამდე ვსდევ. მე მისი რქები მირჩევნია მთელი მისი ფარის ხორცს.»

ვარსკვლავებმა გაქრობა იწყეს ცაზე, როდესაც მოხუცი მგელიკა ფეხზე წამოდგა, გაიზმორა და დასავლეთს გახედა. _ ჩქარა მზეც ამოვა, _ ჩაიბუტბუტა მან და მოხუცისათვის ჩვეული სისწრაფით მთლიანად გამოფხიზლდა.

ჯიხვთა ნაკვალევი და სისხლის წვეთები კვლავ თოვლზე გადადიოდა. კიდევ ერთი ღამე გაათია მთაში უნაბდოდ ოთხმოცი წლის მგელიკამ და კიდევ ესიზმრა თავისი ბადიში დათვიკა, თავისი ბაბუა, თავისი თავი. «ახლა კი ჯიხვი ჩემია. მესამე დღეა, რაც დაჭრილია,» ფიქრობდა იგი და დილის სხივს მიჰყვებოდა აღმოსავლეთით, სადაც, მისი აზრით, წინა ღამე გაათიეს ჯიხვებმა. ცალ ფეხს ძლივსღა მიათრევდა.

კლდის კულუარს, რომელშიაც ქვათაცვენა ხშირი იყო, ჯიხვთა ნაკვალევი მისდევდა. მან სწრაფად იცნო «თავისი» სანეტარო ცხოველის ნაკვალევი. ბაბუას მზერა შეჩერდა კულუარის გვერდზე დაყრილ ქვიშაზე, რომელსაც ეტყობოდა უკან წამოსული ფარის ნაკვალევი. «ნუთუ», გაუელვა მოხუცს, «კვლავ გამექცა? მაგრამ არა, არა, არა მგონია, ჩემი ვარაუდით მეტი ძალა მას აღარ ეყოფოდა.» იგი კვალს კარგად დაუკვირდა და, როცა ვეღარ შენიშნა «მისი» ჩლიქების ნავალი, დამშვიდდა. იგი პირველ ნაკვალევს აჰყვა. კულუარი სულ უფრო და უფრო ციცაბო ხდებოდა, რაც მის

ფეხის და ასაკის პატრონს შეუძლებლობამდე უძნელებდა წინსვლას. მან თოფი მხარზე გადაიკიდა. ახლა მხოლოდ გამოცდილებითღა მიიწევდა წინ. ღონე, დიდი ხანია, გამოეცალა. გამოცდილება და მისი წყალობით შეძენილი, თავისი ერისგან ნაანდერძევი შეუპოვრობა უკვალავდა გზას. კლდე არ იყო საიმედო ხელწასავლები. მოძრავი ქვები ყოველ წუთს შეიძლება მოწყვეტილიყვნენ და უძირო უფსკრულში გადაეყოლებინათ იგი. ორი ათეული მეტრის გავლას მთელი დღე მოანდომა მოხუცმა. ჩამავალი მზე მთის წვერზე იდგა და სიამაყით უყურებდა მის მიერ გაზრდილი ადამიანის ვაჟკაცობას. როგორც იქნა, მოხუცი პლატოზე აცოცდა. «ჯიხვთა სადგომი,» გაუელვა მოხუცს, მაგრამ თოფის გადმოღება ვეღარ შეძლო. მის წინ ჯიხვთა შორის ულამაზესი და უძლიერესი ფეხზე მდგომი ხვდებოდა სიკვდილს. მოხუცს გული უწუხდა. იგიც ხომ ჯიხვივით დაჭრილი და უჭმელი იყო. ჯიხვის ასეთმა მედიდურობამ იგი აღტაცებაში მოიყვანა და თავისი ტკივილები ერთი წუთით დაავიწყა. უცებ თავის თავისა შერცხვა და ფეხზე წამოდგომა სცადა, მაგრამ უშედეგოდ. შემდეგ ცოცვით გაემართა ჯიხვისკენ, რომელიც კვლავ უძრავად იდგა. მოხუცი მიცოცდა ჯიხვთან და ჩამავალი მზის სხივებით განათებულ თვალებს შეხედა, პირუტყვს მისკენ რომ მიეპყრო. მისი დიდი, ჭკვიანი თვალები მოხუც მონადირეს თანაგრძნობას უცხადებდნენ. მოხუცი ჩვეული არ იყო ვინმეს მიერ შებრალებას. ფეხზე ვაჟკაცურად მომაკვდავი ჯიხვის თანაგრძნობამ იგი გაახელა და თან გაახარა. ეს უკვე ისევ ძველი მოხუცი იყო. მან ფეხებში ძალა იგრძნო და წამოდგა, თოფი მოიხსნა და გვერდზე გადააგდო. შემდეგ ჯიხვს რქებზე ხელი მოხვია, მოხვია და თვალი გაუსწორა მზის უძლურ სხივებს. «ჰაი დედასა, რად არ მიყურებს დათვიკა», გაიფიქრა ოთხმოცი წლის მგელიკამ. უკანასკნელი სხივის ჩასვლასთან ერთად დაეცნენ ორივენი და, ალბათ, ორივეს შურდა ერთმანეთის ვაჟკაცობა.

ორმა თბილისელმა მეგობარმა და დათვიკამ სოფლელთა თანხლებით მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ მიაკვლიეს მოხუცისა და ჯიხვის ნეშტს. მოხუცის დაკრძალვას ასოცი მისი შთამომავალი დაესწრო, რომელთაგან ვერვინ დაიტრაბახებდა მსგავსი რქების მქონე ჯიხვის მოკვლას. ასოცმა მისმა სისხლით ნათესავმა უსურვა ერთმანეთს მგელიკასდარ ვაჟკაცთა გამრავლება თავიანთ გვარში და ასოცივემ ერთად თავის ერს უსურვა იგივე.

მგელიკას ვაჟკაცობის დასტური მისი კოშკის შესავალს ამშვენებდა.

(1956წ. იანვარი)

<u>ცქიტო და სელიოდკა</u>

გადაუღებლივ წვიმდა ორი დღე. ცქიტოს ცხვირი მიედო გრილ ფანჯარაზე და თვალგაშტერებული უყურებდა ატალახებულ ქუჩას. ოღროჩოღროებში წყალი ჩამდგარიყო. შიგ მოხვედრილი წვეთები რკალებად იშლებოდნენ. ტკაპ! ტკაპ! _ ისმოდა დაუსრულებლად სახურავზე წვეთების ხმა. ვიღაცა მოპირდაპირე პოდიეზდში შევიდა. მისი ნაფეხურები ერთხანს ჩანდნენ ქვაფენილზე. მერე წვიმამ წაშალა. მოხუცი დედაკაცი დახეული, შავი ქოლგით ქუჩას აღმა მიჰყვებოდა. თითოეულ ნაბიჯს დიდი სიფრთხილით ადგამდა, მოხერხებულად ხმარობდა ფეხის ქუსლს, ან წვერს, გუბის სიდიდისა და მოყვანილობის მიხედვით. ეტყობოდა, ფეხები სველი ჰქონდა.

_ ვალიკო, ჩქარა დაბრუნდი! _ მოისმა ყრუდ ქალის წვრილი ხმა. ქუჩა გადაირბინა ათიოდე წლის ბიჭმა. მას თავზე ძველი, ალბათ მამის, პიჯაკი გადაეხურა. ფეხები

დიდ ფლარტუნა კალოშებში ჩაეყო და პატარა გუბეებს ტყაპუნით ახტებოდა. მოზრდილ გუბესთან კალოში გასძვრა ფეხიდან. იგი ასკინკილით შემოტრიალდა და წინდებში გამოყრილი შიშველი ფეხი ჩაყო კალოშში. მეზობლის ახალგაზრდა რძალმა ვედრო გამოიტანა და საწვიმარს შეუდგა გასავსებად. როცა მანქანა აივლიდა, სველ ასფალტზე საბურავების კვალი რჩებოდა.

ცქიტო მისჩერებოდა გუბეებში წვეთების ვარდნას. ერთი, ორი, სამი _ სულ ახალი რკალები. ორი წვეთისგან გაჩენილი რკალები ერთმანეთს ხვდებოდნენ და გადაკვეთისას წყდებოდნენ. უცებ მანქანამ ჩამოიარა და გუბეში დიდი შხეფი ჩააგდო. მსხვილმა რკალებმა მთელ ზედაპირზე გამარჯვებულად გადაიარეს. ცქიტომ დაორთქლილი ფანჯარა გაწმინდა, ქუჩა მოათვალიერა და შეეცადა, რამეზე ეფიქრა. მისი გონება უკვე დაღლილი იყო ფიქრისგან. იგი ახლაც გამალებით მუშაობდა, მაგრამ ფიქრი მის შეცნობამდე ვეღარ აღწევდა. მან კვლავ გადახედა ქუჩას, შემობრუნდა და თავისი ოთახი უაზრო მზერით მოათვალიერა. ტახტზე წამოწვა. გარეთ კი სულ წვიმდა და წვიმდა.

ერთხანს ასე თვალდახუჭული იწვა, მერე თვალები გააღო და თეთრ ჭერს მიაშტერდა. ზედ უმოძრაოდ ისხდნენ ბუზები. იშვიათად რომელიმე წამოფრინდებოდა და უღონო ბზუილით სადმე ახლოს გადაჯდებოდა. სამზარეულოში ჩაიდანი განუწყვეტლივ შიშინებდა. ხანდახან ორთქლი სახურავსა სწევდა და ნელა აკაკუნებდა.

შემოდგომის გრძელი დღე სრულდებოდა.

გარეთ კი სულ წვიმდა და წვიმდა.

ცქიტომ წათვლიმა. გადაღლილი გონება ბორგავდა და ძილში არ ასვენებდა. როცა გამოიღვიძა, უკვე ღამე იყო. წვიმას გადაეღო და დახლეჩილი ღრუბლებიდან სავსე მთვარე ანათებდა. ცქიტო ფანჯარასთან მივიდა. გუბეებში მთვარე და სწრაფად მოძრავი დახლეჩილი ღრუბლები მოჩანდა. ქარი წამოუბერავდა ხოლმე და ცის გამოსახულებას ააკანკალებდა გუბეში. ღობის ძირას საცოდავად გალუმპული კნუტი კნაოდა. ვიღაცამ ზარი დარეკა, ცქიტომ საათს დახედა. პირველი საათი იყო. მერე კარი გააღო და შემოსულ მამას მიეგება.

_ სად იყავი, მამა, ამდენ ხანს?

_ აი, ხაზარაძის მამა გარდაიცვალა და იმის ქელეხში ვიყავით, აღარ მოგვეშვა.

_ ეგ რა არის ყუთში?

_ ჰე! ეს ახალი მონადირე ძაღლია. სუფთა სისხლის სეტერი.

_ სად იშოვე?

_ ჯანაშვილმა მაჩუქა, ჯერ კიდევ დაბადებამდე. ახლა ქელეხიდან ერთად წამოვედით და გამოვართვი.

_ რა ჰქვია?

_ მე მინდა ტუჩა დავარქვა.

_ არა, ლელო სჯობია.

_ რას ამბობ, თუ ტუჩა არ გინდა, მაშინ ჯუნა დავარქვათ.

_ არა, ეგ ისეთი მოძრავი ჩანს, ელვა მოუხდება.

_ კარგი, ელვა იყოს.

იატაკზე მჯდარი ერთი თვის ლეკვი ინტერესით ათვალიერებდა ახალ გარემოს. უცებ თვალი მოჰკრა ვირთაგვას, რომელიც დერეფანში გაცუნცულდა და თავის სოროში ჩაძვრა. ლეკვმა შიშისაგან ჩაისვარა და მამის ფეხს კანკალით მიეკრა.

_ ელვა, გეშინია? _ ჰკითხა ცქიტომ.

_ ეშინია, მაშ! ბიჭო, წყალი დადგი, ვაბანაოთ, თორემ ჯანაშვილს თვითონა ჰყავს რწყილები, ძაღლს კი არა.

_ ახლავე დავადგამ.

ცქიტომ ნავთქურას თავი გადახადა და ასანთი მოუკიდა. პატრუქმა ბჟუტვა დაიწყო და ჩაქრა.

_ ნავთი არ არის, მამა.

_ კარგი, იყოს.

_ არ ვაბანაოთ?

_ არ უნდა. ახლა დუსტს დავაყრი. ხვალე ელექტრონი იქნება და წყალი გავაცხელოთ.

_ შენ ხომ არა გშია, მამა?

_ არა. ხომ გითხარი, ქელეხიდან მოვდივარ-მეთქი. შენ გშია? მგონი, დილით ფული ვერ დაგიტოვე.

_ ჰო, არა უჭირს.

მამამ ჯიბეში ხელი ჩაიყო და ქაღალდში შეხვეული ბუტერბროდი ამოათრია. ქაღალდი შემოაცალა და ცქიტოს გაუწოდა.

_ ჭამე, ბიჭო, მართალია, თევზია, მაგრამ შენ ხომ გიყვარს სელიოდკა.

_ ჰო, მიყვარს.

მამამ საბანი გადაწია და ტახტზე დაწვა. ტახტი აჭრიალდა. ცქიტო კვლავ გაუხდელად წამოწვა ტახტზე.

დახლეჩილი ღრუბლები შეიკვრნენ და მთვარე აღარა ჩანდა. გაისმა კანტიკუნტი ტკაპუნი წვეთებისა სახურავზე და წვიმა ისევ დაიწყო. ცქიტო კარგა ხანს უყურებდა თეთრ ჭერს, რომელზედაც ქუჩის სინათლის სხივი ციმციმებდა.

იმ ღამეს წვიმას აღარ გადაუღია.

1956 წლის 24 მარტი.

<u>ფინურ სახლში: კარპატებში</u>

ასოცდაოთხოთახიანი ფინური სტილის ტურბაზის ერთი ოთახი ქართველებს ეკავათ. კედელზე ჩამოკიდებული საათი რიტმულად სცემდა ერთფეროვან, მჟღერ ხმაზე. ხუთი საწოლი იდგა. ერთზე ნოდარს ეძინა. ნელთბილ ღუმელზე წინდები ეყარა, ხოლო მის გვერდზე წყლით გაჟღენთილი ფეხსაცმელები ეწყო. აორთქლებული წყლისა და ოფლის სუნი, მბჟუტავი ღუმელის ბოლი ოთახში მძიმე ჰაერს აყენებდა. ბალიშები და საბნები უწესრიგოდ ეწყო საწოლებზე, ხოლო მათ ქვევით ჭუჭყიანი სარეცხით გამოტენილი ზურგჩანთები ეყარა. ნახევრად ღია კარიდან პატეფონის ხმა ისმოდა. კარის გვერდზე, მოღუნულ ლურსმნებზე, ძლივს ეტეოდა შტორმოვკები, პალტოები და ნესტიანი პირსახოცები.

ღია კარში ნელა შემოიპარა ტურბაზის ბებერი, ქეციანი, გამობენტერებული კატა და მძინარე ნოდარის ფეხებთან მოიკალათა.

კედლის საათზე თხელი ძეწკვით ჩამოკიდებული გირა ბოლომდე ჩამოეშვა. საათი გაჩერდა. კატამ ნელა დაიკნავლა და მეზობელ საწოლზე გადაფორთხდა. ნოდარი გულაღმა გადაბრუნდა, საწოლი გულის გამაწვრილებლად აჭრიალდა. ერთხანს იტრიალა, მერე თვალები გაახილა. ცოტა ხანს ასე იწვა, მაგრამ გამოღვიძებული უფრო შეაწუხა ოთახის მძიმე ჰაერმა და წამოდგა. მივიდა კედელთან, სინათლე

აანთო და თვალები მოიფშვნიტა. დამფრთხალი კატა საწოლიდან ჩამოხტა. ნოდარმა ხელი დაავლო და სწრაფად გარეთ გაუძახა. «ვერ ვიტან კატებს!» გაიფიქრა. ფანჯარასთან მივიდა, ჩაყინული, ორფა ჩარჩო ძლივს გამოაღო, ჰაერი ღრმად შეისუნთქა. ოცდათხუთმეტგრადუსიანმა ყინვამ მაინც თავისი გაიტანა. ოთახში უცებ აცივდა. ნოდარმა ფანჯრები ჩაკეტა, შემობრუნდა და კედლებს მიაშტერდა. კედელზე სლავური ცხოვრების ამსახველი უგემოვნო აკვარელი ეკიდა. ჭრელი, ღია ფერები და გარმონით მოცეკვავე ვაჟის ქალის ფეხებთან გაკეთებული ბუქნი რაღაც ბრიყვულ სიხარულს გამოხატავდა.

«ცუდია, მაგრამ რაღაც მაინც მომწონს, ალბათ, ეს ხალხი ბედნიერია. თუმცა ვინ იცის?» გაიფიქრა ნოდარმა და სარკეში ჩაიხედა. ნამძინარევი თვალები დასწითლებოდა და ხშირ ხვეულ თმაში ბალიშიდან გამომძვრალი ბუმბულები ჩახლართვოდა. მერე ჩამოიღო ნესტიანი პირსახოცი და დასაბანად წავიდა. დაბანილი და თმადავარცხნილი მობრუნდა და საწოლქვეშიდან ზურგჩანთა გამოათრია. თეთრი პერანგი ამოიღო და საწოლის თავზე გადაკიდა.

ქვევიდან მოისმოდა რუსული ვალსების ხმა. ნოდარმა პერანგი ჩაიცვა, შარვალი გაისწორა, კედლიდან გურამის შტორმოვკა ჩამოიღო და წრიპინა კიბით ქვედა სართულში ჩავიდა. ტურისტების სასადილო ოთახში მაგიდა აელაგებინათ და ჩქარ ვალსს ტაქტგამოშვებით ცეკვავდნენ.

კედელთან სასადილოს მომსახურე ადგილობრივი მცხოვრები გუცულები ისხდნენ. «რა კარგი გოგოებია,» გაიფიქრა ნოდარმა. ის მაინც რა კარგია, ანა-მარია, სწორი, წვრილი, ენერგიული ფეხები, ოდნავ სქელი თეძოები, სავსე, თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის სლავი ქალის მკერდი და ოდნავ ფართო, ცოტა გლეხური მხრები». გუნებაში აღწერა კიდეც ნოდარმა და გუცულებთან ახლოს მივიდა.

_ ამდენი ხანი რამ გაძინა? _ შეეკითხა გურამი.

_ ნეტა ახლაც მძინებოდა. ანა-მარიამ სულ ამაფორიაქა.

_ ეეე, მაგას ჩვენც დიდი ხანია თვალებს ვუნაბავთ. მოიცა, მე მარიკას ვაცეკვებ, შენ იმის ადგილას დაჯექი და ელაპარაკე.

_ კარგი, მიდი.

გურამმა მარიკა გამოიყვანა. მარიკა გაუბედავად ცეკვავდა. «ალბათ, ჩემსავით, არ იცის ცეკვა, მაგრამ მაინც ყოჩაღია, არა მორცხვობს...» გაიფიქრა ნოდარმა. მერე ანა-მარიას მიმართა:

_ Можно присесть?

_ Пожалуйста, седайте, _ მიუგო იმან უკრაინულად. ნოდარი დაჯდა და ხარბად უჭვრეტდა მის პროფილს. გუცული გოგონა ხმაამოუღებლად იჯდა, ოდნავ შეშინებული, უაზრო სახით.

_ თქვენ აქაური ხართ? _ შეეკითხა ნოდარი.

_ დიახ.

_ სწავლობთ?

_ არა.

_ მეც თქვენსავით მთიელი ვარ, კავკასიიდან. ასე რომ, შევეწყობით,_ ისევ ალაპარაკდა ნოდარი, _ თქვენ რას იტყვით?

_ ჰო, _ თქვა ანა-მარიამ მოუხედავად და თითქოს ცოტა გაწითლდა.

_ რა ჰო? _ შეეკითხა ნოდარი. რადგან პასუხი ვეღარ მიიღო, თვითონვე განაგრძო: მე გამიგია, რომ თქვენში ომის დროს იყო ყაჩაღი ოსტაპ ბენდერი. ამბობენ, თქვენ ის ძალიან გიყვარდათ. მეც მიყვარს ყაჩაღები. თქვენ რა, არ გიყვართ?

_ განა ყაჩაღის სიყვარული შეიძლება? _ ცივად თქვა ანა-მარიამ.

_ ჰო, მაგრამ... _ ამ დროს ცეკვა შეწყდა და სიტყვა ვეღარ დაამთავრა.

_ დაბრუნდით? _ ადგილი დაუთმო მარიკას, რომელიც გურამმა მოაცილა. მერე მობრუნდა და ცივად, ოდნავ ნაწყენი წამოვიდა გასასვლელისაკენ. კარებთან გურამი წამოეწია.

_ ნოდარ, აი, იმ ბიჭს ხედავ?

_ რომელს?

_ აი, იქ, მაღალი გუცული, აქეთ რომ იყურება, სასადილოს კართან დგას.

_ ჰო, დავინახე.

_ მარიკამ მითხრა, ანა-მარიას საქმრო არისო. _ ნოდარს გაეღიმა.

_ ზემოთ არ მოდიხარ?

_ არა, ჯერ კიდევ ცოტას ვიცეკვებ, იქნებ ბედმა გამიღიმოს.

_ კარგი. მე ავალ, რამეს წავიკითხავ.

ნოდარი ჭრაჭუნა კიბეს აჰყვა. ოთახში შევიდა, სინათლე აანთო და საწოლზე მოკალათებული კატა გარეთ გამოაგდო, მერე გაიხადა ტანზე, სარკეში ჩაიხედა და საბანქვეშ შეწვა.

1956 წლის 25 მარტი. კვირა.

"გამარჯობათ! _ ნიაზმა ფეხი ფეხს.."

_ გამარჯობათ! _ ნიაზმა ფეხი ფეხს მიადო, ტკბილად გაუღიმა გამვლელს და ბანცალით გზა განაგრძო.

_ საწყალი ბიჭი ისევ მთვრალია. _ თქვა ილომ.

_ ნეტავ, რა ხნისაა? _ იკითხა ერთ-ერთმა.

_ ალბათ, ოცდაათამდე. ჩვენს ლექტორებთან ერთად მჯდარა კლასში.

_ ახლა რას აკეთებს?

_ ლოთობს.

ქუჩაში მდგარმა ახალგაზრდებმა ჩაიცინეს.

_ გამარჯობათ! _ ფეხი ფეხს მიადგა ნიაზმა და შუა ხანს გადაცილებულ ვაჟკაცს მიესალმა.

_ გაგიმარჯოს, შვილო. _ მიუგო მან და თვალი გააყოლა.

_ ვინ არის? _ შეეკითხა კაცს თავისი თანამგზავრი.

_ ნიაზი. ჩვენი სულეიმანის ვაჟი. აფსუს, რა კაცია თვითონ და ვაჟი კი ლოთი ჰყავს.

_ ეჰ, რას იზამ, ხომ გაგიგია:

«მაგრამ მარტო წვრთნა რას იზამს,

თუ ბუნებამც არ უშველა.»

_ ნინიკო, ნატო, ჩქარა! ჩქარა! დაინახეთ ნიაზი. რა ლამაზია, Если бы вы знали, какой он был чудесный, როგორა მღეროდა, как он одевался. მე ახლაც შეყვარებული ვარ მასზედ.

_ მართლაც და რა «პახოტკა» აქვს, ნახეთ.

ნიაზმა, რომელმაც ნათქვამი ვერ გაიგო, მაგრამ მიხვდა, რომ მასზე ლაპარაკობდნენ, მოიხედა და თავაზიანი კილოთი შეუკურთხა სტილის მიმდევარ გოგონებს.

_ ნიაზს გამარჯობა! _ სალამი დაასწრო კლასის ძველმა ამხანაგმა ნოდარმა.
_ ნოდარ, შენი ჭირიმე! _ ნიაზმა ხელი ჩამოართვა, მიიზიდა და აკოცა. _ სადა ხარ, ბიჭო, როგორა ხარ, სად დაიკარგე?
_ შენ როგორ? თავად რას იქ.
_ გმადლობთ, კარგად. რას ვიზამ.
_ ოჯახში როგორ არიან.
_ გმადლობთ.
ნიაზმა გვერდზე მიიხედა. ისევ ნაცნობი.
_ გამარჯობათ!
_ გაგიმარჯოს, ნიაზ.
კვლავ კოცნა.
_ გაიცანი, ნოდარ, ეს ჩემი მეგობარია.
_ ?
_ უკაცრავად, მე ახლავე.
ნიაზმა ბანცალით გზა განაგრძო.

_ ახალგაზრდებს სიცოცხლე!
_ გამარჯობათ, ძია ნიაზ! _ ერთხმად იყვირეს ბავშვებმა.
_ ხედავ, გურამ, ისევ მთვრალია.
_ ალბათ, ბევრსა სვამს, არა?
_ მა რა?
_ რამდენს? ალბათ, ათ ბოთლს.
_ არა, მეტს.
_ მაინც?
_ ასს.
_ ალბათ, კიდევ მეტს.
_ მეც ასე მგონია.
_ ვინ იცის.
_ ღონიერია?
_ მაგას ვერავინა სცემს.

_ ბიჭებს სიცოცხლე!
_ სიცოცხლე ნიაზს!
კვლავ კოცნა.
_ ნიაზ, ლოთობას თავს როდის ანებებ?
_ მე? რათა?
_ ჩვენც დაგვიტოვე, _ ირონიით შეხედა ერთმა, _ ახლა ჩვენც გვინდა დავიწყოთ.
ნიაზმა გზა განაგრძო.
_ ნეტავ, ბევრსა სვამს, დათო?
_ რისი დამლევია, ნახევარ ჭიქაზე თვრება.
_ ძალა თუ აქვს.
_ სული რომ შეუბერო, გადავარდება.
_ საწყალი.
_ ერთი მაგის.

ნიაზმა სარდაფის კარი შეაღო.

_ თუ შეიძლება ერთი ასი გრამი ჩამომისხით. მე მინდა ჩემი სამშობლოს სადღეგრძელო დავლიო.

_ ამ საწყლებს შეხედე, _ მიმართა ნიაზმა დახლიდარს და ქუჩისკენ ხელი გაიშვირა, ვისკენ, თვითონ არ იცოდა, _ თავისი თავი ხალხი ჰგონიათ. ალბათ, ჩემს ლოთობას დასცინიან, თვითონ კი მთელი დღე უსაქმოდ დგანან ქუჩაში. მაგათ ლოთობის შნოც არა აქვთ.

_ რას იზამ, შვილო. _ ჩაიხითხითა დახლიდარმა _ ნათქვამია, მჯობის მჯობი არ დაილევაო.

(1956 წ. მარტი)

<u>დათო და გურამი ბუხართან</u>
<u>(ბაკურიანისაკენ)</u>

_ მართლა, გიყვარს, ბიჭო ის გოგო?

_ როგორ არ მიყვარს, მთელი კვირა არა მძინებია.

_ მე მგონი, სიზმარში ხედავ და გეჩვენება, რომ არა გძინავს.

_ შეიძლება სიზმარიც იყო, მაგრამ რახან სიზმარში ვხედავ, ალბათ, მიყვარს.

_ მეც ასე მგონია, რომ უნდა გიყვარდეს, წინაამღდეგ შემთხვევაში, ასე ხშირად არ დაგესიზმრებოდა.

გურამმა პაპიროსი ჩააქრო და შეყვარებულ ძმაკაცს არაფრის გამომხატველი თვალებით შეხედა.

დათოს თავი ჩაექინდრა და ბუხარში გაღვივებულ ნაკვერჩხალს უყურებდა. «ღმერთმა დასწყევლოს, მგონი, მართლა უყვარს,» გაიფიქრა გურამმა და ხმამაღლა განაგრძო:

_ მოდი, ბიჭო, არაყი დაგალევინო. ჩვენებური, კახური ჭაჭაა.

თანხმობის ნიშნად დათომ თავი აიღო და გაიღიმა.

_ ჩვენს სიყვარულს გაუმარჯოს!

_ გაუმარჯოს.

_ ლეილას გაუმარჯოს თვითონ.

_ გაუმარჯოს.

_ შენ და ლეილას გაგიმარჯოთ ერთად!

_ გმადლობთ.

დათო სულ უფრო მდუმარე ხდებოდა. გურამმა ცეცხლს შეშა მიუმატა და ერთხანს თვითონაც ფიქრში გაერთო.

_ სად არის ლეილა ახლა?_ ისევ დაარღვია გურამმა აუტანელი სიჩუმე.

_ ბაკურიანში, ეჰ, ნეტავ მეც იქ ვიყო.

_ იმას უყვარხარ?

_ ალბათ.

_ საიდან იცი?

_ მე თვითონ ძალიან მიყვარს.

_ მაშ, წავიდეთ ბაკურიანში.

_ როდის?

_ ახლავე.

_ რითი?

_ თორმეტის ნახევარზე გადის მატარებელი.

_ მერე ფული რომ არა გვაქვს?

_ მე მაქვს ჩემი შარვლის საყიდელი ფული და იმითი.

_ არ შემიძლია, ვერ დაგახარჯვინებ.

გურამი წამოდგა, თხილამურები გადმოიღო, შემდეგ ორი წყვილი სათხილამურო ფეხსაცმელი, საგზალი შეახვია და გარეთ გავიდა. როცა დაბრუნდა, დათოს ცრემლები მოსდიოდა თვალებიდან.

_ რა მოგივიდა, ბიჭო? _ შეეკითხა გურამი.

_ არაფერი, ბოლისგან. _ მიუგო დათომ. გულში კი ფიქრობდა, «როცა ადამიანს ასეთი მეგობარი ჰყავს, საყვარლის დაშორება ვერ შეაშფოთებს.»

დილის ოთხ საათზე ახალციხის მატარებლიდან ბიჭები ბაკურიანის ვიწროლიანდაგიან მატარებელზე გადასხდნენ. არემარე თოვლით იყო დაფარული. დათო და გურამი მატარებლის კიბის საფეხურის გვერდებზე დარჩენილი თოვლიდან გუნდებს აკეთებდნენ და ხეებს ესროდნენ. ხეებიდან თითოეული გუნდის სროლისგან თოვლის ფართო ფიფქები ცვიოდა.

საკოჭაოდან მატარებელმა სვლას უმატა. ბიჭები კიბეზე იდგნენ, როცა მატარებელი ბაკურიანში შევიდა. ლეილა, დათოვლილი თმითა და მოღიმარე სახით, ბაქანზე იდგა.

_ რად დაიგვიანეთ? გამარჯობათ! როგორა ხართ. გურამ, რა ამბებია? _ დათოსკენ განგებ არ იხედებოდა.

_ ჩვენ ხომ ჩამოსვლას არც კი ვაპირებდით, _ მიუგო გაოცებულმა გურამმა.

_ მე კი დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩამოხვიდოდით. _ ცოტა წყენა დაეტყო ლეილას ხმაში.

სადგური მგზავრებისგან დაიცალა.

დათო და ლეილა ხელიხელგადახვეულები მიჰყვებოდნენ თოვლით დაფენილ შარას, ხოლო გურამს სამი წყვილი თხილამური გაედო მხარზე და ორივეზე უფრო კმაყოფილი მათ უკან მიბაკუნებდა.

(1956 წ. მარტი)

<u>“ოთახი გრძელი იყო და ვიწრო...”</u>

ოთახი გრძელი იყო და ვიწრო. ოთახის წინ დახლი იდგა მოთეთრო ხალათიან დახლიდართან ერთად. შესასვლელში ექვსი მთვრალი ოსი იჯდა ოთხადგილიანი მაგიდის გარშემო და კიდევ სვამდნენ. პირველი გურამი შევიდა, რატომღაც იფიქრა, რომ ჩხუბი მოუვიდოდა მაგიდის კუთხეში მჯდარ ოსთან; უკან გოგო მოდიოდა, მერე გაგა; რაღაც არ ესიამოვნა. არ ესიამოვნა ის, რომ ის ოსი დიდი ჩანდა და ჩაის ჭიქას თითებში მალავდა. «უეჭველად მომერევა, თან დაღლილი ვარ», გაიფიქრა, მერე გოგოს გადახედა: ის ოდნავ იღიმებოდა. «აქ რო მომერიოს, ამასთან სირცხვილია», ისევ გაიფიქრა, მერე კიდევ იფიქრა, რომ საჩხუბარი იმასთან არაფერი ჰქონდა. არც ის იცნობდა, არც თვითონ იცოდა, ვინ იყო, მაგრამ სახე ჰქონდა მას დიდი და ბოროტი, ზედიზედ ცლიდა ჭიქებს უშნო, დიდი პირით. გურამი რესტორანის ბოლოში დაჯდა, გვერდზე გოგო მოუჯდა, მერე დაჯდა გაგა.

_ ნახევარბოთლიანი ჯობია, _ თქვა გაგამ.

_ ნახევარი ბოთლი არაყი და ერთი ბორჯომი, _ გურამმა გოგოს შეხედა, _ კიდე ლიმონათი ერთი, _ დაამატა.

ოსი ფანჯარაში იყურებოდა. დანარჩენი ხუთი თავისთვის სვამდა, ვიღაც ხმამაღლა ბუბუნებდა. ის ოსი ისევ არ იყურებოდა, რატომღაც დამშვიდდა გურამი.

_ არაყს მე გავხსნი, _ თქვა მან.

ბოთლი ხელში აიღო, ზედიზედ ამოარტყა რამდენჯერმე ბოთლის ძირს.

_ ნელა, ხელში არ ჩაგიტყდეს. _ გოგომ გაიღიმა.

გურამს ესიამოვნა, რომ გოგომ გაიღიმა.

უფრო მაგრად ამოარტყა ბოთლს ხელი: საცობი კედელს მიეხეთქა და ცოტა არაყი დაიღვარა.

_ კინაღამ არ მოარტყი! _ გაგამ გოგოს შეხედა.

გურამმა გაიღიმა, მერე პაპიროსი მოწია. სიგარეტი პატარა იყო, მოკლე.

_ მალე თავდება. _ თქვა მან.

_ მე უკვე ხელი დამწვა. _ გაგამ პაპიროსი გადააგდო.

_ ახლა მაგ ოსებს ჰგონიათ, დროს ატარებენ.

გურამმა ირიბად გაიხედა იქით სუფრისკენ.

_ მაგათი დედაც ავატირე,_ გაგამ ბოთლის თავს შეხედა.

_ რა ჩასაბრედია, არა? _ გაიცინა გურამმა.

_ მეც სიამოვნებით დაგეხმარებოდი მაგაში. _ სერიოზულად თქვა გოგომ.

ოფიციანტმა ძეხვი მოიტანა, კიდევ მოიტანა ხიზილალა შავი პურით, ულაზათოდ გაიღიმა და თქვა:

_ აქ ადამიანს ყველაფერი დაავიწყდება.

_ მაგას ჰგონია, იმ ოსებზე უკეთესია, _ თქვა გაგამ, როცა ოფიციანტი წავიდა.

გოგო ოსებს უყურებდა. გურამმა არაყი დალია, მერე ლიმონათი დააყოლა, ისევ დაისხა არაყი.

_ Гарсон, кружку пива, _ გაიცინა ჩახლეწილად გაგამ.

_ მოპასანიდან? _ იკითხა გოგომ ოდნავი ირონიით.

_ ისე კი ყველაფერი ისეა, როგორც ჰემინგუეისთან, არა? _ გურამმა არაყი ბორჯომთან შეაზავა და დალია.

_ რატო ჰემინგუეისთან? _ თქვა გოგომ და ისევ გაიცინა.

_ მართლა რატომ, _ გურამმა ისევ გაივსო ჭიქა, _ იმიტომ, რომ რატომღაც ჰგონიათ, ჰემინგუეიმდე ასე არ სვამდნენ, ან ვინმე ბაძავს იმას, არა? თუმცა სწორია, არა, არ არის სწორი. ის წერს იმიტომ, რომ სხვა სვამდა, მერე დაწერა. ჩვენც ვსვამთ ისე ან სხვანაირად, აბა, როგორ უნდა ვქნათ, რაც გინდა, განა ის მიბაძვაა, ჰა?

_ რა დროს ლიტერატურაა! _ თქვა ისევ გოგომ.

გურამს თვალები არეული ჰქონდა და ისე უყურებდა.

_ რა შუაშია ლიტერატურა! _ თქვა მან, _ თუმცა იქნება სწორიც ხარ. კიდე ნახევარი ბოთლი, _ დაუძახა ოფიციანტს.

_ მე თვითონ ვერ ვიფიქრე, _ თქვა ხმამაღლა ოფიციანტმა, მერე ჩუმად დააყოლა, _ ამ ოსებში კაცს ყველაფერი დაავიწყდება.

_ მაგას ჰგონია, იმ ოსებზე უკეთესია. _ თქვა გაგამ, როცა ოფიციანტი წავიდა. გოგო იჯდა და ისევ ფანჯარაში იყურებოდა.

(1956 წ. მარტი)

ბაკურიანიდან წამოსვლა

გურამი დილის სუსხმა გამოაღვიძა. საბნიდან შიშველი ხელი გამოყო, გადავარდნილი პალტო აიღო და ზემოდან გადაიხურა. ერთხანს ასე იწვა და ფიქრობდა: «ნეტავი დღეს მზე იყოს, ცოტა მაინც გავშავდები. ლეილასაც ვნახავ. შეიძლება წაღვერშიაც კი წავიდეთ თხილამურებით. ახლავე ნუკრის მისი ჯემპრე უნდა გამოვართვა. ძალიან მიხდება. თანაც ზემოდან არაფერს არ ჩავიცვამ.» ფიქრებმა ცოტა ააფორიაქეს და ადგომა მოუნდა. საბანი გადაიძრო, ხელები ამოყო და წამოდგომა დააპირა, მაგრამ სუსხმა შეაწუხა. საბანი ისევ გადაიხურა. ერთხანს ასე იწვა. ერთ გარკვეულ რამეზე არა ფიქრობდა. მერე უცებ, ერთი გაკვრით გადაყარა საბანი და პალტო და წამოხტა. ქუსლებზე დამდგარი ღუმელთან მივიდა, ქვევიდან გაციებული ფეხსაცმელები გამოიღო, სკამის ქვედა რგოლიდან მშრალი, გაყინული წინდები ჩამოიღო და ისევ ქუსლებით დაბრუნდა საწოლზე. გაციებულ ქვეშაგებზე ჩამოჯდა. გაყინული წინდები ხელით დაზილა და ფეხზე ჩამოიცვა. ახლა წინდის ძაფის შემოჭერა დაიწყო ფეხზე. შემდეგ შარვალი ჩაიცვა, მერე მეორე წინდა. შიგ შარვლის ტოტები ჩაატანა და ძაფიც გადაუჭირა. «ესეც ასე.» სათხილამურო ფეხსაცმელები ჩაიცვა, შეიკრა და ოთახში გაიარ-გამოიარა. «ბრრ... ცივა, ამის ყოფა ავატირე!» გაიფიქრა. ხუთიოდე წუთში ვარჯიშით ისე გახურდა, რომ თოვლში გავარდა და ტანის ზელა დაიწყო. ხორკლიანმა თოვლმა ტანი დაუწითლა.

_ დილა მშვიდობის, ბიჭო! _ შემოსძახა დიასახლისმა.

_ გაგიმარჯოთ, დეიდა დარო! ლამარა არ ჩამოსულა?

_ არა, ბიჭო, არა. იმის ლოდინით აღარა ვარ. ალბათ, ხვალ ჩამოვა.

_ ნუ გეშინიათ. ხვალ დილას ერთად დავხვდეთ. მერე ის კარგად მასწავლის თხილამურებზე სრიალს.

_ გასწავლის, მაშ, შვილო. გურამ, შენს გაზრდას, ერთი შეშა დამიჩეხე და წყალი ამომიტანე.

_ ახლავე, დეიდა დარო.

დეიდა დარომ კმაყოფილებით შეხედა გურამს. «ნამდვილი ჩვენებური ბიჭია. აფსუს, რომ ჩვენიანი, ოსი არ არის, რა ოსის გოგოს შევრთავდი!» გაუზიარა აზრები თავის მოხუც დედას, რომელიც მეორე ოთახში ღუმელის გვერდით იწვა და თავთან და გვერდებზე ქაღალდში გახვეული ცხელი აგურები ეწყო.

გურამი გარეთ გამოვიდა და ბაკურიანს გადახედა. ღრმად ამოისუნთქა. თვალი მიაშტერა კოხტას, რომელსაც მზის სხივი ეთამაშებოდა და კიბეზე დადებულ მშრალ თოვლზე ჭრაჭუნით ჩავიდა. აქ თოვლი გამოქექა, ცულის ტარს ხელი წაავლო, ცული თოვლიდან ამოათრია. მოაჯირს ბრტყლად დაარტყა და თოვლი ჩამობერტყა. მერე სახლის ქვეშ შეძვრა, მსხვილი კუნძები დაითრია და დაპობა დაუწყო. ცული მოქნევისას ზოგჯერ სახლის იატაკის ძირს ხვდებოდა, რაც ჩეხვას აძნელებდა. როცა საკმაოდ დააპო, ზევით აიტანა, დაბერტყა და ღუმელთან დააწყო. შემდეგ ვედროებს ხელი დაავლო და წყლისკენ დაეშვა. წყალთან თავი მოეყარათ ბაკურიანელ დიასახლისებს და გულისნადებს ერთმანეთს უზიარებდნენ.

_ ჩემი ბიჭები ისეთი კარგები არიან, რომა, პირდაპირ არ ვიცი.

_ შენა, სირან, ბედი გაქვს, შარშანაც კარგები შეგხვდნენ. ჩემები კი ყველაფერს ამტვრევენ. გუშინ, გაგიგია, ქალო, შუა ოთახში მთვრალებმა ცეცხლი დაანთეს და გარშემო ურბენდნენ.

_ დაროს რომ ბედი აქვს, ისეთი ტყუილია. აი, ქალო, წყალიც კი თვითონ მიაქვს. ხედავ, რა გრუზა ბიჭია?

გურამმა ვედროდან ღამით დარჩენილი ყინული ამოამტვრია და წყალს შეუდგა. როცა ორივე ვედრო აავსო, დაავლო ხელი, ასწია ფრთხილად, რომ არ დაღვრილიყო და თოვლიან გზას აუყვა. გატკეპნილი მშრალი თოვლი ჭრაჭუნებდა. ზოგან ფეხი ცდებოდა. გურამს ცოტა ხელები დაეღალა. «აი, იმ ხემდე მივალ და დავისვენებ. ნეტა რამდენი ნაბიჯი იქნება? ალბათ, ორმოცდაათი. ხელები კი დამეღალა, მაგრამ მოვითმენ. ორმოციღა დარჩა.» უცებ გურამს თავში გაუელვა: «დღეს ლეილა ვერა ვნახო, თუ დაუსვენებლივ არ მივიდე.» 30, 20, 10 _ მივიდა, დადგა და გულზე მოეშვა, დაისვენა. «ალბათ, ლეილა უკვე ადგა. უჰ, რა არის თხილამურები! ჩქარა გავიკეთებ და მორჩა, პარკისაკენ.»

_ ეგეც წყალი, დეიდა დარო, ახლა ჩქარა პური მაჭამეთ, სასრიალოდ უნდა წავიდე.

_ ბიჭო, დეპეშა მოიტანა პავლემა ფოსტიდან. კარგად ვერ გავარჩიე, მგონი, გიბარებენ სახლში. მაგიდაზე დევს, შენთანა.

გურამი ოთახში შევიდა. შიგ სასიამოვნო სითბო დამდგარიყო, ფანჯრებზე ყინული დნებოდა. ფიჭვის წვის სუნი იდგა და მაგიდაზე დამდგარ ადუღებულ რძის ოხშივართან ერთად სასიამოვნო სიმყუდროვესა ქმნიდა. გურამმა მაგიდიდან დეპეშა აიღო, ფანჯრიდან თვალი გადაავლო ლამაზად დათოვლილ ხეებს და ნაწერი გადაიკითხა. დეპეშას დედის სახელი ჰქონდა მოწერილი და იუწყებოდა: «გურამ, ბებო ძალიან ცუდად არის.» გურამმა ნელა დადო დეპეშა. მერე საწოლთან მივიდა, დაიჩოქა და ზურგჩანთა გამოათრია.

1956 წლის 27 მარტი.

<u>მინიატურა: სადგური ბორჯომში</u>

ოროთახიანი სადგურის მოსაცდელში ბაკურიანელი ოსები თვლემდნენ. რიჟრაჟზე ბორჯომელმა მოაგარაკეებმა იწყეს მოსვლა და კედელთან გაჩერება. სკამებზე დაჯდომას ერიდებოდნენ, რადგან ზედ გაშოტილი ოსებისგან ადვილად შეიძლებოდა მკბენარების შეძენა. სადგურში ბანცალით შემოვიდნენ მთვრალი რუსები და ბუფეტის დაკეტილ კარებს მუშტები დაუშინეს.

_ Вот и Кавказ, _ თქვა ერთმა.

_ А ты шо думал?……твою мать! _ მიუალერსა მეორემ.

_ მარტო ბუნებით დათრობა შეიძლება? უკვე თენდება, ეს ძაღლიშვილი კი არ იღვიძებს.

_ როგორც ეტყობა, არც გაიღვიძებს, ისე ძინავს.

_ მეც ეგრე მგონია. სჯობია მოვეშვათ.

_ მეტი რა ძალაა, მოვეშვათ.

რუსებმა ოსის ფეხებსა და სკამის ბოლოს შორის დარჩენილი ადგილი შეათვალიერეს და ზედ გაიშხლართნენ.

დილის შვიდ საათზე თბილისისკენ მიმავალი მატარებელი გაივსო: ოსი გლეხებით, ნამთვრალევი რუსებით და თბილისელი მოაგარაკეებით.

(1956 წ. მარტი)

“ვაჟამ ქუჩა გადაჭრა, ქვაფენილზე...”

ვაჟამ ქუჩა გადაჭრა, ქვაფენილზე ავიდა და «გამაგრილებელი წყლების» კედელს მიეყუდა. მზემ ის იყო გამოანათა, ღრუბლები გაფანტა და ახალ ნაწვიმარ ასფალტს მწვავედ დააცხუნა. ქვაფენილებიდან, სახურავებიდან, ცალკეული ხეებიდან თუ ხეივნებიდან სწრაფად დაიწყო წვიმის წვეთების აორთქლება. რამდენიმე ხმამაღლა მოლაპარაკე ბიჭი კაფედან გამოვიდა; ნავაჭრით დატვირთულმა დიასახლისმა ქოლგა დაკეცა, მერე ლავგარდანის ქვევით მშრალ ადგილზე დადებული ჩანთა აიღო და ქუჩას აღმა აუყვა. აივნის ქვევით მდგარმა წყვილმა ქვაფენილი სწრაფად გადაირბინა, მერე ბიჭი გოგოს მიეხმარა ახლად დაძრულ ტროლეიბუსში ახტომაზე, შემდეგ თვითონაც შეახტა და კარები გაღებული დაიჭირა, რომელშიაც კალოშების ტყაპატყუპით შეხტა ჩასუქებული, რომელიღაც დაწესებულების თანამშრომელი. «მე არ მინდა აბაზი, ქალი მინდა ლამაზი», გაისმა გოგო-ბიჭის ჩახრეწილი, წვრილი, ნახევრად მომღერალი ხმა. ახლად ამხტარმა ძიამ უბეში ღრმად ჩაიყო ხელი, მანეთიანი ამოიღო და კონდუქტორს გაუწოდა.

_ მე მოედნამდე მომეცით.

_ ბიძიქო, მომეცით ერტი ქაპიკი, _ დაეღმანჭა მომღერალი მათხოვარი ბიჭი.

_ ქაცო, შაური მოგვეცი. _ გამოეხმაურა გოგონაც და საცოდავად შეხედა თვალებში.

მსუქანმა ბიძამ კონდუქტორს ბილეთი გამოართვა და უთხრა:

_ ხურდა მაგ მამაძაღლებს მიეცი, ცოდოები არიან.

კონდუქტორმა ალმაცერად გადახედა მათხოვრებს, მერე დარჩენილი ორმოცი კაპიკი ხურდიდან აბაზი თავის ჩანთაში ჩააგდო მოხერხებულად, ხოლო აბაზი გაბუტული სახით მისცა გაზუმპულ ბავშვებს.

ვაჟა დახუთულმა ჰაერმა შეაწუხა, კაფეს წინ გაიარ-გამოიარა, ბოლოს გადაწყვიტა შიგ შესვლა და კარი შეაღო. შუა ზაფხულში შავ ჯემპრეში, დახეულ სათხილამურო ფეხსაცმლებში და გახუნებულ «ბუტილკა» ყავისფერ შარვალში გამოწყობილ მომხმარებელს გამაგრილებელი წყლების გამყიდველმა ამრეზილად შეხედა. ვაჟა კუთხეში მიჯდა და დიდი, ფართო ფანჯრიდან ქუჩას დაუწყო ყურება, მერე მზერა მოპირდაპირე სახლის ფანჯარაზე გადაიტანა. «ახლა სამის ნახევარი იქნება, დრო კიდევ მთელი საათი მაქვს, ალბათ, ოთხის ნახევარზე ნანულის დედა საავადმყოფოში წავა თავის ქმართან, მაშინ კი ავალ ზევით. ოჰ, რას დავუკოცნი ტუჩებს, უჰ, რა მკერდი აქვს, დედამისსა ჰგავს ვნებიანი გამოხედვით». ამ მოგონებაზე ვაჟას გააჟრჟოლა, მერე პაპიროსი ამოიღო, ასანთს მოუკიდა, მიიტანა პირში ჩადებულ «პრიმასთან» და ნერვიულად გააბოლა, «აუჰ, რა მოიცდის კიდე ერთ საათს.»_ ახლა მოუთმენლობა დაეტყო ვაჟას.

_ მოქალაქევ, აქ მოწევა არ შეიძლება, კედელზე ნახეთ წარწერა. _ მკვახედ უთხრა გამყიდველმა და ხნიერ კაცს, რომელმაც წესრიგის დამრღვევ ახალგაზრდას ზიზღით გადახედა, კრემსოდის მხოლოდ ნახევარი ულუფა ჩაუსხა ჭიქაში, მერე გაზიანი წყალი დაუმატა და ღიმილით გაუწოდა.

_ გმადლობთ, _ ზრდილობიანად უთხრა მომხმარებელმა, ნახევარი ჭიქა ძლიერ გაზიანი კრემსოდა მოსვა და ამოისუნთქა, მერე საუბარი განაგრძო:

_ აუტანელი ახალგაზრდობა იზრდება პირდაპირ, ქალბატონო, ოი, ოი, ოი!

_ და, და _ უნაკლო ზრდილობით უპასუხა ჩასუქებულმა წყლების გამყიდველმა და ყალბი თანაგრძნობით შეხედა ხნიერ კაცს. ამ უკანასკნელმა დარჩენილი წყალიც

შესვა, გაზი საგრძნობლად გასვლოდა, ახალგაზრდას კიდევ ერთხელ შეხედა, რომელსაც პაპიროსის ჩაქრობა უკვე მოესწრო და გარეთ გავიდა.

ვაჟამ ცოტა ხანი კიდევ გაძლო მჯდომარემ, მერე წამოდგა და გამყიდველს სთხოვა, მარტო გაზიანი წყალი დაესხა. ამ უკანასკნელმა არც კი მიხედა, ისე დაუსხა და წინ დაუდგა მარმარილოს დახლზე, გაზიანი წყლის წვეთები ძირს გადმოიღვარა. ვაჟას არც კი შეუხედავს გამყიდველისათვის, ჭიქა აიღო, სულმოუთქმელად გამოცალა, მერე ათი კაპიკი დაუდო დახლზე და გარეთ გამოვიდა.

კაფეს მარჯვნივ, სახურავის თავზე დადგმული დიდი საათის ისარი უკვე სამ საათს უჩვენებდა.

შუა ქუჩაში რახრახით მოდიოდა ტრამვაი, ვაჟამ პაპიროსს მოუკიდა და გაქანებულ ვაგონს შეახტა. «ახლა სამი საათია,» ფიქრობდა იგი «სანამ ეს ბოლომდე მივა, ათი წუთი უნდა, იქ ერთი ხუთი წუთი იდგება, უკან გზაზეც ათი წუთი, მოკლედ, ნანულის სახლთან დროზე ვიქნები.»

ტრამვაიმ ცენტრალური ქუჩიდან გადაუხვია და ქვევით დაეშვა. «ეს ერთი გაჩერება,» გუნებაში გაიფიქრა ვაჟამ, ფანჯარასთან გათავისუფლებულ ადგილზე დაჯდა და ფიქრი განაგრძო.

ზუსტად ოთხის ნახევარზე ვაჟამ ნანულის კარებთან ზარი დარეკა. ცოტა ხნის მერე დერეფანში მოისმა ნაბიჯების ხმა და ვიღაც კაცმა კარები გააღო.

_ გამარჯობათ, ახალგაზრდავ, თქვენ ვინ გნებავთ? _ ბოხი ხმით იკითხა მან და უცნაურად ჩაცმულ ახალგაზრდას ეჭვის თვალით შეხედა.

_ მამა! მამა! _ მოისმა ოთახიდან ხმა და მალე დერეფანში გამოჩნდა ცხრამეტი წლის გოგონა. _ ეს ვაჟაა, მამა, ჩემთან სწავლობს. _ მერე ვაჟას მიუბრუნდა:

_ ვაჟა, გაიცანი, ეს მამაჩემია. დღეს დილით გამოეწერა საავადმყოფოდან.

_ შემობრძანდით, ახალგაზრდავ, ოთახში. _ მიმართა ნანულის მამამ და ახლა უკვე მის სამოსს თანაგრძნობის თვალით შეხედა.

_ არა, გმადლობთ, მე ცოტა ხნით შეგაწუხეთ. ნანული, პოლიტეკონომიის კონსპექტი მინდოდა.

_ ახლავე, ვაჟა.

1956 წ. 28 მარტი. 4-5^{30}.

<u>“ზღვის ნაპირას, თავთხელ...”</u>

ზღვის ნაპირას, თავთხელ წყალში მდგარ ექვსი წლის ირაკლის ტალღამ წელს ზემოთ დაარტყა და ქვიშაზე წააქცია, ხოლო თვითონ კვლავ ზღვაში გაიპარა. მარინემ, ირაკლის უფროსმა ბიძაშვილმა, ხელი მოჰკიდა პატარას, ააყენა ფეხზე, მერე ზღვაში უფრო შორს შეიყვანა. ბავშვს შეეშინდა, ხელი მოუჭირა ბიძაშვილს და შეშინებული თვალებით მოიხედა ნაპირისაკენ.

შორს საცურაო ადგილის განმსაზღვრელი წითელი დროშები ტივტივებდნენ ტალღებზე. დროშასთან შუა ხანს გადაცილებული მოხუცი ზურგზე დაწოლილიყო, ხელში ქოლგა ეჭირა და მთვლემარე მზერით ჭვრეტდა გზის მოპირდაპირე მხარეს ღრუბლების დინჯ მოძრაობას. ნაპირიდან წამოსულმა ნავმა ახლო ჩაუარა მოტივტივე დროშას. ნავის წვერზე ლამაზი სახის სარაფნიანი გოგონა წამოსკუპულიყო, რომელიც მზის სხივებს გაზეთის ქაღალდით იჩრდილავდა. ნავის

ბოლოში ორი ვაჟი იჯდა. ისინი შურით უყურებდნენ თავიანთ ამხანაგს, ის კი ძალას არა ზოგავდა ნიჩბის ძლიერად მოსმისათვის და ზურგზე დაბერილ ლივლივა კუნთებზე კარგადა გრძნობდა ნავის ცხვირზე მჯდარი გოგონას მალულ მზერას, რაც შეუჩვეველ ხელებზე ნიჩბის მოსმისგან გადაქლეთილი წყლულებისგან გამოწვეულ წვას ავიწყებდა.

იქვე, ახლოს, მანქანის გაბერილი კამერა ცხვირზე ტყავგადამძვრალ რუსის გოგონას წელზე მოერგო და ცუდად მოცურავე შავტუხა სომხის ბიჭს ეკრიჭებოდა. ამ უკანასკნელმა კამერას ხელი ჩაავლო, ცოტა შეისვენა, მერე შაბლონური კომპლიმენტი უთხრა კამერის მფლობელს:

_ რა კარგადა ხართ დამწვარი, ბრინჯაოსფრად, ძალიან მიყვარს ასეთი ფერი.

_ მართლა? ეს აქ დავიწვი ასე, თუმცა ცხვირმა კი ძალიან გამაწამა, არა შავდება და სულ ტყავი მძვრება. რა არ დავიფარე, ვერაფერი უშველა.

_ რასა ბრძანებთ, ცხვირიც მშვენივრად, ყავისფრადა გაქვთ მზემოკიდებული. _ მლიქვნელური ღიმილით უთხრა სომხის ბიჭმა, ზღვაში ჩაყვინთა, მერე კამერის შიგნით ამოყო თავი, გოგონას მიეკრა და ლაპარაკი განაგრძო:

_ თქვენი ნებართვით, რა თქმა უნდა, მე, როგორც ხედავთ, ცუდად ვცურავ და ძალიან დავიღალე.

_ კარგი, იყავით. _ ცივად მიუგო რუსმა გოგონამ, პირი იბრუნა ნაპირისაკენ და ხელები მოუსვა ტალღას. _ თქვენც მომეხმარეთ, ჩქარა გაგიყვანთ და იქ დაისვენეთ, მე კი ისევ შემოვალ ზღვაში. დღე მე მხოლოდ ცურაობისთვის მაქვს დათმობილი.

ზღვა კი დაუსრულებლივ აგზავნიდა თავის ტალღებს ნაპირისაკენ.

_ მარინე, მარინე! _ მოისმა ნაპირიდან ყვირილი და წყალში გულადად, ტყაპატყუპით შემოტივტივდა ირაკლის უმცროსი, ოთხი წლის ძმა გიგული. ზღვის პატარა ტალღამ გულამდე უწია მას და რბილ ქვიშაზე წამოაქცია. გიგული იწვა ქვიშაზე და გულიანად ხითხითებდა.

_ მოდი აქ, ბიჭო, ხელი მომკიდე, თორემ წყალი წაგიღებს. _ დაუძახა მარინემ და მისაშველებლად გაემართა. გიგულიმ მარინეს გაწვდილ საჩვენებელ თითს ხელი მაგრად ჩასჭიდა, მერე თავის ძმას შეხედა, გაუღიმა, გაეღრიჭა, დაეღმანჭა და გაბრაზება დაუწყო:

_ ილაკლი მშიშარა, ილაკლი მშიშარა.

ირაკლიმ უცებ მიიღო შეურაცხყოფილი სახე, მაგრამ არ გატყდა, გაიღიმა, მარინეს შეხედა მგრძნობიარე თვალებით.

მარინე მიუხვდა ირაკლის და უმცროს ძმასთან არ შეარცხვინა.

_ არაფერიც, გიგული, ირაკლი მშიშარა არ არის, ყელამდე შედის წყალში, მალე ცურვასაც ისწავლის, მერე შენც გასწავლის, თუ ჭკვიანად იქნები.

ახლა გიგული გაიბუტა, ლოყები გამობერა, ფეხები განზე გადგა და გაინაბა. მარინემ ირაკლის ხელი გაუშვა, გიგული მაღლა აიყვანა, წყალში ღრმად შევიდა და წამოსულ ტალღას სიცილით დაუხვედრა პატარა ბიძაშვილის მზისგან გარუჯული ტანი. გიგული ისევ მოვიდა ხასიათზე, ზღვისკენ გაიხედა და შეეცადა, ხელიდან გასხლტომოდა უფროს ბიძაშვილს.

_ ამას უყურე, რა ღონეზეა! _ გაიკვირვა მარინემ.

მერე ნაპირზე გამოიყვანა, ირაკლისაც ჩასჭიდა ხელი და იქვე, ზღვის კენჭებზე დაყრილი ტანსაცმლისაკენ გასწია.

თვითონ სარაფანი ჩაიცვა, პატარებს კი სანდლებში გააყრევინა ფეხები, მერე ფართო ჩალის პანამა დაიხურა, პატარებსაც დაახურა და საცურაოდან გასასვლელისაკენ გაემართა. წინ თვითონ მიდიოდა, მერე გიგული მისდევდა,

რომელიც მის საჩვენებელ თითს მაგრად ეჭიდებოდა, ბოლოს კი ირაკლი მისდევდათ. მას გიგულის ზურგისთვის ხელი მიეჭირა, მეორეთი უკანალზე ხელს ურტყამდა, თან შეუჩერებლივ ლაპარაკობდა.

_ აჩუ, აჩუ, ცხენო, ჩქარა გაიქეცი, ჩქარა სახლში მიგვიყვანე, დედა გველოდება, მერე საუზმეს შევჭამთ, მერე დავიძინებთ! _ ძილის გახსენებაზე გიგული ცუდ ხასიათზე დადგა. მას ჭირივით სძულდა ეს დაწყევლილი მკვდარი საათი.

_ ძილი არ მინდა, არ მინდა, არ მინდა. _ დაიწყო ცალ ფეხზე ხტუნაობა და ქვიშა აყარა. _ მარინე! მარინე! ფეხსაცმელში მიწა ჩამეყარა, _ შესჩივლა ბიძაშვილს.

მარინემ ხელი გაუშვა, მერე დაიჩოქა, გიგულის ცალი ხელი მხარზე გადაიდო, ფეხზე სანდალი გახადა, ქვიშა გამოუყარა, შემდეგ ისევ ჩააცვა და შეუკრა.

_ მოისვენეთ ახლა, ბიჭებო! _ დატუქსა მოუსვენრები, _ ვინც კარგად მოიქცევა, საღამოს სხვაგან წავიყვან, ვინც გამაბრაზებს, ახლავე იცოდეთ, სახლში დარჩება.

ბიჭები უცებ გაჩუმდნენ, აქეთ-იქიდან ამოუდგნენ ბიძაშვილს და სახლამდე მხოლოდ თვალებით ეშმაკობდნენ.

_ ერბო-კვერცხი არ მინდა.

_ რძე არ მინდა.

_ აბა, რა გინდათ, თქვენი ვერაფერი გავიგე, _ ჯავრობდა დედა, _ იცოდეთ, ხვალვე წაგიყვანთ აქედან თბილისში, ახლავე მივწერ წერილს მამას, თუ კარგად არ მოიქცევით. აი, ნახეთ, მარინე რა კარგი გოგოა, როგორა ჭამს უხვეწრად.

_ მარინე დიდია. _ თქვა ირაკლიმ.

_ ხო, მარინე დიდია. _ გაიმეორა გიგულიმ.

_ დიდი როა, ამიტომ ორ კვერცხს ჭამს და ორ ჭიქა რძესა სვამს, თქვენ კი თითოს მეტს ვინა გთხოვთ.

_ ირაკლი, გიგული, ჩქარა, ულაპარაკოდ შეჭამეთ და დაწექით, თორემ აღარ გაიზრდებით. ხო ნახეთ, ნოდარს როგორი კუნთები აქვს, რამხელაა.

_ რატო? _ იკითხა ირაკლიმ.

_ რატო? _ გაიმეორა გიგულიმ და გაღებული პირით, რომელშიაც გადაუყლაპავი ერბო-კვერცხის ნაჭერი უჩანდა, შეხედა მარინეს.

_ იმიტომ, რომ ერბო-კვერცხს ჭამს. _ უპასუხა მარინემ და დაუყვავა _ ჭამეთ, ბიჭებო, ჭამეთ.

როგორც იქნა, საუზმეც დაამთავრეს.

ბიჭების დედამ სახლის უკანა აივანზე მდგარ დიდ ტახტზე ფარდაგი გაშალა, ზედ ზეწარი გადააფარა და ტიტლიკანა ბიჭები დააგორა.

_ მარინე, გენაცვალე, ერთი ზეწარი ზევიდან გადაახურე და შენც იქვე, გასაშლელ საწოლზე დაწექი, თორემ დაღლილი ხარ, მეშინია, არ გახდე ძალიან, დედაშენთან ხომ ეგრე ვერ ჩაგიყვან. დაწექი, შვილო, დაწექი. _ ნაზად უთხრა მარინეს და სამზარეულოში შევიდა.

_ მარინე, მოგვიყევი რა, რამე. _ მარინეს შესვლისთანავე დაიწყო ირაკლიმ ხვეწნა, თან გიგულის უჩქმიტა.

_ მოგვიყევი რა, _ გაიმეორა ირაკლიმ და ჩუმად წიხლი ჰკრა ძმას.

ახლა ისევ ირაკლიმ უჩქმიტა, მერე ისევ გიგულიმ.

_ უჰ! _ ბოლოს ირაკლიმ ვეღარ აიტანა და დაიყვირა:

_ მჩქმეტს!

_ ტყუის, თვითონ მჩქმეტს. _ უფრო მწარედ დაიჩივლა გიგულიმ და თან მუცელში ხელი ჩაარტყა, მერე ლოყაზე მწარედ უჩქმიტა. ირაკლიმ ცოტა მოითმინა, შემდეგ ზევიდან მოექცა, ხელები დაუჭირა უმცროს ძმას და დაუძახა მარინეს:

_ მარინე! უთხარი, ხომ ხედავ, რას მიშვრება! თუ არ მოისვენებს, ვცემ.

_ მოისვენეთ, ბიჭებო, თორემ არც ერთს აღარ წაგიყვანთ საღამოს. _ მარინე წიგნს კითხულობდა, ადგომა ეზარებოდა და ჯერ მხოლოდ სიტყვით აწყნარებდა ბავშვებს.

ამით ისარგებლა გიგულიმ და ქვევიდან მწარედ ამოარტყა წიხლი ირაკლის, რომელმაც ტკივილისგან ხელი გაუშვა და ტირილი დაიწყო. მარინემ წიგნი გადააგდო, წამოხტა; ამავე დროს დედაც გამოვიდა, ირაკლის მიუალერსა და გიგულის რბილ ადგილებში მიარტყა. პატარამ იწყინა და ტირილი დაიწყო.

_ მარინე, გენაცვალე, _ მიმართა დედამ, _ მოდი, შენ ამასთან დაწექი, ირაკლის კი მანდ დავაწვენ, თორემ ესენი არ მოისვენებენ.

გადაჯგუფებულმა, ნამტირალევმა ბავშვებმა ჩაიძინეს. მარინემაც გადადო წიგნი და ჩქარა მოაგარაკეების ახალგაზრდა შემადგენლობას ტკბილი, ჯანსაღი ძილით ეძინა. სამზარეულოდან კი ისმოდა ქვაბების ჩხარუნი, დანების წკრიალი და მოფუსფუსე დედის რბილი ნაბიჯები.

_ გაიღვიძეთ! გაიღვიძეთ! უკვე ხუთი საათია. _ გადასძახა მძინარე ბავშვებს დედამ, მერე მივიდა, დაკოცნა და სათითაოდ გააღვიძა. მალე მთელი შემადგენლობა მადიანად სადილობდა.

საღამოს მარინე გამოეწყო და ბავშვების მორთვას შეუდგა.

_ მარინე, გენაცვალე, _ დაუძახა დედამ, _ მოდი აქ, ირაკლი წაიყვანე, უფროსია, ეგ ცერისტოლა კი, სულ ერთია, დაიძინებს; სჯობია სახლში დატოვო, რა დროს მაგის კინოა.

გიგულიმ დროზე შენიშნა, რომ მას არა რთავდნენ და ტირილი მორთო:

_ მეც მინდა წამოსვლა, მეც მინდა! წამიყვანეთ!

_ არა, გიგული, ჩვენ გვიან მოვალთ, შენ კი აქ დარჩი, დედას მიხედე, არავინ შეაშინოს, სახლში ხომ უნდა დარჩეს ვინმე, ვაჟკაცი.

_ არა, არ მინდა!_ თავისას გაიძახოდა გიგული.

_ მარინე! _ მოულოდნელად თქვა მაგიდაზე მდგარმა ირაკლიმ, რომელსაც დედა წინდას აცმევდა და ბიძაშვილს თავისკენ მიახედა,_ მარინე, მე აღარ წამოვალ, არ მინდა. ცოდოა გიგული მარტო.

გიგულიმ გაკვირვებით შეხედა ირაკლის.

_ სად მიდიოდით? _ იკითხა თვალებზე ცრემლშემშრალმა.

_ კინოში. _ უპასუხა ირაკლიმ.

_ მართლა? მე კინოში არ მინდა, მაინც დამეძინება, თქვენ წადით. _ გულამოსკვნით თქვა პატარა გიგულიმ და პირი იბრუნა, რომ მისი ცრემლები არ დაენახათ. «ცოდოა, ირაკლი მაინც წავიდეს,» ფიქრობდა პატარა გულში გიგული.

დედამ აიყვანა პატარა გიგული, თვალები დაუკოცნა და მარინეს დაუძახა:

_ გენაცვალე, გამოუტანე გიგულის ბაბუას ნაჩუქარი ახალი მეზღვაურული ტანსაცმელი და წითელი სანდლები.

წელი 1956. თვე მარტი. რიცხვი 28. 5 _ 7.

პაპა გოგოთური

ჭერის პატარა ნაჩვრეტში შემოპარულმა მზის სხივმა პაპა გოგოთურს ჭაღარა, გრუზა თავზე დააცხუნა. პაპამ ყალიონი მთელი ფილტვებით შეიწოვა, მერე შუაცეცხლში გადააწიტა და ბოლი ამოუშვა. ბოლი შეკრული, ფართო ზოლით ამოვარდა ფილტვებიდან, შემდეგ მზის სხივს აჰყვა, მის შუქზე ზიგზაგებად გაიშალა და ნელ-ნელა დაიწყო ამოსვლა ჭუჭრუტანიდან; ბოლი კარგად არ იყო გაშლილი, როდესაც გოგოთურმა ახალი ნაკადი თეთრი, ქულა ბოლისა პირველის დასაწევად გაგზავნა ჰაერში. ცცც... _ დაიძახა ნაკვერჩხალმა, რომელსაც ნაპურჭყი მოხვდა, მერე თეთრი, შეუმჩნეველი ორთქლი აუშვა, დროებით ჩაქრა, მაგრამ მეზობელი ნაკვერჩხლის სიმცხუნვარემ ახალი ძალა შეჰმატა და ჯერ მკრთალად, ხოლო შემდეგ ძლიერად ააგიზგიზა.

_ გამარჯობა, პაპა, როგორ ხარ?_ თქვა ოთახში ახლად შემოსულმა ახალგაზრდა ვაჟმა, მერე სამფეხა სკამი აიღო, ცეცხლთან დადგა, შემდეგ გარეთ გამოვიდა, ფიჩხი შემოიტანა, შეუკეთა და ადრევე მომზადებულ სკამზე დაჯდა.

_ ღმერთმა შეგინდოს, ალუდა. _ თითქოს სხვას ეუბნებაო, ისეთი ხმით უთხრა პაპამ, მერე ტარი მოაძრო ჩიბუხის თავს, მიწაში ამოავლო, რათა კარგად გამაგრებულიყო, ბოლი აღარ გამოუშვა ტყუილად და ისევ გაუკეთა, მერე გააბოლა.

_ პაპავ, რას ამბობენ, ცხოვრება გაიაფდებაო?

_ აგრე ამბობენ.

_ გვეშველოს იქნებ ხევსურებს.

_ შაიძლების.

_ დღეს სკოლაში გვითხრეს, ვინც კარგად იმღერებს, ოლიმპიადაზე ქალაქს წავიყვანთო.

_ ჩვენც ბევრი გვითხრეს თავის დროზე.

_ მერე, არ წაგიყვანესა, პაპავ?

_ ერთხელ ვიყავი ჟინვალში, სამჯერ ბარისახოსაც აველ.

_ მეტი არსადა ყოფილხარ, პაპავ?

_ არა, ამ მთების მეტი არ მინახავს არაფერი. წინ მახსოვს, ერთი დათვი გვყავდა გადაკიდებული სოფელს.

_ ალბათ, დიდი იყო, პაპავ.

_ ალბათ. მახსოვს, კამეჩის ტოლა იყო.

_ მერე ვინ მოკლა, პაპავ?

_ მე მავკალ, შვილო, მაშინ მუხლი მქონდა და თვალი.

_ ახლა აღარ მოგდევს, პაპავ?

_ ახლა მე მუხლი რაითღა მინდა, შენ აქ არა ხარ, ან სიმონაი, ან მგელიკა.

_ ეგრე უნდა წიო, პაპავ, ყალიონი?

_ რად არა.

_ არ გწყინდების?

_ ვინ იცის.

პაპამ ყალიონი პირიდან გამოიღო, მერე მოხსნა თავი, აიღო საჩხიკინებელი და ჩაფერფლილი თამბაქო გამოყარა. შემდეგ ფეხზე ზლაზნვით წამოდგა, წელში მოხრილი მოხუცი კუთხესთან მივიდა, ძველი თექა, ორი ნაბადი აიღო, იქვე დააგო და წამოწვა, თავით ყველის ობმოკიდებული გუდა ამოიდო, რომელშიაც ქუმელა ეყარა. კარგა ხანს იბორგა, მერე გადაბრუნდა კედლისკენ, ასე წოლა არ მოეწონა, ჩქარა

გულზე გაიშხვართა და ძილს დანებდა. ესიზმრებოდა პაპა გოგოთურს თავისი მოკლული დათვი, მოსისხლე ჩაჩაური და ქალაქიდან ამოსული პირველი ჯარისკაცი. გოგოთური უბელო ცხენზე იჯდა, ცხენი არ ეპუებოდა, მერე გავარდა ისარივით ხრამისკენ, მან თვალები დახუჭა, როცა გააღო, ხევის მეორე მხარეს იჯდა, მაგრამ ცხენი ახლა ცოცხად გადაქცეულიყო, პაპამ ქუსლები შემოჰკრა და გაჭენდა, ახლა თვითონ მირბოდა, ფეხებს მაღლა სწევდა, მაგრამ ცხენი საბოლოოდ გადაქცეულიყო ცოცხად. ასე მივარდა გულამოვარდნილი დათვთან, რომელიც ჯიქურ გამოემართა მისკენ, მან ჩახმახს გამოჰკრა, თოფი არ გავარდა, კიდევ გამოჰკრა, არ გავარდა. მერე ხანჯალი იშიშვლა. აქ სიზმარი შეწყდა. ახლა ესიზმრებოდა თითქოს დათვის ტყავზე იჯდა, დათვის ხინკალს ჭამდა და ჟიპიტაურით სტუმრებს ლოცავდა. მერე გარეთ გამოვიდა, აქ ჩაჩაური ნახა, თვალებზე ცრემლი მოადგა, ის კი გაჯიქდა, თოფი ესროლა, მაგრამ ააცილა, მერე ხანჯლით მივარდა, მან გული გადაუღეღა და თვალი მოჭუტა. როცა იგრძნო, რომ არაფერი მოსდიოდა, თავადაც თოფს დაავლო ხელი და დაუმიზნა, მაგრამ ჩაჩაური გამქრალიყო, ხოლო მის ადგილას კონწოლიკოქუდიანი, მაზარაში გამოწყობილი, ცხვირაპრეხილი, ქერათმიანი უცნობი იდგა და უცხო ენაზე რაღაცას ეუბნებოდა. პაპამ თოფს ჩახმახი გამოჰკრა, მაგრამ ამაოდ, არც ხმა გაისმა, არც ის მომკვდარა. მოხუცი დაღალა ამდენმა უიმედობამ, თავისმა უმწეობამ სიზმარშიაც კი და გამოეღვიძა.

_ ბიჭოვ, ალუდა, აქ მოდი, ცეცხლი მომიტანე, _ გასძახა შვილიშვილს, თავად კი ყალიონის დატენას შეუდგა.

ალუდამ გაწყობილ ყალიონზე ნაკვერჩხალი დაუდო, მერე პაპის ფეხთით დაჯდა. გოგოთურმა სამჯერ-ოთხჯერ სწრაფად, პატარა შეწოვებით მოქაჩა ყალიონი, როცა მოუკიდა თუთუნს, ნაკვერჩხალი გადააგდო, ქვის კედელს მიაყუდა ბებერი ძვლები, ღრმად, ღრმად მოქაჩა თამბაქო, ნელა გადააწიტა და ქულად ამოუშვა ფილტვებიდან თეთრი ბოლი. ბოლი ჯერ შეკრული ამოვარდა, მერე გაიშალა და ამჯერად მთვარის მკრთალ სხივს აჰყვა ჭერში საცეცხლურად დატოვებულ ჭუჭტრუტანისაკენ.

1956 წელი. 31 მარტი. 6-7.

_ ბავშვებო, ბოხი, გულთბილი

_ ბავშვებო, _ ბოხი, გულთბილი ხმით დაიწყო შუახანს გადაცილებულმა, ულვაშა პელო მასწავლებელმა, _ ბავშვებო, _ განაგრძო და სათვალე გაისწორა. _ პატარებო, პატარებო! _ მთელი თავისი ჰუმანური გრძნობების მობილიზაციით გამოთქვა ეს ორი უკანასკნელი სიტყვა, რითაც დაამთავრა თავისი სიტყვის შესავალი და საქმეზე გადავიდა:

_ დღეს ჩვენ წილად გვხვდა უდიდესი ბედნიერება, დიახ, უდიდესი ბედნიერება.

_ ლაა? _ სიტყვა გააწყვეტინა მასწავლებელს უზრდელობაში შემჩნეულმა ოთხი წლის მანანამ. პელო მასწავლებელმა პატარას სათვალეს ზემოდან გადაჰხედა, შემდეგ უბის წიგნაკი ამოიღო, რაღაცა ჩაინიშნა (როგორც ეტყობა, მისი დასჯა სხვა დროისათვის გადადო), მერე თავისი მოკლე, მაგრამ ღრმაშინაარსიანი, პატრიოტული სულისკვეთებით აღსავსე სიტყვა გააგრძელა:

_ დღეს ჩვენს საბავშვო ბაღს, რომელიც დამსახურებულად ატარებს გ.მ. მალენკოვის სახელს, წილად ხვდა უდიდესი ბედნიერება, რომლის ღირსნიც ზოგიერთი ჩვენს რიგებში მდგომნი არ არიან.

გ.მ. მალენკოვის სახელობის საბავშვო სახლის მეორე ჯგუფის კურსდაუმთავრებლებმა თავისზე ერთი წლით უმცროს ამხანაგს წყენით გადახედეს, ხოლო ჯგუფის მოწინავეთა შორის მასწავლებელმა ზიზღიც კი ამოიკითხა მანანასადმი.

_ დიახ, დიახ, თქვენ უკვე პატარები აღარა ხართ და მე პირდაპირ გეტყვით: ჩვენმა საბავშვო ბაღმა პარტიის მეოცე ყრილობის გენიალური, ისტორიული გადაწყვეტილებების გამოხმაურების მიზნით იკისრა ვალდებულება თბილისის ზღვაზე დარგოს 251 ხე და 311 ბუჩქი, ურა! ურა! ურა! პატარებო!

_ ულა, ულა, ულა! _ პატარა ბავშვები სიხარულისგან ერთმანეთს ეჯახებოდნენ. რამდენიმემ ქუდიც კი ააგდო მაღლა. რაიკომის მდივნის შვილმა მარკლენმა, ექვსი წლის ნაცადმა ბაღელმა, თავის ამხანაგებს გადახედა, საერთო სიხარულით აღფრთოვანებული თავადაც აჰყვა მათ, მაგრამ უმალ შედგა და რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია. აქ მანანა თავის ხუთი წლის ამხანაგს ივერის ელაპარაკებოდა; მარკლენმა ახლა გვერდიდან შემოუარა მათ. «რა ვქნა, ეს ტიპები დიდი ხანია არ მომწონს, პელო მასწავლებელიც გავაფრთხილე ამის შესახებ, არც ახლა იღებენ საერთო სიმხიარულეში მონაწილეობას». მერე უბის წიგნაკი ამოიღო, შიგ ჩაიხედა, მარკლენისა და მანანას სახელის გვერდით ჯვარი დასვა «так, так», ჩაილაპარაკა თავისთვის და მოწინავეთა რიგებისკენ გავიდა. პელო მასწავლებელმა მას თვალი ჩაუკრა:

_ პარტია ჩვენი მესაჭეა, პარტია ... _ ხავერდოვანი ბარიტონით დაიწყო მარკლენმა.

_ პალტია, ლა ლა ლა ლა ლა ლა... _ ერთხმად აჰყვა ბაღელთა მონოლითური კოლექტივი საყვარელ სიმღერას.

მარკლენმა სიმღერა თანაჯგუფელებს დაანება და თვითონ კვლავ უკან დაიხია. ივიკო და მანანა ტყუილა აღებდნენ პირს, მარკლენმა სიმღერის ხმა ვერ გაიგონა. «ასე, ასე, ჩემი ეჭვი დასტურდება», თქვა მან და უბის წიგნაკში კვლავ აღნიშნა.

როდესაც სიმღერის დიდებული ჰანგები შეწყდა, სიტყვა მეეზოვის ბიჭმა ბუხრუშამ აიღო, რომელსაც საკუთარი მოთხოვნით ერთი თვის წინათ მისთვის საძულველი სახელი სტალბერი წინ მოხსენებულით გადაუკეთეს.

_ ძმებო! _ დაიწყო მან, მერე მასწავლებელს შეხედა. ამ უკანასკნელმა დაუბღვირა და მუჯლუგუნიც კი წაჰკრა.

_ ვაშა, ვაშა. _ საცოდავი ხმით დაიწრიპინა პატარა ბუხრუშამ და დადუმდა, დიდი თავი ძაფივით წვრილ კისერზე ჩამოჰკიდა. «ნამდვილი ბინძული მეეზოვის ბიჭია, დედა სწორს ამბობდა», გაიფიქრა მის წინ მდგარმა ლეილამ, რომელმაც თანაჯგუფელის ჩამოკიდებულ თავზე ამოკორტნილი ადგილები დაინახა, მერე კოხტად შეკრეჭილი თმა შეისწორა და მარკლენს ფარულად გახედა. «какое уравнение,» დააბოლოვა თავისი ფიქრები და შეწყვიტა აზროვნება. ახლა იგი პელო მასწავლებელს უსმენდა:

_ ვინ არის მომხრე, რომ ნაცვლად გეგმით დადგენილი 251 ხისა _ ორატორობდა პელო _ და 311 ბუჩქისა დარგულ იქნას 293 ხე და 393 ბუჩქი, აქ მან ხმას აუწია. მისი ხმა ლაღადა ჟღერდა. ბავშვები აღფრთოვანებით ყვიროდნენ და ორივე ხელსა სწევდნენ მაღლა, ბუხრუშას ვაშას ყვირილისგან თვალები დაუწითლდა. მარკლენმა ივიკოს და მანანას გადახედა. ორივენი დუმდნენ, მერე მანანამ ივიკოს თვალი

ჩაუკრა. ორივემ ნელა ასწია ხელები. «საქმისთვის ასე ჯობია,» გადაულაპარაკა მანანამ ივიკოს.

(1956 წ. აპრილი)

"ბავშვებო! ბოხი, ხავერდოვანი ხმით..."

_ ბავშვებო! _ ბოხი, ხავერდოვანი ხმით დაიწყო პირველი კლასის საკლასო ოთახში შემოსულმა ქართული ენისა და ლიტერატურის დამსახურებულმა პედაგოგმა ანტონ ანტონის ძე ალიბეგაშვილმა თავისი მორიგი გაკვეთილი.

_ ბავშვებო, დღეს მე მინდა, თქვენი ყურადღება შევაჩერო, უფრო სწორედ, გამოვიყვანო საერთო, უფრო სწორედ, ძირითადი სასწავლო თემიდან და მივმართო იგი, ე.ი. თქვენი ყურადღება პარტიისა და ხალხის რჩეულთა, კომუნისტური პარტიის დიდი ბელადების ბრძოლისკენ პიროვნების კულტის წინააღმდეგ, აგრეთვე მათივე მოგზაურობების მოკლე დახასიათებისადმი ინდოეთსა და ინგლისში.

ამრიგად, ვიწყებ:

_ ტოკლიკიშვილო! _ მასწავლებელმა კლასს ოდნავ ზურგი შეაქცია, _ თქვენ მეტყვით, რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ მოგზაურობებს.

დიდთავა, მოკლეშუბლიანი და წვრილიკისერა, შავი პირსახის ბავშვი შეშინებული აიწურა და ძლივს წაილუღლუღა:

_ დიდი!

_ დაეგდე! _ მოისმა მასწავლებლის მამობრივი მზრუნველობით გამთბარი ხმა. ორიანი, თუმცა არა სამიანი, «რაც გინდა იყოს, სიმართლეა,» გაიფიქრა გულში, თან შვიდი წლის ავაზაშვილის ეშმაკურ თვალებს დაუკვირდა. «ეშმაკმა დალახვროს, რა ჭირად დავიწყე ეს თემა.»

_ ავაზაშვილო, _ უფრო ნაზად ამოიძახა მან და რაიკომის მდივნის ბავშვს ასევე ნაზად გაუღიმა.

_ მათ განამტკიცეს მშვიდობის დიადი საქმე მთელს მსოფლიოში, _ სხაპასხუპით უპასუხა ბრტყელკეფიანმა, უკისრო რაიკომის მდივნის შვილმა, ყველას ამაყად გადახედა და დაჯდა.

_ ყოჩაღ! ყოჩაღ, ხუთი ულაპარაკოდ.

_ აი პასუხი, ნამდვილი პასუხი. _ მასწავლებელმა კლასს ფეხები დაუბრახუნა, მერე გაიღიმა და ისევ ავაზაშვილთან მივიდა, თავზე ხელი გადაუსვა:

_ გენაცვალე, მამიკო როგორ ბრძანდება?

_ არ ვიცი, _ მოკლედ მოუჭრა ნაცადმა ოქტომბრელმა და მლიქვნელ მასწავლებელს ზიზღით თვალი აარიდა.

_ სასიამოვნო, სასიამოვნო, ყოჩაღ, ბიჭიკო, არასოდეს სხვისი თანდასწრებით არ უნდა გაამჟღავნო მამიკოს ამბები.

მასწავლებელი დაფასთან გამობრუნდა და გასუსულ კლასს გადახედა. მერე მაგიდასთან მივიდა და გაზეთ «კომუნისტის» ახალი ნომერი ამოიღო ჩანთიდან და წინა მერხზე მჯდომ დახეულ ხალათში გამოწყობილ, წირპლიან დამლაგებლის ბიჭს გაუწოდა.

_ დროა, შეგეძლოთ, გარდა აი თითისა და აი ია-სი, სხვა რამეების კითხვაც.

მასწავლებელმა მოწინავეს საჩვენებელი თითი დაადო და ღირსეულად გასცა წაკითხვის მომასწავებელი ბრძანება. შეშინებულმა დამლაგებლის შვილმა ცრემლნარევი ხმით დაიწყო:

_ ხრუ, ხრუ, ხურ, ხრუ.

_ ხრუშჩ, _ ვეღარ მოითმინა საერთოდ დიდსულოვანმა მასწავლებელმა.

_ ხრუშჩო, ხროშჩოვ.

_ ი, ბიჭო, ი! _ უკარნახა ვიღაცამ უკნიდან.

_ ხრუშჩოვი. _ შვებით ამოისუნთქა ბავშვმა.

_ ახლა მაგას მიეცი. _ გასცა ახალი ბრძანება მასწავლებელმა და გაზეთი მის გვერდზე მჯდომმა, ფორმაზე მელანგადასხმულმა, ჭუჭყიანლენტიანმა გოგომ აიღო.

_ და _ უცებ განაგრძო მან.

_ სწორია.

_ და ბულ, ბულ, ბელ...

_ სწრაფად, უფრო სწრაფად. მარტო თვალებით კი არა, აზრითაც უნდა კითხულობდეთ. _ აღელდა ოსტატი.

_ ბელია. _ უცებ ამოიკითხა გოგონამ და ყურებამდე გაწითლდა.

_ ტკაპ, ტკაპ, ტკაპ. _ გაისმა მასწავლებლის მამობრივი მზრუნველობით მოქნეული სილის ხმა და პატარა გოგონას კეფა აეწვა.

მან თავი ჩაქინდრა და მწარედ, მწარედ მორთო ტირილი. იგი ტიროდა დიდხანს, იგი ვერა გრძნობდა მასწავლებლის სილისგან მიყენებულ ტკივილს. მისი ბავშვური ცრემლები იღვრებოდა იმ უდიდესი ნაღველისაგან, რაც გამოიწვია სამგზის წყეული ავანტიურისტი ბერიას სახელის წამოცდენამ ნაცვლად ხალხისა და პატარა ბავშვების საყვარელი, კეთილი ძია ბულგანინის სახელისა.

(1956 წ. აპრილი)

<u>პ ი ო ნ ე რ თ ა ბ ა ნ ა კ მ ა ჩ ვ ე უ ლ ი</u>

პიონერთა ბანაკმა ჩვეული ხალისით გამოიღვიძა. ნამძინარევი პატარები ხალისით მოედვნენ ეზოს, მერე პირსაბანს მიაწყდნენ. იყო სიცილი, ხუმრობა, წუწაობა. პიონერთა ხელმძღვანელები და მასწავლებლები სიყვარულით დასტრიალებდნენ ბავშვებს. «პელო დეიდას», როგორც ბავშვები ეძახდნენ ბანაკის უფროსს, ხელში აეყვანა ოთხი წლის პეტო, რომელიც ვერ სწვდებოდა ონკანს და პირსა ბანდა.

პეტო ჯერ ოქტომბრელიც კი არ იყო. იგი სტუმრად ჩამოვიდა თავის უფროს ძმა ცქიტოსთან. ის დედამ ჩამოიყვანა, თვითონ ერთი ღამით წავიდა სხვაგან, ხოლო ბავშვი სიამოვნებით დაიტოვეს ბანაკში, მისი მზრუნველობა «დეიდა პელომ» არავის დაანება.

პირის დაბანის შემდეგ დაიწყო მზადება პიონერთა საპატიო ხაზზე დადგომისათვის, გაისმა საყვირის ხმა, რომელსაც დილის პირველი სხივი დაეცა და ააპრიალა. ბავშვები სულ რამდენიმე წუთში გამოეწყვნენ ხაზზე. ტრიბუნასთან თავი მოიყარეს პიონერ-ხელმძღვანელებმა, ჩაიბარეს პატაკები და ჩაატარეს დათვალიერება. ბანაკის უფროსმა პირველ რაზმეულს კარგი ქცევისათვის მადლობა გადაუხადა, მაგრამ აღნიშნა პიონერ ცქიტო ცინცაძის უღირსი ქცევა; იგი ხელმძღვანელის ნებადაურთველად წასულიყო მდინარეზე საცურაოდ.

ბავშვებს თავშეკავებულმა ღიმილმა გადაურბინა. უფროს მასწავლებელს ჯერ გაუკვირდა მათი ასეთი საქციელი, შემდეგ გვერდზე მოიხედა და თვითონაც გაეღიმა.

ცქიტოს პატარა ძმა, მათი დღევანდელი სტუმარი, ამომძვრალიყო ზევით და უაზროდ იღიმებოდა, თან თავის ძმას რაღაცას ანიშნებდა.

«დეიდა პელომ» იგი ხელში აიყვანა და პიონერებს მიმართა:

_ ბავშვებო, აი, ეს გუშინდელი ჩვენი დამნაშავის ოთხი წლის ძმა არის, სახელად პეტო. იგი ძალიანა წუხს, რომ ცქიტო ცუდად მოიქცა. როცა გაიზრდება, ჩვენთან ერთად წამოვა ხოლმე აქ. თქვენ იცით, უმცროსს როგორ მაგალითს მისცემთ. ახლა კი საუზმეზე და შემდეგ ჩვენი საამაყო კოლმეურნეობა «ახალი სხივის» დასახმარებლად, მინდორში.

_ ვაშა, ვაშა, მეც წამოვალ ლა, დეიდა პელო! _ დაიძახა პატარა პეტომ.

_ წავიყვანოთ, წავიყვანოთ! _ გაისმა ბავშვებში.

_ კარგი, სიამოვნებით შევასრულებთ თქვენს თხოვნას და მის სურვილს, დაე, გახდეს ეს პატარაც სახელოვანი პიონერი. აქედანვე შეეჩვიოს გარჯას ჩვენი სახელოვანი სამშობლოსათვის.

_ ვაშა! პიონერებო, ვაშა!

_ ვაშაა, ვაშა! _ გაისმა აღგზნებული ხმები რიგებში.

რაზმეულის უფროსებმა ბრძანება გასცეს და მარჯვნივ მობრუნებული მწკრივები დაიძრნენ სასადილოსაკენ.

პეტოსთვის ხელი ჩაეკიდა პიონერხელმძღვანელს და მწკრივის ბოლოს აჩქარებული მიაბაკუნებდა. ნოყიერმა საუზმემ ახალი ძალა შეჰმატა პატარებს.

ნასაუზმები ბავშვები რაზმებისა და რაზმეულების მიხედვით ეწყობოდნენ ეზოში, მერე ბანაკის საპატიო დროშა გამოიტანეს. იგი უფროსმა აიღო ხელში, შემდეგ თვალი მოავლო მწყობრს. ყველანი სულმოუთქმელად ელოდნენ მედროშის საპატიო მოვალეობის შესრულებისათვის გამოძახებას.

_ ცინცაძე! _ მკვეთრად გაისმა ჰაერში. _ ჩემთან!

არავინ დაძრულა ადგილიდან. ცქიტო, რამდენიმეჯერ წესრიგის დამრღვევი, არ ელოდა, თუ ასეთ მოვალეობას დააკისრებდნენ, მას ეგონა, რომ აერიათ მისი გვარი.

_ მიდი, ბიჭო, შენ ამოგიძახა. _ გამოეხმაურნენ ამხანაგები.

_ მე? _ მან გაკვირვებით მიმოიხედა, შემდეგ ბანაკის უფროსის მოღიმარ სახეს შეხედა და ყურებამდე გაწითლებული გავიდა.

_ უფრო გაბედულად, ცინცაძე, აი, ეს დროშა, რომელიც კარგი მუშაობისათვის მიიღო ბანაკმა ჩვენი პარტიისაგან, გამოხატავს დიდ ნდობას, დაფასებას და სიყვარულს თქვენდამი. შენ, როგორც ცნობილია, გაქვს წესრიგის დარღვევები. მე დღეს განგებ გამოგიძახე, ვიცი, ბუნებით არა ხარ ასეთი და დიდი იმედი მაქვს, გაამართლებ იმ ადამიანთა ნდობას, ვინც ეს დროშა გადმოსცა კარგი მუშაობისათვის ჩვენს ბანაკს.

ცქიტო წელში გაიმართა, პიონერული სალამი მისცა და ხელში აღმართა ალამი.

_ ნაბიჯით იარ! _ გაისმა ბრძანება და დოლის ხმაზე დაიძრნენ გასასვლელისაკენ.

(1956 წ. აპრილი)

"შეიძლება? გაისმა კარების იქიდან..."

_ შეიძლება? _ გაისმა კარების იქიდან ახალგაზრდა კომკავშირელ ზურაბ მიქატაძის მტკიცე, მონოლითური ხმა.

_ მობრძანდით. _ თავაზიანი ხმით უპასუხა საწერ მაგიდასთან მჯდარმა, თმაში ჭაღარაშერეულმა, შუახანს გადაცილებულმა სკოლის ექიმმა, სათვალე მოიხსნა, მის

წინ მდებარე «კომუნისტის» ახალი ნომრის მოწინავეს დაადო, რომლის სათაურიც მეტყველებდა: «ვუახლოვდებით კომუნიზმის გასხივოსნებულ, თვალწარმტაც მწვერვალებს», შემდეგ თავი ნაზად ასწია ზევით.

მის წინ იდგა ახალგაზრდა, ჯან-ღონით აღსავსე, ბედნიერი თაობის სამაგალითო წარმომადგენელი. ზურაბ მიქატაძემ პერანგის მარჯვენა სახელო წაიკაპიწა და ამაყად წარმოთქვა:

_ ამიცერით. _ მისი თვალები სადღაც შორს, სივრცეში ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე საბჭოთა სახელმწიფოსაგან ფერადი ფერებით დახატულ მომავალს ჭვრეტდნენ.

ექიმ ქალს თვალებზე ცრემლი მოადგა, მისი ფართო, ნათელი შუბლი დედობრივი მზრუნველობით ამეტყველდა. იგი წამოდგა, სიხარულისაგან აკანკალებული ხელი მოჰკიდა შვილისტოლა ვაჟს, მერე სპირტით მოუწმინდა ბუნებასთან ბრძოლაში დაკუნთული მკლავი და ტიფსაწინაამღდეგო ნემსი გაუკეთა. ზურაბ მიქატაძე კი იდგა და გასცქეროდა ფუნიკულიორს, რომლის თავზედაც ადამიანს სატელევიზიო დანადგარი დაედგა. არავინ იცოდა, რასა გრძნობდა იგი ამ დროს.

_ თავისუფალი ხარ, შვილო. _ ძლივს წარმოთქვა აღელვებისაგან ექიმმა და მტკიცე ნაბიჯით მიმავალ თხუთმეტი წლის ხუთოსან კომკავშირელ მიქატაძეს დედობრივი მზრუნველობით გამთბარი მზერა გააყოლა, მის თვალებში ცრემლი კიაფობდა.

მალე კიბეზე გაისმა მიმავალი ჭაბუკის ნაბიჯების ხმა.

მარტოდ დარჩენილი სკოლის ექიმი მძიმედ დაეშვა თავის სკამზე და ატირდა სიხარულის ცრემლით. მას აგონდებოდა ის შავბნელი წარსული, როდესაც ერთი მუჭა მდიდრები სათავეში უდგნენ ხალხის ბედ-იღბალს, დრო, როდესაც უბრალო ადამიანი იძულებული იყო, ყვავილისა თუ ტიფის მსხვერპლი გამხდარიყო, მაშინ, როდესაც მდიდართა ბავშვები გადარჩებოდნენ. მას აგონდებოდა რუსეთში დროებითი მთავრობის პარპაშის ხანა. «პირშუშხა ბოლოკზე ტკბილი არ არისო», მოაგონდა კომპარტიის გენიალური ბელადის, ჩვენი მამის და მასწავლებლის, გენერალსიმუსის, ბავშვების საყვარელი მამის დიდი სტალინის სიტყვები და ცრემლის ახალმა ნაკადმა ამოხეთქა მკერდიდან. მისი მოგონებები ღრუბლებივით მიჰყვებოდნენ ერთმანეთს. აი ნეპი, ახ, ნეპი _ დროებითი გაჭირვება. ღრუბლები სადღაც გაწყდა და გამოანათა კომუნიზმის დიადი კოშკურის ცათამბჯენმა. სკოლის ექიმმა ცრემლი შეიშრო და თავი ასწია. ოთახში ფართოდ შემოჭრილიყო მზის სხივი და იქვე, მაგიდაზე მდებარე «კომუნისტის» მოწინავეს ანათებდა. მან უნებლიედ გაავლო პარალელი თავის ნაფიქრალსა და მოწინავის სათაურს შორის. «მართლაც, ახლოა ის დღე, როდესაც მივალთ კომუნიზმის თვალწარმტაც მწვერვალამდე, ახლა ეს ამბავი უკვე სადაო აღარაა», უნებლიედ გაიფიქრა მან, მერე სათვალე გაიკეთა და კედელს მიაშტერდა. კედელზე გაკრული წარწერა იუწყებოდა:

1913_თან შედარებით 250%_ით გაიზარდა საავადმყოფოთა რიცხვი. 1913_თან შედარებით 510% შემცირდა ბავშვთა დაავადება ტიფითა თუ ყვავილით და სხვა და სხვა.

ქვევით მოსდევდა წარწერა: აშშ_ი 1913 წელთან შედარებით მხოლოდ 10% _ით გაიზარდა საავადმყოფოთა რიცხვი, ხოლო ციხეთა, სადაც მილიონობით თავისუფლებისმოყვარე მოსახლე არის გამომწყვდეული, 500%_ით; იზრდება ბავშვთა დაავადების შემთხვევები...

კეთილ სკოლის ექიმს ახლა უკვე სიბრალულის ცრემლი მოადგა. მან კვლავ გაიხედა ფანჯარაში. მთების იქით შავი ღრუბლები მიიწევდნენ. «ეჰ, როდის დამყარდება მშვიდობა მთელს მსოფლიოში», ანაზდად გაიფიქრა მან და ისევ გაერთო «კომუნისტის» მოწინავის კითხვაში.

(1956 წ. აპრილი)

ფეხბურთი იწყება!

დღის თორმეტი საათიდან დაიწყო ხალხმა დენა. ქუჩა თავშივე გადაეკეტათ ორ წყებად მდგარ მილიციელებს.

_ ბილეთები, მოქალაქე, ბილეთები ამოიღეთ; სწორია, გაიარეთ.

_ ტუ! ტუ! _ ყვიროდნენ ავტომანქანები, რომელთაც ფანჯარაზე საშვები ჰქონდათ გაკრული.

_ გამოეცალე, ბიჭო, რა შიგ ბორბლებში ძვრები? _ ყვიროდა აღელვებული მძღოლი.

_ ვა, შენ რა გიჭირს, არხეინად მანქანაში ზიხარ გაჭიმული, ახლა მე მკითხე, ვრჩები უნახავი. _ თავისთვის ბუტბუტებდა უბილეთო ბიჭი.

_ გამარჯობა, სევერიან! С приездом, ფეხბურთიზა ჩამოხვედი?

_ აპა არა! მოვკვდები და ვერ გავაცდენ, с сорок пятого года შეხვედრა არ გამიცდენია.

_ კი მარა, ასე უცებ ბილეთი სად იშოვე. აქ ვცხოვრობ, დღეს მელიტონს რომ არ მოეტანა, გარეთ ვრჩებოდი.

_ მელიტონი რომელი, რაცხა მეცნობა.

_ დირექტორის მოადგილე, ქე როა სელხოსნაბში.

_ ბიძა, ბილეთი არ გინდათ! _ მივიდა მათთან ქუდჩამოფხატული, ტელაგრეიკიანი ბიჭი.

_ გეიარე, ბიძიკო, შენი გზით. _ ცალყბად უთხრა მელიტონმა, ამხანაგს ხელი გამოუყარა და შესასვლელისკენ წაიყვანა.

_ რას უცდი, ჩერჩილ? _ დაუძახა ხალხიდან ანზორმა, _ ბილეთი თუ გაქვს?

_ აბა, აქ უბილეთოდ რას შეხვალ, ეს არის ახლა ვიყიდე, ხუთი თუმანი მივეცი თითოში.

_ ორი რად გინდოდა, კაცო?

_ ერთი ვანიჩკასთვის ავიღე გუშინ, ასი მანეთი მომცა, შენი ჭირიმე, სულ რომ დახარჯო, რამენაირად იყიდეო.

ანზორს ბოლო სიტყვები არც გაუგონია, ხალხმა ისე მიაგდო მილიციელთა წყებას. ხმაჩახრეწილი და ქანცგამოლეული წესრიგის დამცველები პირნათლად ასრულებდნენ თავის მოვალეობას.

_ მოქალაქე ეგ! დაიხიეთ უკან, თქვე...! სწორია.

_ მაჩვენე ბილეთი! _ დაიწრიპინა მილიციის ლეიტენანტმა, მერე ჩერჩილას და ვანიჩკას ბილეთებს დახედა.

_ ერთმა გაიარე! სწორია, თქვენ მოიცადეთ, მოქალაქე, თქვე მამაძაღლო, ახლა გაჩვენებთ, როგორ უნდა ფალშივი ბილეთების გაკეთება! ჯინჭარაძე! ტოკლიკიშვილი!

_ არის, უფროსო! _ გამოეჭიმნენ გამხმარი, დაბალი ტანის მილიციელები.

_ ეს კაცი შააგდეთ ვარონაშია და თბილისის ზღვიდან აყურებინეთ ფეხბურთი! მაგის...

_ ბიძა მე, მე რა შუაში ვარ, მომყიდეს! ხუთი თუმანი მივეცი, ვიყიდე.

_ მოქალაქე, წამოდით, თქვენ ხელს უწყობთ სპეკულაციას.

ვანიჩკას ხმა არ ამოაღებინეს, ისე მიათრიეს მანქანასთან, მერე კარებთან მიდგმულ კიბეზე აიყვანეს. აქ, როგორც იყო, შემოტრიალდა ვანო და პირდაღებულ ჩერჩილას თვალები გადმოუტრიალა:

_ ჩერჩილ, შენი დედა...!

მილიციელებმა, ეტყობა, ნაცნობი კაცის სახელი გაიგონეს, მაგრამ კარგად ვერ მოიგონეს, სად გაეგოთ, თუ სად ჰყავდათ გაცნობილი ეს «ჩერჩილი». ამან ცოტა შეაჩერა ვანიჩკას შეგდება მანქანის კამერაში. შემდეგ მილიციელებმა გაორმაგებული ძალით ჰკრეს ხელი და შეაგდეს შიგ გაცეცხლებული ვანიჩკა, რომელიც მთელი ამ დროის განმავლობაში ყვიროდა.

ხალხი კი სულ მიდიოდა დაუსრულებლივ. ხალხის ნაკადს მილიცია პირნათლად ახარისხებდა, უმეტესობას უშვებდა, უფრო ცოტას სპეკულიანტებისკენ აგზავნიდა, მათზე უფრო ცოტას კი «ვორონებში»" ათავსებდა და ქალაქგარეთ ისტუმრებდა ჭკუის სასწავლებლად.

_ ბიჭო, აი ნახე, რა თამაში იქნება დღეს, _ გულდაგულ არწმუნებდა თამაზი გივის _ ანდრო, ავთო, ხოჭოლავაც ისეთ ფორმაში არიან, რო ტყუილია. ვინაა ტატუშინი, მე არ ვუყურე შეჯიბრზე, მარცხენა სულ არ უვარგა, ოჰ, ჩვენ ერთი სიმონიანისთანა ცენტრი მოგვცა!

გივი ხალხის დინებას მიჰყვებოდა და ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა ცხენოსან მილიციას. როცა ცხენს გვერდზე ჩაუარა, ლაგამს ხელი მოჰკიდა, ფაფარზე ხელი გადაუსვა და ამოიხვნეშა, «უჰ, ახლა ერთი ცხენი მთელ ფეხბურთს მირჩევნია!»

გვერდზე ვიღაცა გაცხარებული ებაასებოდა თავის თანამგზავრ ქალს:

_ რა სიამოვნებაა ამ ფეხბურთში? როგორ, ფეხბურთი ეს...

თამაზმა გვერდით მოიხედა, მერე უკმაყოფილო სახით მიაჩერდა გივის:

_ ბიჭო, გესმის, მესხისგან ფეხბურთელი დადგება, ტყუილია! შენ ყურს არ მიგდებ, ვა, რა კაცი ხარ, ფეხბურთი არ გაინტერესებს.

_ რა ვქნა, მაინტერესებს, მაგრამ ისე არ მიყვარს, ცხენოსნობა კიდევ ჰოო.

ხალხი კი მოდიოდა შეუჩერებლივ. როცა მილიციელთა პირველ წყებას გასცდებოდა, ცოტა ამოისუნთქავდა, მაგრამ ახლა წინ მეორე ხვდებოდა, მერე მესამე, მერე მეოთხე და კარი, კონტროლიორები, კვლავ მილიცია. ზედ კარებთან ვიღაცას ბილეთი გაუვარდა. მან სცადა დაკუზვა, მაგრამ ხალხი მოაწვა და უბილეთოდ შეათრია. ერთი მოაჯირზე მიეჭყლიტათ. ფართოგავიან დიაცს უკან ჩასუქებული დაბალი ბიჭი ამოსდგომოდა და ხშირ-ხშირად სუნთქავდა. ორ ახალგაზრდას ხელი ერთმანეთისთვის ჩაეჭიდა და მეგობრის დას იცავდნენ ხალხის მოწოლისაგან. გივი ხმამაღლა ბუზღუნებდა, თამაზს თვალები ჰქონდა დაწითლებული, სახე აღგზნებული, ხალხის მოწოლას ვერცა გრძნობდა. ვიწრო შესასვლელში დაჭირხნული ხალხი უკვე შიგ ეზოში იშლებოდა, მერე სირბილით ახალგაზრდები, ჩქარი ნაბიჯით უფროსები, ასპირანტები და დოცენტები მიისწრაფოდნენ კიბეებისაკენ.

ფეხბურთი საღამოს ხუთ საათზე იწყებოდა.

სტადიონი. ზღვა ხალხი. ყაყანი. კიბეებზე უთვალავი მაყურებელი, მოწოლა, ჭყლეტა. ვიღაცა მარჯვედ აპობდა კიბეებზე მდგარ ხალხს, სხვები ბუზღუნებდნენ. შლაპიანმა ჩასუქებულმა ულვაშა ბიძებმა ხვნეშით ჩამოიარეს კიბე შუამდე, მერე მეექვსე რიგს შეყვნენ. ვიღაცამ დაიყვირა, სახე დაემანჭა და ნატკენ მაზოლზე ხელი მოიკიდა. მილიციის პოლკოვნიკი, რომელიც ცოლთან ერთად მოსულიყო, დამჯდარ სტუდენტს ბილეთს უჩვენებდა, სინდისს აფიცებდა, ემუქრებოდა. სტუდენტი მეზობელს აწვებოდა, მეზობელი თავის მხრივ სხვას, როგორც იყო, ადგილი ცოტა

განთავისუფლდა. ის მაშინვე დაიკავა პოლკოვნიკის ცოლმა, მერე, როგორც იქნა, პოლკოვნიკიც დაჯდა.

_ შალიკო, კაცო! _ კიბიდან იძახოდა თეთრშლაპიანი, კოსტუმში გამოწყობილი მოქალაქე, რომელსაც შარვალზე ლურჯი კანტები ჩასდევდა.

პოლკოვნიკმა მოიხედა და სახე გაებადრა.

_ გამარჯობა, კაცო! ადგილი გაქვს?

_ ადგილი? არა.

_ აქეთ შემოდი, იქნება რაცხაფერად მოვახერხოთ რაიმე.

ნაცნობმა ბოდიშებით დაიწყო რიგში შემოსვლა, პოლკოვნიკი შალიკო კი მეზობელს მიუბრუნდა:

_ მოქალაქე, ერთი პატივი გვეცით, ოდნავ, სულ ოდნავ უნდა შეგაწუხოთ.

გვერდზე უსიამოვნო სახით დაიწყეს ჩაწევა, მაგრამ სკამი მაინც ვერ განთავისუფლდა. შალიკომ თავისი ნაცნობი, რომელსაც საკმაოდ დიდი ღიპი ედო, თავისსა და მეზობლის შუა, თითქმის თავის ფერდზე ჩამოსვა. ახლადმოსული ცოტა გაიწ-გამოიწია. მალე ისიც კარგად მოეწყო.

გივი და თამაზი აივნის პირველ რიგში, ამხანაგის ფეხებთან ჩამოსხდნენ და საკუთარი ფეხები ქვევით გადაჰკიდეს. «ამდენ წვალებად არა ღირს, ჩემმა მზემ», ბუზღუნებდა გივი. თამაზი ვიღაც რუსს ეკამათებოდა. შეშინებული რუსი უვნებლად კბენდა თამაზს, რომელმაც საყოველთაო ყურადღება მიიქცია და საუბარში ჩაითრია მოყვარულები.

სტადიონის დიდმა საათმა ხუთი უჩვენა. თამაზი გაჩერდა. «დავრჩით უადგილოდ», გაიფიქრეს ფეხზე მდგომებმა. კიბეზე ჩამავალნი იქვე, ადგილზე ჩასხდნენ. მიწის ქვევიდან მსაჯთა ტრიუმვირატი გაემართა მოედნის ცენტრისაკენ. ჰაერში გაისმა ფეხბურთელთა ჰიმნი. შუაში მდგარი დაბალი, ჩასუქებული, თავტიტველა მსაჯი, რომელსაც ერთ ხელში ბურთი ეჭირა, ხოლო მეორეს ღირსეულად იქნევდა, თავის ორ თანაშემწესთან ერთად, რომელთაც ჭადრაკისებურად მოქარგული დროშა ეკავათ, ღირსეულად უახლოვდებოდა მოედნის ცენტრს. ხალხი სულგანაბული ელოდა ბურთის მოედანზე დადებას. უფრო გამოცდილნი კი ფეხბურთელთა ამოსასვლელისკენ იყურებოდნენ, იქ მიწიდან წელამდე ამოსული რამდენიმე ფეხბურთელი მოჩანდა. თავდადებულმა მოყვარულებმა უკვე მეორე დასკვნა გააკეთეს თამაშის შედეგის შესახებ. პირველი დასკვნა გაკეთდა მსაჯის დანახვისთანავე.

_ ტუ! ტუ! ტუ_ტუ_ტუ_ტუ! _ გაისმა სასტვენის ფშუტუნა ხმა. ფეხბურთის ჰიმნმა ახალი ძალით დაიგუგუნა.

მოთამაშე მეტოქე გუნდები ცენტრალურ წრეზე ნახევარრკალებად ერთმანეთის პირდაპირ გამწკრივდნენ. მსაჯმა კენჭი ჰყარა. მეკარეებმა თავიანთი ადგილი დაიკავეს.

ბურთთან მივიდა თბილისელთა სამი თავდამსხმელი. კალოევმა მოედანს თვალი მოავლო.

_ ტუ! _ გაისმა სასტვენის ხმა მსაჯისა, რომელმაც საათს დახედა.

ზუსტად ხუთ საათზე შეხვედრა თბილისის «დინამოსა» და მოსკოვის «სპარტაკს» შორის დაიწყო.

(1956 წ. აპრილი)

ქვიშა, უდაბნო, კაცი, ნავი

კაცი ქვიშიან ნიადაგზე მიდიოდა, მერე მდინარის ნაპირისაკენ დაუხვია. აქ მიწა თიხანარევი იყო, ხოლო ნაპირთან გადაგლესილი ტინები იწყებოდა. ერთ ადგილას ტინი ოდნავ გაბზარულიყო, ბზარში კლდის პალო იჯდა მჭიდროდ, რომელსაც რკინის ჟანგიანი ჯაჭვით ნავი ჰქონდა მობმული.

კაცი მივიდა, ჯაჭვი მოხსნა პალოს, მერე შარვალი აიკაპიწა და წყალში შევიდა. შემდეგ ნელა ჰკრა ნავს ხელი და მუცლით მის კიდეზე დაეკიდა, ფეხები გადააცურა შიგ, ნიჩბები ამოიღო; დინებამ ნავი ქვევითკენ წაიყვანა, მაგრამ მალე ნიჩბები ამოძრავდნენ და ნავმა პირდაპირ დაიწყო წყლის ჭრა.

ნავი მდინარის დინებას უკვე შორს წაეღო, როდესაც წყალთან ქალი ჩამოვიდა, იქვე ნესტიან ტინზე დაჯდა და უაზრო თვალებით გახედა მეორე ნაპირს. შემდეგ თან მოტანილი ქეთლი მდინარის მღვრიე წყლით აავსო, მხარზე გაიდგა და ჯერ ტინებს, ხოლო შემდეგ თიხნარს აუყვა. როდესაც ქვიშიან ნიადაგზე გავიდა, ქეთლი ჩამოიღო მხრიდან და შიშველ მიდამოს აღგზნებული თვალებით შეხედა. აღმოსავლეთის მხარეს სქელი, შავი ღრუბლები მზის ამოსვლას ხელს უშლიდნენ. ღრუბლების ქვედა ნაწილი მთებზე იყო მიკრული, ზედას ცეცხლისფერი ჰქონდა დადებული. მათ უკნიდან მნათობი სწორ სხივებს აგზავნიდა უსასრულობაში.

ქალმა ქეთლი ისევ შეიდგა მხარზე, მერე ნელა წავიდა. შიშველ ფეხებს გამხმარ მიწაზე თავისუფლად ადგამდა, ხანდახან აქა-იქ გაყვითლებულ ბალახებს ზევიდან უსვამდა გახევებულ ტერფებს. ახლა ქალი ვიწრო, მტვრიან ბილიკზე გავიდა, რომლის კიდეებზედაც თმაგაცვენილი ბაბუაწვერა და გართხმული მრავალძარღვა ხარობდა.

ქალი მიწის ზვინთან გაჩერდა, ქეთლი მხრიდან ჩამოიღო, დაწნული კარი გააღო და მიწურში ჩავიდა. მიწურის ერთ კუთხეში ჩალა ეყარა. მან ქეთლი იქვე დადგა და თვითონ ჩალაზე წამოწვა გულდაღმა, ხელები მკერდთან დაიწყო. იგი არაფერზე არა ფიქრობდა. ჭერის ჭუჭრუტანაში ჩამოპარული სინათლის სხივი ხარბად დაჰკონებოდა ნახევრად შიშველ, მზისაგან ოდნავ შერუჯულ მხრებზე. მერე გადმობრუნდა, ცალი ფეხი ცივ ქეთლს მიადო. სინათლის სხივებმა ახლა შიშველი, სავსე მკერდი გამოუჩინა.

ქალი იწვა ჩალაზე და უხმოდ ტიროდა. «ოხ, ღმერთო, ღმერთო. ტირილი დასტოვე მხოლოდ ჩემს ნუგეშად, ხოლო ნაყოფად ჩემს ნუგეშს ცრემლები მიეცი. როცა ვტირი, მეშინია, რომ ცრემლები დავღვარო, რადგან რაც უფრო მეტს დავღვრი, იმდენად ცოტა დამრჩება, ხოლო, როცა გამითავდება ცრემლი, მოკვდება ჩემი ნუგეში ტირილიც და, თუ ტირილი მოკვდება, მეც უნდა მოვკვდე. ღმერთო ჩემო, ერთს შეგთხოვ მხოლოდ, უწინ მე მომკალ, ვიდრე წამართმევდე ტირილის უნარს». ქალი ახლა გვერდზე წამოწვა, ხელი თავქვეშ ამოიდო, მზისგან შეტრუსული წაბლისფერი თმა ჩამოიშალა, მერე ისევ ატირდა. დიდი, ლამაზი თვალებიდან ცრემლები თივაზე ცვიოდნენ. ცრემლების ნაწილი მიწამდე აღწევდა, რომელთაც იგი ხარბად ისრუტავდა. ტიროდა ქალი და მთელი ტანით ცახცახებდა. კრთოდნენ მისი შიშველი, ლამაზად ახლეჩილი ბარძაყები, ირხეოდნენ ხორცსავსე, ახალგაზრდა გავებიც.

ქალი ტიროდა და ტირილში ჩაეძინა. როცა გაიღვიძა, ვაჟი უკვე მიწურის მეორე კუთხეში იჯდა და არ ფიქრობდა.

ქალი შეიშმუშნა, წამოჯდა და შიშველი ადგილები დაიფარა. იგი ფიქრობდა: «რა ვქნა. იგი ზის, მას მე არ ვუყვარვარ, არა, აღარ ვუყვარვარ». მერე თვითონ დაიწყო ლაპარაკი.

_ კაცო, უკვე ორი წელია, აქა ვცხოვრობთ. მახსოვს, ორი წლის წინ როგორ გვიყვარდა ერთმანეთი; გახსოვს, მაშინ ჩვენ ერთმანეთი მოვიტაცეთ. შენ მოკალი ჩემთვის საძულველი ქმარი, მე კი მისივე იარაღი მოგეცი. მერე გამოვიქეცით. მას შემდეგ აქა ვცხოვრობთ. ჩვენ ერთმანეთი გვიყვარდა.

_ მახსოვს, უფრო მეტიც, *მაგის მეტი მე აღარაფერი მახსოვს.*

_ ვიცი, რომ გახსოვს.

_ მე შენ აღარ მიყვარხარ. უფრო მეტიც, მძულხარ, _ კაცი ოდნავ აღელდა.

_ რატომ? _ ქალმა ცრემლები შეიმშრალა.

კაცი ისევ მიეყუდა კედელს და ფიქრი შეწყვიტა.

ქალი კი გამალებით ფიქრობდა. «რა კარგი იყო პირველი დღეები, როდესაც არავინ გვახსოვდა მთელს ქვეყანაზე ერთმანეთის მეტი. მაშინ ისიც კი გვავიწყდებოდა, რომ ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს, მერე ის უფრო ხშირად მეუბნებოდა, რომ ვუყვარვარ. მე ვუდასტურებდი. შემდეგ განელდა ის. საწყალმა ბევრი დაკარგა ცხოვრებაში. ის ხომ ოცდასამი წლის უკვე ფიზიკის მეცნიერებათა კანდიდატი იყო. მე, მე რა დავკარგე. ვსწავლობდი სკოლაში, მერე? არაფერი. გამათხოვეს ძალით. არა, მე არაფერი დამიკარგავს, ან რა უნდა დამეკარგა, როცა არა მქონია დასაკარგავი. თუმცა, როგორ არა, მე ახლაც მაქვს სიყვარული და ცრემლები. მე ისინი არ დამიკარგავს.

ჩემი სიყვარული მტოვებს ახლა, კაცს მე აღარ ვუყვარვარ და მრჩება მხოლოდ ტირილი თავისი ცრემლებით. არ უნდა ვხარჯო ცრემლები ისევე, როგორც სიყვარული, თორემ ტირილი წავა ჩემგან ისევე, როგორც კაცი». ქალმა თმაზე ხელი აიკრა.

_ კაცო, გესმის, რატომ არ გიყვარვარ?

_ არ ვიცი.

_ მაშინ გაიგე, მე მინდა ვიყვირო დღეს.

_ იყვირე.

_ მე შენ მიყვარხარ!

_ ვიცი.

ქალი აკანკალდა. «იცის,» გაფიქრა მან, იცის, დასარწმუნებელი აღარაფერი დარჩენია. ის მე მიცნობს. მან იცის, რომ მე მიყვარს. როდის გაიგო. ორი წელი, ალბათ, არც ისე ცოტაა. იცის და აღარ ვუყვარვარ». ქალი ისევ ალაპარაკდა:

_ მითხარი, გიყვარვარ შენ?

_ მე?

_ ჰო, შენ.

_ აღარ.

_ გიყვარდი?

_ ჰო,

«ვუყვარდი‘«, გაუხარდა ქალს, ვუყვარდი, მაგრამ ყოველთვის ჰქონდა გულში ადგილი სიძულვილისთვის, მე კი იგი არ დავიტოვე _ ეს ადგილი, მე დავიცალე, ამოვიწურე სიყვარულით, იგი კი სავსეა გრძნობებით, მას ვძულვარ და შეუძლია სხვა უყვარდეს».

ქალი ატირდა, ცრემლები ღაპაღუპით მოდიოდნენ.

კაცმა თვალები აარიდა მის ცრემლებს და უაზრო თვალები პურის გუდას მიაშტერა. ქალმა ცრემლი შეიშრო, მივარდა კაცთან, მის ფეხებთან დაეცა და კოცნა დაუწყო, თან ლუღლუღებდა:

_ მე შენ მიყვარხარ.

_ ვიცი, _ წყნარად უთხრა კაცმა. მერე ადგა, მტირალი ქალი მიწურში დატოვა და გარეთ გამოვიდა.

ქალი კი პირქვედამხობილი ეგდო თივაზე და თავის უკანასკნელ ნუგეშს _ ცრემლებს სიყვარულსა სწირავდა.

1956 წლის 16 აპრილი.

<u>სიყვარული შემოდგომაზე</u>

გრძელ, მოწყენილ ქუჩას მიჰყვებოდა ნელი ნაბიჯით ცქიტო. გაყვითლებული ფოთლები ფეხის დაბიჯებისას შრიალებდნენ. მოხუცი, დაბალი ტანის მეეზოვე ხეების ძირიდან ცოცხით ერთ ადგილას აგროვებდა მათ, კალათაში ტენიდა. ქუჩის ნაგვის ყუთში ისინი აღარ ეტეოდნენ. მეეზოვე ნაწილს იქვე ჰყრიდა სანაგვესთან. ჭუჭყიანი პირისახის გოგო-ბიჭი ფოთლებში წყნარად თამაშობდნენ. ცქიტომ გზიდან გადაუხვია. მერე მუხლებამდე შევიდა შეგროვილ ფოთლებში და შრიალით გაიარა. მეეზოვემ წყრომის თვალით გამოიხედა, შემდეგ ისევ განაგრძო დაგვა.

ცქიტომ ახლა ვიწრო შუკაში შეუხვია. მზის გულზე მჯდარმა კატამ ზანტად დაუთმო გზა. მერე მონგრეულ ღობეზე აძვრა, თავი წინა თათებში ჩარგო და თვლემა განაგრძო. ცქიტო ფართო ეზოში შევიდა, წელში მოიხარა, გასაშრობად გამოკიდებულ სარეცხის ქვეშ გაძვრა, ქვის კიბეზე ავიდა და ზარი ჩამოჰკრა.

კარი მოხუცმა ქალმა გაუღო.

_ გამარჯობათ, მასწავლებელო! _ თავაზიანად მიესალმა ცქიტო.

_ გაგიმარჯოს, ჩემო ბიჭუნა. შემოდი, შემოდი, აი, აქ დაჯექი.

_ გმადლობთ.

_ მე ახლავე შემოვალ, მანამდე აი, ეს წიგნი წაიკითხე.

მასწავლებელი გარეთ გავიდა. ცქიტო ხედავდა, თუ როგორ ჩაიარა მან დერეფანში. მარტო დარჩენილი ფეხზე წამოდგა და სარკეში ჩაიხედა. მერე ისევ დაჯდა. ცოტა ხნის მერე მასწავლებლის მიცემული წიგნის კითხვაში გაერთო.

_ ცქიტო, გენაცვალე, _ მოესმა მასწავლებლის ხმა, _ ცოტა ხნით გარეთ გამოდი.

ცქიტო სწრაფად წამოხტა, კარი გამოიკეტა. ვიწრო შუშაბანდში მასწავლებელი გაყვითლებულ პალმას წყალს უსხამდა.

_ მოგეხმარებით, მასწავლებელო.

_ არა, არ მინდა, გმადლობთ. დედა როგორა ბრძანდება?

_ გმადლობთ, კარგად.

_ მამა და და?

_ ისინიც, გმადლობთ.

_ მგონი ბებო და ბაბუა იყვნენ არა ავად?

_ დიახ, მაგრამ მორჩნენ. ახლა ბიძასთან არიან აგარაკზე.

_ მამის დედა როგორ არის, ისევ სოფელშია?

_ არა, აქ არის.

მასწავლებელი ფანჯარასთან მივიდა, გამოაღო.

_ ასე სჯობია, ყვავილს უფრო მეტი ჰაერი მიუვა.

_ რა თქმა უნდა.

_ არ ვიცი, რა ვქნა, ჯერ კიდევ ზაფხულში დაიწყო ხმობა.

_ სასუქი უნდა იქნება.

_ სასუქს ხშირად ვაყრი, აგრონომიც მყავდა, ქოთანიც გამოვუცვალე. არაფერი შველის.

_ ალბათ, დაბერდა, მასწავლებელო.

_ ალბათ. იგი ხომ ჩემი ხნის არის. მე როცა დავიბადე, მაშინ უყიდია მამაჩემს დედაჩემისთვის საჩუქრად. მერე თექვსმეტი წლის გოგონამ გერმანიიდან თან წამოვიღე საქართველოში. როცა გავთხოვდი, ამ ყვავილისთვის ცალკე ვერანდა გავაკეთებინე. თავს ვევლებოდი, როგორც სამშობლოს, ერთადერთ, ჩემთვის ყველაზე ახლობელ ცოცხალ არსებას.

_ უკაცრავად, განა აქ ნათესავი არავინა გყოლიათ, მასწავლებელო?

_ ნათესავი? არა. შვილიც კი არ მეყოლა. მერე ქმარი გარდამეცვალა. კარგი ადამიანი იყო ცხონებული.

_ დიდი ხანია?

_ ასე ოცდაათი წლის წინათ. ქმრის ნათესავებიც მიმოიფანტნენ. მას მერე ვმასწავლებლობ. ბევრი, ბევრი მოწაფე მყავდა. ყოველთვის გვიყვარდა ერთმანეთი, მაგრამ ყოველთვის ვავიწყდებოდით მერე.

_ მე არასოდეს დაგივიწყებთ.

_ შენა? ჰო, შესაძლოა, შენ კარგი ბიჭი ხარ, ისინიც კარგები იყვნენ. მაგრამ მათი ბრალი არაა, რომ დამივიწყეს, რა ქნან. ბევრ მათგანს ახლა შვილიშვილებიც კი ჰყავს, ყველას თავისი საქმე აქვს. მე თქვენისთანები მიყვარს, ახალგაზრდები. მათთან ყოველთვის კარგად ვმეგობრობ. მათაც ვუყვარვარ.

მასწავლებელი ახლა წყალში სასუქის გახსნას შეუდგა.

_ მომეცით, მოგეხმარებით. _ უთხრა ცქიტომ.

_ არა, გმადლობთ, ჩემს ბებერ, ავადმყოფ ნათესავს ვერავის ვანდობ. აგერ ორმოცდაათი წელია, ერთად ვცხოვრობთ, რა ვქნა, შევეჩვიე.

_ მასწავლებელო, ყვითელი ტოტები რომ შევაჭრათ!

_ რათა?

_ იქნებ ახლებმა ამოიყაროს.

_ არა, გენაცვალე, მაგის დღეები დათვლილია.

_ მერე ახალი უნდა იყიდოთ?

_ არა.

_ რატომ?

_ შენ ვერ გაიგებ, ჩემო ბიჭუნა, შენ ბევრი, ბევრი ახლობელ-ნათესავები გყავს, ეგ კი ჩემი ერთადერთი იყო, ისიც უსულო, თანაც ყველა სულიერზე ერთგული. ახლა კი ვატყობ, მღალატობს.

ვიღაცამ ზარს ჩამოჰკრა.

მასწავლებელი გავიდა. ცოტა ხნის მერე ოთახში ხნიერ კაცს შეუძღვა. როცა დერეფანში დაბრუნდა, ცქიტო იდგა და ნაღვლიანი თვალებით უყურებდა პალმის გაყვითლებულ ფოთლებს. მასწავლებელმა პატარას ნაზად დაადო მხარზე ხელი და ალერსით უთხრა:

_ ცქიტო, ბაბუაშენი მოვიდა, სასეირნოდ უნდა წაგიყვანოს.

ცქიტომ მოიხედა. ბაბუა ოთახიდან გამოსულიყო და დერეფნის კარებში მდგარი გაღიმებული უყურებდა მას.

_ წამოდი, გენაცვალე, წავიდეთ. დეიდაშენთან მინდა წაგიყვანო.

ცქიტოს თვალები გაუბრწყინდა, მერე მასწავლებელს შეხედა.

_ ასე გენაცვალე, ოთხშაბათს მოხვალ, ახლა კი გიშვებ.

_ გმადლობთ.

ბაბუამ ცქიტოს ხელი მოჰკიდა, გამოემშვიდობა მასწავლებელს, მერე კიბეზე დაეშვა. ბაბუა და შვილიშვილი ეზოში მიდიოდნენ ხელიხელჩაკიდებულნი. მასწავლებელი ზემოდან გაღიმებული თვალებით უყურებდა მათ. მერე მოიხედა და თვალი თავის გაყვითლებულ პალმას გაუსწორა. შემდეგ იქვე სკამზე ჩამოჯდა და უაზრო თვალებით შეხედა კედელზე ჩამოკიდებულ თავის საგვარეულო სურათს.

1956 წლის 6 მაისი. კვირა. 12-1 საათი.

"ახალდაძრულ მატარებელს ლევანი..."

ახალდაძრულ მატარებელს ლევანი გაჭირვებით შეახტა. ორთქლმავალი ძლივს მიიზლაზნებოდა ცემის აღმართზე. ლევანმა ხელფუთა გამოიტანა ვაგონიდან, მერე კიბესთან დადო, თვითონ ქვედა საფეხურზე დადგა და ჩასახტომად მოემზადა. მატარებელი ახლა ხიდზე გადიოდა. ლევანმა უფსკრულს თვალი აარიდა. მთებში შეფენილი ნაძვების სიმშვენიერემ გაიტაცა. მატარებელმა ახლა მეოთხედ მოუხვია, ხიდი ქვევით უკვე პატარადღა ჩანდა. ისედაც გალეული მთის მდინარე აქა-იქ ამოსულ ბუჩქებში იკარგებოდა. ხიდის თავში მდგარ საყარაულოს წინ ჯარისკაცი ზარმაცად დააბიჯებდა. ორთქლმავალმა ნახევარი ხმით დაიყვირა, მერე ცოტა ამოისუნთქა. აღმართის რთული ნაწილი უკვე გავლილი იყო. ორთქლმავლის თავისუფლად ამოქშენამ კარგად იმოქმედა მგზავრებზე. ლევანმა ტყის პირას მოთამაშე ბავშვებს ხელი დაუქნია და გაუღიმა.

_ ურა, ვაშა! _ ყვიროდნენ პატარები.

_ დათუნა, დათიკო! _ ბოხი ხმით დაიყვირა ვაგონის ფანჯრებიდან მელოტმა კაცმა, _ აქეთ მოიხედე, შვილო.

სათამაშო ცხენზე მჯდარმა მხედარმა უაზრო თვალებით გამოხედა მატარებელს, მერე თავის რაშს წკეპლა შემოჰკრა და სწორებისაკენ გააქროლა.

«ვინ იცის, ჩემი გივიკო როგორ არის», გაიფიქრა კიბეზე მდგარმა ლევანმა, «უკვე ოთხი დღეა, არ მინახავს, ჩემი ცოლიც ავად იყო, კიდევ კარგი, სიდედრი მაინც არის ჯანმრთელად, თორემ გავწყდი წელში ამდენი შრომით, ჩემს საქმესაც ვეღარ ვასწრებ». მან ცხვირსახოცი ამოიღო ჯიბიდან, ოფლი მოიწმინდა, მერე ფუთას დაავლო ხელი და იღლიაში ამოიჩარა. მატარებელი სადგურს უახლოვდებოდა. ლევანმა სახელურს მაგრად ჩასჭიდა ხელი, გადმოიწია და გაჭირვებით ჩამოხტა. ვაგონებმა ნელა ჩაუარეს გვერდით. იგი ლიანდაგზე გადავიდა, შუაში ჩადგა და შპალებით უკან გაბრუნდა. ახლო-ახლო დალაგებულ შპალებზე მოკლე ნაბიჯებით სიარულმა ჩქარა დაქანცა. ახლა ისევ გადმოვიდა ლიანდაგიდან და თავისუფალი ნაბიჯით გაუყვა ქვიშიან ბილიკს. ბილიკმა ცოტა ხნის შემდეგ ფიჭვნარისკენ გადაუხვია, მერე ტყეში შევიდა და ბექობისკენ დაეშვა. ვიღაცა ქალს ბავშვი მუხლებს შუა ეჭირა და გაღიმებული სახით რაღაცას უყვებოდა, თან დროდადრო ტაშსა სცემდა. იქვე, ფეხთით ბებია იჯდა, ხელში გოგლიმოგლი ეკავა. გაკვირვებისაგან დაღებულ პირში კოვზსა სჩრიდა პატარას. ლევანმა ახლა ჰამაკში ჩაწოლილ მოაგა-რაკეს ჩაუარა გვერდით.

_ გამარჯობა ლევან, კაცო, როგორა ხარ?

_ გმადლობთ, კარგად, თვითონ როგორ ხარ? _ ნაძალადევად მოიკითხა ლევანმაც.

_ ასე რა, ახლა ცოტა დრო მაქვს და «Королева Марго»_ს ვკითხულობ. მართლა, კაცო, ქალაქში რა ამბებია ნეტავი. ჩვენს ფოსტალიონს ორი დღეა, გაზეთი არ მოუტანია.

_ არაფერი, მშვიდობა.

_ მშვიდობა როა, ქე ვიცი, სიიაფე თუა? _ არ ეშვებოდა მოაგარაკე.

_ რა ვიცი, დიდი არაფერი, _ ლევანმა ბოდიში მოუხადა, მერე ჩქარი ნაბიჯით წავიდა თავისი ნაქირავები ოთახისკენ. ეზოში სიცარიელე იყო. თუთის ხის ძირში დაბმულ ღორს ბუზები ეხვეოდა. ლევანმა წიხლი წაჰკრა ცხოველს, ამ უკანასნელმა დინჯად დაილრუტუნა და წოლა განაგრძო. «ეს რაღა უბედურებაა, დიასახლისს დღესვე უნდა ვუთხრა, ბაღში გადაიყვანოს, თორემ მისი ბუზებისგან ბავშვს შეიძლება რაიმე ინფექცია დაემართოს». ახლა ვიწრო, მოგრეხილ საფეხურებს აუყვა ლევანი. კარი შეაღო და ოთახში შევიდა. მის ცოლს, თალიკოს ფანჯარასთან ეძინა. ლევანმა ფუთა ფრთხილად კართან დადო. მერე ფეხაკრეფით მივიდა ცოლის საწოლთან, საბანი ოდნავ გადახადა და თავის თერთმეტი თვის გივიკოს დააცქერდა. «საწყალი, ალბათ, მოიწყინა უჩემოდ». მერე ბავშვის გარჩევა დაიწყო: «აი ეს ცხვირი, ტუჩები სულ დედისა აქვს, სამაგიეროდ, თვალები, წარბები, ნიკაპიც, არა ნიკაპი ჯერ არა, თუმცა ჩემს მამას ზუსტად ასეთი ჰქონდა». ლევანი ოცნებებმა გაიტაცა. «ნეტავ როდის იქნება ჩემი გივიკო თუნდაც ათი წლის, არა _ ოცის. აუცილებლივ უნდა ვატარო საცურაოდ, თან ენებსაც ვასწავლი, ბავშვი უცებ აითვისებს». პატარა გივიმ საწყლად დაამთქნარა, მერე თვალები გააღო და მამას მიაშტერდა. ცოტა ხნის მერე თვალები ისევ დახუჭა და გვერდზე გადაბრუნდა. «ვერ მიცნო ამ მამაძაღლმა», ბავშვივით ეწყინა ლევანს. საწოლიდან გამოტრიალდა, ნავთქურა დაანთო წყლის გასაცხელებლად. მერე შემოტრიალდა, ფუთა გახსნა. ფუთიდან ამოღებული რძე ფანჯარაზე დადგა, ხოლო ერბოს ქილა საწოლის ქვეშ. ახლა უკვე მაგიდას მოუჯდა. ერთხანს იგი თავისმა ფიქრებმა და ლობიოს რჩევამ გაიტაცა.

_ გამარჯობა, კაცო, _ მოესმა ცოტა ხნის მერე ცოლის ხმა, _ ერთი წყალი დამალევინე.

_ გამარჯობა, თალიკო, გენაცვალე, როგორა ხარ, ბავშვს ხომ არ უავადმყოფია? _ ერთად მიაყარა ლევანმა, მერე მივიდა, დაიკუზა და ცოლს შუბლზე აკოცა. ბავშვმა წამოიკვნესა.

_ ჩუმად, კაცო, _ წყრომით უთხრა ცოლმა, _ ბავშვი არ გააღვიძო.

_ კარგი, გენაცვალე. _ ლევანი შემოტრიალდა, ფეხაკრეფით მივიდა მაგიდასთან, სურა აიღო, შემდეგ ახალი წყლის მოსატანად წყაროსკენ წავიდა. კიბესთან ცოლის ძახილი მოესმა:

_ ლევან, ლევან, გინდა წყურვილით მომკლა, მოიტა, ეგ დამალევინე ჯერ და მერე წადი წყაროზე.

ლევანი შემობრუნდა, ოთახში შევიდა და ცოლს წყალი დაალევინა.

_ ახლა მოიტანე, თუ გინდა.

ლევანმა სურა დადგა ისევ მაგიდაზე და ჭურჭლის რეცხვა დაიწყო.

_ ჯობდა, მოგეტანა, ლევან.

ლევანმა წყრომით მიიხედა. პატარა გივის გაღვიძებოდა, საწოლზე იჯდა და იცინოდა. ლევანი მივიდა, ბავშვს ნაზად აკოცა, მერე გამობრუნდა, სურა აიღო და წყლისკენ წავიდა.

როცა სახლში დაბრუნდა, მისი მეუღლე უკვე წიგნსა კითხულობდა.

_ რა წიგნია, თალიკო, გენაცვალე.

_ ვითომ არ იცი? _ თალიკომ კითხვა განაგრძო. ლევანი ახლოს მივიდა და წიგნს ზევიდან ჩახედა.

_ განა არ იცოდი, მორიაკის «მაიმუნია», _ თალიკომ ფანჯარაში გაიხედა. _ საწყალი ქალი როგორ იტანჯება დეგენერატი ქმრის ხელში. შენ რა, წაკითხული არ გაქვს, კაცო?

_ მე, ჰო, ისე, გადათვალიერებული.

_ რა, ვერ მოიცალე, თუ მოთმინება არ გეყო.

_ ჰო, ცოლ-ქმრობის საკითხი ძალიან რთულია, _ თავისთვის განაგრძო ლევანმა, მაგრამ ეს კავშირი, რომელიც ყოველთვის რაღაც გარკვეულ სიმპათიებს ემყარება, თუნდა მასში ეკონომიურიც ჭარბობდეს, უკვე სიყვარულში გადადის შვილის შეძენის შემდგომ.

_ მე შვილით გაღვივებული სიყვარული არა მწამს.

_ შესაძლოა, შენ არა გწამდეს.

_ როგორ მე, განა უშვილოდ არ უნდა უყვარდეთ ერთმანეთი?

ლევანმა პატარა გივი აიყვანა და ხელში სიხარულით შეათამაშა.

_ მე ამას გავატარებ.

_ არა, შენ გააციებ.

_ ნუ, რა არის, თალიკო, რას ამბობ, სულ მე არ დამყავს?

_ იმიტომაც ავადმყოფობს. _ თალიკო სახეზე ცოტა წამოწითლდა.

«ახლა დაიწყება», გაიფიქრა ლევანმა, მერე ბავშვი ადგილზე დააწვინა. შემდეგ გარჩეული ლობიო ქვაბში ჩაყარა.

_ ოხ, ახლა ოთახი აყროლდება ლობიოს სუნად. შენი ჭირიმე, გარეთ გაიტანე. _ უხეშად უთხრა თალიკომ.

ლევანმა უხმოდ გაიტანა ნავთქურა ქვაბიანად.

_ კარგი, გაასეირნე ბავშვი, მე უნდა ვიკითხო, _ კვლავ გასცა ბრძანება ცოლმა.

ლევანმა ნაზად აიყვანა პატარა, საბანში გამოახვია და გარეთ ხელში აყვანილი გაიყვანა. მერე კიბეზე დაეშვა. «ცხვირი და ტუჩები დედისა აქვს, მაგრამ თვალები, წარბები და შუბლი ჩემი, მაგრამ ნიკაპი, არა, ნამდვილად პაპამისს მიუგავს».

ფიჭვნარში დედები თავიანთ ბავშვებს დაასეირნებდნენ. ლევანმა ამაყად ასწია თავისი პირმშო. «კარგი ბიჭია, კარგი, ჩემი გივი, მამა ენაცვალოს. ნამდვილი ქართველი ვაჟკაცი უნდა გამოვიდეს». შემდეგ ისევ მორიაკის «მაიმუნი» მოაგონდა. «ბავშვი მაინც ძირითადია, საწყალ დედას თავისი ვაჟიც რო ქმარივით დოყლაპია არ გამოსვლოდა, მისი ცხოვრება ათასჯერ ბედნიერი იქნებოდა, ალბათ, თავისი ქმრის ნაკლს ვეღარც შეამჩნევდა». ლევანმა ახლა ისევ ბავშვს შეხედა, «საწყალი გივიკო, ჯერ ცხოვრების არაფერი ესმის. ღმერთმა დაიფაროს, ესეც ისეთი გამოვიდეს. თუმცა რატომ? ის რო კარგად აღეზარდათ, რა უჭირდა. ჰო, ყველაფერი აღზრდაა, მაგრამ გარეგნობას ხომ არ შველის.» ლევანი შეზარა ამის გახსენებამაც კი. «რაში მომაფიქრდა», გაუწყრა თავის თავს «ამისთანა ბიჭი მეორე არ იქნება». მან მაღლა შეაგდო პატარა და უღიჩინა, გაუცინა და გააცინა.

_ შენთვის ბევრს ავიტან, ჩემო პატარა, შენთვის ყველაფერს გავაკეთებ. _ ხმამაღლა უთხრა გაკვირვებულ ბავშვს და სახლისკენ გამობრუნდა.

1956 წლის 7 მაისი. 3 - 4^{30}.

<u>ციგნის ქალი და ოთხი ბიჭი</u>

(ეცადეთ, ასიამოვნოთ ერთმანეთს!)

სადგურთან ტაქსი გაჩერდა. წინა კაბინიდან ოცი წლის ბიჭი ჩამოხტა, უკანა კარი გამოაღო და მოხუც ბებიას მიეშველა მანქანიდან ჩამოსვლაში. მისი პატარა და-ძმა თვითონ გადმოხტნენ თავიანთი ჩანთებით და მანქანის მეორე მხრიდან ადრევე ჩამოსულ დედასთან მიირბინეს. ტაქსის ციფერბლატი შვიდ მანეთს უჩვენებდა, ბიჭმა მძღოლს ათი მანეთი მისცა და მადლობა გადაუხადა.

_ მუშა, მუშა, დეიდა, მუშა არ გინდათ? _ ეღრიჭებოდა ორმოცი წლის დედას გაჭაღარავებული მუშა.

_ ნასელჩიკ, ნასელჩიკ! _ ბოხი ხმით ბანს აძლევდა თავის უკანონო კოლეგას დანომრილი მუშა.

მსუქან ბიძას დიდი პორტფელი დაეჭირა ხელში, აჩქარებული მიდიოდა და დაბნეულ მგზავრებს ეჯახებოდა.

სკამზე დამჯდარი თათრის ქალები დაბნეული თვალებით უყურებდნენ სადგურის დიდ საათს. ახმახი ქურთი მეეზოვე გრძელი ცოცხით უვლიდა მტვრიან, მოურწყავ ასფალტს, ჰაერში ბუღს აყენებდა და წვრილი ხმით ყვიროდა:

_ ჰაბარდა, ჰაბარდა.

_ დედა, ნაყინი მინდა, მიყიდე, _ საცოდავი ხმით იხვეწებოდა ხუთი-ექვსი წლის დიდთავა რაქიტული ბავშვი, თან დედას კალთაზე ექაჩებოდა. დედამ ხალხს რომ არ დაენახა ისე, მწვავედ უჩქმიტა შვილს; პატარამ ხვეწნა ცოტა ხნით შეწყვიტა და მის მაგიერ გაბმული ღრიალი მორთო.

ბილეთების ასაღებ სალაროსთან ოთხი ახალგაზრდა ვაჟი ლაზღანდარობდა. ორ მათგანს პაპიროსი გაეჩარა პირში და გრძნობით აბოლებდა.

_ ბიჭო, რას მოგიწყენია, _ სიცილით უთხრა ტიტიკომ თემოს, _ ამოიღე ხმა, შე ვირისთაო.

_ მოიცა, ბიჭო, _ ჭიჭყინა ხმით უპასუხა თემომ, _ რა დროს სიცილია, ვერა ხედავ, სიცხით ვიწვები, შენ რა გიჭირს, გამხდარი ხარ. მერე ქუდი კეფიდან აიწია, შუბლზე ჩამოიფხატა, ღრმად ამოიხვნეშა და უდროოდ გამოზრდილ ღიპზე ხელი დაიდო. სამივემ ლაზათიანად გაიცინა, თემო კეთილი ღიმილით აჰყვა მათ.

_ ბიჭო, დაბალი რო ვარ, ყველა მჩაგრავს, წეღან ნახე, კონტროლიორმა ტრამვაიში თქვენ ხმა არ გაგცათ, მე კინაღამ დამაჯარიმა.

_ ბიჭო, ხო გაგია, დიდი და ახმახიო, პატარა და ჩახმახიო.

_ საქმე ის არი, რო არც ჩახმახი ვარ ამ სისქე კაცი.

ტიტიკომ მეგობრულად გადახვია ხელი და მხარზე დაეყრდნო, თან უმოძრაობისგან და სიცხისგან დაღლილი ფეხები დაასვენა.

_ წეღან არ ვამბობდი, შე ყურუმსაღო, დაბალი რო ვარ, ყველა მჩაგრავს მეთქი, აბა, რატო მალხაზს არ ეკიდები. მალხაზი იქვე იდგა და დოყლაპია ღიმილით ზევიდან უყურებდა სამივეს.

_ სინკა ლილა, სინკა, ლილა!

_ ბრატოკ, დაი კაიჩოკ, დაი, ნუ!

_ დავაი, ბრატოკ, პაგადაიუ.

_ Сестра, твое счастье отгадаю.

_ Ты сорок пять лет еще проживешь.

ასეთი შეძახილებით, ხვეწნით, კომპლიმენტებით მოდიოდნენ ზურგზე ბავშვებაკიდებული ციგნები ბაქანზე.

_ ქალო, ერთი ბარგს მიხედე, _ გასძახა მათ გამოჩენაზე დედამთილმა რძალს, _ ეგ გასაწყვეტლები ისეთი ხელმრუდები არიან, რომა.

_ გურამ, შვილო, დედასთან მიდი, _ მკაცრი, დინჯი ხმით უთხრა მამამ თავის ათი წლის შვილს, _ თორემ მარტოა და შეიძლება რამე ააცალონ.

_ სუ, სუ, სუ, სუ-მეთქი, გოგო, _ ყურში ჩაჰყვიროდა თავის ხუთი წლის ბავშვს დედა, _ სუ-მეთქი, თორემა შენს თავს ამ ციგნებს გავატან. ბავშვმა საშიში სახელის გაგონებაზე ტირილი შეწყვიტა და შეშინებული თვალებით გამოიხედა. ციგნის პატარა გოგომ, რომელსაც დედის კალთისთვის ხელი ჩაეჭიდა, გაჩუმებულ ბავშვს ენა გამოუყო და დაემანჭა. პატარამ ახალი ძალით მორთო ყვირილი.

თმაჩამოშლილი, საშუალო ტანის, მოყავისფრო ლამაზი სახისა და შავი თვალების მფლობელი ბოშა ქალი მხრების რხევით მივიდა ბიჭებთან, რომელთაც სიცილი შეეწყვიტათ და მას უყურებდნენ.

_ თმახუჭუჭა, თმახუჭუჭა, მოდი, გიმარჩიელო, შენი ბედი მე ვიცი, მოდი, გიმარჩიელო, მომეცი შენი ხელი, _ მეოთხე ბიჭისაკენ, რომელსაც გურამი ერქვა, ხელი გაიშვირა. გურამმა ვნებიანი თვალებით შეხედა ბოშას და წინააღმდეგობის გაუწევლად მისცა თავისი ხელი.

_ ოი, ოი, ოი! _ წამოიძახა ბოშამ, _ ო, ასეთი ხელი ბევრი არ შემხვედრია. ო, რა საინტერესოა. _ მერე ჩაფიქრდა, კარგა ხანს უყურა ხელს და სერიოზული სახით დაიწყო: _ ერთი, ორი, სამი, _ თან თავის მოკლე, ჭუჭყიან თითს ხელის გულს აყოლებდა, მერე თითი გააჩერა ერთ ადგილზე.

_ აი, აქ, აი აქ დადე სამი მანეთი, ერთი, ორი, სამი, ხო, სამი მანეთი. _ ბიჭებს სახეზე ღიმმა გადაურბინა. გურამმა ხმაამოუღებლივ ამოიღო და ხელის გულზე დაიდო ფული. ციგნის ქალმა არც შეიმჩნია, ისე აიღო ფული, მერე განაგრძო:

_ შენ, თმახუჭუჭა, ამ ქვეყანაზე ბევრი არ გიცხოვრია. მე ვიცი, შენ ოცის ან ცოტა მეტისა ხარ, მაგრამ ბევრი გინახავს, უფრო მეტი გაქვს სანახავი. _ ციგნის ქალმა გურამის ჩაცმულობა შეათვალიერა და განაგრძო:

_ შენ ღარიბი არ ხარ, მაგრამ არა, ნახე ეს ხაზი. თქვენს ოჯახს რაღაც უჭირდა. ოი, ოი, საწყალო ბიჭო, შენ შეყვარებული ხარ. შენ გიყვარს გოგო, ო, იმას უფრო უყვარხარ, მაგრამ მალავს. ერთ რჩევას მოგცემ. შენი ღია თვალები მეუბნებიან, რომ ჩქარა ენდობი და ამხანაგისთვის თავგანწირული ხარ.

გურამი ერთხანს უსმენდა, მერე მოსწყინდა და ხელი გამოართვა.

_ ბიჭო, მოიტა ხელი, _ ახლა თემოს მიუბრუნდა ციგნის ქალი, _ აი, აქ დადე სამი მანეთი; შენ იცხოვრებ ასოცი წელი, ეგ ეშმაკი თვალები არ ამბობენ იმას, რაც გულში გაქვს, შენ გულით კეთილი, ძალიან კეთილი ხარ. გყავს ორი ამხანაგი, ერთ-ერთს უფრთხილდი, კარგად დაუკვირდი, არ გიღალატოს. სამი წლის მერე გეყოლება ბიჭი, შენი თვალები ამბობენ, რომ პროფესორი გამოხვალ. მე მშურს შენი ბედი. თემო გაწითლდა და სასოებით უსმენდა თავის ქებას.

_ რა იყო, ბიჭო, რა გული აგიჩუყდა? _ გააბრაზა მალხაზმა.

_ გული არა, ვიცი, ტყუის. მაინც მოვუსმენ. სამი მანეთი ტყუილა მივეცი?

ციგნის ქალმა ახლა მალხაზის ხელი აიღო და მანეთიანი მოსთხოვა, ეტყობა, შეეშინდა, საერთოდ უარი არ ეთქვათ. მერე ტიტიკოს ხელი აიღო. როცა ორივე აქო, წასვლა დააპირა.

_ ეჰ, შენ მატყუარა ყოფილხარ. ტყუილები მითხარი, ქალო.

_ მე? _ გაიკვირვა ციგანმა, _ განა თქვენ, კარგები, ლამაზები, გულღიები არ ხართ, განა თქვენ არ გღალატობენ? აბა, თქვენს თავსა ჰკითხეთ.

_ კი მაგრამ, ყველა კარგები როგორა ვართ?

_ ზოგს ერთი რამ გაქვთ კარგი, ზოგს მეორე, მაინც ყველას გგონიათ, რომ სხვას რაღაცით ჯობიხართ, მე შეიძლება ვტყუოდი, მაგრამ გულში თქვენ მაინც

გჯეროდათ, მეც ეგ მინდა. მე თქვენ მასიამოვნებთ ფულით, ჩემი მხრივ კი მიიღეთ ქება. განა არა, თმახუჭუჭავ! _ ციგნის ქალმა ნიკაპში ხელი ნაზად ამოსდო გურამს, გაუღიმა და მხრების რხევით სკამზე მსხდარი ახალგაზრდა ქალ-ვაჟისაკენ წავიდა.

1956 წლის 8 მაისი და 9 დილა.

<u>გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი გ ა დ ი ს</u>

დღიურიდან:
წ. 1956,
ოქტომბრის 25.

_ ჯემალ, როგორ ხარ? ჯოხი რად გინდა, ბიჭო.

_ გამარჯობა, ლეილ, ეს არაფერი, ფეხი მტკივა.

_ ფეხი? ხო, ვხედავ, _ ლეილა გაწითლდა.

_ სად იყავი, ლეილ? მოკეთებულხარ, ახლა ნამდვილი ქალი ხარ.

ლეილას აღმოსავლურ, მოყავისფრო სახეზე ალმურმა მოუმატა, მერე თავი დახარა და გაიღიმა. როცა ჯემალს შეხედა, სახეზე წყენა გამოეხატა. ის მოპირდაპირე ქუჩისკენ იხედებოდა. ლეილამ ჯემალის მზერას გააყოლა თვალი: საფუნთუშეში მკერდსავსე და თეძოგანიერი ოცდახუთიოდე წლის ქერათმიანი ქალი შედიოდა. ლეილამ უაზროდ გაიღიმა:

_ ნახვამდის, ჯემალ.

ჯემალმა უცებ მოაბრუნა თავი.

_ ნახვამდის, ლეილ.

ლეილა შეტრიალდა. გრძელი ნაწნავები წელამდე სცემდა. მისმა სწორმა წვივებმა და მაღალმა თეძოებმა ჯემალი ოცნებიდან გამოიყვანა.

_ ლეილ!

გოგონა ნელა მოტრიალდა მისკენ. ბიჭმა ახლაღა შეამჩნია მისი სწორი სახის ნაკვთები, სქელი, ვნებიანი ტუჩები.

_ ლეილ, _ გაიმეორა ჯემალმა. გულში კი გაიფიქრა, «როგორ გამოიცვალა პატარა გოგონა, ნეტა რამდენი წლისაა? ალბათ, თექვსმეტის, მაგრამ ეს მკერდი?» მერე სადღაც ამოკითხული მოაგონდა. _ აღმოსავლელი გოგოები ადრე ქალდებიანო. «ძველ დროს ეს ანგელოზი შაჰის ჰარამხანას ვერ ასცდებოდა», დააბოლოვა ვნებამორეულმა თავისი ფიქრი, შემდეგ ახლო მივიდა.

_ ლეილ, მეც შენკენ მოვდივარ.

გოგო გაწითლდა, მერე ხელი გაუწოდა:

_ დამეყრდენი, ჯემალ, ჯოხი მეორე ხელში დაიჭი; ძალიან გტკივა?

ჯემალმა ახლა გვერდიდან შეხედა ქალიშვილის სახეს. «რა მორცხვია და რა თამამი», გაიფიქრა და მთელი ძალით დაეყრდნო მის მკლავს. იდაყვი სავსე თეძოს ეხებოდა. ერთხანს ჩუმად მიდიოდნენ; ქუჩაში ხალხი შფოთავდა. ახალგაზრდები რვა საათის სურათზე იგვიანებდნენ.

ჯემალი ყველას უყურებდა, მაგრამ ვერავის ამჩნევდა. ლეილას თეძოდან გადმოსული სითბო მთელს ტანში ჟრუანტელსა ჰგვრიდა; შემდეგ სახეზე ალმურმა დაუარა, ნელა გაუხურდა ტუჩები. უსაზღვროდ მოუნდა კოცნა. «ოჰ, ერთი კოცნა ლეილას ტუჩებში მთელს სიცოცხლეს მირჩევნია», გამოუტყდა თუ არა თავს სურვილში, უფრო მოუნდა, მერე კიდევ უფრო მოუნდა. «ვკოცნი ამაღამ», დაიქადნა გულში.

_ ლეილ, ლამაზო, დაქალებულხარ. _ ტუჩები ყურთან მიუტანა და დინჯად უთხრა.

ქალიშვილს ახლაღა ეცა გარკვევით სასმელის სუნი, ვაჟის პირიდან ვნებასთან ერთად ამოსული. ჯემალის ხელს უფრო მინებდა.

_ ლეილ, მე ზევით მივდივარ. _ დაიწყო ვაჟმა.

_ სად?

_ ზევით.

_ ვისთან? _ ხმაში წყენა დაეტყო გოგოს.

_ ისე, არავისთან; გავლა მომინდა მარტოკას.

_ სულ მარტოს?

_ არა. შენთან ერთად.

აუხვიეს. ჯემალმა სიტყვებს დაუწყო ძებნა, მერე ისევ ტუჩები მოაგონდა, მოხედა ლეილას. გოგოს გააჟრჟოლა, «მთვრალია», გაიფიქრა და ნაზად მოაბრუნა თავი ვაჟისკენ. ჯემალმა ქალის მალული მზერა იგრძნო და თავისდაუნებურად დაიწყო:

"Я был в России, грачи кричали,
Весна смеялась в мое лицо".

ხევიდან ქარმა მოუბერა, ლეილას ცალი ნაწნავი დაეშალა, მეორეს ხელი მოჰკიდა და ყელზე გადაიგდო. მხრით ეხებოდა ვაჟის მკერდს. ვაჟი კი ლექსს განაგრძობდა:

«და ნიავს მიაქვს ყვითელი ჩალა,
იშლება შენი თმა თაფლისფერი,
და სტირის ყვავი, ყვავი ყვანჩალა,
ლექსებში ასე რომ მოეფერე».

ჯემალი გრძნობდა, რომ ქალი კანკალებდა, მერე მისი ხმა ყრუდ, ყრუდ მოესმა.

_ ვისია?

_ ტიციანის, _ ბოხი ჩახლეჩილი ხმით უპასუხა მან და ტაეპი დააბოლოვა:

"Я был в России, грачи кричали,
Грачи кричали: зачем? зачем?".

გზა შეწყდა. ჯემალი ხეს მიეყუდა.

_ ლეილ, შენ წადი სახლში, მე ფეხი მტკივა, ვერ გამოგაცილებ.

_ შენ სად წახვალ?

_ მე?

_ ჰო.

_ მე არსად, ხევში ჩავალ, მიყვარს ღამე იქ ჯდომა.

ლეილამ ხელი გაუშვა და წავიდა. ჯემალს გული შეეკუმშა. გოგო ისევ შემობრუნდა.

_ ჯემალ, მარტოკამ იქ რა უნდა აკეთო?

ვაჟი იდგა ხეს მიყუდებული. არც განძრეულა, ისე დაიწყო ყრუდ:

_ ლეილ, გესმის, მიყვარხარ. ხო, მიყვარხარ. მართლა მიყვარხარ, როდიდან არ ვიცი, როდემდე არც ის. ახლა მიყვარხარ. შენს მზეს, ჩემს მზეს, შენს თავს ვფიცავარ, მართლა მიყვარხარ.

გოგო ახლო მივიდა და ვაჟს ხელი მოჰკიდა მაჯაზე. ახლა უკვე კარგადა გრძნობდა მის ხშირ სუნთქვას. სასმელის ოხშივარი მასაც ათრობდა.

_ ეგ მართალია, ჯემალ? _ ნაძალადევი ღიმილით იკითხა ქალმა.

_ რა? _ ვაჟს თვალები უელავდა.

_ ეგ, რაც ახლა მითხარი.

ჯემალმა ხელი მოხვია წელზე და საკოცნელად მიიზიდა. გოგო გაუსხლტა.

_ არ გინდა, ბიჭო, შენი ჭირიმე.

_ მაშ, შენ მაკოცე თვითონ. _ ბიჭი ისევ ხეს მიეყუდა.

ლეილა მივიდა და ორჯერ აკოცა ლოყაზე, მერე ნელა დაეშვნენ ხევში. ვაჟი წყლის პირას ჩამოჯდა, ისევ მოხვია წელზე ხელი. ერთხანს ასე ისხდნენ. ისევ მოუნდომა კოცნა. გოგომ ხელი გააშვებინა, შემდეგ თვითონ მოხვია, მიიზიდა და დიდხანს, დიდხანს კოცნიდა კისერში, ლოყაზე, ყვრიმალთან. ჯემალს არაყი უფრო მოეკიდა, ოდნავ თავბრუ ეხვეოდა. მერე ისევ ძალიან, ძალიან მოუნდა ტუჩებით დაკონებოდა მის ბაგეებს. ლეილა ახლა გვერდზე იჯდა და ვაჟის ქედს ვნებით უყურებდა. ბიჭმა ისევ მიიწია ტუჩებში საკოცნელად, ისევ გაუსხლტა გოგო.

_ წავიდეთ, ჯემალ. _ თქვა მან.

წამოდგნენ, ლეილამ წელზე მოხვია ხელი და ღაწვებზე აკოცა. ჯემალი ხმას არ იღებდა.

_ სად ცხოვრობ, ჯემალ? _ ჰკითხა ლეილამ, როდესაც ქუჩაზე გამოვიდნენ. ვაჟმა სახლი დაანახვა. სახლის კარებთან ლეილამ მოიზიდა ჯემალი და კისერში აკოცა, მერე უცებ მოტრიალდა და დაღმართზე სირბილით დაეშვა. ვაჟს გამოდევნება მოუნდა, მაგრამ ფეხი ეტკინა.

_ ლე, _ დაიწყო, შემდეგ თავი შეიკავა, ტუჩები ისევ აეწვა, როცა გაიხედა თავდაღმართისკენ, ლეილა უკვე აღარა ჩანდა. «ოხ, ეგ ტუჩები, ნეტავ მეკოცნა, ნეტავ!» მერე ისევ ქვევით გაიხედა, ქუჩა ცარიელი მოჩანდა. «რაღა დროსია», გაიფიქრა.

წელი 1956. მაისის 20. კვირა.

<u>სიყვარული მარტის თვეში</u>

«ასეთია ალბათ ბედი, ბედი თეთრი ფერის. სიცოცხლეში თეთრი გედი მხოლოდ ერთხელ მღერის.»

გალაკტიონი

"Кто любил, тот любить не сможет. Кто не любил, тот прогорел"

Есенин

_ კარგი, ბიჭო, რა მოგივიდა, მოეშვი მაგ გოგოს.
_ მოშვებული არა ვარ?
_ კარგი ერთი. მითხარი მაინც, გიყვარს ძალიან?
_ არა. _ უპასუხა ნოდარმა.
_ მაშ რაღას დასდევ ამდენს? _ შეეკითხა თემო.
_ მე დავდევ?
_ რა ვიცი, მთვრალი სულ მაგის სიყვარულზე ლაპარაკობ.
_ მთვრალ კაცს რამე დაეჯერება?
_ რა ვიცი, ხან ფხიზელზე მეტი, ხან არა.
_ ჰო, შენც მართალი ხარ.
ნოდარმა თემოს ხელი გამოუყარა და წიგნების ფარდულისკენ წაიყვანა.
_ ნახე, ბიჭო, იეთიმ გურჯის ლექსები გამოუშვეს.
_ იეთიმ გურჯი ვინ არის?
_ პოეტი, აშუღი, მღეროდა, წერდა, რასაც გრძნობდა, იმაზე.
_ არ გამიგია.
_ დიდი არაფერია, თუმცა სიყვარულია.
თემომ გვერდზე გაიხედა, მერე თვალები ეშმაკურად აათამაშა.
_ ახლა კი მივხვდი, რა იეთიმ გურჯი აგიტყდა.
ნოდარი ყურებამდე გაწითლდა, შემდეგ გამყიდველს წიგნი გამოართვა და მარტოკამ განაგრძო გზა. ცოტა ხნის შემდეგ თემო წამოეწია.
_ ბიჭო, მართლა ღმერთივით გოგოა, მაგის მარტო უიმედო სიყვარულიც ღირს, არა?
_ რა ვიცი.
ნოდარი თავის ფიქრებში გაერთო. «ნეტავი იმან იცის, რომ მე მიყვარს, საიდან უნდა იცოდეს, თუმცა არა, ალბათ, იცის, ვინმე ეტყოდა.»
_ ნოდარ, გამარჯობა! _ დაუძახა ვიღაცამ. ნოდარმა მოიხედა, მერე ქუდი მოუხადა, ზრდილობიანად მიესალმა. გამარჯობის თქმამ ფიქრები დროებით შეაწყვეტინა, შემდეგ ისევ განაგრძო. «ალბათ, დღეს მოვა თამაშზე, ათი-თორმეტი ბურთი მაინც უნდა ჩავაგდო, მერე ედი გამაცნობს, იქიდან ერთად წამოვალთ. ნეტავი რა უყვარს? რაზე ველაპარაკო? კალათბურთის თამაში _ არა. ამას თავის თვალითაც ხედავს; ჯობია ისტორიაზე ვესაუბრო, ან ლიტერატურაზე. ჰო, მართლა, ჰემინგუეის რაიმე ნოველას მოვუყვები». ნოდარი ბაღში შევიდა, მექანიკურად დაჯდა სკამზე, ფიქრები განაგრძნობდნენ გეგმების წყობას, «მაგას მოპასანი ეყვარება, ჰო, მეც მის რომელიმე მოთხრობას მოვუყვები, თუნდაც «ნავსაყუდარში» ან «სამკაულს». მან თავი ნერვიულად გაიქნია. «რა სისულელეა მაგეების მოყოლა, ვითომ თვითონ არ წაუკითხავს, ალბათ ჩემზე ათჯერ მეტი იცის, თუმცა, რაც გიყვარს, იმაზე უნდა ესაუბრო, არა? არა, მაგას ჯობია, მოლას რომელიმე ანეკდოტს მოვუყვები, აი, უარესი სისულელე; ჰო, მართლა, როგორმე სიტყვას ზღაპრებზე ჩამოვუგდებ, მოვუყვები არაბულ ზღაპარს «ღმერთისა და დერვიშის» შესახებ. მაშ ასე, როცა გამაცნობენ, ალბათ, გავწითლდები, თუმცა ნათამაშები მაინც წითელი ვარ ხოლმე და ისე არ შემეტყობა. ასე _ ჯერ ჩამოვართმევ ხელს, ვეტყვი სახელს, არა, არ ვარგა, ვეტყვი გვარს, არც ეს მომწონს, არაფერს ვეტყვი, თვითონ ეცოდინება, მერე პირდაპირ ხომ არ მოვუყვები არაბულ ზღაპარს? არა, ჯერ შევეკითხები, გადიან თუ არა არაბეთის ისტორიას, ჰო, ჰო კარგია, ვითომ რაიმე წიგნი მჭირდება, შემდეგ ვეტყვი, ეგ ისტორია მეც ძალიან მიყვარს-მეთქი, განსაკუთრებით მათი ზღაპრები, სადაც მთელი

ფილოსოფიური საკითხები არაჩვეულებრივი სისადავით არის-მეთქი წამოჭრილი. ის მიპასუხებს, ნეტა რას?»

ნოდარი კვლავ მიუბრუნდა ფიქრებს, ახლა ეს გეგმა აღარ მოსწონდა. მალე თავში ახლის შედგენა დაიწყო. მერე ადგა და ჩაფიქრებული ქუჩაში გამოვიდა.

_ ჰაბარდა, ჰაბარდა! _ იძახდა მეეზოვე, თან ქუჩას რწყავდა. _ მოეცა-მეთქი, მიჭო, ვერა ხედავ, ამოგწუწე. ნოდარი შუა ქუჩაზე გადავიდა.

_ შე მამაძაღლო, ვერ გაიხედ-გამოიხედავ? _ მოესმა მანქანიდან შოფრის ხმა.

შემოტრიალდა. ქვევიდან ტრამვაი მოჰქროდა.

ტანში სიმსუბუქე იგრძნო, თვალები გაუბრწყინდა. სწრაფად გაქანდა რონოდისაკენ და ნაჩვევი მოძრაობით შეხტა კიბეზე, მაგრამ ხელი ვერაფერს მოჰკიდა, სახელური გამომძვრალი ყოფილიყო, წონასწორობა დაკარგა, ფეხებს ტანი ვერ ააყოლა და უკან გადმოვარდა. თავბრუ დაეხვა. ლიანდაგზე დადებულ მარცხენა ფეხს ტრამვაის გორგოლაჭმა ჭრიალით გადაუარა. გაისმა კივილი. ქვაფენილზე მომავალ ჭაღარათმიან ქალს ჩანთა ხელიდან გაუვარდა. რონოდის მგზავრებს სახე მოექცათ გვერდზე. წინა სკამზე მჯდარმა მოხუცმა ცოლ-ქმარმა ფეხები ძირიდან აიღეს უნებლიედ, ალბათ, ტვირთის შესამსუბუქებლად და აკანკალდნენ. ტუჩებშეღებილმა, მოკლეკაბიანმა რუსის გოგონამ ხმამაღლა შეჰკივლა, დაჭყეტილ თვალებზე ხელი აიფარა და ისე განაგრძო ყურება. ათიოდე მეტრის შემდეგ ტრამვაი მუხრუჭების ჭრიალით გაჩერდა. გაფითრებული მძღოლი ტელეფონ-ავტომატისკენ გავარდა.

პირველი შეგრძნება ნოდარისა იყო ხალხი, რომელიც გარს შემოხვეოდა. მას შერცხვა გარშემოხვეულების და თვალებზე აიფარა ორივე ხელი. მერე ტკივილი იგრძნო ფეხში და კვლავ დაკარგა გონება. ცოტა ხნის შემდეგ თვალები გაახილა, უაზროდ მიაშტერდა ვიღაცას. «ნეტავი ის ხომ არ მიყურებს, რა სირცხვილია», გაუელვა თავში. ტკივილის ახალმა შემოტევამ ფიქრი გააწყვეტინა. «ოჰ!» ამოიგმინა ყრუდ. «მაგათი ყოფაც ავატირე, ყველასი». ეგოისტურად გაიფიქრა, შემდეგ სცადა ფეხის აწევა და ადგილზე გაინაბა. მხოლოდ ახლაღა მიხვდა ბუნდოვნად, რომ ფეხი მოჭრილი ჰქონდა, ამ აღმოჩენამ თითქოს დაამშვიდა, აღარა რცხვენოდა, ტკივილიც გაუქრა. ახლა მას თვალებიდან ცრემლები მოსდიოდა. ნოდარი ბუნდოვნად გრძნობდა: ვიღაც თეთრებში ჩაცმულებმა ხელში აიყვანეს. ხალხი გაიყო. მერე საწოლზე დააწვინეს, საწოლი ოთახში შედგეს, შემდეგ რაღაცა, შეშის ნაჭერივით, გვერდზე დაუგდეს, «ნეტავ რა არის?» გაიფიქრა უნებურად. ჩქარა დაიღალა, გული ისევ შეუწუხდა და გონება დაკარგა.

ნოდარს დრო და დრო უბრუნდებოდა შეგრძნება. ჩურჩული, ტირილი, სიჩუმე, ისევ კარგავდა გონებას. ახლა იგი უკვე კალათბურთის მოედანზე იყო. გოგონები მის ლამაზ ტანს მალულად ჭვრეტდნენ. მას სიამოვნებდა ქალთა მზერა, უნდოდა, რომ იმასაც ეყურებინა მისთვის, მერე გაწითლდა. მეორე რიგში დაინახა, თავის ამხანაგებთან ერთად მჯდარი. თამაში დაიწყო. აი, გავარდა ნოდარი, გივიმ მიაწოდა ბურთი, სროლა. არ ჩავარდა. ათი ბურთი ააცილა, ოფლმა დაასხა ტანზე, სახეზე. ათი ბურთი. ახლა თამაში წაგებულია.

«ვაიმე», ამოიკვნესა ნოდარმა. საწოლზე ჩამომჯდარმა დედამ ნაზად დაადო ხელი მაჯაზე. «ნოდარ ჯანდიერი», ძლივს წაილუღლუღა მან და სახე გაუბრწყინდა. «ლეილა», მოესმა გოგონას სასიამოვნო ხმა. ნოდარს გული მოეცა;

ნოდარი: უკაცრავად, თქვენ კალათბურთის თამაში გიყვართ,
არა?

ლეილა: მე? დიახ!

ნოდარი: ჰო, ასეც ვიცოდი, თქვენ თვითონ არასოდეს გითამა-
შიათ?

ლეილა: არა, მაგრამ მაინტერესებს.

მან სული განაბა, უნდოდა დიდხანს ესმინა საყვარელი ქალის ხმა, მერე წამოწითლდა და პირდაპირ დაიწყო: «მე ერთ არაბულ ზღაპარს მოგიყვებით, გინდათ?» «დიახ, დიდი სიამოვნებით მოვუსმენ, მე ზღაპრები ძალიან მიყვარს.» ნოდარი გაათამამა ასეთმა თანაგრძნობამ, შემდეგ თვალებში შეხედა მას, მაგრამ ფერი ვერ გაარჩია და დინჯად დაიწყო: «იყო არაბეთს ერთი მეფე, მეფე ბრძენი და მჭევრმეტყველი».

ნოდარმა სიამოვნებით გაიღიმა, ხმა თავისუფლად ემორჩილებოდა. «ერთხელ მეფემ იხმო თავისი მრჩეველი და ჰკითხა:

_ ბრძენო! მითხარ ჭეშმარიტება სად არის, ან თუ არის, რასა ჰგავს?

_ დიდო მეფეო, _ მიუგო ბრძენმა, _ ჭეშმარიტება სად არის, არავინ იცის, ხოლო გვანებით იგი კეფასა ჰგავს, რომელიც ვიცით, სად არის, მაგრამ ვერასოდეს დავინახავთ.»

ნოდარმა დინჯად დაამთავრა თხრობა. იგი ამ წუთში ხის კენწეროს უყურებდა. როცა მზერა ქვევით გადმოიტანა, ის უკვე წასული დახვდა. «ლეილა, ლეილ!» დაიყვირა მან, მერე თვალი მოჰკრა ბაღის კარში სწრაფი ნაბიჯით გამავალს და მის გამოსაკიდებლად გაიწია.

_ ცივი ტილო, თუ შეიძლება. _ ცრემლნარევი ხმით სთხოვა დედამ ექთანს.

ექთანმა ტილო მიუტანა და ჩუმად ჰკითხა:

_ აბოდებს?

_ ჰო. _ დედას ცრემლები წამოუვიდა.

წელი 1956. 20 მაისი.

<u>როგორ უყვართ ახლა ერთმანეთი!</u>

ცქიტომ საბანი გვერდზე გადააგდო. მერე ფეხები მაღლა ასწია, რამდენჯერმე გაშალა და შეაერთა. შემდეგ ძირს დაუშვა, თვალები ისევ დახუჭა. ერთხანს ასე იწვა და ფიქრობდა: «დღეს ნეტა რა იქნება? ჯობია საბუთები ჩავაბარო კათედრაზე. სირცხვილია, ოთხშაბათს უნდა მიმეტანა, დღეს კი შაბათია. მერე ლეილას ვნახავ. არა, ორშაბათამდე მოიცდის. უფრო მოვენატრები. ლეილა, ეჰ! ირა რა გოგოა! ლევანმა მითხრა: მე რომ მივედი, ხულიგანი ვგონებივარ, ბანდიტი. თუმცა ეს ერთი მხრივ კარგია. თუმცა ვინ იცის?»

უსაბნოდ შესცივდა, დახორკლილი მკლავები დაიზილა და წამოდგა. მერე ივარჯიშა. ისაუზმა. ჩაიცვა და სარკეში ჩაიხედა. ცოტა არ მოეწონა თავისი თავი და ქუჩაში გამოვიდა. კიბეზე ელამი დამლაგებელი ქალი ჭუჭყიან წყლიან ტაშტში ტილოს ასველებდა. მან თავი წამოსწია, დაჭმუჭნილი სახე სულ დაემანჭა და ცქიტოს მიესალმა. ცქიტომაც ზრდილობიანად დაუკრა თავი. გარეთ პატარები ფეხბურთს თამაშობდნენ. მოპირდაპირე ალაყაფის კართან დამლაგებლის დაბალი, უშნო ქმარი იდგა და გრძელ მუნდშტუკში გარჭობილ «ავრორას» აბოლებდა. ლოთის უაზრო თვალებით უყურებდა ბურთის თამაშს. ბელეტაჟის ფანჯრიდან თავზე შალმოხვეულმა დიასახლისმა თავი გამოყო და წვრილი, უსიამოვნო ხმით დაიყვირა:

_ სეროჟ, ბიჭო, აქ მო, შეჭამადი მოგიმზადე.

სეროჟა, მტვერნარევ ოფლში გაწურული, მისდევდა ბურთს და რაღაც უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა.

_ არ გესმის-მეთქი, ბიჭო? ეგ გასაწყვეტი ბურთის თამაში არ გეყო? გაგონილა, ქა ამ დილაადრიანად ეგრე გაოფლვა.

_ აბა, აბა! _ კვერი დაუკრა ალაყაფის კარიდან გამოსულმა რომელიღაც მოთამაშის ბებიამ. _ ჩვენ დროსა, თუ ბურთს არა ვთამაშობდით, იმიტომ არ იყო კაცი საწყალი ჩემი ქმარი ვანოი. სულ გაგიჟდა ახლანდელი ახალგაზრდობა.

_ მაშა, მაშა! _ დაუმოწმეს კედელთან მდგარმა ქალებმა.

ცქიტომ ქუჩა აჩქარებული ნაბიჯით გაიარა, მერე მზეს მოჭუტული თვალით შეხედა. «საწყალი ნინო», ფიქრობდა «რა კარგი გოგოა, მაგრამ სულ აღარ მომწონს. ცოდვაა, მაგრამ მეზარება მასთან ყოფნა». ცქიტო მაღალი ტროტუარიდან მოხდენილად ჩახტა, ცალ ფეხზე შეითამაშა და დაბალი ბელეტაჟის ფანჯარაში შეიხედა. ფანჯრის რაფაზე 5-6 წლის ბიჭი იჯდა ნამტირალევი. ბებია მოსჯდომოდა, რაღაცას უამბობდა და გოგლიმოგლით გადაგლესილ კოვზს პირში სჩრიდა. აღმართზე გამოქანებული მანქანები მტვერს აყენებდნენ. თხუთმეტი წლის გოგონამ დიდი ჩანთითა და ფუშფუშა ლენტით გვერდზე ჩაურბინა ცქიტოს. მერე სკოლის ეზოში შეირბინა. ცქიტომ გაიფიქრა: «რა კარგებია პატარა გოგოები. აი, ეგენია საჩვენოები». მერე მაღალყელიან, შავ, ახლადგაპრიალებულ ფეხსაცმელებს დახედა. მათ ზემოდან მტვრის თხელი ფენა დასდებოდათ.

როცა ცენტრალურ ქუჩაზე გავიდა, ცალ ღილზე შეკრული პიჯაკი გაიხსნა, უნივერსიტეტის შენობას გახედა ალმაცერად, შემდეგ შემობრუნდა და მოპირდაპირე მხარეს წავიდა. ერთი გაჩერება ისე გაიარა, არაფერზე არ უფიქრია. უნივერსიტეტისა-კენ მიმავალ ტრამვაიში გურამი დაინახა და დაუყვირა. გურამმა მოიხედა და გაქანებული ტრამვაიდან «ზადნით» ჩამოხტა.

_ ბიჭო, სადა ხარ! _ ჩამოხტომისთანავე დაიწყო გურამმა, _ გუშინ დაბადების დღეზე ვიყავით, შენ გეძებდით, მერე თაზო წავიყვანე, მარტო მეზარებოდა წასვლა.

_ მაშ ახლა პახმელია იქნები.

_ჰო, ცოტა თავი მტკივა. ერთი ხუთი თუმანი მაქვს, წამო, დავლიოთ. ას-ასი და თითო ლუდი. მეტის თავი არა მაქვს. თუ გინდა, შენ ლულა-ქაბაბი აიღე.

_ რამდენს ლაპარაკობ. წამო, ჩავიდეთ.

_ ვისთან გინდა?

_ ტანც გეოსთან.

_ ერთი მაგისი, წაჩხუბებული ვარ.

_ მაშ, ირაკლისთან შევიდეთ.

_ იყოს ტანც გეო. რა ფეხებს მომჭამს.

ცქიტომ და გურამმა ქუჩა გადასერეს, ტროტუარზე ავიდნენ. გურამმა გარეთ მდგარ ჯიხურში კოლოფი «ნოვიე» გამოართვა და მალე ორივენი ტანც-გეოს დუქანში ისხდნენ.

_ აბა, გეო, ჩვენ ას-ასი, თითო ლუდი, ამას ქაბაბი, ჩქარა, გესმის, ლექციაზე გვაგვიანდება. იქნებ მეორეს მაინც მივუსწროთ. _ გურამმა ცქიტოს შეხედა.

_ ვნახოთ. _ უპასუხა ცქიტომ. მერე სკამზე კარგად მოეწყო და დუქანი შეათვალიერა. როცა ას-ასი დალიეს, ცქიტომ კიდევ მოითხოვა ორას-ორასი.

_ ბიჭო, _ უთხრა თვალებდაწითლებულმა გურამმა ცქიტოს, _ ლეილასთან როგორა გაქვს საქმე?

_ ისე რა.

_ ნინოს სულ დაანებე თავი?

_ რა ვიცი, კარგი გოგოა, ხომ იცი, მერე მეცოდება კიდეც. ერთგან უთქვამს, მაგან რო თავი დამანებოს, გავგიჟდებიო. ცოდვაა, ისეთი გული აქვს, მართლა რამე არ დაემართოს. ჯერ ცოტა დავშორდები და მერე უფრო ადვილი იქნება.

_ ჰო, ეგრე სჯობია. მაგრამ სულელი ხარ, რომ თავს ანებებ.

_ როგორ, ცოლად ხომ არ მოვიყვანო?

_ რატომაც არა.

_ თუმცა რა ვიცი, შეიძლება მართლაც მასე ვქნა. მაგრამ მერე, სად წავა.

_ ჰო, შენ ძალიან უყვარხარ.

_ ვიცი და იმიტომ მეცოდება.

_ ცქიტო, ნინო პატარობისას მგონი ნოდართან დადიოდა, მართალია?

_ რა ვიცი, ამბობენ. თვითონაც მითხრა, ძალიან ვუყვარდიო, მერე ცოტა დავახლოვდით, როცა ახლოს გავიცანი, ჭირივით შემჯავრდაო.

_ ჰო, ნიკომაცა თქვა, ეჯავრებაო ნოდარი.

_ მართლა რაღაც უსიამოვნო ვინმეა ეგ ნოდარი.

_ გეო, _ გასძახა გურამმა, _ ერთი აქეთ, პატივი გვეცი.

_ ახლავე, შენი ჭირიმე.

გეომ მოირბინა. საანგარიშოზე კოტიტა თითებით ორმოცდახუთი მანეთი ჩათვალა. გურამმა ორმოცდაექვსი მანეთი მისცა და გრილი დუქნიდან ამოვიდნენ. მზე კარგად წამოწეულიყო და ნასვამ ბიჭებს მწვავედ დააცხუნა. არაყი ნელ-ნელა ერეოდათ.

ბიჭები უნივერსიტეტის კართან მივიდნენ. სტუდენტების ჯგუფი რაღაცაზე დაობდა ერთმანეთში.

_ ჩვენი პედაგოგიკა მეჯავრება. მურტალი ვინმეა. _ ამბობდა ერთი.

_ შენ, ბიჭო, სმა-ჭამის მეტი ყველაფერი გეჯავრება. _ უპასუხა მეორემ. ცქიტო და გურამი, კედელზე მიყუდებულნი პაპიროსს ეწეოდნენ და სტუდენტების ლაპარაკი კარგად ესმოდათ.

_ შენცა თქვი რა, მეც ცუდი რამე მყვარებია.

_ ეგ ვის არ უყვარს. ისე გითხარი.

_ მართლა, სმა-ჭამაზე გამახსენდა. _ თქვა მესამემ. _ ხვალე ქორწილი გველის.

_ ვისი? _ ორივემ ერთად ჰკითხა.

_ ვისი? არ გაგიგიათ? ჩვენმა ნოდარამ ცოლი შეირთო. მერე რა გოგოა, რომ ნახოთ.

_ ვინ არი?

_ ნინო, არ იცი? თურმე ბავშვობიდან ჰყვარებიათ ერთმანეთი.

ცქიტომ და გურამმა ერთმანეთს გადახედეს, მერე ცქიტო ზევით ავიდა.

1956 წელი. კვირა. 1 საათი.

<u>ს ა ბ ა ვ შ ვ ო</u>

_ დათუნა! დათუნა! _ მოესმა ბავშვს შორიდან დედის ხმა.

დათუნამ ერთხანს ყური მიუგდო, მერე ჯოხის ცხენს შემოჰკრა მათრახი და პატარა ბარდებზე ხტუნაობით წყაროსკენ გაიქცა.

_ დათოო! _ კვლავ ისევ მოეწია წყაროსთან დედის ხმა.

დათუნა შემობრუნდა, დაიფრუტუნა, დაიჭიხვინა და ბუზღუნით სახლისკენ გამოჭენდა, «უჰ, ახლა გოგლიმოგლი გამიჭირვებს საქმეს, ან რძე, უჰ!» გააჟრჟოლა

ტანში ბავშვს. უცებ წინ ხვლიკმა გადაურბინა. მან სწრაფად მოიმარჯვა თავისი ჯოხის ცხენი და ქვეწარმავალს დაარტყა. ხვლიკმა კუდი ადგილზე დატოვა, თვითონ კი სასწრაფოდ მიიმალა. დათუნამ დაიწყო ჯაგების ქექვა, შემდეგ რაღაცა სორო იპოვა და ჯოხით ამოჩიჩქნა.

_ დათო! ბიჭო, არ გესმის, დედა რომ გეძახის? წამო ახლავე სახლში. _ წყნარად უთხრა თავზე წამომდგარმა მამამ. დათუნა დაემორჩილა და ფეხმოთრევით გაჰყვა.

_ ბიჭო, შენ ახლა უკვე ბავშვი კი აღარა ხარ, ხვალზევით თოთხმეტი წლისა ხდები.

დათუნამ ეშმაკური თვალებით გახედა წყალზე საწუწაოდ მიმავალ ტიტლიკანა სწორებს და უნებლიეთ ხელი გამოსტაცა მამას, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა.

მამამ წყნარად გადმოხედა, მერე მხარზე დაადო ხელი და საუბარი განაგრძო:

_ ბიჭო, მე რაზე გელაპარაკები, შენ კი სულ ცელქობაზე გიჭირავს თვალი. ცელქობა კარგია, რა თქმა უნდა, ძალიანაც კარგი, მაგრამ უნდა იცოდე დრო. მე სამი დღის მერე მივდივარ თბილისში და ოჯახი შენ უნდა დაგიტოვო. შენ იცი, როგორ დაუჯერებ დედას და მოუვლი შენს პატარა ძმებს. ახლა დედას გაუგონე ყველაფერი და დაბადების დღეზე ისეთ საჩუქარს მოგიტან, როგორიც არც ერთ შენს ტოლს არ ექნება. მე მგონი, მისი ღირსი შენ უკვე ხარ.

დათუნამ ყურადღება დაძაბა.

_ რას, მამა? _ ვეღარ მოითმინა პატარამ. მამამ გაუღიმა.

_ მოითმინე ცოტა. ეგეც ვაჟკაცობაში შედის. კარგი ვაჟკაცი ყოველთვის მომთმენია.

_ რათა? განა ვინმემ რო გამარტყას, არ ვუპასუხო?

მამა ცოტა არ იყოს დაიბნა.

«რა ვუთხრა», გაიფიქრა თავისთვის. «არ გაარტყას, უშნო შვილი რად მინდა, გაარტყას, ჩხუბიც არ ვარგა».

_ ვანო, კაცო, შენ რაღა მოგივიდა, ჩქარა ამოდით. _ გადმოსძახა აივნიდან დედამ.

მამა-შვილს უცებ დაავიწყდა ლაპარაკის თემა და აივანზე ასულები სუფრას შემოუსხდნენ.

ორი დღის შემდგომ, დაბადების დღეზე მამამ დათუნას გეკოს მარკის თოფი მოუტანა.

დათუნამ თოფს კარგა ხანი უყურა, მერე დინჯად გამოართვა, თავის საწოლთან დიდი ლურსმანი დააჭედა და ზედ ჩამოჰკიდა. ახლა უკან დაიხია, შორიდან დაუწყო ყურება. მამა, სავარძელში მჯდარი, გაზეთის ზევიდან სიამოვნებით უყურებდა ბიჭის განცდებს. დათო შემობრუნდა, მამას ხელი ჩამოართვა, გადაკოცნა.

_ მოდი, ბიჭო, დაჯექი, არა, ჯერ თოფი მომიტანე, აგიხსნი, როგორ უნდა მოვლა, ხმარება.

დათუნამ თოფი ჩამოიღო კედლიდან, სკამი მოიტანა. მამამ მუხლზე დაირტყა ხელი.

_ აქ დაჯექი, გენაცვალე.

_ არა, მამა, სკამზე ჯობია! _ ოდნავ დამორცხვებით უთხრა დათუნამ, რომელსაც, ჩვეულებრივ, ძალიან უყვარდა მამის მუხლებზე ჯდომა. «ოჰო, ასეთ დიდ შედეგსაც არ მოველოდი, რა უცებ დასერიოზულდა», გაიფიქრა მამამ, მერე თოფი გამოართვა.

_ აი, ეს არის კონდახი, ეს ლულა, ისინი დაკავშირებული არიან ამ ორი ხრახნით. ლულას შიგნიდან აქვს ჭრილები, რათა ტყვია შორს და მიზანში წავიდეს.

დათუნა სკამიდან ჩამოვიდა, სავარძლის სახელურზე დაჯდა და სულმოუთქმელად ადევნებდა მამის თითებს თვალყურს. «რას იტყვიან რეზო და

ნოდარი, როგორ გაუკვირდებათ. მათაც ვასწავლი სროლას, მერე სანადიროდ წავალთ. ჰო, ჩვენს ქოფაკსაც წავიყვანთ, ტყეში ცეცხლს დავანთებთ». დათომ მამას შეხედა, რომელიც დინჯად განაგრძობდა ახსნას. ცოტა ხანი ყური მიუგდო, შემდეგ ოცნებამ გაიტაცა. დათუნა თავს ებრძოდა, მაგრამ მთელი გულისყურით მაინც ვერ უსმენდა მისთვის ასე ძვირფას საუბარს. ახლა მამა ყველაზე საინტერესო ადგილას მივიდა:

_ აი, ეს გამონაშვერი არის სამიზნე. ჯერ უნდა გახედო ქვევითა სამიზნეში, შემდეგ, როცა იქიდან დაინახავ ზედას, ეცადე, რომ ქვედას თავზე გამავალი სწორი ხაზი, რომელსაც შენს გონებაში გაავლებ, მიებჯინოს ზედას წვერს. შემდეგ გამოსწევ ჩახმახს, ოღონდ ისე, რომ თოფი არ გაინძრეს.

დათუნა ახლა დაძაბული უსმენდა. თან ერთი სული ჰქონდა, თოფი თვითონ აეღო ხელში.

_ ახლა გაიქეცი, ბიჭო, და ჩემი ჩანთა მომიტანე.

მოტანილი ჩანთიდან მამამ პატარა კოლოფი ამოიღო, შემდეგ თავი მოხადა.

_ აი, ამ კოლოფში, როგორც ხედავ, არის გეკოს ტყვიები, სულ ორმოცდაათი. პირველი, რაც საჭიროა თოფის ხმარებისას, იცოდე, ესაა სიფრთხილე! სიფრთხილე! და სიფრთხილე! ჯერჯერობით თოფს მხოლოდ ერთად ვიხმართ.

_ შენ რომ ხვალ მიდიხარ, მამა?

ვანოს გაეღიმა.

_ კარგი, დაგიტოვებ, დღეს კი გასწავლი ხმარებას.

მამა წამოდგა. ორივენი აივანზე გამოვიდნენ.

_ აი, ეს არის ჩამკეტი, გადმოსწევ ასე, შემდეგ ტყვიას მისცემ ლულაში და ჩაკეტავ. მაშ ასე, აგერ იმ ვაშლს ხომ ხედავ. კარგი. ვიდებ მხარზე კონდახს. ვუმიზნებ.

მამამ ჩახმახს გამოჰკრა. ვაშლი გაქრა.

_ მოხვდა. _ თქვა მამამ.

_ ხო, მოხვდა. _ დაამოწმა დათომ.

_ მამა!_ თხოვნით შეხედა ბავშვმა.

_ ახლავე, ბიჭო, ახლავე. _ მამამ ტყვია ჩადო. _ გამომართვი თოფი და მოიმარჯვე, როგორც გასწავლე.

დათუნამ წყნარად ჩადო ტყვია და დაუმიზნა მეორე ვაშლს. მერე მაგრად მოჭუტა ცალი თვალი.

_ პც! _დაიძახა ტყვიამ.

ვაშლი ადგილზე დარჩა.

_ ეგ არაფერი, ბიჭო, ჩქარა შეეჩვევი. ოღონდ თვალს ასე გამწარებით ნუ ხუჭავ. თოფი თავისუფლად გეჭიროს და სროლის დროს სუნთქვა ოდნავ შეაჩერე. აბა შენ იცი, ფრთხილად, მე კი წავალ ახლა, სამუშაო მაქვს.

მამა ოთახში შევიდა. დათუნამ კი გაიფიქრა, «რა სირცხვილია. როგორ ავაცილე. ახლა კი აღარ ავაცდენ.» იგი ძალიან გაერთო სროლით, მაგრამ მიზანს ვერ აღწევდა.

პატარამ გზას გახედა. შორს დედა დაინახა, რომელიც სანოვაგით დატვირთული ბრუნდებოდა ბაზრიდან. მან თოფი სასწრაფოდ ჩამოკიდა ადგილზე და სირბილით წავიდა დედის მისახმარებლად.

_ ოჰო, შენ სახლში ხარ? _ გაუკვირდა დედას.

_ ჰო! დიახ!

დედამ თავზე გადაუსვა ხელი; დათუნამ კალათი ჩამოართვა და მხარზე გაიდო.

_ რა იყო, დათუნა, რამ ჩაგაფიქრა. გენაცვალე, დღეს რა, არ იწუწავეთ?

_ არა, დედა, არ მეცალა.

_ რათა, მამას ეხმარებოდი?

_ არა, თოფის სროლას მასწავლიდა.

_ რა თოფის?

_ დღეს ჩემი დაბადების დღის აღსანიშნავად მიყიდა.

«რამ აყიდინა ვანოს თოფი, ახლა ამისთანა ცელქი ბავშვისთვის როგორ შეიძლებოდა იარაღი», გაიფიქრა დედამ, მერე ალერსით უთხრა:

_ დათო, გენაცვალე, გარეთ არ გაიტანო ბავშვებში.

_ არა, დედა.

დათუნამ სანოვაგე მაგიდაზე დადო, მერე «საიდუმლო კუნძული» აიღო და ბაღში ჩავიდა საკითხავად.

«რა ვაჟკაცი იყო ჰერბერტი? როგორ ეხმარებოდა თავისებს, თანაც, მგონი, ჩემი ტოლა იყო. ნეტა მე რას ვიზამდი იმის ადგილას. ალბათ, ისევე მოვიქცეოდი. მართლა რა საინტერესოა, არა, უნდა ვეცადო, ისეთივე ვაჟკაცი გავხდე, ბოლოს და ბოლოს, ბავშვი ხომ აღარა ვარ. აი, მამამ თოფიც კი მიყიდა. მაშ ღირსი ვარ. ნეტა სანადიროდ თუ გამიშვებენ?» ფიქრები მშობლის ხმამ შეაწყვეტინა.

_ დათო, შვილო, საუზმეა.

_ ახლავე, დედა, მოვდივარ.

დათომ წიგნი ჩანიშნა, მერე სწრაფი ნაბიჯით ავიდა აივანზე.

დედამ და მამამ ერთმანეთს გადახედეს, მერე მამამ ორაზროვნად გაუღიმა დედას.

_ ქეთო, მე ხვალ მივდივარ. ალბათ, შენი და დღეს საღამოს ამოიყვანს პატარებს, ეყოთ ამდენ ხანს სტუმრად ყოფნა.

_ როდის ჩამოხვალ, ვანო?

_ ასე ერთ კვირაში. მანამდე კი დათუნას ვტოვებ ოჯახში შენ დამხმარედ, ახლა ეგ უკვე ვაჟკაცია, მაგას აღარ დასჭირდება დარიგება.

«მართლაც, რაღა დროს ჩემი დაუჯერებლობაა, პატარა ხომ აღარა ვარ, თოფიც კი მაქვს», გაიფიქრა დათუნამ და ოდნავ წამოწითლდა.

_ მქონდეს შენი იმედი, ბიჭო? _ თქვა ვანომ.

_ დიახ, მამა.

_ სადილის მერე რას აკეთებ?

დათუნამ წყლისკენ გაიხედა. ამ დროს იქ პატარები ერთმანეთს ეჭიდებოდნენ, წუწაობდნენ.

_ არაფერს, მამა, წიგნი უნდა ვიკითხო.

_ არა, შვილო, სადილის მერე ცოტა დაისვენე, მერე კი წადი ბიჭებთან, ითამაშე.

დათუნამ შვებით ამოისუნთქა. შემდეგ გადაწყვიტა ეთამაშა, მაგრამ დროზე დაბრუნებულიყო.

მეორე დღეს დედამ, დათუნამ და მისმა ორმა ძმამ მამა სადგურზე გააცილეს. უკან გზაზე თოთხმეტი წლის დათუნამ ხელი ჩაჰკიდა პატარებს და ცოცხლად მიჰყვა დედას. გული აღარ უთმენდა, ერთი სული ჰქონდა, სანამ სახლში მივიდოდა; ძალიან უნდოდა თოფის ხელში აღება, რომელიც ამ მოკლე ხანში ასე შეუყვარდა. თან გადაწყვეტილი ჰქონდა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, კარგი სროლა ესწავლა.

_ დათუნა, შვილო, რაზე ფიქრობ? _ გამოელაპარაკა დედა.

_ არაფერზე, დედა.

_ მე მგონი, შენ ისევ იმ თოფზე ოცნებობ, არა?

_ ხო, დედა.

_ დათო, შენ სახლში აიყვანე პატარები, მე აქ შევალ, საქმე მაქვს. შეგიძლია, ასაუზმო?

_ კი, დედა.

_ შემდეგ დააძინე.

_ კარგი.

_ მე წავედი.

დედამ გზიდან გადაუხვია. იგი აშკარად ამჩნევდა დათოს დასერიოზულებას და ზევით უფროსი ვაჟის ანაბრად მიმავალ ბავშვებს სიყვარულით უყურებდა.

როცა დათუნამ პატარები დააძინა, ჩამოიღო თოფი, მერე გაუტენავად, რამდენიმეჯერ დაუმიზნა ვაშლს. «ასე, ახლა კი აღარ ავაცდენ. ხო, ჯერ ჩავდებ ტყვიას, ახლა ჩავკეტე, ჩახმახი ფეხზე დგას, ვიდებ გულზე. სულ ყველაფერი რიგზეა, ერთ ხაზზეა სამივე წერტილი.»

_ პც, _ გავარდა თოფი.

«აღარ არის ვაშლი,» სიხარულით დაასკვნა გულში დათუნამ, მერე მეორეს ესროლა.

_ ასცდა.

კიდევ ესროლა.

_ მოხვდა.

«ასე, სამში ორს ვარტყამ უკვე, მაგრამ ვაშლი ხომ ცოცხალი არ არის, არ ინძრევა. მთავარია, ცოცხალ რაიმეს მოვარტყა. აი, თუნდაც ჩიტს».

დათუნამ თოფი მოიმარჯვა. მეზობლად მდგარ ბლის ტოტზე გატიკნული ღობემძვრალა ქანაობდა.

_ პც, _ დაიძახა თოფმა.

ჩიტი გაქრა. დათუნა ხისაკენ გაიქცა.

«მოვარტყი, მოვარტყი», უხაროდა პატარას. მერე მამის სავაზნე და საგუდავები ჩამოიტანა, რომელზედაც მოკლული ჩიტი დაიკიდა.

ჩიტების პატარა გუნდმა თავზე გადაუქროლა და იქვე, მახლობლად დაჯდა. დათომ ესროლა, _ კიდევ მოხვდა.

მთელი საათი ნადირობდა პატარა დათო და შვიდიოდე ჩიტი ჩამოაგდო.

ახლა იგი მსროლელი, ნამდვილი მსროლელი იყო; უნდოდა, რომ მამა მალე ჩამოსულიყო, _ როგორ გაახარებდა. დარწმუნებული იყო, რომ ის ტყეში წაიყვანდა სანადიროდ, იქ კი დიდ ნადირს მოკლავდა. ალბათ, ბიჭებს გაუკვირდებოდათ, რომ მათი ამხანაგი მონადირე გახდა. მათ ხომ თოფი არც კი სჭერიათ ხელში, მან კი უკვე შვიდი ჩიტი მოკლა.

ბეღურა ვაშლის კენწეროზე შემოჯდა და ტოტმა ლამაზად დაიწყო რხევა. დათუნამ გადაწყვიტა, ეს ჩიტიც მოეკლა და მერე დაესვენა. დათუნამ თოფი მოიმარჯვა. პატარა ჩიტი ყელმოღერებული იჯდა კენწეროზე. მზე ღრუბელს მოეფარა და მორუხო ცის ფონზე ფრინველის გვერდზე მშვენივრად ჩანდა. პატარა მონადირეს ძალიან მოუნდა, რომ ამ ფრინველისთვის შიგ თავში მოერტყა. მან დინჯად დაუმიზნა თოფი.

_ პც, _ გაისისინა ტყვიამ.

დათუნამ ჩიტს შეხედა. ფრინველი უღონოდ დაეშვა ქვედა ტოტზე, აქ ცოტა ხანს გაჩერდა, მერე უფრო ქვევით ჩამოეშვა. საწყალი ჩიტი დაჭრილი ჩანდა. დათუნას გააჟრჟოლა, თოფი კუთხეში მიაყუდა და სავაზნე, საგუდავებიანად, რომელზედაც შვიდი ფრინველი ეკიდა, მოიხსნა. დახოცილი ჩიტების დანახვა რაღაც აღარ ესიამოვნა. ახლა იგი ხის ძირისაკენ გაიქცა. აქ, ხახვის კვლებში იჯდა პატარა ჩიტი. «ცოცხალია,» შვებით ამოისუნთქა პატარამ, მაგრამ რაღაც არ იძვრის, ალბათ, დავჭერი. რაც გინდა იყოს, მოვარჩენ,» მისცა თავს პირობა, მერე დაიხარა და

ფრინველი ხელში აიყვანა. «ოი», უნებლიეთ აღმოხდა ბავშვს «საწყალი, საწყალი». ჩიტმა თავი ახლა მთლიანად მოაბრუნა. ნისკარტის ადგილას მხოლოდ წითლად გამოყოფილი ენაღა ჰქონდა. პატარა მკერდი ჩქარ-ჩქარა უცემდა. დათუნას გული შეემკუშა, «ეს რა ვქენი,» გაიფიქრა მან. მერე ნელა წამოვიდა აივნისკენ, აქ ჩიტი ნაზად დასვა მაგიდაზე და წყალი მოუტანა. ჩიტი შეშინებული იყურებოდა, მკერდი სულ უფრო ხშირად უცემდა. «ოხ, მხეცი ვარ, მხეცი! როგორ მომივიდა ეს, ნეტა მომეკლა მაინც, თუმცა რად მინდოდა. წავალ, ვაშლს დავუჭრი, იქნება შევაჭამო როგორმე». დათუნამ კიბე ჩაირბინა, აქვე, ღობეზე ჩამოკიდებულ მგუდავებს მოჰკრა თვალი, რომლებზედაც საცოდავად ჩამოხრჩობილი ქანაობდნენ ფრინველები. დათუნას გული შეეკუმშა. «რა ბოროტი ვყოფილვარ, რა უსინდისო, რისთვის დავხოცე, თუმცა ჰერბერტიც ხომ ხოცავდა, და სხვა მონადირეებიც, ვინც ვაჟკაცებად ითვლებიან.» ამის მოგონებაზე ცოტა შვება იგრძნო. ვაშლის ხის ძირში ტყვიისგან დაფხრეწილი ხილი ეყარა. «ესეც აღარ იჭმება, სულ დამიგლეჯია», დათომ ისევ უხერხულად იგრძნო თავი, მერე ერთი ვაშლი აიღო, აივანზე წვრილად გახეხა და ჩიტს მიუტანა, ფრინველი კი იჯდა და სულ უფრო საცოდავად სუნთქავდა. «რა სულელი ვარ, უნისკარტოდ ეს ვერც შეჭამს, ვერც დალევს, მაშ რა მოუვა ნეტავი? საწყალი, ალბათ, შიმშილით მოკვდება, რომ მოვკლა, აჯობებს, ნამდვილად აჯობებს. ხო, მოვკლავ, წამებას გადარჩება.» დათომ ჩიტი ხელში აიყვანა, «როგორ მოვკლა, საწყალი», პატარას ცრემლები მოადგა, მერე ლოყაზე ბუძგებმა დააყარა, მისი ხელით მოკვლა არ შეეძლო; ქვევით ჩაიყვანა ჩიტი, იქ, ღობეზე დასვა, თავი დაანება, შემდეგ ისევ აივანზე დაბრუნდა და წიგნი აიღო, მაგრამ კითხვა ვერ შეძლო. იგი თვალს ვერ აშორებდა ღობეზე მჯდარ ფრინველს. «მაინც რატომ ხოცავენ საწყლებს. მამაჩემიც ხომ ხოცავს, ნეტა არა რცხვენია? რათა ხოცავს? საწყალი ჩიტები, როგორ მეცოდებიან, ნეტავ რად ხოცავენ, ან რატომ ითვლებიან ვაჟკაცებად. მამა თვითონ ამბობდა, შენზე სუსტსა და პატარას არა სცემოო. ბავშვმა ძლივს გაამახვილა ყურადღება წიგნის კითხვაზე. ქვევით მოთხრობილი იყო, ჰერბერტი როგორ გამოვიდა სანადიროდ. ახლა ამ ბიჭმაც ოდნავ დაკარგა მის შეგრძნებაში პატივისცემა.

დათუნამ ისევ ჩიტს გახედა, მას თავი მიებრუნებინა და უმწეოდ იყურებოდა. «ნეტავ, რას უყურებს», ძლივს მოასწრო გაფიქრება, რომ მეზობლის კატამ ერთი სკუპით მოხსნა ჩიტი ღობიდან და ტყრუშულს გადაევლო. დათუნა სწრაფად წამოხტა და თოფით ხელში გამოუდგა კატას, მაგრამ კატა გაუჩინარდა. «ოხ, რა ვერაგები არიან კატები, სიამოვნებით დავხოცავდი, ტყუილა არა მძულდა, საწყალი ჩიტი, რას ერჩოდნენ.» ღობესთან ისევ დაინახა ჩამომხრჩვალი ფრინველები. ნიჩაბი აიღო და მათთვის საფლავის თხრას შეუდგა. მიწის მიყრის შემდეგ ლამაზად შემოულაგა ქვები და გადაწყვიტა, ხვალვე ზედ ყვავილები დაერგო, მერე დაენანა, რომ ერთი კატამ გაიტაცა და შეიძლება შეჭამა კიდეც. დათო ზევით ავიდა. წიგნის კითხვა განაგრძო, თან კატა ეჩვენებოდა.

ახლა იგი იმ ადგილას იყო, სადაც ჰერბერტმა ფრინველი მოკლა, ხელში აიტაცა და გახარებულმა დაიძახა:

_ დღეს ჩვენ მშვენიერი ბულიონი გვექნება!

_ მართლაც და ყოჩაღ, ასეთი სადილი თვით მეფესაც შეშურდებოდა, როგორსაც ამ ფრინველისგან ჩვენი მაიმუნი დაამზადებს. _ დასძინა პროფესორმა.

დათუნამ წიგნს თვალი მოაშორა და მზერა სივრცეში გადაიტანა. ქვევით სოფლის მტვრიანი გზა მოჩანდა, რომელზედაც ურემი მიიზლაზნებოდა. შარაგზა მამამისის ნაცნობმა მონადირემ გადასერა და ბუჩქებს შეერია. «ეგეც სანადიროდ მიდის. რა

გემრიელ სადილს აკეთებს მერე ძია სიკოს ნანადირევიდან დეიდა თამარა,» გაიფიქრა მან.

«მიაუ,» დაიკნავლა ამ დროს მეზობლის კატამ და მოაჯირზე ამოძვრა, პირში ჩიტის ბურტყლები ჰქონდა გაჩხერილი. დათუნამ სწრაფად დაავლო თოფს ხელი, მერე ისევ დაუშვა. «მაგას ჩემზე ნაკლები დანაშაული აქვს,» ბუნდოვნად ფიქრობდა იგი «მაგან შეჭამა მაინც, ალბათ, მაგისთვის გემრიელი იყო, მე კი სულ ტყუილა დავხოცე».

დათუნა ძალიან, ძალიან დაღალა ამდენმა ფიქრმა. იგი ბურანში გაეხვა, შემდეგ ჩაიძინა, კატა კი ფეხებთან მიუჯდა, თავი ტერფზე დაადო და მანაც ჩათვლიმა.

წელი 1956. თვე ივნისი. რიცხვი 14-15.

"მაია ბენზინის სუნმა შეაწუხა..."

მაია ბენზინის სუნმა შეაწუხა. გრძელ ავტობუსში ჩამოცხა. მგზავრები თვლემდნენ. ციცკამ ფანჯარა ჩამოსწია და თავის დას კანფეტი მიაწოდა. მაიამ გამოართვა. პიტნა პირში ჩაიდო. ცოტა ესიამოვნა.

_ ციცკა, ჩქარა იქნება სევანი?

_ ჰო, აღმართის იქით.

_ დიდია?

_ ძალიან, თანაც ულამაზესი.

ავტობუსმა უკვე მეთორმეტედ მოუხვია. მაიას ისევ დაეხვა თავბრუ. მგზავრები დუმდნენ. ცოტა ხნის შემდეგ გზამ გაივაკა და მანქანაც მთელი სვლით წავიდა. «სევანი, სევანი», დაირხა ხმა მგზავრებში. შორს უზარმაზარი ტბა ლივლივებდა, ტბის იქით თოვლიანი წვეროები სამხრეთის მთებისა და ღრუბელი, თეთრი, თანაც ხშირი.

_ ეს არის სევანი? _ სუსტი ხმით იკითხა მაიამ.

_ აბა, გოგო, ნახე, როგორია. აქ თევზი იცის, «იშხანი».

მანქანამ მოტიტვლებულ სოფელში ჩაიქროლა. ბანებზე ტიტლიკანა, ჩაშავებული სომხის ბიჭები და ქერათმიანი რუსის ბავშვები გაჰყვიროდნენ რაღაცებს. ახლა იგი სევანის ნაპირს დაუყვა და რესტორან «მინუტკასთან» შეჩერდა.

ისევ ავტობუსი. ისევ გზა, ბენზინის სუნი, სომხური ლაპარაკი. მოსახვევები გათავდა. მაიას თავის ტკივილმა გაუარა.

_ ციცკა, ერევანში მარტო სომხები ცხოვრობენ?

_ კი, გენაცვალე, მარტო სომხები.

_ თბილისში თუ სომხებიც არიან, რუსებიც, სხვებიც?

_ მერე რა?

_ როგორ, აქ რა, არ უშვებენ?

_ როგორ არა, თვითონ არ ჩერდებიან, მწირია ნიადაგი.

ავტობუსი მოტიტვლებულ გორებს შორის მიჰქროდა. გზებზე გადმომდგარი სომხის ბიჭები მინდვრის ყვავილებს ვარდის ფასადა ყიდდნენ.

ერევნის ახლოს რამდენიმე ხე გამოჩნდა, მერე ისევ შიშველი ბორცვები დაიწყო. გამოჩნდა დედაქალაქიც. მანქანა ახლა უფრო დიდ დაქანებაზე დაეშვა. გზის მარცხნივ უზარმაზარი მონუმენტი იყო აღმართული.

_ ასეთი დიდი ძეგლი მთელ კავშირში არაა. _ ამაყად თქვა ვიღაცა სომეხმა.

_ ვისია? _ შეეკითხა მაია.

_ ვისი და სტალინის, _ სომეხმა თავმომწონედ გადმოიხედა, _ ქართველებსაც კი არა აქვთ.

_ დიდი ნაკლია, _ ჩაიცინა ციცკამ.

კიდევ ერთი დიდი მოსახვევი და მანქანა ფართო, სწორ ქუჩაზე გავიდა. ლამაზი ქუჩა, გემოვნებით ნაშენი სახლები და ხელოვნურად გახარებული ხეები. გზა ტრამვაიმ გადაჭრა. ახლა ავტომობილი დიდ მოედანზე გავიდა, რომლის კიდეშიაც დადგმულ ისეთივე დიდ ლენინის ძეგლს თითი ქუჩის ამ მხარისკენ ჰქონდა მოშვერილი. გზა მეორე მოედნისკენ წავიდა. აქ ავტობუსმა შემოუარა მოედანს და გაჩერდა. დაიწყო ჩამოსვლა. ციცკა და მაია ბოლოს ჩამოვიდნენ. სასტუმრო «ნიცაში» მამა უცდიდათ.

ინსტიტუტის მდივანმა დღის წესრიგი გამოაცხადა, შემდეგ მამა ავიდა კათედრაზე. ციცკას ენა ჩაუვარდა და ცივმა ოფლმა დაასხა. თვალი დედისაკენ გაექცა, რომელიც აკადემიკოს რუხკიანის ცოლთან იჯდა. მას სახე ოდნავ წამოუწითლდა მეუღლის გასვლისას, მერე გაფითრდა და დისერტანტს თვალი აარიდა.

დარბაზი ერთის წამით გაჩუმდა.

დაიწყო დაცვა. მამას ოდნავ ებმოდა

ენა. გაუჭირდა სულ შეუმჩნევლად წინადადებების დაწყობა. ციცკამ ძლივს ასწია თავი და შეხედა მას. ის არ იყურებოდა თავისიანებისაკენ. ღელვამ იმატა. «ვერ დაიცავს, ვერ დაიცავს, აი, ნახავ», გაეჯიბრა თავისთავს და ინანა, რომ ესწრებოდა. დარბაზი ნელა აშრიალდა; გვერდზე, მაგიდასთან ძლიერი პროფილის მქონე მეცმუშაკი ვიღაცა დიდთავა და დიდყურა კაცს რაღაცას უმტკიცებდა, მერე ორივემ ჩაიღიმა, ლაპარაკი შეწყვიტეს და დისერტანტს მიაშტერდნენ. ციცკას გულში რაღაცა ძაფი გაუწყდა, თვალებში სისხლი მოაწვა და წამოდგომა სცადა. ოფლში იწურებოდა. შეეშინდა, თავისი გასვლით მამაზე ცუდად არ ემოქმედა. მიშა კი ახლა უფრო თამამი გახდა. მან ხელში საჩვენებელი ჯოხი აიღო და მრუდეებს დაუარა. შვილს შინაარსი პირველად არ ესმოდა, მხოლოდ გრძნობდა ტონს, მერე ჩაუკვირდა და ყური მიუგდო.

გვერდზე მაგიდა ისევ აშრიალდა. ციცკა სახეების გარჩევას შეუდგა. ძლიერპროფილიანი ისე იღიმებოდა, რომ ნამდვილად მისგან შავი იყო მოსალოდნელი, დიდთავასაც ითანხმებდა ალბათ. ძლივს დაიჭირა თავი, რომ არა სცემოდა. კაცმა მთელი ექვსი წელი იწვალა, ამდენი უშალეს ხელი და ახლა ჩაფლავება. იმავე მაგიდაზე მჯდომმა სიმპათიურმა კაცმაც რაღაც უკმაყოფილო სახე მიიღო. «ეგეც წინააღმდეგს მისცემს, ალბათ,» გაიფიქრა ციცკამ და მთელი ის მაგიდა შეჯავრდა, შემდეგ მზერა სხვა მაგიდაზე გადაიტანა. იქით სრული სიწყნარე იყო, ხანდახან რომელიმე მათგანი ინიშნავდა მხოლოდ რაიმეს. დარბაზში უკრაინულ პერანგში გამოწყობილი კაცი შემოვიდა და პირველ მაგიდას მიუჯდა. უსიტყვო ღიმილით მიესალმნენ, მოსულმა მიმიკით რაღაცა იკითხა. ციცკას მოეჩვენა, რომ თბილისი და მამის სახელი ახსენეს.

დისერტანტის შესავალი სიტყვის მეორე ნახევარი დამცველმა მშვენივრად ჩაატარა. დაიწყო ოპონენტთა გამოსვლა. პირველი იყო საქართველოს წარმომადგენელი აღლაძე _ უდიპლომო პროფესორი. შესავალში ჩვეულებრივი ქება უძღვნა და ნელა, დემაგოგიურად შეაპარა ნაკლთა ჩამოთვლა. პირველი მაგიდა აშრიალდა. რამდენიმემ სიამოვნებით ჩაიღიმა, ბოლო მაგიდაზე ვიღაცა ახმახმა

სომეხმა ღიმილით რაღაცა ჩაიწერა. ციცკა წამოწითლდა, ყელში ბოღმა ბურთივით მოაწვა. «ჩავარდება, ვაი, სირცხვილო, ამათი დედა ავატირე, რაღა აღლაძე აიყვანა, თუმცა ჩავარდეს რა. დავუშვებ, რომ ჩავარდა, რას იზამ». ახლა ფული მოაგონდა, თვეში იღებდნენ ორასოცს, რა ცოტაა, თითქმის არაფერი, ერთ ამდენს კიდევ კარგავდნენ, თან ვალები, აქ წამოსვლაც რამდენი დაუჯდათ. ახლა თავისა შერცხვა, რომ ასე დაწვრილმანდა. «ფული სულ არ მინდა, ოღონდ სირცხვილი, სირცხვილი».

ახლა ოპონენტი ისევ ქებაზე გადავიდა და მალე სიტყვაც დაამთავრა. მის შემდეგ სომეხი პროფესორი გამოვიდა რეცენზიით. ციცკას სახე გაებადრა, მხოლოდ ქება და ქება. პირველ მაგიდაზე უკმაყოფილო სახეები დაინახა, ისევ წამოწითლდა. გახედა დედას. მას მთელი ყელი დასწითლებოდა, ხოლო სახე სანთლის ფერი ჰქონდა. არაჩვეულებრივად ნაზი და საყვარელი ეჩვენა იმ წუთში. ძალიან მოუნდა მისთვის ეკოცნა. პირველ მაგიდასთან ვიღაცამ ნელა გაიცინა. მან ძლივს დაიჭირა თავი, რომ არ სცემოდა.

_ უკაცრავად, დისერტანტი მამათქვენი ხომ არაა? _ იკითხა უცნობმა ქალმა, რომელიც შეუმჩნევლად გვერდზე მოსჯდომოდა.

_ დიახ. უკაცრავად, ახლა თქვენ მითხარით: აი, იმ მაგიდაზე რვა კაციდან რამდენია სამეცნიერო საბჭოს წევრი?

_ არც ერთი.

ციცკამ შვებით ამოისუნთქა, სულ მოეშვა გულზე.

_ თუმცა არა, აგერ ის არის, ხო, ისიც, არა, არა, ბოდიში ეგენი ყველანი შედიან კენჭისყრაში.

სიბრაზისაგან წამოწითლდა. «ეს რვა აქვე წინააღმდეგია, იქაც რაღაც სხვანაირად იღიმებიან, აგერ ისიც, ისიც», მან თვალები მოხუჭა, «ჩააგდებენ, ჩააგდებენ».

პროფესორის მერე აკადემიკოსმა ილაპარაკა, იმანაც ძალზე აქო. ახლა ცოტა მოეშვა გულზე, «ნეტა გავიდეს და ფულს არასოდეს ვინატრებ, რა არის ფული», გაიფიქრა მან.

ახლა პასუხის დრო მოვიდა.

მამა მშვენიერ ფორმაში შევიდა. ახლა სულ თავისუფლად ლაპარაკობდა, ერთხელ იოხუნჯა კიდევაც. რუსულიც, ოდნავი ქართული კილოთი, მშვენივრად ემორჩილებოდა.

ვაჟს აშკარად მოეწონა მშობელი. თეთრი, კარგად შეკერილი ქურთუკი და «ბუტილკა» შარვალი, თავის ჩამოტანილ ყელსახვევთან ერთად, სახარბიელო იერს აძლევდა მის სავსე, მარილიან სახეს. ძალიან მოეწონა მამა. მისი პასუხები, მოკლე და გასაგები, დარბაზის წევრთაც მოსწონდათ. პირველ მაგიდაზეც კი რამდენიმეჯერ დადებითად დააქნიეს თავი. ნახევარი საქმე მოგებული იყო.

_ თქვენ წინააღმდეგის გეშინიათ, _ დაიწყო მეზობელმა ქალმა.

_ მე, არა, უფრო სწორედ, არ ვიცი.

_ ნუ ღელავთ, თქვენს მამას სადარდელი არაფერი აქვს. აი, ნახავთ, ერთხმად გავა, ერთი-ორიც რომ იყოს შავი, არაფერია.

ციცკა უზომოდ მადლობელი იყო მისი. ვიღაცამ ხელი აიწია შეკითხვისთვის. დისერტანტი ჩასაწერად მოემზადა.

(1956 წ. 30 ივნისის შემდეგ)

<u>გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი მ ო დ ი ს</u>

(წაწლაობა არაყთან)

_ კეთილი იყოს ჩვენი ფეხი ამ ოჯახში, _ გიგიმ ჯიხვის რქა ასწია, ტუჩებთან მიიტანა, მთელი სახე დამანჭა, მაგრამ მაინც დასცალა.

_ რა მოგდის, ბიჭო, როგორც გეტყობა, ვერ ხარ ნაჩვევი აქაურ არაყის სმას. _ ღმანჭვით უთხრა ჩაჩაურმა, მერე ყანწი ჩამოართვა და თვითონ მოსვა დაულოცველად.

გიგი : ჩაჩაურ!

ჩაჩაურ: რა?

გიგი : დალევით დავლევ, რამდენსაც გინდა.

ჩაჩაურ: სვი, ბიჭო, მერე რა გიშლის.

გიგი : სუნს ვერ ვიტან.

ჩაჩაურმა გადაიხარხარა:

_ სუნი რას გიზამს, მოიჭი ცხვირზე ხელი.

მან ისევ ჩამოასხა ტიკიდან არაყი, ჯიხვი გაივსო პირამდე, ცოტა გადმოიღვარა და ხევსურს ხალათი დაუსველა.

_ ერთიც დალიე, გიგი, სამს რომ დალევ, სუნს ვეღარ იგრძნობ.

_ მოიტა, კარგი, ხო არ მომკლავს, მთელი ხევსურები ამასა სვამთ და.

გიგიმ სავსე ყანწი ჩამოართვა, სახე წინასწარ დაემანჭა, შემდეგ ერთი ყლუპით გადაუშვა ყელში.

_ ბოდიში, ბიჭო, სატანი არაფერი გვაქვს.

_ კარგი ერთი.

გარედან ცხენის გაბმული ჭიხვინი გაისმა. ჩაჩაურმა ორი ყანწი ზედიზედ დაცალა, მერე გარეთ გამოვიდა. ამწვანებულ ფერდობზე ცხენი ყელმოღერებული იდგა და ჭიხვინებდა. ჩაჩაური უკან შემობრუნდა.

გიგი : რა აჭიხვინებს შენს ულაყს?

ჩაჩაურ: რა ვიცი.

გიგი : მაინც.

ჩაჩაურმა ხმამაღლა გადაიხარხარა. ცხენმა ისევ დაიჭიხვინა.

ჩაჩაურ: ალბათ, ფაშატს ეძებს, გაზაფხულია.

გიგი : ამ დროს უნდებათ ულაყებს?

ჩაჩაურ: მთაში კი, ბარში არ ვიცი.

ახლა გიგიმ გაიცინა. სიცილის დროს სახე ოდნავ მოებრიცა. «დავთვერი ცოტა», გაიფიქრა გულში, მერე გააჟრჟოლა, «ოხმე, ახლა სად არის ნათავადარის ქალი მერი». გიგის უფრო აემღვრა თვალები. ცალი ხელი თავის ბარძაყს მოჰკიდა და ტიკს დაუწყო უაზრო თვალებით ყურება.

გიგი : მოიტა, ბიჭო, ჩამომისხი.

ჩაჩაურ: მახველ, ბიჭავ, ხასიათზე.

გიგი : ვაჰ, რა უცებ მოიგონე მშობლიური, მოუქციე კიდეც.

ჩამოასხი, ახლა ვარ სმის ხასიათზე.

ჩაჩაურმა ყანწი აიღო, მერე ტიკი მუხლზე შეიგდო და უცებ გადმოუშვა არაყი. ერთი ყანწის ტოლა მაინც დაიღვარა. ხევსურული ქვენოს მიწის იატაკი ხარბად იწოვდა სითხეს.

ჩაჩაურ: დალიე, ოღონდ ძალიან არ დამეთრო.

გიგი : თუ არ დამათრობს, მაშ რად მინდა?

ჩაჩაურ: ვხუმრობ.
გიგი : ნეტავი შენ.
ჩაჩაურ: რათა?
გიგი : ნუ გიყვარს ჩაციება, რა ვიცი, რათა. ამ ჭიქით, არა ყანწით «ორბელიანთა გაუთხოვარი ქალების ძუძუ-ებს გაუმარჯოს».
ჩაჩაურ: გაუმარჯოს.
გიგის მაგრად მოეკიდა არაყი, ახლა უკვე სიბრაზე უელავდა თვალებში.
_ იცი, ვინ იყვნენ ორბელიანები? არა, მაგას კი არ გკითხავ.
_ აბა? _ ჩაჩაურმა სულელური გამომეტყველება მიიღო.
გიგი : ოხ, ჩაჩაურ, ახლა ქალი, ქალი, _ გიგის გააზმორა, მერე ხელი უფრო მაგრად მოუჭირა.
გიგი : ამას რა ვუყო, ბიჭო, ამას, მაწაწლავე მაინც ვინმესთან.
ჩაჩაურმა ისევ გადაიხარხარა.
გიგი : რა გაცინებს, ბიჭო?
ჩაჩაურ: დალიე, ბიჭო, გაწაწლავებ.
გიგი : მაიტა, მაგის დედაც ავატირე.
გიგიმ ორი ყანწი კიდევ დაცალა.
ჩაჩაურ: დალევ კიდევა?
გიგი : მაიტა.
გიგიმ ისევ გამოცალა.
ჩაჩაურ: გიგივ, ბიჭო, ქალი არ გინდა?
გიგის ორივე ხელი უღონოდ ჩამოეშვა.
ჩაჩაურ: გიგივ, არაყს დალევ კიდევა?
გიგის ორივე თვალი მოეხუჭა.
ჩაჩაურ: გიგივ, წამო ცხენით. გაჯირითო.
გიგიმ ხვრინვა ამოუშვა.
ჩაჩაურმა გადაიხარხარა, ულაყს გამოხედა გარეთ, მერე გიგის ნაბადი მიახურა და თავისთვის თქვა ხმამაღლა: აკი გაწაწლავე არაყთან, ბიჭავ, ჰა?

წელი 1956. თვე ივლისი. რიცხვი 18. 1_1 1/2.

ლ ი ა დ ა გ ი ა

(ამბავი)

_ გია, გია, აქეთ მოდი.
ლიამ ხელი მოჰკიდა გიას, მერე დაიკუზა, პატარა, ლამაზი ცისფერი ყვავილი მოგლიჯა და გაუწოდა.
_ ლია, მაგისთანა ყვავილების მთელ თაიგულს დაგიკრეფ, როცა შატილში მივალთ, ახლა კი გავიქცეთ, თორემ ჩვენები ძალიან წინ წავიდნენ.
_ ძალიან წინ? _ ლიამ წყენით შეხედა გიას.
_ ხო, ლია, _ გიამ სულელური სახე მიიღო.
არღუნი კი მოდიოდა ზათქითა და გრიალით.
ლია: გია, არ გიყვარს მთის მდინარის მზერა?
გია : ძალიან.

ლია: მეც, განა არ არის არაჩვეულებრივი?

გია : ხო.

ლია: არ გინდა, ჩამოვსხდეთ, მოვუსმინოთ, მიყვარს, როცა გავბრუვდები წყლის ღმუილისა და ქვების ხმაურისა

განა, შენ?

გია : არ ვიცი, მე მგონი გვაგვიანდება.

ლია: კარგი, წავიდეთ.

გიამ ლია წინ გაუშვა, თვითონ კი ვიწრო ბილიკით უკან მიჰყვებოდა. ბილიკმა ზევით იწყო აწევა. არღუნის ბღავილი უფრო ყრუდ ისმოდა, მალე უფრო მიწყნარდა. აქ მთის უზარმაზარი ფერდა იწვა. ბილიკმა ისევ ქვევით დაუხვია. არღუნის ხმაურმა იმატა, მალე ბღავილში გადაიზარდა. გიამ ლიას ხელი მოჰკიდა, მერე ნეკი თითი მის ნეკს გამოუყარა და ხელის ქანაობით ხიდისკენ მიმავალ გზას დაადგნენ. ხიდის თავში უზარმაზარი ლოდი ეგდო, რომლის ქვედა ნახევარსაც წყალი უვლიდა ზევიდან.

_ ლია, ჩამოვსხდეთ, _ უთხრა გიამ ლოყების ბერვით.

_ არ მინდა, _ ეშმაკურად გაიცინა ლიამ, მერე თვითონ პირველმა მოჰკიდა ხელი და დიდ ქვაზე შესკუპდა. აქ კაბა წვივებზე მაგრად გადმოიწია და ისე დაჯდა. გია მთელი სიგრძით გაწვა წყლისკენ დაქანებულ ლოდზე. გია მთას უყურებდა, ლია წყალს.

გია : ლია, ლია!

ლია : ლა გინდა, ლა გინდა?

გია : ალაფელი, ალაფელი.

ლიამ პატარა ჩანთა გახსნა, იქიდან კანფეტი ამოიღო და გიას ჩაუდო პირში.

_ ოჰ, გემრიელია, _ ესიამოვნა გიას.

ლიამ გაიცინა.

_ რას იცინი? _ იკითხა გიამ.

_ არაფერს, _ ლიამ გიას ცხვირზე დააჭირა ხელი.

_ ნუ იცინი! _ უთხრა წყრომით გიამ.

_ რათა? _ გაიკვირვა ლიამ.

გია : შენ თვითონ იცი.

ლია: ხოო, ახლაღა მომაგონდა.

გია : შენ განა არ იცნობდი.

ლია: გურამს? კარგად ძალიან, ნოდარსაც, ორივენი კარგი ბიჭები იყვნენ.

გია : საწყალი გურამი, განა მისი ბრალი იყო?

ლია: არ ვიცი.

_ როგორ არ იცი! _ წყრომით უთხრა გიამ.

_ ხო, ვიცი, _ დაამშვიდა ლიამ.

გია : შენ არაფერიც არ იცი. გურამს ვერ წარმოედგინა, რომ იმისთვის რაიმე ეკადრებინათ.

ლია: მერე?

გია : ნუთუ შენ მართლა კარგად არ იცი?

ლია: მე? ცოტა სხვანაირად გავიგე.

გია : ხომ იცი, გურამს ოთხი წელი უყვარდა ის.

ლია: ვინ?

გია : ვინც არის, ის. ჰოდა, მერე მასაც შეუყვარდა.

ლია: მერე?

გია : მერე, მერედა დაიწყეს ერთად სიარული. ერთხელ გურამი ბრუნდებოდა მარტო, დალეული.

ლია: ბევრსა სვამდა საწყალი, არა?

გია : ხო, ნუ მაწყვეტინებ, ყური მიგდე. ჰოდა სიბნელეში

თვალი მოჰკრა ნაცნობ ჩრდილებს; მერე ჩრდილები მობრუნდნენ. გურამმა იცნო. ის კოცნიდა ნოდარს.

ლია: რა უსინდისობაა, უმადური.

გია : მაცადე _ გურამი მთვრალი იყო, თან გაბრაზებული.

დანარჩენი შენც იცი.

ლია: დანა დაარტყა?

გია : ხო.

ლია: იქვე მოკვდა?

გია : დიახ.

ლია გიასკენ მიიწია, გია ახლა ჩამომჯდარიყო და მდინარეს უყურებდა. ლიამ ხელკავი გამოსდო, მკლავი თავისკენ მიიზიდა. გიამ იგრძნო ლიას მკერდის სიმხურვალე.

_ ლია, _ ლუღლუღით თქვა გიამ.

_ რა გენაცვალე, _ ლია კიდევ უფრო მიეკრა.

_ არაფერი. საწყალი გურამი, კიდევ უფრო მეცოდება, _ გია სახეზე წამოწითლდა.

_ ხო, ცოდოა, _ ლიამ გიას თავზე ხელი გადაუსვა.

გია : ხომ იცი, რომ მე ნოდართან ერთად გავიზარდე.

ლიამ შეწუხებული სახე მიიღო. თავისთვის გაიფიქრა, «ისევ იმაზე ლაპარაკობს».

ლია: ხო, გენაცვალე.

გია : ახლა კი გურამი უფრო მეცოდება.

ლია: ვერ გავიგე.

გიამ თავისკენ მოიზიდა ლია, მერე მისი ხშირი, წაბლისფერი თმა ხელზე დაიხვია, ცალი ხელი ავხორცად მოჰკიდა წელზე. თავი უკან გადაუგდო და დაეკონა. დიდხანს კოცნიდა მის ნაზ ყელს, შემდეგ ყვრიმალს, შუბლს, თმას. ლია დაიღალა, განაზდა და უფრო საყვარელი გახდა.

_ ლია, _ უთხრა გიამ.

ლიამ თვალები გააღო, წამწამებზე ცრემლი უბრწყინავდა.

_ მე მოვკალი გურამი აი, ამ დანით.

გიამ დანა ამოიღო, მერე წყალში გადაისროლა, შემდეგ ლიას ტუჩებს დაეკონა.

_ ლია, გენაცვალე, _ გიამ თავზე გადაუსვა ხელი. ლია ტიროდა, მერე თვალებზე დაიფარა ხელი და თავი ვაჟს კალთაში ჩაუდო. გიამ ქალის თმა ორივე ხელით აკრიფა, შიგ თავი ჩარგო. შემდეგ თვითონაც ასლუკუნდა.

პირველი ლია წამოდგა. გია ისევ იწვა ქვაზე. მზე უკვე შუა ცას გაუსწორდა.

_ ადექი, გია, წავიდეთ, ჩვენები ვინ იცის, როგორ შორს წავიდნენ.

გოგონამ ცრემლები შეიმშრალა. ბიჭი კი ისევ იწვა. ახლა ის მხოლოდ სლუკუნებდა.

გია ნელა წამოდგა, შეყვარებულს მხარზე ხელი დაადო, მერე ყვრიმალზე აკოცა. ორივენი ნელი ნაბიჯით მიჰყვებოდნენ ბილიკს. მზე კი სულ უფრო აცხუნებდა. მყუდრო, ჩაბურული ხეობა ძლივსა სუნთქავდა. «საწყალი ჩემი გია, რა კარგია, თან რა უბედური, ალბათ, ღამეები აღარა სძინავს, საწყალი, ნეტა როგორ მოკლა», გიამ ხელი მოუჭირა მხარზე. გოგონას გააჟრჟოლა. «ნუთუ ამ ხელით მოკლა, უჰ, რა საშინელებაა,

არა, მძულს, საზიზღარი, ურჩხული». ლიამ ხელი გიას მხარზე დადებულ ხელს დაადო და თანაგრძნობით მოუჭირა, «არა, მიყვარს, კიდევ უფრო მიყვარს», განაგრძობდა ფიქრს თავისთვის.

_ ლია, _ დაარღვია სიჩუმე გიამ, _ იცი რა?

გოგონამ თანაგრძნობით მოუჭირა ხელი.

_ იცი რა? _ გაიმეორა გიამ, _ მიყვარხარ, გესმის, მიყვარხარ, არა, ეს თავისთავად. მე სხვა რაღაც უნდა მეთქვა.

ბიჭი ჩაფიქრდა, მერე განაგრძო:

_ უფრო მეტიც, შენ პირველი ხარ, ვინც ეს ამბავი გაიგო, ოხ, ეგ რა შუაშია სიყვარულთან, არა, მაინც გეტყვი. დიახ, შენ პირველი ხარ, შეიძლება, შენ უთხრა ვინმეს, წამოგცდეს. არც მაგას ვდარდობ, გესმის. ხო გაიგე, მე გავთავისუფლდი, ჩემი საიდუმლო სხვამაც იცის. მე არ ვაპირებდი იმის მოკვლას, არც მოვკლავდი. რად მოვკალი? აღარ მახსოვს, ხო, აღარ მახსოვს, მე ვდარდობ, ვნაღვლობ, თუმცა არ ვიცი, შეიძლება, კარგიცა ვქენი. ოჰ, დავიღალე.

ლია: კარგი, გენაცვალე, ნუღარ ლაპარაკობ მაგაზე, აღარ გინდა.

გია : მაშ, რა ვქნათ. თუმცა შენ მართალი ხარ.

ლია: ნეტავი ჩვენები შორს იქნებიან?

გია: არა მგონია, ალბათ სადმე ისვენებენ, ამ მზეში არ ივლიდნენ.

ლია: არ მოგწონს ჩვენი მასწავლებელი, ვანო?

გია : კი.

ლია: დიდი ხანია იცნობ?

გია : არა.

ლია: შარშან მაგისმა ცოლმა თავი ჩამოიხრჩო.

გია : ? ? ?

ლია: ვერ გავიგეთ რატომ, ოხ, რა სულელი ვარ, ისევ იმაზე, მეტს აღარ, გია, გენაცვალე. მართლა, იცი,

თბილისში რომ ჩავალთ, ახალი ჯაზი იქნება.

გია : ? ? ?

ლია: გია, გენაცვალე, ნუ მიყურებ ეგეთი თვალებით.

გზა ახლა პირდაპირ ხიდზე გადავიდა. აქ არღუნი წყლის შხეფებს ასხამდა. შეყვარებულები დადგნენ. გია ხარბად ისუნთქავდა ნესტიან ჰაერს, გოგონას წვეთებმა თმა შეუვერცხლისფრა. ორივენი დასველდნენ. ბიჭმა ოდნავ ჩაბუქნა, ხიდი გაინძრა, მერე რხევა დაიწყო.

ისინი ხიდზე გადავიდნენ, აქ აღმართი იწყებოდა, ცოტა ზევით წყარო გამოჩნდა. წყაროსთან გარუჯული, წვერგაბურძგნილი იჯდა მოხუცი და ყალიონს აბოლებდა. ცხვრის ფაფახი ყურებამდე ჩამოფხატოდა, ხოლო შუბლზე წინ ჩამოშლილი, ჭუჭყიანი, ოფლისგან დასველებული ჭაღარა თმა ეყარა. გვერდზე გრძელი, ცალლულიანი თოფი ედო. წყაროს თავზე ვიღაცას ძველი გუდა ჩამოეკიდა. მოხუცი კი იჯდა და გრძელი შესუნთქვებით უშვებდა რუხ ბოლს.

_ გამარჯობათ, პაპა! _ მიესალმნენ ახლად მოსულები.

მოხუცმა დინჯად მოაბრუნა თავი, მერე უაზროდ შეხედა ქალ-ვაჟს. «ნეტა რას დაეხეტებიან ამ მთა-ღრეში უპატრონოდ, ან ქალებ სად უშოვიათ» გაიფიქრა გუნებაში, შემდეგ წყნარად დაუქნია თავი.

_ პაპა, ჩვენებმა თუ გაიარეს აქეთ?

მოხუცმა ჩასისხლიანებული თვალი მიაშტერა ბიჭს.

_ ბიჭავ, მუცალ ხო არსა გინახავს?

გიამ და ლიამ ერთმანეთს გადახედეს.

_ პაპა, მუცალი ვინ არის?

მოხუცმა გაკვირვებული სახე მიიღო.

_ მუცალ არ იცითა? _ ახლა ეჭვით შეხედა ხევსურმა მოსაუბრეს, _ ჩემი მოსისხლეა ის. ჩემ დათვიკა ჰყავს მოკლულ.

გია ჩამოჯდა ქვაზე.

გია : რად მოჰკლა, პაპავ?

პაპა: ქიშპობ ჰქონიყოთ ცხენზე.

გია : მერე?

პაპა: რა ვიც, მაეკლ მერე.

პაპამ ყალიონი მოქაჩა, მაგრამ ბოლი არ ამოვიდა. «ჩამქრალ», გაიფიქრა გუნებაში. «მაცდურ ხალხ არს ეს ქალაქელებ», შემდეგ ტალკვესი ამოიღო. კარგა ხანს უჩხიკინა, როგორც იყო მოუკიდა. მალე ყალიონის წევაში გაერთო, თან გამოფიტული თვალებით უყურებდა ბილიკს. სიჩუმე ახლა ლიამ დაარღვია.

_ პაპა, აქ ვის უცდით?

მოხუცმა ყალიონი გადმოაბრუნა, დაფერფლილი თამბაქო მუხლზე დაიბერტყა, მერე საჩხიკინებლით დაუწყო წმენდა.

_ პაპა, დიდი ხანია აქ ზიხართ? _ კითხვა შეუბრუნა ლიამ.

პაპა: ათ წელ იქნების.

ლია: ? ? ?

პაპა: ათ წელ ჰო, დღეს ვკითხ მგელიკას.

ლია: მართლა?

პაპა: მუცალს ველი.

ლია: სად არის?

პაპა: ამბობენ ციხეში; მაგრამ ან გამაიქცავ, ან გამაუშვებენ,
მაშინ სით წავა.

ლია: სადამდე იჯდებით, პაპა, აქ?

პაპა: სანამ არ ავიღებ დათვიკას სისხლს.

გია : აქ რას ჭამთ, პაპა?

პაპა: საგზალ ან მგელიკას, ხან მზექალას მოაქვს.

გია : რა იცით, რომ აქ გამოივლის?

პაპამ ისევ გზას გახედა, მერე ყალიონი ამოიღო, ქისა გახსნა, თამბაქოს ყლორტი დააჭრა, შემდეგ ხელის გულზე დაიყარა. როგორც იყო ყალიონი გატენა, შემდეგ ტალ-კვესი აწვალა და მოუკიდა. გააბოლა. გარეშემო წეკოს მყრალი სუნი დადგა. ქალ-ვაჟი წამოდგა.

_ ნახვამდის, პაპა.

პაპამ გზას გახედა. ახალგაზრდები გზას გაუდგნენ.

პაპა კი სულ იჯდა და არაფერზე არა ფიქრობდა.

წელი 1956. რიცხვი 18[2-3] და 20[11-12]. თვე (ივნისი.)

<u>როგორ გამოიცვალა</u>
<u>«უკეთესობისაკენ» იგორ კობზლუკოვი</u>

_ Парня молодого полюбила я, _ დაიწყო უსმენოდ წვევამდელმა იგორ კობლუკოვმა, მერე მიმოიხედა და კისრამდე შეკრული საყელოს ზედა ღილი გაიხსნა. «მეთაური ბარე ერთი ათ წუთს არ მოვა,» გაიფიქრა მან და მეორე ღილიც გაიხსნა, კისერი შვებით აამოძრავა.

_ იგორ, ძმობილო, _ გამოეხმაურა გვერდზე მჯდომი დუბოვი, _ ვინ იცის, ჩვენი გოგოები ახლა მაგ სიმღერას გვიმღერიან, აგერ ორი თვეა, რაც ჯარში ვართ და უკვე სამი წერილი მივიღე ჩემი კატიასაგან. ვიცი, სულ ჩემზე ფიქრობს, ოჰ, რო იცოდე, რა ქალია, _ დუბოვი როლებში იჭრებოდა.

_ ადექ! სმირნა! _ გაისმა ათმეთაურის წრიპინა ხმა.

სალდათები უსიტყვოდ წამოცვივდნენ, საყელოები მექანიკურად შეიკრეს.

_ თავისუფლად! _ გასცა ბრძანება ოცეულის უფროსმა.

_ თავისუფლად! _ გაიმეორა ათმეთაურმა.

_ ათმეთაურო, მოაწყვეთ ჯგუფი ფრონტით აღმოსავლეთისკენ, ორ მწკრივად! _ გასცა განკარგულება ოცმეთაურმა.

ათმეთაურმა ადგილი ამოარჩია.

_ ჯგუფო, ორ მწკრივად, და_დექ!

აწყობილმა ჯგუფმა ათმეთაურის მარცხნივ დაიკავა ადგილი.

_ ამხანაგო უმცროსო სერჟანტო, ერთ საათის შემდგომ ჯგუფი იქნება მდინარის პირას, სასროლზე.

_ არის! _ ხელი აუღო ათმეთაურმა.

_ ჯგუფო, ჩემ უკან ნაბიჯით იარ!

რვა კაცისაგან შემდგარი ჯგუფი ერთი კაცივით დაიძრა.

_ Если завтра война, если завтра в поход, _ დაიწყო ვიღაცამ.

_ Если завтра война, _ აიტაცეს სხვებმაც, _ სიმღერამ ხალისი შემატათ. მიდიოდნენ მწყობრად. მზე კი სულ უფრო მწვავედ აჭერდა. სალდათები მიდიოდნენ ფეხაწყობილნი. არავინ არ ფიქრობდა არაფერზე, რიტმი, ორ თვეში გამომუშავებული რეფლექსი, ბატონობდა ყველაზე. «ცხელა, ეშმაკმა დალახვროს», გაიფიქრა იგორ კობლუკოვმა, რომელიც ყველაზე ძნელად ეგუებოდა ჯარს. «ჩრდილიც არსად არის, გინდაც იყოს, ვინ მოგცემს უფლებას, თავი შეაფარო, მიმიფურთხებია ასეთი ცხოვრებისათვის, უჰ, რა გაძლებს აქ სამი წელიწადი, ამ ორ თვეში ლამის გავგიჟდე. დუბოვი ბედნიერი კაცია, წერილებს იღებს, წერს, მე კი მარტო ვარ. ვის მივწერო წერილი. თუმცა რატომ, აგერ ივანოვი თავის საცოლეს არც კი იცნობს, აქ არის მისამართები, იწყებენ მიწერ-მოწერას, მერე ხვდებიან ერთმანეთს. ოჰო, უეჭველად მივწერ. აი, რა დავწერო, ესაა საქმე.» იგორი ფიქრებში გაერთო. ახლა რიტმში ჩავარდნილი, სიცხეს ვეღარა გრძნობდა, მებრძოლთა უნიჭო სიმღერაც სიამოვნებდა. ჯგუფმა ნახნავებში გადაუხვია. სალდათებმა სიმღერა შეწყვიტეს. სიცხე აუტანელი ხდებოდა. არავინ ფიქრობდა რაიმეზე, აღარ ფიქრობდა იგორ კობლუკოვიც.

სადილის მერე იგორმა საწერ-კალამი აიღო და წერას შეუდგა. მისამართი მას კულტკლუბში მისცეს: ვორონეჟი, ლენინის ქ. №21, სართული მე_4, ბინა №16, Макова Марина. იგორს უყვარდა ეს სახელი, ალბათ, ამიტომაც ამოირჩია ეს გოგო.

წერილის წერა არ ეწყობოდა: «~~ჩემთვის ძვირფასო~~ უცნობო ~~ქალიშვილო გოგონავ~~, მეგობარო» (იგორი ნელ-ნელა უსვამდა ხაზებს), მერე გადაწყვიტა, ასე დაეწყო: «უცნობო მეგობარო, მე ბევრი ვიფიქრე, თუ როგორ დამეწყო თქვენთან წერილის წერა, ბოლოს ჩემს თავს მივეცი უფლება, თქვენთვის მეგობარი მეწოდებინა. თქვენ მე არ გიცნობთ, არც თქვენ მიცნობთ მე, მაგრამ, რადგან გამოსთქვით სურვილი,

საბჭოთა არმიის რიგებში მდგარ რომელიმე სალდათს გასცნობოდით, ამით უკვე მომეცით უფლება, თქვენთვის მეგობარი მეწოდებინა, რა თქმა უნდა, უცნობი». (იგორმა წერილს გადახედა: «რა ამბავია ამდენი «თქვენ», ბრაზით გაიფიქრა გულში, ალბათ, მომიხდება გადაწერა»). «მე თქვენ შესახებ (ეშმაკმა დალახვროს, ისევ ეს «თქვენ») არაფერი ვიცი, გარდა თქვენი მისამართისა». იგორს ჩაეღიმა, «ფუი ეშმაკს," "რას გადამეკიდა ეს «თქვენ». არა, სჯობია, ხვალე დავამთავრო, მწყობრში მოვიფიქრებ კარგად.»

«ნეტა როდის მომივა პასუხი, ალბათ, შევუყვარდები, უეჭველად შევუყვარდები, განა ისე შეიძლება, მე უკვე მიყვარს», ფიქრობდა იგორ კობლუკოვი მწკრივში.

_ ერთი, ერთი, ერთი, ორი, სამი. _ უთვლიდა ფეხს მეთაური.

_ მარჯვნისა_კენ! _ მოისმა ბრძანება.

_ რიგითო კობლუკოვ, თქვენ ისევ აურიეთ ფეხი.

_ ჯგუფო, სდექ!

_ რიგითო კობლუკოვ, ორი ნაბიჯით წინ ნაბიჯით იარ!

კობლუკოვი ზლაზვნით გამოვიდა.

_ რიგით კობლუკოვს მწკრივში დისციპლინის დარღვევისათვის ვუცხადებ ორ რიგგარეშე მორიგეობას, _ მეთაურმა პატივი სცა და უბრძანა, თავისი ადგილი დაეკავებინა. «ნეტა როგორი სახე აქვს»? განაგრძობდა ფიქრს იგორი. «ჯარს როცა გავათავებ, თუმცა ჯერ ორი წელი და რვა თვე დამრჩა, მაგრამ, ალბათ, უფრო ადრე გამიშვებენ, ვიყიდი მანქანას, კარგ კოსტიუმს და ისე ჩავუვლი ჩემს მარინას. ნეტავი ჩვენი ქარხანა როგორ მუშაობს».

_ შესვენება ათი წუთი, და_ჯექ!

ჯგუფი დაეშვა.

იგორი კი განაგრძობდა ფიქრს: «ჩვენთან, სამოტორეში ყოველი მეხუთე მოტორი წუნდებულია. აფსუს, არ წამოვეყვანეთ აქ, მე ხომ ვიცი, რისი ბრალიცაა. ორ თვეში ისე გავაკეთებდი, რომ ყოველი მეოცე ყოფილიყო მარტო წუნი.» იგორმა გამოანგარიშებები დაიწყო.

მეორე დღეს კობლუკოვი სამზარეულოში მორიგეობით იხდიდა თავის სასჯელს. დილით ადრე იატაკები დააკრიალა, მერე ორი უზარმაზარი ქვაბი გახეხა, მთელი ორი საათი ეკიდა თავდაყირა შიგ.

_ ყოჩაღი ბიჭია ჩვენი იგორი. _ გადაულაპარაკა ერთმა მზარეულმა მეორეს.

_ ჰმ! ეგ ქარხანაში უნდა გენახა, რა ბიჭი იყო.

_ ჰო, აქებდნენ.

_ ნეტა აქ რატომ იღებს ამდენ საყვედურებს, ეგეთი მარჯვე.

_ ვინ იცის.

იგორი მწვანე სალდათის სახელოთი იწმენდდა ოფლს, მერე მზარეულებს თვალი ჩაუკრა:

_ ჩაიბარეთ ქვაბები, თქვე ძაღლის შვილებო.

_ ყოჩაღ, იგორ, ყოჩაღ! _ უთხრა სიცილით ერთმა.

_ ბიჭო, შე მამაძაღლო, რამდენი დაგრჩა?

_ ორი და რვა თვე.

იგორი აიმრიზა.

_ შენა?

_ ბოლო წელი მიდის.

მზარეულებმა ჭუჭყიანი ტომრებიდან ფუთობით ვერმიშელი ჩაცალეს უძირო ქვაბში.

_ იგორ, ბიჭო, მე ხორცზე მივდივარ, არ მიგეწვეს, იცოდე, ეგ ქვაბი, თორემ ჰაუპტვახტი არ აგცდება.

იგორმა დიდი ჩამჩა აიღო და მოურია.

_ დარდი ნუ გაქვს.

«ყალიბში», კობლუკოვი მოტორების პროპორციებს ადგენდა გონებაში, «ვუშვებთ თორმეტ კილოგრამ ფოლადს. ზუსტად ეს ასე, როცა მეტი მოდის, გინდა ნახევარი კილოგრამით, ან ნაკლები. მაშინ ცვდება, გამოცდისას. თავიდანვე ვეუბნებოდი ივან იაკოვლევიჩს, მაგაში დამთანხმდა, მაგრამ სქემა, სქემა ვერ მოვიგონეთ ფოლადის შენადნობის ზუსტი გაშვებისათვის. ეშმაკმა დალახვროს, ხუთში ერთხელა ტყუის, ტყუის აღმრიცხველი, რა მოსდის, ნეტავი. ჰო, ჰო, ჰო». კობლუკოვი მზარეულის მაგიდისაკენ გაიქცა, მიუჯდა, დასტაცა მის ფანქარს ხელი და რვეულის ყდაზე ანგარიშს შეუდგა. მთელი საათი ითვლიდა ციფრებს, შლიდა, ისევ ითვლიდა. «ასე, მორჩა, ხვალვე გავუგზავნი ქარხანაში».

_ კობლუკოვ! _ მოისმა ყვირილი ყურთან.

იგორი სმენაზე დადგა.

_ ვერა გრძნობთ დამწვრის სუნს, მომეცით ეგ ნაჯღაბნი.

ფანჯარასთან თავი მოიყარეს სალდათებმა.

_ ისევ კობლუკოვია.

_ ეჰ, მეც ეგეთი ვიყავი.

_ შენ რა, ვასია რომ იყო, ტყუილია.

_ მერე რა, ახლა ხავერდივითაა.

_ ჰო, გამოსწორდა.

_ აბა, როგორ!

_ სმენა! _ დაიძახა სასადილოს მორიგე ლეიტენანტმა, _ რიგით კობლუკოვს სასადილოში მუშაობის დროს წესრიგის დარღვევისათვის ვუცხადებ ხუთი დღე თავისუფლების აღკვეთას, სასტიკი პატიმრობით!

ლეიტენანტმა ხელი აუღო, შემდეგ დაუმატა:

_ მხედველობაში იქონიეთ, ყოველი დღე, რომელსაც გაატარებთ საპატიმროში, ემატება თქვენს სავალდებულო დღეების რიცხვს.

მეექვსე დღეს საპატიმროდან გამოსულ კობლუკოვს ათმეთაურმა ურჩია:

_ იგორ, აიღე წესდება და წაიკითხე, შენ ჯერ კიდევ ორი წელი და რვა თვე უნდა იყო ჯარში.

_ კობლუკოვ, თქვენი წერილია, მაკოვასაგან.

იგორმა გახსნა კონვერტი, სახეზე ღიმილმა გადაურბინა, მერე მოიღუშა, წერილი მაგიდაზე დადო, ცოტა ხნის მერე წესდებას კითხულობდა.

სალდათებმა ხელი ჰკრეს ერთმანეთს:

_ როგორ შველის კაცს ჰაუპტვახტი.

_ ჰა, ჰა, ჰა, ჰა.

იგორი კი განაგრძობდა კითხვას:

მუხლი II. «იყავი უსიტყვოდ მორჩილი შენს ზევით მდგომი ჩინებისა. შეასრულე ბოლო ბრძანება ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, შენ მასზე არ აგებ პასუხს. პასუხს აგებს ბრძანების გამცემი».

«რა მენაღვლება», გაიფიქრა იგორმა, «მეტი რა ძალაა, უნდა შევასრულო, კაცმა რომ თქვას, სწორიცაა» იგი დაფიქრდა. «ალბათ, სწორია. ყველა ასე იქცევა, ვინც არა, აგერ, ბელოუსოვს ასთორმეტი დღე აქვს გატარებული ციხეში, ახლა სამ თვენახევარი

კიდევ უნდა იმსახუროს.» მან მარინას წერილს დახედა. «ეს გოგო კი სულ ტყუილა გამეჩხირა, ვინ იცის, როდისა ვნახავ, ან სანამ ვნახავდე, რას აკეთებს, ერთი მაგისი», იგორმა წერილი მოისროლა.

_ კობლუკოვი ამ თვეში საგრძნობლად გამოიცვალა უკეთესობისაკენ.

_ სწორია, _ დაამოწმა ათმეთაურმა ოცეულის უფროსის შეხედულება.

«ავიტან, როგორც იქნება, ბოლოს და ბოლოს რა გახდა ეს ოცნება, სხვები ხომ იტანენ, ასე უფრო ჩქარაც გადის დრო».

_ იგორ, რამდენი დაგრჩა?

_ ერთი წელი და ხუთი თვე.

_ ისე, როგორაა შენი საქმეები, ბიჭო? ვხედავ, დაუწინაურებიხართ, ეფრეიტორობა მიგიღია.

_ ხო._ იგორმა ხელი აუღო და გაიარა.

მერე ვიღაცა სალდათს დაუძახა.

_ შეიკარით საყელო, და გახსოვდეთ, რომ ჩვენი სამხედრო წესდება წმინდა რამაა, სადაც სწერია, რომ სამხედრო ფორმის დამრღვევი მიჩნეულ უნდა იქნას დისციპლინის დიდ დამრღვევად.

შეშინებული სალდათი გამოჭიმული იდგა.

_ სალდათო ივანოვ, რამდენი დაგრჩათ?

_ ორი წელი და ცხრა თვე.

იგორს გაეღიმა.

_ არა უჭირს, შეეჩვევით.

პოლკში ლაპარაკობდნენ, რომ იგორ კობლუკოვი, ყოფილი წესრიგის დამრღვევი, სამაგალითო ეფრეიტორი და მოქალაქეა.

1956 წლის (ივლისი)_აგვისტო.

«სტილნი» (ანუ ქალაქის) ბიჭები და ზღვა

ნოდარმა ხელი მოდუნებით გაიქნია, მერე მეორე გვერდზე გადაბრუნდა და ძილი განაგრძო. ბუზები ახლა მხარზე დაასხდნენ. «მაგათი მომგონი რა ვთქვი», დაიწყო ბუზღუნი, საწოლზე წამოჯდა და ფანჯარაში გაიხედა. შორს, ზღვაში გემი იდგა. «ნეტა რა გემია, ახლა ზედ ვიყო, ბუზები მაინც არ შემაწუხებდნენ.»

_ ადექი, ბიჭო, _ ახლა თავის ამხანაგს გადმოსწვდა, რომელიც იწვა და ტანზე ბუზების თარეშს ვერა გრძნობდა.

_ რა გინდა? _ ბრაზით გამოეხმაურა ლევანი, ზეწარი თავზე გადაიხურა და ძილი განაგრძო.

_ ოჰ, რა ძილის გუდა ხარ, ადექი, ბიჭო! _ ნოდარმა საათს დახედა, _ უკვე თერთმეტი დაიწყო, ხალხი დილის ბანაობას ამთავრებს, ჩვენ კი არც ავმდგარვართ.

_ მერე რა? _ თქვა ლეომ და საწოლზე წამოჯდა. _ თუმცა რაღა რა, მართლადა არ ვარგა ამდენი ძილი.

_ აბა რა, _ უცებ დაეთანხმა ნოდარი.

_ ნოდარ, _ დაიწყო ლევანმა, _ განა ბედნიერები არ არიან მეზღვაურები, გაიხედე, ზღვაში.

_ ჰო, მეც მაგასა ვფიქრობდი.

_ ნოდარ, მომწყინდა ამდენი ძილი და ბუზებთან ომი.

_ აბა რა იქნება, ჩემზე გვიანაც კი იღვიძებ.

_ სწორია.

ნოდარი ადგა, შიშველ ფეხზე წაღები ჩამოიცვა და გარეთ გავიდა. ლევანმა თვალი გააყოლა, შემდეგ მზერა მის საწოლზე გადაიტანა. ორივე ზეწარი ერთ კუთხეში ეყარა, დიდი წითელი ლეიბი შიშვლადა ჩანდა. «არასოდეს არ გაასწორებს», წაიბუზღუნა თავისთვის და თვითონ დაიწყო ამხანაგის საწოლის გასწორება.

_ ლევან, _ დაიძახა ნოდარმა გარედან და სწრაფად შემოვარდა ოთახში, არც მოუხედავს, ისე დაეშვა გასწორებულ საწოლზე. ლევანმა უკმაყოფილო სახე მიიღო.

_ ლევან, რამდენი წლისა ხარ?

_ მე?

_ ჰო.

_ ოცდახუთის.

_ კარგი რამეცა ხარ.

_ რადა?

_ იმიტომ, ჰო, აი, მე ოცდაექვსისა ვხდები.

_ მერე? _ ლევანმა გაკვირვებით შეხედა ამხანაგს.

_ ახლა ველაპარაკე ჩვენი დიასახლისის ბიჭს, მითხრა, ნავს, თუ გინდა, ორი დღით გათხოვებთო.

_ მართლა? _ თვალები გაუბრწყინდა ლევანს.

_ ჰო, მართლა, ბიჭო, წავიდეთ გაგრაში, სულ სამოცი კილომეტრია ზღვით, ნამდვილად ვიცი, დილით ადრე რო გავიდეთ, სადილობისას თუ არა, ღამე მაინც იქ ვიქნებით.

_ ვაჰ, ეგ რა კარგი მოიფიქრე, პლიაჟზე ჩავივლით ნავით, ვითომ არაფერი, თანაც აქედანვე ზღვაში შორს შევიდეთ, ისე, რომ ნაპირი არა ჩანდეს. მერე როგორ მიყვარს ტალღებთან თამაში.

_ მეც, _ აიტაცა სიტყვა ნოდარმა, _ მთელი ორი დღე, შეიძლება სამი-ოთხიც, ნავი ჩვენი იქნება, «დაჯექი და იცურავე».

_ «გადაგიშლი ამ ჩემს მკლავებს», _ პირველი უთხრა ნოდარმა _ «მოდექი და, იცუ_რა_ვე.»

_ ასე, გადაწყდა: ხვალე დილას ოთხ საათზე მივდივართ, ახლა კი წამო, ვისაუზმოთ. მართლა, _ ლევანმა ხელები თავზე შემოირტყა. _ ვალია და ნადია წავიყვანოთ, ჩვენი გოგოები, ოჰ, რა კარგი იქნება.

ბიჭები სიხარულით გამოვარდნენ.

_ ბუხუტ! _ გასძახა ნოდარმა დიასახლისის შვილს, _ მოკლედ, შენი ნავი თავისი ნიჩბებით, არ დაგავიწყდეს ანკესებიც. აი, იმ ყურეში იდგება. ჩვენ კი წავალთ საგზალზე.

ბუხუტიმ დაცინვით გააყოლა თვალი ბიჭებს. «კარგი მოსული ვაჟკაცები კი არიან, შარშან ლევანმა სამ აფხაზს სცემა, მაგრამ ზღვა სხვაა, _ წავალ, გავუმზადებ, გაიხალისონ» _ ფიქრობდა თავისთვის.

_ ნადია! _ დაიძახა საცურაოზე გასულმა ნოდარმა.

_ ვალია! _ დაიყვირა ლევანმა.

ორი გოგო სწრაფად წამოდგა ქვიშიდან და მათკენ წამოვიდნენ ღიმილით.

_ Опять проспали, _კისკისით დაიძახა შორიდანვე ნადიამ.

_ მოდი აქ, რა დროს ეგ არის, ერთი სიტყვით, მოემზადეთ, საგზალი, ქოლგები, წყალი. მორჩა.

_ რაშია საქმე? _ იკითხა ვალიამ.

_ ხვალე გავდივართ ზღვაში, დილის ოთხ საათზე.

_ დილის ოთხ საათზე, _ გაიმეორა ლევანმა.

_ სად, როგორ? _ ერთად იკითხეს გოგოებმა.

_ ახალი მარშრუტით, ნავი «ბუხუტით», «ახალი ათონი _ გაგრა», არ გაგიგიათ, _ ნოდარმა გოგოს ლოყაზე უჩქმიტა, _ დღეს მოველაპარაკე დიასახლისის ბიჭს. აი, იმ ყურეს ხომ ხედავთ ჩვენი სახლის ქვევით? ზუსტად დილის ოთხ საათზე იქ იქნებით, თორემ გემი გავა.

_ არის, არის! _ სიხარულის ყიჟინა დასცხეს გოგოებმა, მერე ნადიამ დაიწყო:

_ О голубка моя,

_ Парус я твой найду на дне морском.

_ ახლა საქმეზე. _ თქვა ნოდარმა.

_ მართლა, კაპიტანი ვინ არის? _ იკითხა ვალიამ.

ნოდარმა მიმოიხედა.

_ ნოდარი, _ თქვა ლევანმა.

_ იყოს, ვაშა ჩვენს კაპიტანს!

_ მე ხვალ ჩვენი დიასახლისის ქმრის ქუდს მოვუტან. _ თქვა ნადიამ.

_ მე ჩიბუხს, _ თქვა ვალიამ.

გოგოებმა ერთმანეთს შეხედეს და სიცილი წასკდათ.

_ პირდაპირ თვრამეტ-ცხრამეტი წლის ბავშვებივით ვიქცევით.

_ თვრამეტ-ცხრამეტი წლის რაღა ბავშვია.

_ ჩვენთან შედარებით.

_ ბავშვები რა შუაშია, აბა შეცურონ ზღვაში. _ თქვა წყენით ნოდარმა.

_ ერთის სიტყვით, მოვილაპარაკეთ.

_ ასე, ასე.

ის დღე მზადებაში გავიდა.

ცამ ოდნავ დაკარგა ფერი. ლევანს მშვიდად ეძინა თავის საწოლში, ნოდარს ზეწარი ჰქონდა გადახდილი და მოუსვენრად ტრიალებდა.

_ ბიჭებო, _ დაბალი ხმით დაიძახა ფანჯრიდან ბუხუტიმ.

ბიჭები ტკბილ ძილს განაგრძნობდნენ.

_ ბიჭებო, _ ხმას აუწია მან, მერე ოთახში შევიდა და ნოდარს მხარზე ხელი დაადო. ნოდარმა თვალები გაახილა, შემდეგ უცებ წამოხტა და ლევანს ეძგერა.

_ ლევან, ხუთის ნახევარი ხდება.

_ ერთი შენი, _ დააპირა ბუზღუნი ლევანმა, მაგრამ ნავი მოაგონდა, წამოხტა და გარეთ გაიხედა.

ყურეში ნავი ქანაობდა, ხოლო ქვიშიან ნაპირას გოგოები ისხდნენ.

_ ბიჭო, სირცხვილი, იმათ მოუსწრიათ.

_ ჩქარა.

ორივენი გამოცოცხლდნენ, გაქანებულები შევარდნენ ზღვაში, ცოტა გაცურეს, მერეღა მიესალმნენ გოგოებს, რომლებიც სიამოვნებით ადევნებდნენ თვალყურს. ყველანი ჩასხდნენ ნავში. ბუხუტი უკანასკნელ რჩევას აძლევდა მათ, ბოლოს გზა დაულოცა და ნავს ხელი ჰკრა.

ნიჩბებს ლევანი მიუჯდა, დაკუნთული მკლავები დაეძაბა, სამი-ოთხი მოსმის მერე ნაპირს ოცი-ოცდაათი ნაბიჯით მოსცილდნენ.

_ მოიტა, ახლა მე დავჯდები ნიჩბებთან, _ ვეღარ ითმენდა ნოდარი.

_ შენ კაპიტანი ხარ.

_ მართლაც, _ აკისკისდა ნადია» _ რო იცოდე, როგორ გიხდება ეგ ქუდი.

_ ჰო, კინაღამ არ დამავიწყდა, აჰა ყალიონი, მახორკაც, _ ვალიამ ჩანთა გახსნა და ჩიბუხი გაუწოდა ქისასთან ერთად.

_ ნადია, შენც უკან გადმოდი, ჯობია, ნავს ცხვირი მაღლა ჰქონდეს, უფრო სწრაფად წავალთ.

_ მომეცი ხელი, ნოდარ, ლევან, ერთის წამით შეაჩერე მოსმა.

_ ასე. უჰ, კინაღამ გადავატრიალე.

_ ისხედით წყნარად, ახლა დაინახავთ ზღვაზე მზის ამოსვლას.

შორს ჰორიზონტი შევარდისფერდა, მერე ზღვა ზოლებად დაიყო, კიდევ დაიყო, ახლა უფრო წვრილ, წითელ, ვარდისფერ, ლურჯ, რუხ ზოლებად და სადღაც შორს, არა, ახლო, გაურკვეველ მანძილზე მზემ თავი ამოყო, ახლა მთელი ჰორიზონტი გაწითლდა. ლევანი ძალას არ ზოგავდა, თან აღფრთოვანებით უყურებდა მზეს.

_ ხედავთ, თვალებს არ ჭრის, შეგიძლიათ, უყუროთ, _ თქვა ვალიამ.

უცებ ყველამ დახარა თვალები. მზის მთლიანი დისკო ამოცურდა.

_ აგერ ჩვენი სახლი, _ დაიძახა ლევანმა. ნავი ნელ-ნელა შორდებოდა ნაპირს, მალე ნაპირზე ცალკეული საგნები აღარა ჩანდა. დიდხანსა დუმდნენ. ნავმა სვლას უკლო. დაუბერა სიომ და ტალღები ნაპირისკენ წამოიღო.

_ ლევან, მოიტა, ბიჭო, ახლა მე მივუჯდები ნიჩბებს.

ლევანი ზლაზვნით წამოდგა. ნოდარის ადგილას დაჯდა. ნოდარმა გამალებით შეუტია ზღვას. «ნაპირს კარგა მანძილით მოვშორდით, ჯობია უკვე გვერდზე გავუხვიო, ასე, ახლა გავრეკავ». მალე ტანზე ოფლი გამოუვიდა. ნავის ბოლოში ლევანი გოგოებს უღიმოდა, თან ნიჩბის მოსმისას დაწყლულებულ ხელებს უჩვენებდა.

_ ცოტა ხნის მერე მაგისი თათებიც ნახეთ, როგორ დაუბებრდეს.

_ ჩვენ მოვუსვამთ რა, მერე? _ თქვეს გოგოებმა.

_ რას ამბობთ, სად გაგონილა.

_ ძალიანა გთხოვთ, რა?

_ ვნახოთ, _ დაასკვნა ლევანმა, თან ახლად ამოფუთქული წყლულები შეათვალიერა, _ კარგი, დაგსვამთ სათითაოდ, ოღონდ ფრთხილად, ხელები არ დაგეწვათ.

_ რა შორს შევედით, _ გადაიკისკისა ნადიამ.

_ როგორ დავიწვებით, რა კარგია, _ სიცილით მიუჯდა ვალია ნიჩბებს.

_ უყურეთ, რა ყოჩაღია!

_ აბა, რა გეგონათ? _ გაიპრანჭა ნადია.

მზემ დააჭირა, ბიჭებმა ხელზე ნაჭრები დაიხვიეს და ჯერ-ჯერით უსვამდნენ ნიჩბებს, ხან გოგოებსაც სვამდნენ. ბოლოს ორივენი ერთად მიუსხდნენ და მთელი ძალით მოუსვეს. მზე ზენიტს მიუახლოვდა, საშინლად დააჭირა, გოგოებმა ქოლგები მოიმარჯვეს. ბიჭები ოფლს იწურავდნენ. «ცხელა, ამის ყოფა, ვატირე,» ფიქრობდა ნოდარი. «მეწვის ხელები», დაასკვნა ნოდარმა.

_ არაფერია, ორი დღე, როგორც იქნება, გავუძლებ. _ ხმამაღლა გაიმხნევა თავი ლევანმა.

_ აბა, რა!

სუნთქვა სულ უფრო ჭირდა, მზე მთელი ძალით აჭერდა, ცაზე ღრუბლები ამოძრავდნენ, თითქმის მთელი ჰორიზონტი დაფარეს, ნიავი აღარ მოძრაობდა.

_ მცხელა. _ თქვა ნადიამ.

_ ვიხუთებით. _ დაუდასტურა ვალიამ.

_ გავაჩეროთ და ვიცურაოთ, ახლა ერთ ორმოც-ორმოცდაათ კილომეტრს მაინც გავივლიდით, დილიდან არ დაგვისვენია.

ოთხივენი გადაეშვნენ ტალღებში. ბიჭებს მთელი დაღლა დაავიწყდათ. მოიღრუბლა. ისაუზმეს ნავში, შემდეგ ისევ განაგრძეს გზა. დაიწყო წვიმა.

ნიჩბების მოსმა გაადვილდა. ბიჭები ძალას არ ზოგავდნენ. შორს, წვიმის წვეთებში გამოჩნდა სათევზაო კარჭაპი, რომელიც პირდაპირ მათკენ მოდიოდა. გოგოებმა ყელსახვევი დაუქნიეს. მალე ნავები ერთმანეთს გაუსწორდნენ.

_ გაგრა ახლოა, ძმობილო? _ იკითხა ნოდარმა.

_ არა, ასე სამოცი კილომეტრი იქნება დარჩენილი.

მთელ შემადგენლობას სახე შეეცვალა. ნავმა სვლას უკლო. გოგოები დუმდნენ. ბიჭები ათასნაირ გეგმის დალაგებას შეუდგნენ გულში, რომ უკან დასახევი გზა ენახათ, გოგოებთან და თავისთავთან გამართლებულიყვნენ. სიჩუმე ნოდარმა დაარღვია.

_ რომელი საათია?

_ სამი.

_ ჰო, კარგი დრო გასულა. რამდენი დარჩა გაგრამდე?

_ ორმოცი.

_ რამდენი გამოვიარეთ ესე იგი?

_ ოცი.

_ ჰო.

ბიჭებმა მუდარით შეხედეს გოგოებს. ისინი კი ისხდნენ და მიამიტი სახით ზღვასა ჭვრეტდნენ. ნოდარს თითები ეწვოდა, ლევანს ზურგი უხურდა და თითოეული ნიჩბის მოსმა მთელ ტკივილად უჯდებოდა. მეთევზეთა მოტორიანმა კარჭაპმა ნავს შემოუარა, მერე ახალგაზრდა მეზღვაურმა თეთრი კბილები გამოაჩინა, თოკი გადაუგდო ბიჭებს და მთელი ხმით დაუყვირა: _ დაიჭით და ნავის ცხვირს მოაბით, გაგრამდე ჩვენ მიგიყვანთ ბუქსირზე.

ლევანმა სასწრაფოდ მიამაგრა თოკი ნავის წვერზე, მერე გადაწვა და ღრმად ამოისუნთქა.

ნოდარი გოგოებს ელაპარაკებოდა, თან გულში თავსა ლანძღავდა, რომ ტყუილუბრალოდ ხელზე ამდენი წყლულები გაიჩინა. შემდეგ ხმამაღლა თქვა:

_ კიდევ კარგი, ეს ნავი შეგვხვდა.

_ აბა, აბა, _ დაუდასტურეს გოგოებმა.

_ რა გიხარიათ ნეტავი, გაგრიდან თავდაღმართი კი არ არის, _ თქვა ლევანმა და დამწვარი ზურგი წვიმის წვრილ წვეთებს მიუშვირა.

ნოდარი ცუდ ხასიათზე დადგა:

_ ეშმაკმა დალახვროს ასეთი დროს ტარება, გამოვედით რა ჩვენც მეზღვაურები, _ მერე ხელები მლაშე წყალში ჩაყო.

_ ლევან, ნოდარ, _ დაიძახა ნადიამ, _ აბა მოიგონეთ ჰემინგუეის «მოხუცი და ზღვა».

_ მერე?

_ მერე და გამხნევდებით.

_ ნეტავი შენ, მოგონებების ხასიათზე ხარ. _ ლევანს ეძინებოდა.

_ მოდი, ვჭამოთ რამე, _ ნოდარი ჩანთის გახსნას შეუდგა.

1956 წელი. 11 აგვისტო. დილა.

შუა ზაფხულში ყველგანა ცხელა

ზღაპარი: *ნამდვილი ხალხური:*

ერთხელ ვანოს მანანამ თვალი გააყოლა და გაწითლდა. ვანომ თინას გამოსდო ხელკავი. «ეჰ, რა ბიჭია», ამოიოხრა მანანამ, «მაგრამ რა ყრია, ოც გოგოსთან მაინც ჰქონია საქმე, საზიზღარი.» უცებ გაწიწმატდა რატომღაც და ტრამვაიში ავიდა. საღამოს კინოში იყო მანანა. უკან გზაზე მთვრალი ვანო შემოხვდა. არ მოეშვა, სახლამდე უნდა მიგაცილოო. მოსახვევთან სიყვარული აუხსნა მისივე სიახლოვით მთვრალ ქალს. ეუბნებოდა: «გეფიცები, შენს მეტი არავინა მყვარებია». «რა ბედნიერებაა, ასეთ ბიჭს შენს მეტი რომ არავინ უყვარდეს», ფიქრობდა ქალი, მაგრამ მაინც მოაგონა რამდენიმეს სახელი მორცხვად. «დედას გეფიცები», დაიწყო ვანომ, «ჭორია, შენ შემოგევლე». «ჭორი ყოფილა, რა საზიზღარი ხალხია, ფუ, ჭორიკნები!» დაასკვნა მანანამ და ვანოს მკლავებს მინებდა.

(ჭირიც აქა, ლხინიც აქა, ქატოც აქა, ფქვილიც აქა.)

საღამო ხანს ზღვა დაწყნარდა. ახლა უკვე კარგადა ჩანდნენ შორს გასული ნავები. ნაპირთან ბიჭები წყალბურთს თამაშობდნენ.

ჩაფიქრებული ვაჟა ჯანდიერი ნელი ნაბიჯით მიჰყვებოდა ნაპირს, რომელზედაც ტალღებს ზიგზაგებად დაეტოვებინა წყალმცენარეები. ვაჟა ჩამოჯდა ქვაზე, თვალი შორს გასულ ნავს გაუშტერა; ერთხანს ასე იყო, მერე წამოდგა, მიიხედ-მოიხედა «ამდენი ხანია ნაპირს მოვყვები და ნეტა რაზე ვფიქრობ?» გაეღიმა მას. ახლა იგი შარაზე გამოვიდა. შორს ხმისჩამწერი მოცვეთილ ლენტაზე ჩაწერილ «ისტამბულს» უკრავდა. ჭრელ კაბებში მორთული რუსის გოგოები მანჭვით გარბოდნენ ტურბაზისაკენ. «ნეტა რა უნდათ, სად მიიჩქარიან», ორჭოფულად გაეღიმა ვაჟას და თვითონაც მოუმატა ნაბიჯს.

«ტურბაზის» კართან ადგილობრივი ბინადარნი აფხაზები, სომხები და ბერძნები ყიამყრალობდნენ. ზოგი გოგოსთან მიმავალ ბიჭს «ურევდა». ვაჟა ტურბაზის ეზოში შევიდა და გრძელ სკამზე ჩამოჯდა. დაინახა: ვიღაცა თეთრ კაბაში გამოწყობილი გოგო ღიმილით გაემართა შავულვაშა ქართველი ბიჭისაკენ. კარვების მხრიდან კი მოდიოდნენ, მორბოდნენ მოგზაური რუსი გოგონები. ვაჟას ქალი მოუნდა, მაგრამ კარგი ვერავინ დაინახა. დაიწყო ცეკვა. უკრავდნენ ვალსს ჩქარ ტემპში, ვიღაცამ მოედანზე წაიფორთხიალა. ცეკვა გრძელდებოდა. მასთან ზურგით, იმავე სკამზე ქერათმიანი გოგონა იჯდა. მას ძალიან მოუნდა გამოლაპარაკება.

_ გოგონა, _ დაიწყო ვაჟამ.

მან ოდნავ შემოაბრუნა თავი და მოღუშულმა უთხრა:

_ გისმენთ.

ვაჟა : თქვენ არ ცეკვავთ?

გოგონა: როგორც ხედავთ.

ვაჟა : არც იცეკვებთ?

გოგონა: არა, გმადლობთ.

«კარგი გოგოა», გაიფიქრა ვაჟამ და დაიწყო:

_ უკაცრავად, თქვენ ალბათ შორიდან ჩამოხვედით, არა?

_ არც ისე, _ ღიმილით უპასუხა გოგონამ, _ თბილისიდან.

_ როგორ? _ გაოცდა ვაჟი.

_ მე აქაური რუსი ვარ, ცოტა ქართულიც ვიცი, ისე რომ ფრთხილად, _ მან მკაცრად გაუღიმა, მერე ტუჩები მოკუმა და მზერა საცეკვაო მოედანზე გადაიტანა. ვაჟა წამოდგა, პაპიროსს მოუკიდა, შემდეგ ჯიბეებში ჩაიწყო ხელები. ბოლოს მოედნის მხრიდან მოუჯდა ახლად გაცნობილს. გოგონას სიმპათიური სახე და ლამაზი, ფუნთუშა ტანი ჰქონდა.

_ უკაცრავად, რა გქვიათ? _ ჰკითხა ვაჟამ.

_ რაც მეტი გეცოდინებათ, მით უფრო ჩქარა დაბერდებით, _ გოგონამ გაიცინა.

ვაჟა განაგრძობდა:

_ ეგ, შესაძლოა, სწორია, მართლაც, განა სულერთი არ არის, სად ისვენებთ?

_ აქ, ახალ ათონში.

_ მარტო? _ დაინტერესდა ვაჟა.

_ არა, ქმარ-შვილთან, _ კვლავ გაეღიმა გოგონას.

_ მაინც რა გქვიათ, როგორ მოგმართოთ ხოლმე, _ კიდევ შეეკითხა ვაჟა.

_ ელენა, ელენა ვლადიმირის ასული.

ვაჟამ ჩამქრალ პაპიროსს მოუკიდა. გოგო მას აშკარად მოსწონდა, მაგრამ გადაწყვიტა, არაფერი ეთქვა, მაინც არ დაიჯერებდა. პაპიროსი ისევ ჩაუქრა. მან თავი მოაბრუნა.

_ ელენა ვლადიმირის ასულო, ხომ ხდება, რომ კაცს უცებ უყვარდება ვინმე?

_ რას მეუბნებით, ალბათ. _ ელენამ ირონიით გაიქნია თავი.

_ ჰოდა, მე მგონი შემიყვარდით. _ ვაჟას ხმამაღლა გაეცინა თავის სულელურ ლაპარაკზე. ელენამ არაფერი უპასუხა.

_ ელენა, როგორ მოგწონთ ცეკვა? არა, მე უცებ შემიყვარდით.

_ ოჰ, რა რომანტიულია, გაკლიათ მუხლზე დაჩოქება და გულზე დადებული დაშნა.

ვაჟამ კვლავ სულელურად გაიცინა, სახე ოდნავ წამოუწითლდა. ქალმა შეამჩნია და განაგრძო:

_ ხომ იცით, ვინც სწრაფად ენთება, სწრაფადვე ქრება.

ვაჟა : მე სწორედ მაგრე ვარ, თუმცა, არ ვიცი.

ელენა: არ ვარგა, ჯობია ნელ ცეცხლზე დაიწვათ.

ვაჟა : რატომ განა სიყვარული ჯოჯოხეთია?

ცეკვა გახურდა. მწკრივში ჩამდგარი გოგო-ბიჭები კრაკოვიაკს ცეკვავდნენ. ვაჟი აღარაფერზე არა ფიქრობდა. სიჩუმე ელენამ დაარღვია.

გოგო : უკაცრავად, თქვენც აქ ისვენებთ?

ვაჟი : დიახ, ელენა, არ გეჩვენებათ, რომ აქ ყველას ერთი აზრი აქვს?

გოგო : არა ღირს, მე მგონი, ადამიანთა გრძნობების ასე გაუფასურება, მაშინ ხომ ცხოვრება მართლა აუტა ნელი გახდება, თუმცა ჩემთვის იგი ახლაც ტანჯვაა.

ვაჟამ დაკვირვებით შეხედა გოგონას: აუარებელი ნაღველი ჩამდგარიყო მის თაფლისფერ თვალებში.

გოგო: თქვენი სახელი?

ვაჟი : ვაჟა.

გოგო: ვაჟა, თქვენ მუსიკა გიყვართ?

ვაჟი : უზომოდ.

გოგო: მეც, მაგრამ, მე მგონი, თქვენზე მეტადაც. ერთ დროს, სამი-ოთხი წლის წინ ვუკრავდი. მას მერე თითქმის აღარც მომისმენია კარგად დაკრული. ჯერ აქ, ათონში ვიყავი მასწავლებლად, ახლა სოხუმის პედინსტიტუტში ვსწავლობ, თან მოსკოვის უცხო ენათა დაუსწრებელზე შევიტანე საბუთები. მომწყინდა აქ, ვაჟა. თქვენც არ უნდა იყოთ მხიარულად.

ვაჟი : მე? რატომ, აქ ვცხოვრობ ჩემთვის, რადიომიმღებიც მაქვს. მართლა, გინდათ, ესენინს წაგიკითხავთ?

გოგო: დიდის სიამოვნებით მოვისმენდი.

ვაჟი : Заметался пожар голубой,
Позабылись родимые дали.
В первый раз я запел про любовь,
В первый раз отрекаюсь скандалить.
Был я весь как запущенный сад,
Был на женщин и зелие падкий.
Разонравилось пить и плясать
И терять свою жизнь без оглядки.
Мне бы только смотреть на тебя,
Видеть глаз златокарий омут,
И чтоб, прошлое не любя,
Ты уйти не смогла к другому.

Поступь нежная, легкий стан,
Если б знала ты сердцем упорным,
Как умеет любить хулиган.
Как умеет он быть покорным.
Я б навеки забыл кабаки
И стихи бы писать забросил,
Только б тонкой касаться руки
И волос твоих, цветом в осень
Я б навеки пошел за тобой
Хоть в свои, хоть в чужие дали.
В первый раз я запел про любовь,
В первый раз отрекаюсь скандалить.

გოგო: დიდებულია, საწყალი, ეჰ, ესენინი, აფსუს, რა ცუდად დაამთავრა ცხოვრება.

ვაჟი : აბა, ელენა, მე მაინც ამ საწყლების გრძნობებზე ვფიქრობ, ქვევით რომ ცეკვავენ. ალბათ, ყველას ერთი მიზანი აქვს, არა?

გოგო: ნუ აუბრალოებთ ასე ყველაფერს, ახალგაზრდა სკეპტიკოსო.

ვაჟი : მე სკეპტიკოსი? რას ბრძანებთ, მე მხოლოდ სახარებიდან მომაგონდა რაღაც და იმიტომ ვთქვი.

გოგო: რა?

ვაჟი : «და ყოველი, ვინც უყურებს ქალს აღტკინებით, უკვე სცოდავს მასთან თავის გულში».

გოგო: დიდებულია, ციტირება სახარებიდან უკვე რაიმეს ნიშნავს.

ვაჟი : თქვენ იღიმებით. განა მეც იგივე აზრები არა მაქვს, თუმცა არა, თქვენთან საუბარმა ამაცილა მას.

გოგო: აზრები? ჰო, ვიცი.

მოედანი ახლა ნელ ტანგოზე გადავიდა. ზოგი წყვილი წყდებოდა მოედანს და ხეებში უჩინარდებოდა.

გოგო: ვაჟა, გინდათ გაჩვენოთ მშვენიერი სურათი ღია ბარათისთვის, აგერ იქ, ფინურ სახლთან, ჩრდილში, ხედავთ?

ვაჟას გულიანად გაეცინა. გამხდარი შავთმიანი ბიჭი, თეთრ პერანგსა და შავ კოსტუმში გამოწყობილი, ხელებით დაბეჯითებით უხსნიდა რაღაცას ბრტყელსახიან უსიმპათიო ქალს.

ელენას გაეცინა:

_ დაგენიძლავებით, სიყვარულს უხსნის.

_ ჯენტლმენია ნამდვილი. ოჰო, ნახეთ, გულზეც კი დაიდო ხელი. _ ვაჟამ პაპიროსი მოქაჩა.

_ რა რომანტიკული სურათია: გოგომ თავი დახარა, უნდა, რომ დაიჯეროს. ნახეთ, პირისახეს ლამპიონის შუქი უნათებს. _ ელენა ვაჟასკენ შემოტრიალდა.

ის გოგონა მოედნისკენ დაეშვა. ბიჭი მარტოკა დარჩა ჩრდილში.

ვაჟამ და ელენამ ცეკვებისკენ გადაიტანეს მზერა. სრულდებოდა ვალსი. ზოგი შემოტრიალებისას ჰაერში ხტებოდა. ელენამ გაიცინა:

_ ვაჟა, ხედავთ იმ ბიჭს, რა სერიოზულად ცეკვავს უკვე მეოთხე გოგოსთან, მე ვითვლი.

მართლაც ვიღაცა ბიჭი, შთაგონებული, უნიჭო დონ-ჟუანის სახით, ეცეკვებოდა მასზე მაღალ ქალს. ეს უკანასკნელი მორთული იყო თეთრი, დიდსაყელოიანი კაბით.

_ საღამოს დედოფალია. დარწმუნებულია, რომ ბიჭები ოხრავენ მასზე, თუმცა, შეიძლება, არცა ცდება. არა, ელენა, უნდა დამეთანხმოთ _ ჩამოსულ გოგონებსაც იგივე აზრები აქვთ, რაც დამხვდურ ბიჭებს. ხალხი გაუმაძღარია გართობისადმი ლტოლვაში. _ წაუფილოსოფოსა ბოლოს ვაჟამ.

_ ვაჟა, _ ელენამ ხელი მოჰკიდა, ვაჟი შეკრთა, _ დაინახეთ ის ბიჭი, შავკოსტუმიანი?

შავკოსტუმიანმა ბიჭმა პაპიროსი ამოიღო, მოსრისა, მერე გადააგდო, ახლა მეორე ამოიღო, განზე ვიღაცას მოუკიდა და ძველი ადგილი დაიკავა.

ელენა: ძალიან არ უნდა სცემდე თავს პატივს, რომ პირველსავე შემხვდურს ასეთი განცდით ელოდე და რისთვის.

ვაჟა : ჰო. კიდევ ვამბობ, ყოველი მოცეკვავე ამ მოედანზე იმასავე ფიქრობს, რასაც ეგ ბიჭი.

ელენა: ცეკვა მეც მიყვარს, მაგრამ სხვა ადგილას, ოჯახში სადმე, ოღონდ ნელი ტანგო.

ვაჟა : გარწმუნებთ, ვალს-ბოსტონი ჯობია.

მოედანზე გაისმა «გამოსათხოვარი ვალსის» ხმები. ვაჟამ ხელი მოჰკიდა ელენას და კიბეზე დაეშვა. ორი ვალს-ბოსტონის სვლა. ორივეს უზომოდ სიამოვნებდა ცეკვა. სიჩუმე ვაჟამ დაარღვია.

_ ელენა, შენ მართლა კარგი გოგო ხარ. _ თქვა მან ქართულად.

_ ვაჟა, არ ვარგა პირში ქება.

_ ელენა, მე შენ შემიყვარდი, ღმერთს გეფიცები, გესმის, _ ვაჟმა წელზე ხელი მოუჭირა, ცეკვამ მთლიანად ჩაითრია ორივენი.

_ ვაჟა, ნუღარ ვლაპარაკობთ მაგაზე, მე არ მინდა ჩემი გრძნობების გამომჟღავნება. _ ელენა მთლად მინებდა ცეკვას. ერთი წრე უხმოდ შემოუარეს მოედანს. ვაჟას გაეცინა.

_ ელენა, ხომ შეიძლება, სხვა წყვილიც იმავეს ლაპარაკობდეს, რასაც ჩვენ ვამბობთ აქ მოცეკვავეებზე.

ქალს გაეღიმა.

_ და განა ტყუილს იტყვიან, _ თქვა მან, მერე დაღონდა, _ და რა სამწუხაროა, გაითქვიფო ამ მასაში, გქონდეს იგივე გრძნობები.

ვაჟას ხმამაღლა გაეცინა უადგილოდ და ელენას თვალებში ჩახედა.

_ გოგო, გიყვარს ვარსკვლავები? _ ჩურჩულით უთხრა, _ მერე ხელკავი გაუკეთა და ნელი ნაბიჯით ორივენი ამოუყვნენ კიბეს.

წელი 1956. აგვისტოს 14. 10_ 11[30].

<u>რა შეედრება ახალგაზრდობას</u>

ექვსკაციანი ჯგუფი ნელა ეშვებოდა თოვლიან ფერდობზე. პირველმა თოვლში ტარამდე ჩაასო წერაყინი, ზედ თოკი შემოახვია. თოკში ჩაბმულმა ორმა კაცმა ფერდობი სწრაფი ნაბიჯით ჩაიარა, ახლა წინ მოქცეულმა დაასო წერაყინი. მათ უკან ჯგუფის მეორე სამეული მოძრაობდა. ჯგუფმა მორენებზე შეისვენა. ციოდა. ბიჭებმა უკანასკნელი შაქრის ნატეხები შეახრამუნეს, მერე თოკები დაახვიეს.

დაშვება გრძელდებოდა. მიდიოდნენ ახლო-ახლოს ერთმანეთთან, პირველმა მზის სხივებმა ფერდობის ბოლოს მოუსწროთ. ახლა გზამ გაივაკა, აქედან ბანაკამდე ექვსი საათის სავალი იყო. მთების შუა მოქცეულ ხეობაში ჰაერი იყო დაგუბებული, ჩამოცხა. სიარული ჭირდა. ერთი კვირის ნაწვალები ჯგუფი ახლა მთლიანად მოეშვა, სიარულს უკლეს.

ვახტანგს ფეხი უტრიალდებოდა. მის წინ მიმავალ ლევანს კარგა ხანს უყურა. ამხანაგი ოფლში გაღვრილი, წელში მოღუნული, უხმოდ მიაბიჯებდა. ზოგჯერ უკნიდან ყველაზე ხალისიანი ვანო იძახდა:

_ აბა, ჰე, ფფ_ჰო, მიდით, ბიჭებო, ცოტაღა დაგვრჩა.

ვახტანგმა ლევანის კეფას შეხედა. ოფლი, თმიდან გამოსული, ზურგისკენ იკვლევდა გზას, ზედ დილის მუმლი იყო მიკრული. «ისეა დაღლილი, ვერა გრძნობს ვერაფერს», გაიფიქრა ვახტანგმა; უკნიდან ვანოს შეძახილი გაისმა. «მაგ სულელს რაღა აყვირებს, არა, მაინც არ ვარგანან, პატარა გაჭირვება და ცხოველებს ემსგავსებიან.» ვახტანგი ნაწყენი იყო. დღენახევრის წინ ყინულის კედელზე ვახტანგს ფერი წაუვიდა და ტირილი დაიწყო, მთლად გათოშილი, გაყინული რის ვაივაგლახით ამოიყვანეს, არც ვანო იყო უკეთესად. «ფიზიკურად რო არ შეეძლოთ, სხვაა, _ ფიქრობდა ვახტანგი, _ მაგრამ ორივენი მძლეოსნები არიან, ახლაც ლევანი მკვდარივითაა, ალბათ, შეშინებულია, დარწმუნებული ვარ, ისეა გამოშტერებული, თავისი სახელი აღარ ახსოვს.» ვახტანგმა თავი გააქნია, თითქოს ფიქრები გარეკა, მერე თავისი საყვარელი ლექსების თხზვას შეუდგა. დაიწყო ჯერ იდეიდან: «ვიყავით მთაში, ჰო, მერე, ხო, ასე», ბუტბუტებდა თავისთვის. «მაგონდებოდა», გაეცინა, «აბა სხვა ვინ, ხო, განსაკუთრებით გაჭირვებისას», ყოველ აზრს გონებაშივე რითმავდა. «ასე, ოთხი ტაეპი მზადაა.» შეთხზული ლექსი გაიმეორა, მოეწონა. ბანაკამდე სამი საათის გზა დარჩა: ვახტანგმა ისევ მიაქცია ლევანის ზურგს ყურადღება. «ნეტა რაზე ფიქრობს, ან თუ შეუძლია საერთოდ ფიქრი, ისეა დაღლილი».

ჯგუფი მდინარის ნაპირას ჩამოჯდა. ვახტანგმა ჯამით ჩამოურიგა წყალი, თან თავი მოსწონდა, რომ ყველაზე ნაკლებად დაიღალა. ბიჭები ზურგჩანთებმოუხსნელად ეყარნენ. «საწყლები, ორი თვეც ასე და ალბათ უმეტესობა გაველურდება, ან მანამ მოკვდება. რა ამათი საქმეა მთამსვლელობა, თუმცა, ვინ იცის, ასეთ მაღალ მწვერვალზე პირველად იყვნენ.» ვახტანგი ქვაზე ჩამოჯდა, მერე ხმამაღლა თქვა:

_ დავისვენოთ ნახევარი საათი.

ბიჭებმა ხმა ამოიღეს:

_ დავისვენოთ.

_ არა, წავიდეთ, სჯობია, ჩქარა ჩავალთ.

_ რა გეჩქარებათ, საღამომდე დრო გვაქვს.

_ დავისვენოთ, კაცო. სულ ნახევარი საათი.

ბიჭებმა ზურგჩანთები მოიხსნეს. ლევანი წამოდგა, ცივი წყალი პირზე შეისხა, მერე ვახტანგთან მივიდა და გვერდზე დაუჯდა, გულში ფიქრობდა, «რა კარგი ბიჭია ვახტანგი, ნამდვილი ვაჟკაცი, დაუზარებელი, რა მარჯვე იყო ყინულზე, ეგ გამიგებს ალბათ კარგად, პოეტიცაა.» ერთხანს უხმოდ ისხდნენ, მერე ვახტანგმა ტკბილი ამოიღო და ლევანს გაუწოდა:

_ აიღე, ბიჭო, შავი დღისთვისაა შემონახული. _ ლევანმა უხმოდ გამოართვა.

_ ვახტანგ, ალბათ, ლექსებს წერდი გუნებაში, არა?

ვახტანგს გაეცინა.

_ რა იცი?

_ ისე, ალბათ-მეთქი.

_ ჰო, დავწერე.

_ ვერ წამიკითხავ, ვახტანგ? _ ლევანი შეეხვეწა.

_ ახლა არა, მერე, ბანაკში.

_ ვახტანგ, თოვლიანი ფერდობის მერე მომწყურდა, უცებ მომივიდა აზრი, არ დამელია წყალი ბანაკამდე, ამ აზრს მოჰყვა თავისთავად ნოველის მაგვარი, მთამსვლელებზე.

ვახტანგი მთელი გულისყურით უსმენდა.

_ დაახლოებით ასეთი: მოდის ჯგუფი, ან ერთი კაცი, სულერთია, და ერთს წყურდება წყალი, მაგრამ ნებისყოფას იმუშავებს და არა სვამს, რასაკვირელია, გზადაგზა იქნება გზის აღწერა და განცდები გმირის. გადავიდა ერთ წყაროს, მეორეს, მესამეს, აგონდება თბილისი, ლაღიძე. ბოლოს წყურვილი თავისთავად გაუვლის. ახლა მოუნდება ჭამა, ჯგუფი, ან თვითონ მარტო ჩამოჯდება, შეექცევიან ხიზილალას კარაქთან ერთად, ან პურთან, ყველანი ძალიან არიან დაღლილები, მთამსვლელები იღებენ რეზინის მილს და სიამოვნებით სვამენ ქვებში უჩინრად მორაკრაკე მთის წყალს. ჩვენს გმირს აღარ ახსოვს, რომ ნებისყოფას იმუშავებდა, ჯგუფი მიდის ნელი სვლით. ასე, მორჩა. საკმაოდ სულელურია, მაგრამ კარგად რო დაიწეროს, ჰემინგუეის სტილში გამოვა რაიმე.

_ ხო, ჰემინგუეი კარგია, _ დაფიქრებით თქვა ვახტანგმა, მერე ლევანს კიდევ გაუწოდა ტკბილი, შემდეგ საათს დახედა.

_ ავდგეთ, გავიდა ნახევარი საათი, _ გამოაცხადა ხმამაღლა.

მთამსვლელებმა გაციებულ, ოფლიან ზურგზე ზარმაცად მოიკიდეს დაჩუტული ზურგჩანთები. პირველივე ნაბიჯებზე ყველამ იგრძნო გადაქლეშილი ფეხების წვა, მერე გახურდნენ. ჯგუფი მიდიოდა ჩვეულებრივი ნაბიჯით.

1956 წელი. 16 აგვისტო.

<u>რუსის გოგონა ზღვაზე</u>

სამგზავრო პატარა კარჭაპი უახლოვდებოდა პატარა ნავსაყუდელს. ანიუტა გემბანის ცხვირზე იდგა და თაფლისფერ კულულებს სიამოვნებით უშვერდა ჩამავალ მზეს. დღეს სოხუმში ლამაზი, შავულვაშა ქართველი ბიჭი, რომელიც მას დიდიხანია მოსწონდა, სიყვარულში გამოუტყდა; მართლა, გუშინაც, აგერ, არწივისებურცხვირიანმა და ცისფერთვალება თბილისელმაც გადაუშალა გული. ანიუტამ თაფლისფერი კულულები კისრის ლამაზი მოძრაობით მხრებზე გადაიფინა.

კარჭაპი ნელა მიადგა ნაპირს. თაფლისფერთმიანი გოგონა არა ჩქარობდა. მას აშკარად მოსწონდა ეს მხარე, ამ მხარის ჭაბუკები, მაღალი, დიდი შუბლითა და ლამაზად დაყენებული ულვაშებით. მოსწონდა მათი საუბარიც, მათი ტყუილიც სიამოვნებდა. ანიუტა ბოლო გადმოვიდა. ვიღაცა გრუზა ქართველმა ხელი გაუწოდა დასახმარებლად. გოგონამ სიამოვნებით გაუღიმა, მერე ჯიშიანი თეძოების რხევით გაემართა გასასვლელისაკენ. ქუჩაში მიმავალი ქართველები თვალს აყოლებდნენ.

_ გამარჯობა, ანიუტა, _ გრძელი, გამყინავი ხმით დაუძახა ულაზათო, ცხვირაპრეხილმა რუსის გოგონამ, _ სად იყავი, სოხუმში? კარგია? ნეტა ლაქის ფეხსაცმლები თუ არის? არა? აფსუს.

რესტორანიდან გამოვიდა ქერათმიანი დაბალი აფხაზი ქართველ ბიჭებთან ერთად. ანიუტა აიწურა, მისმა ნაცნობმა მედიდური სახე მიიღო ხელმიუკარებელი ასულისა.

_ იცოცხლეთ ასორმოცდაათ წელს, ლამაზო, _ მიმართა ერთ-ერთმა ანიუტას და ხელით კოცნა გაუგზავნა, მერე მეგობარს ხელი გადახვია და ნელი სიმღერა წამოიწყო.

_ საშინელი უზრდელები არიან. _ ცხვირაწევით თქვა გოგონამ, რომელსაც ყურადღება არ მიაქციეს.

_ აბა, აბა, _ დაემოწმა ანიუტა და იმწუთასვე მკაცრი სახე მიიღო, _ სოხუმშიაც არ მასვენებდნენ, ველური ხალხია პირდაპირ, გაუზრდელი.

_ მართლაცდა, _ გაიმეორა უშნო გოგონამ.

_ ანიუტა, თბილისში ხომ არ აპირებ წასვლას, ამბობენ, საშინლად ლამაზიაო.

_ არაჩვეულებრივი, აი, იქა ღირს წასვლა. რომ იცოდე, რა სილამაზეა, ან რა ლამაზი ხალხია, რა ბალეტი აქვთ.

_ ანიუტა, თუ იცი, ლაქის ფეხსაცმელი ადვილი საშოვნელია?

_ ძალიან.

_ ამბობენ, რუსებს ხოცავენო, მართალია?

_ კი, კი, მე თვითონ ვიცი შემთხვევები, საშინელი ველური ხალხია, უცერემონიო.

აგარაკის ბაღში ბიჭები ნელი სიმღერიდან გურულ «დელი-დელაზე» გადავიდნენ, ვიღაცა კრიმანჭულს ეუბნებოდა.

_ ტურებივით არა კივიან, _ თქვა ისევ მეორე გოგონამ.

_ მართლაცდა, არავითარი სმენა და შეგრძნება არა აქვთ.

_ ანიუტამ სარკე ამოიღო და თმა შეისწორა.

_ ანიუტა, საერთოდ, შეიძლება, იქ, თბილისში, რაიმე წესიერის ნახვა?

_ რას ამბობ, ოპერაში მშვენიერი ძალები ჰყავთ, მე, მაგალითად, მართალია, ქართულ ენაზე, მაგრამ მაინც სიამოვნებით ვუყურე რუსთაველის თეატრში «ოტელოს».

_ რუსთაველი ვინ არის?

_ მგონი, ვიღაცა მწერალი იყო, არ ვიცი. მისი სახელობის ქუჩაცა აქვთ, გამზირია. ოხ, რომ იცოდე, აი, იქა ღირს გავლა, რა ბიჭები არიან, რა გოგონები, პირველი კლასი; მართლა, მე ერთგან ვიყავი ოჯახში, დაბადების დღეზე, აი, დროს ტარება, წადი აუცილებლივ. თურმე ოთხ ხმაში მღერიან და მერე როგორ.

_ რას მეუბნები, აუცილებლად ჩავალ. მე უკვე თბილისის ბილეთი ავიღე. შეიძლება, იქაც მოვეწყო. მართალია, ცოტა მეშინია, რაც გინდა იყოს, უხეში ხალხია.

_ არიან, არიან, ზოგჯერ პირდაპირ აუტანელი, აბა.

რუსის გოგონები ერთმანეთს დაემშვიდობნენ. ანიუტამ ისევ შეათამაშა თმა, მერე გზიდან გადაუხვია და სასროლში შევიდა. კარგად ისროდა. ორმოცდაათიდან ორმოცდარვა, ორმოცდაცხრა ქულა დააგროვა სამჯერ. მეორე სამიზნეში ქართველი ბიჭი ესროდა, მაგრამ ორმოცდახუთზე მეტი ვერც ერთხელ ვერ გააკეთა. ანიუტამ ღიმილით გადახედა:

_ მოდი, შევეჯიბროთ. _ თავაზიანად უთხრა.

_ სიამოვნებით, მაგრამ წინასწარ ვაღიარებ თავს დამარცხებულად.

დაიწყეს შეჯიბრი, ანიუტამ მაინც გაუსწრო ერთი ქულით. ბიჭმა ორივეს მაგივრად გადაიხადა ფული. გოგონამ დიდი მადლობა გადაუხადა, მოტრიალდა, მაგრამ გაჩერდა ცოტა ხნით. მას ბიჭი აშკარად მოსწონდა. ბიჭი მობრუნდა.

_ თქვენ რა ადგილას ცხოვრობთ?

_ მე? მესამე სანატორიუმში.

_ ო, ესე იგი, ჩვენ ერთი გზა გვაქვს, მეც იქ ჩამოვედი დღეს.

ორივენი ნელა გამოუყვნენ გზას.

გრძელ ფარდულში წყალზე დაპატიჟა ვაჟმა ანიუტა, მერე შეუდგნენ პატარა აღმართს. ბიჭი თბილისზე ესაუბრებოდა. ანიუტა დაიღალა და ხელკავი გამოსდო ვაჟს. ორივენი ჩუმად მიდიოდნენ. მერე ანიუტა უყვებოდა, თუ როგორ ისწავლა ცურვა. მიდიოდნენ ისევ ჩუმად. გოგო თმას სიამოვნებით უშვერდა სიოს, გულში კი ფიქრობდა: «რა კარგი ბიჭია, ნეტა რა ჰქვია»?

წელი 1956. თვე აგვისტო. 17.

<u>ბანაობა მზის ჩასვლისას</u>

_ ჩამოდი, კაცო, მშვენიერი წყალია, _ სიცილით თქვა დედამ და მეუღლეს ხელი მოჰკიდა.

_ უცებ, მამა, უცებ, _ ქალ-ვაჟი გარს შემოეხვია და ხმაურით ჩაიყვანეს წყალში.

მზე ჩადიოდა. მთელი ზღვა ათასნაირი ფერებით მოიფინა. დედა კისკისებდა, მერე ვაჟს ხელი მოჰკიდა, ეშინოდა წყლის და სთხოვა, ნაპირ-ნაპირ ეტარებინა. ხან შეჰკივლებდა ხოლმე კისკისით, თუ ნიადაგს ვერა გრძნობდა, თან წყლიდან ხტებოდა. სიამოვნებასა ჰგვრიდა ალბათ შვილის ჯანსაღი სხეულის ყურებაც. შვილი კი ასწავლიდა. ჯერ თვითონ ჩაწვა წყალში და ბრასით გაცურა, მერე ბაყაყური აჩვენა, შეეცადა, ზურგზეც დაეწვინა. დედაც ხალისით აკეთებდა ყველაფერს, მაგრამ მაშინვე მიდიოდა ფსკერისკენ, რასაც მოკლე შეყვირება მოსდევდა.

გვერდზე ქალი ასწავლიდა მამას. იგი უფრო ნიჭიერი გამოდგა, პირველივე ცდაზე მთელი სამი წამით გაჩერდა წყალზე; ცოტა ხნის მერე ათ დათვლამდე ავიდა. წყალში მთელი ძალით იქნევდა თავის ზორბა მკლავებს და ათი-თორმეტი მეტრის მანძილზე ისროდა შხეფებს. გოგონა ცდილობდა, სინაზე შეეტანა მის მოძრაობებში,

ეხვეწებოდა, ესუნთქა. იგი უჯერებდა შვილს. რამდენიმეჯერ ენერგიულადაც დააღო პირი, მაგრამ ჰაერი ვერ შეისუნთქა. ახლა ბრასის სწავლაზე გადავიდა. მთელი სამი ნაბიჯი გაცურა.

_ ოჰო-ჰო! _ დაუძახა ძმამ დას, _ წამო, შევცუროთ ცოტა.

ორივენი ადგილიდან დაიძრნენ სუფთა, დამუშავებული მკლაურით. მამა ახლო მივიდა დედასთან და ხელი მოჰკიდა. ორივე უსაზღვროდ ამაყი იყო გულში. შვილები საკმაოდ შორს შევიდნენ. დედის სახეზე უკვე შიში გამოისახა. ნაპირიდან სამასიოდე ნაბიჯის მოშორებით გაჩერდნენ ორივენი და გასწვრივ დაიწყეს ცურვა, თან ერთმანეთს უსწორებდნენ სხვისთვის შეუმჩნეველ შეცდომებს.

მამამ დედას ხელი მოჰკიდა: _ ისევ ჩემთან მოდი, ჩემო მოხუცო, _ და ღიმილით გააცურა წყალზე. მერე პირიქით, დედამ აცურავა.

_ ავიდეთ ნაპირზე, პირველი დღეა, მეყოფა, _ უთხრა ქმარმა.

ორივენი უხმოდ ამოვიდნენ. ჯერ კიდევ თბილ ქვებზე წამოწოლილნი გასცქეროდნენ მოცურავე ქალ-ვაჟს.

ორივემ მოიწყინა.

«მგონი დაგვივიწყეს,» გაიფიქრა მამამ ოდნავი წყენით და ხმამაღლა თქვა:

_ რა კარგა ცურავენ.

_ ჰო, მე მაგათი არ მეშინია, _ დაუმოწმა დედამ. გულში კი ფიქრობდა, «ვინ იცის, ასე შორს მაინც არ ვარგა. რამე რომ იყოს, არც ერთმა ცურვა არ ვიცით, ნეტა მცოდნოდა».

მამა ჩაცმას შეუდგა, მერე ნაპირისკენ ბრასით მოცურავე შვილებს გახედა, თან ფიქრობდა: «მაგათ ვენაცვალე, მართალია, ვიტანჯე მთელი ზაფხული გეგმების წერით, მაგრამ მაგათთვის ღირს. არც გაისად გავალ ზაფხულში, ვიმუშავებ, დაე, იცურაონ.» მან მეუღლეს გაუცინა და ხმამაღლა თქვა:

_ იცურაონ, მომავალი მაგათია.

ოჰ, როგორ უნდოდა, ყოფილიყო ახალგაზრდა. მისი ქალ-ვაჟი იდგა წყალში და ცურვაზე საუბრობდა.

წელი 1956. 19 აგვისტო.

«გასართობად ომს არაფერი აჯობებდა, ხალხი რომ არ იხოცებოდეს»

(პოდპოლკ. ლაზარევი)

«გართობა თავდავიწყებაშია».
გაგონილი

იყო ჩვეულებრივი ომი. სვანი ქელეშბის ნაწილი ემზადებოდა შეტევისათვის. მათი არტილერია უმოწყალოდ ურტყამდა. ახლომახლო, თავდამსხმელთა სანგართან რამდენიმე საშუალო ყალიბის ბომბი გასკდა. სანგარში მჯდარ ქელეშბის ოფლიან ზურგში მიწა ჩაეყარა. მან ვერ იგრძნო, მუხლებზე დაჩოქილი იხედებოდა წინ. არაფერზე არ ფიქრობდა, არც ეშინოდა, არც მხნედ იყო, არც სახლი მოჰგონებია. იყო ჩვეულებრივი სალდათი შეტევის წინ.

ქელეშბმა გვერდზე მოიხედა. თავგაჩეხილი ბელოუსოვი დაინახა და ძლივს აღიქვა, რომ მებრძოლი, რომელთანაც ერთად სამი თვე იბრძოდა, ცოცხალი აღარ იყო. მერე ისევ შეწყვიტა ფიქრი.

შეტევის წინ ათმეთაურმა სია ამოიკითხა. სალდათები მოკლულის შესახებ მოკლედ პასუხობდნენ, «მოკლეს». ქელეშბმაც გაიმეორა, როცა ბელოუსოვის გვარი ამოიკითხეს, მერე ყური მიუგდო საბრძოლო ბრძანებას.

_ ჩვენი ათეული, ჩვენს ოცეულთან ერთად, _ ისმოდა ათისთავის ჩახლეწილი ხმა, _ შეტევისას გაივლის და დაიკავებს ჩვენ წინ მდებარე მაღლობის ჩრდილოეთ ფერდობს და დაელოდება შემდგომ ბრძანებას. ხმითგაზები, თვითმფრინავები შესრულებულ იქნება სათანადო წესით ყოველივე. ჩვენი ათეული ოცეულის უფროსის ბრძანებით გაჰყვება ტანკ №13-ს. არის რაიმე შეკითხვები? არა? ასე. ხუთი წუთის მერე დაიწყება შეტევა. მებრძოლებმა ბრძანება მოისმინეს და კვლავ შეწყვიტეს ყოველივე ფიქრი. ქელეშბს თავში უტრიალებდა მხოლოდ ციფრი 13. «ცამეტ ნომერს მიჰყვება ჩვენი ათეული,» გაიმეორა გულში გაკვრით, მერე უაზრო თვალები მიაშტერა თავგაჩეხილ ბელოუსოვს.

_ ათეულო, ტანკების კვალდაკვალ წინ! _ გაისმა იგივე ჩახლეწილი ხმა. ტანკებმა გუგუნით გადაუარეს სანგარს, უკან მებრძოლები მიჰყვნენ. ქელეშბი თავის ათეულთან ერთად მისდევდა ტანკს, რომელსაც ჯავშანზე დიდი თეთრი საღებავებით ეწერა 13. სროლა გახშირდა. ახლა ორივე მხარე ისროდა ყველა იარაღ-დან, შიგადაშიგ ცვიოდნენ მებრძოლები, მათ არავინ აქცევდა ყურადღებას. ტანკს მოხვედრილი ტყვიები, ასხლეტილნი, წუილით იკარგებოდნენ ჰაერში. ვერავინ ვერაფერს გრძნობდა. აქა-იქ ისმოდა მეთაურთა უშედეგო ბრძანება. გარეშე კაცი რომ მოხვედრილიყო უცებ აქ, გაგიჟდებოდა, სალდათები კი მირბოდნენ როგორც ჯანმრთელები, ისე დაჭრილები. ბრძოლის ველზე მხოლოდ დახოცილები, ან ფეხებმოგლეჯილები რჩებოდნენ.

ქელეშბიმ ბუნდოვნად იგრძნო, რომ მის წინ მიმავალი ტანკი გაჩერდა. ორივე თვალით უყურებდა ციფრ №13-ს, მაგრამ ვერ აღიქვამდა. ტანკი მხოლოდ მუხლუხის გაწყვეტამ შეაჩერა.

ტანკისტებმა ამოსვლა იწყეს. ქელეშბიმ ახლაღა შეიგრძნო შიში, ხმაური, მის შეცნობაში რაღაცა ახალი შეიჭრა, გული სწრაფად აუმოძრავდა და თვალებში სისხლი მოაწვა.

_ ქელეშბი, ძმაო! _ დაიღრიალა ტანკიდან ამოსულმა მისმა უმცროსმა ძმამ გულდამ და გადაეხვია. დიდხანს კოცნეს ერთმანეთი. ორივეს თვალებზე მოადგა ცრემლი, ალბათ, გულში გაიხსენეს სვანეთი, საქართველო, დედაძირი. გარშემო კი მრისხანე, უაზრო თვალები მიიწევდნენ წინ. გულდა ტანკისტებთან მივიდა. ქელეშბმა ძლივს აღიქვა, რომ მისი ძმა იქ იყო, რომ გულდა დაეცა, იმას ენაცვალა.

_ ჩვენი ათეული ნაცვლად ტანკი №13-ისა გაჰყვება №7-ს!

ახალმა მუხლუხამ ათეულიდან დარჩენილი ოთხი კაცი თან წაიყოლა. თან წაიყოლა ქელეშბიც. მირბოდა ქელეშბი, აღარაფერზე არა ფიქრობდა. აღარ აგონდებოდა არც საქართველო, არც სვანეთი, არც დედაძირი. დაავიწყდა, რომ ნახა ძმა გულდაც. მოძრაობდა მთელი ბრძოლის ველი. უმოძრაოდ მხოლოდ დახოცილები, ფეხმოჭრილები და მწყობრიდან გამოსული ტანკები ეყარნენ.

წელი 1956. აგვისტოს 19.

ნელი ტანგო

საუბარი ცეკვის დროს

ცურვის დროს თითქმის არასოდეს არა ფიქრობენ, განსაკუთრებით _ როცა მკლაურით მიდიან. ალბათ, ამიტომ მიყვარს ცურვა და ყველაზე მეტად მკლაური.

სოხუმის საცურაოზე ცალთვალა სომეხი ემიგრანტი გიტარას აკვნესებდა. ჩარდახის ქვეშ გახურებული ქაღალდის თამაში იყო. სილაზე, შუა მზის გულზე, უღმერთოდ იხრუკებოდნენ რუსები. გიტარა კი უკრავდა.

პატარა თორმეტი წლის იგორი შევარდა წყალში და სუფთა, დამუშავებული მკლაურით გაცურა. მისი ფეხები შეუწყვეტლივ, თანაბარი სიჩქარითა მუშაობდნენ. მარცხენა მკლავის მოსმისას სახის ნახევარს წყლიდან იღებდა და ღრმად ისუნთქავდა ჰაერს, მერე ისევ წყალში ყოფდა ამოსასუნთქად, თან მარჯვენას უსვამდა. ხელები გამართული და მოდუნებული ეშვებოდნენ.

_ აი, მაგისგან ნამდვილად გამოვა კარგი მოცურავე. _ თქვა იგორის მამამ და თავის მეუღლეს დამწვარ მხარზე ხელი დაადო.

_ ჰო, გამოვა. _ დაუმოწმა მეუღლემ. _ ივანე, აიღე, კაცო, ხელი, ხომ იცი, მეწვის ბეჭები.

_ აკი გითხარი, წაისვი-მეთქი ოდეკოლონი. _ ივანემ ხელი ჩამოიღო.

_ კარგი, დღეს წავისვამ. _ ღიმილით უთხრა მეუღლემ, ორივემ ზღვისკენ გაიხედა.

ბავშვი გამაფრთხილებელ დროშას გასცდა და იმავე სისწრაფით მიდიოდა. დაღლა მაინც არ ეტყობოდა. ორმოცამდე ნაბიჯი კიდევ იცურა ასე, შემდეგ ბაყაყურზე გადავიდა. ფეხებს ბოლომდე ღუნავდა ისე, რომ მუხლისთავები ერთ სწორი ხაზის სხვადასხვა ბოლოში ექცეოდა და ლამაზი, მოქნილი მოძრაობით აძლევდა ბიძგს წყალზე ჰორიზონტალურად გაწოლილ სხეულს. ერთდროულად გამართულ ხელებს ოდნავ მოუსვამდა, თავს ამოყოფდა მაღლა, შეისუნთქავდა და ისევ იმეორებდა იმავე მოძრაობებს.

ცოლ-ქმარი ახლა ქვიშაზე წამოჯდა.

_ კარგად ცურავს. _ თქვა ქმარმა.

_ ძალიან, ნახე, რა მოქნილი მოძრაობები აქვს. _ სახე გაუბრწყინდა ცოლს.

_ მომავალში პირველი ადგილი ექნება. _ დაბეჯითებით დაიქნია თავი ივანემ. _ ლიდა, გახსოვს, ვალერიც რა კარგად ცურავდა.

_ აბა, აბა, რა ვაჟკაცი იყო! _ ახლა ქალმა დაადო მხარზე ხელი მეუღლეს.

_ გახსოვს, როგორა ცურავდა, შეეძლო მთელი ექვსი საათი თავისუფლად გაეძლო წყალში. ივანემ მეუღლეს წელზე ხელი მოხვია და მკერდზე მიიყრდნო. ერთხანს ასე ისხდნენ. სიჩუმე ისევ ქმარმა დაარღვია:

_ სწორედ მაგ ცურვამაც დაღუპა, რიგასთან იპოვეს მესამე დღეს დამხრჩვალი; ვინ იცის, რა მოუვიდა.

_ ივან! იგორსა ხედავ? _ ქალი მსუბუქად დაეყრდნო მის მხარს და წამოდგა.

ივანემ თითი გაიშვირა. შორს ძლივს მოჩანდა ბავშვის თავი. ლიდამ უხალისოდ გაიცინა: იგი წელამდე შევიდა წყალში, შემდეგ ბრასით გაცურა. ნაპირზე დარჩენილი ივანე ახლა ისევ გულდაღმა დაწვა. კარგა ხანს იყო ასე; მზე უწვავდა ბეჭებს, მერე გაიფიქრა, «დიდი მოუსვენარი ქალია ლიდა, სულ დედას დაემსგავსა იგორიც, თუმცა რაღა შორს მივდივარ, მეც ეგეთი გული მაქვს. კარგია შორს, ტალღებში ცურვა».

სუსტმა ნიავმა ქვიშა აყარა. ივანეს ცალ თვალში მტვერი ჩაუვარდა. იგი წამოჯდა და წვალება დაუწყო ქუთუთოს. ზღვაზე პატარა, ხუჭუჭა ტალღები აიშალა.

გიტარა კი უკრავდა შეუსვენებლივ.

დამკვრელს შავი, გახუნებული ხალათი ეცვა და თავზე ძველი ჭილოფის ქუდი ეხურა.

ივანე წამოდგა. ქარმა კვლავ მოაყარა ქვიშა. შორს, ტალღებში ხან იკარგებოდა, ხან გამოჩნდებოდა ვიღაცის თავი, კარგა მოშორებით, იმ მიმართულებით მეორე მიცურავდა. მან ქუდის ფერზე იცნო ცოლი. წინა მისი ბიჭი უნდა ყოფილიყო. იგი კარგად დაუკვირდა. «ნეტა რატო არა ბრუნდება უკან, მთელი საათია, რაც შესულია, კაცი ორი დღით ჩამოსულხარ და ეგ მაიმუნი მაშინაც არ გაცლის დასვენებას.» _ გაიფიქრა ივანემ და ზღვაში შევიდა, მერე თავისი ზორბა მკლავებით შეცურა. რამდენიმე მოსმით დროშებს გასცდა, შემდეგ ბაყაყურზე გადავიდა. ფართო მკერდით აპობდა ორმოცი წლის ვაჟკაცი ტალღებს და არაფერზე არა ფიქრობდა, მხოლოდ ცდილობდა, სწორი გეზი არ დაეკარგა. კარგა ხანს იცურა ასე, მერე ზურგზე გადმობრუნდა და ნაპირს გამოხედა _ ხუთასიოდე მეტრი ჰქონდა გავლილი. ცოლი და შვილი კი არა ჩანდნენ. იგი ახლა ისევ გულზე გადმოტრიალდა, მერე გაიხსენა წყალბურთის ილეთები და მოქნილი მოძრაობით წყლიდან წელამდე ამოვიდა. წამნახევარი შეიმაგრა თავი. მისგან მარცხნივ და წინ, სამასიოდე ნაბიჯზე შეამჩნია თავისები. არაფერი გაუფიქრია, ისე აამოძრავა სხეული. როცა მიუახლოვდა, მეუღ-ლის გაფითრებული სახის დანახვაზე უსიამოვნო გრძნობამ შეიპყრო. მას ქუდი დაეკარგა და თმა თვალებზე ჰქონდა ჩამოშლილი. ქალმა უხმოდ მიაბრუნა თავი შვილისკენ. ივანემ თავის ვაჟს შეხედა. მას სახე დამანჭოდა ტკივილისაგან. მამამ დაყვინთა, ხელით მოუსინჯა ფეხები და განასკვულ ადგილას უკბინა. იგორმა ცოტა შვება იგრძნო. მან ნელა გაცურა ნაპირისაკენ. ახლა ლიდა გახდა ცუდად. მას მთელი სამასი ნაბიჯი ზურგით ეთრია ვაჟი და ახლა ძალაწართმეული ძლივსღა იდგა ტალღებზე.

ღელვა კი სულ მატულობდა.

ივანემ მეუღლის ხელი მხარზე გადაიდო და შვილის მიმართულებით გაცურა. ძლივს მიიწევდა წინ. იქ იგორი იწვა წყალზე, უფრო ტანჯული სახით.

_ მა... _ ძლივს ამოიოხრა და მთელი ყლუპი მარილიანი წყალი ჩაუშვა მუცელში.

_ მა... ახლა წვივ_ი, ბარ_ძა_ყიც გა_მენასკ_ვა. _ ის ფსკერისაკენ წავიდა. ივანემ ძლივს მოასწრო თმაში ეტაცა ხელი, დედამ ბოლო ძალა მოიკრიბა და ბავშვს მხრებში ამოუჯდა. მამა მხნეობდა. მან ცოლს მარჯვენა ხელი ჩააკიდებინა ბავშვის მარცხენისათვის და თვითონ შუაში ამოყო თავი. დედა-შვილი აქეთ-იქიდან ჩამოეკიდა ბეჭებზე. იგორს გული უწუხდა. «ასე არ ივარგებს, ბევრ წყალს ყლაპავს», გაიფიქრა ივანემ და ერთი ხელით თავი აუწია ბავშვს. ახლა იგი ფეხებითა და ცალი ხელით მიცურავდა. ლიდას თვალები ჩაუსისხლიანდა; იგი გაშტერებული უყურებდა პატარას. მისი მარჯვენა საბედისწეროდ ჩასჭიდებოდა შვილის მაჯას.

ივანემ შორს დროშა დაინახა. ცოტა გული მოეცა. თავისუფალ ხელში თითქმის სულ გამოელია ძალა. მომატებული ტალღები თავზე უვლიდა მათ. ტანს ჰორიზონტალურად ვეღარ აჩერებდა, ახლა წყლის სიღრმიდან აძლევდა ბიძგებს სხეულსა და ზედ დაკიდებულ თითქმის უგონო ცოლ-შვილს. ორივენი ბევრ წყალსა ყლაპავდნენ, რაც უფრო ამძიმებდა მის ტვირთს. სუნთქვა ეკვროდა, მაგრამ სულ ახლოს მოჰკრა წითელ დროშას თვალი და გამხნევდა _ ნაპირამდე ორმოცდაათამდე მეტრიღა რჩებოდა.

შუადღის სიცხესა და გახურებულ ქარს მოცურავეები ჩარდახის ქვეშ შეერეკა. ვიღაცა ფეხზე წამოდგა და ხელი ზღვისკენ გაიშვირა;

_ შეხედეთ, კაცო, მთელი დღე რო წყალში იყვნენ, არ მოსწყინდებათ.

_ აბა, მერე მთელი ოჯახი როგორა ცურავს. _ დაუმოწმა მეორემ, თავი წამოსწია, შემდეგ წყალს მოაშორა მზერა და წინ დაგდებულ აგურის ცხრიანს შესაფერი ვაჟი დაარტყა.

_ ვინ არიან? _ თავაუღებლივ იკითხა ცუდ მდგომარეობაში ჩავარდნილმა მელოტმა და თვალი მეზობლის ქაღალდისკენ გააპარა.

_ როგორ არ იცი, ხარკოველები, ჩვენ ქვევით ცხოვრობენ, _ უპასუხა იქვე მჯდარმა ცოლმა, რომელიც საუბარსა და ქაღალდის თამაშს გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს.

_ ჰო, ჰო, რა მოხვედი? ყვავის ცხრიანი? კარგია, კარგი, მაგას კოზირის ქალი! _ მელოტმა კმაყოფილებით გადაიხარხარა, _ გაჭრილია. წავიდა? ახლა, კოლია, შენ გამიმაგრდი.

გიტარა ახლა ქაღალდის მოთამაშეთა დაკვეთით უკრავდა.

ზღვაში, დროშას გამოცილებულ ივანეს თვალთ დაუბნელდა. დედა-შვილმა გრძნობა დაკარგა. მხოლოდ ჩაჭიდებული ხელი დარჩა ლიდას ისევე. ივანე ვეღარა ხედავდა ვერაფერს. მან შვილის თავს შეუშვა ხელი და იმითაც მოუსვა. იგი ვეღარც დროს, ვეღარც შიშს ვერა გრძნობდა.

მხსნელებმა გამოიყვანეს თავთხელი წყლიდან სამივენი ნაპირზე და ფიცრებზე გააწვინეს. საცურაოს ექიმმა ხელოვნური სუნთქვა ჩაუტარა თითოეულს. მალე იგორი და ლიდა გრძნობაზე მოვიდნენ. დედას ძლივს გააშვებინეს შვილის მაჯას ჩაჭიდებული ხელი. გონზე მოსულმა ქალმა გულზე მიიკრა პატარა, რომელსაც თვალები დაეჭყიტა და ფიცარზე უმოძრაოდ იწვა.

მთელმა საცურაომ აქ მოიყარა თავი.

გიტარის დამკვრელი სომეხი ემიგრანტი თითის წვერებზე აწეული იყურებოდა ცალი თვალით.

საღამოს კაფეში ჯაზი «ისტამბულს» უკრავდა. წყვილები გამალებული ცეკვავდნენ. ლამაზმა, წაბლისფერთმიანმა ქართველმა მოძრავტანიანი რუსის გოგონა გამოიწვია საცეკვაოდ. ნელა შეცურდნენ მოედანზე. ბიჭი ფიქრობდა: «ნეტავი რაზე ველაპარაკო, მომწყინდა სულ ერთი და იგივე: საიდან ჩამოხვედით? როდის? მერე ჩვენი ბუნების ქება და ბოლოს კომპლიმენტი _ «თქვენ მშვენივრად გაშავდით».

«ისტამბული კონსტანტინოპოლიდან» გაისმოდა მოედანზე; ბიჭს სახე აუმეტყველდა, მერე თითქმის ჩურჩულით დაიწყო:

ბიჭი : იყავით დღეს საცურაოზე?

გოგო: რა თქმა უნდა, დღეს საუცხოოდ დამწვა მზემ.

ბიჭი : გეტყობათ, კარგადა ხართ გაშავებული; მართლა, დაესწარით იმ ამბავს?

გოგო : ჰო, ჰო, იშვიათი შემთხვევაა, დედა-შვილს აუარებელი წყალი უყლაპავთ, მაგრამ გადარჩნენ.

ბიჭი : აბა, საწყალი მამა, იმან გამოათრია. ნეტა იმასაც წყალი ეყლაპა.

გოგო : მაშინ გადარჩებოდა, ექიმმა თქვა, ზედ ნაპირთან აქვსო გული გახეთქილი უბედურს.

ბიჭი : საცოდავი, კარგი ვაჟკაცი კი ყოფილა.

გოგო : რა თქმა უნდა, ახლა ცოტანი არიან ასეთები. ჯაზი ახლა მელოდიურ ტანგოში გადავიდა, ბიჭმა ახლოს მიიკრა ქალი:

ბიჭი : მაგრამ მენდეთ, მაინც არიან.

ქალი აილეწა, მერე ვაჟკაცს ახედა, მოეწონა მისი ლამაზი, მზისგან გარუჯული სახე და მთლიანად მინებდა ნელ ტანგოს.

წელი 1956. აგვისტოს 23.

<u>უკანასკნელი აბენსერაჟი</u>

აფხაზი აჩბა ბილიკმა ათონის ჩაის საბჭოთა მეურნეობასთან მიიყვანა. აქედან გზა ყოფილ მონასტერში მიდიოდა. ჩაფიქრებული ჩაუყვა თავადების ჩამომავალი მოკირწყლულ გზას. შორს, სადღაც, ზღვა ცაში გადადიოდა, კარგა ხანს ჭვრეტდა ზღვის სიმშვენიერეს, მერე მზის სხივებმა თვალი მოსჭრეს და გზა განაგრძო.

აჩბამ ოცდათერთმეტი წელი თავისი ცხოვრებისა აფხაზეთის მთებში გაატარა. დროდადრო ჩამოდიოდა ხოლმე ბარში დროს სატარებლად. ძალიან უყვარდა შამპანური, განსაკუთრებით მოსწონდა, როცა ბოთლსა ხსნიდნენ და საცობის გავარდნასთან ერთად ტკბილი, მათრობელა სითხე რომ გადმოჩქეფდა ხოლმე. იგი ახლა სასმელზე და რუსის გოგოებზე ფიქრობდა.

თითქმის მთელი წელი საქონელს უდგა. ახლა მოსწყურდა დროსტარება და ბარად დაეშვა.

ყოფილი მონასტრის ეზოში დამსვენებლები ირეოდნენ. აფხაზი მალულად ჭვრეტდა მკერდსავსე გოგონებს. გალავანთან მიდგმულ სკამზე მარტო მჯდომი ქალი შენიშნა და გვერდზე მიუჯდა. როგორც იყო, თავისი დამტვრეული რუსულით გაიცნო, თავისი სითამამის თვითონ გაუკვირდა. გადაწყვიტეს, ღამის ათ საათზე შეხვედროდნენ ერთმანეთს. ქალი წავიდა. აფხაზი აჩბა კი იჯდა და ზღვას უყურებდა.

მის ქვევით უზარმაზარი ყურე იყო. აქ წყალს ბაცი ფერი ჰქონდა. აქედან ზღვა ნელა იშლებოდა და გამუქებული იკარგებოდა ცაში. ჰორიზონტზე ჩამავალი მზის სხივები გაწოლილიყვნენ. თავად მზე დაღლილობისაგან ძლივსღა იმაგრებდა თავს. იჯდა აჩბა გარინდებული და თავისი თვალით უყურებდა მზის თავის დახრჩობას. ნაპირზე უკვე მუქი ფერები ჩამოწვა. მარადმწვანე ხეები იძინებდნენ, მხოლოდ მათ კენწეროებსღა ხედავდა მზე. ყურიდან ალვის ხეებისა და ევკალიპტების ხეივანი მოდიოდა მთისაკენ. აქ იგი გვირაბებს შუა მოქცეულ ტბას ერთვოდა. შემდეგ უცებ იწყებოდა მთა, რომელიც სულ მაღლა და მაღლა გრძელდება, ვიდრე სვანეთის კავკასიონამდე. მოპირდაპირე ბექობზე წიწვნარში გემოვნებით ნაშენი სახლი იდგა. აფხაზმა შურის თვალით შეხედა, მერე მზერა ისევ ხეობაში გადმოიტანა. რაღაცა არ ესიამოვნა, თითქოს ახლა დაინახა ორსართულიანი, თეთრად შეთხიპნილი რუსული სახლები. ხასიათი თავისდაუნებურად წაუხდა. ბუნებამ დაკარგა თავისი სიმშვენიერის ნაწილი. «ნეტა ეს სახლები საიდან არის, ან ვინ ააშენა,» გაიფიქრა გუნებაში. მზერა ისევ ზღვაზე გადაიტანა. ხასიათი უფუჭდებოდა, მაგრამ მიზეზს თვითონ კარგა ვერ მიხვდა. რაღაცა უცხო დაინახა ზღვაშიც, მერე ისევ ის სახლები გაახსენდა. დაისი დასრულდა. ბინდმა სულ უფრო იმატა. აჩბა შიმშილმა შეაწუხა, მერე შამპანური გაახსენდა და დუქნის გზას დაადგა.

დუქანი ცარიელი იყო. მან თავისი ხელით გახსნა ბათქანით შამპანური და შუშხუნა სითხე ღიმილით შესვა. სვამდა შამპანურს, თან ცხვრის მწვადს ატანდა. ერთი რომ გამოცალა, მეორე მოატანინა, ისიც ხმაურით გახსნა. უზომოდ მოუნდა

ვინმესთან ლაპარაკი. გვერდზე მაგიდასთან მთვლემარე მომტანს გამოესაუბრა; ისიც აფხაზი ჩანდა.

_ საიდან ხარ, მამობილო?

მომტანი გასწორდა და თვალები ეშმაკურად შეათამაშა, ეტყობოდა, ლაპარაკის ჟინი მასაც მოსწოლოდა.

_ მე, ოჩამჩირელი, ოჩამჩირეს ზევით ათი-თორმეტი კილომეტრია ღულამდე. ხომ იცი, შენ, კაცო.

_ როგორ არა, იქით ხშირად დამიდის საქონელი.

_ საქონელში ხარ? _ მომტანმა სკამი ახლო მოსწია.

_ საქონელში კი, მამილო. ერთი ჭიქა შემისვით.

ორივენი კარგ ხასიათზე დადგნენ, ახლა მომტანმა მოიტანა თავის ხარჯზე შამპანური. დუქანში მთვრალები შემოვიდნენ. აჩბამ მოსაუბრე დაკარგა და მარტო განაგრძო სმა. ისევ შეეცვალა გუნება. ხეობაში გადაიხედა. თეთრი სახლები ნათელ ღამეში კარგადა ჩანდნენ. მან თავი გააქნია, თითქოს სახლების გამოსახულებებს ერეკებაო. ახლა იგი თავის აფხაზეთზე ფიქრობდა. მის პრიმიტიულ გონებაში ათასი ფიქრი იყო.

მოუნდა მთიდან მთაზე ხიდების გადება და სადღაც, ზღვაში კოშკის ამართვა. დათვრა, ფიქრებს თავს ვეღარ ართმევდა, მხოლოდ გრძნობდა, რომ გადებული ხიდიდან თეთრი სახლები უშნოდ გამოჩნდებოდნენ.

გარეთ გამოვიდა. მისი ქალი ხის ქვეშ იდგა და ხმამაღლა ელაპარაკებოდა ვიღაცა კაცს. ამ უკანასკნელმა ხმას აუწია და რუსულად შეაგინა, მერე საცემრად მიიწია. აჩბა ადგილს მოსწყდა, დარტყმით გააგორა ქერათმიანი რუსი, მაგრამ უკნიდან ყურისძირში სილა მოხვდა და დაბანცალდა, სწრაფად მობრუნდა, ახლა გვერდიდან გაარტყეს. თავგამოდებით ჩხუბობდა აფხაზეთის თავადების შთამომავალი, თან თავის ყამასა ნატრობდა. უკვე ვეღარ არჩევდა თავზე წამოხვეულ მოწინააღმდეგეებს. მერე დაიღალა. გადაწყვიტა, უკან დაეხია, აქ თხრილში ჩაუვარდა ფეხი და წაიქცა.

_ Бей его, _ დაიღრიალა ვიღაცა მთვრალმა და ყველაფერი აირია. აჩბა გრძნობდა, რომ ხვდებოდა წიხლები, მაგრამ არ სტკიოდა. სახეზე ხელები აიფარა.

_ Наверно, умер, _ გაიმეორა იმავე ხმამ. ბექობი წამში დაიცალა. აფხაზი აჩბა კი ეგდო და ბუნდოვნად გრძნობდა, რომ რცხვენოდა, მერე ნერვიულად გააქნია ხელები, წამოდგა. ბანცალით დაეშვა ხეობისაკენ, იქ ნათესავი ჰყავდა. ახლაღა მოაგონდა, რომ მისი ბიძაშვილიც იმ თეთრ სახლებში ცხოვრობდა, სახლების გახსენებამ სულ წაუხდინა ხასიათი. იგი შემობრუნდა და ზღვისკენ წავიდა. კენჭებზე წამოწოლილი ცოტა დამშვიდდა. რამდენიმე ხნის შემდეგ წაეძინა.

წელი 1956. აგვისტოს 24.

<u>ა ს ვ ლ ა</u>

ახლა ისევ ვაჟა ჯანდიერი და ჯემალ სვანი წავიდნენ წინ. შუადღე გადასული იყო. შორს, ქვევით, ხეობაში, მზისგან განათებული ბაქსანის ხეობა გამოჩნდა. ზევით კი მუდმივი თოვლის ზვავებსა და უზარმაზარ ყინულის ლოლუებს მოეკიდებინათ ფეხი. უმეტესად დონღუზ-ორუნის ჩრდილოეთი ფერდა, საიდანაც უნდა ასულიყვნენ, პიტალო იყო. აქ თოვლი ვერ იკიდებს ფეხს.

ვაჟა და ჯემალი დამხმარე თოკს მიათრევდნენ. ვაჟა იცავდა ქვევიდან. კაპრონის თოკი შეუმჩნევლად გამოწეულ კლდის ქიმს მოსდო და მკერდი მიაბჯინა, მერე

ხელები დაისრისა, სველი წინდები ჩამოიცვა, რომელიც დაკარგული ხელთათმანების მაგივრობას უწევდა.

_ მზადა ვარ. _ ნელა დაუძახა ქვემოდან. თოკის მოძრაობაზე ეტყობოდა, რომ ჯემალი დაიძრა. იგი დიდი სიფრთხილით მიდიოდა წინ, სისწრაფისთვის თავისი ზურგჩანთა ვაჟას მისცა.

თოკი გაჩერდა, მერე მოეშვა. ჯემალმა უკან დაიხია. წინ გლუვი კლდე დახვდა, გადაწყვიტა ქვემოდან შემოვლა; თითქოს დაინახა კიდეც თითების მოსაჭიდი. სცადა ასვლა, მაგრამ მოყინულმა ხელებმა არ გაუშვეს, თანაც შიმშილისგან ძალა ჰქონდა გამოცლილი, რასაც ვერა გრძნობდა. ხელები დაიზილა, დასიებული თითებიდან სისხლი ჟონავდა; თავის თავზე ბრაზი მოუვიდა, «რას მოვეხეტებოდი,» გაიფიქრა გულში, მაგრამ აშკარად თავსაც არ გამოუტყდა და მარჯვენა ხელი ჩასჭიდა ქიმს, შემდეგ სამკავიანი ფეხსაცმელი მოსდო კლდის ხაოს და მთელი ნაბიჯით აიწია ზევით. აქ გაჩერება არ შეიძლებოდა. დიდი სიფრთხილით გადადგა კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და ისევ ხელების გათბობას შეუდგა.

ქვევით ვაჟა ჯანდიერი დარჩენილ თოკს უყურებდა. ხელები მასაც მოეყინა, მაგრამ სიფრთხილის შენელება მთაში ერთი წამითაც არ შეიძლება. ვინ იცის, რომ მოწყდეს, თვითონაც დაიღუპება, შენც დაგღუპავს და უკან მომავალთაც ავნებს. ვაჟამ ქვევით გადაიხედა. შორს, მთის ძირთან ღრუბლები მოჩანდა, მერე ყოველივე იკარგებოდა. ყველაფერი ღრუბლებში იყო გახვეული. შემოუბერა ქარმა და თითებმა მტვრევა დაუწყო, თან ორი ზურგჩანთა სისხლის მოძრაობას უჩერებდა ხელებში. ქარმა ნისლი გარეკა. კედლის ბოლოს ერთმანეთს მიკრული კანკალებდა ექვსი თანაჯგუფელი. ვაჟა ანგარიშობდა. ექვსი თუ შვიდი საათი იყო, რაც გამოვიდნენ და მხოლოდ ორასიოდე მეტრი კლდე აიღეს, დაღამებამდე, ალბათ, ას მეტრზე მეტს ვეღარ გაივლიან, რადგან კლდის მოსაჭიდები მოყინული იყო, ან ნამქერით დაფარული. მათ პოვნას და გასუფთავებას დიდი დრო მიჰქონდა. ქარი გაძლიერდა. ხეობიდან ნისლი დაიძრა და მთელი ქედი მოაქცია შიგ. გარეშემო აღარაფერი ჩანდა. თოკის მოძრაობაზე მიხვდა, რომ ჯემალი წინ მიიწევდა. ვაჟა გამაგრდა. თოკი ნელ-ნელა მიდიოდა ზევით, მერე გათავდა.

_ ჯემალ, მორჩა. _ დაიძახა ვაჟამ.

_ მესმის, _ გამოეხმაურა ჯემალი, _ ახლავე მიგიღებ, სპორტულს მოვაწყობ.

ნისლი გახშირდა. ვაჟამ რამდენიმეჯერ მიაწვდინა ხმა, მაგრამ უშედეგოდ. ნისლი არ ატარებდა ბგერას. წამოვიდა ხოშკაკალა. ვაჟამ შტურმოვკის ქუდი ჩამოიფხატა და აკანკალდა. ქვევიდან მარტო მაისური ეცვა, უღმერთოდ ციოდა.

ჯემალი ცოტა გახურდა მოძრაობით, ახლა ხელმოსაჭიდი ვერაფერი ნახა და კლდის პალოს ჩასობას შეუდგა. ამან წაიღო დაახლოებით თხუთმეტიოდე წუთი. თითოეული მოძრაობა მოზომილი ჰქონდა; ოდნავი გადახრა უკან და _ უფსკრული. როგორც იყო, გაამაგრა პალო, თვითონ ჩაება შიგ და ვაჟას გამოეხმაურა.

_ თოკი აკრიფე! _ დაიძახა ქვემოდან ვაჟამ.

_ ვაჟა! წამოდი სპორტულზე, ნუ გეშინია, მე მაგრად მიჭერიხარ. _ ჩამოსძახა ჯემალმა.

ორი ზურგჩანთა ემძიმა თოკზე დაკიდულს, სისხლის მოძრაობა შენელდა. მარჯვენა ხელი უბუჟდებოდა. ფეხები განდაგან მიაბჯინა კლდეს. კიდევ სამი ნაბიჯი ვერტიკალურ კლდეზე, თოკი დაიჭიმა და ნისლში ცუდად მოდებული კლდეზე მოცქვრა. კაპრონმა საათის ქანქარის მოძრაობა გააკეთა. ბოლოში კაცი ეკიდა. ვაჟა დაიმანჭა ტკივილისაგან, თოკი კლდეს გაეხახუნა და დაწითლებული თითებიდან სისხლი გადმოსკდა. სისხლი სწრაფად მიეყინა თითებს. იგი გრძნობდა რომ

ხელებიდან ძალა ეცლება, ცოტაც და მოსწყდება კლდეს, მერე, შეიძლება, ჯემალიც წამოიყოლოს, მაგრამ ახლა ამაზე არა ფიქრობდა. ძალა სულ გამოელია. უცებ კბილებით ჩაეჭიდა გაყინულ კაპრონს, ფეხები ოდნავ მოსდო ყინულის ლოლუებს და ხელები ჩამოუშვა. რამდენიმე ხანი ასე იდგა, მერე სითბო იგრძნო თითებში და ფორთხვა განაგრძო.

_ ამოხვედი? _ უთხრა ჯემალმა.

_ ჰო! _ უპასუხა ვაჟამ.

_ თოკი მოცურდა კლდეზე. _ ოდნავი ღიმილით თქვა ჯემალმა.

_ აბა, კაცო, _ ვაჟამ ხელები დაანახვა.

ამ ადგილას ასე დაკიდული დიდხანს გაჩერება შეუძლებელი იყო. ჯემალმა ასვლა დაიწყო, იმის ადგილას ვაჟა ჩაება.

_ ახალი თხემის დასაწყისში გავჩერდეთ, ბიჭო.

_ ჰო, დღეს მეტს ვეღარ გავაკეთებთ.

_ ჩვენებს რა ვუყოთ?

_ არაფერი.

_ როგორ?

_ მოიცა, გავიდეთ ზემოთ, იქ მოვიფიქრებთ, არა და, ქვევით ერთი კარავი მაინც გაიშლება როგორმე, იქ დაიძინონ.

_ ხვალე რა უნდა ქნან მერე. მართლა, აქედან გავძახოთ, რომ უკან დაეშვან, ჩვენ კი ბარემ გავაკეთოთ მწვერვალი.

_ რა ჯანდაბად გვინდა, თუ დავიხოცებით.

_ მაინც აქამდე მოვსულვართ.

_ გავაკეთოთ, მა რა.

ჯემალმა ფორთხვა განაგრძო. თან ფიქრობდა, ღამის გათენება ცის ქვეშ მოგვიწევსო. კარავი ქვევით დატოვეს, გინდაც კარავი იყოს, სად გაშლი, ფეხის დასადგმელი ადგილი რომ იპოვონ, ისიც კარგია. ცივი ღამისთევის გახსენებაზე გააჟრჟოლა. ოთხმოცი პროცენტი ასეთი შემთხვევებისა ამ პირობებში დაღუპვა ან ხელ-ფეხის მოყინვა იყო.

საღამოსთვის მზემ გამოიხედა. ნისლი გაიფანტა. სამაგიეროდ ქარმა დაუბერა. სიცივე აუტანელი გახდა. ვაჟამ ყური მიუგდო, ზემოდან ჯემალი ყვიროდა:

_ ბიჭო, რა ადგილი ვნახე!!!

_ რა?

_ უჰ, ღმერთივით, ნამდვილი თავადური, ამოდი ჩქარა.

ვაჟა ჩქარა შეუდგა ასვლას. ნახევარი საათის შემდეგ ზევით იყო. აქ კლდე იყო ამოღებული და პატარა ქვაბს აკეთებდა, შიგ ჩაყრილი თოვლი ჯემალს უკვე გაეტკეპნა. ორივემ შვებით ამოისუნთქა.

_ ბედნიერად ვიქნებით ამაღამ.

_ რას ამბობ, კაცო, მისწრებაა პირდაპირ.

დაღლას ვერცერთი ვერა გრძნობდა. ვაჟა კლდეზე გადმოდგა და ადრევე დაწყობილი გეგმა გადასცა დიდი ყვირილის მერე ქვემოთ დარჩენილებს. იქ თვითონაც მოეფიქრებინათ და კარავი გაეშალათ, რომლის ქვედა მხარეც უფსკრულში იყურებოდა.

მშივრები და სველები ფეხგაუხდელად შეწვნენ საძილე ტომარაში ორივენი. გვერდები ყინულზე ჰქონდათ მიბჯენილი.

_ მომეყინა რა გვერდი. _ დაიწყო ჯემალმა.

_ მიაფურთხე.

_ მიმიფურთხებია.

_ ბიჭო, ახლა ვინატრებდი ერთ კათხა ლუდს თავისი ცხელი სოსისით.

_ ხო, ხო, კარგია, არც ლაღიძის წყალია ნაკლები.

_ შენ რაც გინდა თქვი და მე გაგრის საცურაო მირჩევნია, ახლა ხალხი მზეზე შავდება, ჩვენ კი სადა ვართ. არა, ძმაო, უჭკუობაა, ასე უმიზნოდ, დონკიხოტივით აქ ხეტიალი, სად მოდიხარ, რა გინდა, ვის რას უკეთებ, ეშმაკმა იცის. გიფასდებოდეს მაინც.

_ აბა, კაცო!

_ მაშ რაღას მოდიოდი? _ ვაჟა გაცხარდა. არ მოეწონა არც ჯემალის დასტური, არც თავისი ნათქვამი.

_ როგორ, რას? _ იწყინა ჯემალმაც, _ სპორტული აზარტია.

_ ერთი ეგ აზარტიც რა ვთქვა, წადი და იცურავე, აზარტი არაა?

ორივენი გაჩუმდნენ. თავიანთ ფიქრებს მიეცნენ ბიჭები. «მაინც რა არის,» ფიქრობდა ვაჟა. «მართლა და რა მაგრად მიყვარდა ნანა, უღმერთოდ, მთელი სამი წელი უშედეგოდ, მთელი ლექსები მაგაზე მაქვს: მართლა, რა საინტერესოა, წერ გოგოს სიყვარულზე, უფრო სწორედ ეგ სიყვარული გაწერინებს და გამოდის ათასნაირი რამე, თუნდაც ალეგორიები რომ მაქვს სამშობლოს თავისუფლებაზე. იმაზეც ხომ სიყვარულმა მომცა ბიძგი. ნოველები რომ გავაკეთე ზღვაზე, მაშინაც სულ ნანა მედგა თვალწინ, იწერებოდა კი მარტო ბიჭებზე, ან ზღვაზე და მეზღვაურზე, მერე გამოვიდა ნელ-ნელა ნანას კულტი. უკვე ისე დავიწყე წერა.»

_ ვაჟა, ბიჭო, ახლა კარგი პურ-მარილი მცხეთაში, ჰა.

_ აბა, აბა, მეც მაგაზე ვფიქრობდი, თუმცა არა, _ გაახსენდა, რომ სხვა რაღაცაზე ფიქრობდა.

_ სწორედ გითხრა, მეც სხვაზე ვფიქრობდი, არასოდეს მყვარებია ბებო ასე ძალიან.

_ მართლა, ბებო უსაყვარლესია.

_ მაინც მშობლები სხვა არის, არა?

_ აბა რა.

სიცივემ იმატა. ბიჭები ერთმანეთს ჩაეკვრნენ. ერთხანს ასე კანკალებდნენ, მერე ვაჟამ ნახვრეტში ზურგჩანთა ჩატენა, შედარებით დათბა. ვაჟამ დაიწყო:

_ ჯემალ, იცი რაზე ვფიქრობდი? ნანაზე.

_ აკი აღარ გიყვარს?

_ მერე რა, მაინც. გახსოვს, როგორ მიყვარდა.

_ შენი ნება არ იყო, რატომ გადაიყვარე?

_ რა ვიცი, ალბათ ჩემი რომ გახდა, აღარ მომინდა.

_ არ გეცოდება გოგო, ახლა იმას უყვარხარ.

_ მეცოდება, მაგრამ ხომ ვერ მოვატყუებ, მე აღარ მიყვარს.

_ ამაღამ არ დაგვეძინება, თეთრად გავათენებთ, არც ღრუბელი ჩანს, ნამდვილად გავიყინებით.

_ შენ წარმოიდგინე, რომ ესეც არ გვენახა.

_ ღმერთმა დაგვიფაროს!

_ დილით ადრე გავიდეთ, ახლა წინ მე წავალ.

ბიჭები გაჩუმდნენ. «საწყალი ბებო», ფიქრობდა ჯემალი. მას გაგიჟებით უყვარდა მოხუცი. მართლაც არაჩვეულებრივი ადამიანი იყო, მცოდნე, გამრჯე. მერე მოშივდა. ახლა ისევ ბებიამისის დამზადებულ შეჭამანდზე ფიქრობდა. ჯემალმა სიჩუმე ველარ აიტანა:

_ გახსოვს, ვაჟა, რა მოწყენილი დადიოდი თბილისში. ერთხელ მგონი ნამტირალევიც იყავი, მაშინ არ გამომიტყდი, ახლა მაინც თქვი.

ვაჟამ ხმა არ გასცა. თავი მოიმძინარა. მართლაც, ორი თვის წინათ საშინელ ხასიათზე იყო. იარაღი რომ ჰქონოდა, თავს მოიკლავდა, თანაც მიზეზი არ იყო არავითარი ასეთი ხასიათის. გამოცდები ახალი ჩაბარებული ჰქონდა ფრიადებზე, სწორედ მაშინ აისრულა თავისი დიდი ხნის წადილი და კალთაში ჩამჯდარ ნანას ეალერსებოდა ხოლმე გვიან ღამემდე. ოხ, როგორ უყვარდა ერთ დროს. ბოლოს გაიგო, რომ იმასაც უყვარდა. მერე პირველი კოცნა ლიას დაბადების დღეზე. იმ საღამოსვე დაამთავრა თავისი უსაყვარლესი პოემა «ლექსი გაზაფხულზე». ახლა რამდენიმე სტრიქონი მოიგონა ზეპირად და იგრძნო, თუ რა ძვირფასი იყო მისთვის თავისი შემოქმედება. ძალიან მოუნდა საწერკალამი. საძილე ტომარაში სიცივისა და წერის ჟინისაგან ტრიალი დაიწყო. მთელი კვირა ასე ბედნიერად გაატარა მაშინ ვაჟამ. შაბათს სადღაც დაითრო და დილით თავი სტკიოდა, დამ ბორჯომი მოუტანა, ტკივილმა ცოტა გადაუარა. იმ დილას მოაგონდა, რომ დღეს მისი გარდაცვლილი ამხანაგის წლისთავი იყო. პანაშვიდზე ადრევე წავიდა. სანამ სხვები მოვიდოდნენ, დიდხანს უყურა ლევანის მოღიმარ სახეს, რომელიც ირონიით უყურებდა საფლავზე დადგმული კვარცხლბეკიდან. უნებლიედ მოაგონდა თავისი ნანა, ოჯახი, რომელიც ბედნიერი იყო მამის წარმატებებით, მერე თავისი პოემა დასაბეჭდად გამზადებული, და ლევანი უფრო შეებრალა. რაღაც ჭირად თავში მოუვიდა, რომ ლევანი ბედნიერია. მორჩა და მოისვენა, აღარც უხარია, აღარც სწყინს, მას კი რაღაც სისულელეები ახარებენ. «სიყვარული», «პოემა», «ოჯახი», _ რა არის ყველაფერი ეს. თავის მოტყუება, დროებითი სიხარული და ბოლოს სიკვდილი, გარდაუვალი სიკვდილი. მორჩა. აღარ იქნება ვაჟა. მან პანაშვიდის დაწყებას აღარ დაუცადა, წყნეთისაკენ წავიდა მარტო.

ამ დღიდან მთელი კვირა ებრძოდა თავს, ბევრჯერ თვითმკვლელობისაგან იარაღის უქონლობამ იხსნა, სულ მოეშვა, სმაც კი აღარ იზიდავდა. თუმცა არაყს უფრო მიეძალა. ერთხელ, საღამოს, დედას ჩაუდო კალთაში თავი და ბავშვივით ატირდა. შიშმა აიტანა. მშობელს ჩურჩულით ეუბნებოდა მისთვის გაუგებარ სიტყვებს, «მერე რა გველის ან შენ, ან მე, ან მამას, რად გვინდა, არა სჯობია, დროზე მოვრჩეთ ყოველივეს». ნანასთან აღარ წავიდა შესახვედრად. მაშინ იყო, რომ მამის დაჭრის ამბავი გაიგო და სასწრაფოდ გაემგზავრა ბიძასთან ერთად აზერბაიჯანში. ერთი კვირის შემდეგ მძიმე ავადმყოფი ჩამოიყვანეს. მთელი თვე სიკვდილის პირას იყო კაცი. ვაჟა თავს დასტრიალებდა, როცა მომჯობინდა, თავი დაანება და მთაში წამოვიდა.

შუაღამეს მოიღრუბლა უარესად და წვრილი ხოშკაკალა წამოვიდა, რომელსაც ფართოფარფლებიანი თოვლი მოჰყვა; საძილე ტომრებს მთელი ათი სანტიმეტრი დაათოვა. ქარმა ჩქარა გადარეკა ღრუბელი და მთის გამჭვირვალე ცაზე ვარსკვლავები გამოაჩინა. მთვარე არა ჩანდა, სიცივემ ისევ მოუჭირა. ბიჭებს არ ეძინათ, აღარც ფიქრობდნენ. ჯემალმა ვეღარ გაძლო:

_ ვაჟა, გძინავს?

_ ჰო და არა.

_ მეც ეგრე, როგორ აცივდა.

_ აბა, ბიჭო.

_ ვაჟა, მოყევი, ან თქვი რამე ლექსი, რა?

_ რა გინდა?

_ შენი, ან ტიციანის, შენი ჭირიმე, ცოტაც და გათენდება.

ვაჟამ ბოხი, დაბალი ხმით დაიწყო:

«და ალიონზე თეთრ დუქანთან ტირის არღანი,
მტკვარი ახლოა, მინდა მტკვარში თავი დავიხრჩო.»
მერე ეს ლექსი შეწყვიტა და სხვაზე გადავიდა.
_ ჯემალ, სჯობია, «რია_რიას» გეტყვი.
_ შენი ნებაა.
_ ჰოდა: «მივალ, მივდივარ და მივიმღერი,
თან საქართველოს მიმაქვს ოცნება,
ვარ გაუთლელი ლერწამის ღერი,
ტუჩმიუდებლად რომ იკოცნება.»

ბიჭო, ახლა ბოლოს გეტყვი, მართლა კარგი სტროფია:

«ერთ საწყალ პოეტს ამაზე მეტი
სინდისით ან რა მოეთხოვება;
დამადეთ გულზე ტყვია ცამეტი,
მაგ თქვენი მამის სულის ცხონებას».

_ ვაჰ, რა კარგია, გენაცვალე სულში, დამილიე, _ ჯემალმა გაიცინა. ვაჟამ გადაიხარხარა. ღამე მთამ საშინელი ექო გამოიღო. ორივე შეზარა მათი ხმის გამოძახილმა და ერთხანს გაჩუმდნენ.

_ ჯემალ, _ დაიწყო ვაჟამ, _ თუ იცი, ჩვენი «დინამო» რომელ ადგილზეა?

_ მგონი მეხუთეზე, «შახტიორთან» არ ვიცი, რა ქნეს. ან მეექვსეზე გადავიდოდნენ, ან მესამეზე.

_ «შახტიორს» მოუგებდნენ, თუ ბასას ფეხი მოურჩა.

_ ნამდვილად, «შახტიორს» ყოველთვის უგებენ. ორივენი გაჩუმდნენ. ვაჟა ფეხებს ვეღარა გრძნობდა. ჯემალს საჯდომი მოეყინა. ცაზე დიდი ვარსკვლავები გაბაცდნენ, პატარები გაქრნენ. თენდებოდა. ვაჟა ამოძვრა საძილედან და ფეხსაცმელების გახსნას შეუდგა. მთელი საათი დაკარგა ამაზე, ბოლოს გაიხადა. ჯემალმა ორივე ფეხი სველი წინდით დაუზილა, მერე ფეხსაცმლის ჩაცმაში მოეხმარა. უკვე კარგად მოთენდა, როდესაც ქვაბიდან ამოძვრნენ. გარეშემო კრიალა ჰაერში მზე კაშკაშებდა.

ორივენი გათოშილები ისხდნენ კლდის ქიმზე. შორს მკაფიოდ მოჩანდა უშბა, რომელსაც ზევიდან დაჰყურებდა მზე.

_ ორრქიანი უშბა, ნახე რა მწვერვალია! _ თქვა ვაჟამ.

უშბას მარცხნივ, სამხრეთ-დასავლეთისკენ, შხელდა მოსდევდა. ბიჭებმა დიხთაუ და ქოშთანთაუც იცნეს.

_ თუ შხელდა-უშბა არ გავაკეთე, ისე მთამსვლელობას თავს არ დავანებებ, _ თქვა ჯემალმა.

ხეობებიდან ნისლი დაიძრა. უშბამ ბოლვა დაიწყო, მის რქებშუა შესული ნისლი სამხრეთის მწვერვალს უვლიდა და ისევ შუაში შემოდიოდა. ნისლმა იმატა. ბიჭებმა უმოკლეს გზაზე გაჭიმეს დამხმარე თოკი და ქვევით დარჩენილი ამხანაგების მიღებას შეუდგნენ. უჭმელობა აღარცერთს არ ახსოვდა. ჯერჯერობით ამინდს კარგი პირი უჩანდა.

ჯემალმა დამატებითი კლდის პალო ჩაასო და მიღება დაიწყო, ხოლო ვაჟა წინ წავიდა. ორი საათის მერე ძლივს ამოვიდა პირველი. ომარმა ამბავი მოიტანა, ორივე გოგო თავს კარგად გრძნობსო, მაგრამ არნოლდი გახდაო ავად. ნახევარი საათის შემდეგ პირველი გოგო ამოვიდა. ლიდა იღიმებოდა. ისეც ღაჟღაჟა ლოყები დილის სუსხს სულ დაებრაწა.

მეთორმეტე საათი დაიწყო. ომარი ჯემალის ადგილას ჩაება, ხოლო უკანასკნელი გამყოლზე გაუშვა. შორს უშბას ღრუბელი მოეხვია, მერე შხელდაც გაუჩინარდა. ქარმა დაუბერა. ხეობიდან მძიმედ დაიძრა ნისლი. თორმეტ საათზე ამინდი გაფუჭდა.

ვაჟა დიდი სიფრთხილით მიფორთხავდა. ფეხსაცმელს კბილანები მოუცვდა და კლდეს კარგად აღარ ეჭიდებოდა. ყინულის კედლის ქვევით ორი დამატებითი სოლი დაასო, ძირითადი თოკი ზედ მოაბა, ხოლო თვითონ დამხმარე თოკით თვითდაცვა გაიკეთა პალოზე და გზა განაგრძო. თითოეულ მოგებულ ნაბიჯზე წაყინულ ხელებს ითბობდა. ისევ მიფორთხავდა. ქვევიდან ხმაური ისმოდა. სადღაც ქვების მთელი გროვა მოსკდა და ზათქით წავიდა ხეობისაკენ. ძლივს გაისმა ლიდას წვრილი ხმა _ რფვტყმ! მერე ყველაფერი მიწყნარდა. ქვების ზვავის ხმაურმა თოვლის ზვავები დაძრა დონღუზ-ორუნიდან ანუ, ქართულად, ღორისთავიდან. ეს მწვერვალი ცნობილია თავისი ზვავიანობით. წელს კი განსაკუთრებით აპირებდა თავის გამოჩენას. ამინდები მთელი ზაფხული ცუდი იყო. უზარმაზარი თოვლი ზედ აწვა მწვერვალს. პატარა ხმაური მთელ ყინულის ქიმსა გლეჯდა, მერე თოვლი მოდიოდა ხმაურით, განუწყვეტლივ, აქაფებულ მდინარესავით. ვაჟამ თოვლის ნაკადს გააყოლა თვალი. მდინარე ნისლში დაიკარგა. აცივდა. ისევ წამოვიდა ხოშკაკალა. მოყინული თითები კლდეს ძლივსღა ეჭიდებოდა. ქვევიდან ჯემალის ხმა მოისმა. ვაჟა გაჩერდა და თოკის აკრეფა დაიწყო. ცალი ხელით ძლივს ეკიდა, მხოლოდ მეორეთი მუშაობდა. ნისლში გაარჩია ჯემალის თავი. ჯემალმა ცუდი ამბავი მოიტანა: არნოლდი ცუდად ხდება, ირინას ფერი აღარა აქვს, ხოლო ამირანი იგინება, სად წამოვედიო, თქვენი ბრალიაო და ერთი ამბავი, შემდეგ ბიჭებმა უთხრეს, თუ არ გინდათ, აქ მოეწყვეთ, რაცა გვაქვს, დაგიტოვებთ და ორ დღეში უკან დაგაბრუნებთო. ამაზეც აყვირდა, მწვერვალი უნდა ავიღოო. ვაჟა ჩუმად იყო, მერე თოკში ჩააბა ჯემალი, ძირითადი ისევ კლდეზე გაამზადეს სპორტულისთვის, თვითონ კი უკანასკნელი კლდე აჭრა და ყინულზე გავიდა. აქ ლურჯად ლივლივებდა ყველაფერი. ჯემალს ქიმი მოეფარა და ვერაფერსა ხედავდა.

_ ბიჭო, როგორ არის საქმე? _ შესძახა ქვემოდან.

_ ისე რა, _ ყრუდ მოისმა.

_ წრიაპები გაიკეთე?

_ ჰო, ვამთავრებ.

_ აბა, შენ იცი.

_ რად გინდა ლაპარაკი, ამ ყინულს ერთ საათში ავჭრი.

ხმა შეწყდა, ჩახაჩუხი ატყდა. ჯემალს ყინულები თავზე დაეყარა. დაიწყო ურთულესი მონაკვეთი, ყინულის კედელი. ვაჟა უცებ გახურდა, ტანში ჩხვლეტაც იგრძნო, ფეხები კი კვლავ უგრძნობლად ჰქონდა. ყინულის ჭრამ ცოტა გაართო და კარგ გუნებაზე დააყენა. უზომოდ მოუნდა გავლა თავისი შავი კოსტუმით, თეთრი პერანგით და შავი მაღალყელიანი ფეხსაცმელებით რუსთაველის გამზირზე. იქნევდა წერაქვს და ოცნებობდა. მოაგონდა პატარა გოგონა კრავაი, წამოსვლის წინ რომ შეხვდა ლაღიძესთან; ერთად ჩავიდნენ და მთელი საათი სვეს ერთი ბოთლი წყალი. მერე რუსთაველზე ხელკავით გამოატარა, თან ამხანაგებს ესალმებოდა. ახლა ის საღამო ედგა თვალწინ. უფრო ენერგიულად დაიწყო მუშაობა. გრძნობდა, რომ თითოეული საფეხური აახლოვებდა საყვარელ ქალაქსა და ხალხს. «დედასაც ვნახავ», გაიფიქრა, «ახლა კარგ ხასიათზე ვიქნები, გაუხარდება საწყალს, ან რა არის მოსაწყენი, ამდენი კარგი და საინტერესოა.» ცოტა შეისვენა. «კაცმა უნდა მთელი სულით იცოცხლო,» განაგრძობდა ფიქრს წერაყინით ხელში «ან რა არის მუდმივობა, სისულელე. ყველა ადამიანი მუდმივად ცხოვრობს, ყოველ შემთხვევაში, მისი

მარადიულობა ის წლებია, რომელსაც გაატარებს ამ ქვეყანაზე. კაცმა რომ თქვას, არცა კვდება კაცი, იბადება სხვა, რომელსაც გარდაცვლილისა აქვს ყველაფერი ცოტა შეცვლილი.» ვაჟას გაეღიმა, «რა დროს ამიტყდა ფილოსოფია», დაასკვნა და ახალი ძალით შეუტია ყინულს. კედელი უფრო დამრეცი გახდა, ახლა მეტი სიფრთხილე იყო საჭირო. კიდევ სამი საფეხური გაჭრა ყინულში და დიდი წვალებით დაასო პირველი ყინულის პალო, შემდეგ გამყოლით თოკი ჩააბა. საღამოვდებოდა. შიმშილმა თავისი ქნა და მთამსვლელს ძალა გამოაცალა. თითქმის ხუთიათასიან სიმაღლეზე სუნთქვა ჭირდა. თოკი ვაჟამ მარჯვნივ გადმოაგდო, მაგრამ შემთხვევით ფეხი დაადგა და ყინულზე მოცურდა. ერთი წამი წერაყინით შეიკავა თავი, ოფლმა დაასხა, ცალი თვალი ქვევით გააპარა. ნისლი იყო გაპობილი და ძალიან შორს მთის ტბა მოჩანდა. ვაჟას შეეშინდა. ბედზე, ახლად დარჭობილმა ყინულის პალომ სამიოდ ნაბიჯზე ჩამოცურებული ვაჟა შეაჩერა. იგი მუხლის კანკალით წამოდგა და კიდევ ათიოდე საფეხური გაჭრა, ყინული გარბილდა, ჩქარა თოვლი გამოჩნდა. მწვერვალი ახლოს იყო. ვაჟამ ქვევით მეორე პალოც დაამაგრა და სპორტულით ჯემალის მიღებას შეუდგა. მალე სიცივისგან გალურჯებული ამხანაგიც ამოვიდა.

_ ვაჟა, შენი ჭირიმე, მაგრა იმუშავე, აი, ეგ არის ძმაო, მაგარი გული.

_ გაუშვი ერთი, მეტი რა ძალაა, შიშიც ვჭამე, ცოტა მოვცურდი.

_ ბიჭო, ქვევით ცუდი ამბავია.

_ ჰა?

_ ამირანი ატირდა, ხელ-ფეხს ვეღარ ანძრევს, იდგა ჩუმად ცალ ფეხზე, მეორე ვერსად დადგა და ცრემლები სდიოდა.

_ რას მეუბნები.

_ მართალს.

_ ნეტა რას დაპორტყავს მთაში, თუ არ შეუძლია.

_ ნუ გაამტყუნებ, პირველადაა ასეთ რთულზე.

_ არნოლდი როგორ არის? _ ვაჟამ დიდის ვაივაგლახით პაპიროსს მოუკიდა და გამოშვებული ბოლი თითებს მიაბოლა.

_ არნოლდი მკვდარივით, კაცო, ეგ გოგოები არიან ქაჯებივით.

_ ჰო, თურმე მაგათ ნაკლებად სცივათ, მეტი ქონი აქვთ.

_ ალბათ.

ქვევიდან ძახილი მოისმა. ომარი მოდიოდა სპორტულით. ახლა გაყინული ჯემალი წავიდა მთელ დამხმარე თოკზე წინ, ხოლო ვაჟა ადგილზე დარჩა ხალხის მისაღებად, თან თოვლსა ჭამდა მადიანად. დაღამების წინ ბუნება დაწყნარდა. ქარი შეწყდა და მოიწმინდა. ბაქსანის ხეობაში საქართველოს აკადემიის დასახლების თეთრი სახურავები მოჩანდა. ვაჟამ ნატვრით შეხედა შენობებს, უზომოდ მოუნდა თბილი სახლი და საჭმელი, მერე შიშმა შეიპყრო _ კიდევ ხუთი კაცი იყო მისაღები, თანაც მათგან ორი სუსტი, ბოლოს ჯგუფის უფროსი მოდიოდა, გამოცდილი მთამსვლელი მირიანი. ორივე გოგონამ ამოჭრა ყინული და თოვლზე გავიდნენ, შორიდან ჯემალის ხმა გაისმა, მწვერვალზე საკარვე ადგილებს მივაგენითო. ამოსულები საიმედო თოვლში უთოკოდ წავიდნენ ზევით. დამხმარე კაპრონი ვაჟამ თავისთან დაიტოვა. უკვე ღამდებოდა, როდესაც ამირანმა ამოყო თავი კლდიდან, ვაჟამ დამხმარე თოკიც ჩაუშვა ქვევით. ამირანმა მკერდზე მიიმაგრა. იგი ძლივს იდგა ფეხზე, ნამტირალევი თვალები დაწითლებული ჰქონდა. ვაჟა მთელი ძალით ქაჩავდა, თვითონაც მოეხმარა ამირანი, ამ დროს ჯემალიც ჩამოვიდა. მან დაღლილს ზურგჩანთა გამოართვა და ხელჩაკიდებული წაიყვანა. პირდაპირ ბედად იწყებოდა

იქვე ღრმა თოვლი. ქვევით რჩებოდნენ არნოლდი და მირიანი. ჯემალი ისევ მობრუნდა.

_ ორივე კარავი გავშალე.

_ ადგილები როგორია?

_ ზვავი არ იქნება?

_ ბიჭო, ქვევითებს რა ვუყოთ?

_ მოიტა, ჩავებმები.

_ მოიცა, ისინი დაწვნენ?

_ ჰო, მკვდრებივით არიან.

_ რას ამბობენ?

_ მარტო იხედებიან, მგონი გაველურდნენ, გოგოები ცოტას იღიმებიან.

_ არა უჭირთ, გაათბობენ ბიჭებს.

ქვემოდან ყვირილის მსგავსი ხმები ისმოდა. ბიჭებმა კიდევ ერთი ყინულის სოლი ჩაასვეს, მერე ვაჟა ჩაეშვა ქვევით. ყინულის ბოლოს წრიაპები მოიხსნა. მოძრაობა შედარებით ადვილი იყო მისთვის. ზევით ჯემალი საიმედოდ იცავდა. თანაც სამკერდე თოკისგან საჯდომი გაეკეთებინა და რეგულირებას თვითონ ახდენდა მისი ხმის მიხედვით. ვაჟამ დაუძახა, ყინული მორჩა, კლდეზე გადავდივართო. ჯემალმა ორი მეტრი გაუშვა, თოკმა უცებ დაქაჩა. ქიმზე ხელი აიხლიჩა კიდევ, მაგრამ კარგად ვერც იგრძნო. ზედ, ყინულის დასაწყისთან არნოლდი იყო გაჩხირული. ვაჟამ ხელი მოჰკიდა. არ ინძრეოდა. იგი ძირითად თოკს და ვაჟას მიერ კლდეზე ჩასობილ სოლს შორის ეკიდა, მის ქვევით მირიანი იყო. სიჩუმე მირიანმა დაარღვია.

_ რა ვუყოთ მაგას, ვაჟა?

_ მოიცა, შენ როგორა ხარ, მოკვდი, ალბათ, ამ ყინვაში ცდით ეს ორი დღე, ჩვენ მაინც ვხურდებოდით.

_ ხედავ არნოლდს?

_ ჰო, არაფერია, მსუბუქი მოყინვები ექნება. ხო სუნთქავს ნორმალურად.

_ ძმობილო, _ვაჟამ ხელი შეახო, _ არნოლდ, ბიჭო, რას აპირებ.

არნოლდმა თვალები გააღო. ვაჟა შეზარა შიგ ჩახვეულმა შიშმა.

_ არ შემიძლია, _ ყრუდა თქვა და ისევ გაჩუმდა. ვაჟამ დამხმარე პატარა თოკისგან, რომელიც თან წამოეღო, რვიანის მსგავსი ჩამოსაჯდომი გააკეთა, მერე ფეხებზე ამოაცვა და სამკერდესთან მიუტანა.

_ მირიან, გამყოლი მოიტა.

_ არა მაქვს.

_ რა ვქნათ, მაშ?

_ რა ვიცი, მომკლა, კაცო, ხმასაც არ იღებს.

ვაჟა თოკის გამყოლით ჩაება, თვითონ კი რკინისა მიუმაგრა არნოლდს, ამრიგად ის ჩამომჯდარი აღმოჩნდა. მირიანი ისე იყო, რომ არნოლდის დაძვრამდე ფეხს ვერ გაანძრევდა, ვაჟამაც დაკარგა მოძრაობის საშუალება რკინის გამყოლის მოხსნის მერე. მან ახლა არნოლდს ხელები დაუზილა წინდით, ცხვირ-პირიც გაუთბო.

_ ძმაო, მორჩა, ახლა წავიდეთ ნელა.

_ საით?

_ აი, ზევით, ჯემალ, მოეხმარე.

თოკი ამოძრავდა.

არნოლდმა უცებ მოიკრიბა ენერგია.

ბედზე ყინულს ვარსკვლავები ანათებდნენ. ვაჟამ ახლა მირიანი გაუშვა. ისე იყო გაყინული, ძლივს დაიძრა ადგილიდან. მარტოდ დარჩენილი ვაჟა უსიამო ფიქრებმა

შეიპყრო. მოყინულ ხელზე იკბინა; ვერაფერი იგრძნო. დაიწყო დაზელვა, როგორც იყო აამოძრავა, მერე თოკს მოჰკიდა ხელი და აიწია, მაგრამ უშედეგოდ. დაღალული მკლავები არ ემორჩილებოდნენ. სიბნელეში კლდეს ძლივს არჩევდა. ხელით მოსინჯა მოსაჭიდი და ერთი ნაბიჯით აიწია. ყინულამდე ორიოდე მეტრი რჩებოდა. შეისვენა. ზევიდან ჯემალის ძახილი მოესმა. ვაჟამ ასვლას დაუჩქარა და ფეხი გაუფრთხილებლად გადადგა. სიბნელეში ხელი ვერაფერს მოჰკიდა და ჩამოცურდა. თოკმა გაქანება მისცა, მერე უფსკრულში ჩაეკიდა. ზევიდან კვლავ გაისმა ჯემალის ძახილი, ვაჟამ ამაოდ სცადა კუნთებზე აწევა, გაყინული ხელები თოკს ვერც კი ჩასჭიდა. ახლაღა იგრძნო ნამდვილი შიში. ასე დარჩენილს გაყინვით სიკვდილი ელოდა. როგორ არ უნდოდა, ეს რომ მომხდარიყო. მოაგონდა, რომ სულ ორიოდე თვის წინ სიკვდილს ნატრობდა, აქ კი, როცა შეუძლია, თვალის დახამხახებაში, მხოლოდ გამოეხსნას თოკს, ოდნავი ბიძგი და მორჩა _ აქ ყველა კიდურით, მთელი სულით შეებრძოლა სიკვდილს. ნანობდა, მართლა გულით ლანძღავდა თავს მთაში წამოსვლისთვის. პირობას აძლევდა ყველას, იწყევლებოდა გულში, რომ ღმერთს, თუ იყო ასეთი, ან რაიმე განგებას, შემთხვევას, დაესაჯა მაგრად, უარესად, თუ კიდევ წამოვიდოდა. ან როგორ იფიქრა მაშინ სიკვდილზე, როცა სიცოცხლე ასე ტკბილი ყოფილა.

ვაჟა, კლდეზე ჩამოკიდებული, დონღუზ-ორუნის ჩრდილო კედელზე იღუპებოდა. უკვე მკაფიოდ შეიგრძნო, რაღაცა უჩვეულო ხდებოდა მის ცხოვრებაში. ხელები ისტერიკულად ჩაიწყო პირში და კბენდა, მერე შტურმოვკაზე უხახუნა. ამდენმა ღელვამ და მოძრაობამ გაათბო. აშკარად გრძნობდა ნამდვილ შიშს. მოეჭიდა კაპრონს და ორჯერ აიწია კუნთებზე. ისევ მოეშვა, კბილები ჩაავლო თოკს, ხოლო მარჯვენა ფეხის წვერით ოდნავ მიეყუდა კედელს. ორიოდე წუთი ასე ეკიდა. ვერაფერსა გრძნობდა, მერე რატომღაც გაახსენდა, რომ დედას, როცა კბილი სტკიოდა პატარობისას, თვითონ ლოყას დაადებდა ხოლმე და ურჩენდა. თვალებზე ცრემლი მოადგა, თავს კვლავ პირობა მისცა, მთაში აღარასოდეს წამოვიდოდა. უკანასკნელი ძალით გავიდა ყინულზე. იქ ხელი გაენასკვა. თვითონ არ ახსოვს, ჯემალამდე როგორ მივიდა.

_ ბიჭო, ორი საათია. _ უთხრა ჯემალმა.

_ ორი?

_ ჰო.

მერე ჯემალმა შავი დღისთვის შემონახული ორცხობილის ნატეხი გაუწოდა. ვაჟამ ჩაიდო პირში, მაგრამ ვერ დაღეჭა.

დატოვებულ თოკს უხმოდ აუყვნენ ღრმა თოვლში ორივენი. გზაზე მირიანი და ომარი შეხვდათ. უკან დაბრუნდნენ. ყინვა უჭერდა და უჭერდა, ცოტა ხნის შემდეგ ქარიც ამოვარდა. იმ ღამეს კარვებში არავის სძინებია.

მეორე დღეს, დღის თორმეტ საათზე თავდებოდა ალპური ბანაკი «ნაკრას» მიერ მიცემული საკონტროლო ვადა. ამ ვადის გადამცილებელს მწვერვალზე ასვლა არ ეთვლებოდა და შეიძლებოდა სპორტული წოდებაც ჩამოერთმიათ. უთენია ჯემალი და ვაჟა დაეშვნენ ბანაკისაკენ.

ნისლში გახვეულ მწვერვალზე ორი ნაბიჯის იქით აღარაფერი ჩანდა. დიდი სიფრთხილით მიიწევდნენ წინ. ნისლი უფრო გახშირდა. მოძრაობა შეუძლებელი ხდებოდა. ყინვამ დილით იმატა. ბიჭები გაჩერდნენ, მერე ნისლში ოდნავ შეიპარა სხივი, დაუბერა სამხრეთიდან ქარმა და თოვლის ფიფქებთან ერთად გარეკა ნისლი. დაიწყო ციცაბო ფერდობი. წინ ვაჟა წავიდა, უკან ჯემალი თოკის მთელ სიგრძეზე აკეთებდა დაცვას, ქვევით ვაჟა იცავდა და ახლა ჯემალი იწყებდა მოძრაობას ვაჟამდე,

შემდეგ თოკის გათავებამდე _ ქვევით. სამთო ფეხსაცმლის სამკავები კლდეზე იყო გაცვეთილი. წრიაპები ზევით დატოვეს, ფეხი უსხლტებოდათ. ახლა უკვე გაყინულ თოვლზე მიდიოდნენ. ვაჟამ დაცვა მოხსნა და წერაყინის ამოღებისას ფეხი დაუცდა, ჯემალმა მთელი ძალით სცადა წერაყინის ჩასობა, მაგრამ ყინულმა არ მიიღო, თოკმა დაქაჩა და ორივენი გააქანა ქვევით; ასიოდე ნაბიჯის მერე ნაპრალები დაიწყო. ჯემალი გადააფრინდა ზევიდან, ხოლო ვაჟა შიგ ჩავარდა, ზევიდან თოვლი დაეყარა.

ნაპრალში მოხვედრილმა ვაჟამ განძრევა სცადა, მაგრამ უშედეგოდ. ზევიდან თავისი ზურგჩანთა და თოვლი ეყარა, ახლა სუნთქვის აუცილებლობამ შეაწუხა, სველი თოვლით გამოევსო პირი. მარცხენა ხელი ოდნავ გაითავისუფლა და საიდანღაც შეისუნთქა ცოტა ჰაერი. მერე გრძნობა დაკარგა. დაცემის შემდეგ პირველი ჯემალი გამოერკვა და წვალებით წამოდგა, თავბრუ ეხვეოდა. მექანიკურად მიჰყვა თოკს და ნაპრალში ჩაიხედა; თოკის ბოლო თოვლში იყო ჩაფლული, მოქაჩა, ახლაღა შეიგრძნო, რომ თოკის მეორე მხარეს ვაჟა უნდა ყოფილიყო მობმული. უფრო ძლიერად მოქაჩა თოკს, მერე ნაპრალში ჩაეშვა. ზურგი მაგრად მიაბჯინა ერთ მხარეს, ხოლო ფეხები მეორეს. წერაყინით დაიწყო თხრა. პირველი შეგრძნება ვაჟასი იყო, რომ ჰაერი ღრმად შეისუნთქა და მარჯვენა ხელმა ჩხვლეტა დაუწყო. რატომღაც გაეღიმა. უცებ ისევ მოეღუშა სახე, შეეშინდა გაგიჟების. როგორც იყო, ამოვიდა ზევით. უხმოდ გადაეხვივნენ ერთმანეთს.

ერთი საათის სიარულის შემდეგ გზის რთული ნაწილი უკან მოიტოვეს.

ამოვიდა მზე. ხეობაში ჩამოცხა. მოყინულმა ნაწილებმა ტკივილი დაუწყეს. ათი საათი გახდა. თითქმის მირბოდნენ ორივენი. ვაჟას ნაპრალში ნატკენი ფეხი ასტკივდა. გაოფლიანდნენ. ახლა სისველე ზურგს ღარივით ჩაჰყვა და საცვალი ამოეკრო ლაჯებში. ძლივს სუნთქავდნენ სიმაღლედაკარგულები. ვაჟას ფეხი აეწვა, კანმა დაუწყო ოფლისაგან გადაქლეშა. ახლა გზა ტყეში შევიდა. ქინქლები ოფლიან შუბლზე ეკრობოდნენ, კისერში ტყის ქერცლი უცვივოდათ. ვაჟა დაიმანჭა, ფეხი უფრო ასტკივდა. გულში ბრაზობდა, რომ ამდენი სიძნელის მერე წესიერად, ნელი ნაბიჯით მისვლაც კი არ შეეძლოთ ბანაკში. სიცხემ იმატა. ოფლში გაიღვარნენ, საშინლად მოსწყურდათ. ჯემალმა წყაროსკენ გაიწია, მერე საათს დახედა და ნაბიჯის შეუნელებლივ წინ გასწია; უკან ვაჟა მიჰყვებოდა. საშინლად მოსწყინდა ყველაფერი და ძალიან მოუნდა ხახვი; მესამე დღე იყო, რაც არ ეჭამათ. მან სიჩუმე ვეღარ აიტანა.

_ ჯემალ, ბიჭო!

_ რა?

_ რას ინატრებდი ახლა?

_ ნიორს და პურს, შენ?

_ მე ხახვი მინდა, გალეტთან ერთად.

_ ჰო, კარგი იქნებოდა.

_ რამდენი დაგვრჩა დრო?

_ თხუთმეტი წუთი.

ბიჭებმა უკანასკნელი ძალები მოიკრიბეს. ფეხის ტკივილს ვეღარა გრძნობდა ვაჟა. მხოლოდ ხუთი წუთი დააგვიანდათ ბანაკში შესვლა. მთელი ხალხი გამოეგებათ გზაზე. დიდი სიხარული იყო. ვაჟამ ანგარიში ჩააბარა ბანაკის უფროსს, მერე ორივენი ამხანაგებმა გაიტაცეს. ვაჟა სიამოვნებით წამოწვა და ფეხები საწოლის თავზე შეაწყო. არ ეძინებოდა. ექიმმა ხახვი და პური მოუტანა სხვა გემრიელ საჭმელთან ერთად. მალე კარავი დაცარიელდა, მხოლოდ ბარიდან ამოსული მისი მთამსვლელი მეგობარი დარჩა, რომელმაც სიხარულით დაიწყო:

_ ვაჟა, უნდა გაგახარო.

_ შენ იცი, _ ვაჟას გაეცინა, _ რითი?
_ ტრავერსი დაამტკიცეს, ხვალ-ზევით გავდივართ.
ვაჟა წამოჯდა საწოლზე, მერე გადაკოცნა ძმაკაცი.
_ ჩქარა, ბიჭო, მალამო, ფეხი მოვირჩინო, თუმცა დღენახევარში მაინც მომირჩება.
_ რო არ მორჩეს?
_ რას ამბობ.
ვაჟამ ხახვი ჩაკბიჩა, მერე პური დააყოლა და მჟავე წყალი სიამოვნებით მოწრუპა.

წელი 1956. აგვისტოს 29. სექტემბრის 18.

<u>ცარიელდება აგარაკი</u>

დღიური:
წ. 1956.სექტ. 5 —— **გუშინ წვიმდა. დღეს გარეთ საშინლად ცხელა. ბუზები აუტანელი ხდებიან. გრძელლი, თეთრი ზეწრისაგან ინდური მოსასხამის მსგავსი გავიკეთე და მაღალყელიანი ფეხსაცმელებით სიამოვნებით დავაბიჯებ სარკის წინ. "იზაბელა", რომელსაც აქ "ადესას" ეძახიან, თითქმის გაშავდა.**

მთელი დღე ქარი ქროდა და საღამოსთვის მოიღრუბლა; ცოტა აცივდა. ზღვის ტალღებმა ხმაურს უმატეს. ვაჟა იდგა და ითვლიდა: ყოველი მესამე ტალღა ჯებირებს აქეთ, ქუჩაში ეცემოდა. წამოწინწკლა. მან ჩემოდნები აიღო და სადგურის გზას გაუყვა. ფოსტიდან ლევანი გამოვიდა ღიმილით; ერთხანს ზღვას უყურა, მერე ჩაფიქრებით მიმავალ ვაჟას სიცილით მიმართა:
_ ჰა, წუნია ჯანდიერო, კიდევ რამდენ ხანს დარჩები აქ?
_ მე? რა ვიცი, ერთი კვირა ან ათი დღე. მოკლედ, ვნახოთ.
_ წამოდი, ბიჭო, ბარემ, ხომ ხედავ, ახალგაზრდობიდან შენს მეტი არავინ რჩება,_ არ ისვენებდა ლევანი.
_ კარგი, გეყო ამდენი ლაპარაკი წამოსვლაზე, თუ გინდა, ლექსები თქვი. _ ხვეწნით უთხრა ვაჟამ.
_ ლექსები? კარგი, მაშ დავიწყე: «და ალი...
_ ოღონდ ძალიან არ გააგრძელო. _ გააწყვეტინა მან.
_ არა, ნუ გეშინია, ტიციანია:

«და ალიონზე თეთრ დუქანთან
სტირის არღანი,
მტკვარი ახლოა,
მინდა მტკვარში თავი დავიხრჩო».

ლექსი ჯანდიერმა გააგრძელა შუიდან, თავისი ბოხი, ხავერდოვანი ხმით:

«ნინა, ნინა, ჩემო ნინა,
გათხოვება ხომ არ გინდა?
გათხოვება რომ მინდოდეს,
შენი კითხვა მე რად მინდა».

ორივემ გულიანად გაიცინა. მერე გაჩუმდნენ.

შარაგზა ზღვის ნაპირს გაუყვა; წამოწვიმა. დარჩენილი რუსი მოაგარაკეები ფეხსაცმელებს იხდიდნენ და ისე მირბოდნენ სახლებისკენ. ბიჭებმა სადგურის პირდაპირ, მიყრუებულ დუქანში შეუხვიეს. შორიდან მოისმოდა ზღვის ხმაური. ჭუჭყიანი სამწვადის ერთადერთი ფანჯარა შარაზე გამოდიოდა.

ერთხანს უხმოდ ისხდნენ. მერე ლევანმა შავი ყავა და ორას-ორასი გრამი «ენისელის» მარკის კონიაკი შეუკვეთა. თითო ჭიქა მდუმარედ შეისვა. სიჩუმე ვაჟამ დაარღვია.

_ რომელზე გადის მატარებელი?

_ კიდევ მთელი საათია.

_ ლევან!

_ რა?

_ მარტო იქნები ვაგონში?

_ მე? არა, მთელი ქართველობა დღეს მოდის, მოკლედ შენღა დაამშვენებ აგარაკს.

ორივეს გაეცინა.

ბაქანზე ნახევარი საათით ადრე გავიდნენ. მათ სხვა ქართველებიც შემოუერთდნენ. უმეტესობას ლოყებდაწითლებული რუსი გოგონები აცილებდნენ. გამომშვიდობებაში დრო სწრაფად გავიდა.

საღამოს რვა საათზე სადგური დაცარიელდა. ვაჟა მარტო გამოუყვა აგარაკისკენ მიმავალ გრძელ გზას. წვიმა შეწყდა. ბინდდებოდა.

ძალიან ესიამოვნა ნაწვიმარზე ზღვის პირას გავლა, თანაც სულ მარტოს. შვებით ამოისუნთქა. აქამდეც ცალკე ცხოვრობდა, მაგრამ ამხანაგები არ ასვენებდნენ. ახლა მოაგონდა, რომ წეღან ლევანმა წუნია დაუძახა და გაეღიმა; თან გულში სიამაყე იგრძნო, რომ ცუდ ქალთან, გინდაც ცოტა შეუხედავი ყოფილიყო, არ მივიდოდა; სხვები კი ერთ ამბავში იყვნენ, ყველა შემხვედრს კოცნიდნენ, სიყვარულს ეფიცებოდნენ, მაინც ცოტას გამოსდიოდა რაიმე. აგერ წასულმა ლევანმაც მთელი ათი დღე სდია პერეკისით თმაგახუნებულ, ოქროსკბილებიან ოცდაათი წლის ქალს და მაინც არაფერი გამოუვიდა. ნოდარმაც ბევრი იწვალა, მართალია, შედეგიანად, მაგრამ იმ გოგოსთან თავმომწონე კაცი ახლოსაც არ მივიდოდა. ვაჟას გააჟრჟოლა, _ ან როგორ ელაპარაკებოდნენ, მითუმეტეს კოცნიდნენ და სიყვარულს ეფიცებოდნენ ეგეთებს. «მაგას სჯობია შენთვის იჯდე, ან რა სავალდებულოა, თუ ქალაქში მთელი წელი ძლებს ზოგი ისე; რაღა ამ სიმშვენიერეში მოუნდებათ ქალი. მაგრამ ერთმანეთს აჰყვებიან, გაუგიათ რაღაცა და.» _ ვაჟას სასმელი მოეკიდა და ჯავრობდა. «ახლა ჩავლენ და ტრაბახით აიკლებენ ქალაქს. თავის მახინჯებს ანგელოზებად დახატავენ.»

დაბინდდა. ტალღების ხმაურმა იმატა. ვაჟას ესიამოვნა სიმარტოვე და ზღვის პირას ჩამოჯდა, აქაფებული შხეფები სახეზე ეცემოდა. კარგა ხანს იჯდა ასე და არაფერზე არა ფიქრობდა. მერე ნელა შეიჭრა მის შეგრძნებაში, რომ სურათები ჰქონდა გამოსატანი. უსიამო გრძნობამ შეიპყრო. მოაგონდა, რომ ერთადერთი გოგო, რომელიც მას მოეწონა, სურათში ცუდად გამოსულიყო; გადაწყვიტა, არ გამოეტანა. სასმელი გამონელდა. მოწყენილობა იგრძნო სიმარტოვისაგან, მაგრამ თავს არ გამოუტყდა და ტურბაზისკენ გასწია. აქაც სიცარიელე დახვდა; ორშაბათს ცეკვები არ იყო. გულზე ნაღველი შემოაწვა და ნაცნობ სომხებთან აუხვია; არც ისინი დახვდნენ სახლში _ დიასახლისმა უთხრა, სოჭში წავიდნენო. ქუჩაში ნაწვიმარზე იშვიათად თუ ვინმე გაივლიდა. ხელები ჯიბეში ჩაიწყო და «ავარას» სტვენით წავიდა რესტორანისაკენ; თან გოგოებზე ფიქრობდა. მწარე მოგონებისაგან სტვენა შეწყვიტა, ახლაც

ვერ მოენელებინა ელენას ასე გაშვება, თან რა გოგოსი. ხელი ჩაიქნია და მარტოკა შევიდა «პსირცხაში».

ჩვეულებრივ ხალხმრავალი რესტორანი მოწყენილი გამოიყურებოდა. მუსიკოსები ერთმანეთში საუბრობდნენ. სადღაც, დარბაზის ბოლოში გზის მუშები არაყითა ლოთობდნენ. ვაჟამ მოქეიფეებისკენ დააპირა წასვლა, მაგრამ გადაიფიქრა, სკამზე დაეშვა. შავი ყავა და ორასი გრამი კონიაკი მოითხოვა. მუსიკოსებმა ირიბად გადმოხედეს მას და საცოდავად ააკვნესეს ფორტეპიანო, ჩელო და აკორდეონი, მეოთხე საქსაფონის მსგავს საკრავზე უკრავდა. მალე კვარტეტის მოწყენილი ხმებიც მიწყდა.

ვაჟამ კონიაკი გადაჰკრა და ყავა დააყოლა. კიდევ მოითხოვა. მერე მომტანის ხელით მუსიკოსებს თხუთმეტი მანეთი გაუგზავნა. გაისმა «მაგდანას ლურჯადან» ამოღებული მენახშირის მელოდია. მესაქსაფონე დროდადრო წყვეტდა დაკვრას და მთელი ხმით ამღერებდა: «_ ნახშირი_ი_ი, ნახშირი_ი_ი...»

რესტორანში ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. დამკვრელებმა უხმოდ აკრიფეს თავიანთი საკრავები. ფორტეპიანო დაიხურა. «პსირცხა» მაინც განაგრძობდა მუშაობას. დარბაზის ბოლოში გზის მუშები არაყით ლოთობას განაგრძობდნენ.

ვაჟა დათვრა. კიდევ მოითხოვა კონიაკი და დაწითლებული თვალებით შეათვალიერა მაგიდები. გულზე ნაღველი შემოაწვა. განსაკუთრებული სიმწვავით იგრძნო სიმარტოვე და ვინმესთან საუბარი მოუნდა. დააპირა, მუშებს შეერთებოდა; კიდევ ყავა და კონიაკი მოუტანეს. იგი უაზროდ მიაშტერდა მომტანს, ახლაღა შეიგრძნო, რომ ის ქალი იყო. უზომოდ მოუნდა გოგო _ ახალგაზრდა, თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლის გოგო.

_ მიანგარიშეთ, _ ჩახლეჩილი ხმით დაიწყო ვაჟამ.

_ ახლავე, გენაცვალე, ახლავე, _ ორმოცს გადაცილებული შეღებილი, გავაგანიერი დიაცი თეძოების რხევით წავიდა საანგარიშოს მოსატანად. ვაჟამ თვალები გააყოლა. ახლა ისევ იგრძნო მოწოლილი ჟინი.

_ სამოცი მანეთი, გენაცვალე, და რამდენიმე კაპიკი, _ ჩათვალა ქალმა.

ვაჟამ უხმოდ დადო მაგიდაზე ფული, მერე უთხრა:

_ პატივცემულო, ერთი კონიაკი შემისვით.

_ არა, გმადლობთ, _ ქალმა უშნოდ დახვეული თმა ზურგზე გადაიყარა, _ ჩვენთვის სამუშაო დროს არ შეიძლება, მერე სიამოვნებით.

ვაჟამ ხელი მოჰკიდა მაჯაზე და მთვრალი კაცის სიჯიუტით დასვა სკამზე.

_ დალიე ჩემი სადღეგრძელო.

ქალმა ჭიქა აიღო, თავი მიაბრუნა და კონიაკი გადაჰკრა, მერე ხანში შესულის ულაზათო სიკეკლუცით მოშორდა მაგიდას, კარებთან მობრუნდა და კბილები გამოაჩინა.

ნახევარი საათის შემდეგ რესტორანმა «პსირცხამ» მუშაობა შეწყვიტა. გზის მუშები ახლად ატაცებული «მენახშირის» სიმღერით გაუყვნენ გზას. ვაჟამ გარეთ გამოსულ მომტანს ხელკავი გამოსდო და დაიწყო:

_ უკაცრავად, მე იცით, რამდენი ხანია, თქვენთვის დავდიოდი აქ, თქვენ კი, ალბათ, ვერც მამჩნევდით.

_ რას მეუბნებით, არა მჯერა. _ ქალი მიჰყვა ხელკავს და მკერდზე მიეკრა ვაჟს.

ბაღისაკენ გადაუხვიეს. ყრუდ ისმოდა ტალღების შხუილი. შუაღამეს წვიმა წამოვიდა. ჯერ წინწკლავდა, მერე იმატა.

_ კოკისპირულად წვიმს. _ თქვა ქალმა და კაბის სწორებით ადგა სკამიდან, გადაიკისკისა.

ვაჟამ ოქროს კბილებს მოჰკრა თვალი და გვერდზე გადააპურჭყა, მერე გამოუმშვიდობებლად, ნელი ნაბიჯით დაადგა გზას. უზომოდ სიამოვნებდა კოკისპირული წვიმა და სიმარტოვე.

წელი 1956. სექტემბრის 4. 11_12.

ოცდაერთი

_ როდის მიდიხარ?

_ არ ვიცი.

_ როგორ არ იცი?

_ ისე.

_ რა ისე, მითხარი.

_ თავი დამანებე. _ თქვა ვაჟამ.

_ დანებებული არა მაქვს. _ თქვა ლევანმა.

ოთახში სიჩუმე არ ჩამოვარდნილა. ვაჟა მძიმე ნაბიჯებით დადიოდა და ითვლიდა: «ერთი, ორი, სამი, ექვსი, ცხრა და ცხრა თვრამეტი. რა თვრამეტი? რის თვრამეტი, რას ვსულელობ,» გაბრაზდა თავის თავზე, მერე ლევანს მიხედა ამრეზილად. «ეგეც აღარ მიდის, მოვა და დაჯდება, თითქოს გულზე მეხატოს».

ლევანი თვალებს ახამხამებდა სკამზე წამომჯდარი. დიდი, განიერი პირი დაღებული ჰქონდა. ხანდახან ამთქნარებდა. ისედაც უშნო სახე სულ ეღრიცებოდა.

ვაჟამ ნაბიჯს უმატა. «როდის წავა ნეტავი», ფიქრობდა, მერე მაგიდას მიუჯდა და თმის წიწკნა დაიწყო. «თმის ცვენა რაღა უბედურებაა», გაბრაზდა თავის თავზე.

_ რას იწიწკნი თმას, _ თქვა ლევანმა.

_ რა შენი საქმეა, _ თქვა ვაჟამ.

_ ისე, მაინც.

_ რა მაინც?

_ არაფერი, ისე გითხარი.

ვაჟა მის წინ დადგმულ სამელნეს დააშტერდა. იქვე დაგდებულ კალმისტარს ლურჯ ქაღალდზე წინწკლები დაეყარა და წვერზე ბეწვი ჰქონდა მოდებული.

ლევანი იჯდა და არ მიდიოდა.

ვაჟამ სტვენა დაიწყო.

_ «სუდბა სოლდატადან» უსტვენ? _ თქვა ლევანმა.

ვაჟა უსტვენდა.

_ ჰა? _ გაიმეორა ლევანმა.

_ არა.

_ აბა?

_ არ მახსოვს.

ლევანი სკამიდან წამოდგა. ნელა მივიდა თაროსთან და წიგნების თვალიერება დაიწყო. ბევრი ქექვის შემდეგ რაღაცა გამოათრია. ისევ დაჯდა სკამზე. გრძელი, დაგრეხილი თითებით დაუწყო ფურცვლა. ვაჟა იჯდა და ითვლიდა. «ერთი, ორი, სამი, ოთხი, ათი ფურცელი, ნეტა რამდენი ფურცელია იმ ტომში, ალბათ, ათასია. წუთში ეგ ოცამდე ფურცელს გადაშლის, საათში ორჯერ სამოცს… ორჯერ სამოცი

იქნება, ოცჯერ სამოცი, ოცჯერ სამოცი, ერთი მაგისი,» ვაჟამ გაღეღილი გულიდან მოიგლიჯა თმა.

_ კარგი სურათებია. _ თქვა ლევანმა.

_ შესანიშნავი. _ თქვა ვაჟამ.

_ მშვენიერი ორნამენტებია. _ ისევა თქვა ლევანმა.

ვაჟამ ტიროლური მელოდიის სტვენა დაიწყო.

_ რომელი საათია? _ იკითხა ლევანმა.

_ დროა. _ თქვა ვაჟამ.

_ რისი?

_ არაფრის, შვიდი საათია.

ლევანი წამოდგა:

_ მათხოვე, რა ეგ წიგნი.

_ წაიღე.

_ ოღონდ ერთი კვირით.

_ რამდენითაც გინდა.

_ მე წავედი.

_ კარგი.

ლევანმა უშნოდ გაიღიმა.

_ მოიკითხე თქვენები. _ თქვა მან.

_ გმადლობთ.

ვაჟამ გასაღები ორჯერ გადაატრიალა და შვებით ამოისუნთქა. ახლა საწერ მაგიდას მიუჯდა. «როდის მოვა დრო, როდის მოვა დრო, როდის მოვა დრო, რა ვიცი, ან ღირს კი ასე გამწარებით ლოდინი», ისევ გაუსწორა თვალი სამელნეს. მერე კალენდარზე გადაიტანა მზერა:

იყო ცხრა დეკემბერი.

_ ცხრა, ცხრა, ცხრა, _ რამდენჯერმე გაიმეორა. _ ჩქარა პირველია, ოცდაერთ დღეში, და ბაკურიანი. _ კუთხეში შუაზე ახლეჩილი თხილამური ეყუდა. «სად ვიშოვო ახალი,» გაიფიქრა მან.

წამოდგა.

ერთი კუთხიდან მეორემდე ოთხი ნაბიჯი იყო. «ერთი, ორი, სამი, ოთხი, ოთხი და ოთხი რვა, რვა და რვა თექვსმეტი,» ითვლიდა ნაბიჯებს, მერე ბრაზი მოუვიდა თავის თავზე, «რა თექვსმეტი, რის თექვსმეტი».

ნაბიჯს აუჩქარა.

დაიღალა.

დაჯდა.

დიდხანს უყურა კალენდარს. «პირველამდე ოცდაერთი დღე დამრჩა», გაიმეორა. ცოტა გულზე მოეშვა. ძალიან მოუნდა ბაკურიანი, თოვლი, თხილამურები. გასაშლელი საწოლი გაშალა და გაუხდელი წამოწვა.

თვლა დილიდან აეკვიატა. «ერთი, ორი, სამი... ოცდაერთი», გაუხარდა მას, «ოცდაერთი და ოცდაერთი_ორმოცდაორი, რა ორმოცდაორი?» ოცდაერთ იანვარს უკან უნდა დაბრუნებულიყო. ისევ გაუფუჭდა ხასიათი.

წამოდგა.

ოთახში სიჩუმე იყო.

ვაჟა უმოძრაოდ იდგა.

კიდევ უფრო სიჩუმე ჩამოვარდა, მერე კიდევ უფრო. ვაჟამ სწრაფად გამოაღო კარი და მეზობელთან დარეკა. კარი დიდთავა შავგრემანმა ბიჭმა გაუღო.

_ შემოდი, _ თქვა მან.

_ ვერ ხედავ, შემოვდივარ. _ თქვა ვაჟამ.

_ დაჯექი.

_ დავჯდები, მა რას ვიზამ.

_ მე ხაზვას დავამთავრებ, ბოდიში.

_ რისი ბოდიში.

ვაჟა ერთხანს ჩუმად იჯდა, მერე წამოდგა და სიარული დაიწყო. ოთახის ბოლოში ახლა უკვე ღრმადმოხუცებული ოჯახის უფროსის ახალგაზრდობის სურათი ეკიდა. სურათი სქელ, პრიალა მუყაოზე იყო დაბეჭდილი. გამოსახულებას შავი ჩოხა-ა-ხალუხი ეცვა, შავი ფაფახი ეხურა და შავი, აპრეხილი ულვაშები ჰქონდა. მარჯვენა ხელი კი წინ მდგარ სკამზე ედო.

სურათის ბოლოში თითქმის დაცლილი კალენდარი ეკიდა. დარჩენილ ფურცელს შავი ასოებით ეწერა «**9 დეკემბერი**». «ოცდაერთი ფურცელიღა დარჩა და კალენდარიც დაიცლება», გაიფიქრა ვაჟამ. ცოტა გულზე მოეშვა.

დათომ ხაზვა დაამთავრა. ნახაზი ფრთხილად დაახვია და კუთხეში ააყუდა.

_ ვაჟა, _ თქვა მან.

_ რა?

_ ბიჭო, რა კარგი რამეა, იცი?

_ რა?

_ რა და ახალი კალენდარი.

_ რომელი?

_ დღეს ვიყიდე, გინდა გაჩვენო?

ვაჟა სავარძელში ჩაეშვა და არაფერი უპასუხა. გულზე ისევ შემოაწვა ნაღველი.

წელი 1956. სექტემბრის 9.

<u>ჩ ა მ ო ს ა ხ რ ჩ ო ბ ი</u>

ჯუმბერმა ნელა დაიწყო ტანზე გახდა. შარვალი უწესრიგოდ მიაგდო ქვიშაზე და ზევიდან ფეხსაცმელები დააყარა. მზემ დააჭირა. ჰაერში სიცხის ჭავლები პრიალებდნენ. ზღვიდან კისკისი გაისმა. ვიღაცები ფეხბურთს თამაშობდნენ ნაპირზე. ქოლგის ჩრდილქვეშ თავშეყოფილი რუსი ცოლ-ქმარი ვაშლივითა კბეჩდა პომიდორს.

ახლა ხალათი გაიხადა ჯუმბერმა და გრძელი ტრუსის ამარა ზღვისკენ გაემართა. ხმელ, მაღალ ტანს ზლაზვნით მიათრევდა. თასმასავით ჩამოკიდებულ მარცხენა ხელს ძალიან იქნევდა სიარულისას, ხოლო მარჯვენათი ტრუსი ეჭირა. შევარდნილი მკერდი ხშირად უცემდა, თან თვალებს შეუჩერებლივ აცეცებდა. ამ მოძრაობისას მისი ტანთან შედარებით პატარა თავი მხოლოდ ოდნავ ტრიალებდა.

ჯუმბერმა გვერდზე მოიხედა. მაღალი, ათქვირებული რუსის გოგონა ტუჩებმოკუმული გასცქეროდა ზღვას, მერე რაღაცაზე გაეღიმა და ხმამაღლა ჰკითხა მას:

_ ვერ მეტყვით, ის რა გემია?

_ სადა? _ უხალისოდ შეაგება ჯუმბერმა.

_ აგერ იქ, პირდაპირ, აგერ, აგერ. _ გოგონამ თითი გაიშვირა, თან ტანით ოდნავ მიეხალა მას.

ჯუმბერს თვალები გაუბრწყინდა, უცნაურად აუთამაშდა ფეხი.

_ ჰო, «რასია».

_ ოჰ, როგორ ვერ მივხვდი. _ გოგონამ კიდევ მოხედა, მერე ნელა შევიდა ზღვაში. ჯუმბერმა ერთხანს უყურა, შემდეგ მზერა ქვიშაზე წამოწოლილ ხალხზე გადაიტანა, ჩქარა გოგონა სულ დაავიწყდა. ახლა მისმა თავმა მტაცებელი ფრინველის გამომეტყველება მიიღო. ნელა გაემართა ტანსაცმლის გასახდელისაკენ; ჩქარა ისევ მობრუნდა და მოაგარაკეების დიდ ჯგუფს მიუჯდა გვერდით.

_ შეიძლება, მეც მათამაშეთ კარტი.

_ სიამოვნებით, ამ ხელის მერე.

ჯუმბერი კიდევ ახლოს მიიწია, მარჯვენის იდაყვი წამოწოლილმა ქვიშას დააყრდნო, ხოლო მარცხენა ხელი მთელ სიგრძეზე შეაცურა მარჯვენა იღლიის ქვეშ. წინიდან ვიღაც მძლეოსნის ბეჭები ფარავდა. ძლივს მისწვდა გოგოს კაბას და ჯიბე მოუსინჯა. სახეზე უკმაყოფილება გამოეხატა. ტუჩები ოდნავ მოკრძალებით უღიმოდა, ხოლო თვალები უმოძრაოდ გასჩერებოდა. ნელა შეიკუმშა და გამართვისას უფრო ახლოს გადაინაცვლა ტანსაცმლის გროვასთან. ოსტატურად დაფარული მარჯვენათი ახლა ვიღაცის ჯიბესა სინჯავდა.

«საწყალი სამმანეთიანია», დაასკვნა გულში და ამოღებული ფული ტრუსიკში ჩამალა. ისევ გაწვა.

_ გამარჯობათ! ჩვენც გვათამაშეთ რა? _ ხმაურით მოვარდნენ გივი და ვახტანგი.

_ ამ ხელის მერე, ბიჭებო, აგერ, კაციც გველოდება.

ორივენი მის უკან ჩამოსხდნენ. მან მწარედ შეიკურთხა გულში და ნელა წამოდგა, შემდეგ გამოუმშვიდობებლად გასცილდა მათ.

შიშველი ზურგი მაგრად დაეწვა. ოფლმა დაასხა. მერე უხალისოდ გაიხედა ზღვისკენ. ძალიან მოუნდა ბანაობა, გასწია კიდეც, მაგრამ მახვილი მზერა ხანში შესულ მოაგარაკეზე შეაჩერა, რომელმაც ფულების დასტა ამოიღო, შემდეგ კი მანეთის ვაშლი იყიდა.

ჯუმბერმა სწრაფად ჩაიცვა და ავტობუსის გაჩერებისკენ მიმავალ ფულიანს აედევნა. შუადღის სიცხე ასფალტს ალღობდა. ოფლისაგან ფეხები ეწვოდა, მაგრამ ყურადღება არც კი მიუქცევია. გაჭედილ ავტობუსში ამავალს უკან აჰყვა. ზედ მიეკრა, მერე მარცხენათი ნაშოვნი სამმანეთიანი ამოიღო და მეგბილეთეს გაუწოდა, ხოლო მარჯვენა ხელი ქვევით ჩააპარა. ფულიანმა უკან მოიხედა, მაგრამ მისი გაწოდებული ხელის გარდა ვერაფერი შეამჩნია.

ჯუმბერმა ხელით მოსინჯა ამოღებული ფული და თვალი მოავლო ავტობუსს. გაჩერებაზე სწრაფად ჩახტა და ქუჩაში მიიმალა.

_ თქვენი ბილეთი, _ მიმართა ავტობუსის მგზავრებს შემმოწმებელმა.

_ ჩემი ფული, ჩემი ფული, ღმერთო ჩემო! _ აღმოხდა გაძარცულს, რომელიც ჯიბეში ბილეთს ეძებდა. _ გააჩერეთ, გააჩერეთ, გაჩხრიკეთ.

_ რამდენი იყო? _ შეეკითხა ვიღაცა.

_ ორასი თუმანი, ოჯახის შესანახი ფული მთელი თვით, ოხ, ღმერთო ჩემო.

I მგზავრი : ის იქნებოდა ნამდვილად.

II მგზავრი : რომელი, მაღალი, ხმელი, არა?

III მგზავრი : ჰო, ჰო, ამას წინაზეც შევამჩნიე.

I მგზავრი : უნდა დახვრიტო ეგენი.

IV მგზავრი : დახვრეტა ცოტაა.

ავტობუსი გაჩერდა, გაძარცული უკან გაიქცა ქოშინით, მგზავრები კი განაგრძობდნენ შფოთვას.

II მგზავრი : უნდა ჩამოახრჩო ეგეთები.

მათხოვარი ქალი: ეჰ, საწყალი, ეგ საცოდავი.

კონდუქტორი : საწყალი? საცოდავი? რას ამბობ.

მგზავრებმა ახლა მათხოვრის ლანძღვა დაიწყეს ქურდის შებრალებისათვის.

დაზარალებული ქოშინით მირბოდა წინა გაჩერებისკენ. ავტობუსი კი ძველ მგზავრებს ტოვებდა და ახლებით ივსებოდა.

წელი 1956. სექტებრის II. 10.30_II.15.

<u>შემოდგომა ბაბუა კოტესი</u>

დღიური:

წ.1956: 3 მაისი

ღამის პირველი საათია. ახლაღა მოვედი სახლში. უნივერსიტეტის წინ ვიღაც მოხუცებულს მილიციელი დაეჯახა, რომელიც ტრამვაიდან ჩამომხტარ მოწაფეს მისდევდა. მოხუცი წაიქცა. სტუდენტებმა წამოვაყენეთ, მაგრამ თავს ვეღარ იკავებდა საწყალი. ჩიკომ მანქანა დაიჭირა, შიგ ჩავსვით და სახლისკენ წავიყვანეთ. მისამართი გულის ჯიბეში, მიხრწნილ პასპორტში ამოვიკითხეთ:

ქ. თბილისი, გუბის ქ. № 2, ვალერიან ბეშქენის ძე შარვაშიძე.

პირველჯგუფელმა ლეილამ ტოლებში უფროსობა ჩაიგდო ხელში და დაჭერობანას სათამაშოდ გათვლა დაიწყო: «წითელი ვაშლი გაგორდა, შენ თუ მე, შენ და-ი-ჭი-რე». რე-რე-რე, _ დააყოლებდა ხოლმე კისკისით და გათვლილი გვერდზე დგებოდა. ბოლოს ყველაზე პატარა დარჩა. «იჭერ, იჭერ!» დაუძახეს აქეთ-იქიდან და ეზოში გაიშალნენ. დამჭერი სულ ხუთი წლისა იყო, სახელად პეტო, მაგრამ ყველაზე მარჯვე. ორი_სამი წლით უფროსებს სისწრაფით ვერაფერი დააკლო, სამაგიეროდ, მოტყუებით დაიჭირა შვიდი წლის ვატო. სირბილით დაიღალნენ. ახლა ლეილამ სილის ყუთისაკენ წაიყვანა ყველა. დაიწყო გვირაბების, ლიანდაგების, შარაგზების გამალებული მშენებლობა. გოგონამ პატარა პეტო ნიჩბისა და ვედროს მოსატანად გაგზავნა.

_ ბაბუა, ბაბუ, ბაბუ! _ გაბმული წვრილი ხმით ყვიროდა ბავშვი, სანამ მეხუთე სართულიდან მოხუცმა არ გადმოიხედა.

_ ბაბუ, ჩემი ვედრო და ნიჩაბი ჩამოუშვი რა. _ შეეხვეწა ქვევიდან.

ბაბუამ წვრილი კანაფი მოაბა ვედროს, შიგ ნიჩაბი ჩადო და ნელა დაუშვა. პეტომ უცებ მოხსნა ორივე სათამაშო, შემდეგ უკანმოუხედავად გავარდა ქვიშის ყუთისაკენ.

მოხუცმა ერთხანს უყურა პატარების გართობას, მერე ნელა დაიწყო თოკის ამოხვევა. დიდხანს ახვია გორგალი, ბოლოს კუთხეში მიაგდო და სკამზე მძიმედ დაეშვა.

_ არ უნდა გამეყიდა ის სახლი. _ ამოიოხრა და მაგიდის მეორე თავში უაზროდ მომზირალ მეუღლეს შეხედა, რომელიც, თავისი სამოცდათხუთმეტი წლის მიუხედავად, კოხტად მორთული იჯდა.

_ ეჰ, _ ოხვრით დაუდასტურა თეკლემ.

_ შევცდი, გავს, შევცდი. _ განაგრძო მოხუცმა.

_ დავბერდით, მარტო ვეღარ შევძელით, და ... _ ბებია თეკლეს ძილი მოერია.

_ ეჰ, კარგი ერთი, _ ბაბუამ კოლოფიდან პაპიროსი ამოიღო, მოუკიდა, შემდეგ ღრმად შეისუნთქა ბოლი და გრძელ, სწორ ხაზად ამოუშვა ფილტვებიდან. გულზე დარდი შემოაწვა. ყოველთვის უყვარდა შემოდგომა, ბარაქიანი ქართული შემოდგომა. ახლა მის ბაღში მანდარინი მწიფდებოდა. უზომოდ მოუნდა შეყვითლებული ნაყოფისთვის ხელი მოეკიდა, ან ნიჩბით ხელში დაევლო ხის ძირებისათვის. აგონდებოდა: ბაღის ბოლოში, სახლის გაყიდვამდე სამი წლით ადრე ბერძნული ლეღვები ჩაყარა. ბოლო წელს ნაყოფიც კი გამოიღეს. გუშინდელივით ახსოვდა, რომ დილით კრეფდა ცვრიანებს და მძინარე მეუღლის საწოლთან აწყობდა. იმ დროისთვის მისი გაზრდილი, ობოლი თამარი ძროხას მოწველიდა, საუზმეს მოამზადებდა.

მეხუთე სართულზე ჩამოცხა.

_ გუშინ ჩვენებური ჩამოსულა, _ დაარღვია სიჩუმე თეკლემ.

_ ვინ? ვალერიანი? _ თვალები გაუბრწყინდა ბაბუას.

_ ჰო, თურმე ჩვენი ლეღვები დამწიფებულან, თითო მუშტის ხელაო.

კოტემ მოწეული პაპიროსი ღრმა საფერფლეში ჩააგდო.

ამ დროს წინათ შხაპს იღებდა ხოლმე, ცივ შხაპს და არასოდეს გამხდარა ავად, შემდეგ საუზმობდნენ. პირველ საათზე სამსახური ეწყებოდა. ისევ ფიქრებში გაერთო: ახლა ოცნებაში ძველებურად, სიამოვნებით მოირთო, ხელში თავისი განუყრელი ჯოხი დაიჭირა, რომელსაც ეშხისთვის ატარებდა და ქუჩაში გავიდა. ყველასთვის ჰქონდა რამე დამზადებული. ჯერ მარტო გამარჯობა, ის მისალმება უღირდა ერთ რამედ. მის მოახლოებას პატარები ჯოხის ხმაზე სცნობდნენ. ბაბუა ზოგს ტკბილეულს აძლევდა, ზოგს ხილს, გაჭირვებულთ ფულსაც, თანაც ოჯახისთვის რაიმე რჩევას აბარებდა. დარბაისელთ და მანდილოსნებს ღიმილითა და მოკითხვით ეგებებოდა.

ახლაც ძლიერ მოუნდა ვინმესთვის ეთქვა გამარჯობა. კოტემ ხელი ჩაიქნია, მერე ისევ მოგონებებში წავიდა:

სამსახურიდან ნათესავებს შეუვლიდა, მოიკითხავდა, ან ბაზარში სახლისთვის რაიმეს იყიდდა. ახალგაზრდები სიამოვნებით ეხმარებოდნენ დატვირთული კალათის წამოღებაში. უკან გზაზე იწყებოდა მისი დარბაისლური «საღამო მშვიდობისა». კოტეს გული სიამაყით აევსო. ყველა ცდილობდა, მისთვის დაესწრო მისალმება. კიდევ უფრო ძლიერ მოუნდა, ვინმესთვის ეთქვა, «საღამო მშვიდობისა».

სიჩუმე ისევ ბებია თეკლემ დაარღვია:

_ კოტე, ვალერიანმა თქვა, თქვენი ლეღვები მტრის თვალს არ დაენახვებაო.

_ გაზრდილან, ხო? _ მოხუცს თვალებზე ცრემლი მოადგა. ისე მიიღო, თითქოს ჯერ არ გაეგონა ეს ამბავი.

ბებია მთლიანად გამოფხიზლდა ბურანისგან:

_ კოტე, ახლა ჩვენი მანდარინები ვითომ შეყვითლებული იქნებიან?

_ რაღა დროის, შე ქალო, ოც დღეში მოსაკრეფი გახდება.

_ რას მეუბნები, არ გახსოვს, ოცი დღე რას ეყოფა, ახლა ენკენისთვის თხუთმეტია, ჩვენ კი გიორგობის ნახევრამდე არა ვკრეფდით.

_ შე ქალო, მე მასწავლი, _ ტყუილა გაცხარდა ბაბუა და ძალიან მოუნდა თავისი თვალით დაენახა მანდარინები; უცებ მოაგონდა, რომ შესაძლოა, მისი ხეები მოუთოხნავ- მოურწყველები იყვნენ და დაღონდა.

_ თეკლე, არ უნდა გამეყიდა ის სახლი. _ ისევ დაიწყო მან.

_ აბა, ნამეტანი გამოვიკეტეთ, _ თქვა თეკლემ და ისევ მოეშვა. მისი ჩამქრალი თვალები ფანჯრებს უყურებდნენ.

წინათ საღამოხანს ბაბუა ისევ თავის მიწას უტრიალებდა, უვლიდა მცენარეებს, მერე ისევ ცივ შხაპს იღებდა. დაღამებისას დაფნების ქვეშ საუზმობდა მოხუცი ცოლ-ქმარი.

_ ეჰ, არ უნდა გაგვეყიდა ის სახლი. _ კიდევ ამოიოხრა კოტემ.

_ აღარ შეგვეძლო და ... _ მოშვებულად თქვა ბებო თეკლემ და ჩათვლიმა.

ბაბუა კოტე წამოდგა, კუთხეში მიყუდებულ თავის ერთგულ ჯოხს დაავლო ხელი, ჩალის ქუდი დაიხურა, მთვლემარე მეუღლეს გადახედა, მერე გარეთ გამოვიდა და კარი გამოიკეტა. კიბეზე მოდუნებული ნაბიჯით დაიწყო ჩასვლა. გულში ბრაზობდა, რომ ლიფტს ხალხი მარტო ქვევიდან ამოჰყავს. საფეხურებზე ხტომით მომავალმა მეზობლის ბიჭმა გაუსწრო, გამარჯობის თქმა ვერც კი მოასწრო მოხუცმა.

ისევ მოაგონდა თავისი კოხტა სახლ-კარი, უზომოდ მოუნდა ვინმეს მისალმებოდა და შემდეგ მიწა მოეჩიჩქნა, თუნდაც სულ ცოტა.

მესამე სართულზე ლიფტიდან მისი ნაცნობი მოხუცი ქალი გადმოვიდა ნავაჭრით ხელში. კოტემ კალათი ჩამოართვა, ხელზე ეამბორა დიდი ხნის უნახავს და კარამდე მიაცილა. ერთხანს ისაუბრეს. მერე ბაბუამ გზა განაგრძო. ნაბიჯი ახლა უფრო ემორჩილებოდა, თითქოს გულიც მოეცა. ძლიერ მოუნდა მიწის ჩიჩქნა; გაახსენდა, რომ ქვაფენილის გასწვრივ მდგარი ხეების ძირში ეყარა მიწა და გახარებული გამოვიდა გარეთ. გამარჯობის სათქმელად მოემზადა, მაგრამ არავის ეცალა მისთვის, ყველა თავისი გზით მიიჩქაროდა.

ბაბუა კოტე ხესთან მივიდა და ჯოხის წვერი მოუთათუნა მის ძირს. იგი უსიამო გრძნობამ შეიპყრო _ მიწა არ ემორჩილებოდა. ნელა დაიხედა ქვევით, ქვაფენილსა და ხეს შორის ოთხკუთხი დამცველი ბადე იყო დადგმული; ალბათ, ძაღლების საწინააღმდეგოდ.

იგი ცივად შემობრუნდა. თვალებზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა, მერე მათხოვართან მივიდა და ხუთმანეთიანი ჩაუდო ხელში. მან დიდი მადლობა გადაუხადა და წავიდა. შესაძლოა, ასეთი სიუხვე მოხუცის შეცდომად მიიღო და შეეშინდა, უკან არ გამოერთმიათ.

ბაბუამ ზევით აიხედა. მათი ბინიდან მისი რძალი იხედებოდა.

_ ეჰ, არ უნდა გამეყიდა ის სახლი, _ გაიმეორა გულში და ეზოში მოთამაშე შვილიშვილისაკენ გასწია.

წელი 1956. სექტემბრის 14. 10-10[55].

<u>პროფესორი ლევან ჯანდიერი</u>

«ხოლო მცხეთოს, რომელი უგმირე იყო ძმათა მისთა, ესე დარჩა საყოფელთა მამისა მათისა ქართლოსისათა, რომელსა აწ ჰქვიან არმაზი. და მანვე აღაშენა ქალაქი

შესაკრებელსა შორის მტკვრისა და არაგვისასა, და უწოდა სახელი თვისი მცხეთა. და დაიპყრა ქვეყანა ტფილისითაგან და არაგვთგან დასავლეთით ვიდრე ზღვამდე».

ამოწერილი ციტატა «ქართლის ცხოვრებიდან» ლევან ჯანდიერმა გვერდზე გადადო, შემდეგ სათვალე მოიხსნა. ერთხანს ასე იჯდა, მერე რუკასთან მივიდა და არმაზის მიდამოების შესწავლას შეუდგა, თან გონებაში ამ დასახლებული ადგილის შესახებ გაგონილი ლეგენდა აღიდგინა. ასაკში შესული პროფესორი თვითონ ხელმძღვანელობდა იქ ჩატარებულ პირველ გათხრებს. დიდხანს ფიქრობდა არმაზის დასახლების წარმოშობის პირვანდელ თარიღზე, მისი გაძლიერების დროზე, ახლა ასპარუგ ერისთავის არამეული წარწერა მოიგონა და ივანე ჯავახიშვილის «ქართველი ერის ისტორია» გადაშალა. აშკარა იყო, რომ ჩვენს ერამდე დაახლოებით მე_5 საუკუნეში არმაზს ან ამავე ადგილზე მყოფ დასახლებულ პუნქტს უკვე საკმაო წონა უნდა ჰქონოდა. ამის დასტურად თუნდაც მარტო ის იყო საკმარისი, რომ არმაზის კერპს ასეთ თაყვანსა სცემდნენ ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე.

პროფესორი წერას შეუდგა: «ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ძველს ქართლში საყოველთაოდ ცნობილი წარმართული კერპი არმაზისა ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა, რაზეც მიგვითითებს...»

კარი უხმოდ გაიღო, ოთახში მისი მეუღლე შემოვიდა.

_ ლევან, გეთაყვა, ჩაის არ დალევ? _ ნაზად დაიწყო მან.

პროფესორმა ნერვიულად გააქნია თავი და უცებ შეწყვიტა წერა. მერე ცოლს გაუღიმა. მივიდა მასთან და შუბლზე აკოცა. მეუღლეს ლოყები შეუვარდისფერდა, თავისი ორმოცდაათი წლის მიუხედავად იერი ახალგაზრდული ჰქონდა.

სამზარეულოში ჩაი დუღდა.

_ რა ჰქენი, ლევან, გაქვს ახალი რაიმე? _ იკითხა ცოლმა.

_ რა ვიცი, ისეთი არაფერი, ისევ არმაზზე ვმუშაობ. _ მოწყენით უპასუხა მან.

_ ლევან, რა ჩქარა გავიდა ოცდახუთი წელი, არა?

_ ხო, ჩემო კარგო.

ლევანმა მეორე ჭიქა დაისხა, ცხელი, მაგარი ჩაი ესიამოვნა.

_ არმაზი, არმაზი. _ ჩაილაპარაკა თავისთვის.

_ რა, ჩემო კარგო? _ შეეკითხა მეუღლე.

_ არაფერი, ისე, _ ლევანმა ჩაი მოსვა.

ახლა ისევ დაუბრუნდა თავის ფიქრებს. ოცი წლის იყო, როდესაც ისტორიაზე სერიოზულად დაიწყო მუშაობა. იმ დროს კარგად ცურავდა. მოაგონდა ბოლო შეჯიბრი, რომელშიაც მეორე ადგილი აიღო. სწორედ მაშინ აჩუქეს თოფი, რამდენს ნადირობდა მაშინ. მეცნიერებამ თავისი გაიტანა. ლევანი დაფიქრებული მიუჯდა სამუშაო მაგიდას, მაგრამ ფიქრი ვეღარ ააწყო. «არმაზი, არმაზი», მექანიკურად იმეორებდა. ახლა ცოლს დაუძახა, მოსული მუხლებზე დაისვა.

_ გახსოვს, ნათელა, ხოხბები რომ მომყავდა?

ნათელას ახალგაზრდული სახე წამოუწითლდა და შუბლზე აკოცა.

_ ნათელა, გულახდილად მითხარი, მოგწონს ჩემი შრომები?

_ არ ვიცი, ლევან, ხომ იცი, მე რა სუსტად ვერკვევი ისტორიაში.

_ ენების ცოდნაში მე მჯობიხარ და.

_ მერე რა?

_ ნათელა, იცი რა, გარდა ისტორიკოსებისა არავინ კითხულობს თურმე მათ.

_ რას ამბობ, ლევან?

_ გუშინ ჩემმა სიყრმის მეგობრებმა მითხრეს, ძალიან გვაინტერესებსო.

_ აი, ხომ გეუბნები.

_ კი მაგრამ, ჩემი «უფლისციხე და მასზე გამავალი სავაჭრო გზები» თხუთმეტი წლის წინ ვაჩუქე მათ.

_ ალბათ ვერ მოიცალეს.

ნათელა ხილის მოსატანად წავიდა, როცა ატმები მიართვა მეუღლეს, ლევანმა თქვა:

_ აი, ხომ ვთქვი, ჩვენს მეტი არავინ კითხულობს-მეთქი.

ნათელამ თავისი ხელით აკბეჩინა ატმისთვის.

ლევანი წამოდგა, ცოლს უთხრა, შეშის დასაჩეხად მივდივარო და სარდაფში ჩავიდა. დიდხანს ჩეხა ჯირკები, თანაც დიდი სიამოვნებით, ბოლოს დაიღალა, თანაც ხელებზე წყლულები გამოუვიდა. ცოტა წელიც ეტკინა. ნელა აუყვა კიბეს, სამზარეულოში ხელ-პირი დაიბანა და კაბინეტში შევიდა. ღიმილით გადახედა წიგნებს, გამართული მიუჯდა საწერ მაგიდას და გაწყვეტილი წინადადება განაგრძო.

წელი 1956. სექტემბრის 17.

<u>შ უ რ ი ს ძ ი ე ბ ა</u>

ცქიტომ დანა გახსნა და კუთხეში შეშინებული თვალებით ატუზულ ვაჟას ყელზე მიაბჯინა.

_ შენ იცი, ხვალაც მოაცილე, _ ირონიულად გაიცინა მან, მერე მოშორდა. ვაჟა ნელა დაიძრა ადგილიდან, ჩქარა კუთხეს მიეფარა და ნაბიჯს მოუმატა. დიდ ქუჩაზე გასვლას მოერიდა, მთელ ტანში საშინელ ტკივილსა გრძნობდა, თანაც დასიებული თვალიდან ვეღარ იხედებოდა.

იმ წელს დაამთავრა ცქიტომ თერთმეტი კლასი.

მერე გავიდა პირველი კურსი.

მერე გავიდა მეორე კურსი.

მომტანმა უკვე მესამე ნახევარბოთლიანი არაყი დადგა სუფრაზე.

ისიც დალიეს. დუქანში ხალხი აირია, დახლს ცხელი ხინკლის ოხშივარი აუვიდა. მომტანი ახლა მეოთხე ნახევარბოთლიანზე წავიდა.

მეორე დილას ცქიტოს თავი ოდნავ სტკიოდა. სახლიდან ადრე გამოვიდა ბორჯომის დასალევად. წყლებთან ბიჭებს მოეყარათ თავი. ლაპარაკობდნენ ჩხუბზე, ვიღაცამ მისი სახელი ახსენა. ნავარჯიშევი, მაღალი მალხაზი მოსაუბრეს რაღაცაზე შეეკამათა, ისევ ახსენეს მისი სახელი. ცქიტომ თავი მოიყრუა.

_ რაც გინდა იყოს, ცქიტო პატიოსნად ურტყამს, თავის ბიჭებს არავის დაახვევს, _ ამტკიცებდა პირველი.

_ რა? ეგ არ იყო, რო ლეილასთვის გურამს, ნოდარს, კიდე ვის გინდა, დანა დაარტყა, წაქცეულს სცემა, არ გახსოვს.

ცქიტო აიმღვრა, მერე ნელი ნაბიჯით გამოვიდა და მოკამათეს ხელი გამოუყარა. იგი მასზე მაღალი იყო. წავიდნენ მთაწმინდისკენ. ყველანი უხმოდ მიხვდნენ, რომ აქ უჩხუბრად არ დამთავრდებოდა საქმე. მიყრუებულ ქუჩაზე დაიწყო ჩხუბი. თავს მაღალი ესხმოდა, მერე ცქიტომ გასვლა გაუკეთა მხარს ქვევიდან და ცხვირში სთხლიშა მუშტი. ცქიტო გახურდა, ზედიზედ გაუკეთა სამი დარტყმა, ახმახი დაეცა. მერე მუხლზე წამოიჩოქა. გამრტყმელი იდგა და მშვიდად უყურებდა, როცა წამოდგა, კიდევ დაარტყა.

ახმახი ისევ გაიშხლართა. ცქიტო ნელი ნაბიჯით წამოვიდა სახლისკენ.

_ ნახე რა ვაჟკაცია.
_ აბა, აბა.
_ წაქცეულს არ ურტყამს.
_ სულელია.
_ რა სულელი, ვაჟკაცია.
_ რაინდობს.
_ რატო არ უნდა ირაინდოს?
_ აბა, ლეილას საქმე ყოფილიყო.
_ მტრისას.
_ მაშინ დანასაც ხმარობს, სულ კარგავს ხოლმე გონებას.
_ ხო, მეც ვიგემე. ერთხელ ნაგანით გამოგვიდგა, ექვსნი ვიყავით, დაბადების დღიდან ვაცილებდით.

ცქიტო ნელი ნაბიჯით აუყვა თავის აღმართს, სახლში შესული სავარძელზე დაესვენა და მთელი საათი გარინდული იჯდა, მერე მაგიდასთან დაჯდა. კალმისტარი მოიმარჯვა, სანამ წერას დაიწყებდა, რადიო ჩართო. მელოდიურმა ჯაზმა ცოტა დაამშვიდა, შემდეგ ნელა დაიწყო ასოების გამოყვანა: «ლ-ე-ი-ლ-ა‘«. როცა დაწერა, მიიხედ-მოიხედა, დერეფანში მოფუსფუსე დედა დაინახა და გაწითლდა. ახლა დაიწყო პარალელური ხაზებით დაწერილის წაშლა. როცა სულ გაურჩეველი გახადა, თავი დაანება.

მერე გადმოიღო თაროდან «გველის პერანგი». ტექსტმა, რომელიც უკვე კარგად ნაცნობი იყო მისთვის, თავისი მუსიკით ისევ გაიტაცა. შეშურდა დიდი თავადი ირუბაქ ირუბაქიძის ბედი, რომელსაც ნიადაგ მზის ნიშანი ჰქონდა გულზე. მოუნდა მასავით მიეშვა ცხენისთვის ლაგამი და უდაბნოში დაკარგულიყო, მასავით გადაეგ-დო თავისი ხელით განგმირული ცოლი წყალში _ სინდისის შენახვისთვის გაეწირა შთამომავლობა. რადიოში მელოდიური ჯაზი აფრიკულმა ბუგებმა შეცვალეს, იგრძნო ირუბაქიძის შთამომავლებივით «უეცარი გახელება». აფრიკაში შექმნილმა შავკანიანთა საორგიო მუსიკამ რატომღაც ქართული ლეკური გაახსენა. თვალხუჭელა შლიდა მუსიკის შესაფერ ტექსტებს;

ახლა მელოდიური ჯაზის დაოკებულ ხმაზე ქარავანი უდაბნოში მიიკვლევდა გზას, გაისმა ზარების რეკვა და ნელი ტაქტი შეიცვალა «ბუგების» ახალი ნაკადით. «ოჰ, ახლა ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონია,» განაგრძობდა კითხვას.

ისევ მოაგონდა სიყვარული, ახლა ღობეზე შემომჯდარი ბიჭები მღეროდნენ:

«ლაშხის ქალო მატასი,
მინდა გაკოცო ათასი».

ძლივს შეელია უსაყვარლეს წიგნს და გარეთ გამოვიდა, ქამარში გარჭობილი ნაგანი სიამოვნებით მოსინჯა. გზაზე ვახტანგი შემოხვდა;

_ გამარჯობა, ვახო, _ გაუღიმა ცქიტომ.
_ გაგიმარჯოს, კიდევ იჩხუბე?
_ ჰო.
_ ცქიტო, წამო სოფელში, ჩემთან უკვე შუა ზაფხულია, არ გცხელა, კაცო?
_ რას ამბობ, ბიჭო?
_ რატო, დრო არ არის თუ რა?
_ სანამ ის აქაა, ხომ იცი შენც.
_ მოეშვი ერთი.

ცქიტომ ხელი გამოუყარა მეგობარს და დაღმართს დაუყვა. ქუჩის ბოლოში მთელი მისი ძმაკაცები იდგნენ. ვიღაცამ სცადა გაცინება, არავინ არ აჰყვა და გაჩუმდა. დაიწყო ლაპარაკი ზღვაზე.

ცქიტოს გაგონებაც არ უნდოდა აქედან წასვლის.

_ სპარტაკა სად არის, გამოვიდა? _ დაიწყო ერთმა.

_ ხო, ზღვაზეა, სამი წელი იჯდა თავისი გოგოსთვის და, როცა გამოვიდა, გათხოვილი დახვდა. _ გამოეხმაურა მეორე.

_ ოხ გოგოების, _ თქვა მესამემ.

_ არ არიან ღირსი სიყვარულის.

_ გიჟი ხო არა ხარ, მაგათი სიყვარული იქნება?

_ რა გული აგიყრიათ, _ ჩაერია საუბარში ცქიტო.

_ ღირსები არიან და იმიტომ. ბიჭო, შენც მოდი ჭკუაზე.

_ რა? განა დავკარგე.

_ არა, ისე, შენ იცი, თუმცა დაკარგე და ეგ არის, ერთ ამბავში ხარ მისი გულისთვის.

მთელი კომპანია დიდი ქუჩისკენ მიმავალ გზას დაუყვა, მერე ცქიტომ ზევით აუხვია, უკან ვახო გაჰყვა.

_ ლეილა სახლში არ არის. _ უთხრა ბიჭებს მეზობლის ქალმა.

_ უკვე მესამე დღეა, არაა სახლში. _ თქვა ცქიტომ.

_ შენც ნუღარ მიხვალ.

_ რატომ?

_ რა გინდა, წამო ზღვაზე.

_ ხომ არ გაგიჟდი?

_ ცქიტო, უყვარხარ ლეილას?

_ არა მგონი, ალბათ, მოვწონვარ.

_ მოეშვი, _ ვახოს ხმა გაებზარა და თვალზე ცრემლი მოადგა.

ცქიტომ ერთხანს უყურა, მერე მოაგონდა, რომ სამი დღე სახლში არა ხვდებოდა «ის» და თვალებიდან ცრემლი წამოუვიდა. ვახომ ცქიტოს თვალები რომ დაინახა, გული ამოუჯდა და ბნელ პოდიეზდში შეუხვია. ბიჭებმა ხელი გადახვიეს ერთმანეთს და აცრემლდნენ. კარგა ხანს იდგნენ ასე, მერე კარიდან მოხუცი ქალი გამოვიდა და კეთილი ღიმილით გაემართა გასასვლელისაკენ. ცქიტოს ბებო მოაგონდა, ცრემლებმა იმატეს, მერე შეიშრო და ჩახრეწილი ხმით იკითხა:

_ ავად არის, ბიჭო?

_ არა.

_ აბა? _ ცქიტოს ნესტოები დაებერა.

_ ყველაფერი ხდება, ხო იცი, წინათ ვიღაც ჰყვარებია.

_ ხო და რა?

_ არაფერი, ჩვენ არც ვიცოდით, ისე ჩამოსულა.

_ მერე?

_ არაფერი, მგონი, არ ვიცი, ერთი სიტყვით.

_ თქვი, გათხოვდა, არა? მივხვდი მაშინვე, იმიტომ ავტირდი. ოხ, როგორ მივხვდი!!!

ცქიტომ ცრემლები შეიშრო, ნაგანს ტარი მოუსინჯა. უცებ გაურბინა თავში მთელმა მოტაცების გეგმებმა, რომელსაც ოთხი წელი აწყობდა. ვინ მოთვლის, რამდენჯერ იყო მთებში ბინის მოსაწყობად, რამდენჯერ აიტანა ყველაფერი,

გაამზადა. მოაგონდა მანქანა ორი ხევსურით. თავისი თავი მასთან მოსაუბრე. ბიჭები ნიშანს ელოდნენ, ვერ მისცა, ვერ გაბედა.

ცქიტო ჩამოჯდა.

არ შეეძლო, ან როგორ უნდა მიეცა ნიშანი, რომ სტკენოდა რაიმე «იმას»; იქნება დედამისს გული გახეთქოდა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ ახალ გეგმას აწყობდა, უკეთეს ადგილას სძებნიდა სახლს. ერთხელ ეჯდა კიდეც თავისი ნებით მანქანაში, მძღოლი ნიშანს ელოდა, ისევ ვერ შეძლო გატაცება, მოერიდა, შეეცოდა.

ცქიტო წამოდგა.

რამდენს სცემა მისი გულისთვის. რა მისი? _ თავისი გულისთვის. თვითონ უყვარდა. რა მისი ბრალია. ოჰ, როგორ უყვარდა. ახლაც უყვარს, არა სძულს!!! გააჟრჟოლა.

ისევ მოუსინჯა ნაგანს ტარი. ახლა კი გადაწყდა, ვახო მანქანისთვის წავიდა. ცოტა ხნის შემდეგ საჯდომზე გადაწოლილი იმისი მეუღლის სადგომისაკენ მიჰქროდა. რაც უფრო უახლოვდებოდა, მით უფრო ემატებოდა ძალა.

_ ცქიტო, _ დაიწყო ვახომ _ გესმის? ბიჭები ზევით არიან უკვე, ვიცი, ნახავ თუ არა, გაფუჭდები, შენ წადი მთაში, ამოგიყვანთ.

_ არა.

_ წადი, გესმის?

_ გაგიჟდი.

ვახო გაჩუმდა.

_ ვახო, მოდი, ქმარი მოვიტაცოთ.

_ ჯობია, _ ვახოს ცოტა გაეღიმა, _ ხო, ჯობია, გინდ მოვიშოროთ, მე მგონი, ჯერ ყველაფერი არაა დამთავრებული.

_ ვნახოთ.

აგარაკის ბოლოში კიდევ ერთი მანქანა იდგა. იქიდან გადმოსულმა ნოდარმა მოსულები ტყით წაიყვანა. შორს ვიღაცა ხარხარებდა, მეორე კისკისებდა. ცქიტო წინ წავიდა. თვალებზე ცრემლი მოადგა, ნელა გადასწია ბუჩქი, მერე წყნარად მობრუნდა და წამოვიდა, ბიჭები უკან გამოჰყვნენ. მანქანა დაიძრა ქალაქისკენ.

_ რატო წამოვედით? _ თქვა ვახომ.

_ ხო, ცქიტო, რა მოგეჩვენა ისე უცებ? _ დაუმატა ნოდარმა.

მერე სიჩუმე ჩამოვარდა. გაჭირდა სუნთქვა.

ბიჭები რესტორანთან ჩამოვიდნენ, ცქიტომ სულმოუთქმელად გადაჰკრა ჩაის ჭიქით კონიაკი და წავიდა სხვა დუქნისკენ, იქაც დაუმატა ორი ჩაის ჭიქა. დუქნები ქუჩის მარჯვენა მხარეს იყვნენ ჩამწკრივებული.

_ უკვე კილო ოთხასი დალია. _ თქვა ვახომ, რომელმაც ახლაღა ამოიღო ხმა.

_ აბა, მაგრამ არაფერი ეტყობა. _ დაუმატა ნოდარმა.

ცქიტომ ამღვრეული თვალებით მოიხედა.

_ ბიჭებო, იცით, რა ვნახე იქ?

_ არა.

_ ო-რ-ივე-ნ-ი იწვ_ნენ ჰა_მაკ_ში, იმას მის თმაში ხელი ჰქონდა და იცინოდნენ. _ ენის ბორძიკით თქვა და ცრემლები წამოუვიდა.

კიდევ მოიყუდა სასმელი, მაგრამ ვერ დაცალა და უღონოდ დაეცა იატაკზე.

მეორე დილას ძლივს გაეღვიძა, საშინელ ტკივილსა გრძნობდა მთელ ტანში, ოთახიდან ვახო გამოვიდა.

_ ბიჭო, მთელი ღამე ცუდად იყავი, მაგდენი სმა იქნება, ბოდავდი.

_ ხო, ხელიც ვერ შეგიშალეთ. _ დაამატა ნოდარმა.

ცქიტომ ლეიბის ქვევიდან ნაგანი ამოიღო, ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს; მან უხმოდ გაიცინა და კუთხეში მიაგდო იარაღი. წამოდგა, თაროდან რობაქიძის «გველის პერანგი» გადმოიღო, მერე ერთი ხელის მოსმით დააწერა: «ლეილას ცქიტოსაგან» და ვახოს სთხოვა, იმისთვის წაეღო აგარაკზე.

წელი 1956. სექტემბრის 22. 12 -1^{10}.

<u>მოხუცი და მე</u>

ფეხათრევით მივედი კედელთან და ფარღალალა ადგილში ჩვარი დავუცე. ქარი ახლა მეორე ჭუჭრუტანიდან შემოვარდა. ციოდა, ქარმა იმატა. მივხვდი, რო თენდებოდა. მერე გათენდა. უფანჯრო ქოხში ღია ჭუჭრუტანიდან შემოვიდა სინათლე. მე ვიჯექი თივაზე და ვკანკალებდი. ასე იყო ყოველდღე: ჯერ ღამდებოდა, ჭუჭრუტანაში ქარი უფრო გამწარებით იწყებდა ზუზუნს; დილისათვის ჩადგებოდა. ხშირ ტყეში გაშენებულ ქოხში მზე ვერ ატანდა. ციოდა. ცრემლები, რომელიც ოდესღაც მომდიოდა, თვალებზე შემაშრა. ღაწვები გამიხევდა და ხელები გამიშავდა ჭუჭყისაგან. წვერმა დამიფარა სახე. ერთი თვე არც ისე ცოტა დრო იყო.

წამოვდექი.

მიწის იატაკზე გავიარე. მოძრაობამ ფიქრები მომიტანა. უნდა მეაზროვნა. მეტი ძალა არ იყო. ასე ხდებოდა ყოველდღე: ღამე ვიჯექი და ვკანკალებდი. სიცივე ფიქრის საშუალებას არ იძლეოდა, მაინც ფორიაქობდა გონება, მაგრამ არაფერი მამახსოვრდებოდა.

დილით კი მოძრაობასთან ერთად ფიქრებს სიცხადე ემატებოდათ.

წვერმა შემაწუხა.

ერთ დროს თეთრი პერანგი ჯერ ნაცრისფერი, მერე რუხი და ბოლოს შავი გახდა. ჩემს სახლში კი უქმად იდო რამდენიმე ახალი პერანგი და საპარსი. გახურებულ აბაზანაში დილით არავინ ბანაობდა.

კეფა მომექავა,

მერე ზურგი,

მერე ბარძაყები.

ისევ დავჯექი თივაზე. დარდი მომაწვა. ჩემი ძმები ამ დროს პირს იბანდნენ. საუზმობდნენ. შუადღეს წავიდოდნენ სადმე. მამაც წავიდოდა. მარტო დედა დარჩებოდა სახლში და იფიქრებდა ჩემზე, წარმოიდგენდა ჩემს მდგომარეობას, წამოუვიდოდა ცრემლები, იტირებდა. ნათლად წარმოვიდგინე მისი საყვარელი სახე. ჭაღარა თმა და დიდი, ახალგაზრდული თვალები ცრემლებით სავსე. საწყალი დედა, საწყალი. მარტო ის იტანჯება ჩემზე უფრო. ჩემზე კი ახია, მაგრამ იმან რა დააშავა _ საწყალმა დედამ _ თვალებზე ცრემლი მომადგა, მერე წამომივიდა წვეთ-წვეთად. ვიგრძენი, რომ ჭუჭყიან ლოყაზე თბილი კურცხალი მოგორავდა.

მე ვტიროდი.

უფრო შემეცოდა დედა, შემდეგ ნელა გამიქრა მისი სახე გონებიდან და დამრჩა მარტო ჩემი თავი: ჭუჭყიანი, მარტოხელა, წვერმოშვებული. ვგრძნობდი: ვიჯექი თივაზე და ვტიროდი. ცრემლი ჭუჭყიან ლოყაზე ჩამომდიოდა. გაბურძგნილი წვერი ჩაშავებული ფრჩხილებით მოვიქავე. ლოყაზე მუწუკები ამომსვლოდა.

ჩემი თავი შემეცოდა.
უფრო კარგად წარმოვიდგინე მდგომარეობა. უფრო შემეცოდა. სიფრიფანა სახურავზე წვეთების ხმა გაისმა. წვიმა გახშირდა. წყალი გამხმარ მიწაზე ეცემოდა და მიწის სუნს აყენებდა ოთახში.
ცოტა მესიამოვნა: წვეთები კისერში ჩამდიოდა.
ციოდა.
ისევ ამიტანა კანკალმა და გარეთ გამოვედი.
წვიმამ გადაიღო.
ნელა დავუყევი ვიწრო ბილიკს. მივდიოდი. ფეხებზე ძველი, ხმარებისგან გაცვეთილი ქალამნები მეცვა. როგორც იქნა, შარაზე გავედი. მინდოდა, ვინმე შემხვედროდა. გინდ დავეჭირეთ, აღარ ვინაღვლებდი. მერე უფრო მომინდა ლაპარაკი. ვგრძნობდი, რომ ცრემლებისგან ღარები მქონდა ლოყაზე და სადღაც მსიამოვნებდა. მინდოდა, ვინმეს გაეგო ჩემი დარდის თუნდაც მეასედი, შევცოდებოდი.
მზე ამოვიდა.
გუბეებიდან მსუბუქი ორთქლი წავიდა ცისაკენ. მე ჯერ-ჯერით ვიქნევდი ფეხებს. ქალამნებზე მიკრული ტალახი შორს მიგორავდა, გუბეში მოხვედრილი, დიდ რგოლებს აკეთებდა, რგოლები ნელა პატარავდებოდნენ. ბოლოს წყდებოდნენ.
ღრუბელი გაიყო.

ნაწვიმარზე მზე ცხელი იყო. ქვედა ბილიკიდან ვიღაცა კაცმა გადმოუხვია და ქალამნების ფხეკა დაიწყო. უნებლიეთ მოვისვი თვალებზე ხელი. რატომღაც შემრცხვა, რომ იმას ჩემი ფიქრები გაეგო. ცივი სახით მივუახლოვდი; მოხუცი აღმოჩნდა. თეთრი წვერი მოკლედა ჰქონდა შეკრეჭილი, თავზე ნაბდის ქუდი ეხურა. აქამდე ვინმესთან ლაპარაკი მინდოდა, ახლა კი არ მესიამოვნა, მინდოდა, უხმოდ ჩამევლო. მოხუცმა თქვა:

_ გამარჯობა.

_ გაგიმარჯოს. _ ვუთხარი მე.

_ საით ყოფილხარ?

_ ტყეში.

მოხუცმა ხელი მოიჩრდილა:

_ შენა გრიშაანთი არა ხარ?

_ არა, აქაური არა ვარ. _ ვთქვი მე.

_ ჰო, დიდი ლაფები ყოფილა იქით. _ მოხუცმა ფეხზე გადაიტანა მზერა, მერე თანაგრძნობით შეხედა ჩემს სახეზე ამოსულ წვერს.

ახლა მიწას დახედა

_ ნახვამდის. _ ვთქვი მე.

_ გამარჯობით იყავი. _ თქვა იმან.

ისევ მარტო დავუყევი შარას, მსიამოვნებდა: მოხუცის თვალებში თანაგრძნობა ამოვიკითხე. რომ გავჩერებულიყავი დიდხანს, სახლში წამიყვანდა, ჩემი დარდის გაქარვებას შეეცდებოდა. მსიამოვნებდა: მოხუცმა ჩემი დარდი გაიგო, შეცოდება კი ვერ გამიბედა: ალბათ თავი ისე მეჭირა.

გუბეში ფეხი ჩამივარდა. ნესტიან წინდაზე ისევ ვიგრძენი სისველე. ჯერ ზურგმა დამიწყო ქავილი, მერე კეფამ. ფეხი ამერია. ვგრძნობდი: მოხუცი იდგა და მიყურებდა და ვეცოდებოდი. ვცადე, გამართულს გამეარა, მაგრამ ფეხი უფრო ამერია. მიხაროდა: მოხუცი შევიდა ჩემს მდგომარეობაში, მაგრამ მე თავი ამაყად მეჭირა და შებრალება ვერ გამიბედა. სახე გამეხსნა. მერე ვითომ ქალამნის თასმის შესაკრავად დავიხარე.

ნელა მივაბრუნე თავი მოხუცისაკენ: იმას მხარზე დიდი სახრე ჰქონდა გადებული, ორივე ხელი ზედ ჩამოეკიდა და თავისთვის მიდიოდა.
გული დამწყდა.
მერე უფრო დამწყდა.
მერე უფრო.
ვიდექი და ვუყურებდი: მოხუცი ნელა უჩინარდებოდა. შემოვბრუნდი. გრძელი ნაბიჯებით წავედი ბილიკისაკენ. ფეხები გუბეებში მივარდებოდა, მაგრამ სისველეს თითქმის ვეღარა ვგრძნობდი. როგორც იყო შევედი ტყეში. კორდზე დავჯექი.
მზე უფრო მაღლა აიწია.
ღრუბლები უფრო დაიყო.
დაცხა.
მთელ ტყეს ორთქლი ასდიოდა.

წელი 1956. სექტემბრის 27. 9-10

ვაჟა ჯანდიერი ჩხუბობს

ძირს დავარდნილი გივი მაჭავარიანი რამდენიმე წუთის შემდეგ მოვიდა გონს. ვაჟა ჯანდიერი ახლა მის ამხანაგს ეჩხუბებოდა. მისი დაძლევა დაღლილს ცოტა გაუჭირდა. ბოლოს დრო იხელთა და მარცხენა ხელი ყბაში მოარტყა, ის დაბარბაცდა, მაგრამ არ წაიქცა, მაშინ ვაჟამ მარჯვენა პირდაპირ მუცელში სთხლიშა. ისიც წამოწეულ გიას გვერდით გაიშხვართა. შორს ყვირილი და მილიციელის სასტვენის ხმა გაისმა. სამივე მოჩხუბარი უცებ მოვიდა გონს. წამში დაცარიელდა ის ადგილი. ახლა ფანჯრები ფართოდ გაიღო.

_ იმან სცემა, იმ მამაძაღლმა, _ თქვა ვიღაც კაცმა.

_ მარჯვედ კი ურტყამდა, _ დაუმოწმა მეორემ.

_ აბა, კაცო.

_ ფუ, საზიზღარი, ვერ წარმომიდგენია იმაზე დიდი სიმხეცე, რომ ადამიანს გაარტყა, _ ანჩხლად მიხურა ფანჯარა დიასახლისმა.

ვაჟა მეორე ეზოდან გამოვიდა, ქუჩა გადაჭრა და პირდაპირ სადალაქოსკენ გასწია.

_ გაუმარჯოს, _ მიესალმა მოხუცი ოსტატი.

_ როგორ ხართ, ძია რუბენ?

_ ესე რა, დალაქივით. _ იხუმრა მან და თვითონვე ჩაიხითხითა.

_ გცალიათ?

_ შენთვის ყოველთვის, პროშუ.

მთელი საათი კრიჭა «კლიენტი», მერე გაპარსა და მხარზე ხელის დარტყმით გამოისტუმრა. მან თუმნიანი დატოვა მაგიდაზე. გამოსასვლელში დიდხანს იყურა სარკეში ბიჭმა, წარბებზე ხელი გადაისვა და გარეთ ნასიამოვნები გამოვიდა.

(1956 წლის შემოდგომა)

შეყვარება

მანქანა ახლა აღმართს აუყვა. რადიატორი გახურდა და წყალმა დუღილი დაიწყო. გატეხილი ფანჯრიდან მძღოლს ადუღებული წყლის წვეთები დაეცა, კიდევ უფრო ჩამოცხა. დემნამ სიჩქარე გამოცვალა. «ტონანახევრიანი» შფოთვით მიიწევდა.

გზის ორივე მხარეს დარგულ აკაციებზე, რომელთა შორისაც ზოგან კაკალი ჩანდა, ბლომად იდო მტვერი. რადიატორიდან ახლა ორთქლის მთელი სვეტი ავარდა. საჭირო იყო წყლის გამოცვლა. გზამ გაივაკა, მერე დამშრალ რიყეზე გავიდა. დიდხანს იგორა მრგვალ ქვებზე. ხევის ბოლოს მძღოლმა მანქანა გააჩერა, შემდეგ საბურავისგან გაკეთებული ჭურჭელი გამოაძრო საჯდომს ქვემოდან და თითქმის დალეული წყლისაკენ გაემართა. ძლივს გაავსო, ლაფის დაწრეტას შეუცადა და რადიატორში წყალი გამოცვალა.

ახლა სოფელში შევიდა მანქანა. ეზოებთან წამოწოლილმა ძაღლებმა ზანტად წამოწიეს თავები. საიდანღაც ყეფა მოისმა. დიდთავა, დიდმუცელა, გამტვერიანებული ბავშვი ვიღაცა თავსაფრიანმა დედაკაცმა შარაგზიდან ცემით შეათრია ეზოში; გაისმა ტირილის ხმა, მერე ყველაფერი მიწყნარდა. დემნამ უკანასკნელი სიჩქარე ჩართო და გაზს მოუმატა. საბურავების ქვემოდან ავარდნილი მტვერი ღობეებსა და დასამწიფებლად მომზადებულ მტევნებს ფენებად ედებოდა. უკნიდან საყვირის ხმა გაისმა. მძღოლმა გზა დაუთმო. მსუბუქმა მანქანამ სწრაფად ჩაიქროლა და გაუჩინარდა. ტონანახევრიანმა სვლას უკლო. ავარდნილ მტვერში გზა აღარა ჩანდა.

მალე დაიწყო ასფალტი. გამოჩნდა ორსართულიანი სახლები. ახლა მოტოციკლეტი გავარდა წინ, ზევიდან ველოსიპედი წამოვიდა. ყარაჯალის გზიდან გალხობილ გუდრონზე ურმებმა გადმოუხვიეს. ერთხანს მტვრიან კვალსა ტოვებდნენ.

მანქანამ ბაზრისკენ აუხვია. მძღოლმა მეორე სიჩქარე მისცა. აღმართის გასწვრივ გაშენებული სამჭედლოებიდან ოხშივარი და გრდემლზე დაცემული ჩაქუჩების ხმა გამოდიოდა. აღმართის ბოლოში ისევ ჩაასხა წყალი. თითქმის ცარიელ ბაზართან ვიღაც ახმახი ლოთი ბარბაცებდა.

დემნამ დაწესებულებაში დააყენა მანქანა და თვითონ დუქნისაკენ შეუხვია. ცოტა გადაჰკრა. მერე ზლაზვნით აუყვა სახლის კიბეს. მისი კარიდან მეზობლის ქალმა გამოყო თავი.

_ ბიჭო, თქვენები წავიდნენ, ლიდას დედა გარდაცვლია.

_ რას მეუბნები, მართლა? _ ცივად იკითხა დემნამ.

_ ჰო. ბავშვი მე დამიტოვა ლიდამ, დედაშენიც წავიდა.

_ მართლა? _ მან ისევ განურჩეველი სახე მიიღო.

_ ჰო, შვილო, მე მეჩქარება, ბაზარში ვარ წასასვლელი, თქვენების მოსვლამდინა შენ იყავ სახლში. _ იგი კიბეზე დაეშვა.

დემნამ უაზროდ გააყოლა თვალი მეზობლის ქალს, მერე ოთახში შევიდა და გაუხდელად წამოგორდა ტახტზე. დამწვრის სუნი იდგა. ჭერის კუთხეში, ჭვარტლისაგან გაშავებულ აბლაბუდაში უღონოდ გაიფართხალებდა ხოლმე ბუზი.

ცოტა წათვლიმა.

გაისმა ბავშვის ტირილი.

დემნა უსიამოვნოდ წამოდგა და საწოლთან მივიდა. მის წლინახევრის ბიჭს სახე დამანჭვოდა და ტიროდა. ერთხანს უაზროდ უყურა, მერე დაიხარა და დიდი, დაკოჟრებული თითი ცხვირზე დაადო. გაკვირვებული ბავშვი გაჩერდა ცოტახანს, მერე ახალი ძალით აკივლდა. «კაცს ვერ დაუძინია», გაიფიქრა დემნამ და პატარა ხელში აიყვანა. იგი ტირილს განაგრძობდა. ახლა რწევა დაუწყო, ცოტა გაჩერდა. მალე სულ მიწყნარდა.

მამამ თვალი დააშტერა პატარას, რომელსაც ლოყაზე ცრემლი ჯერ კიდევ არ შეშრობოდა და აკოცა. ბავშვმა თვალები დაჭყიტა, სახე დაემანჭა სატირლად, მაგრამ

ტირილის ნაცვლად გაიღიმა და მშობელს ლოყაზე ხელი მოუთათუნა. ახლა მაღლა შეაგდო პატარა, შემდეგ საწოლზე წამოაწვინა, თვითონაც გვერდზე მოუწვა. დიდხანს ეთამაშა, მერე კედელზე ჩამოკიდებულ მეუღლის სურათს შეხედა. დიდხანს უყურა, გაიფიქრა, «რა ძალიანა ჰგავს ლიდას, არა, მეც უნდა მგავდეს». ბავშვი ახლა თვითონ აუფოფხდა გულზე და მკერდზე უხვად ამოსული ბალანი მოწიწკნა. მალე მოქანცა თამაშმა და მამის გვერდზე ტკბილად დაეძინა. დემნა კი იწვა და ფიქრობდა: «რა ძალიანა ჰგავს დედას. საწყალი ლიდა, დედა მოუკვდა, დედაჩემიც იქ არის. საწყალი ლიდა, დედა მოუკვდა. დედამისი არც ისე მოხუცი იყო».

ოთახიდან დამწვრის სუნი გავიდა, ჭერის კუთხეში აბლაბუდაში გაბმულ ბუზს ობობა სისხლსა სწოვდა. დემნამ დაღლილი ღიმილით დახედა ბავშვს, მერე თავის ცოლის სურათს და ბუნდოვნად იგრძნო რაღაცა ახალი გულში. «საწყალი ლიდა, დედა მოუკვდა, დედაჩემიც იქ არის, დედამისი კი არც ისე მოხუცი იყო», კიდევ გაიფიქრა და მუშაობისგან დაღლილს ჩაეძინა.

წელი 1956. ოქტომბრის 10. 10_10[40].

კოლა და ვანო
(მსახიობი)

დღიური:
წ. 1956. XII _ 27.

მთელი ღამე თოვდა. დილით ჩემს ქუჩაზე სრიალით დავეშვი...

ცა იწმინდებოდა.

აქა–იქ მოყინულ წყალზე ფეხს განგებ ვაცურებდი. დიდ ქუჩაზე უკვე მოესწრო თოვლს ატალახება.მეეზოვები ქვაფენილებიდან მანქანის ბორბლებს შუა ყრიდნენ გაუმდნარ გუნდებს. მე ლაპლაპა ყინულზე ვცადე გაცურება, მაგრამ ჩამიტყდა და ფეხი დავისველე. ბევრი ველოდე ტროლეიბუსს.

შემცივდა.

როგორც იყო, მივედი რადიოკომიტეტში. ჩემი როლი სხვისთვის მიეცათ, სამაგიეროდ მეორეხარისხოვანი პარტიის შესრულება შემომთავაზეს.

გული დამწყდა.

გამოვედი გარეთ. ღრუბელი ისევ შეკრულიყო და თოვას იწყებდა.

ცოტა ხნის შემდეგ წამოთოვა კიდეც; ჯერ წვრილი ფიფქები მოდიოდა, მერე ბარდნა დაიწყო.

დათბა.

მე ისევ კარგ ხასიათზე დავდექი.

_ მარიკა,

_ ტარიელი,

_ აი, ახლა უკვე ნაცნობები ხართ. _ თქვა ვასიკომ.

_ ძალიან სასიამოვნოა.

_ მეც მოხარული ვარ, თქვენთან ერთი საქმე მქონდა, უკვე დიდი ხანია.

_ რა საქმე? _ გულუბრყვილოდ იკითხა მარიკამ.

ოპერის ფოიეში ზარის ხმა გაისმა. მრავალრიცხოვანი საზოგადოება დარბაზისაკენ გაემართა. ვასიკომ მარიკასა და ტარიელს ხელი გაუყარა. ამფითეატრისკენ გასწიეს. დიდი, ხავერდის ფარდა უმოძრაოდ ეკიდა. თეატრი მეორე მოქმედების დაწყების წინ გუგუნებდა.

_ რა საქმე გაქვთ, მითხარით, რა? _ ბავშვური ცნობისმოყვარეობით გაიმეორა მარიკამ ადგილების დაკავების შემდეგ.

_ ახლა არა, შესვენებაზე, დიდი ხნის სალაპარაკო მაქვს.

დიდი სინათლეები ჩაქრა. ახლა მხოლოდ ჩუმი შრიალიღა ისმოდა. დირიჟორმა თავისი ადგილი დაიკავა, მერე ჯოხით გამაფრთხილებელი მოძრაობა გააკეთა. დარბაზი გაირინდა. გაისმა ბალეტ «დონ კიხოტის» მეორე მოქმედების აკორდები. მარიკამ პატარა სათეატრო ჭოგრიტი მოიმარჯვა: სცენაზე თითის წვერებზე შემდგარი ქალთა ჯგუფი გამოვიდა, მოპირდაპირე მხრიდან მე ორე ჯგუფი გამოემართა. კულისების სიღრმიდან ვაჟები გადმოეშვნენ. სრულდებოდა ესპანური ნაციონალური ცეკვა. აი, გამოჩნდა ფუნდუკის მფლობელი თავისი სახუმარო ნომრით. ამ დროს გაისმა საყვირის ხმა, რაც რაინდთა მოახლოებას მოასწავებდა. მო-ცეკვავენი მიაჩერდნენ შემოსასვლელს:

ლამაზ, თითისწვერებზე შემდგარ გოგონას აღვირისათვის ხელი ჩაევლო და ფუნდუკისკენ მიფრინავდა. მთელ სცენას ამაყად გადმოხედა როსინანტზე მჯდარმა ესპანელმა ჰიდალგო დონ კიხადომ. ცხენი ამ ახმახის ქვეშ წელში გაღუნულიყო. გაოცებული პირუტყვი ნაბიჯს ვეღარა დგამდა. სახედრიდან ჩამომხტარი პანსა ცეკვით მიიჭრა როსინანტთან და ძალით წაათრია ფუნდუკისაკენ. დარბაზში ჩუმმა სიცილმა გაიარა.

შეშინებული ცხენი უმოძრაოდ იდგა.

აი, ჩამოვიდა მისი მხედარი უზარმაზარი რაინდული უნაგირიდან და საერთო ფერხულში ჩაება. უცებ დარბაზი ახარხარდა, ვიღაცამ მეოთხე აივნიდან ტაში დაუკრა; მსახიობებმა მალულად გადახედეს ერთმანეთს, მერე მათაც დაიწყეს სიცილი; ცეკვა არ შეწყვეტილა. «ფუნდუკის მსახურმა» ცეკვით მოგავა და გაიტანა უწმინდურობანი დარბაზიდან. დაბნეული ცხენი ძლივს გაიყვანეს. მას უკან სახედარი გაჰყვა, რომელსაც თავი გაცილებით კარგად ეჭირა.

ორივენი ბნელი ჩასასვლელით უკანა ბაღში ჩაიყვანეს.

_ რა ეღირსა, ვანო, შენს კოლას, _ დაიწყო თუშურქუდიანმა წყნეთელმა გლეხმა.

_ კოლა რა, ცხენი მაინც არის, შენი ვირი თქვი შენა.

ორივემ გაიცინა, მერე წყნეთელმა პაპიროსი მოსთხოვა მელინეიკეს.

გააბოლეს.

_ აგე, კაცო, მოჰყავთ კიდეცა. _ თქვა ვანომ.

თეატრის მუშაკმა ორივეს ფული ჩაუდო და საქონელი ჩააბარა.

_ ასე, მაშ შაბათს მოიყვანთ.

_ შაბათსა?

_ ჰო, შაბათს.

_ კარგი. _ თქვა ვანომ.

_ ჯანი გავარდეს. _ თქვა კოტემ.

ვანომ ცხენს შეკაზმვა დაუწყო და იქვე მდგარ ლინეიკაში შეაბა. პირუტყვი ცოტა წელში გაიშალა. დაიფრუტუნა კიდეც. ნელი ჩორთით გავიდა ქუჩაში. ესიამოვნა

მოყინული ჰაერის შესუნთქვა და კისერი გაიგრძელა დასაჭიხვინებლად, მაგრამ პატრონმა მოქაჩა აღვირს და გააჩერა. ლინეიკაში შებმულმა გზაჯვარედინზე ანთებული წითელი სინათლე ვერ შენიშნა. ისევ დაიძრნენ; ახლა გზა აღმართს მიჰყვებოდა. ცხენმა თავლის სიახლოვე იგრძნო და ნაბიჯს უმატა. ცოტა მუხლი ღალატობდა მხოლოდ.

_ დრ, დრ, კოლაააა, _ დაიძახა ვანომ, კოფოდან ჩამოვიდა და აღვირს ხელი გაუშვა. კოლა გაჩერდა. ალაყაფის კარები ჭრიალით გაიღო. ცხენმა ლინეიკა ეზოში შეიტანა. მერე პატრონმა ცალუღი მოხადა. ახლა თოფრაკი გადაკიდეს კისერზე და ჩარდახის ქვეშ შეიყვანეს პირუტყვი. კოლამ უმადოდ დაიწყო თივის ღეჭვა.

ციოდა.

ბალანი აებურძგნა. ჩარდახის ქვეშ უფრო ღრმად შეიწია. ცოტა ხნის შემდეგ ჭამას თავი მიანება და თვალები მილულა.

ციოდა.

_ ცივა, ცივა, დედაკაცო, ცეცხლს ვერ დაანთებ? _ ბუზღუნით თქვა ოთახში შესულმა ვანომ.

_ თბილოდეს რა, განა ის არის.

_ რა ის, დედაკაცო, ცივა-მეთქი.

_ როდის მაიტანე რო შეშა. _ მთქნარებითა თქვა მისმა მეუღლე ვარომ და მეორე გვერდზე გადაბრუნდა.

«სად ვიშოვო შეშა?» გაიფიქრა ვანომ, მერე კიდობნიდან ერთნახადარყიანი ბოთლი ამოიღო და მოიყუდა. საწოლზე ჩამოჯდა. შემდეგ ისევ მოიყუდა.

გათბა.

«რად მინდა შეშა», გაიფიქრა და გარეთ გამოვიდა.

ჩარდახის ქვეშ ცხენი თვლემდა. ვანომ ვარსკვლავებს ახედა. ციმციმებდნენ.

სიცივეზე არაყმა დაარტყა. დათვრა. ნელა შემოუარა ჩარდახს, მერე შიგ შევიდა. კოლას ხელი მოხვია კისერზე და ნესტოებზე კოცნა დაუპირა, მაგრამ თოფრაკმა არ გაუშვა.

ცხენი სიამოვნებით შეიშმუშნა. პატრონმა გაათბო. ჯერ უკანა ფეხები აათამაშა, წინითაც მოსინჯა მიწა. ვანომ თოფრაკი მოხსნა და ლაშებში აკოცა. არაყი უფრო მოეკიდა.

_ ვენაცვალე, არტისტიც არის, _ თქვა და სახლისაკენ გაემართა.

მარტოდ დარჩენილმა კოლამ თავისთვის ჩაიხვიხვინა, თვალები დააღო.

შუაღამეს სიცივემ ისევ მოიმატა.

ციოდა.

წელი 1956. ოქტომბრის 26.

<u>მთებიდან ქალაქამდე</u>

წამოთოვა.

წინა დღეს ციოდა. მერე მთელი ღამე თოვდა, მეორე დღესაც თოვდა. ღრუბლების ჩამოწოლასთან ერთად ხეობაში სითბო ჩადგა. მესამე დილას გამოდარება დაიწყო. იალაღებზე სიო ფიფქა თოვლს ათამაშებდა. ჩქარა ქარმა საგრძნობლად იმატა; თოვლის ქულები მოაყარა ხეობას.

სალამურა ადგილზე ურტყამდა ფლოქვებს. ქარაბაკში შედენილი ცხენები შფოთავდნენ. ქარმა ღრუბელი ისევ გადაყარა. ულაყები ერთმანეთს ახტებოდნენ. იმ ღამეს ისევ აცივდა. სალამურამ განიერი მკერდით გააპო ჯოგი და ღობესთან მივიდა. ფართო ნესტოებიდან ორთქლის ნაკადს უშვებდა. ყურები დაცქვიტა, მერე კბილები გამოაჩინა, მაღალ, ასხეპილ კისერზე გრძელი ფაფარი გადაიყარა და თავისთვის ჩაიხვიხვინა. კისერი კიდევ უფრო გაიგრძელა, წვრილ, გრძელ ფეხებზე შემდგარი ტანი დაეძაბა. ისევ ჩაიხვიხვინა: ოღონდ უფრო ჩუმად. მთელი ტანი აუძაგძაგდა.

მხოლოდ დიდი, შავი თვალები ჰქონდა წყლიანი და მოწყენილი.

სამი წლის ულაყს არა სციოდა.

დილას ქარაბაკის კარი გაიღო და ჯოგმა ღამე მოყინულ თოვლზე იწყო გამოსვლა. ახალგაზრდა ულაყებმა შვება იგრძნეს: ყალყზე დგებოდნენ, წიხლებს ისროდნენ, იკბინებოდნენ. მერე თოვლის ბექობს ოთხით აუყვნენ. ჯოგი მათივე ახალადგახედნილ სწორზე მჯდარმა ბიჭმა შემოაბრუნა. ახლა ხეობისკენ დაეშვნენ. სალამურამ დრო იხელთა და მასზე მაღალ, უშნო ულაყს შეახტა. ატყდა წიხლების ცემა. ერთმანეთს სწვდნენ კბილებით. რომელიღაცამ მთელი ხმით დაიჭიხვინა.

მზე ამოვიდა.

დათბა:

ფლოქვების ქვეშ თოვლმა ადვილად დაიწყო დნობა. მთელ ფერდობს ჩაუყვა ჯოგისაგან გაქელილი ატალახებული ზოლი. ქვევით თოვლი გათხელდა. ცხენები უფრო მორჩილი გახდნენ.

შუადღეს წყალი დალიეს და უჭმელად განაგრძეს გზა ბარისაკენ. ბილიკი ახლა ხეობის ვიწროებში მოექცა. ხრიოკ კლდეებზე აქა-იქ ჩანდა სიმწვანის ნარჩენები. დროდადრო რომელიმე ჩაჰკიდებდა მიმხმარ ბალახს კბილს და მიწიანად აძრობდა.

ისევ მირბოდნენ.

იყო ფრუტუნი.

მოსაღამოვდა.

ღამის სათევად მეორე ხეობის შესართავთან შერეკეს ისინი. ადრე მოსული თოვლი გამდნარიყო, აქა-იქ ბუჩქის ძირებში ჩანდა მხოლოდ თეთრი ლაქები.

დილით უთენია დაიძრნენ. ორ-ორად გაუყვნენ ბილიკს. მოიწყინეს ულაყებმა. ჩუმად მიჭენაობდნენ. ხანდახან კაცის ხმა ესმოდათ და ყურებსა ცქვეტდნენ.

მერე ისევ მირბოდნენ.

მთის წვეროებს მთელი დღე მზე ანათებდა. ხეობაში კი ბნელოდა. გზამ გავაკება იწყო; მალე დიდ შარაზე გავიდნენ და დიდ ხეობას ჩაუყვნენ. წყალი ძალიან ხმაურობდა. ახლა მათ მოძმეებზე გადამჯდარმა კაცებმა მარჯვნიდან მოუარეს და კლდისაკენ მირეკეს.

ისევ მირბოდნენ.

მზე ახლა მხოლოდ მთის წვერს ანათებდა, მერე ჩავიდა.

რატომღაც წინ მიმავალი დიდი ულაყი დაფრთხა და კლდისკენ მდგარს მიაწყდა. ისიც დააფრთხო რაღაცა ხმაურმა და ადგილს მოსწყდა.

წინ ხიდი გამოჩნდა.

გაქცეული შედგა.

გაჩერდა მთელი ჯოგი: ყურები ცქვიტეს, შემდეგ უწესრიგოდ მიაწყდნენ კლდეებს.

ავტომანქანა გუგუნით შემოგორდა ხიდზე. მეჯოგეებმა თავიდან დაუარეს.

მანქანა უახლოვდებოდათ.

წინ გაქცეული ისევ მოსწყდა ადგილს. მას სალამურაც გამოუდგა. ხეობის კიდესთან მივარდნენ. ამ დროს მანქანის საყვირმა დაიყვირა და პირველად

დამფრთხალი მოსხლეტით გადაეშვა უფსკრულში, სალამურა კი პირდაპირ გავარდა; გასცდა ხიდს: გრძელი ფაფარი ნიავმა გაუშალა. ტანშიაც გაიშალა, ფართო ნესტოები დაებერა. პატარა თავი წინ გაიშვირა და ისე მირბოდა. მერე უცებ გაჩერდა; უკან მოიხედა. ცხენები ერთმანეთს აწყდებოდნენ. მათ მათრახიანი მხედრები უდგნენ თავთან.

ხმაური მიწყნარდა.

სალამურამ კისერი მოიღერა და კბილები გამოაჩინა. ორთქლთან ერთად დაბერილი ფილტვებიდან ხვიხვინი ამოუშვა. ჯოგიდან ვიღაცა გამოეხმაურა. კაცები ერთ ადგილას იდგნენ და უფსკრულში იხედებოდნენ. სალამურამ ადგილზე დაიწყო ტორტმანი. ბოლოს ჯოგისაკენ წავიდა.

ის ღამე ხიდის ქვევით გაათენეს. შემდეგ დღესაც მშივრები იყვნენ.

ეშინოდათ.

მანქანების მოძრაობა გახშირდა. ყოველთვის ფრთხებოდნენ. მეჯოგეები მარჯვობდნენ მხოლოდ. მოტორის გავლის შემდეგ მთელი ხუთი წუთი ვერ ისვენებდნენ ულაყები. ზოგს დაეტყო შიმშილი. სალამურას ფერდები შეუვარდა.

შემდეგ საღამოს გზამ გაივაკა: ჯერ ხეობა გაიშალა, მთები განზე წავიდნენ და დაპატარავდნენ.

ჯოგი შფოთავდა: ისმოდა ჭიხვინი.

შორს გამოჩნდა უსასრულო ტრამალი. მზე მოეფარა: აჭრელებული მიდამო ნელ-ნელა ჩაქრა. ცხენებმა იყნოსეს ველი და თავი აიშვეს. რუხმა ტრამალმა ჩანთქა ყველანი.

დაღამდა.

ერთი თვის შემდეგ, როცა ტრამალებიც თოვლის თხელმა ფენამ დაფარა, კაცები შეესივნენ ჯოგს. სალამურა ერთს იცნობდა და შედარებით ადვილად მიუშვა ახლოს, მან კი კისერზე თოკი ჩამოაცვა და ნესტოებში ჩაავლო ხელი. ახლა კი სულ გაგიჟდა სამი წლის ულაყი: წინა ფეხები აიქნია, კაცი შორს მოისროლა და გავარდა: აღარავის ენდობოდა ამის შემდეგ. მთელი კვირა სდიეს. ბოლოს მისი ჯოგიდან ამორჩეულ ახლადგახედნილ ცხენებზე გადამჯდარმა კაცებმა ქამანდებით დაიჭირეს. ვიღაცამ ნესტოებში და პირში ამოსდო რკინები; მაშინ კი დააოკეს: ორი დღე დაბმული ჰყავდათ, მერე ტრამალებით ატარეს და რკინიგზასთან საბარგო რონოდაში აიყვანეს. აქ ნესტოებითა და კისრით მიაბეს, თვითონ კი იქვე, კუთხეში ჩამოსხდნენ.

წასვლისას მატარებელმა დაიყვირა:

სალამურა საშინლად შეაშინა მისმა ხმამ და ყალყზე დადგომა სცადა, მაგრამ ნესტოებიდან სისხლმა იფეთქა. პირიდანაც წამოუვიდა. მხოლოდ უკანა ფეხებით მისწვდა რონოდის კედელს და გაანგრია. კაცები ახლოს მივიდნენ: ძლივს დააწყნარეს გაგიჟებული. მთელი ღამე თრთოდა. ნესტოები კიდევ უფრო გაუფართოვდა. ლაგამამოდებული მარტო ფრუტუნსღა ახერხებდა.

მხოლოდ დიდი, შავი თვალები ჰქონდა მოწყენილი და წყლიანი.

მთელი ღამე ესმოდა ორთქლმავლის კივილი, ბორბლების რახრახი.

ძლივს გათენდა.

მესამე დილას რომელიღაც სადგურზე ჩამოიყვანეს. იგრძნო თუ არა მიწა, გახელდა, ისევ დაიწყო ყალყზე დგომა. ოთხ კაცს ძლივს ეჭირა გამხეცებული. სხვები აღტაცებული უყურებდნენ. ორი დღე კიდევ აშიმშილეს.

ცოტა მოიწყინა.

ერთი კაცი ხშირად მიდიოდა, ფაფარზე ხელს უსვამდა, ხანაც გავაზე ურტყამდა ნელა. სალამურა ცოტა შეეჩვია მას და ისე აღარ ეშინოდა. ბოლოს ცოტა ქერი მისცეს. ისევ მოუვიდა ღონე; გაიწია ასაწყვეტად. ერთი კვირა მარტო წყალზე გადაიყვანეს.

ძალიან დასუსტდა.

კვირის თავზე ზურგზე უნაგირი დაადგეს და გარსაკრავი მოუჭირეს. ის ცოტა გაუძალიანდა. როცა გარეთ გამოიყვანეს, ეუცხოვა, მაგრამ სწრაფად მოიკრიბა ღონე და ყალყზე შედგა. კაცები წაიქცნენ, ხელიდან მაინც არ გაუშვეს თოკი. ბევრი იბორგა საწყალმა.

ბოლოს დაწყნარდა.

მისი ნაცნობი კაცი ახლოს მივიდა, ხელით მოუალერსა, მან ეჭვით გადმოხედა.

ჩუმად დაიფრუტუნა.

კაცმა დრო იხელთა და ზურგზე მოექცა. ამას კი აღარ ელოდა სალამურა. გაოცებისაგან გაინაბა. კაცმა სხვებს რაღაცა ანიშნა. ყველანი გვერდზე დადგნენ.

უცებ აიწყვიტა:

ჯერ ყალყზე შედგა, მერე წიხლები აყარა, განზე გახტა. გავარდა. ღობემ არ გაუშვა, მაინც სცადა გადახტომა. იქიდან გამოიქცა მთელი სისწრაფით და უცებ ჯიუტად დაასო წინა ფეხები მოედნის შუაში. მის ზურგზე გადამჯდარი კაცი შორს, მოედნის ბოლოში დაეცა.

სალამურა ნელი ნაბიჯით წავიდა ღობისაკენ. კიდევ ორი დღე აშიმშილეს, მერე ისევ ის კაცი მოაჯდა. გაჯიქდა ულაყი: ტრიალებდა, მაგრამ ის ძალა აღარა ჰქონდა. კაციც მაგრად იჯდა. ვერაფრით ვერ მოიცილა ზურგიდან. ნაშიმშილარ-ნაწამები მოიქანცა. კაცი კი იჯდა მის ზურგზე და ლაგამის მიწევ-მოწევით დაჰყავდა ის. ხანდახან ხტებოდა გვერდზე, თავს იქნევდა, არ უნდოდა, ლაგამს მიჰყოლოდა, მაგრამ პირში ჩადებული რკინები და ცხვირში ამოჩრილი ჯოხები არ ანებებდა თავის მოტაცებას. დიდხანს ატარეს ასე.

დაიმორჩილეს.

ჩამობნელდა. იმ ღამეს ქერი მისცეს საჭმელად. დაღლილს ძალიან მოშივნოდა. მეორე დღეს იგივე გამეორდა. მან ისევ მოსტაცა თავი. გაეშვა მოედანზე, ღობესაც გადააფრინდა. მაინც არ ჩამოვარდა კაცი. მშფოთვარე ულაყი იმ საღამოსაც დამარცხებული დაბრუნდა. ერთი წელი აწვალებდნენ ასე; ბოლოს თითქოს შეეჩვია. ახლო მხოლოდ იმ ნაცნობ კაცს იკარებდა. ხანდახან სხვა ცხენებსაც ეჯიბრებოდა. იქ იჩენდა ხოლმე თავს მისი ვაჟკაცობა. წინ არავის უშვებდა. წლის თავზე ისევ რონოდით მგზავრობა მოუხდა. კაცებმა, რომლებსაც მაგრად ჩაეჭიდათ ხელი აქეთ-იქიდან, ხმაურიან ქალაქში ჩაიყვანეს. განუწყვეტლივ ისმოდა: საყვირის ხმები, მანქანების ხმაური, ტრამვაის რახრახი. სალამურა ყალყზე დგებოდა. თითქმის ჰაერში ეკიდნენ მისი დამჭერები. ძლივს მიიყვანეს თავლაში, სადაც ბევრი სხვა ცხენი იყო დაბმული. მეორე დღეს ნაცნობმა კაცმა მრგვალ მოედანზე გამოიყვანა. ერთხელ ისე შემოატარა წრე. მერე მოახტა. დიდხანს იჯირითა ასე, ბოლოს ისევ თავლაში დააბეს. რამდენიმე ხნის მერე იმავე კაცმა ახალი უნაგირი დაადგა. თვითონაც ახალი, წითელი ხალათი ეცვა. გარეთ სხვა ცხენები იცდიდნენ. ყველასთან თითო კაცი იდგა. მხედარი სალამურას ზურგზე მოაჯდა და მოედანზე მდგარ სხვა ცხენებთან მიიყვანა. გარეშემო სკამებზე მჯდარი ხალხი გუგუნებდა. გაისმა სასტვენის ხმა, დროშა ჩამოიქნიეს და

სალამურა ადგილს მოწყდა:

უნდოდა ყველაზე წინ გავარდნა, მაგრამ მხედარი არ უშვებდა. სურვილისაგან ოფლში გაიღვარა. სამი წრე ასე ირბინა, მერე კაცმა ლაგამი მიუშვა და სალამურა გაქანდა.

უცებ გაასწრო სხვებს.

ოთხი წრე ირბინა ასე, მაგრამ სურვილი სულ უფრო ემატებოდა, ოფლიც შეუშრა თითქოს. საცა ის იყო ისმოდა ტაშის გრიალი და ყვირილი. სალამურას კისერი წინ ჰქონდა წაწეული, პატარა ლამაზი თავითა კვეთდა ჰაერს. წვრილი, ღონიერი ფეხებით უზარმაზარ, სწრაფ, ერთდროულ ნახტომებს აკეთებდა. ხშირი ფაფარი ჰაერში ჰქონდა გაშლილი.

მხოლოდ თვალები ჰქონდა ძველებურად წყლიანი და მოწყენილი.

მრგვალი მოედანი ერთ ადგილას წყდებოდა, იქაც ხალხი იდგა. ერთი წლის გახედნილ ულაყს უზომოდ მოუნდა ტრამალებში ნავარდი. კიდევ უფრო სწრაფად მოუნდა ჭენება და მთლიანად დაკარგა შეგრძნება. უცებ მოსხლეტით გადახტა გვერდზე, ხალხს თავზე გადაევლო და გაუჩინარდა.

თავგაჩეხილი მხედარი მოედანზე დარჩა.

ქუჩაში გავარდნილმა მისკენ მომავალი მანქანა დაინახა: შეეშინდა, დაფრთხა;

დაუფიქრებლად გადაეშვა დაბალი ხიდიდან.

ქალაქის გარეუბანში ახმახი, წვერებიანი მელინეიკე კოფოდან ჩამოვიდა და არაყი მოსთხოვა მედუქნეს. ორასი გრამი გადაჰკრა. იქვე ჩამოჯდა, გრძელტარიანი ყალიონი გააბოლა. მედუქნემ სხვები გაისტუმრა, მერე ზღურბლზე გადმოდგა და ლინეიკისათვის უჩვეულოდ ლამაზი ცხენი შეათვალიერა.

_ ივან, კოლას რა უყავი? _ ჰკითხა ცხენის პატრონს.

_ კოლას? აკი გითხარი, გავყიდე-მეთქი.

_ ეგ ვიღაა, ჰა? _ მედუქნე ახლოს მივიდა და ცხენს გავაზე დაარტყა ხელი.

ულაყი უმოძრაოდ იდგა.

_ ესა? ოჰო, ჰო, ამასაც კოლას ვეძახი.

_ შენ ვინ მოგცა, მერე, ჰა?

_ მე? ვიყიდე «სპარტაკისაგან».

_ რათ მოგყიდეს, ჰა?

_ ორივე ფეხი გაფუჭებული აქვს.

_ ?

_ დოღისთვის აღარა ვარგა.

_ რამდენი წლისაა ნეტავი, ჰა?

_ მგონი ხუთისა, ჰო, ან ექვსისა.

მედუქნემ დახლისაკენ გასწია, ახლადმოსულებს არაყი ჩამოუსხა, მერე ისევ გარეთ გამოიხედა: მელინეიკე იჯდა და ყალიონს აბოლებდა. კოლად შერქმეული სალამურა კი იდგა ფერდებშეცვენილი, დასუსტებული.

მხოლოდ თვალები ჰქონდა ძველებურად მოწყენილი და წყლიანი.

წელი 1956. ოქტომბრის 27.

ესტატე

(უმწეოდ იკბინებიან ბუზები)

დღიურიდან:
წ. 1956
ივლისის 25.

დილით ყველანი წავიდნენ სახლიდან. დედამ სადილი დადგმული დატოვა და მთხოვა, ერთხელ მაინც გამეკეთებინა რაიმე ოჯახში. შევპირდი: როცა ადუღდება, მე გადმოვდგამ–მეთქი.

ოთახიდან ბუზების გარეკვა ვერ მოვასწარით. ათობით სხედან კედლებზე: კითხვას არ მაცლიან. ვიქნევ ხელებს, ვნერვიულობ.

საშინლად ცხელა.

მომეჩვენა, რომ წვენი ადუღდა. ქვაბს თავი მოვხადე. ცხელ წყალში საიდანღაც მოხვედრილი ბუზები ეყარა. სამი მათგანი უკვე მოხარშულიყო, ერთი კიდევ მოძრაობდა. კოვზით ამოვიღე და ქვაბს თავი ისევ დავახურე, ახლა წყალი მომინდა: კარადიდან ფაიფურის დიდი ჭიქა გამოვიღე და წყლით ავავსე. როცა პირთან მივიტანე, ვნახე, რომ შიგ ორი ცოცხალ–მკვდარი ბუზი ფართხალებდა. გაბრაზებულმა ბუზებიდან მივახეთქე წყალი პირსაბანს.

შუადღე იყო.

ცაზე ღრუბლები დაიხლიჩა და მზემ გამოანათა. ჰაერი ჩაიხუთა. გორგოლების ნავალში და ცხენის ფლოქვების დანადგამებში დაგროვილმა წვიმის წყალმა აორთქლება დაიწყო. ღრუბლები ისევ შეიკრა, მერე სხვა ადგილას გაიხლიჩა. მზემ უფრო მაგრად დააცხუნა: მოთენთილი ბუზები ნელა ამოძრავდნენ ნაგვის ყუთზე. თავლიდან ამაყად გამოვიდა მამალი; ღობის ძირას დაყრილ ქერის ნარჩენებთან მივიდა და ფეხებით დაუწყო ქექვა. ბოლოს სიღრმეში რაღაცა იპოვა. ჩაუნისკარტა. საიდანღაც გაისმა კაკანი. დაბალ აგურის ღობეს დამფრთხალი დედალი გადმოევლო. მის შემდეგ კატა ახტა კედელზე. ერთხანს მამალს უყურა, რომელმაც ქექვა შეაჩერა. მერე აგურებზე გაწვა და მზის სხივებს მიუფიცხა ზურგი.

უარესად ჩამოცხა.

მამალი ნელა წავიდა საჯინიბოსკენ.

თავლაში ესტატე იდგა და უმადოდ ღეჭავდა თივას. ბუზები უღმერთოდ კბენდნენ. კუდს იქნევდა, მაგრამ არაფერი შველოდა. ბარძაყის ძირებში შემჯდარი მწერები არა შორდებოდნენ. მერე ფეხები გაიქნია, მთელი ტანი დააძაგძაგა უღონოდ და ღეჭვა განაგრძო. ბუზები ახლა გავის ძირში ამოუსხდნენ. ესტატე დაღალა კუდის ტყუილად ქნევამ.

წინა ფეხი ჰაერში ჰქონდა აწეული და სისხლი წვეთავდა. ჭრილობაზე ბორა დააჯდა, ჩამოღვრილ სისხლს კი ნაგვის ბუზები წოვდნენ. მისი შევარდნილი ფერდები თითქმის ერთმანეთს ეკვროდა, ხოლო ზურგზე გრძელი ფიცარივითა ჰქონდა ხერხემალი ამოწეული. ბეჭებზე კეხის დგომისაგან გაჩენილ იარებზე ათობით ასხდნენ ბუზები. მან ჭამას თავი მიანება, მისი დიდი, წირპლიანი თვალები უმწეოდ უმზერდნენ ბაგის კედელს. საჯინიბოში მზე ჯერ უკანა ფანჯრიდან შემოიპარა, მერე კარში შეყო თავი. ბუზები სხივის ვარდნის ადგილას ათობით ისხდნენ.

შუადღე გადავიდა.

სხივი უფრო დაიხარა. ახლა ის ცხენის ფეხს ანათებდა, მერე ბარძაყს, მერე ზურგს. ესტატემ კუდი მოიქნია. მწერები უფრო გამძვინვარდნენ. რამდენიმე მათგანი აფრინდა ჰაერში და მაშინვე ისევ დაეწაფა ზურგის იარებს. სხივმა ახლა ზურგიდან კიდევ მაღლა აიწია. საჯინიბოს კუთხეში აბლაბუდის ქსელში გაბმული ბუზი ფართხალებდა. ქსელის თავიდან ობობა დაიძრა, ჯერ ნელა მიდიოდა, მერე მოუმატა სისწრაფეს და თავისი გრძელი ფეხებით დააცხრა ბუზს. მწერმა მოძრაობა შეწყვიტა. ობობამ მთლიანად გამოწოვა ესტატეს ზურგიდან აღებული სისხლი; შემდეგ ქსელში გაბმულს თავი მიანება; ახალი მსხვერპლის ცდაში მიმალულ ადგილზე გაინაბა.

მოსაღამოვდა.

მზე ახლა თავის უკანასკნელ სხივებს ჰაერშიღა აბნევდა.

ბუზები მიწყნარდნენ. ქსელში ახლადგაბმულები ბედს შეეგუენ. მათი სისხლის გამოწოვა ობობას დილისათვის გადაედო.

ალაყაფის კარი ჭრიალით გაიღო. ესტატემ თავი ოდნავ წამოწია, მერე ყურები ცქვიტა. ეზოში ხმაურით შემოვიდა ლინეიკა და ნაგვის ყუთთან გაჩერდა. კოფოდან ჩამოსულმა ცხენი გამოხსნა, მერე მოსართავები აკრიფა და საჯინიბოში მიიმალა. იქ ესტატე აუშვა ბაგიდან, თვითონ კი ჭერზე ჩამოკიდებული ჩანთა ჩამოიღო; უმადოდ დაიწყო შავი პურის ღეჭვა. არაყი დააყოლა; მერე პაპიროსი გააბოლა გათელილ თივაზე წამოწოლილმა. შეუმჩნევლად მიეძინა დაღალულს.

ესტატე კოჭლობით გამოვიდა გარეთ. ფაშატის დანახვაზე ყურები ცქვიტა, მაგრამ ისევ მოეშვა და კასრში ჩამდგარ წყალს დაეწაფა. ფაშატს კი წყალი უკვე დაელია; ახლა გამალებული ჭამდა თივის ნარჩენებს.

ესტატემ კოჭლობით შემოუარა ეზოს, მერე ლინეიკა დაყნოსა. ერთხანს ასე იდგა, ისედაც დიდი თვალები უფრო გაუფართოვდა. ნესტოები დაებერა:

ულაყს მოუნდა ფაშატი და კოჭლობით წავიდა მისკენ. მან იუკადრისა; გვერდზე გახტა. ულაყმა მისდია. ორივენი დაიღალნენ. ბოლოს ესტატემ დაყნოსა და წინა ფეხებით ზედ შეახტა. გაფუჭებული წვივი ფაშატის გამხმარ ზურგს მოარტყა. სისხლმა წვეთა დაიწყო. ორივემ ინერციით რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. ერთხანს ასე იჯდა, მერე ულაყის უმოქმედობით გულნატკენი ფაშატი გვერდზე გახტა. ესტატე მარტო დარჩა. ოდნავ გაღვივებული ხალისი ჩაუქრა. ახლა ის ისევ თივას მიუბრუნდა.

მზე ჩავიდა.

სუსტად მოვარდნილმა ნიავმა გალეწილი ქერის ღეროები აშალა. ღრუბელმა კიდევ უფრო დააღო პირი. მალე სულ გაიფანტა.

დაღამდა.

შუაღამისას ცაზე უზარმაზარი ვარსკვლავები ანათებდნენ.

წელი 1956. ოქტომბრის 30.

<u>ოპერა გამოვიდა</u>

(სხეულით მოვაჭრე დედაკაცები)

ქალაქმრეწვის მთავარი ბუღალტრის ოჯახმა დილის ათ საათზე გაიღვიძა. ლეილამ საბანი გადაიხურა ბეჭებზე, გულდაღმა დაწვა და იდაყვებით

ბალიშს დაებჯინა. წინ რომანი «როსკიპი» ედო. დროდადრო იღებდა ცალ იდაყვს ბალიშიდან და წიგნსა ფურცლავდა.
_ ადექი, გოგო, უკვე თორმეტი ხდება. _ გაისმა სამზარეულოდან დედის ხმა.
_ მოიცა, დე.
_ როგორ მოიცა, საუზმე უკვე მეოთხედ გავაცხელე და ისევ გაცივდა. Вставай, детка.
_ ჰო, რა აუტანელია აქ ცხოვრება, не дают читать, _ გოგონა აიმრიზა.
_ Что такое, дорогая, აგრე რო გაგიტაცა. _ დედა მოლბა და შვილს თავზე ხელი გადაუსვა აშკარად ნასიამოვნებმა, რომ ის რომანებს კითხულობდა.
_ ისეთი არაფერი, დე, სისაზიზღრე, они торгуют собой, ფუ, гадость! _ ლეილამ დედის ხელი ცივად მოიშორა და წიგნს მიუბრუნდა.

დიდი, მწვანე ფარდა მეოთხედ ჩამოეშვა ოპერის სცენაზე. დარბაზმა სწრაფად იწყო დაცარიელება. მომღერლების გამოძახებას არავინ ცდილა. გარეთ ციოდა. ამ შემოდგომას ადრე დაიჭირა ყინვები. გასახდელში საშემოდგომო პალტოებს იღებდნენ პატრონები.

გარეთ ტროლეიბუსების მთელი რიგი იდგა. ოპერიდან გამოსულები სწრაფად ადიოდნენ შიგ. ვიღაცებს მანქანა უცდიდა. მცირერიცხოვანი საზოგადოება იკრიფებოდა.

_ არავინ მოდის. _ უთხრა გაჩერებასთან მდგარმა დანაოჭებულსახიანმა ახალგაზრდა რუსის ქალმა თავის მეგობარს.

_ ჯერ ყველანი არ გამოსულან. _ დააიმედა უკვე ხანში შესულმა გამხდარმა ვალიამ და თვალზე ახვეული მარლა გაისწორა. გაჩუმდნენ. ახალგაზრდების ერთი ჯგუფი ხმაურით გამოვიდა. ორივენი შეიშმუშნენ. მოემზადნენ. ბიჭებმა გვერდზე ჩაუარეს. ვიღაცამ მათკენ მოიხედა და ხმამაღლა დაუძახა:

_ როგორ მიდის ნადირობა, ჰა?

ბიჭებმა გადაიხარხარეს. ქალებმა მიუკარებელი სახეები მიიღეს და ნახევრად შებრუნდნენ. თვალახვეულმა გამოცდილი სახით გაუღიმა ბიჭს. უკანასკნელი მაყურებლებიც დაიშალნენ. ორივენი მსახიობთა გამოსასვლელისკენ წავიდნენ. თბილი პალტოთი და ყელსახვევით შეფუთნულმა ტენორმა ღიმილით ჩაუარა გვერდზე. მიესალმნენ. მერე ბასი და ბარიტონი გამოჩნდნენ. ბასს ყელი მოეღეღა და ამაყად უყურებდა თავის თბილად ჩაცმულ კოლეგებს. მან შეუჩერებლივ უთხრა ქალებს, რომლებიც მის მიახლოვებისთანავე ღიმილად დაიფრქვნენ.

_ ხვალ ხუთზე.

_ იიქ? _ ჰკითხა თვალახვეულმა.

_ ჰო.

სააღლუმო და შავ შესასვლელთან ღამის ყარაულები დასხდნენ.

ქალები რუსთაველის კინოსაკენ გაემართნენ. სიცივემ მოუჭირა. ვალიამ საყელო აიწია და ნელა დაიწყო რომელიღაცა რუსული სიმღერის ღიღინი. გალია ჩუმად მიდიოდა. ბოლოს სიჩუმე მან დაარღვია:

_ გალია!

_ რა?

_ მგონი გუშინწინ იმ შოფერთან ხო იცი, ნამდვილად ჰქონდა.

_ მერე რა?

_ როგორ?

_ ისე, შენ იმისგან. _ შენ სხვას, რა გადარდებს, წამო, ნახე, რა ბიჭები არიან, ეგეთებს ჩვენში მინისტრის ცოლები, «დედოფლები» იტაცებენ.

_ არ შემიძლია, უნდა მოვირჩინო.

ვალია წამოწითლდა, ერთხანს ჩუმად იარეს, ბოლოს მანვე დაარღვია სიჩუმე:

_ არ შეგიძლია, ოჰო, მაშ მოირჩინე. _ ჰა, ჰა, ჰა. _ რომელი ფულით, ლამაზო, გეკითხები, რომელი ფინანსებით აპირებ მორჩენას?

_ სადმე უნდა ვისესხოთ.

_ სად? თუ არა, ისევ მაგათთან, «კრასავჩიკებთან», ეგენი კი მხოლოდ ნაღდზე იძლევიან, ეს შენც იცი.

_ კი მაგრამ, მაგათაც დავმართებ «სურდოს».

_ შენ რა! იმათ შენ ედარდებით თუ რა? შენ კი უნდა შეიბრალო, ჰა, ჰა, ჰა, ჯობია, მაგაზე არ იფიქრო.

_ შენ ბრიყვი ხარ, თავი კი გამოცდილივით გიჭირავს, მაგას რო გადასდო, ვიღა მოვა შენთან, ვინ იცის, გცემონ კიდეც, აი, მაშინ სამუდამოდ დაგვეკარგება ფული, ბავშვი კი ღრიალებს ახლა სახლში.

ვალია ჩაფიქრდა, ვიღაცას მწარედ გაუღიმა. გზა განაგრძეს, ახლა ყრუ ქუჩით მიდიოდნენ. ვალიამ ჯიბეში ხელი ჩაიყო და ხურდებს დაუწყო ძებნა.

მერე ხელი უფრო ღრმად ჩაყო და სარჩული ამოაბრუნა. ხუთმეტკაპიკიანები სარჩულში ჩაცვივნულიყვნენ. თითებით მოსინჯა.

_ შენ სწორი ხარ, _ უთხრა გალიას.

ქუჩის ბოლოს მორიგი აფთიაქი გამოჩნდა.

_ შენ სწორი ხარ, ჯობია, პლაშჩით ვიმუშაოთ, სანამ მოირჩენ, აი, ჩემი მანეთნახევარი, შემოდი. ორივენი აფთიაქში შევიდნენ. რადიოში რუსეთის ჰიმნი სრულდებოდა, მერე სამი წყვეტილი საყვირის ხმა გაისმა.

_ პუ, პუ! _ დაიყვირა აფთიაქთან მომდგარმა პობედამ და შიგნიდან შავტუხა, კეპიანმა შოფერმა ღრეჭით გადმოყო თავი, თან ენა სიამოვნებით ააცმაცუნა გამოსული ქალების დანახვაზე.

წელი 1956. ოქტომბრის 30.

<u>მარტი _ გიჟობის თვე</u>

ჩემმა მეგობარმა გოგონამ ჩაიკითხა ეს მოთხრობა, სახე ოდნავ წამოუწითლდა.

_ რა იყო, მარიკა? _ შევეკითხე.

_ არაფერი, ახლა მივხვდი, რო გოგოები მაგაში მაინც ბედნიერები ვართ.

_ ?

_ უფრო მეტად შეგვიძლია, ჩვენს პირველ სიყვარულს შევწიროთ თავი, ვიდრე თქვენ.

_ ?

_ რა თქმა უნდა, თუ გამბედაობა გვეყოფა, მაგრამ რომ არ გვყოფნის ხოლმე, ეგ არის ჩვენი უბედურება, _ მან ნაზად ამოიოხრა და ოდნავ გაფითრდა.

მე ჩემს ფიქრებში გავერთე.

დილის სუფთა ჰაერში მტვერი ავარდა. პატარა ნიავმა გვერდიდან მოუბერა და ადრიანად გამოსულ მემაწვნეს ფეხებში მიაყარა. მეეზოვემ ახლა ქვაფენილის მეორე მხარეს გადაინაცვლა. ვამეხმა ფრთხილად მოიხურა ოთახის კარი, ნელა დაეშვა კიბეზე, შემდეგ ქუჩაში გამოვიდა. გრილოდა. სახეზე პატარა ბუსუსები დააყარა. ნაბიჯს აუჩქარა და ქვაფენილის მეორე მხარეს გადასულ მეეზოვეს მიესალმა. მატარებლის წასვლამდე მთელი საათი რჩებოდა. მზის პირველმა სხივებმა ქუჩის ბოლოს მოუსწრეს, მან ნაბიჯს უკლო და სადგურისაკენ მიმავალ გზას ფეხით გაუყვა. ახალადგაფურჩქნილ აკაციის ტოტებში ჩიტები ჟღურტულებდნენ. «მერცხლებიც მოფრენილან.» _ გაეღიმა მას და ციდან ისარივით მომავალ ფრინველს თვალი გააყოლა. შენობის ლავგარდანიდან მეორე ამოვარდა, დაიჟღურტულა. პირველმა მერცხალმა ჰაერში ირაო გააკეთა, მერე მეორეს გამოუდგა. მალე ორივენი გაუჩინარდნენ. ვამეხმა სადგურისკენ გაუხვია. მზის სხივები უკვე ქვაფენილს დაეცა.

საღამოს დაღლილი ვამეხ ჯანდიერი ისევ ფეხით აუყვა თავის ქუჩას. ჰაერში სასიამოვნო სითბო იდგა. გაზაფხულის ლამაზი დღე მიდიოდა. ღიღინით შეუხვია თავის ქუჩაზე ვამეხმა და სახლისაკენ გაიხედა. ცოტა შეშფოთდა. მისკენ ნაცნობი სახის გოგონა მოდიოდა. ამ გოგოს თითქმის ყოველთვის ხვდებოდა ხოლმე და თითქმის ერთსა და იმავე ადგილას. უცნობი წითლდებოდა, თან მაინც უყურებდა მას. როცა ჩაივლიდა ვამეხი, გრძნობდა, რომ მისი მზერა თან მოჰყვებოდა. გოგონა ახლაც აუჩქარებელი ნაბიჯით მიდიოდა მისკენ. ბიჭმა ცოტა უხერხულად იგრძნო თავი, სცადა ღიღინის გაგრძელება, მაგრამ არ გამოუვიდა. აი, გაუსწორდნენ კიდეც ერთმანეთს, გოგო დააშტერდა, მერე გაწითლდა და მორცხვადა თქვა:

_ გამარჯობათ!

_ გამარჯობათ! _ ვამეხმა თავი უსერხულად იგრძნო. ისე უპასუხა ნაცნობსახიან უცნობს გამარჯობაზე და ჩაუარა.

_ ვამეხ, უკაცრავად, _ მოესმა უკნიდან გაუბედავი ხმა. იგი გაჩერდა, მერე ნელა შემობრუნდა. მისგან ორიოდე ნაბიჯზე ის გოგონა იდგა.

_ მე, მე მაიას მეძახის დედა, _ თქვა გოგონამ.

_ ახ, მაიას, ხო. _ ვამეხმა ბრიყვული სახე მიიღო.

_ მე თქვენ არც კი მიცნობთ, _ განაგრძობდა იგი.

_ რასა ბრძანებთ, ჩვენი მეზობელი უნდა იყოთ, არა, განა?

_ დიახ, დიახ, აქვე ვცხოვრობ, თქვენს ზევით, მანქანების გასაჩერებელთან. _ სული ამოითქვა ქალმა.

ვამეხი კარგად დაუკვირდა მის ოდნავ არასიმეტრიულ, მაგრამ ძალიან ეშხიან სახესა და დიდ, ლამაზ ტუჩებს. გოგონა კი იდგა გაწითლებული და კრთოდა. ბიჭი თითქმის მიხვდა, რაშიც იყო საქმე; შეეცადა მდგომარეობიდან გამოეყვანა.

_ მაია, ის ბიჭი თქვენი ძმა ხომ არ არის? ძალიანა გგავთ, მოწაფის ფორმით რომ დადის ხოლმე.

_ ჩემი? არა, მე ძმა არა მყავს.

_ არც და? _ დაინტერესდა ბიჭი.

_ არა.

_ აბა?

_ მე დედა და მამა მყავს.

სიჩუმე ჩამოვარდა. გოგონას ლოყები კიდევ უფრო გაუვარვარდა. დიდ, ლამაზ ტუჩებზე ალმური ასდიოდა. უცებ ვამეხმა იგრძნო, რომ მის წინ ლამაზი, ახალგაზრდა გოგო იდგა, თან გაახსენდა, რომ სახლში გვიან ღამემდე მათთან არავინ

მოვიდოდა და შეიპატიჟა. გოგონა თითქმის უყოყმანოდ დათანხმდა ბიჭს. სულ გადაავიწყდა დაღლილობა. კიბეზე ხელკავი გამოსდო. ესიამოვნა მის თეძოზე მკლავის ჩამოდება და ჟინი მოაწვა. «სულ ბავშვია და უკვე ასე...??‘« _ გაივლო გუნებაში, მერე კარი გააღო და შიგ შეუძღვა. დერეფანში ფარდები ჩამოაფარა, შემდეგ სინათლეები აანთო. გოგონა კისერგადაგდებული იჯდა სავარძელში, წაბლისფერი თმა შუბლზე გადმოჰფენოდა. ვამეხმა თვალი ააყოლა მის ასხლეპილ წვივებს. «ოჰო, კარგია, კარგი, რა კარგია,» უხაროდა გუნებაში. «ნეტა მართლა ვინ არი? ან სად მოასწრო? სულ ბავშვი ჩანს». უცებ თავში გაურბინა, რომ მშვენიერი სანახავი იქნებოდა ამ ასაკის გოგოს შიშველი ტანი. ძალიან მოუნდა მისი ასე ნახვა, გონებაში წარმოიდგინა კიდეც. თავს პირობა მისცა, რომ გაეშიშვლებინა და მის წინ პატარა სკამზე ჩამოჯდა, მერე მისი ლამაზი, მოგრძოთითებიანი ხელი თავის თათებში აიღო. გოგონა შეიშმუშნა, მაგრამ წინააღმდეგობა არ გაუწევია. ვამეხმა ხელი მოუჭირა მის ნაზ მტევანს. ქალი წამოწითლდა, კიდევ უფრო მაგრად მოუჭირა. მან ოდნავ შეჰკივლა და თავი უკან გადააგდო. მერე ვაჟის გაწვდილი ტუჩებისკენ დაიხარა. ჯანდიერმა ბაგეები მოაშორა, შემდეგ ფეხზე წამოდგა და თითქმის ჩურჩულითა თქვა:

_ მაია.

მაიამ თმა ბეჭებზე გადაიყარა და თვალებში შეხედა. ვაჟი ოდნავ დააბნია ასეთმა მზერამ, მაინც განაგრძო:

_ მაია, ამისრულებ ერთ თხოვნას?

_ რაც გინდა იყოს, ოღონდ ერთის პირობით: ერთი თხოვნა შენ უნდა ამისრულო. _ მორცხვობით, მაგრამ მტკიცე ხმითა თქვა გოგომ.

ვაჟი ჩაფიქრდა, ეჭვებმა შეიპყრეს, მაგრამ მის ათქვირებულ ტანს შეხედა და ყრუდ უთხრა:

_ მე მინდა შიშველი გნახო.

_ კარგი, _ ცრემლნარევი ხმით მისცა თანხმობა გოგომ.

ვამეხი ალეწილი და დაბნეული გავიდა. დიდხანს უყურა მის პირდაპირ დაკიდებულ პაპის ახალგაზრდობის სურათს. აუარებელი ნაღველი ჩამდგარიყო წინაპრის ულამაზეს გუგებში, რომელსაც შავი, გადატკეცილი წარბები ამშვენებდა. ქალის სუსტ ხმაზე გამოერკვა იგი და თავისი საზარელი ხასიათისა შერცხვა. გადაწყვიტა დაეძახა, არ შემოვალ, ჩაიცვიო, მაგრამ ქალის ხმა განმეორებით მოესმა და ნელა შეაღო კარი. მის წინ იდგა შიშველი მაია: თმა ჩამოეშალა სახეზე, ტანით სავარძელს იყო მიყრდნობილი. ვამეხმა ხმა ვერ ამოიღო. მის წინ იდგა სიმშვენიერე და ამან მოაჯადოვა. დიდხანს უყურა გაოცებულმა, მერე ისევ გავიდა მეორე ოთახში. როცა უკან შემობრუნდა, გოგონა უკვე ჩაცმული იყო. ვაჟს ხელში ჯორჯონეს «მძინარე ვენერას» რეპროდუქცია ეჭირა.

_ მაია, აი ეს ჩემგან, სახსოვრად. _ ვამეხი მოდუნებული უყურებდა მის თვალებს.

_ გმადლობთ, _ ძლივს წაილუღლუღა გოგონამ, სურათი გამოართვა და კარისკენ წავიდა.

_ ნახვამდის, ვამეხ. _ თქვა მან კარში.

_ ნახვამდის, მაია. _ ვამეხმა კარი გაუღო. წინ გაუშვა და ისევ მოხურა. თვითონ შინ დარჩა. მარტო დარჩენილი ღრმა სავარძელში ჩაეშვა, ცოტა ხნის შემდეგ გრძელი ხევსურული ყალიონი ამოიღო. ძლივს მოუკიდა ცეცხლი. ბოლოს ღრმად მოქაჩა. გააბოლა. დიდხანს, დიდხანს იჯდა ასე სავარძელში და არაფერზე არა ფიქრობდა.

მთელი მეორე დღე აფორიაქებული დადიოდა. თვალწინ გოგონას შიშველი ტანი ედგა, ხან მის სახეს იგონებდა, ხანაც მისი გამწყრალი თვალები ეჩვენებოდა. მერე

თავზე ბრაზი მოუვიდა, რომ შიშველი გოგო სახლში ჰყავდა, ასე ბრიყვივით უყურა და უვნებელი გაუშვა. «საცა გავხადე, იქაც...» _ ტუჩებზე იკბინა სიბრაზით, შემდეგ შერცხვა, რომ საერთოდ გახადა ტანზე თითქმის ბავშვს. თავის გრძნობებში ვერ გარკვეულიყო ვამეხი. ქალი თავისი საქციელით ნამდვილად გარყვნილი იყო, უკანასკნელი მეძავი, მაგრამ თვალწინ მისი შეშფოთებული სახე, გაწითლებული ლოყები, ცრემლებნარევი თვალები ეხატებოდა. გონებით ნამდვილად ის იყო, ხოლო გრძნობა სხვას ეუბნებოდა. ისევ მოუვიდა თავის თავზე ბრაზი, ამხელა ვაჟკაცს ყველა ისეთი, როგორიც ის გოგო იყო, პატიოსანი ეგონა. სიბრაზისაგან წამოაწითლა ლოყებზე. «სულელო, როგორ გაუშვი ისე, რას იტყვის, თვითონვე დაგცინებს.» _ ფიქრობდა გულში და ნელი ნაბიჯით მოჰყვებოდა აღმართს; შეუხვია, «აი, ის...» გაიფიქრა და თავის სახლისკენ წავიდა. გოგონა ნელა უახლოვდებოდა მას.

_ ვამეხ! _ დაიწყო მან, ლოყები აუვარდისფრდა, თვალები დახარა. ბიჭს შერცხვა თავისი გუშინდელი სისაზიზღრისა და დღევანდელი ასეთი ფიქრების.

_ რა, მაია? _ გაბზარული ხმით შეაგება მან.

_ ახლა ჩემი ჯერია თხოვნის.

ჯანდიერი მოიღუშა.

_ შემისრულებ? _ განაგრძო მაიამ.

_ რა თქმა უნდა, _ ვამეხმა უხერხულად ჩაიღიმა.

_ მომყევი. _ თქვა მაიამ და წინ წავიდნენ.

ვაჟი ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო, თან მის უშიშარ გულს შიში შეეპარა შეუცნობლისადმი და იარაღი მოსინჯა ჯიბეში.

გარაჟამდე მდუმარედ იარეს. აქ კიბეზე ავიდნენ, მაიამ კარი გააღო. შიგ შევიდა.

_ აი, ეს არის ჩემი ბინა. _ თქვა მან. ვამეხმა მხრები აიჩეჩა და თვალი მოავლო ანგრეულ ოთახს.

_ უკაცრავად, გადავდივართ და ცოტა ანგრეულები ვართ. მე ახლავე.

გოგო მეორე ოთახში გავიდა, ცოტა ხნის შემდეგ საშინაო ხალათში გამოვიდა, თეძოები მკვეთრად შეიგრძნო ვაჟმა, მერე ქალმა დაიწყო:

_ ვამეხ, ახლა ჩემი თხოვნის დროა.

_ ერთი წამით, მაია, მაინტერესებს, რამდენი წლისა ხარ?

გოგო ყურებამდე გაწითლდა, ძლივს ჩაილუღლუღა მორცხვად:

_ თექვსმეტის, _ მერე თავს ძალა დაატანა, მაღლა ასწია და ნაცნობი სიმტკიცით სთქვა:

_ მე მინდა, რომ შენ ჩემი იყო, ბოდიში, მე ვიყო შენი.

_ როგორ? _ ისევ სულელური სახე მიიღო ვაჟმა.

_ მხოლოდ ერთი საათით.

გოგონა ვაჟს მეორე ოთახში შეუძღვა. ვამეხი გაუჯიქდა თავის გრძნობას. ასეთი რამ არასოდეს მოსვლია. უზომოდ მოსწონდა ქალი და არაფერი არ უნდოდა, გრძნობდა, რომ არც შეეძლო. გოგომ რადიო ჩართო. გაისმა ბუგების ხმა. ვამეხმა მისთვის გამზადებული შოკოლადის ლიქიორი დაისხა. რამდენიმე ყლუპის შემდეგ მსუბუქი თავბრუსხვევა იგრძნო. შემდეგ დიდი სინათლე ჩააქრო, მაგიდის მწვანე ნათურა აანთო და ახლოს მივიდა გოგოსთან; მერე ხალათი გადაუწია. ვაჟს სახეზე წამოახურა, რამდენიმე ნაბიჯით დაიხია უკან. ერთხანს ასე უყურა. ნელა, სულ ნელა მივიდა მასთან. თექვსმეტი წლის ქალიშვილის ოხშივარმა თავბრუ დაახვია.

როცა სინათლე ისევ აინთო, ვამეხ ჯანდიერი იჯდა სავარძელში და უკვე ქალის თვალებზე მომდგარ ცრემლებს უყურებდა სიბრალულით. არასოდეს ანთებულა იგი

ასე გვიან და ასე ძლიერ. «მაია ქალწული იყო, ქალწული, ახლა აღარ არის,» ფიქრობდა ვაჟი. მან ყალიონი გააბოლა.

_ მაია, _ დაიწყო ვაჟმა, ქალი კი იჯდა თავის საშინაო ხალათში, გაფერმკრთალებული და ცრემლები სდიოდა.

_ მაია, _ გაიმეორა მან, _ ამიხსენი, რაშია საქმე, რამ გაიძულა, რომ. . . _ აღარ დაამთავრა.

_ ჰო რამ. . . მე თვითონ არ ვიცი, ახლაც ვერ მოვსულვარ გონს, _ გოგო აქვითინდა. ვაჟი მივიდა, მუხლებზე დაისვა, მერე კოცნით ამოუშრო ცრემლები. მაია ხელიდან გასხლტა, იქვე იატაკზე ჩამოჯდა და წყენით უთხრა:

_ ახლა ნუღარ მოხვალ ახლოს.

ვამეხმა გაოცებული სახე მიიღო, ყალიონი ისევ გააბოლა სავარძელში ჩაშვებულმა.

_ ერთხელ, სამი თვის წინ, _ ხმის კანკალით დაიწყო ქალმა, _ დედამ გამგზავნა შაქრის საყიდლად, ერთს გთხოვ, ვამეხ, კიდევ, ეგ ყალიონი მისახსოვრე და როცა თხრობას დავამთავრებ, წადი. ჩვენ ერთმანეთისთვის არა ვართ გაჩენილი, წადი, აღარ მახსენო არასოდეს. მე სოფელში გადავდივარ სასწავლებლად, მერე მოსკოვში წავალ.

ვამეხმა რამდენიმეჯერ კიდევ შეისუნთქა ბოლი თავის საყვარელი ჩიბუხიდან, ქულებად ამოუშვა ფილტვებიდან, მერე ფერფლი გამობერტყა და ჩიბუხი მაგიდაზე დადო.

მაია კი იჯდა ჩუმად, მხოლოდ იშვიათად ისმოდა ხოლმე ქვითინი, ბოლოს თავს მოერია და ყრუდ დაიწყო:

_ მაღაზიიდან როცა გამოვედი, ყვირილი შემომესმა. ვიღაცა შავტუხა, კეპიან, უსიმპათიო კაცს რუსის ქალი დაეჭირა და სცემდა. ალბათ, შენც გახსოვს, მერე მოაბრუნა საზიზღარმა, ბეჭებში ქვა ჩაარტყა. სწორედ ამ დროს გამოხვედი შენ სახლიდან, შავი პიჯაკი გეცვა და თეთრი პერანგი. თეთრის ფონზე დავინახე, თუ როგორ წამოწითლდი, მერე მხრების რხევით წამოხვედი. მე მანამდისაც მყავდი შემჩნეული, _ მაიას ხმა ქვითინმა შეცვალა, ვამეხი იჯდა და არ ამშვიდებდა. ქვითინი უცებ შეწყდა, _ ჰო, შენ კი მივარდი კაცს და არც გაგირტყამს, ისე სწვდი კისერში, მერე კედელთან მიიყვანე და წაუჭირე. როცა ხელი გაუშვი, ის მოწყვეტით დაეშვა ქვაფენილზე.

მაიამ თხრობა დაამთავრა, მერე უცებ გავიდა მეორე ოთახში. სიჩუმე ჩამოვარდა. დიდხანს იჯდა ასე ვამეხ ჯანდიერი და ვერაფერზე ვერა ფიქრობდა. შეუმჩნევლად შეიჭრა მის შეგრძნებაში, რომ კედლის საათი ტიკტიკებდა. წამოდგა. კარებთან მაია იდგა. მას დამშვიდებული სახე ჰქონდა.

_ ვამეხ, სადაცაა, დედა მოვა, ნახვამდის, _ ხელი გაუწოდა მან.

ვამეხმა მაგიდაზე დადებულ ჩიბუხს მოხედა, რომელიც ცვაიგის თხელტანიან «უცნობი ქალის წერილზე» დაედო მასვე, შემთხვევით.

_ ნახვამდის, _ ჩაილუღლუღა ჯანდიერმაც და ღია კარში გამოვიდა. მერე რატომღაც მოაგონდა, რომ ჩიბუხი ცვაიგის «უცნობი ქალის წერილზე» იდო. შუა კიბიდან უკან მოიხედა. მაიას კარი უკვე მოეხურა. მას გული დასწყდა, მერე მაღლა აიხედა. დახლეჩილ ღრუბლებში აქა-იქ კიაფობდნენ ვარსკვლავები.

წელი 1956. ნოემბრის 1. 8_10[15].

გახელებული მინდია ძლივს შეაგდეს სატუსაღოს ჭერდაბალ ოთახში. დიდხანს ურტყა ხელები კარს. მტევნები დაუსისხლიანდა. ყვირილისაგან ხმა ჩაუწყდა. ვერავის გააგონა. მერე ვიწრო ოთახში ძლივს აიღო ქანი და თავით დაეჯახა კედელს.

ერთი თვის შემდეგ ციხის საავადმყოფოდან გამოყვანილი სასამართლოში წაიყვანეს.

_ თქვენი ბოლო სიტყვა? _ ჰკითხა მოსამართლემ.

_ როგორ? _ ვერ მიხვდა მინდია.

_ რას ითხოვ სასამართლოსაგან? _ გაუმეორა მოსამართლემ.

მინდია : განთავისუფლებას.

მოსამართლე : მერე რას იზამთ, გააგრძელებთ პატიოსან შრომას?

მინდია : ჰო.

მოსამართლე : პირობას იძლევით, რომ მგელიკას ხელს არ ახლებთ

მინდია : არა.

მოსამართლე: აბა, როგორ გინდათ პატიოსანი შრომის გაგრძელება?

მინდია : ჯერ მგელიკას გადავუხდი და ისე.

მოსამართლე: მაშ, თქვენი ბოლო სიტყვა რა იქნება?

მინდია : გამათავისუფლეთ.

_ ჰაი, ჰო, სადათვევ!

_ აბა, ჰე, მერანავ!

_ ჰაი დედასა, თვირთვილავ!

აქაფებულ არაგვში ხევსურებმა დაოთხებული ცხენები შეაგდეს. მუხლმაგარმა თვირთვილამ ფონი ზევით აჭრა, მერე რიყეზე გავარდა და ფაფარაშლილი გაქანდა მთის ძირისაკენ. უკან მოწითალო ცხენი, სადათვე მიჰყვა.

_ აბა, ლამაზოვ!

_ აბა, შე სამგლევ!

_ ცოტაც, და!

_ ჰაი დედასა!

ესმოდათ ცხენებს მხედრების ძახილი. ოცამდე ულაყი მიფრინავდა საცალფეხო ბილიკზე. ქვევით ჩამორჩენილი ოთხი მხედარი გამოჩნდა. მათაც გაჭრეს წყალი და აღმართს შეუდგნენ. გახურებული თვირთვილა ანგარიშმიუცემლად გადაახტა პატარა ფშანს და სხვები ისხლიტა. მის უკან მიმავალი სადათვე შორს მოიტოვა.

მეოთხე ტაბლა ხევსურებს ჭალის სოფელში დაედგათ. მოხუც ხევისბერს სასმელ-საჭმელი გაეწყო მხედრებისათვის. ცხენების მოლოდინში ხალხი შფოთავდა. ღობესთან მიბმულმა ფაშატმა თავი ასწია, მერე კბილები გამოაჩინა და მთელი ხმით დაიჭიხვინა. მოხუცმა ხევისბერმა ნელა მიაბრუნა თავი ლიქოკის ხევისაკენ. კოშკის თავზე ასულმა ახალგაზრდა მოგზაურებმა ყიჟინა დასცეს.

ხალხი განზე გადგა.

ტაბლასთან ხევისბერი დარჩა დასტურებთან ერთად.

_ ყველაზე წინ რომ მოდის, ის აიღებს პირველ ადგილს.

_ უჰ, რა ყოჩაღია!

_ რა ფერია?

_ მოყვითალო.

_ არა, მორუხო.

_ ეგა? _ ჩაერია მოგზაურების ლაპარაკში ხევსური, _ თვირთვილაა.

_ თვირთვილა რა არის?

_ თვირთვილა ფერია. _ უხეშად გაიღიმა ხევსურმა. _ მაგ ცხენსაც თავისი ფერის სახელს უძახიან.

_ თვირთვილაი მოდის, თვირთვილა.

_ ყოჩაღ, მინდიავ.

_ მინდიავ, აბა!

ახმაურდნენ ხევსურები.

თვირთვილა პირველი მივარდა ტაბლასთან. ცხენი ჯერ არ გაჩერებულიყო, ისე გადმოხტა ბერი მინდია. ხევისბერმა არაყი დაუსხა რქაში, შემდეგ პირთან მიუტანა და თავისი ხელით დაალევინა. მხედარმა ხევსურულ კოტორს გვერდი მოსტეხა.

ცხენები ზედიზედ მიდიოდნენ ტაბლასთან.

იყო შეხლა-შემოხლა.

იყო ყიჟინა.

იყო ხვიხვინი.

იყო ფრუტუნი.

ხევისბერი ყველას ასმევდა ალალაის.

მოგზაური : რას უცდის თვირთვილა?

ხევსური ბიჭი: წეს არს, სანამ ყველა არ მოვა ტაბლასთან,
ვერ წავლენ ისე.

მოგზაური : ეგ რა წესია!

ხევსური ბიჭი: ვაჟკაცურ წესარს, ხუთი ტაბლა მთელ გზაზე.

მოგზაური : ყველგან უცდიან?

ხევსური ბიჭი : რად არ.

მოგზაური : ეგ რა წესია?

ხევსური ბიჭი : ვაჟკაცურ წეს, ბოლო ტაბლიდან იწყების
ნამდვილ დოღ, მანამდე გამძლეობაზე არს.

მოგზაური : ბოლო სად არის?

ხევსური ბიჭი : ბოლო ხახმატში, გუდანს თავდების დოღი.

_ აბა, ჰე!

_ ჰეი, ჰე!

_ ჰო, ჰო, თვირთვილავ!

თვირთვილამ ზურგზე მხედარი იგრძნო და კლდეზე გადაეშვა. ჯიხვივით მიხტოდა პიტალოზე, უკანას წინას ნაფეხურს არ აცილებდა. უშიშრად შევარდა ლიქოკის წყალში და უღელტეხილს შეუდგა. ახლა წინ მხედარი ფეხით მირბოდა. აღმართზე ისვენებდა ცხენი.

ისმოდა გაბმული ქოშინი.

მთიდან ხევში ნაშალი ჩადიოდა.

პატარა ფეხმარდი ცხენები უღელტეხილზე გავიდნენ. თვირთვილამ ისევ იგრძნო ზურგზე მხედარი და თავმიუცემლად გადაეშვა ბილიკიდან. დაკლაკნილ გზას პირდაპირ ჭრიდა. პატარა ქვაც კი ჰყოფნიდა ფეხის მოსაკიდებლად. ხშირი ფაფარი

გაშლოდა და ისე მიჰქროდა უფსკრულისაკენ. გამონასკული კუდი მაღლა ჰქონდა აბზეკილი. დიდი თვალებიდან ცეცხლებს ისროდა და ბრტყელი, ძლიერი კბილებითა ჭამდა ლაგამს. ლაგამი კი სულ უჭერდა და უჭერდა. უნდოდა უფრო ჩქარა, მაგრამ რკინა არ უშვებდა. მაგრად ეჭირა ცხენის თავი მხედარს. ახლეჩილი ლაშებიდან სისხლმა დაუწყო დენა. ორთქლი და დუჟი უფარავდა სისხლს. ახლა სწორ ბილიკზე გავარდა ულაყი. სადავე ცოტა მიუშვეს.

შორს, ხახმატის ჯვართან ყიჟინა დასცეს. თვირთვილა ორივე ფეხით დაესო ტაბლის წინ. მინდია დალოცა ხევისბერმა და ორი ყანწი ალალაი შეასვა ძალით. გახელდა ულაყი, ტაბლას მიაწყდა და კინაღამ წააქცია, მერე ადგილზე ტრიალი დაიწყო. მხედარი კი იდგა. აღვირი მაგრად ეჭირა ხელში. ახლეჩილ ლაშებში უჭერდა სადავეს.

ოთხი წელი ღრღნიდა ლაგამს შვიდი წლის ულაყი და ვერაფერი მოუხერხა. ახლა ისევ დაუწყო წვალება.

_ აბა, ჰე, ჰე!

_ ჰეე, ჰე, ჰე!

_ ჰო, ჰო, ჰოი, თვირთვილავ!

თვირთვილა უცებ გაიმართა წელში, ადგილზე დატრიალდა და სწორ ბილიკზე გავარდა. ზურგზე მიჰკროდა მთვრალი მხედარი.

უკან ისმოდა:

ყვირილი,

ღრიალი,

ფლოქვების ცემა.

თვირთვილამ იგრძნო: ლაგამს მიუშვეს. ულაყმა სირბილს უმატა. უკვე ვეღარა გრძნობდა რკინას. გუდანის ჯვართან შეჯიბრი მთავრდებოდა.

გავარდა თვირთვილა.

მიჰყვნენ სხვებიც.

გავარდა თვირთვილა.

თვალები ნაკვერჩხლებს ისროდნენ.

ვეღარა გრძნობდა შვიდი წლის ულაყი ლაგამს.

და

მირბოდა.

ვეღარა გრძნობდა მხედარსაც.

ვეღარა გრძნობდა ვერაფერს.

თავისი ცხოვრების მეშვიდე წელს ბედისწერამ აიტანა.

_ აბა, ჰე,

_ ჰაი, ჰე,

_ აუ, აუ, აუ, თვირთვილავ!

მეორე დილა თვირთვილას იალაღზე გაუთენდა. გადმოვარდნილ მხედარს აღვირისთვის ხელი არ გაეშვა და ცხენს იგი თავიდანა ჰქონდა წამძვრალი. მხოლოდ გავაზე ება საძუე. დაკაწრულ-დაკუწულ ბეჭებზე იარებს უკვე მოესწროთ შეხორცება. ახლა ულაყი მადიანადა ჭამდა ცვრიან ბალახს.

საღამოს წყლისაკენ დაეშვა.

მესამე დილა ისევ იალაღებზე გაუთენდა.

მადა დაკარგა ულაყმა: აქა-იქ კიკნიდა ბალახს.

საღამოს ისევ დალია წყალი და ლაშები აექავა.

მოუნდა რამეს გახახუნებოდა ტუჩებით. ლაგამს მიჩვეულმა კბილებით დაიწყო ტუჩების ღეჭვა.

მერე ზურგზეც იგრძნო სიცარიელე.

დიდხანს იგორა მწვანე ბალახზე.

მეოთხე დღეს ნაცნობი გზით დაეშვა სოფლისაკენ. მის საჯინიბოსთან ხალხს მოეყარა თავი; ეზოს შუაში მისი პატრონი იწვა და არ ინძრეოდა. თვირთვილამ თავი ასწია, კბილები გამოაჩინა და საზარლად დაიჭიხვინა; პატრონი არ ინძრეოდა; მის თავთან იდო საყვარელი ცხენის აღვირი. შვიდი წლის ულაყი დასწვდა ლაგამს და ღეჭვა დაუწყო.

_ ჰეი, ჰე, თვირთვილავ!

_ ჰაი დედასა, მინდიავ!

_ ვერ გაძლო.

_ ვერა, ვერ, გუდანის ჯვრის მადლმა.

_ სასწაულ არს.

ხევსურებმა ყორისკენ დაიხიეს.

თვირთვილა კი იდგა ცხედართან და ლაგამსა ღეჭავდა.

ლაშები დაიამა.

ახლა ზურგი აექავა.

ტორტმანით მივიდა საჯინიბოს დაბალ კედელთან და ზედ გაეხახუნა.

_ ჰაი, ჰე, თვირთვილავ,

_ ვაი დედასა, მინდიავ.

ხევსურებმა გლოვა განაგრძეს.

წელი 1956. ნოემბრის 2. 10^{45} _ 11^{30}.

<u>ზამთარი იწყება</u>

_ გაამოს, გაამოს! _ ძია ვალიკომ ვამეხს კისრიდან თმის ღერები ამოუყარა და მხარზე ხელი დაარტყა. ვამეხი წამოდგა, თეთრი საყელო ამოიწია, მერე მაკრატელი აიღო ულვაშების შესასწორებლად. ბოლოს ნასიამოვნები მოშორდა სარკეს, დალაქს გაუღიმა და მაგიდაზე ქვითართან ერთად თუმნიანი დატოვა. ვალიკომ ფულს სიამოვნებით დახედა, შემდეგ უჯრაში ჩააგდო. სხვა დალაქებმა შურით გადმოხედეს.

_ ძაან იხარჯება, აი. _ თქვა ერთმა.

_ შნო აქ და...

ვამეხი, ახალ პალტოში გამოწყობილი, მსუბუქი ნაბიჯებით გამოვიდა ქუჩაში, ჯიბიდან სამმანეთიანი ამოიღო. კიბესთან მჯდარმა მათხოვარმა სიამოვნებით დაახამხამა თვალები, მადლობითა და ლოცვით აავსო ჭაბუკი.

_ დებო და ძმებო, მამებო და დედებო, მოიღეთ მოწყალება, ვისაც რამდენი შეგიძლიათ, თქვენი გარდაცვლილების საცხონებლად, ცოცხლების სადღეგრძელოდ.

ჭუჭყიან ქუდში დროგამოშვებით ცვიოდა ხურდა ფული. მათხოვარს მოჭრილი ხელი დალურჯებოდა სიცივისაგან. ჩოფურა სახეზე წვერი მოშვებული ჰქონდა. ნიკაპთან, ბალნის ქვევით, დაწითლებული ძირმაგარები მოჩანდნენ. მან ჭუჭყიანი, ორთითა ხელით აიღო ძირსდაცემული აბაზიანი, ქუდში ჩააგდო, მერე შავი

ფრჩხილებით მოიფხანა კეფა. სახე მოეღუშა. ნელა წამოვიდა თოვლის ფიფქები. მალე ბარდნა დაიწყო.

გამვლელებს ღიმილი ჰქონდათ სახეზე.

სკოლიდან გამოსული ბავშვები ყიჟინით შეეგებნენ პირველ თოვლს.

შავი კატის ქურქიდან გასათხოვარმა გოგონამ ზარმაცად ამოიღო ხელი და ათკაპიკიანი გადაუგდო მათხოვარს.

ბავშვებმა ჟრიამული შეწყვიტეს მისი გალურჯებული შიშველი ხელის დანახვაზე. მეხუთე კლასელმა კრავაიმ ნახევრადშეჭმული ფუნთუშა გაუწოდა. მათხოვარმა ღიმილით ჩამოართვა. ბავშვებმა ჟრიამული გააგრძელეს. მან ფუნთუშის ნატეხს დახედა, მერე დააფურთხა და შორს მოისროლა. ზოზინით წამოდგა. თოვლს უკვე მოესწრო მისი ძონძების დაფარვა. უახლოესი სასადილოს კარი შეაღო.

_ კიდევ შემოხვედი?

_ გადი ახლავე!

_ აჰა, პური.

ეძგერნენ მიმტანები მათხოვარს. ის მოლარესთან მივიდა და ხუთი თუმნის ხურდა ქაღალდის ფულად აქცია. მომტანებმა ერთმანეთს გადახედეს.

_ ნახეთ, რამდენს აგროვებს?

_ აბა, კაცო!

_ ცხოვრობს ბედნიერად, არაფერს არ აკეთებს.

_ მათხოვრობასაც რამე უნდა.

ხმამაღლა ბაასობდნენ მოლარე და ერთი მიმტანი, მერე მიმტანი მიუბრუნდა კუთხეში მდგარ მათხოვარს:

_ მიდი, მანდ დაჯექი, კუთხეში.

მათხოვარი ხმის ამოუღებლად გამოვიდა გარეთ. ფეხის ათრევით მივიდა გაჩერებასთან, შიშველი მკლავი ისევ გამოაჩინა და რონოდაში ავიდა. საგზლით დატვირთული ხალხი ღიმილით უყურებდა თოვლის ფართო ფიფქებს. მან კიბიდან გამოიხედა, ღრმად ჩაახველა და გადააფურთხა. ახლადდადებულ თოვლს ყვითლად დააჩნდა ნახველი, შემდეგ ფიფქების ნაკადმა მსუბუქად დაფარა. მალე მისი ნასახიც გაქრა.

მათხოვარმა წამით შეავლო თვალი მგზავრებს. შიშველი, ძირამდე წაჭრილი მკლავი ააძაგძაგა და ქუდი მოიხადა.

_ მართალია, ქართველი კაცი, _ ჩახრეწილი, გაბმული ხმით დაიწყო მან, _ არ უნდა მათხოვრობდეს, მაგრამ მაპატიეთ, _ ყალბი ცრემლები მოერია, _ მე, ბიძინა ღლონტი, ორჯერ ცოცხლად დამარხული და ორჯერ გადარჩენილი, სამამულო ომის ინვალიდი.

ხალხი შეიშმუშნა. მაღალმა, წითელ ყელსახვევში და თბილ რატინის პალტოში გამოწყობილმა კაცმა მანეთიანი ჩაუდო ქუდში. მერე სწრაფად მიბრუნდა. ქალები ორი თითით უგდებდნენ ხურდას. ვიღაცა შავებში გამოწყობილმა მოხუცებულმა ხუთმანეთიანი აჩუქა. ერთხანს უყურა, ბოლოს ოდნავი ზიზღით მანაც იბრუნა პირი.

მესამე გაჩერებაზე ჩავიდა ღლონტი, თან ხელით მოსინჯა შეგროვილი დავლა. შობა დღე იყო.

ბიძინამ ყრუ სასადილოში შეუხვია.

ხალხი მხიარული შეექცეოდა სასმელს.

მიმტანებმა ამრეზილად შეხედეს მათხოვარს, მერე მოლარემ კიდევ ასორმოცდაათი მანეთის ხურდა გაუმსხვილა.

ჯერ არ დაღამებულიყო, ისე შეაგროვა ორასი მანეთი. ღლონტი მარტოკა მიუჯდა სუფრას და არაყი მოითხოვა მწვადთან ერთად.

დახლიდარმა ზიზღით გადმოხედა, მერე მაგიდასთან მჯდარ ნაცნობს ჩაულაპარაკა:

_ ფული არ უნდა მისცე მაგ მამაძაღლებს, მწვადებს შეექცევიან.

_ აბა, მაგათ რო ფული აქვთ, ტყუილია.

_ არამია მაგათზე, _ ჩაერია მიმტანი ქალი საუბარში.

ღლონტი კი იჯდა და ჩუმადა ჭამდა მწვადს, ზედ არაყს აყოლებდა. შეთვრა. დახლიდარი მიუახლოვდა მის მაგიდას, გაბრაზებით წარუდგინა ანგარიში.

_ ოცდაათი მანეთი და ორმოცი კაპიკი.

ღლონტმა სუფრაზე ოცდაცამეტი მანეთი დადო. დახლიდარს არც შეუხედავს მისთვის, ისე გადათვალა ფული და ჩაიდო ჯიბეში.

გარეთ თოვლი ისევ ბარდნიდა.

ბიძინამ ისევ გამოაჩინა მკლავი.

ხმა მოემატა. დამთვრალი ოდნავ ბარბაცებდა.

ვიღაცა ბიჭმა ფული გაუწოდა, მაგრამ ამხანაგმა გამოსტაცა და ჯიბეში ჩაუდო.

_ არ უნდა მისცე მაგ გაფუჭებულებს.

_ რატო, კაცო?

_ ვერა ხედავ, ფეხზე ძლივსა დგას. მაგ ფულებითა ლოთობენ.

ბიჭებმა მზერა მაღალწელიან გოგონაზე გადაიტანეს, მერე სასადილოში შევიდნენ.

_ ნახევარბოთლიანი კონიაკი და მწვადები. _ მოითხოვა ერთ-ერთმა. მიმტანი ღიმილით გავარდა დახლიდარისაკენ.

წელი 1956. ნოემბრის 3. 11 _ 12.

<u>ს ა თ ა გ უ რ ი</u>

(ოჯახური იდილია)

დღიური: ორი თვის წინ ახალი ბინა მივიღეთ. დედას სიხარულს საზღვარი არა აქვს, გუშინ მოიღრუბლა. აღარ გადაიღო წვიმამ. ჩამობნელდა. მთელი დღე ვკითხულობდი მერეჟკოვსსკის "ანტიქრისტეს", საღ ამოს დაღლილი მამა მოვიდა–მეთქი: სიხარულით გავაღე კარი:

- ვინ გნებავთ? –შევეკითხე მე.
- მე თაგვების შესახებ ვარ, უნდა საწამლავი დავუყარო, ხომ არა გყავთ?
- არა, ქალბატონო, – გავიღიმე მე.

ქალმა ბოდიში მოიხადა, მერე მეზობელს ზარი დარეკა: შემობრუნებული ისევ მერეჟკოვსკის მიუბრუნდი. მეთაგვე ქალის მოსვლის ამბავი მხოლოდ ვახშამზე მომაგონდა.

- შენ რა გითხრა, ბიჭო ვერ უთხარი გვყავს–თქო?
- თქვა დედამ.
- რა, ვიცოდი, დედა, – მხრები ავიჩეჩე მე.

დედამ ჩაის დასხმა განაგრძო, მერე საწოლი ოთახისკენ მიიხედა და ჩემს დას უთხრა:

— მიდი, მარინე, მამ გააღვიძე, უკვე დროა.

მარინე საწოლზე ჩამოუჯდა მამას და მელოტ თავზე კოცნით გააღვიძა.

ლევანმა სახელდახელოდ ისაუზმა, თავისი დიდი ჩანთა აიღო ხელში და სწრაფი ნაბიჯით დაეშვა სამსახურის გზაზე. ნათელა აუჩქარებლად შეუდგა ჭურჭლის ალაგებას; მოგავა, მერე ნაგავი ეზოში ჩაიტანა. შუადღისთვის თვითონაც გამოეწყო ბაზარში წასასვლელად.

სახლი დაცარიელდა:

დიასახლისის სურნელოვანმა მურაბებმა ყნოსვა გაუღიზიანა ვირთაგვას, რომელიც უკვე სამი წელია ცხოვრობდა იატაკქვეშ. მან შეშინებულმა გამოყო თავი. რაღაც მოეჩვენა: ისევ დაიმალა. მეორედ უფრო ხანგრძლივად იყურებოდა: მესამე ცდაზე სულ გამოვიდა სოროდან. ცოტა ხანი გაჩერდა: სიჩუმემ სულ გაათამამა; ნელი ცუნცულით წავიდა საჭმლის კარადისაკენ. ნაჩვევი გზით შემოუარა და წინა ღამეს გამოხრული ადგილიდან შევიდა: მურაბების სუნმა თავბრუ დაახვია. ბევრი უტრიალა ქილებს, ყველა თეფში დასუნა; საიდუმლო ასასვლელით მეორე სართულში დაწყობილ ჩაის ჭურჭელსაც კი მიაღწია: უშედეგოდ: თადარიგიან დიასახლისს ყველაფერი დაემალა. ერთხანს მოიწყინა, შემდეგ ტუჩები ააცმაცუნა. უხმოდ დაეშვა ქვევით, აქ პატარა ქილაზე აძვრა, რომელსაც ქიმიური ფანქრით გაკრული ხელით ეწერა: "კ ა კ ა ლ ი" და ზედ გადაკრულ სქელ ქაღალდს დაუწყო ღრღნა. სიჩუმემ სულ გაათამამა. მთელი საათის მუშაობის შემდეგ დაეწაფა სასურველ ტკბილეულს. ისე გაერთო მურაბის ჭამაში, რომ დიასახლისის მოსვლა ვერც კი გაიგო.

სახლში შემოსული დაღლილი ნათელა მძიმედ დაეშვა სკამზე. ერთხანს ასე იჯდა, მერე წყალი დალია და ნაყიდი ხილის ჩასაწყობად ვაზას დაუწყო ძებნა: ჭრიალით გამოაღო კარადის კარი:

შეშინებულმა ვირთაგვამ სწრაფად მიატოვა ქილა და სანამ დიასახლისი შეყვირებას მოასწრებდა, მიიმალა. ნათელამ ნახევრად შეჭმული მურაბა მაგიდაზე დადო. «რა არის, რა, აკი ვუთხარი ლევანს, ეს ერთი ვირთაგვაღა დამრჩა-მეთქი, მაგრამ არ ედარდება.» კაკალი ალუმინის ქვაბში გადაცალა, მერე ნავთქურაზე დადგა წამოსადუღებლად: «თუ დღესაც არ მოიტანა, არ ვიცი პირდაპირ, რა იქნება, არ ვიცი, ღმერთმანი, ამას ხომ არ შევეჭმევინებით», _ ნერვიულობდა დიასახლისი, თან წამოდუღებულ მურაბას ურევდა.

ლევანი ექვსისთვის დაბრუნდა სამსახურიდან: ხელები დაიბანა, გაბუტულ ცოლს უაზროდ შეხედა და მაგიდას მიუჯდა.

_ სადილი იგვიანებს, _ ლოყების ბერვით თქვა დიასახლისმა.

_ რატო? _ გამოაჯავრა ლევანმაც ლოყების ბერვით.

_ იმიტომ, რომ, იმიტომ, _ ნათელამ მურაბის ქილაზე გადასაფარებელი ამოხრული ქაღალდი დაანახვა, _ აი, რა ქნა ვირთაგვამ, ხომ გითხარი გუშინ, რაღა გუშინ, მთელი თვეა მაგაზე მაქვს ლაპარაკი, შენ კი ხაფანგი დღესაც არ მოიტანე.

ლევანი ღიმილით უსმენდა თავის ახალშერთულ ახალგაზრდა მეუღლეს, მერე მუხლზე დაისვა და კოცნა დაუწყო:

_ შენ ახლა სადილი მომიტანე, გენაცვალე, დღეს მთელი ღამე უნდა გავათენო, სასწრაფო სამუშაო მაქვს ჩასაბარებელი.

_ რომელი, ისა? _ იკითხა ნათელამ, თან სადილის მოსატანად გავიდა.

_ ჰო, ისა. ხომ გინდა ახალი ავეჯი, ჰოდა ოცი ათასის საქმეა.

ნათელამ წვენი დაუსხა, მერე თვითონაც მიუჯდა მაგიდას. ვნებით შეათვალიერა მეუღლის ხუჭუჭა თმა. ახლა მეორე გადაუღო სიყვარულით. ლევანი იჯდა: ერთ წერტილს უყურებდა ჭამის დროს; როცა დაამთავრა სადილი, ისევ აკოცა მეუღლეს. ბოლოს წამოდგა და საწოლი ოთახისკენ წავიდა.

_ ლევან, _ ისევ გაბუტვით დაიწყო ნათელამ,

_ რა, ჩემო კარგო. _ გაუღიმა ქმარმა.

_ ვირთაგვას რა ვუყოთ?

_ ხო, ხო, ხო, _ გადაიხარხარა კაცმა, _ ეგ მე მომანდე, ჩემს გაღვიძებამდე კი კაკლის მთლიანი გული მოშუშე. მართლა: ზუსტად თერთმეტზე გამაღვიძე, მთელი ღამის სამუშაო მაქვს.

ცოლმა ქმარი ღამის თორმეტის ნახევარზე გააღვიძა, მერე ხელში მოშუშული კაკლის გული მისცა და გადაკოცნის შემდეგ მის ნაწოლ ლოგინში ჩაწვა თვალებმილულული.

ლევანმა მისთვის გაშლილი ვახშამი სწრაფად მოასუფთავა, მერე მოშუშული კაკლის გული თავისი სამუშაო ოთახის შუაში დადო და მაგიდას მიუჯდა. გვერდზე ძველი ფეხსაცმელები ეწყო. მალე მთლიანად ჩაეფლო თავის სამუშაოში.

სოროს კიდესთან მჯდარი ვირთაგვა დიდხანს ინარჩუნებდა სიფრთხილეს; ბოლოს მოშუშულმა კაკალმა ყნოსვა გაუღიზიანა. წონასწორობა დაკარგა. ნელა გამოცუნცულდა, მაგრამ ანთებულ სინათლეზე ლევანის დანახვამ ცოტა არ იყოს შეაშფოთა. ერთხანს, სოროდან გამოსული, წიგნების თაროს ქვეშ იმალებოდა. მოშივდა. ოთახის შუაში დადებული მოშუშული კაკალი კი სულ ახლოს იყო მასთან. თათები მოისვა ცმაცუნა ულვაშებზე; არაფერმა უშველა. ცდუნებას ვეღარ გაუძლო. ფრთხილად გამოცუნცულდა სინათლეზე, მაგრამ კაცის აწეული თავი შენიშნა და ისევ მიიმალა. ლევანმაც შეამჩნია ვირთაგვა: ძველი ფეხსაცმელი ხელში აიღო, გაირინდა:

ისევ გამოყო ვირთაგვამ თავი. კაცი არ ინძრეოდა; ამან გაათამამა: სწრაფად გადასერა ოთახი, ჩასჭიდა კაკლის გულს კბილები და მობრუნდა. სწორედ ამ დროს მოუქნია ლევანმა ფეხსაცმელი: ვირთაგვას უხმოდ ამოხდა სული: კაკალი თაროს ქვეშ შეგორდა.

_ რა იყო, ლევან? _ იკითხა ხმაურისგან ნახევრად გამოღვიძებულმა ცოლმა.

_ არაფერი, რაც შენ გინდოდა. _ ლევანმა ვირთაგვა ნაგვის ვედროში ჩააგდო, ხელები დაიბანა, შემდეგ საათს დახედა. თენდებოდა. მძინარე მეუღლის საწოლთან მივიდა, შუბლზე აკოცა, მერე ტანზე გაიხადა და საბანში შეუწვა.

პირველმა ნათელამ გაიღვიძა. ქმარს თმაში შეუყო ხელი: დიდხანს აჯანჯღარა. კაცმა გაიღვიძა, მერე პირდაპირ საათს შეხედა და წამოხტა.

სანამ ლევანი პირს იბანდა, ნათელამ საუზმე გაუშალა: ოჯახის უფროსი სწრაფად შეუდგა ჭამას.

_ რა ქენი, ლევან? _ იკითხა ცოლმა.

_ დავამთავრე, ჩემო კარგო, დღეს გადავცემ.

_ ჰოო, კარგია; არა, ვირთაგვისა რა ქენი?

კაცმა გადაიხარხარა, მერე ნაგვის ვედროსკენ გაიხედა. ნათელამ შიგ ჩაიხედა, მეუღლისკენ გაქანდა და კოცნა დაუწყო.

ლევანმა პიჯაკი მოიცვა; მთელი ღამის ნამუშევარი ჩანთაში ჩააწყო. შესავალში თუ გასავალში ყელსახვევი გაისწორა; ამ დროს სამზარეულოდან ნათელაც გამოვიდა: ხელში ნაგვის ვედრო ეჭირა: ლევანმა ღიმილით დახედა ღამით მოკლულ ვირთაგვას, მერე ორივენი დაეშვნენ კიბეზე. ლევანმა სწრაფი ნაბიჯებით სამსახურისაკენ გასწია, ნათელამ კი ეზოში მდგარ სანაგვე ყუთს მიაშურა.

_ დილა მშვიდობისა, ქალო, _ ნათელამ ხელი დაუქნია მეზობელს, მერე ვედრო დააქანა.

_ რა არის?

_ ვირთაგვა.

_ ?

_ ლევანმა მოკლა გუშინ.

_ შენ რო ქმარი გყავს, ტყუილია, ჩემს ვანოს კი არ ჰგავს.

_ აბა, აბა, _ გადაიკისკისა ნათელამ.

წელი 1956. ნოემბრის 7.

ერთგული

პაპა როსტომს თავის კართან შეუღონდა გული; მეზობლებმა საყვარელი მოხუცი ძლივს აიყვანეს კიბეზე. ცოტა ხნის შემდეგ მომჯობინდა ავადმყოფი და თავის ქალს ერთი ჭიქა საფერავი მოსთხოვა სისხლის მოსამატებლად.

დალია.

კიდევ მოსთხოვა.

დალია.

კიდევ მოსთხოვა.

_ არ ვარგა, მამა, ამდენი, _ უთხრა ქალმა.

_ როგორ არ ვარგა, მოხუცი ხომ არ გგონივარ, აფსუს. _ გაცხარდა როსტომი.

თვითონ აიღო ბოთლი და სმა დაიწყო. «აფსუს», _ ფიქრობდა, _ რა ღვინო მისვამს! ათ ბოთლამდე არ მიჭირდა ხოლმე». საუცხოო ღვინოს წურავდა სახლში. მთელი ზამთარი ჰყოფნიდა. მართლაც ბევრსა სვამდა და ცუდად არასოდეს გამხდარა. თავს როგორ შეირცხვენდა!

ერთხელ მისი ყმაწვილკაცობის ამხანაგი გახდა ცუდად. მან სამუდამოდ შეაჩვენა. დიდხანს არ სცემდა ხმას. «კაცს თუ შნო არა აქვს, არ უნდა დალიოს», _ ამბობდა ის, _ თავს როგორ შევირცხვენ, მგონი, შუბლში მივიხლი ან სხვა ქალაქში გადავალ, ხალხმა რო მაგისთანა საქმეში მნახოს». _ ამბობდა მაშინ და მის მერეც.

როსტომმა ჭაღარა წვერზე ხელი გადაისვა.

«ჩიტო, გვრიტო, მარგალიტო!»

გადაჰკრა.

«ბოშო, ჩარ».

გადაჰკრა.

«ჩარ, ჩარ, ჩარი, რამა».

გადაჰკრა.

უცებ რაღაცა სისუსტე იგრძნო, თითქოს გულიც შეუღონდა. ფერი დაკარგა. მისმა ქალმა მეზობლებს დაუძახა.

მოხუცს ღებინება დაეწყო.

მეზობლის ქალმა შუბლი დაუჭირა. ვიღაცა ტაშტზე გავარდა.

ჩქარა ისევ მომჯობინდა.

ოთახში მხოლოდ მასავით მოხუცი ნათესავიღა იჯდა და თავს აკანტურებდა.

_ სიმონ.

_ ჰო.

_ დაგველია თითო.

_ რას ამბობ!

_ ჰო, შე კაცო.

როსტომმა მოსვრილი წვერები ცხვირსახოცით მოიწმინდა. უაზროდ გაიღიმა. ისევ გაიღიმა და ცხვირსახოცი ჯიბეში ჩაიდო.

_ რა მოგივიდა წელან, არ გახსოვს? _ თქვა სიმონმა.

როსტომს ახსოვდა, მაგრამ რატომღაც არა სწყინდა.

_ შე კაცო, დავლიოთ. _ აუწია ხმას.

_ აღარაა ღვინო. _ ცივად უთხრა სიმონმა.

როსტომს არც ეს სწყენია. ფეხსაცმელები გაიძრო და შვილის მიერ გასწორებულ საწოლში შეწვა.

ყიჟინასა და ტაშის გრიალში გამოვიდნენ ცხენები მოედანზე. წმინდა სისხლის ულაყზე ჩია კაცი იყო წამოსკუპული. დიდი, წითელი კეპის ქვევიდან აცეცებდა თვალებს. ორ გამყოლს აქეთიქიდან ჩაევლო აღვირისათვის ხელი, მაინცა სცემდა ტორებს სირბილის ჟინზე მოსული. ულაყი პირველი დადგა. გვერდზე სხვა წმინდა სისხლის ჯიშსაშენის ცხენები მოუყენეს გამყოლებმა. უზარმაზარ ულაყებზე ძლივს მოჩანდნენ პატარა ტანის ჟოკეები.

_ ყურადღება! _ დაიწყო დიქტორმა, ხმაური შეწყდა, მხოლოდ ცხენები ტოკავდნენ ადგილზე, მერე შუაში მდგარი «დარბაისელი» გამოვიდა წინ, პატრონმა ძლივს მოაბრუნა უკან.

_ ყურადღება! იწყება დოღი წმინდა სისხლის ჯიშსაშენის ცხენებისათვის ათ კილომეტრზე.

რომელიღაცამ დაიხვიხვინა; გამყოლებმა ძლივს გააკავეს ცხენები. ტოკავდნენ. მხოლოდ თავიდან მეორე იდგა წყნარად, დიდ თვალებს არ აცეცებდა, მას გრძელი, ჩამოშვებული ფაფარი ჰქონდა და ზურგზე შუახანსგადასული, საკმაოდ მოსული კაცი ეჯდა.

_ პირველი ცხენი, _ განაგრძობდა დიქტორი, _ სახელად «გიტარა», არის ოთხი წლის, მეორე ცხენი, საქართველოსა და ამიერკავკასიის რამდენიმეგზის ჩემპიონი _ «ერთგული», უკვე მეთერთმეტე წელშია.

ხალხი ახმაურდა, დიქტორმა სწრაფად მოათავა ექვსივე ცხენის ბიოგრაფიების ჩამოთვლა და მთავარ მსაჯს ანიშნა. გამყოლებმა მოედანი დატოვეს. ნიშანზე ულაყები ნელა დაიძრნენ ადგილიდან. ტორტმანით უახლოვდებოდნენ დოღის დაწყების ადგილს. ზედ ხაზთან დაიქნია მსაჯმა დროშა და ცხენები ადგილს მოსწყდნენ. გაისმა ღრიალი, ტაში, ყიჟინა. ხალხი ფეხზე წამოვარდა.

დიქტორი ალაპარაკდა:

_ პირველი მიდის «სალამურა», მეორე «დარბაისელი», მესამე «გიტარა», მეოთხე «ერთგული».

ხალხი უსტვენდა.

ერთგული სამჯერ ახსენა დიქტორმა.

თერთმეტი წლის ულაყი მეოთხე წრეზე ყველას წინ მოექცა.

ხალხი წამოცვივდა.

დიქტორი აცხადებდა:

_ ჯერ კიდევ თერთმეტი წრე დარჩა, წინ მიდის «ერთგული».

«ერთგული» ბოლო ძალებს იკრებდა. მირბოდა ოთხით. იყო ყველაზე წინ და თავისი პატრონი, მისი წყალობით ჩემპიონი თუ ოსტატი, მიჰყავდა ზურგით.

ექვსი წრე გაიარეს.

ერთგული ისევ წინ იყო.

გახელდა.

მის მიახლოებას ტაშით ხვდებოდნენ, ზოგი ქუდს ისროდა მაღლა.

სადღაც უკან ისმოდა სტვენა, სიცილი. უკან დარჩენილი «სალამურა», სტვენით გაღიზიანებული, ცდილობდა წინ გავარდნას, მაგრამ მხედარს მაგრად ეჭირა ლაგამი.

«ერთგულმა» საკმაო მანძილზე ისხლიტა სხვები, ახლა იგი სისწრაფეს ვეღარ უმატებდა. კიდევ ორი წრე შემოირბინა ასე. დაიღალა. სცადა სისწრაფის მომატება. ამაოდ. ნელა უკლო სირბილს. ანთებული თვალები მიუქრა.

«დარბაისელი» ჯერ წამოეწია, მერე გაუსწრო.

_ ფანდია!

_ ჯერ გაუშვებს, მერე გაუსწრებს!

_ აბა რა.

_ მა რა.

იძახდა ხალხი.

ახლა «გიტარამაც» გაუსწრო «ერთგულს».

მათრახი აკადრეს.

მან უკანასკნელი ძალა მოიკრიბა. ისხლიტა «დარბაისელი» და თავით გაუსწორდა პირველს. დოღის ბოლომდე ოთხი წრეღა რჩებოდა.

_ ერთგული!!!

_ ვაშა!

_ უჰ, შენი ჭირიმე.

_ მიდი.

_ ნიძლავი მაგისია.

_ როგორც ყოველთვის.

_ აბა რა.

_ მა რა.

იძახდა ხალხი.

ულაყმა იგრძნო ქება, მაგრამ პირველად თავის სიცოცხლეში არ ესიამოვნა. ძველებურად აღარ გახარებია. ისევ დაიწყო ჩამორჩენა.

დოღი დაიძაბა.

ცხენები დაიჭიმნენ.

«სალამურა» ნელა წამოეწია სხვებს.

ახლა ცხენები ერთად გარბოდნენ. შეჯიბრების ბოლომდე ორი წრეღა რჩებოდა. «ერთგულს» კიდევ ორმა გაუსწრო, მერე კიდევ ერთმა.

ისევ აკადრეს მათრახი.

ახლა დარტყმა აღარ ეწყინა.

აღარც გამხნევებამ იმოქმედა.

ახლა მხოლოდ უძალოდ ხტებოდა ჰაერში. სხვებმა ბოლო წრეზე დიდი მანძილით მოიტოვეს უკან ყოფილი ჩემპიონი.

ვიღაცამ დაუსტვინა კიდეც.

მას სხვები აჰყვნენ.

ახლა აღარც ეს სწყინდა ჩამორჩენილს. ნელი ნახტომებით უახლოვდებოდა ბოლოს, სადაც მისმა მოწინააღმდეგეებმა მთელი ათი-თორმეტი წამით ადრე გაირბინეს.

_ «სალამურამ».

_ ვინ?

_ «სალამურამ».

_ ხო გითხარი.

_ ხო ვამბობდი.

_ ეტყობოდა.

_ აბა, რა.

_ მა, რა.

ყველას «სალამურას» სახელი ეკერა პირზე.

_ რამდენი წლისაა? _ იკითხა ულვაშა ძიამ.

_ სამის მგონი, _ უპასუხა მოწაფის ფორმაში გამოწყობილმა ბიჭმა და გამარჯვებულისაკენ გაიქცა.

«ერთგულმა» გადალახა ბოლო ხაზი, მერე მწვანე მინდორზე გადავიდა. უნდოდა კიდევ იქით წასვლა, მაგრამ ლაგამმა არ გაუშვა. ერთხანს ასე იდგა, შემდეგ ვიღაც ბიჭმა მოჰკიდა ხელი მის აღვირს და გაატარა.

მოშორებით, სხვა ცხენების გარშემო, ხალხი ხმაურობდა.

«ერთგულს» სიამოვნებდა, რომ მის ახლოს არავინ იყო.

თერთმეტი წლის ულაყმა ცალი ყური მიაბრუნა, თან გახუნებულ ველს გახედა.

ბუნდოვნად იგრძნო, რომ ოდესღაც, როცა ხალხს არ იცნობდა, იქ იზრდებოდა და ძალიან, ძალიან მოუნდა დაბრუნება. როცა მოიხედა, მის წინ პატრონი იდგა, ყალიონს აბოლებდა. მასთან ვიღაც გაბურძგნილი კაცი მივიდა, ლაშებში მოჰკიდა ხელი, მერე თავი გაიქნია.

_ მეთორმეტეშია, _ თქვა მან.

_ არა, მეთერთმეტეში, _ გაუსწორა პატრონმა.

_ სულ ერთია, _ თქვა ისევ მან.

«ერთგულმა» კისერი წაიგრძელა, უღონოდ ჩაიხვიხვინა და ისევ ველებს გაუსწორა თვალი. სიამოვნებდა, რომ ხმაური მისგან შორს იყო, რომ იდგა მარტო, და რომ არავინ არ აწუხებდა.

გაბურძგნილმა კაცმა ისევ ჩაავლო აღვირში ხელი.

ახლა აღარც ეს სწყინდა ერთ დროს ერთგულ «ერთგულს».

წელი 1956. ნოემბრის 7.

<u>პ ი რ ვ ე ლ ა დ ტ რ ა მ ა ლ ე ბ შ ი</u>

დღიურიდან:

წ. 1956.

თებერვლის 20.

წელს უკვე მეოთხედ ვიყავი რუსეთში.
მატარებელი მიჰქროდა დათოვლილ ტრამალზე.
ციოდა.
ყინავდა.
სადგურებზე ცხვირს ვერა ვყოფდით გარეთ.
დილიდან ღამემდე ვსვამდით ჩაის და ვუკრავდით გიტარაზე. გოგოები გვიტრიალებდნე;
ჩვენ თავს ვიჭერდით. მერე მაინც მოგვისხდნე გვერდით. შუაში ჩავისვით. «Оружьем на солнце сверкая», დაიწყო გიგიმ, «улыбнися, ეგ ღიმილი მოგიხდება,” — გამოსტაცა რეზომ. გიტარა არ ჩერდებოდა.
დგ—დგ, დგ—დგ — იძახდნენ ვაგონის თვლები.
პაპიროსი გავაბოლე. ანთებულ ასანთს სული შევუბერე. არ ჩაქრა.
— აბა, თუ ჩააქრობთ?! — გავუღიმე ჩემ გვერდით მჯდარ ლამაზ გოგონას. მან შეუბერა:
ჩაქრა.
—ახლა მაკოცეთ. — ვთქვი მე.
— რატომ? — იკითხა იმან.
— ასეთია წესი: ვინც ასანთს აქრობს, უნდა აკოცოს ამნთებს, — ვთქვი მე.
მერე ისევ მოვუკიდე ასანთს. გოგონამ ისევ ჩააქრო და ამაყად მოიღერა ყელი.
დავწვდი.
ცალი ხელი წელზე მოვხვიე, მეორეთი თავი გადავუწიე და მის ტუჩებს დავაძეხი. გაისმა ტაში, სიცილი, რუს გოგონებს ხარხარისაგან ცრემლები სდიოდათ.

«Эх яблочко, куда ты катишься,
Ко мне в рот попайдешь, да не воротишься» ,

— დაიწყო რუსის შუახნის ქალმა და გიგის გიტარა გამოსტაცა. ჩემი ჩაკოცნილი მეზობელი ცოტა გაიბუტა, მერე გაიღიმა და სიმღერას აჰყვა.

მატარებელი ნელა შემოვიდა ბაქანზე, დაიკივლა და გაჩერდა.

ვაჟა ჯანდიერი ცოტა შეაკრთო ორთქლმავლის კივილმა, მერე ზურგჩანთა მოიკიდა. ვაგონის კიბეს აუარებელი ხალხი მიაწყდა. ხმაჩახლეჩილი გამცილებელი ძლივს აუდიოდა მგზავრებს. ვიღაცები ფანჯრიდან აწოდებდნენ ტვირთს შიგ შესულებს.

უკვე მეორედ ჩამოჰკრეს ზარს.

ხმაურმა იმატა.

ბაქანზე სანადირო თოფითა და ძაღლით შემოვიდა მაღალ ჩექმებში გამოწყობილი მონადირე.

ვაჟა ნელა მიუახლოვდა კიბეს.

ჩაჰმოკრეს მესამე ზარიც.

სასტვენი.

ორთქლმავლის კივილი.
შემადგენლობა ზლაზვნით დაიძრა.
ვაჟამ ორიოდე ნაბიჯი მისდია, მერე მგზავრებით სავსე კიბეს შეახტა. ვაგონში მძიმე ჰაერი იდგა. ძლივს მიიკვლევდა გზას.

_ ქართველია, _ თქვა ვიღაც ცოლის ქმარმა.

_ საიდან არის? _ იკითხა ცხვირაპრეხილმა რუსის დედაკაცმა.

_ ქართველია, ვერა ყნოსავ ქართველს, _ ბუზღუნით თქვა ქმარმა და ფანჯარაში გაიხედა.
საღამოვდებოდა.
როგორც იყო, ვაჟამ მოძებნა თავისუფალი ადგილი, ზურგჩანთა დადო და ზედ დააჯდა. აქედან მოჩანდა ტრამალი. დგ_დგ, დგ_დგ, _ იძახდა მატარებელი. გადამხმარი ველი კი არ ინძრეოდა. სადღაც შორს შეჯგუფული მზის სხივები ლიცლიცებდნენ, მერე თითოეული გრძელდებოდა. რამდენიმე ბოლო ვაგონის ჭერს ანათებდა. ჯერ ყველაფერს ცეცხლი ეკიდა, მერე ნელა დაიწყო ქრობა და შეუმჩნევლად გარუხდა. ვაგონში სიჩუმე არ ჩამოვარდნილა.

ვაჟა იჯდა და ჩამქრალ ტრამალს გასცქეროდა ბორბლების ერთფეროვან რიტმში ჩავარდნილი. მერე მის სმენაში შეიჭრა მეორე თაროდან მომავალი კისკისი. ვაჟი უცებ დაიძაბა.
ტრამალი მიქრა.
ღამდებოდა.
დაანთეს სინათლეები.
კისკისმა იმატა:
მთელი სხეული აუფორიაქდა ვაჟს, ნელა წამოდგა; წყნარად მიიხედა უკან. მეორე თაროზე შემომჯდარმა გოგოებმა სწრაფად შეატრიალეს სახეები, მერე ერთმა დაიწყო წვრილი, გამყივანი ხმით:

«Эх яблочко, куда ты катишься,
ко мне в рот попайдешь, да не воротишься».

პირველს სხვები აჰყვნენ. ვაჟას გაეღიმა. გოგოები მალულად ჭვრეტდნენ მის ხუჭუჭა თმას და მათთვის უჩვეულო კეხიან ცხვირს. ქვედა თაროზე ადგილი გაათავისუფლა ცხვირჩაწითლებულმა, წვერიანმა მუჟიკმა, საჯდომს ქვევიდან დიდი, რაღაცით გატენილი ჭუჭყიანი ტომარა გამოათრია. ბუზღუნით გააპო ხალხი.

_ დაბრძანდით. _ ღიმილით უთხრა ვაჟას განთავისუფლებულ ადგილას დარჩენილმა სასიამოვნო სახის გოგონამ.

ჯანდიერს გაეღიმა. ზურგჩანთა თაროს ქვეშ შეაგდო და ჩამოჯდა. ვიწრო ადგილას ვერ გაიშალა. გოგონას მხარი ვაჟის მკერდს ეხებოდა. ვაჟას ოდნავ გააჟრჟოლა, მერე ესიამოვნა ქალის ბარძაყებიდან გადმოსული სითბო.

_ ცხელა. _ თქვა ქალმა.

_ ძალიან ცხელა. _ თქვა ვაჟმა.

_ ფანჯარა მაინც გააღონ.

_ კარგი იქნება.

ზედა თაროზე მჯდარი გოგონები ორაზროვნად იხედებოდნენ. ისმოდა ხითხითი. სინათლემ იკლო; ტრამალი მოიღუშა; მოჭედილ ცაზე მთვარე არსადა ჩანდა.
ვიღაცამ სცადა სიმღერის განახლება:

«Мой папа на охоте застрелил аиста,
планомерное развитие сельского хозяйства».

«Планомерное развитие», _ გაიმეორეს გოგოებმა, მერე სიმღერა მიწყდა. მესამე თაროდან ფშვინვა მოისმა. კიდევ უფრო ჩამოცხა ვაგონში.

_ თქვენ თბილისიდანა ხართ ალბათ, არა? _ დაბალი ხმით დაინტერესდა გოგონა.

_ მე? დიახ.

_ მე მინწყლებში ჩავდივარ, იქიდან ჩემი სოფელი სულ ათ კილომეტრზეა, უკვე მესამე წელია, ზაფხულში ჩავდივარ ხოლმე მხოლოდ, ორჯონიკიძეში ვსწავლობ, ფარმაცევტულზე.

ვაჟა ნაძალადევი ღიმილით უსმენდა, მერე თვითონაც მოუნდა ლაპარაკი:

_ მეც მესამეზე ვარ, ოღონდ უნივერსიტეტში. ახლა მთაში მივდივარ, მთამსვლელი ვარ, _ თქვა მან და გაჩერდა.

ხვრინვა გახშირდა. საჯდომებს შუა გამცილებელმა ჩამოიარა, რამდენიმე მგზავრი გასასვლელისკენ გავიდა. ტრამალებში ელშუქი გამოჩნდა. მატარებელმა სვლას უკლო და გაჩერდა. ვიღაცებს გაეღვიძათ.

_ რა სადგურია? _ იკითხა ერთმა.

_ არ ვიცი. _ უპასუხა მეორემ.

_ მგონი ბესლანია. _ ჩაერია მესამე.

მატარებელი შეირყა, ნელა დაიძრა; მალე მხოლოდ ბორბლების რიტმი და ხვრინვა ისმოდა. ვაგონში ჯდომა აუტანელი გახდა.

_ ხომ არ გამოხვალთ ტამბურში? _ ვაჟის სახე ქალის თმას შეეხო.

გოგონამ ადგილი მოათვალიერა, მერე ჩანთას ხელი დაავლო და ორივენი გავიდნენ. ვაჟამ ვაგონის კარი გამოაღო: ტრამალებიდან უცებ შემოვარდა ღამის სურნელი:

დგ_დგ, დგ_დგ, _ იძახდნენ ბორბლები, ძველი ხმაური უკან რჩებოდა, წინიდან ახალი მოდიოდა:

დგ_დგ, დგ_დგ.

გოგონა სახელურს ჩაეჭიდა, კიბეზე ჩამოჯდა. ვაჟმა უხმოდ მიბაძა. ისევ შეხვდნენ მათი მხრები ერთმანეთს. ისევ იგრძნო ქალის ბარძაყების სითბო. ნელა დაადო ხელი მის მხარს. შემდეგ ქვევით ჩამოიტანა. გათამამდა; ახლა წელზე მოხვია და მიიკრა; მიჰყვა. ერთხანს ასე ისხდნენ.

დგ_დგ, დგ_დგ, _ იძახდნენ თვლები. მერე შორს, ძალიან შორს ტრამალი ოდნავ გახუნდა. ვაჟამ ცას ახედა: ვარსკვლავების ნახევარიღა დარჩენილიყო. მაინც ბნელოდა.

_ ვგიჟდები მთებზე. _ თქვა ქალმა.

_ მე ტრამალი მირჩევნია ახლა. _ თქვა ვაჟმა.

_ მე პირველად წელს ვნახე მთები, ყაზბეგში. _ გოგონა ოდნავ შეტრიალდა; ახლა იგი სახეში უყურებდა ვაჟს.

_ მეც პირველადა ვარ აქ.

_ რუსეთში საერთოდ?

_ დიახ.

ტრამალი კიდევ უფრო გახუნდა. ცაზე მხოლოდ რამდენიმე დიდი ვარსკლავი მოჩანდა. ნიავმა მოუბერა. ცოტა აცივდა.

_ შევიდეთ შიგნით. _ წამოდგა გოგონა.

_ კარგი, შევიდეთ. _ წამოდგა ვაჟიც.

მგზავრები იღვიძებდნენ. მალე მთელი ვაგონი აფუსფუსდა.

თენდებოდა.

ვაჟამ თვალები მოიფშვნიტა და ხელები დაჭიმა.

გათენდა.

დგ_დგ, დგ_დგ, _ იძახდნენ თვლები.

გოგონამ ბარგის ჩალაგება დაიწყო.

_ მალე იქნება მინწყლები. _ თქვა მან.

_ ალბათ, _ თქვა ვაჟამ და საწერი ამოიღო.

«ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი 24, ვაჟა ჯანდიერს», დაწერა ფურცელზე, რვეულიდან ამოხია: ქალმა ჩამოართვა; გადაიკითხა; გაუღიმა.

სულ გათენდა.

მატარებელმა სვლას უკლო. ახლა გოგონამ გამოართვა საწერი: «მინწყლები, სოფელი არხიპოვკა. გრაჩოვა ვალიას ან ქ.ორჯონიკიძე, ლენინის ქ. № 4, საერთო საცხოვრებელი. გრაჩოვა ვალიასათვის».

მატარებელმა სვლას უკლო, მერე მუხრუჭების ჭრიალით გაჩერდა. ვაჟამ ბაქანზე ჩააცილა ვალია. მალე მატარებელი დაიძრა; გოგონა ცხვირსახოცს უქნევდა, შემდეგ ვიღაცის დამახებაზე მიბრუნდა და ქერათმიან ვაჟს კისკისით, მაგრად ჩამოართვა ხელი. ვაჟა იდგა კიბეზე და ხედავდა: ქერათმიანმა ვაჟმა ფუთა აიღო, ვალიამ ხელკავი გაუკეთა. ისე წავიდნენ მანქანისაკენ.

მატარებელმა სვლას უმატა.

დგ_დგ, დგ_დგ, _ იძახდნენ თვლები.

ვაჟა მოიღუშა. «ალბათ, ნათესავია, ჰგავდა კიდეც», გაიფიქრა და ვაგონში შევიდა. გარეთ სტეპი აჭრელდა, შორს იფანტებოდნენ სხივები. ის დიდხანს იდგა ფანჯარასთან და ვერაფრით ვერ დაენახა ტრამალების ბოლო.

დაწყნარდა.

როცა თავისი ადგილი დაიკავა, ისევ იგრძნო ქალის ბარძაყების სითბო. გაეღიმასავით, ნელა მიაბრუნა თავი: წაბლისფერთმიანი შუბლგახსნილი სახით კითხულობდა ილფისა და პეტროვის «თორმეტ სკამს».

დგ_დგ, დგ_დგ, _ იძახდნენ ვაგონის თვლები.

წელი 1956. ნოემბრის 9.

ე დ ი

გუშინ, დღის ოთხ საათზე მატარებელში მძიმედ დაჭრეს ჩემი ბიძაშვილი ედი რჩეულიშვილი. სასუნთქი მილი ჰქონდა გადაჭრილი. საავადმყოფოში საბუთები უნახეს.

_ რჩეულიშვილი ყოფილა. _ თქვა რეგისტრატორმა.

_ მძიმე შემთხვევაა. _ დაამატა მორიგე ექიმმა.

_ საეჭვოა.

ოპერაციის მერე გონზე მოვიდა ედი.

_ ვინა ხარ? _ შეეკითხა პროფესორი.

_ რჩეულიშვილი. _ ხრიალით თქვა და გონი დაკარგა.

_ რჩეულიშვილი? ნეტა რომელი. _ გაიფიქრეს ექიმებმა.

_ აა. _ თქვა ერთმა, მერე ტელეფონთან მივიდა და 09 აკრიფა: _ მომეცით რჩეულიშვილი ლეო, ორჯონიკიძეზე.
ნახევარ საათში მთელი ნათესაობა ავედით. ბიძებმა კონსილიუმი მოაწვევინეს.

დემნამ საჭე მარჯვნივ აიღო, მერე გაასწორა. «პობედა» სრიალით გავიდა ფართო ხიდზე და ვიწრო შუკაში ჩაუხვია.

_ ჩავიდეთ! _ თქვა მან. მანქანა ჩააქრო. ფანჯარასთან ათიოდე წლის, სიცივისგან გალურჯებული ბიჭი მოვარდა.

_ მე ვუყარაულებ რა, ძია, მე რა! _ დაიწყო.

_ შენ ვინა ხარ? _ წვრილი ხმით დაიყვირა მასზე ორი-სამი წლით უფროსმა ბიჭმა, რომელსაც ქუდზე ვარსკვლავი ეკეთა და მუჯლუგუნი ჰკრა პირველს.

_ მე რა, ძია, მე რა! _ იძახდა ის.

_ აი, შენ. _ ახლა გულში ჩაარტყა მეორემ.

დემნამ პაპიროსი გააბოლა, უკან მჯდარ ბიძას შესთავაზა, მერე ჩვენ თვალი ჩაგვიკრა და ნაძალადევად გაიღიმა.

_ ჩავიდეთ, ძია მიშა, აქ.

ნელა დაიწყეს ბიჭებმა ჩამოსვლა, ბოლოს უფროსიც გადმოვიდა.

_ თითო რაღაც შევჭამოთ. _ ისევ ნაძალადევი ღიმილითა თქვა დემნამ.

სარდაფში ციოდა. ჭუჭყიან სუფრებთან მჯდარ ხალხს ქუდები შუბლზე ჰქონდათ ჩამოფხატული. ვიღაცა მთვრალს მაგიდაზე თავი დაედო, რამდენიმეჯერ სცადა აწევა, მაგრამ ვერ შეძლო.

_ რა გაქვთ? _ იკითხა დემნამ.

_ ხარჩო, სოუსი, საუზმე,

_ სასმელი?

_ პირველი, ბატონო, მერვე, ბატონო, ოცდასამი და ხუთი.

_ ჩანახი მოიტათ.

_ ჩანახი არ გვაქვს.

_ ჩვენთვის იქნება. _ დემნამ მაგიდა ამოირჩია, ყველანი მიუსხდნენ. თვითონ ხელის დასაბანად გავიდა; საპირფარეშოში ციოდა, გატეხილი ფანჯრიდან ქარმა მოუბერა. დაიწყო ხელების ბანა, ცივმა წყალმა მაზუთი ვერ გადააცალა, ხელი ჩაიქნია, პირსახოცს დაუწყო ძებნა. კუთხეში რაღაც სველი ჩვარი ეკიდა. «მაგაზე გაწმენდილი ახლად დასაბანია», გაიფიქრა. ნელა წავიდა სუფრისკენ. ჩუმად შეუდგნენ საჭმლის ჭამას, მერე სამი ოცდასამი მოატანინეს. თითო ყველამ გადაჰკრა.

_ რად გინდოდათ? _ თქვა მიშამ, შემდეგ ღვინო დაისხა. ვაჟამ ხელიდან გამოსტაცა ბოთლი, დანარჩენი ჭიქები თვითონ აავსო. მოიტანეს საუზმე. ვაჟამ ლობიო მიაწოდა ოსიკოს.

_ ბავშვები ხო არა ვართ. _ უგემურად გამოაჩინა იმან კბილები.

_ ბავშვები რა შუაშია. _ თქვა ვაჟამ, ახლა დემნას მიაწოდა. დემნამ ლობიო გადაიღო. ერთხანს ჩუმად ისხდნენ, მარტო ჩანახის ძვლები ცვიოდა თითქმის უხმაუროდ ცარიელა თეფშზე. ოსიკომ ასანთს წიბო ჩამოამტვრია, გამოხრული კბილიდან ხორცის ნარჩენები გამოიწმინდა, მერე ჭიქა აიღო ხელში.

_ კარგად იყოს ედი. _ თქვა და ძირამდე დაცალა.

_ აბა, კარგად იყოს. _ დააყოლა დემნამ. მან ცოტა ჩატოვა ჭიქაში.

_ ხო, ვერ არის კარგი საქმე, რთული ამბავია. _ მიშამაც არ გამოცალა ბოლომდე.

ვაჟამ უხმოდ დაცალა.

_ მაინც რა არისო, რას ამბობენ? _ დაიწყო ოსიკომ.

_ სასუნთქი ძარღვიაო გადაჭრილი, ახლა ოქროს მილი ჩაუდგეს. _ მიშამ ჩანახი გვერდზე გადადგა, ლობიო გადმოიღო და განაგრძო. _ საქმე ასეა, თუ ორმოცდარვა საათი გაძლო, ოთხმოცდაათი პროცენტია იმედი.

_ ვა! _ თქვა ოსიკომ და ღვინის ჭიქების ავსება დაიწყო.

_ მაშ, მე ამაღამვე წავალ. _ თქვა დემნამ.

_ არა, _ მიშამ ალმაცერად გახედა დუქანს, _ არა, სამოცდათორმეტი საათი მაინც უნდა, რომ რამე გამოირკვეს.

დემნამ ჭიქა აიღო, ედის და თავისი დედის სადღეგრძელო დალია.

_ საწყალი ნატაშა, _ თქვა მიშამ.

_ აბა. _ ოსიკომ მხოლოდ ნახევარი დალია.

_ ჰო, ჯერ იყო და ძია ჟორჟიკა დაიღუპა. _ ვაჟამ გამოცალა.

დუქანში მთვრალები ჩამოვიდნენ, ერთი მიმტანთან მივიდა, ბევრი კოცნა; ახლა წალაპარაკდნენ, ზორბა მიმტანმა, რომელსაც ოდესღაც თეთრი წინსაფარი სქელ პალტოზე ეცვა, მთვრალს ხელი დაავლო. ძლივს გაიყვანა გარეთ. ცოტა ხნის შემდეგ ისევ ჩამოვიდა გინებით, ახლა ხელში დანა ეჭირა.

_ შენ როგორ დაგარტყა. _ უცებ აუჩუყდა გული და ბებუთი გადააგდო. მიმტანმა დახლიდარს ასი გრამი დაასხმევინა, მერე მთვრალს გაუწოდა:

_ აჰა, დალიე და წადი.

იმან გადაჰკრა, ქანაობით აუყვა კიბეს.

თითოც დალიეს.

_ ნეტა არ დაიჭირონ. _ თქვა ოსიკომ.

_ რას ამბობ? _ მიშამ საყელო ჩამოუშვა.

_ ედის დამჭრელს მე გარეთ გავუსწორდები. _ გაცხარდა ოსიკო, მერე თვითონ დაასხა.

_ ედის გაუმარჯოს. _ თქვა მან. ყველამ უხმოდ დალია, მან კი დაუცლელი დადგა; დემნამ ალმაცერად გადახედა, უხალისოდ ჩაუკრა თვალი.

_ ამას ასი გრამი! _ ხმამაღლა გასძახა მან.

_ და ლიმონათი. _ დაამატა ოსიკომ.

კიდევ გადაჰკრეს. ახლა დემნამაც მოიხადა ქუდი.

_ ედი კარგად იყოს და რასაც გინდა, მივცემ. _ თქვა მან.

კიბეზე აწითლებული ნუგზარი ჩამოვიდა.

_ ედი, _ დაიწყო მან.

_ ერთი ჭიქა დალიე. _ არ დააცალა სათქმელი და ღვინო მიაწოდა ოსიკომ.

ნუგზარმა გადაჰკრა.

_ ედი, _ დაიწყო ისევ.

ყველას თვალები ჰქონდა ამღვრეული.

_ რა ედი, _ ჯიუტად თქვა დემნამ და წამოდგა.

_ ასცხრამეტი მანეთი, _ მომტანმა წინათვე დაბარებული პაპიროსიც მოიტანა _ ასცხრამეტი სულ და ...

ყველამ ჯიბისკენ წაიღო ხელი, დემნამ თვითონ გადაუხადა ფული, მერე უხმოდ წამოდგნენ და კიბეს აუყვნენ. წინ გაწითლებული ნუგზარი მიდიოდა.

_ მე ვყარაულობდი, ძია. _ მოვარდა ვარსკვლავიანი.

_ მეც, _ მოვარდა პატარა.

დემნამ თვალები გადაუბრიალა, მერე ვარსკვლავიანს ექვსი მანეთი მისცა. მეორეს სახე მოებრიცა. ვაჟას შეეცოდა და მანეთი გაუწოდა.

წელი 1956. ნოემბრის 12.

მე ახლა ბედნიერი კაცი ვარ

ახლა მე ოცდახუთი წლისა ვარ, ჩემი გვარია _ ჯანდიერი, სახელი _ ვაჟა; მყავს ოთხი წლით უმცროსი ცოლი, რომელსაც კრავაის ვეძახი. დედაჩემი ქეთო ორმოცდახუთი წლისაა, ხოლო მამა ლეო ორმოცდარვისა. მართლა, ჩვენი ოჯახის ყველაზე პატივსაცემ წევრს, პატარა ვამეხს, სამი წელი შეუსრულდა. მთელი ოჯახი ვამტკიცებთ, რომ ბავშვს აქვს განსაკუთრებული ნიჭი ყველაფერში: აი, გაიცინა უფროსების ხუმრობაზე, ან ატირდა _ სულ ერთია _ ორივეში რაღაც დიდი გამოვლინებაა ტალანტის; ან თქვა, რომ დედა უფრო მიყვარს, ვიდრე მამა, ან პირიქით _ ორივე მაინც მის მომავალ ნიჭზე ლაპარაკობს. მართლაც მარჯვე ბავშვია, ჩემი შვილი რომ არის, იმიტომ არ ვამბობ. რაც გინდა თქვით, იცის ოთხი სამსტროფიანი ლექსი; მისი ძირითადი ლექსიკური ფონდია: «დედა», რითაც დედა ძალიან ამაყობს, «მამა ვაჟა», რითაც მე აღტაცებული ვარ, «ბებო ქეთო» და «პაპა ლევან», _ «ყველაზე ძალიან ჩვენ ვუყვარვართ და იმიტომ». ძირითადად უარები ემარჯვება: არ, ვერ, უ, ა და, ბოლოს, ااااა... საათიანი ღრიალი, იცინის უფრო იშვიათად _ ესეც უდავოდ მის ჭკუაზე მიგვითითებს.

როგორც მოგეხსენებათ, ვამეხის ბებო ქეთო მე დედად მეკუთვნის, ასეც ვეძახდი ენის ამოდგმიდან ოცდასამ წლამდე, ასევე ეძახდა დედამთილს ჩემი მეუღლე ქორწინებიდან მთელი ორი წელი, მაგრამ აი, აიდგა პატარამ ფეხი, ამოიდგა ენა და დედაჩემს, წარმოიდგინეთ, ბებო დაუძახა.

_ ბებოოო, ბებოოო, არ მინდااا, მინდااااა, ااა; ერთი სიტყვით, აგვიყოლია ბავშვმა. ახლა დედას ყველანი ბებოს ვეძახით, თვით ვამეხის ბაბუა ლევანიც კი.

მაგონდება ჩემი ბავშვობაც, უფრო სწორედ _ ვიგონებ ბებოს, ნამდვილი ჩემი ბებოს მონაყოლს მის შესახებ მეც «საოცარი ნიჭი» მქონია, მნახველები ამბობდნენ თურმე: «ამისგან ან ძალიან დიდი კაცი გამოვა, ან სულ არაფერიო».

კარგად მახსოვს, დედაჩემიც თავის დედამთილს ბებოს უძახდა;

_ ბებო საშა და ბებო საშა.

ბებო კი დადიოდა წელში მოხრილი, შავებში ჩაცმული. ტუჩები ოდნავ მოკუმული ჰქონდა ყოველთვის; იშვიათად იმართებოდა ხოლმე წელში, ამ დროს ის ყველაზე მაღალი ჩანდა. «საკრამენტო», დაგვტუქსავდა ხოლმე შვილიშვილებს, თავისივე თქმით, ამ სიტყვით ჯერ კიდევ თავიანთი ბებო უწყრებოდა მათ. ბებოს ჩემ გარდა კიდევ ცხრა შვილიშვილი ჰყავდა. დღესაც თითოეული ჩვენგანი დარწმუნებულია, რომ ის უფრო უყვარდა; არა მარტო შვილიშვილები არიან მის სიყვარულში დარწმუნებული, არამედ შვილებიც, რძლებიც და სხვა ადამიანებიც, რომლებსაც სულ ცოტა ხნით მაინც ჰქონიათ საქმე მასთან.

პაპა, ბებოს მეუღლე, ბუნდოვნად მახსოვს, როგორც ბებო ყვება, მაშინ, პაპას გარდაცვალების დროს, მე უკვე «დავაჟკაცებული» ვყოფილვარ და თავისუფლად შემძლებია ვირზე ჯდომა. პაპა თურმე ორი წელი სიღნაღში მუშაობდა, ჩვენც წელიწადში რამდენიმე თვეს ვატარებდით მასთან; იქვე შევისწავლე ვირებზე ჯირითი. მაშინდელი ჩემი ოცნება ყოფილა საკუთარი სახედრის ყოლა; როგორც

ეტყობა, მის მერე ძალიან არ გამოვიცვალე, იმ განსხვავებით, რომ ახლა საკუთარი მანქანა მინდა მყავდეს. მაგრამ ჩემს მიზნებს განხორციელება არ ეწერათ. ცხონებული პაპაჩემი სიღნაღში ნათხოვარ ვირზე მსვამდა, თან მეუბნებოდა: აქაური ვირი რა ვირია, შენ თელავში უნდა ნახო _ შავი, მაღალი, გულზე ვარსკვლავი ახატიათ, და იმას გიყიდიო. მე კარგად ვიხსომებდი მის დაპირებას. ახლა თელავში დავიწყებდი ტირილს, თხოვნას, ბუტიაობას, მაშინ პაპა სადმე მომიძებნიდა ჩოკინას და მპირდებოდა: აბა, ამაზე თავმოყვარე კაცი შეჯდება? ეს რა ვირია, აი, ნახავ, სიღნაღში ჩავალთ და ისეთ თეთრ ვირს გიყიდი, რომ ვარსკვლავებს ეთამაშებოდეს, თან გავაზე ჯვარი ეხატოსო. ახლაცა გვაქვს ოჯახში სურათი, რომელზედაც გამოუცდელი თვალი ვერაფერს დაინახავს, ბებოჩემი კი ირწმუნებოდა: ეს ის სახლია, რომელშიც ვცხოვრობდით, ესეც ქუჩაა, ხოლო შუაში შენა ხარო, ვირზე მჯდომარე.

ბუნდოვნად მახსოვს: ერთხელ თელავში დედას მუხლებს შუა ვყავდი მოქცეული და წვრილად ჩახვეულ თმას მივარცხნიდა. თვალებიდან ცრემლები მომდიოდა, ვბუზღუნებდი. აივანზე ნელა ამოვიდა ჩვენი ნათესავი ქალი, უხმოდ მიუჯდა მაგიდას, მერე რაღაცის მოყოლა დაიწყო. მამამ გაზეთის კითხვას თავი მიანება, დედამ სავარცხელი შემიტოვა თმაში და მიბრუნდა. მე სწრაფად დავეშვი კიბეზე, მაგრამ არავინ გამომეკიდა. ცოტა ხანი ვირბინე ეზოში, რატომღაც უცებ მომწყინდა, თან ვიწყინე ასეთი უყურადღებობა. დაუძახებლად ავედი აივანზე და სკამზე ავძვერი. დედა გაფითრებულიყო, მამას კი გაზეთი გვერდზე მიეგდო, შეშფოთებული სახით უსმენდა ნათესავს.

_ მაშ მართალია? _ შეეკითხა მამა.

_ ჰო, ლევან, ახლა გავიგე, _ უპასუხა სტუმარმა.

_ გაზეთში რო არაფერია?

_ ალბათ დღეს იქნება.

მეც ამაღელვა უფროსების უჩვეულო ქცევამ. ვიჯექი გარინდული. მერე დედამ მუხლებზე დამისვა და ვარცხნა დაამთავრა.

_ მაშ დაიწყო, რასაც ველოდით, _ დაარღვია სიჩუმე მამამ.

_ დაიწყო, დაიწყო, _ ნათესავმა თავზე მოიკიდა ხელი და კავკასიონს გახედა უაზროდ.

მე სულ დავიბენი, უცებ ამხანაგების ხმა მომესმა: _ ვაჟა! ვაჟა! ჩქარა, ჩქარა!

მე დამნაშავესავით შევხედე უფროსებს და ბიჭებს გამოვეხმაურე:

_ რა გინდათ?

_ ჩქარა, ომობანა ვითამაშოთ!

_ შენი ხმალი წამოიღე!

_ მშვილდ-ისარიც!

_ ფარიც!

_ რათა? ჯერ ხო საღამო არ არის? _ გამიკვირდა მე, საერთოდ, ომობანას საღამოობით ვთამაშობდით.

_ რას ამბობ, ჩქარა, ომია! ნამდვილი ომი!

აივანზე მურაზი ამოვარდა, უფროსების დანახვაზე ცოტა შეკრთა, მერე ხელი მტაცა:

_ ადე, ბიჭო, მამაჩემი ომში მიდის, ჩვენც წავიდეთ.

_ სად?

_ გერმანელები ომობენ.

დედაჩემმა მურაზს თავზე ხელი გადაუსვა და სახლში გაისტუმრა.

_ მურაზ, ბიჭო, მურაზ! _ ისმოდა მეზობელი ქალის ხმაც.

_ ხედავთ, მაგათაც გაუგიათ, რომ ომი დაიწყო, _ ნათესავმა სათვალე გაიკეთა და ისევ გახედა კავკასიონს.

_ ჰო, დიდი უბედურებაა, _ თქვა მამამ.

_ საშინელებაა, _ თავი გაიქნია დედამ.

ცოტა ხნის შემდეგ მამამ პიჯაკი ჩაიცვა, ჩანთა დაიჭირა, მერე ნათესავ ქალთან ერთად ქალაქის შუაგულისაკენ გასწია, მე კი სასწრაფოდ გამხადეს და შუადღის ძილი მისურვეს.

გადიოდა დრო.

იმ დღის შემდეგ აღარც მახსოვდა, რომ ოდესმე ომი არა ყოფილა. ყველგან, ყოველთვის ომზე ლაპარაკობდა ხალხი. ჩვენი საბრძოლო იარაღებიც გამოიცვალა. მურაზმა ტყვიამფრქვევი გააკეთა, ვასომ _ ქვემეხი, ნოდარმა _ თვითმფრინავი. ბაღის ბოლოში შტაბი გავაშენეთ. დიდი რაოდენობით დავამზადეთ ვარსკვლავები და სვასტიკები. ყოველდღე ვიყოფოდით ახლიდან «ჩვენებად» და «იმათებად».

იყო განუწყვეტელი ომი.

მამა ჯარში არ წაუყვანიათ, სამაგიეროდ ორივე ბიძა გაიწვიეს.

ბებიაჩემს გაუათკეცდა ჯაფა. თბილისიდან თელავში დაიძრა მთელი ნათესაობა. «საკრამენტო», _ ისმოდა ბებოს ხმა ყველგან, ხან რეცხავდა, ხან სადილს აკეთებდა, მიდიოდა საშოვარზე. ერთხელ დედა, ბებო და მე სოფელში წავედით, თან ტანსაცმელი წავიღეთ პურზე გადასაცვლელად. საღამოობით ბებო ათასნაირ ამბებს გვიყვებოდა, თან ჭურჭელს რეცხავდა.

მიდიოდა დრო.

მერე თბილისში ვიყავით. მე წითელა მჭირდა და დიდი სიცხით ვიწექი. რატომღაც ბებო ჩამოვიდა. თვალები ნამტირალევი ჰქონდა, მაგრამ არაფერს იმჩნევდა. ისევ მიყვებოდა ზღაპარებს. უჩვეულო რაღაცა ხდებოდა ჩვენსას. ხალხი ჩურჩულით დადიოდა, მამა აღარსადა ჩანდა. მესამე დღეს ქვითინის ხმა გავიგე. ბებო უხმოდ გავიდა იქითა ოთახში. მერე ვიგრძენი, რომ კიბეზე რაღაცა ჩამოიტანეს. ხალხით გაივსო ჩვენი სახლი; მე სიცხემ მომიმატა. მეორე დღეს ქუჩაც აივსო ხალხით.

ჩემს საწოლთან დეიდა იჯდა.

_ ქეთო. _ ჩუმი ხმით დაუძახა თავის დას.

_ რა, ნათელა?

_ მაინც ვაჩვენოთ ბავშვს.

_ რად უნდა, ქალო, სიცხე აქვს.

_ არა უჭირს რა, ვაჩვენოთ, გაიზრდება და ჩვენზე დარჩება ნაწყენი.

დედას თვალებზე ცრემლი მოადგა, მერე ხელი აიფარა და მეორე ოთახში გავიდა. მახსოვს, დეიდამ საბანში გამახვია.

_ ახლა შენ ბავშვი კი აღარა ხარ. _ ჩურჩულით მითხრა.

მე უაზროდ ვუყურებდი.

_ ვაჟა, პაპაშენი აღარ არის, დღეს ვასაფლავებთ, აგერ, იქ ასვენია.

მან ხელში აყვანილი გამიყვანა. კედლების გასწვრივ აუარებელი ხალხი იჯდა, ზოგიც შუა ოთახში იდგა. მე თვალები ამიჭრელდა, მერე ოთახის შუაში გავარჩიე პაპაჩემის ნაცნობი სახე, რომელიც უმოძრაოდ იწვა კუბოში. ჩემთან ბებო მოვიდა და სიცხისაგან გახურებულ ტუჩებში მაკოცა, მერე ისევ დამაწვინეს. იმ ღამეს სიცხემ კიდევ უფრო მომიმატა. მეორე დღეს სახლი დაცარიელდა. მხოლოდ ბებო იჯდა ჩემთან და ცრემლნარევი ხმით მიყვებოდა «ადიხანჯალას».

როცა მოვრჩი, დასუსტებული ძლივს გავედი იქითა ოთახში. მაგიდასთან სტუმრები ისხდნენ. ვიღაცა ძიამ მუხლებზე დამისვა და მკითხა: _ ბიჭო, გახსოვს პაპაშენი?

მე ძალით ჩამოვუცოცდი მუხლებიდან და ჩემი საწოლისაკენ გავიქეცი. თვალწინ მედგა ბევრი ხალხი, ხის კუბო და შიგ უმოძრაოდ მწოლიარე პაპის სახე. იქითა ოთახიდან კი ისმოდა პაპაჩემის სახელის ხსენება და ჩამოსხმული ღვინის რაკრაკი.

მიდიოდა დრო.

ომის წლები თითქმის სოფელში გავატარე. აქ ბავშვები ფრონტისათვის ვაგროვებდით ასკილს, თბილეულს და სკოლის დირექტორისათვის მორიგეობით ვმწყემსავდით მის ღორებს. ერთხელ მასწავლებელი პოლიტიკაში შეიჭრა, მაშინ გავიგეთ, რომ გერმანელები სტალინგრადთან რამდენიმე დღის წინ დამარცხებულან.

ომი გრძელდებოდა.

ომი როცა დამთავრდა, უკვე თბილისში ვიყავით.

გამარჯვების ხმები კუთხეში მომესმა, სადაც მეზობლის ფანჯრის ჩამტვრევისათვის დამაყენეს. გამარჯვებამ მეც მიხსნა, გახარებული გავვარდი ეზოში ბურთის სათამაშოდ. მეზობელმა გადამალული ბურთი გადმომიგდო, თან ნამცხვარზე დამპატიჟა და ნება მომცა, თუ ძალიან მომინდებოდა, გამარჯვების აღსანიშნავად კიდევ ორი ფანჯარა ჩამემტვრია, ოღონდ გვერდითი.

მიდიოდნენ წლები.

გაზაფხულზე ბებო კახეთში ბრუნდებოდა. ზაფხულში ჩვენც მივდიოდით, შემოდგომაზე ჯერ ხილს გვიგზავნიდა. მერე თვითონაც ჩამოდიოდა.

ბებოს ჩამოსვლა მთელი დღესასწაული იყო ხოლმე ჩვენთვის, მისი მოხუცი ძმისთვის და, საერთოდ, მთელი ნათესაობისთვის. მე უზომოდ ვამაყობდი, რომ ბებო ყოველთვის ჩვენთან ცხოვრობდა.

ერთხელ ქუჩაში ჩემი ბიძაშვილი ნელის ამხანაგ გოგონებთან ერთად მოვდიოდი გაწითლებული. უცებ დავინახე, რომ ბებო მიყურებდა და კიდევ უფრო გავწითლდი. როცა ოთახში შევედი, თავს დამნაშავესავით ვგრძნობდი.

_ «საკრამენტო»! _ დამიტატანა ბებომ და ღიმილით გადამისვა თავზე ხელი, მერე მომიყვა თავისი გათხოვების ამბავს; ძალიან უყვარდა თავის კიცხვა, ამბობდა: უშნო ვიყავი და მიკვირს, პაპაშენმა როგორ წამიყვანაო.

მიდიოდა დრო.

მიდიოდა ბებო კახეთში, ზაფხულში ჩვენც ჩავდიოდით, შემოდგომაზე გვიგზავნიდა ხილს თბილისში ჩამოსულებს, მერე თვითონაც ჩამოდიოდა.

ვცხოვრობდი ბედნიერად. მართალია, ხშირად ვიდექი კუთხეში, ბევრჯერ მხვდებოდა მასწავლებლისაგან კეფაში, ვიბუტებოდი, გარიცხვაზე იდგა ხოლმე ჩემი საკითხი, მაგრამ მაინც უზომოდ ბედნიერი ვიყავი. ვიცოდი, რომ მყავდა დედა, მამა და ბებო, რომლებიც, მიუხედავად ჩემი ბევრჯერ დატუქსვისა, დიდი გაჭირვების დროს ჩემს მხარეს დაიჭერდნენ.

ბებო უფროსი იყო ყველაზე _ რა თქმა უნდა, მერე დედა და მამა იყვნენ, ბოლოს მე. ასე ვცხოვრობდით ძალიან დიდხანს, თითქმის მთელი საუკუნე. ჩემ გარშემო არაფერი არ იცვლებოდა. როგორც წესი, კვირაში ორჯერ დედას იბარებდნენ სკოლაში, ორ კვირაში ერთხელ მამას, რადგან დედა არა შველოდა საქმეს, და მეოთხედის ბოლოს _ ბებოჩემის ძმა გიორგის, რომელიც ოდესღაც ჩვენი დირექტორის ლექტორი ყოფილა. ნელა შემოიპარა ჩვენს კლასში გოგოზე ლაპარაკი. ჯერ უფროსების სიყვარულზე იყო ჩურჩული, მერე მეზობელ სტუდენტებზე, და ბოლოს საკუთარ გოგოებზეც ავლაპარაკდით. რამდენიმე ბიჭი ჩვენი კლასიდან

შაბათ-კვირას ვიღაც გოგოებთან ერთად მიდიოდა კინოში, უმეტესობა კი ყოველდღე ქალთა სკოლასთან იყო დარჭობილი. მე არავინ მომწონდა მაშინ; სოფელში შევეჩვიე, ქალებთან ამხანაგობა ბიჭის საქმე არ არისო, და ჩემი მიუკარებლობით ძალიან ვამაყობდი. სამაგიეროდ, ძილის წინ ყველა ნაცნობ გოგოს ვათვალიერებდი გონებაში, ვფიქრობდი _ ვისზე შეიძლებოდა გაჩერება. ერთხელ დაბადების დღეზე დამპატიჟეს. სამი ჭიქა საკმარისი იყო, რომ კარგა შევმთვრალვიყავით, მერე დაიწყო ფლირტის თამაში. ვისხედით ბუხართან და ვწითლდებოდით. ვერცერთი ვერა ვბედავდით, გაგვეგზავნა ამოკითხული. თამაში ჩვენზე სამი წლით უფროსმა ბიჭმა დაიწყო, რომელსაც თავი, საერთოდ, დამოუკიდებლად ეჭირა. მის თამამ ქცევას გოგოებთან გულში ყველა შენატროდა. ნელ-ნელა ჩვენც გავთამამდით, თამაში უფრო ხალისიანი ხდებოდა. მე მაინც არა ვთამაშობდი. ღვინო სიცხეზე კიდევ უფრო მომეკიდა, მაშინ დავწვდი ერთ ფურცელს, დიდხანს ვათვალიერე, ბოლოს ღაჟოს დავადგი თვალი, ეწერა: «მე თქვენ უგონოდ მომწონხართ». ახლა საჭირო იყო მომეფიქრა, ვისთვის გამეგზავნა. დიდხანს ვათვალიერე საზოგადოება. ბოლოს თვალი ბუხრის გვერდზე მჯდარ ლამაზ გოგონას დავადგი. ის ხმას არ იღებდა, მხოლოდ ლოყები ჰქონდა აწითლებული და ფურცელს ჭმუჭნიდა პატარა თითებში. ღაჟო, ძლივს წავილუღლუღე და ყურებამდე ანთებულმა გადავაწოდე.

გოგონამ თვალი ამარიდა, ისე ჩამომართვა, მერე ძებნა დაუწყო ღაჟოს. მე დაბნეული ვიჯექი და ვუყურებდი. მას ჯერ ცოტა დაეკარგა ფერი, შემდეგ უფრო გაწითლდა და უპეები ცრემლებით აევსო. ალბათ, დიასახლისმაც შეამჩნია მისი ასეთი მდგომარეობა და თავზე ხელი გადაუსვა.

_ რა მოგივიდა, გენაცვალე? _ შეეკითხა ის. აქამდე თუ კიდევ თავს იკავებდა გოგონა, ახლა მოეშვა და აქვითინდა, თავისი საქციელის შერცხვა, ტირილს უფრო მოუმატა.

_ მაგიდასთან, ჩქარა, მაგიდასთან, _ თქვა დიასახლისმა, ატირებული ბავშვი კალთაში ჩაისვა.

მე მალე დამავიწყდა მომხდარი ამბავი, იმის შემდეგ გოგოებთან ამხანაგობას უფრო გავურბოდი. სკოლის მერე ვთამაშობდი ეზოში ან რომელიმე ბაღში ფეხბურთს, საიდანაც დედას მოვყავდი ჩხუბით, გაკვეთილებს დილით, სკოლაში წასვლის წინ ვსწავლობდი. ბებო ჩემს ამბებში დიდ მონაწილეობას იღებდა. ხშირად შუამდგომლობდა ხოლმე დედასთან, რომ ჩემი სასჯელი შეემსუბუქებინათ.

მიდიოდა დრო.

მე ვიზრდებოდი.

მხოლოდ ოჯახში ყველაფერი რჩებოდა ძველებურად.

ახლა უკვე ჩემ გარეშემო აშკარად ალაპარაკდნენ ქალებზე, მეც მომეწონა ვიღაცა, დიდ წარმატებასაც მივაღწიე, მაგრამ მამამ სანადიროდ წამიყვანა და უცებ დამავიწყდა მისი არსებობა. ამ დღის შემდეგ სულ თოფს ვწმენდდი, აფრიკის რუკას ვსწავლობდი და გვიან ღამემდე ვკითხულობდი წიგნებს.

დრო კი გადიოდა.

მე გავიზარდე.

პირველ ღინღლებს საკრეჭი მანქანით მიღებდნენ, მერე სამართებლით დავიწყე პარსვა.

დავამთავრე სკოლა.

შევედი უმაღლესში.

დაიწყო ახალი ცხოვრება. დილით გასული გვიან ვბრუნდებოდი სახლში. მახსოვს: პირველ კურსზე შავი მაღალყელიანი ფეხსაცმელები, შავი შემოჭერილი შარვალი და

თეთრი, ჯიბეებიანი ხალათი მეცვა, თავზე კახური ნაბდის ქუდი მეხურა, რითაც ძალიან მომქონდა თავი.

ახლა უკვე ისე ხშირად აღარ მკოცნიდნენ ნათესავები. ცოტა სახლისთვისაც უცხო გავხდი. იქ ისევ ბავშვივით მიყურებდნენ, მე კი ვდიდობდი. დაიწყო «ყარაჩოღლობა», სმა. მთელი დღე ისმოდა: ბიჭო, გუშინ ამდენი არაყი დავლიე, ამდენი ლუდი, ამდენი ღვინო; სახლში ცოტას ვკითხულობდი. სუფრაზე კი ბევრს ვლაპარაკობდი ლექსებზე, მოთხრობებზე. ოჯახი განერვიულდა. დედასა და ბებოს ღელვას საზღვარი აღარა ჰქონდა. მე კი ცოტას ვკითხულობდი, ბევრს ვლაპარაკობდი და ბევრსა ვსვამდი. სახლში მხოლოდ გვიან ღამე ვბრუნდებოდი.

აი, ახლა კი მართლა წავიდა დრო.

პირველი კურსი ისე გავიდა, ვერც გავიგე.

შევიცვალე, მხოლოდ ძველებურად გავურბოდი გოგოებს, თუმცა გულში არ ვიყავი მათი წინააღმდეგი. ძველებურად, ყველაფერი რიგზე იყო სახლში. ვიყავით ბებო, დედა, მამა და მე.

სმას მოვუხშირე.

მოვუხშირე კითხვასაც.

გამიტაცა ბაირონმა, ლერმონტოვმა, გამიტაცა ვაჟა-ფშაველამ, გამიტაცა მაიაკოვსკიმ, ესენინმა. ღამეებს ვათენებდი «ალუდა ქეთელაურის» სწავლაში. ნაღვინებზე თავატკიებული ვკითხულობდი ჩაილდ ჰაროლდს, ვსწავლობდი ბაირონის ბიოგრაფიას. თითქმის ზეპირად ვსწავლობდი კ. გამსახურდიას «ახალ ევროპაში» მოთავსებულ ნარკვევს «ლორდ ბაირონს» და მე უფრო მეტსა ვსვამდი. ქალებს მე თვითონ მაინც არ ვეტანებოდი.

ამ დროს ვიგრძენი მაიაკოვსკი, რაღაცა, მაშინ ჩემთვის გაურკვეველი ძალა. მოღუშული, მკვეთრი, ძლიერი. მაიაკოვსკი მაღალი, ფართო ბეჭებით, შავი თვალებით და განიერი ნიკაპით მედგა თვალწინ, გარშემო ხალხზე მთელი თავით მაღალი, და დაბალი, ბოხი, გამკვეთავი ხმით ამბობდა ლექსებს, მერე ხელში ვატრიალებდი მთიელი ძმაკაცის ნაჩუქარ ნაგანს და ვკითხულობდი მის ლექსს ესენინის თვითმკვლელობაზე, თვით ესენინს.

«Шаганэ ты моя, Шаганэ!»

და თუ მას აღმოსავლელი ქალი მოსწონდა, მე ჩრდილოელის სიყვარული მინდოდა. ერთი სიტყვით _ ღვინო, ლექსები, ზოგჯერ თვითონ მოსული გოგოებიც საკმარისი იყო: ვცხოვრობდი თითქმის ბურანში, ნაღვინევზე ჩახლეჩილი ხმით ვიმეორებდი:

«Поступь нежная, легкий стан,
Если б знала ты сердцем упорным,
Как умеет любить хулиган,
Как умеет он быть покорным»

და აქ ჩემს ცხოვრებაში შემოიჭრა ტიციან ტაბიძე. ღამისთევიდან პირდაპირ თეთრ დუქანში, ხაშზე, მერე ქეიფის გადაბმა და ლექსები:

«და ალიონზე თეთრ დუქანთან ტირის არღანი,
მტკვარი ახლოა, მინდა მტკვარში თავი დავიღრჩო».

ერთხელ უგონოდ მთვრალს მომაგონდა, რომ ბაირონმა თითქმის თავი მოიკლა, თეთრი დუქნის პატარა დარბაზი დამიტრიალდა თავში. ძალიან მთვრალი ვიყავი. ამხანაგი გიტარაზე უკრავდა, მერე ესენინზე ვიღაცამ ლექსი დაიწყო:

«ძმაო სერგეი, მოგიკვდა თავი,
თავმოსაკლავი აბა რა გჭირდა».

სულ გავბრუვდი, «ესენინმაც ხომ თავი მოიკლა,» გავიფიქრე, «ჰო მაიაკოვსკიმაც». ჩემ წინ მდგარ ჭიქას დავავლე ხელი და ღვინო შევისხი სახეში. ცოტა გამოვფხიზლდი. «იმათ მოიკლეს, იმათ, მე რა ვარ, მე რა ვარ». ვფიქრობდი, «რისი შნო მაქვს, წერა კი არა, კითხვაც არ შემიძლია, თან...» ხაშის ჭამა დავამთავრეთ. ვიღაცამ კიდევ არაყი მოითხოვა. გადავკარით.

_ გენაცვალოს მიტუა. _ გოგმანით შემოვიდა არღანგადაკიდებული მოხუცი კინტო.

_ აქეთ, მიტო.

_ აქეთ, კაცო.

_ მოდი, ჩამოჯექ.

_ დაუკარი, ჩვენ რო ვიცით.

მე ბარბაცით წამოვდექი. დუქნის კუთხეში არღანი ტიროდა. «მტკვარი ახლოა…» ვიმეორებდი გულში. და… გარეთ გამოვედი. მტკვრის აქეთა ზედაპირი პირველი სხივისგან ლაპლაპებდა, იქითა წყვდიადში იყო კიდევ. ბარბაცით მივდიოდი, გზაზე ფეხი წყალში ჩამივარდა, ცოტა გამოვფხიზლდი, აუჩქარებლივ მივედი წყალთან და ნელა დავიწყე შესვლა, როცა ყელამდე მიწია მტკვარმა, მესიამოვნა. მერე თვითონ წამიღო. გავბრუვდი. რამდენიმეჯერ გავიქნიე ხელი და გრძნობა დავკარგე.

როცა გონს მოვედი, საწოლში ვიწექი. არავინ იყო. იქითა ოთახიდან ვიღაცის ჩახლეჩილი ხმა ისმოდა:

_ Вот те на, ხათაბალა რაღა! დალია, სად წავიდა, რა უნდოდა, ვა?

კარში ვიღაცის გასიებული, გაღიმებული თავი შემოეტია, უცებ ვიცანი მედუქნე და ყველაფერი მომაგონდა.

ამ ამბის შემდეგ კარგა ხნით მივანებე სმას თავი. სანამ ავად ვიყავი, დიდხანს მიჯდა ხოლმე თავთან დედა, მას ბებო ცვლიდა. დედა თავის ბავშვობის ამბებს მიყვებოდა, ბებო კიდევ უფრო საინტერესო ძველ ცხოვრებაზე მელაპარაკებოდა. ორივენი ხშირად მესაუბრებოდნენ თავიანთი გათხოვების, შვილების შეძენის და სხვა ოჯახურ ამბებზე. მათი მონაყოლი დარდს მიქარვებდა.

დრო მიდიოდა.

სიკვდილზე აღარა ვფიქრობდი.

მიხაროდა, რომ მყავდა დედა, მამა და ბებო, რომლებიც ჩემზე ასე ზრუნავდნენ, რომლებმაც იცხოვრეს და რომლებისთვისაც ღირდა ეს სიცოცხლე. ოთხმოცს მიღწეული ბებოჩემის სიცოცხლისუნარიანობა საუკეთესო მაგალითი იყო ჩემთვის.

ჯერ ჩემი სიკვდილი შორს იყო.

მინდოდა სიცოცხლე.

გონებაში ვანგარიშობდი: ყველაზე უმცროს ესენინსაც კი ბებო და, მგონი, დედა აღარა ჰყავდა, მერე შეიძლება «ყველაფერი», ახლა კი ღირს სიცოცხლე, «ის» ჯერ შორსაა, იქ. მერე ისევ ეჭვები მიპყრობდა _ თუ ღირს, მაშ თავი რად მოიკლეს. დავიწყე უფრო ღრმად შესწავლა მათი. ახლა უფრო კარგად გავერკვიე. ღვინოს იშვიათადღა ვსვამდი. გონება ნათლად მიმუშავებდა. მერე მოვუხშირე და ისევ

დავიწყე. ისევ დადარდიანდა ოჯახი. მე კი კარგ ხასიათზე ვიყავი. მაშინ თუ ღვინომ ჩამინერგა სულელური აზრები თავის მოკვლაზე, ახლა მანვე გამიქარვა. აღარც მიფიქრია «იმაზე». მყავდა დედა, მამა, ბებო, რა დროსი იყო რაიმე ცუდზე ფიქრი. დავიწყე გოგოებთან სიარული, მაგრამ მტკიცედ გადავწყვიტე, არასოდეს მეთხოვა ცოლი, ისე მეტარებინა დრო. ერთხელ ოჯახმა სადილზე მომიგდო ხელში.

_ ვაჟა, _ დაიწყო ბებომ, რომელსაც დედამ რაღაცა ანიშნა. _ ახლა უკვე მეორე კურსს ამთავრებ.

_ ჰო. _ ვთქვი მე და ეჭვებმა შემიპყრეს.

_ რატო სვამ ამდენს, ბიჭო?

_ მთელი დღე სახლში არა ხარ.

_ თქვი, რა გჭირს.

მომაყარეს ყველა მხრიდან.

_ ნამდვილად შეყვარებულია. _ დაასკვნა ბებომ.

მე გავწითლდი. მართალია, არავინ მიყვარდა, მაგრამ გოგოს შესახებ არაფერი უხსენებიათ ოჯახში არასდროს და შეუჩვეველი ვიყავი.

_ ჰო, ჰო, მართალია. _ დაასკვნა ბებომ.

_ არა, ბებო, _ თავს ვიმართლებდი მე, _ შეყვარებული კი არა, გოგო არ ვიცი, ცოლს კი არასოდეს შევირთავ. _ მე ხორცის დაჭრა დავიწყე.

_ რას ამბობ, მამაშენმა რო შეირთო, რა, ცუდი ქნა? _ ბებო ახლო მოიწია ჩემკენ. ტუჩები მოკუმა, ხელები მუხლებზე დაიწყო, ისე მიყურებდა.

_ მამა რა ვიცი, მე კი არასოდეს შევირთავ.

_ რატომ?

_ არ მინდა. მე მინდა, ჩემთვის ვიცხოვრო.

ამ დროს ზარი დარეკეს, ოთახში პაპა გიორგი შემოვიდა ახალი პოლიტიკური ამბებით დატვირთული. ამ თემაზე ლაპარაკი შეწყდა. მე კი უფრო მტკიცედ გადავწყვიტე, ცოლი არ შემერთო.

მართალია, გოგოებთან გაკვრით მქონდა ხოლმე საქმე, მაგრამ სამუდამო ამბავი მზარავდა, ცოლის გაგონებაც კი არ მინდოდა.

დრო კი მიდიოდა.

ახლა უკვე საშინელი სისწრაფით.

მეორე კურსი უახლოვდებოდა დასასრულს.

მახსოვს:

სამი დღე გადაუღებლივ წვიმდა. პირველ მაისს გამოიდარა. დილით ჰაერი გამჭვირვალე და გრილი იყო. შუადღისთვის ქალაქში ჩამოცხა. უამრავი ხალხი აირია ქუჩებში. მზეზე დგომა აღარ შეიძლებოდა. აღლუმიდან დაღლილი დავბრუნდი სახლში, ბევრი მეპატიჟნენ დასალევად, მაგრამ არ წავედი. წელიწადში სამჯერ, აღლუმებზე, დედ-მამის და ბებოს გასახარებლად სახლში ვიყავი ხოლმე. გარეშემო ხალხი კი ქეიფობდა. დედას კოხტად გადაეადგილებინა ჩვენი ღარიბ ავეჯი, სადილი გაეწყო. სუფრაზე ერთი კვირის წინ კახეთიდან ჩამოტანილი ქვევრის ღვინო იდგა. ყველანი შინ ვიყავით, მხოლოდ ბებო იყო წასული თელავში. სუფრაზე მისი დეპეშა იდო: როგორა ხართ? მე კარგადა ვარო, იწერებოდა.

რადიოში მოსკოვიდან იყო გადმოცემა, ისმოდა: გაუთავებელი რუსული მარშები, ლოზუნგები, ხალხის ყვირილი, დიქტორისგან აღლუმის აღწერა. სადილად ბიცოლა და ბიძა მოვიდნენ. საღამოვდებოდა. ღია ფანჯრებში იასამნის სურნელი შემოვარდა. ზარი დარეკეს. ჩემი ამხანაგის ძმამ იასამნის თაიგული შემოგვიტანა. დედა შეუდგა თაიგულის დაყოფას, მერე სამივე ოთახში გაანაწილა.

დაბინდდა.

ზარმა სამჯერ სწრაფად დარეკა.

_ ჩვენები არიან, _ თქვა დედამ.

_ ჰო, ზევითები არიან, _ დაუდასტურა მამამ.

«ჩვენებს» და «ზევითებს» ზევით მცხოვრებ ნათესავებს ვეძახდით, იქვე ცხოვრობდა ბებოს ძმა გიორგიც. ოთახში აღელვებული შემოვიდა ნათესავი:

_ გიორგის პულსი გაუჩერდა, _ თქვა მან.

დედა და მამა სწრაფად წავიდნენ ზევით. სახლში მე დავრჩი. ცოტა ხნის შემდეგ დედა დაბრუნდა ტირილით და თქვა:

_ პაპა გიორგი აღარ არის.

ნელა მოვიდა ჩემთან, ჩამეკრა და ატირდა. მე ცრემლები მომდიოდა.

სასწრაფოდ გავგზავნეთ დეპეშა ბებოსთან.

იმ ღამეს თითქმის არ მიძინია.

საშინლად განვიცდიდი ბებოს ძმის სიკვდილს.

ჩემს ცხოვრებაში რაღაცა ახალი შემოიჭრა, ამან საშინლად ამაფორიაქა. მეორე დღეს ბებოს დავხვდი. ბევრი იგლოვა საწყალმა, მაგრამ ცრემლი ჩვენთვის არ დაუნახვებია. დავკრძალეთ. ერთი კვირის შემდეგ ბებო უკან გაემგზავრა. წასვლამდე ბევრს მიყვებოდა მგლოვიარე, თუ ბავშვობაში როგორი გუნდი ჰქონდათ და-ძმებს, რა კარგად მღეროდნენ, როგორი ცელქი იყო გიორგი, ახასიათებდა თავისიანებს, ჩემთან ცრემლებიც კი წამოუვიდა. უფრო შემიყვარდა ყველასთვის კარგი ბებო. ვფიქრობდი, თუ ოდესმე ქალს შევირთავ, მას უნდა ჰგავდეს-მეთქი, მაგრამ ეს აზრი სწრაფად მოვიშორე: ცოლის შერთვას მტკიცედ არ ვაპირებდი. წავიდა ბებო. თვენახევრის შემდეგ ჩვენც ვაპირებდით გამგზავრებას.

მე უფრო მუყაითი გავხდი. სმას საგრძნობლად ვუკელი. ახლა გამოცდებისათვის დავიწყე მზადება. გვიან ღამემდე ვმუშაობდი.

დრო მიდიოდა.

მე გამოცდები ჩავაბარე.

ის ზაფხული თელავში გავატარეთ.

ყველაფერი ძველებურად იყო, მხოლოდ პაპა გიორგი, ბებოს ძმა გარდაიცვალა. ჩვენ ისევ ისე ვიყავით, დედა, მამა, ბებო და მე.

ბებო შემოდგომისათვის ისევ დარჩა თელავში, ჩვენ, როგორც მიღებული იყო, წამოვედით. მერე ბებომ თავისებურად, კოხტად, მზრუნველი ხელით ჩაწყობილი ხილი გამოგვიგზავნა ყველა ოჯახს. მალე თვითონაც უნდა ჩამოსულიყო. ყველანი მოუთმენლად ველოდით. ჩამოსვლას ხან დეპეშით, ხან ტელეფონით გვატყობინებდა ხოლმე _ სადგურზე მთელი ნათესაობა ვხვდებოდით.

იმ ღამეს გვიან დამეძინა. ახლა ჰემინგუეით ვიყავი გატაცებული. ძლივს ჩავიგდე ხელში მისი «მოხუცი და ზღვა» და გვიანობამდე ვკითხულობდი. ვიგონებდი ბებიაჩემს, ვადარებდი მეზღვაურის სიცოცხლისუნარიანობას. დილით ადრე ვიღაცამ დარეკა. მე ნახევრად გამომეღვიძა, მაგრამ კარის გაღება დამეზარა, თავი მოვიმძინარე. დედამ ხალათი მოიცვა.

_ გაიღვიძეთ, ალბათ, ბებო რეკავს, მისი ჩამოსვლის დროა. _ თქვა და კარისკენ წავიდა.

_ ტელეფონზე გთხოვენ თელავიდან. _ მოისმა მეზობლის ხმა, მერე დედამ კარი მოიკეტა.

_ ადექით, ადექით, ალბათ, ბებო გამოვიდა. _ ვთქვი მე. საბანი მაღლა ავაგდე, ხელები გავჭიმე; ჩქარა ავდექი. მამა ნელა იცვამდა. მოგვესმა, თუ როგორ გაიღო

სამზარეულოს კარი. მე ვხარხარებდი, მგონი, რადიოში გადმოსცემდნენ რაღაცა სასაცილოს. ოთახში ნელა შემოვიდა დედა. ხმას არ იღებდა. თვალები სავსე ჰქონდა ცრემლებით.

_ ბებო, _ დაიწყო მან და ატირდა.

მე სახე მომეღრიცა, ჩემს საწოლთან მივვარდი. თავზე საბანი გადავიხურე, ზევიდან ბალიში დავიდე და ავქვითინდი. «ბებო, ბებო», მესმოდა ხმები, მერე მეჩვენებოდა, რომ ის ჩემთან მოვიდა და მიალერსებდა. ახლა უკვე ხმამაღლა ვღრიალებდი: «ბებო მოკვდა, ბებო მოკვდა, ბებო, ბებო, ბებო აღარ არის». მერე რატომღაც დავმშვიდდი, მომაგონდა თელავის კიბე, ზედ ამავალი ბებო, წელში მოხრილი, მოკუმული ტუჩებით მოვიდა ჩემთან, გვერდზე მომიჯდა და ფრანგულიდან მითარგმნიდა პირდაპირ მოპასანს, ახლა მეჩვენებოდა, რომ ვიღაცას ტუქსავდა, შემდეგ სარეცხსა რეცხავდა და ალფრედ მიუსეს ლექსს ამბობდა. «ბებო, ბებო, ბებო აღარ არის», გამიელვა ისევ და ავღრიალდი კიდევ უფრო ხმამაღლა.

მესმოდა ნაბიჯები, ვგრძნობდი, რომ ოთახი მახლობლებით გაივსო. არ უნდა მეტირა, ბებო სხვასთან არასოდეს ტიროდა, მაგრამ მე ხომ ის არ ვიყავი, არა მყოფნიდა თავშეკავება, ახლა აღარცა მრცხვენოდა და ვღრიალებდი მთელი ხმით. არავინ ცდილა ჩემს გაჩუმებას. ყველას მოსდიოდა ცრემლები, ქვითინებდნენ, ხმამაღლა ტიროდნენ.

მეორე დღეს ჩამოასვენეს.

ორი დღე თბილისში ვიგლოვეთ.

გარდაცვალებიდან მეექვსე დღეს დავკრძალეთ ბებო ჩვენი, საშა.

საღამოს ნათესავები და მოყვრები მის შესანდობარსა სვამდნენ, იყო მისი სახელის ხსენება და ჩამოსხმული ღვინის რაკრაკი.

დაკრძალვიდან მთელი კვირა დავდიოდით საფლავზე. დედამ შავები ჩაიცვა, ძალიან დასუსტდა და აღმართზე ძლივს ამყავდა ხოლმე ხელკავით. დიდხანს ვრჩებოდით იქ. დედა ყვავილებს რგავდა, მე ნიჩბით ვმუშაობდი. მერე ვისხედით უხმოდ. თავში სულ ბებოს სახე მედგა, მისი გამრჯეობა, სიყვარული. წამომივიდოდა ცრემლები, ტიროდა დედაც.

აცივდა.

საფლავზე სიარული გაძნელდა.

ახლა უმეტესად შინ ვისხედით. მე გარეთ აღარ დავდიოდი, სმაც შევწყვიტე. სადილზე ჩუმად ვიყავით დედა, მამა და მე. ბებო აღარ იყო. მთელი სადილი, მის მერეც, გავცქეროდი ბებოს ადგილს და თავში მიტრიალებდა, რომ ის აღარ არის, ე.ი. მოკვდა, ე.ი. გარდაიცვალა, აღარ არის. მინდოდა, უფრო მკვეთრად აღმექვა ეს ამბავი: ვათვალიერებდი ბებოს სურათებს. ჩემი გამრჯე, სიცოცხლისუნარიანი ბებო აღარ იყო, თითქმის ვერ წარმომედგინა, მეჩვენებოდა, რომ თელავში ცხოვრობდა. სულ გამოვიკეტე. ამხანაგების ნახვაც აღარ მინდოდა.

სახლში დავრჩით _ დედა, მამა და მე. ჯერ ბუნდოვნად, მერე აშკარად შემოიჭრა ჩემს გონებაში, რომ ერთი უფროსი თაობიდან აღარ იყო. ახლა უკვე კარგადა ვგრძნობდი: სიკვდილს მე თვითონ მივუახლოვდი ერთი საფეხურით. ღამე აღარ მეძინა, ჯერ ბებოს გარდაცვალებამ, ახლა ამ აღმოჩენამ სულ შემირყიეს სული. გიჟივით ვიმეორებდი: «დავრჩით მარტო დედა, მამა და მე. ბებო მორჩა, ახლა დედა, მამა, მერე მეც». ხშირად დავიწყე სინანული, რომ მაშინ არ დავიხრჩვი; ისევ შემეპარა ეჭვი ჩემი ცხოვრების სიუქმეში. რად მინდა, რად? ვისთვის? «ის» უკვე ერთი თაობით ახლოს იყო. უფრო ჩავიკეტე სახლში. ვერავის ვანდობდი ჩემს ფიქრებს, არც მინდოდა. ვიცოდი, ძნელი იყო მისი გაგება, რადგანაც მე თვითონაც არ მესმოდა

კარგად, თან მრცხვენოდა, უზომოდ ეგოისტი, უსინდისო მეჩვენებოდა თავი, რომ ჩემი სიკვდილი მადარდებდა. ამ ფიქრებში ვიძინებდი, ამ ფიქრებში ვიღვიძებდი.

ერთხელ ბიჭები მოვიდნენ. მე სავარძელში ვიჯექი და ყალიონს ვაბოლებდი.

_ რა მოგვიდა, ბიჭო? _ დაიწყო ნოდარმა.

_ რაც იყო, იყო. _ გააგრძელა ნუგზარმა.

_ ბებო, საწყალი ბებო საშა, მართლა უშესანიშნავესი ადამიანი იყო, _ თქვა ჩიკომ.

_ აბა, როგორ გვივლიდა, გახსოვს, როგორ ვაბრაზებდით. _ ნუგზარმა ჯიბიდან ჩემი საყვარელი ჭაჭის არაყი ამოიღო. _ დავლიოთ საწყალი ბებოს შესანდობარი. _ ახლა პატარა რქა დააძრო და ჩამოასხა. ოთხივემ შევსვით, ისევ დავლიეთ, კიდევ დავლიეთ.

_ საწყალი ბებო, _ ნუგზარს ენა ოდნავ ებმებოდა სიმთვრალეში.

_ რას იზამ, ვაჟა, _ დაიწყო ნოდარმა, _ მოხუცი იყო.

_ ჰო, ოთხმოცამდე იყო, _ ჩიკომ არაყი ჩამოასხა, _ ბუნების კანონია, _ დააბოლოვა სიტყვა.

_ აბა, კაცო, ბუნების კანონია.

_ იგი წავა და სხვა მოვა, ხო გაგიგია? _ ნოდარს არაყისაგან თვალები არეოდა, მხარზე ხელი დამარტყა და ულაზათოდ გამიცინა.

_ საქმე მარტო ეგ არ არის. _ ვთქვი მე და რქა გამოვცალე.

_ მაშ რა არის? _ ნოდარმა ისევ დამადო მხარზე ხელი.

_ არაფერი. _ მე ჩამქრალ ყალიონს მოვუკიდე, არ აენთო, ახლა ნუგზარმა ამინთო ასანთი და თუთუნს დაადო. რამდენიმეჯერ მოვქაჩე, ნელა გაღვივდა ცეცხლი, მერე სქელი, მოყვითალო ბოლი აუშვა. ოთახში წეკოს სუნი დადგა.

მეორე დღეს მზე ამოვიდა. მე ფანჯარასთან ვიდექი და ყალიონს ვექაჩებოდი.

_ დღეს კარგი ამინდი იქნება, _ ვთქვი ჩემთვის.

_ კარგი კი არა, _ დედამ აღმოსავლეთისაკენ გაიშვირა თითი: შავი ღრუბლების სქელი ქულა მოიწევდა, მალე მზეს ჩამოეფარა და ისევ აცივდა.

პირდაპირ ეზოდან ახლადდაქალიშვილებული, ყინვისაგან ლოყებაწითლებული გოგონა გამოვიდა. სტუმრად შემოსული მეზობლის გოგონა უაზროდ უყურებდა ქუჩას.

_ ვინ არის? _ვიკითხე მე და მოწეული ყალიონის გამობერტყვას შევუდექი.

_ მგონი ანდრონიკაშვილია.

_ აქ ცხოვრობენ?

_ ჰო, ახალი გადმოსულები არიან. _ მეზობელი სარკესთან მივიდა თმის შესასწორებლად.

_ რა ჰქვია? _ მივაყოლე კითხვა.

_ არ ვიცი, ვაჟა. _ მან სავარცხელი აიღო.

_ ლეილა, შვილო, ლეილა! _ მოისმა ამ დროს მოპირდაპირე სახლიდან. გოგონა სწრაფად მოტრიალდა. ეზოდან ლამაზი, თმაშეევერცხლილი ქალი გამოვიდა. ხელში რვეული ეჭირა.

_ აი, შვილო, დაგრჩა. _ ძლივს გავარჩიე ქალის ხმა. გოგონამ აკოცა დედას, მერე სწრაფად მობრუნდა. ლენტით აკრული თმა ღაწვებზე ჩამოშლოდა, ყელსახვევი ცოტა გახსნოდა სიჩქარისგან. მოსახვევამდე თვალი გავაყოლე; მერე ყალიონი ისევ გავტენე, სავარძელში ჩავჯექი. «ანდრონიკაშვილი ლეილა, ლეილა ანდრონიკაშვილი»,_ ვიმეორებდი ჩემთვის, ვცადე, აზრი თავიდან მომეშორებინა, ერთხანს ისევ ბებოზე ვფიქრობდი. სავარძელში ვეღარ გავძელი. მივედი ფანჯარასთან. დიდხანს ვიყურებოდი მოპირდაპირე ეზოსკენ, გონება ჩემდაუნებურად იმეორებდა: «ლეილა,

ლეილა», მერე რატომღაც გავბრაზდი, სახელი «ლეილა» არ მომეწონა, «მე კრავაის დავუძახებ» ვიფიქრე, «კრავაი კარგი სახელია, რა შედარებაა ლეილასთან, მაშ ასე, კრავაი ანდრონიკაშვილი, კრავაი».

_ დედა, _ ვთქვი სადილის შემდეგ, _ მე გავივლი.

_ კარგი, შვილო, ოღონდ დროზე დაბრუნდი, _ დედას თან ესიამოვნა, რომ მივდიოდი, თანაც შეეშინდა: სულ გადაეჩვია ჩემს გარეთ გასვლას.

გარეთ ციოდა. საღამოსათვის ცა მოიწმინდა. ცხვირი სწრაფად დამიწითლდა. გრძელი, ნელი ნაბიჯებით მივყვებოდი ჩვენს ქუჩას. მსიამოვნებდა, რომ შავი მაღალყელიანი ფეხსაცმლები მეცვა, შავი «ბუტილკა» შარვალი, შავი ჯემპრე და დიდი, ნაცრისფერი პალტო. საყელო ავიწიე. «ნეტა ბიჭები სად არიან», გავიფიქრე, უცებ ფეხი რაღაცაზე ამიცდა, კინაღამ დავეცი. ყურებამდე გაწითლებული ჩავუყევი ქუჩას. რატომღაც მომეჩვენა, რომ კრავაიმ დამინახა და უფრო გავწითლდი; ქუჩის ბოლოს ტრამვაი დავინახე, გამოვუდექი, მთელი ოსტატობით შევახტი, ახლაც მომეჩვენა კრავაის მზერა. მესიამოვნა, ასე კარგად რომ გამომივიდა შეხტომა. რუსთაველზე გავედი.

_ სადა ხარ, ბიჭო?

_ სად დაიკარგე?

_ ბებო ვის არ მოკვდომია.

_ კარგი ერთი.

მხვდებოდნენ ნაცნობი ბიჭები მოღიმარი სახეებით.

_ ეგრე უნდა, ვაჟა?

_ რა არის, იმის მერე აღარ გამოგივლიათ.

_ Заходите обязательно, пока, _ გრძნობით მიჭერდნენ ჩემს გაწვდილ მარჯვენაზე მარცხენა ხელს ნაცნობი გოგონები, დამშვიდობებისას ნაძალადევად აჩენდნენ კბილებს.

_ მომიკითხე დედა. _ უკვე შორიდან ისმოდა მათი ხმა.

მთვრალივით ჩავიარე ქუჩა. მსიამოვნებდა, რომ ჩემს გემოზე ვიყავი გამოწყობილი. ნალების ყრუ წკარუნი მამშვიდებდა. დავიძაბე. ყველასთან საუბრის დროს კრავაის მალულ მზერას ვგრძნობდი. ამ საღამოს თითქმის დამავიწყდა ბებო.

მეორე დღეს ისევ დავინახე ჩემგან კრავაით მონათლული გოგო.

_ ვაჟა, ჩემი ამხანაგი გადმოვიდა, გაიგე? _ თქვა დედამ სადილზე.

_ ვინა? _ მე დრო ვიხელთე და შეუჭმელი ხორცი უკანვე გადავდე ტაფაზე.

_ ნუცია ანდრონიკაშვილი.

მე ლოყები შემივარდისფრდა.

_ ნუციამ და მე ერთად დავამთავრეთ ქუთაისში რეალური სასწავლებელი. ეგ მიქელაძის ქალია, მაგის ქმარი, ანდრონიკაშვილი ნოდარი ადრევე დაიღუპა.

_ რომელი, ჩვენ პირდაპირ რო გოგოა, დედამისი? _ ვიკითხე მე.

_ ჰო, მშვენიერი ბავშვია ლეილაც, სულ ნუციას ჰგავს. არც კი ვიცოდი, თუ მაგოტელა შვილი ჰყავდა.

მე კიდევ უფრო გავწითლდი, მერე ჭიქას ხელი დავავლე და წყლის მოსატანად გავედი.

დრო კი გადიოდა.

გავიდა მესამე კურსი.

ვიყავით სახლში დედა, მამა და მე.

დრო კი ისევ გადიოდა.

გადავედი მეოთხე კურსზე.

ახლა ჩვენი ოჯახი გაიზარდა.

მე ცოლად შევირთე ჩემზე ოთხი წლით უმცროსი, დედას სკოლის მეგობრის ქალი, ანდრონიკაშვილი კრავაი.

ახლა სახლში ვიყავით კრავაი, დედა, მამა და მე. მე ისევ ხშირად ვიყავი უხალისოდ.

დრო ძველებურად გადიოდა.

მე თითქოს უფრო გავხალისდი.

მალე ბავშვი შეგვეძინა. იზრდებოდა.

პატარას ვამეხი დავარქვი, ეს სახელი ჩემი დიდი ხნის ოცნება იყო, ძლივს ავისრულე.

ახლა სახლში ვიყავით: ვამეხი, კრავაი, დედა, მამა და მე. ბავშვმა ფეხი აიდგა, ენა ამოიდგა და ჩემს დედა ქეთოს «ბებო ქეთო» დაუძახა. ჩვენც შეგვაჩვია ბებოს დაძახებას. ბებო და ბებო, ისმოდა მთელი დღე სახლში. ბებოც არ ისვენებდა, რეცხავ-და, კერავდა, შვილიშვილს ამბებს უყვებოდა, ჩვენ გვარიგებდა. ჩემს ცოლს, რომელსაც ახლა ჩემი ხათრით ყველა კრავაის ეძახდა, თანა ჰყვებოდა. მე ძალიან შევეჩვიე ბებოს დაძახებას. ხშირად ვიგონებდი ჩემს ნამდვილ ბებოს, მაგრამ ახლა ძველი თაობის წასვლიდან გამოწვეულ დარდზე აღარა ვფიქრობდი. ჩვენს ოჯახში ისევ სამი თაობა იყო.

ახლა მე ოჯახის კაცი ვარ, მყავს დედა, მამა, ცოლი კრავაი და სამი წლის ვაჟი, ვამეხი.

დილით სამსახურში მივდივარ, სადილობისას ვბრუნდები. «ბებო» თავს დაგვტრიალებს, მე უზომოდ მსიამოვნებს, რომ დედას ბებოს ვეძახი. ვამეხს ხან რისი ყიდვა უნდა, ხან რისი _ ყველაზე ხშირად ველოსიპედს ახსენებს, მამაჩემი ჰპირდება, უეჭველად გიყიდი, ოღონდ ჯერ ორთვლიანზე ვერ დაჯდები, ხოლო სამთვლიანი რა ვაჟკაცის საქმეაო. ღამე ყველანი ბავშვის ალერსში ვიძინებთ. ბავშვი კი ტირილში თუ სიცილში ავლენს თავის «ტალანტებს». ჩვენ _ დედა, მამა, ჩემი ცოლი კრავაი და მე _ უზომოდ ვამაყობთ პატარა ვამეხით.

ჩვენს ოჯახში ისევ სამი თაობაა.

მე ახლა ბედნიერი კაცი ვარ.

წელი 1956. ნოემბრის 14.

<u>ბ ა ი ა თ ი თ ა რ ზ ე</u>

ხევსურეთში გაგონილი ამბავი:
ბინდბუნდში ცხენოსნებმა ალყა შემოარტყეს მიწურს, მერე ჩამოქვეითდნენ და ხოხვით წავიდნენ სახლისაკენ. ერთმა თავი წამოსწია. შაშხანის ტყვიამ ტვინი გაუხვრიტა. უხმოდ დაეცა ბუჩქის ძირას. უკვე კარგად გათენდა. მოალყეებმა რკალი უფრო შეავიწროვეს. თავის აწევას ველარავინ ბედავდა. გაისმა ჭიხვინი. გამოსროლილმა ხელყუმბარამ ექვსამდე მილიციელი ადგილზე დააწვინა; გარღვეულ რკალში ოთხით გაიჭრა ცხენი და ზედ

მჯდარი დათვიკა გოგოჭური გაიტაცა. მილიციელები გონს მოვიდნენ. ზედიზედ იღებდნენ ნიშანში გაქცეულს, მაგრამ უშედეგოდ.
ხევში კიდევ გავარდა თოფი.
უვნებლად დარჩენილები ცხენებს მოახტნენ:
მდინარის იქით ფაფარაშლილი, უმხედრო ულაყი გარბოდა.
წყლის პირას მკერდგაპობილი გოგოჭური ეგდო. მას თავზე დილითვე ჩამორჩენილი მილიციელი წამოსდგომოდა.
_ კარგი ვაჟკაცი კი იყო. _ თქვა მან.
_ აბა, კაცო, შვიდი წელი იმალა.
_ ვინ იცის, რამდენი შეიწირა.
_ დაუნდობელი კი იყო.
_ სიკვდილისაც არ ეშინოდა, მაგას რო ალყები გაურღვევია, ტყუილია.
_ ომში წასულიყო ერჩივნა, უეჭველად გმირი გახდებოდა.
_ აბა, კაცო, მაგის გამბედაობით.
_ რა ვიცი, კაცო, დეზერტირობისათვის კი გავარდა ყაჩაღად და... _ თქვა დილითვე ჩამორჩენილმა.
ზევიდან ბალანგაცვენილი ცხენი ჩამოიყვანეს. ვეება ვაჟკაცი გარდიგარდმო გადეს უნაგირზე და თოკით დააკრეს.

_ მოერიდე მაგათ.

_ ერთი მაგათი.

_ მე მითქვამს.

_ რას მიზამენ, დანის არ მეშინია.

_ სიკვდილის? _ დათუნამ სავარძელში მოიკალათა.

_ არა, _ ვაჟამ თავქვეშ მუთაქა ამოიდო და ბოლი ჭერში გაუშვა.

დათუნას ჯერ ჩაეღიმა, მერე სავარძელში უფრო ქვევით ჩაცურდა. «ჩემი ძმაკაცი რო არ იყოს, ტრაბახი მეგონებოდა», გაიფიქრა თავისთვის.

_ დათო, _ დაიწყო ვაჟამ, _ გახსოვს, შარშან მატარებელში მთვრალებს ორი დანა წავართვი.

დათომ თავი დაუქნია, მერე წყალი დაისხა.

ვაჟა განაგრძობდა: _ ხო გახსოვს, არა? ერთი წუთით არ შემშინებია, _ მან პაპიროსი გააბოლა, ბოლი ნელა წავიდა ლამფისაკენ და ზევით გაიშალა. პატარა ოთახში ქულები ჩაეწყო. ორივენი დუმდნენ. «სხვამ რო გაიგონოს, ტრაბახი ეგონება, თუმცა, სხვასთან არც იტყოდა; ვერ გამიგია, ჩხუბის არც მე მეშინია, დანას კი გავურბივარ», ფიქრობდა დათო. სიჩუმე არ ირღვეოდა. მხოლოდ გაზეთილ თაროზე საათი ტიკტიკებდა. დათომ ერთხანს ყური მიუგდო ხმაურს; ისევ გაერთო ფიქრებში, საათის ხმა აღარ ესმოდა.

ვაჟას ჩამქრალი პაპიროსი ედო პირში. უკვე მეათე მოსწია: უზომოდ სიამოვნებდა ბოლი. კიდევ უნდოდა მოწევა, მაგრამ თამბაქო მეორე ოთახში იყო და გასვლა დაეზარა.

საათი ტიკტიკებდა.

არც ერთს არ ესმოდა მისი ხმა. დათო არაფერზე აღარა ფიქრობდა. ვაჟას ჯერ ბუნდოვნად მოაგონდა წინა დღის ამბავი, მერე ნათლად დაუდგა თვალწინ.

წინა დღეს აისრულა ორი წლის ნატვრა. ორი წელი უყვარდა ლეილა. ვინ იცის, რამდენჯერ დააპირა მისვლა, მაგრამ ვერ გაბედა. გაეღიმა: დანის არ შინებია, ის გოგო კი, წაბლისფერი თმითა და დიდი, გაკვირვებული თვალებით, ყოველთვის აშინებდა.

გუშინაც როგორ გაბედა, ის იყო საკვირველი. სწორედ მისვლამდე ორი საათის წინ იმავე ქუჩაზე ძველ მტრებთან მოუვიდა ჩხუბი. ისინი ოთხნი იყვნენ. ერთი ძლივს იდგა ფეხზე. სამნი დაეხვივნენ მოულოდნელად. ვაჟა პირველი დარტყმისაგან ცოტა დაიბნა, მიხვდა, რომ მარტო ღონით ვერაფერს გახდებოდა: ერთს გაქნეული ფეხი დაუჭირა, ნიკაპში მოარტყა. რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია. გამოუდგნენ. წინ მაღალი მორბოდა. ვაჟამ მოქნეული მუშტი აიცილა და ცხვირში დაარტყა, მერე მეორეს მიუბრუნდა, იმას ნიკაპში უმარჯვა. ის წაიქცა. მესამემ მთელი ძალით მოუქნია, კედელთან მდგარმა ჩაბუქნა მოასწრო. მუშტი აგურს მოხვდა. მან დაბნეულობით ისარგებლა: ერთი მუცელში დარტყმით იქვე დააგდო. მაშინ მაღალმა ნაგანი დააძრო. ვაჟამ ფეხსაცმლის წვერი აარტყა მაჯაში: იარაღი ჟღარუნით დაეცა ქვაფენილზე. სწრაფად დასწვდა: იკადრეს მთვრალებმა გაქცევა. ვაჟა იდგა და სიამოვნებდა, რომ მათ ასე ადვილად სცემა. ტუჩიდან სისხლი სდიოდა, როგორც იყო, შეიშრო ცხვირსახოცით, მერე გახეთქილი ადგილი მოილოკა. სისხლი ისევ წამოუვიდა. იარაღი ჯიბეში ჩაიდო.

გრძელი, დამშვიდებული ნაბიჯებით დაუყვა ქუჩას. მარჯვენა ასახვევში ცხოვრობდა ლეილა. ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ შეხვედრია, მაგრამ მისვლა ვერ გაბედა ვერც ერთხელ. მის გახსენებაზე ააკანკალა. მოეჩვენა, რომ წინიდან ლეილა მოდიოდა, ოდნავ შეკრთა.

სიბნელეს დააკვირდა.

ახლა უკვე ეჭვი აღარ იყო: მეორე ქვაფენილზე ის მოდიოდა. ვაჟამ იარაღი მოსინჯა, ლეილა თითქმის გაუსწორდა, როცა უნებლიეთ მისკენ წავიდა. აღარაფერი აღარ ახსოვდა, მხოლოდ გრძნობდა, რომ გახეთქილი ტუჩიდან ჩამოსული მლაშე სისხლი პირში ჩასდიოდა და სიამოვნებდა.

ლეილა თითქმის გაჩერდა. ვაჟი პირდაპირ მიდიოდა მისკენ.

მივიდა.

_ მე, _ ვაჟამ ენით მოიწმინდა ჩამოღვრილი სისხლი, _ ჯანდიერი ვაჟა ვარ, თქვენ, ალბათ, არც კი მიცნობთ.

გოგონა ჯერ შეშფოთდა. მერე უხერხულად გაიღიმა, დიდი, გაკვირვებული წამწამები დაახამხამა.

_ როგორ არა, თქვენ ხომ ჩვენს ინსტიტუტში სწავლობთ.

_ დიახ, დიახ, მე ჯანდიერი ვარ, _ ისევ დაიბნა, _ არა, მე თქვენ მიყვარხართ, დიახ.

გოგონა ოდნავ აიწია თითის წვერებზე, გრძელი წამწამები დაახამხამა. ვაჟმა ბოდიში მოუხადა, მერე გაჩუმდა. ლეილა ცოტა ხანს დაბნეული იდგა.

_ ნახვამდის, _ თქვა მან და ქუჩაზე დაეშვა. დიდხანს უყურა ვაჟამ დაცარიელებულ ქვაფენილს, ძლივს იგრძნო, რომ ის იქ აღარ იყო. აღელდა: როგორც იყო, აისრულა ორი წლის ნატვრა, მივიდა, ელაპარაკა, მერე ვის? ლეილას.

უზომოდ მოუნდა მოძრაობა, ყვირილი, ჩხუბი. ახლა ფეხარეული ჩაუყვა ქუჩას: წინიდან ისევ ის მთვრალები მოდიოდნენ. ერთს დანა ეჭირა ხელში. ვაჟამ ნაგანი ამოიღო. გაჩერდნენ. მან იარაღი შორს მოისროლა, მერე ნელი ნაბიჯით წავიდა მათკენ. ისინი არ იძვროდნენ. უცებ ბებუთიანმა ისკუპა. ვაჟამ მარცხენათი დანა აიცილა და მარჯვენა უმარჯვა ყბაში.

სადღაც დაუსტვინეს. მოსახვევში მილიციელი გამოჩნდა.

დაიშალნენ.

ვაჟა ზლაზვნით წამოდგა ტახტიდან და მეორე ოთახში გავიდა პაპიროსის გამოსატანად. დაბრუნებულს მოაგონდა, რომ ასანთი სამზარეულოში იყო. მოიტანა, მერე ისევ ამოიდო თავქვეშ მუთაქა. სქელი ბოლი ნელა წავიდა ლამფისაკენ.

საათი ტიკტიკებდა.

ვაჟა იწვა და არაფერზე არა ფიქრობდა.

დათომ სკამზე დადებულ კოლოფს დახედა.

თვითონაც გააბოლა.

საათი ტიკტიკებდა.

_ ტვინი წაიღო საათმა, _ თქვა დათომ.

_ აბა, კაცო, _ ახლა ვაჟაც შეაწუხა ხმაურმა.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. დათომ მიმღებში სტამბოლი დაიჭირა, მერე სპარსეთი. აღმოსავლეთი მოთქვამდა გაუთავებლივ. ვაჟას განსაკუთრებით უყვარდა თარზე გოდება. რადიო ახრიალდა. ვაჟამ გამორთო.

_ ათი საათია, _ თქვა დათომ.

_ «ბიბისი» დაიჭირე, _ უთხრა ვაჟამ.

ბრიტანეთი ომზე ლაპარაკობდა.

_ ცუდად არის საქმე, _ თქვა დათომ.

ვაჟამ ახალ პაპიროსს მოუკიდა.

ახლა მოსკოვი დაიჭირა. დედაქალაქიც მოახლოებული ომის საფრთხეზე ლაპარაკობდა.

_ ცუდად არის საქმე, _ ისევა თქვა დათომ.

ვაჟას პაპიროსი ჩაუქრა, ხელი ასანთისკენ წაიღო და ყრუდა თქვა:

_ ღმერთმა დაგვიფაროს ომისაგან.

_ აკი არ გეშინოდა სიკვდილის, _ დათუნამ ნიშნისმოგებით ჩაიღიმა.

_ სიკვდილის არ მეშინია.

_ ომის?

_ არ ვიცი.

_ ომის მეც მეშინია.

_ შენ დანისაც გეშინია.

_ დანის? ჰო.

_ მე არ მეშინია.

_ ვიცი.

ერთხანს ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. დათო სულ ქვევით ჩაცოცდა სავარძელში. ფეხები გაჭიმა. ახლა იგი თითქმის იწვა.

_ ტყვია ბრმა არი, _ თქვა მან.

_ სულ ერთია, _ თქვა ვაჟამ.

_ მაინც საშიშია, გამოტყდი.

_ ჰო, _ თქვა ვაჟამ.

საათი ტიკტიკებდა.

დათომ ისევ აღმოსავლეთი დაიჭირა. დილით დაწყებული ბაიათი გრძელდებოდა:

თარზე მოთქვამდა აღმოსავლეთი.

წ. 1956. ნოემბრის 17.

კიდე კარგი

დღიური
1956 წ.
30 ნოემბერი

სასფლაოზე დილით ადრე ავედით. დირექტორმა წელში მოხრილი, ახმახი, ცალთვალა მესაფლავე გაგვაყოლა.

ნაწვიმარზე ატალახებულ თიხაში ფეხი იფლობოდა. ბიძაჩემს ორჯერ დარჩა შიგ კალოში. მესაფლავემ ხევში ჩაგმიყვანა და ადგილი მოზომა.

— ზევით ვერ მოხერხდება?— ჰკითხა ბიძაჩემმა.

— არა, კაცო.

— შენი ჭირიმე, ზევით მომიხერხე.

— სადა , კაცო.

— ცენტრში.

მესაფლავემ გამოთხრილი თვალი უფრო მოჭუტა,

მეორე უფრო დაჭყიტა.

— არ შეიძლება, — თქვა მან.

— მომიხერხე როგორმე, – თქვა ბიძაჩემმა.

— ჰოდა, ჩვენზე იყოს, ჩავერიე მე.

ბიძაჩემმა ჯიბეში ფული ჩაუდო. წავედით ცენტრისაკენ. აღმართზე სიარული ჭირდა და ფეხიც უფრო ღრმად იფლობოდა. საფლავებს შორის დატოვებულ გზაზე ცალთვალამ ორი მეტრი სიგანისა და ორნახევარი სიგრძის ადგილი გადაზომა.

— დაუმატა ერთი მეტრიც, — უთხრა ბიძაჩემმა და კიდევ ჩაუდო ფული.

სახლში გახარებული დავბრუნდით. ბიძაჩემი ამაყად შევიდა კარებში.

კორიდორი ხალხით იყო სავსე.

— სად იყავით ამდენ ხანს?

— რა ქენით?

— ვიშოვეთ.

— სად?

— რა ადგილას?

— ცენტრში.

— კიდევ კარგი.

— რამდენი?

— ორნახევარი– სამნახევარზე.

— კიდევ კარგი.

ანეტამ საბანი გადაიხადა.

კოტემ კარი გამოაღო.

შუშაბანდიდან ოდნავ შემოვიდა სიგრილე.

_ ცხვირსახოცები ხომ არ დავიწყებია? _ ხრიალითა თქვა ანეტამ და თვალები მილულა, მერე ექთანმა ნემსი გაუკეთა.

_ ამაღამ არაფერი უჭირს, _ თქვა მან, _ დილაზე ისევ ამოვალ.

_ საცაა, გათენდება. _ კოტემ საათს დახედა.

_ ვახტანგ, _ ანეტამ საწოლის თავთან მჯდარ ვაჟს მაჯაზე ხელი მოჰკიდა.

_ რა, დედა? _ ვახტანგმა შუბლზე აკოცა.

_ შვილო, ცხვირსახოცები ხომ არ დაგვიწყებია.

_ არა, დედა.

_ ხო იცი, ბიჭო, ეციება იქ, თბილი ქუდიც ჩადე. _ ანეტამ ისევ მილულა თვალები.

ვახტანგი ხშირად დადიოდა მივლინებაში. შინ დარჩენილი დედა შიშით ელოდა მის ჩამოსვლას. ავადმყოფს ეგონა, შვილი ვერ ჩამომისწრებსო. ახლაც, ცუდის მოლოდინში, არ უნდოდა უვაჟოდ დარჩენა. გული მისდიოდა.

ისევ გააღვიძეს ექთანი. ქაფურის ახალმა ნემსმა მოაბრუნა. «ნეტა არ წავიდეს, ახლა კი ვეღარ მომისწრებს», ფიქრობდა დედა, მერე თვალები გააღო და ჩიფჩიფითა თქვა:

_ შვილო, კალოშებიც წაიღე, ლაფი იცის იქით.

ისევ გაჩუმდა. ახლა იწვა და ფიქრობდა ცხვირსახოცებზე, რძლის დაუთოებული თავისი თვალით დაინახა, მხოლოდ ახლაღა მოაგონდა, რომ თითქოს ერთი ცოტა დაჭმუჭნული იყო.

_ ვახტანგ, ცხვირსახოცები ხო არ დაკუჭულა ჩაწყობისას, _ ისე ჩუმად თქვა, რომ ვერავინ გაიგო. ვაჟმა მხოლოდ თავი დაუქნია და გაუღიმა. დედას ახლა ჰალსტუხები მოაგონდა. «ტყუილა არ მიაქვს წითელწინწკლებიანი, კოტემ რო ჩამოუტანა რუსეთიდან», გაუელვა თავში. შემდეგ პერანგებზე გადაიტანა ფიქრი, წუხდა გულში, რომ საყელოები თვითონ ვერ დაუუთოვა. ხელი ისევ მოჰკიდა მის მაჯას. შვილი დაიხარა.

_ ვახტანგ, _ მხოლოდ ტუჩებსღა ამოძრავებდა ავადმყოფი, _ ვახტანგ, იქ თეთრი პერანგი ჩაიცვი და შავი ჰალსტუხი გაიკეთე, თეთრწინწკლებიანი.

_ კარგი, დედა. _ თქვა ვაჟმა.

«ნეტა არ წავიდეს, ნეტა, ვეღარ ჩამომისწრებს», ფიქრობდა დედა.

_ არ წავალ, დედა. _ მოესმა ბურანში, მერე თვალების გახელა სცადა.

_ წყნარად იწექი, მე ვრჩები, უკვე დავურეკე სალაროში. _ მოესმა ისევ.

_ წადი, არ დარჩე, იცოდე, მე კარგად ვიქნები. _ ძლივს დაიმორჩილა ხმა. მერე სისუსტე იგრძნო. იგრძნო, რომ მართლა ცუდად იყო. «ვახტანგი არასოდეს დარჩენილა ჩემი გულისთვის, რაც ავად ვარ, ალბათ, ახლა...» კიდევ უფრო დასუსტდა. ფიქრებს თავს ვეღარ უბამდა. ბურუსში გაეხვია.

ჩაეძინა.

_ ძლივს, _ თქვა კოტემ.

_ ჰო, ჩაეძინა. _ დაადასტურა ვახტანგმა.

_ ეძინოს. _ ისევ თქვა კოტემ, მერე საწოლის თავს ხელი მოჰკიდა და ნელა წამოდგა. ვახტანგი მეორე ოთახში გავიდა დასაძინებლად. ოდნავ, სულ ოდნავ ინათა, როცა ავადმყოფს გამოეღვიძა. მწოლიარეს სუნთქვა ეკვროდა. ძლივს წამოიწია, მაგრამ უღონოდ დაეშვა ისევე. «კიდე კარგი, ვახტანგი დარჩა», გაიფიქრა და გული შეუღონდა. თავისით მოვიდა გონს. წამოიწია, როგორც იყო, წამოჯდა. თვალებს ვერ ახელდა. «კიდე კარგი, ვახტანგი დარჩა. ვახტანგი», _ უხმოდა თქვა, ბოლო ძალა მოიკრიბა და ამოიძახა:

_ კოტე, კოტე...

მეუღლე უცებ წამოხტა.

ანეტა ესვენა დიდ საწოლზე და თავი გვერდზე ჰქონდა მოქცეული. მთელმა ოჯახმა გაიღვიძა.

_ კიდე კარგი, არ წავედი, _ ნაწყვეტ-ნაწყვეტადა თქვა ვახტანგმა და ქვითინი განაგრძო.

_ აბა, კიდე კარგი, კიდე კარგი, _ კოტემ თავში წაიშინა დასუსტებული ხელები.
თენდებოდა.
გათენდა.
ამოვიდა მზე.
მიდიოდა დღე.
მოდიოდა ხალხი:
_ ვახტანგი ხო არ წასულა? _ იკითხა ნათელამ.
_ არა, არა, _ კოტემ სლუკუნი განაგრძო.
_ კიდე კარგი, _ ნათელამ ცრემლები ცხვირსახოცით შეიმშრალა.
_ ლეო, _ განაგრძო მანვე, _ გაიგე, თურმე ვახტანგს დღეისთვის ჰქონია ბილეთი.
_ მერე?
_ გულმა უგრძნო და არ წავიდა.
_ კიდე კარგი, კიდე კარგი, _ ლეომ მიცვალებულის ფეხებთან ყვავილი გაასწორა.
_ აბა, აბა, _ ნათელამ დასპირტული ნაჭერი დააფარა ცხედარს სახეზე.

წელი 1956. ნოემბრის 28.

ე რ თ ხ ე ლ :

ერთხელ ბერიკაცმა ნიჩბით გადახადა ქვევრს მიშა.
_ რას შვრები. პაპავ? _ შეეკითხა შვილიშვილი.
_ გუშინ ღამე თუხთუხებდა მაჭარი, მეშინია, ქვევრი არ იყოს გახეთქილი, შვილო.
შვილიშვილმა ქვევრთან ჩაიმუხლა, სახურავზე დარჩენილი გადაბერტყა, მერე ნაპირები შემოუწმინდა. პაპამ თავისი ხელით ახადა ხუფი. ორშიმო მოიმარჯვა. დიდხანს იხედებოდა შიგნით, შემდეგ თავი გაწია და შვილიშვილი ჩაახედა.
_ გახეთქილა. _ თქვა ჯემალმა.
_ ჰო. _ დაუდასტურა პაპამ.
შვილიშვილი: ასე იცის, პაპა, მაჭარმა?
პაპა : ზოგჯერ ჰო, ზოგჯერ არა.
შვილიშვილი: ზოგჯერ რატო?
პაპა : იმიტომ, რო ზოგჯერ ქვევრის კედელი თხელია.
შვილიშვილი: მერე?
პაპა : მერე, მაჭარი კი ზედმეტად მდუღარე.
შვილიშვილი: ზოგჯერ კი?
პაპა : ზოგჯერ კი ქვევრის კედელი სქელია, მაჭარიც ნაკლებად მდუღარე.
შვილიშვილი: მერე?
პაპა : მაშინ არ სკდება.
შვილიშვილი: პაპავ, ეგ ქვევრი აღარა ვარგა?
პაპა : ქვევრი არა, მაჭარი კი. რაც დარჩა, უფრო კარგი ღვინო დადგება.
მოხუცმა ნიჩაბს წამოავლო ხელი და ახალი ორმოს თხრა დაიწყო. პაპა-შვილიშვილმა საღამომდე იმუშავეს; საღამოს ეზოდან მთელი, უფრო პატარა ქვევრი

შემოათრიეს და ორმოში ჩააგდეს. გამზადებულ ჭურჭელში გადაიღო მოხუცმა გახეთქილში დარჩენილი მაჭარი. პატარა ქვევრი უცებ გაივსო. რაც დარჩა, პაპამ კოკაში ჩაასხა, მერე შვილიშვილი პურზე გაგზავნა, თვითონ კი მჟავე ამოიღო.

ცოტა დალიეს.

პაპამ ყალიონი გააბოლა.

კიდევ დალიეს.

ჯემალი ოდნავ შეთვრა.

_ რამდენი წლისა ხარ, ბიჭო? _ გადააწიტა მოხუცმა.

_ თვრამეტის, პაპავ.

მოხუცმა კიდევ მოქაჩა, მერე კეფა მოიქექა.

_ ჯერ მაჭარი ხარ, შვილო, _ უთხრა და კეფა ისევ მოიქექა.

(წ. 1956. გვიანი შემოდგომა.)

"სკოლიდან გამოვარდნილი ბავშვები"

სკოლიდან გამოვარდნილი ბავშვები ტონანახევრიანს გადაუდგნენ წინ. შეშინებულმა მძღოლმა ძლივს დაამუხრუჭა მანქანა. სამი მათგანი კაბინაში ჩაჯდა, ოთხ-ოთხი კიბეზე დადგნენ, წინაც რამდენიმე დაჯდა. საბარგული გაიტენა. მანქანა ნელა დაიძრა.

_ ჩქარა, ჩქარა! _ ისმოდა ღრიალი.

_ ერთად, ბიჭებო, ერთი, ორი, სამი!

_ ჩქარა, ჩქარა, ჩქარა, _ დააგუგუნა მთელმა მანქანამ.

მანქანამ სვლას უმატა, კიდევ უმატა, მერე კიდევ.

_ ერთად, ბიჭებო! გაუმარჯოს სტალინს!

_ აბა, ერთი _ ორი _ სამი _ სტალინ, სტალინ, სტალინ!

_ გაუმარჯოს ლენინ _ სტალინს!

_ ერთად, ბიჭებო, აბა _ ერთი _ ორი _ სამი!

_ ლენინ _ სტალინ! ლენინ _ სტალინ!! ლენინ _ სტალინ!!!

წინიდან ასევე დატვირთული მანქანა მოჰქროდა.

_ ლენინ _ სტალინ!!

_ ლენინ _ სტალინ!!

გაისმა ორივე მანქანიდან.

ქუჩის ბოლოში გაღიმებული სახით მიიმალა მილიციელი.

ზევიდან დატვირთული პობედა,

ქვევიდან დატვირთული ტროლეიბუსი,

გვერდიდან ლინეიკა, გავსებული ისევ ბავშვებით.

მეორე გვერდიდან ავტობუსი გავსებული ისევ ბავშვებით.

_ ლენინ _ სტალინ!

_ ლენინ _ სტალინ!!

_ ლენინ _ სტალინ!!!

_ ლენინ _ სტალინ!!!!

მანქანები გვერდზე მიდგნენ. ბავშვებმა ყვირილი შეწყვიტეს. მთელს ქუჩაზე სტუდენტთა კოლონა გამოჩნდა. შუაგულიდან ისმოდა გაფრინდი, შაო მერცხალო.

_ გაფრინდი, გაფრინდი, _ მღეროდა ყველა.

კოლონის წინ სამი უზარმაზარი გვირგვინი მოჰქონდათ, გვირგვინების ორივე მხარეს

ლენინისა და სტალინის სურათები.

_ ერთი _ ორი _ სამი _ აბა ერთად.

_ ლენინ _ სტალინ!

_ ლენინ _ სტალინ!!

_ ლენინ _ სტალინ!!!

_ ლენინ _ სტალინ!!!!

ბავშვები მანქანებიდან ჩამოხტნენ. ერთად გაემართნენ. უკან მიჰყვნენ სტუდენტთა კოლონას.

_ გაფრინდი, შაო მერცხალო, _ ისმოდა გუგუნი.

_ გაფრინდი, შაო მერცხალო, _ ძლიერდებოდა გუგუნი.

_ გაჰყევ ალაზნის პირსაო, _ კიდევ უფრო ძლიერდებოდა გუგუნი.

ემატებოდა ხალხი. ქუჩის კუთხეში უზარმაზარი ჯერი იდგა შაქარზე. კოლონამ გაიტანა და თან წაიყოლია საყიდელზე გამოსული დიასახლისები. ზოგი ეცადა გამოსვლას. უშედეგოდ. ხალხი მიდიოდა შეუჩერებლივ, ნელა და რწმენით.

_ გაფრინდი, შაო მერცხალო, _ შეუერთდა ქალთა ხმები.

_ გაფრინდი, შაო მერცხალო, _ ემატებოდა ხალხი, ემატებოდა სიმღერის ხმები.

ცნობისმოყვარენი ჯერ ტროტუარით მისდევდნენ, მერე უერთდებოდნენ.

_ გაფრინდი, შაო მერცხალო, _ ემატებოდა მათი ხმაც.

გვირგვინები მთავრობის სახლთანაც დაასვენეს.

_ ხალხო! _ თქვა ერთმა ორატორმა.

_ ხალხო!! _ თქვა მეორე ორატორმა.

_ ხალხო!!! _ თქვა მესამე ორატორმა.

_ ლენინ _ სტალინ! _ გაისმა ხალხში გუგუნი.

_ ხალხო! _ განაგრძობდა პირველი ორატორი, _ ხალხო, სტალინი დიდია.

_ დიდია _ დიდია _ დიდია! _ გუგუნებდა ხალხი.

ახლა კოლონა სტალინის ძეგლისაკენ დაიძრა.

ბავშვების საძებნელად გამოსული ქალები თვითონ უერთდებოდნენ დემონსტრაციას.

ხალხი იღრინებოდა.

_ რამდენი წელია, შაქარი არა ყოფილა, _ ამბობდა ერთი ქალი.

_ ჩულქი არა მაქვს, _ ამბობდა მეორე.

_ ადი ტრიბუნაზე და თქვი, _ ჩაერია მესამე. ქალები ადიოდნენ.

_ ხალხო! _ ამბობდა ერთი დიასახლისი.

_ ხალხო!! _ ამბობდა მეორე დიასახლისი.

_ ხალხო!!! _ ამბობდა მესამე დიასახლისი.

_ ჩემი ნაშრომი დაიწუნეს მაშინ, სტალინი არააო ნახსენები, _ ჩურჩულით უყვებოდა ჭაღარა ჭაღარას.

_ მერე?

_ მერე შევიტანე, ახლა იწუნებენ, არისო.

_ ჩემიც, მეც რაღაც მაგდაგვარი მაკლდა.

_ ადით და თქვით, _ თქვა მესამემ.

ძლივს იკვლევდნენ გზას ტრიბუნისაკენ.

_ ხალხო! _ ამბობდა პირველი ჭაღარა.

_ ხალხო!! _ ამბობდა მეორე ჭაღარა.
_ ხალხო!!! _ ამბობდა მესამე ჭაღარა.
_ უ, უ, უ, უ, _ გუგუნებდა ხალხი.
ლენინ _ სტალინ!
ლენინ _ სტალინ!
ლენინ _ სტალინ!
ისმოდა ყვირილი.
_ დედა, დედა! _ ტიროდა სადღაც დაკარგული ბავშვი.
_ არულალო, ჰაი და არულალო, _ სუსტად გაისმა სიმღერა.
_ ქართველო, ხელი ხმალს იკარ, _ გაძლიერდა.
_ ქართველო, ქართველო, ქართველო, _ გუგუნებდა სიმღერა.
_ აი და არუ ლალუ, ქართველო, ხელი ხმალს იკარ,_ ღრიალებდა მოედანი.
ტრიბუნიდან ვიღაცა მოჭრილ ხელს აჩვენებდა, მერე ფეხი აწია და ძირავარდნილი ფეხსაცმელი გამოაჩინა.
მეორემ ყავარჯენი შეათამაშა და დაფლეთილი ქუდი მაღლა აისროლა.
_ გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!
_ საქართველოს!!
_ საქართველოს!!!
ხმები გაგიჟდნენ.
ხალხი მატულობდა.
საღამოვდებოდა.
ხალხი მატულობდა.
აინთო სინათლეები.
ტრიბუნაზე დასისხლიანებული დედაკაცი ავარდა.
_ ხალხო!
ხალხი გაყუჩდა. ყველამ იგრძნო სისხლი. თვალები აელვარდნენ. ჰაერში მუშტები აიმართა. ხალხი კიდევ უფრო გაჩუმდა.
_ ხალხო!!
ხალხი შეიკრა. გაისმა შრიალი. უკანები წინ მოაწყდნენ. კიდევ უფრო გაჩუმდნენ. ახლა ტრიბუნიდან ისმოდა დასისხლიანებულის სუნთქვა.
_ ხალხო!!! თქვენი დელეგატი, გაგზავნილი დეპეშების გასაგზავნად, კავშირების სახლში მცემეს. მე გამოვიქეცი, თერთმეტი დაჭერილია.
ვიღაცამ ჩაახველა, გაისმა შრიალი, მერე იმატა, მერე იმატა, მერე იმატა, მერე იმატა. ხალხი გაიშალა, შეიკრა, კიდევ შეიკრა.
_ კავშირების სახლისაკენ!
_ კავშირების სახლისაკენ!!
_ კავშირების სახლისაკენ!!!
_ არუ ლალო, ქართველო ხელი ხმალს იკაროო...
_ ქართველო! ქართველო!! ქართველო!!!
სადღაც დაიძახეს.
_ ლენინ _ სტალინ! _ ჯერ აჰყვნენ, მერე მხედრულის ხმებში ჩაინთქა.
_ ქართველო ხელი ხმალს იკარო!
_ ქართველო!!
_ ქართველო!!!
უკანა რიგები შეირყა, მერე წინას მიაწყდა.
_ ტ. ტ. ტ. ტ. ტ. ტ.!

_ ტტ ტ ტტ!!
_ ტ ტ ტ ტ ტ ტ ტ!!!
_ ტყუილია, ხალხს როგორ ესვრიან!
_ ტყუილია!!
_ ტყუილია!!!
უკანა მიაწყდა წინას. ღამე იყო.
ტ. ტ. ტ.! ტანკები!
ტ. ტ. ტ.!! ტანკები!!
ტ. ტ. ტ.!!! ტანკები!!!
_ ისვრიან! ხალხი აირია.
_ ისვრიან!! ხალხი ახრიალდა.
_ ისვრიან!!! ხმაურისაგან ხმაური აღარ ისმოდა.
_ დამჭრეს! პატარები ტანკებს ახტებოდნენ.
_ მოარტყეს!!
_ მოკლეს!!!

მოწაფემ ცარცი დააძრო ჯიბიდან და სვასტიკა დაახატა მუხლუხას.
ტ. ტ. ტ.!!!
ცარცი ხელიდან გაუვარდა.
ტანკიდან უსულოდ გადმოვარდა.
გვხოცავენ!
გვესვრიან!!
გვჟლეტენ!!!
ხალხი მიდიოდა ტანკებზე.
ხალხი გარბოდა.
ხალხი იბრძოდა, რითიც შეეძლო.

ქუჩაზე დავარდნილი ცარცი მოხუცმა აიღო ხელში, მის წინ დავარდნილ ბავშვს დააცქერდა, თვალებიდან ცრემლი წამოუვიდა, მერე გაჩერებულ ტანკს დიდი ვარსკვლავი მიახატა პატარასგან დახატული სვასტიკის გვერდით და ყრუდ გადაიხარხარა; ისევ დახედა ბავშვს, სახე აერია, ცრემლი შეუშრა. ახლა უკვე თმააშლილმა მთელი ხმით დაიწყო ხარხარი. ტანკი კი დაიძრა. წინიდან ბავშვები მორბოდნენ.

ტანკს პატარა სვასტიკის გვერდით დიდი ვარსკვლავი ეხატა.

მოხუცის მკვეთრი ხარხარი მუხლუხას ხმაურმა დაფარა.

გამოჩნდა უზარმაზარი მუხლუხა, ნელა მთელი ხალხი დაფარა, ნელავე გაქრა მისი ბორბლები. მისკენ გაქანებული ხალხი მხოლოდ პატარა სვასტიკას და გვერდით მიხატულ დიდ ვარსკვლავს ხედავდა. მოხუცის ხარხარი მატულობდა.

_ ბ_ბ_ბუმ, _ დაიგრგვინა ტანკმა, ხალხი გაქრა, შეწყდა ხარხარი.

გაისმა რუსული ვალსის ხმები, სადღაც პატეფონზე ჩასტუშკებს უკრავდნენ.

(წ.1956. შემოდგომა)

<u>**თ ო ვ ლ ი მ ო დ ი ს**</u>

დღიურიდან:

პირველი დღე
ბაკურიანში.

პირველი საღამოა. ცივა. ღორის ხორცს წვავენ: მურტალი სუნია. იქით ოთახში ოსის გოგოები პატრიოტიზმზე რაღაცა თემას წერენ.— "ხარატაანთ კერა" ვისია? — იკითხა ერთმა.
— აი, იმისი, აი, ქალო, — იგონებდა მეორე.
— მაიცა, მაიცა, — თქვა ამესამემ.
— მრევლიშვილის. — ვერ მოვითმინე მე. მოწაფეები გაჩუმდნენ. მერე ისევ ალაპარაკდნე.
ღორის ხორცმა უარესი სუნი აუშვა.
ცივა.
პალტო მოსხმული მაქვს და ისე ვწერ.

უკანასკნელად გურამს ვაკოცე და მატარებელს შევახტი.

_ მომწერე! _ დავიძახე კიბიდან.

_ კარგი, კარგი.

_ გინდ ტყუილი.

_ კარგი, ჰო. _ გაიცინა გურამმა.

ნუგზარი ქუდს იქნევდა.

მატარებელმა სვლას არ უმატა. იმავე სიჩქარით გასცდა სადგურს. ახმახ გამცილებელს უხეშად გავკარი გვერდი, ნელა გავაღე გორგოლებზე შემდგარი კარი. კუპეში ბნელოდა. მარცხენა ქვედა საწოლზე ვიღაცა გათხლაშულიყო; კეპი ცხვირზე ჰქონდა ჩამოფხატული; მარჯვენაზე ორი ქალი იწვა. მეორეს პირველის გავაზე ჰქონდა დადებული თავი. ხმას არ იღებდნენ. რატომღაც მომინდა, სადგურზე დარჩენილი ნუგზარისთვის მეკოცნა.

მატარებელმა სვლას უმატა.

_ რომელზე ვიქნებით ბორჯომში? _ ვთქვი ხმამაღლა.

_ ოთხზე, _ თქვა კაცმა.

_ ჰო, ოთხზე, _ ამოიოხრა ქალმა.

_ ან ხუთზე, _ ჩაიბუტბუტა მეორე ქალმა.

მე ზედა თაროზე ავძვერი, პალტო გავშალე. ძლივს გავიხადე სამთო-სათხილამურო ფეხსაცმელები, როგორც იყო მოვირგე თავქვეშ.

გავყუჩდი:

გულდაღმა დიდხანს ვერ გავძელი.

გადმოვბრუნდი:

პიჯაკის ჯიბეში ყალიონი მედო: ზედ გულზე დამაწვა ტარით. ახლა მარჯვენა მკლავზე დავწექი. ნელა გადავიხედე ქვევით. კაცი უმოძრაოდ იწვა. ჩემი თაროს ქვევიდან ფშვინვა მესმოდა. ყალიონი ამოვიღე და ისევ გულზე გადაბრუნება ვცადე.

_ სიცივეა თბილისში, _ თქვა კაცმა.

_ აბა, ქალო, _ თქვა ქალმა.

_ გავიყინე, _ თქვა მეორე ქალმა.

_ ნესტია, _ ვთქვი მე.

ისევ სიჩუმე. მატარებელი სადღაც გაჩერდა. ვიწრო დერეფანში ახმახი გამცილებელი დადიოდა. მატარებელმა სვლა აიღო, მერე უმატა, მერე კიდევ უმატა.

_ წ _ წ _ წ, _ იძახდა ქარი.

_ დგ _ დგ, დგ _ დგ, _ იძახდნენ თვლები ლიანდაგებზე.

წავთვლიმე.

_ დგ _ დგ, დგ _ დგ, _ მესმოდა ძილში, მერე აღარ მესმოდა.

ჩქარა გამომეღვიძა. ახლა ვთვლემდი: რატომღაც ძალიან მომენატრა დედა. მომაგონდა: ორი-სამი საათის წინ ჩხუბით წამოვედი. უფრო მომენატრა. გამახსენდა: თბილისში ძალიან მომწყინდა და ბაკურიანში იმიტომ წამოვედი.

ქალაქში ციოდა: დღისით სუსხიანი ქარი ქროდა. ღამე ყინავდა. საღამოს შეშა ამომქონდა სარდაფიდან. დიდი, თეთრი კაფელის ღუმელი უცებ ხურდებოდა და ნელა ცივდებოდა. მე ვიჯექი ღუმელთან: ვწევდი ყალიონს. ნელა მოდიოდა ძილის დრო. დედა შალმოსხმული ფუსფუსებდა სამზარეულოში.

_ მარინე, ალბათ, ახლაც უკრავს, _ გავიფიქრე, მერე მომაგონდა, რომ უკვე პირველი იქნებოდა. სახლში ამ დროს ყველას ეძინა. _ შეიძლება მამა მუშაობს მარტო _ ისევ გავიფიქრე. ასე იყო ყოველთვის: დედა ფუსფუსებდა სამზარეულოში, მარინე უკრავდა, თან დედის დარიგებას უსმენდა დაკვრის შესახებ; მე ვიჯექი და ვაბოლებდი. უზომოდ მარტო და მოწყენილი ვიყავი ყოველ საღამოს.

მატარებელმა სვლას უკლო.

_ დგ . . . დგ . . . დგ . . .დგ, _ ახლა უკვე მკრთალად, მერე უფრო მკრთალად ისმოდა ხმა. მერე გაჩერდა. ბურანიდან გამოვედი.

_ ნეტა ბორჯომში თოვლია? _ ვთქვი ხმამაღლა.

_ დიდი ძალიან, _ თქვა კაცმა.

_ ძლივს გახვალ, _ თქვა ქალმა.

_ ძლივს არა, ისა, _ თქვა მეორე ქალმა.

ნელა შეირყა ჩემი თარო. მე თავი ოდნავ უკან შემიქანდა, ისევ გამისწორდა. მატარებელი სიჩქარეს იღებდა.

_ დგ _ დგ, დგ _ დგ, _ ხმაურობდნენ ლიანდაგები. დერეფანში გამცილებლის ნაბიჯების ხმა გაისმა. კარი ჭრიალით გაიღო.

კუპეში სიცივე შემოვარდა. შევიშმუშნე.

_ აქ დაწვები, _ თქვა გამცილებელმა და მეორე ზედა თარო ჩამოწია. ვიღაცა ქურქიანი ძლივს აძვრა. კარი ისევ გაიღო. გამცილებელი გავიდა. სიცივემ იმატა. მე მარჯვენა გვერდზე გადავბრუნდი და მოვიკუნტე. დერეფანში მიმავალი გამცილებლის ნაბიჯების ხმა ისმოდა, ჯერ მკაფიოდ: ბოლოს ყრუდ, სულ ბოლოს მიწყდა.

ქვევით გადმოვიხედე: ყველას ეძინა.

ქურქიანი უკვე კარგად მოწყობილიყო.

_ დგ _ დგ, დგ _ დგ, _ იძახნენ ლიანდაგები.

_ მალე მივალთ. _ თქვა ქალმა.

_ ნახევარ საათში, _ თქვა კაცმა.

_ ნახევარში არა, ისა. _ თქვა მეორე ქალმა.

მე ისევ გულზე გადმოვბრუნდი და ბნელ თოვლს დავუწყე ყურება.

_ კაცს ვერ დაუძინია, _ ჩაიბურდღუნა ქურქიანმა.

წელი 1956. 17 დეკემბერი.

<u>აქ კი თბილა?</u>

ვაჟა ჯანდიერი ახლა თბილ, პატარა ოთახში იჯდა. ძლივს იშოვა ასეთი ჭერი. ამ წელს დიდი სიცივეები იყო ბაკურიანში. თხელი კედლები ყინვას ვერ იჭერდნენ. ვაჟა იჯდა და სიამოვნებდა, რომ ასეთი თბილი ოთახი იშოვა. დიასახლისი ჩაის ადუღებდა, პატარა ბიჭი ალგებრის ფორმულებს იზეპირებდა. კარი დაუკაკუნებლად შეაღო მეზობელი ოსის დედაკაცმა.

_ წელს ძალიან ცივა, _ თქვა მან.

_ მაშა, ქალო, კედლები ვერ იჭერენ, _ თქვა დიასახლისმა.

_ დედა, _ წიგნი დაკეცა ბავშვმა, _ სკოლაშიაც ისე ცივა, რო...

_ აქ კი თბილა, _ თქვა ვაჟამ.

_ აქ ისეთი ხალხია, _ თქვა მეზობელმა, მერე რაღაცების მოყოლა დაიწყო. ვაჟას სიამოვნებდა, რომ მარტო ცივ ოთახში გატარებული ორი დღის შემდეგ მის გარშემო თბილოდა, თან დედაკაცები ოსურ-ქართულად ლაპარაკობდნენ. ჩაიმ ჯერ რამდენი-მეჯერ ამოიფშვინა, მერე გაბმული შიშინი დაიწყო. დიასახლისმა სუფრა გაშალა, კარადიდან არაყი გამოიღო.

_ კეთილი იყოს ჩემი ფეხი ამ ოჯახში. _ თქვა ვაჟამ და ჭიქა დაცალა.

_ კეთილი იყოს, _ თქვა დიასახლისმა.

_ გაგიმარჯოს, _ თქვა მეზობელმა, ღრძილები გამოაჩინა და გადაჰკრა, მერე ოცი წლის წინ გაშორებული ქმრის ლანძღვას მოჰყვა. ვაჟას არ ეხამუშებოდა მისი გაწელილი, დამახინჯებული ქართული. დიასახლისმა ღორის ხორცი ჩამოარიგა. მოშივნულები გამალებული ჭამდნენ. ოთახში მხოლოდ პირის ტკაპა-ტკუპი ისმოდა. «რა მადიანად ჭამენ», გაიფიქრა მან, მერე თვითონაც სცადა პირი ეტკაპუნებინა. შეუჩვეველს არ გამოუვიდა. ჩუმად განაგრძო ჭამა. გარშემო კი ისმოდა ტუჩების ტკაპუნი. ვაჟას უხაროდა, რომ მადიან გლეხ ხალხთან იჯდა და ოთახში თბილოდა. მეზობელმა თეფში მოლოკა, ისევ გაიღრიჭა და თითები გაიტლიკა. ვაჟამ მის მაგალითს მიბაძა. ყველამ გაიცინა.

_ ნამდვილი ოსის ბიჭია, _ თქვა მოსულმა.

_ აბა, ქალო, სულ არ იპრანჭება, _ თქვა დიასახლისმა.

პატარა ბიჭი ახლო მივიდა მასთან, უხორცო ხელი გადაჰხვია. ვაჟამ პაპიროსი გააბოლა. მალე მეზობელი წავიდა. ვაჟა გაშიშვლდა და თბილ ლოგინში გაეხვია.

დილით ოთახში ცოტა ციოდა.

პატარა ბიჭმა ცეცხლი დაანთო.

თბილ ოთახში ადგა ვაჟა.

ისაუზმეს.

მთელი დღე თხილამურებზე იდგა. მზე ანათებდა და წვავდა. დიდხანს უშვერდა სახეს სხივებს. ლოყები დაებრაწა.

მესამე დღეს უკვე მოიგონა, რაც დავიწყებული ჰქონდა.

კვირის თავზე უკვე რთულ დროშებში გადიოდა. შვიდივე დღე მზე იყო, მერე თოვა დაიწყო. მთიდან დაშვებული გზას ძლივს არჩევდა. ახლა უფრო ხალისიანი გახდა სრიალი. საღამოს დასველებული მივიდა. წინდები დასაშრობად დააწყო, თვითონ კი «რობინზონ კრუზოს» კითხვა დაიწყო, რომელიც თერთმეტი წლის ბიჭს თავისთვის გამოეტანა სამკითხველოდან. იმ ღამეს არავის დაანება წიგნი. წინდები ჯერ სქელ ორთქლს უშვებდნენ, მერე რაღაცა სუნი ეცა. დიასახლისმა ვაჟას ახლად დამწვარი წინდა ჩამოიღო.

შემდეგ დღესაც თოვდა, მერე გამოიდარა. ვაჟას მთაზე, ზევით ასვლა დაეზარა და ქვევით სრიალებდა.

მალე დაანება თხილამურებს თავი და «დინამოში» წავიდა:

ოსის ბიჭები პინგ-პონგს თამაშობდნენ. სასადილოში სამი ჭიქა ჩაი დალია და სახლში დაბრუნდა.

_ ასე ადრე? _ იკითხა დიასახლისმა.

_ ჰო, _ თქვა ვაჟამ.

_ არ იცურავე? _ იკითხა ბიჭმა.

_ ვიცურავე, _ თქვა ვაჟამ, მერე წიგნი აიღო.

ბიჭი ოსურად რაღაცებს უყვებოდა დედამისს, მერე დედამ დაიწყო ხმამაღლა ლაპარაკი, ეტყობოდა, ვიღაცასა ლანძღავდა. ორი გვერდი ისე ჩაიკითხა ვაჟამ, არაფერი გაუგია, მერე ისევ გადმოშალა უკან და ახლიდან დაიწყო კითხვა. ოთახში დიასახლისის ძმა შემოვიდა.

_ გამარჯობათ, _ თქვა მან.

_ ღმერთი გასოსხლებს, _ უთხრა დამ.

ბიჭმა სკამი მიაწოდა.

ვაჟამ მხოლოდ თავი დაუქნია, ისევ წიგნს მიუბრუნდა. ახლა კაცმა დაიწყო ოსური, წაყრილი თუ გაბმული ლაპარაკი. ვაჟამ ბოდიში მოიხადა და ჩაწვა.

დილით სიცივემ გამოაღვიძა. ბიჭმა ოთახში ცეცხლი დაანთო. ვაჟას ისევ ჩათვლიმა. ღუმელი გახურდა. დაცხა, ის სულ გამოფხიზლდა. დედა-შვილი მაგიდას მისჯდომოდა. ორივენი წინა დღით მოხარშულ თევზსა ჭამდნენ.

იყო ტუჩების ტკაპუნი.

ვაჟამ მაგიდისკენ გაიხედა: დედას ღრძილებში ფხა გარჭობოდა და თითებით იღებდა.

გადმობრუნდა, მაგრამ თვალწინ ოსის ქალის დაღებული პირი და დაუღეჭავი ლუკმა ედგა.

იყო ტუჩების ტკაპუნი: საბანი თავზე წაიხურა, მაგრამ მაინც ესმოდა. გულზე მოაწვა.

როგორც იყო დაამთავრეს ჭამა.

_ რომელი იქნება? _ იკითხა დედამ.

_ ახლა ჩაიარეს ჩანთებით, _ თქვა ბიჭმა.

_ მაშ ცხრა ხდება, _ თქვა დედამ.

_ წავიდეთ, _ თქვა შვილმა.

_ ვაჟა? _ იკითხა ბიჭმა.

_ ეძინოს, _ დედამ ჩანთა აიღო.

მათი წასვლის მერე ოთახში სიმყუდროვე ჩამოდგა. ვაჟამ თავი გამოყო საბნიდან. უცებ ეცა ღორის ხორცისა და თევზის სუნი. ისევ მოაწვა გულზე: მაგიდაზე ფხები ეყარა. ცეცხლი გამომქრალიყო. გაციებულ ქურაზე დადგმულ ტაფაზე ღორის ქონი იყო მიყინული.

უფრო მოაწვა გულზე: სწრაფად გადაბრუნდა კედლისკენ.

წელი 1956. დეკემბრის 20.

პ ი ნ გ - პ ო ნ გ ი

დღიურიდან:
გუშინ, ჩემთან

— ცხოვრებაში მთავარი ადამიანობაა, — თქვა გურამმა,მერე სარკეში ჩაიხედა და თმა აიშალა.

— შენ ვერ აჯავრებ მთვრალს. — წამოდგა ნოდარი.

— აბა, შენც გნახავთ.

ნოდარი წელში მოიხარა, არ დაიბნე, — თქვა მან. ყველას გაეცინა.

— არა, — დაიძახა ვიღაცამ.

— აბა?

— ცხოვრება პიგ–პონგია, — ბოხი, ჩახლეჩილი ხმით თქვა ქართლოსმა და სავარძელში ჯდომა განაგრძო.

ვაჟამ ნაღრძობი ხელი კისერზე გადაკიდებულ მარლის ჩამოსაკიდში ჩადო, პალტო ჩაიცვა და თოვლიან გზას ჩაუყვა. ყინავდა. თოვლი ხრაშუნობდა. ვაჟას სიამოვნებდა ასეთი ხმები. უფრო მაგრად ურტყამდა ფეხებს. გახურდა. გაყინული თოვლი კი ჭრიალებდა. თეთრი ბერეტი შუბლზე ჩამოიფხატა. სოფლელმა გოგოებმა რაღაცა დაუძახეს, მერე სიცილით გაიქცნენ. ვაჟა თამბაქოს საყიდად დუქანში შევიდა. ოთახი სავსე იყო ბავშვებით:

შაქარს არიგებდნენ.

_ ვანოვ. _ წრიპინებდა ერთი.

_ რაი?

_ ვერ გეტყვი გამოცანასა?

_ ვერა.

_ გეტყვი, დახე.

_ ვერც მეტყვი.

_ აბა რა არი, ყველას რო უნდა ჰქონდეს?

_ არც რაი.

_ რო ჰო.

_ შეშაი.

_ არა.

_ შაქარი.

_ არა.

_ მაშ ღორი ან სალაი.

_ არა, გითხრა მე?

_ თქვი, რა?

_ რაი და სახელი, მიწასაც უნდა, შეშას, წყალსაც, შაქარსაც, სალასაც, ენდე, აკი გითხარ.

ვაჟას გაეღიმა: თვითონაც ვერ გამოიცნო, მერე პაპიროსი გამოართვა. ფეხქვეშ ისევ აუჭრიალდა თოვლი. ახლა ფოსტაში შეუხვია. თავის გვარზე მოთხოვნამდე გამოგზავნილი რაიმე მოსთხოვა და მოლოდინში ნაღრძობი ხელის თვალიერება დაიწყო.

_ თქვენი გვარი? _ თქვა თავშალში გახვეულმა ახალგაზრდა ოსის ქალმა.

_ ჯანდიერი, _ გაუმეორა ვაჟამ.

გამოწვდილი დეპეშა ჩამოართვა, დიდხანს ატრიალა. ძლივს გაარჩია ასოები. რაღაც შემოაწვა გულზე სიხარულივით, ხელის ტეხა შეუჩერდა. მერე ეჭვებმა შეიპყრეს. კიდევ ჩაიკითხა. დეპეშაში გარკვევით ეწერა: ***პროექტი მოგიწონეს ძალიან, მოგილოცავთ დედა, და, მამა***.

ვაჟა მსუბუქი ნაბიჯებით გამოვიდა გარეთ. უზომოდ სიამოვნებდა ყინვა. ფოსტიდან პირდაპირ «დინამოში» მივიდა. აქ ოსის ბიჭები და თბილისელი მოთხილამურეები გამალებული თამაშობდნენ პინგ-პონგს.

_ პინგ, პინგ, _ იძახდა ბურთი მაგიდაზე დაცემისას.

_ პონგ, პონგ, _ იძახდა ბურთი ჩოგანზე მოხვედრისას.

ვაჟამ დარბაზი მოათვალიერა, მერე ნაცნობებს მიესალმა და სავარძელში ჩაჯდა. გრძელტარიანი ყალიონი ამოიღო. გოგოებმა გაიცინეს, ბიჭებმა გაკვირვებით დაუწყეს ყურება. მან ახლად ნაყიდი მახორკა ჩატენა და გააბოლა. ბოლი იყო თეთრი და ყვითელი. ვაჟა იჯდა და ფიქრობდა. ბურთი კი დახტოდა და იძახდა:

_ პინგ-პონგ, პინგ-პონგ.

ვაჟამ ისევ მოათვალიერა დარბაზი, რატომღაც გული დასწყდა, რომ მის სიხარულს არავინ იზიარებდა. გოგოები დომინოს თამაშობდნენ, ბიჭები ქაღალდს. ორი ბაკურიანელი და ერთი სვანი მასთან დასხდნენ.

_ სად გიშოვია? _ იკითხა სვანმა.

ვაჟამ ყალიონი შეათამაშა.

_ ხევსურეთში მაჩუქეს.

_ იქ რა გინდოდა?

_ ისე ვიყავი.

_ სვანეთში ყოფილხარ?

_ ჰო.

_ წამოხვალ ხვალე კოხტაზე? _ თქვა ბაკურიანელმა.

_ წავიდეთ.

_ დილას ჩამოდი.

_ კარგი.

მერე დაიწყეს ბობსლეიზე ლაპარაკი, მერე სწრაფდაშვებაზე, მერე სროლაზე, ბოლოს გოგოებზე.

ვაჟა ყალიონს ეწეოდა და ახლა უკვე სიამოვნებით საუბრობდა.

_ შენი ჯერია, _ დაუძახა თბილისელმა.

ვაჟამ ნატკენ ხელს დახედა, მერე ჩოგანი ჩამოართვა და თამაში დაიწყო. ჯერ გაივარჯიშა, შემდეგ ანგარიშზე დაიწყეს.

გახურდა ჩოგანი.

გახურდა ვაჟა.

_ პინგ-პონგ, პინგ-პონგ. _ იძახდა ბურთი.

წელი 1956. 21 დეკემბერი. ბაკურიანი.

შენიშვნები

1956-1957 წლების თითქმის ყველა მოთხრობა დაწერილია თაბახის ფურცლის ორივე გვერდზე ე.წ. მუდმივი კალმით, რომელიც ახლაც ინახება არქივში, მუქი ან ღია ლურჯი ფერის მელნით, (1957 წლის მოთხრობები გამოქვეყნებული იქნება მეორე ტომში). მხოლოდ სამი თუ ოთხი მოთხრობაა დაწერილი ქიმიური ფანქრით, რამდენიმე კი ჩვეულებრივით. ერთ-ერთ დღიურში მწერალი წერს: „მენანება, ფანქრით რომ დავწერე, წაიშლება, თან მეცინება, რა მნიშვნელობა აქვს. არაფერი. ისე მაინც. რა ვიცი.» (ამონაწერი 1957 წლის დღიურიდან: „გუშინ და გუშინწინ დღის მეორე ნახევრიდან აღარა მქონდა ქიმიური ფანქარი, უბრალოთი კი არ მინდა წერა, მეშინია, რომ ის, რაც იფიქრა კაცმა, სამუდამოდ დაიკარგოს _ თუმცა ეშმაკმა წაიღოს, მაგრამ მაინც ასეა. ჰო. აქაური. აქ.») ზოგი ავტოგრაფი ნასწორებია ყავისფერი, ლურჯი ან წითელი სქელწვერა ფანქრით.

ამ წლების შავი ავტოგრაფები ძირითადად, მართალია, გაკრული ხელით, მაგრამ მაინც გამოყვანილი, მოწესრიგებული, ლამაზი, უფრო მომსხო, მოდიდო, მოგრძო, სწორი ასოებითაა ნაწერი. მხოლოდ ერთ-ორ ავტოგრაფში გვხვდება რატომღაც დაქანებული ხელწერა (აღნიშნულია შენიშვნებში). გურამის კალიგრაფია წლების განმავლობაში განიცდიდა ცვლილებას. მომდევნო წლების შავი ავტოგრაფები შევსებულია თანდათანობით სულ უფრო და უფრო გაკრული, მოწვრილო და ხანდახან ერთმანეთზე მიყრილი, უკვე ძნელად გასარჩევი ასოებით.

თავდაპირველად მწერალი ტექსტს, ხანდახან სულ რამდენიმე წინადადებასაც კი, საგანგებოდ ლამაზად, ხალვათად ათავსებს გვერდზე. გვერდი თავისუფლად სუნთქავს. შემდეგ კი უკვე ოთხივე მხარეს, კიდით კიდემდე იწყებს თაბახის ფურცლის ტექსტით შევსებას. „რა მოგივიდა? რა კარგად წერდი» ჰკითხა ერთხელ გურამს გიორგი შატბერაშვილმა. როგორც ჩანს, ხელწერასთან ერთად, ახალგაზრდა მწერლის ნაწარმოებების შინაარსისა და ფორმის სხვა ელემენტებმაც დაკარგა ის სიცხადე, ლაკონურობა, რაც პირველი მოთხრობების მიმზიდველობას ქმნიდა. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ტექსტი ვერც ერთი პარამეტრით ვეღარ იტევდა სათქმელს.

შავი ავტოგრაფების ხელწერა ხანდახან ძალიან ჰგავს დედაჩვენის ხელს, პირველი წლების თეთრი ავტოგრაფების მშვიდი, დარბაისლური, ჩემი აზრით, ზედმიწევნით ქართული კალიგრაფია კი დიდი პაპის, ჩვენი ბებოს ძმის ივანე ჯავახიშვილისას. უფრო გვიანი ნაწერები თავისი მოწვრილო, მიყრილი ასოებით, იშვიათად, მაგრამ მაინც მაგონებს ხოლმე მამაჩვენის, მიხეილ რჩეულიშვილის ხელწერას.

ყველა ნაწარმოებს აქვს პაგინაცია. თუმცა მისი აღნიშვნის თავისებურებაც იცვლება წლიდან წლამდე. თავდაპირველად გვერდების ნომრები ხან ნახევრად კუთხოვან ფრჩხილებშია ჩასმული, ხან ნახევრად მრგვალში, შემდეგ საერთოდ ფრჩხილების გარეშეა. 1956 წლის გაზაფხულზე კი პირველი გვერდის ნუმერაცია „1» ხანდახან მთელ ჩანახატადაა ხოლმე გადაქცეული (იხ. ქვემოთ). არის შემთხვევები, როდესაც მექანიკური შეცდომებია ტექსტის გვერდების დანომვრისას. ყველა ცალკეული შემთხვევა აღნიშნულია შენიშვნებში.

მწერლის ავტოგრაფების ერთ-ერთ თავისებურებას ქმნის უმნიშვნელო სხვაობა ნაწარმოებების შავ და თეთრ ვარიანტებს შორის. ერთი მეგობარი იხსენებს, რომ ერთხელ გურამს მისთვის წაუკითხავს ახლად დასრულებული მოთხრობა „დევების ცეკვა». მოსწონებია, თუმცა მოთხრობა, მისი აზრით, ჯერ კიდევ დაუმუშავებელი ყოფილა, ამორფული. გავიდა დრო. გურამი უკვე გარდაცვლილი იყო, მოთხრობა მან

ხელახლა წაიკითხა, ოღონდ, უკვე ნაბეჭდი, გასწორებული ვარიანტი. გამიკვირდა, როგორ კარგად ემუშავა გურამს ტექსტზე, როგორ კარგად შეეკრა მოთხრობაო. ალბათ ძნელი იქნებოდა, მეგობრის დარწმუნება, რომ ეს იყო გურამის ახალ სტილს შეუჩვეველი მკითხველის შთაბეჭდილება, რადგან „დევების ცეკვის» მხოლოდ გურამისაგან მოსმენილი ვარიანტი არსებობს. ნაბეჭდი ტექსტი მხოლოდ ერთ-ორ ადგილას არის რედაქტორის მიერ ჩასწორებული, ისიც, ჩემი აზრით, მოთხრობის საზიანოდ.

გურამი სიტყვებს, ხანდახან მთელ წინადადებსაც კი, სხვადასხვანაირად შლიდა. ზოგს როგორც თვითონ წერს, „შანსიანად», სრულ გაურჩევლობამდე („შურისძიება» იხ. ტექსტი: „ლ-ე-ი-ლ-ა, როცა დაწერა მიიხედ-მოიხედა... ახლა დაიწყო პარალელური ხაზებით დაწერილის გადაშლა, როცა სულ გაურჩეველი გახადა, თავი გაანება...») ზოგი გადაშლილის წაკითხვა კი თითქოს მწერლის სურვილსაც წარმოადგენს. (ასეთი შემთხვევები მოყვანილია შენიშვნებში).

გურამის მოთხრობებს ციკლური ხასიათი აქვს. მოთხრობების ციკლური ხასიათის შესახებ არა ერთხელაა პირდაპირ თუ არაპირდაპირ ნათქვამი მწერლის დღიურებსა და ჩანაწერებში. როგორცა ჩანს, გურამის დამოკიდებულება თავისი ნაწარმოებების ციკლური ხასიათის მიმართ იმდენად თანმიმდევრული იყო, რომ თავისი შინაარსით და მოცულობით მნიშვნელოვანი მოთხრობა „ირინა და მე», მაინც არ იყო მის მიერ დამთავრებულად აღქმული. 1959 წლამდე არსებობდა „ირინას» მხოლოდ შავი ვარიანტი (დაწერილია 1958 წლის მარტში). გურამი „ირინას» დაუბრუნდა, როგორცა ჩანს, მხოლოდ მოთხრობათა ციკლის გააზრების შემდეგ. ამ ციკლს მან დაარქვა „ჩემი პირველი ლიტერატურული შეხედულებები.»

მოსკოვის ერთ-ერთ დღიურში ჩაწერილია მწერლის დიალოგი მილიციელთან:

« _ რას წერ?

_ ციკლს მოსკოვის ცხოვრებიდან

_ მერე და ციკლი რა არის?

_ რამდენიმე მოთხრობა გაერთიანებული ერთი თემატიკით...»

გურამ რჩეულიშვილის ზოგიერთი მოთხრობის ბოლოს ფრჩხილებში წერია „(სერიისათვის)». მართლაც, 1956 წლების ნაწარმოებების დაჯგუფება ადვილად შეიძლება სიყვარულის, ბაკურიანის, ზღვის და კიდევ სხვა ციკლის მოთხრობებად თემატიკის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ლირიკულ გმირთა საკუთარი სახელები უშუალოდ დაკავშირებულია ამ ციკლებთან: მაგალითად, პირველი წლების ბაკურიანისა და სიყვარულის ციკლის მოთხრობები უმეტესად ცქიტოსთან, ზღვის ციკლის და შემოდგომის მოთხრობები ვაჟა ჯანდიერთან. ასევე პირველი მოთხრობების პერსონაჟი ქალი თითქმის უცვლელად არის ლეილა. 1957 წლის მარტში (იხ. მომდევნო წიგნი) დაწერილი მოთხრობის „ლეილა სარკესთან» შავ ავტოგრაფში ჩანს, როგორ უნდოდა გურამს თითქოს განთავისუფლებულიყო ამ სახელისაგან: პერსონაჟ ქალს თავდაპირველად დაარქვა თამილა, შემდეგ შეცვალა მზიად, შემდეგ ლეილად, შემდეგ პირველ „სიაში» კვლავ დაუბრუნდა მზიას („მზია სარკესთან»), მაგრამ ბოლოს მაინც დატოვა, თითქოს შენიღბა ლეილათი. გურამმა სახელი ირინა პირველად შემოიტანა 1958 წელს მოთხრობაში „ირინა და მე» და უკვე შემდეგ, წინა ნაწარმოებებში რეტროსპექტულად მოახდინა გარკვეული ტიპის ქალთა სახელების უნიფიცირება. გურამი მზიას მიუბრუნდა 1959 წლის მოთხრობაში „ბათარეკა ჭინჭარაული» და დაუმთავრებელ რომანში „საიდან მოვდივარ ...»

ამ გამოცემაში მკაცრად ვიცავ ჟანრულ-ქრონოლოგიურ თანამიმდევრობით და, ცხადია, ჩემი ნებით, თვითნებურად არ ვახდენ ნაწარმოებების დაჯგუფებას თემატიკის ან სხვა პრინციპის მიხედვით, თუ ეს მწერლის მიერ უკვე არ არის გაკეთებული.

გარდა ხელნაწერებისა, არქივში ინახება კუთხოვანშრიფტიან მანქანაზე მწერლის სიცოცხლეში გადაბეჭდილი რამდენიმე მოთხრობა. მათი ხელნაწერები დაკარგულია. ისინი, როგორცა ჩანს, წარმოადგენენ ავტოგრაფების ასლს.

გურამ რჩეულიშვილის არქივი თითქმის მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში ინახებოდა მამაჩვენის კაბინეტში და მთლიანად დედისა და მამის განკარგულებაში იყო. ზოგიერთ ავტოგრაფს ეტყობა, რომ დედა და მამა ცდილობდნენ მათ წაკითხვას და მოწესრიგებას. ზოგიერთ ავტოგრაფზე, იშვიათად, თუმცა მაინც გვხვდება სხვა ხელი. ყოველი ცალკეული შემთხვევა აღნიშნულია შენიშვნებში.

მართალია, გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობა მოიცავს მხოლოდ ოთხ წელიწადსა და რამდენიმე თვეს, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი იყო მწერლის შემოქმედებითი მემკვიდრეობის ქრონოლოგიური ჩარჩოს შექმნა. ეს მაქსიმალურად შესაძლებელი სიზუსტით წარმოაჩენდა მწერლის სულიერ ბიოგრაფიას, ეტაპურად რომ მიიწევდა წინ, ისე როგორც არქივში აღმოჩენილ ჩემი ძმის ერთ-ერთ ჩანახატზეა აღბეჭდილი: მთელი ფურცლის სიგრძეზე ხატია სხვადასხვა ზომის და სიდიდის საფეხურები, რომლებიც მიიწევენ მაღლა, ფურცლის მარჯვენა ზევითა კუთხისაკენ. ამ ჩანახატს რუსულად მიწერილი აქვს: „Ступеньки без начала и конца разного размера».

ქრონოლოგიური ჩარჩოს შექმნაში ბევრი რამ დამეხმარა. უპირველეს ყოვლისა, ცხადია, დათარიღებული ნაწარმოებები. მათი საშუალებით ჩამოყალიბდა მწერლის შემოქმედების დათარიღებისათვის ერთგვარი ორიენტირები. აგრეთვე დამეხმარა: ფურცლის ფორმატი, ხარისხი, ფერი, ფაქტურა, კალიგრაფია, მელანი, ხელწერა, ნაწარმოებთა დათარიღების თავისებურება, ტექსტის გრაფიკული სტრუქტურა, ავტოგრაფის თავფურცლით გაფორმება, ჩანახატები და ჩანახაზები, რომელნიც მწერლის ავტოგრაფებში გარკვეულ პერიოდში გვხვდება. აქ უნდა გამოვყოთ ასო „ტ» –ს თავისებური ხელწერაც, რაც მეტ-ნაკლები სიხშირით გრძელდება ერთ-ორ თვეს, ასე რომ, დათარიღებისათვის ეს საკმაოდ მყარი ორიენტირი იყო. ასევე მნიშვნელოვანი იყო პაგინაციის პირველი გვერდის რიცხვი „1»–ის ფიგურული გაფორმება. დათარიღებისთავის საჭირო ინფორმაცია მომცა, ცხადია, თემატიკამ, სტილმა, პაგინაციის აღნიშვნის თავისებურებამ და სხვა. მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე საკუთარი სახელები, ჩვენი შენიშვნით წლიდან წლამდე რომ იცვლება.

თავფურცელი

1956-1957 წლებში, მოთხრობის დამთავრების შემდეგ, მწერალი ავტოგრაფს უკეთებდა თავფურცელს. ხანდახან თავფურცლად იყენებდა მოთხრობის ბოლო, ცარიელ გვერდს, რადგან ის ჩვეულებრივ წერდა ფურცლის ორივე მხარეს. შემდეგ ავტოგრაფს კეცავდა შუაში და ერთ-ერთ ნახევარზე ათავსებდა ან მხოლოდ სათაურს, ან სათაურსა და თარიღს, ან სათაურსა და თარიღს თაბახის ფურცლის ერთ მხარეს, ხოლო წვრილად ნაწერ დღიურს, რომელიც ხშირ შემთხვევაში ტექსტის ნაწილი ხდებოდა, თავისი თარიღით – მეორე მხარეს. იშვიათად თავფურცელზე წერდა მხოლოდ თარიღსა და დღიურს. შემდეგ შუაში გაკეცილ ხელნაწერს, რომელსაც თავფურცელი ყდასავით ჰქონდა შემოვლებული (ამიტომაც გურამის ავტოგრაფების უმეტესობას ატყვია კვალი, რომ ისინი ერთ დროს შუაში იყო გაკეცილი), ინახავდა ან ჯიბეში, თუ სახლში არ

იყო, ან ლომბერის მაგიდის პატარა უჯრაში, რომელიც მთელი ამ წლების განმავლობაში მისი სამუშაო მაგიდის როლს ასრულებდა, ან მაგიდის გვერდით მდგარ ტუმბოში, დედა ერთ დროს საოჯახო აფთიაქად რომ იყენებდა.

შენიშვნებში მოთხრობის გვერდების რაოდენობის დასახელებისას პირველი „1»-ით მითითებულია თავფურცელი ან დღიური, რომელიც წინ უსწრებს მოთხრობას, მაგ. (1+1-7გვ.).

ამ ტომში მოცემულია სრულად და ნაწილობრივ გაფორმებული თავფურცლის რამდენიმე ნიმუში.

სათაური

გურამის დიდი მოცულობის ბევრი მოთხრობა უსათაუროა. ზოგჯერ კი დასათაურებულია პატარა ორსიტყვიანი ჩანაწერი. ცხადია, სათაური მოთხრობას ერთ მთლიანობად კრავს და თითქოს მკითხველსაც გზას უკვალავს ნაწარმოების სიღრმისეული შრეებისაკენ. რედაქტორები თავისებურად მართალნი არიან პატარა ორსიტყვიან მინიატურასაც რომ ასათაურებენ, რადგან უსათაუროდ ის შეიძლება, მკითხველის ყურადღების მიღმა დარჩეს. ამიტომ ბუნებრივია, რომ ყველა რედაქტორი გურამის გარდაცვალების შემდეგ მისი ნაწარმოებების გამოქვეყნებისას (ეს შეეხება ჟურნალ-გაზეთებსაც) ცდილობდა, შეევსო ეს „ხარვეზი», ან შეერჩია უფრო „მოხდენილი» სათაური. ამ გამოცემაში აღდგენილია ძველი სათაურები. ხოლო უსათაუროები ასევეა დატოვებული. იძულებული ვიყავი, შევლეოდი „სალამურასაც» („მთებიდან ქალაქამდე»), რომელიც ეკუთვნის რევაზ ინანიშვილს. ბევრი მოთხრობის სათაური აღებულია გურამის მიერ შედგენილი თავისი მოთხრობების კრებულის სიიდან, თუმცა, სავარაუდოა, ზოგიერთ შემთხვევაში „სიაში» უბრალოდ მინიშნებულია მოთხრობა რაღაცა ფრაზით და ეს არ არის სათაური ჩვეულებრივი გაგებით. შენიშვნებში მითითებულია ყველა ცალკეული შემთხვევა.

საინტერესოა, რომ გურამი 1956 წლის 14 აგვისტოს შემდეგ, მოთხრობიდან „შუა ზაფხულში ყველგანა ცხელა», სათაურებს სვამდა ბრჭყალებში, შემდეგ შეწყვიტა და განაახლა 1957 წლის გაზაფხულზე „სამ-სამი ამბის» წერისას. ამ გამოცემაში მოხსნილია ბრჭყალები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სათაურს აშკარად ალუზიის მნიშვნელობა აქვს. ყველა ცალკეული შემთხვევა აღნიშნულია შენიშვნებში.

აღსანიშნავია კიდევ ერთი მომენტი: გურამი სათაურს უმეტესად წერდა ხოლმე თავფურცელზე ან სხვაგან და უფრო იშვიათად იმ გვერდზე, სადაც იწყება მოთხრობა. მაგალითად: „ჩემი ლიტერატურული შეხედულებების» („ირინა და მე», „ალავერდობა» და სხვა) ყველა სათაური წერია ამ ნაწარმოების „თეორიულ» შესავალში და არა მოთხრობების წინ.

უძნელდებოდა გურამს ყველა ცალკეულ შემთხვევაში სათაურის მოძებნა? (თუმცა ზოგადად გურამის მოთხრობათა სათაურები მოწმობენ, რომ ის ამას სურვილისამებრ მშვენივრად ახერხებდა და ძალიან დიდ მნიშვნელობასაც ანიჭებდა. მაგალითად, მახსოვს, როგორ განიცადა, „ირინა და მეს» მასთან შეუთანხმებლად მხოლოდ „ირინა» რომ დაარქვეს.) იქნებ ეს მწერლის შემოქმედების თავისებურებაზე მეტყველებს, რაც ფორმის სხვა ელემენტებთან ერთად თითქოს ღიაობისკენ, ჩარჩოსაგან განთავისუფლებისაკენ მიისწრაფვის!

გურამ რჩეულიშვილის ავტოგრაფთა და საერთოდ, მისი მთლიანი შემოქმედების ერთ-ერთ თავისებურებას ქმნის მხატვრული ტექსტის, გამონაგონის და რეალური დღიურის ურთიერთმიმართება, რაც ოთხი წლის განმავლობაში განიცდის ევოლუციას. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ 1956-1957 წლების ნაწარმოებები მთლიანად ჩაძირულია მწერლის დღიურებში. ისინი გურამ რჩეულიშვილის ინტენსიურ ყოველდღიურ ცხოვრებას, „ჰეი-ჰოს» (ასე დაასათაურა გურამმა რვეულში მოთავსებული ერთ-ერთი დღიური) ასახავენ. ზოგი დღიური დაწერილია სრულიად დამოუკიდებლად მხატვრული ნაწარმოებისაგან პატარ-პატარა თორმეტ ან ოცდაოთხფურცლიან რვეულებსა და უბის წიგნაკებში, ზოგი წინ უძღვის მოთხრობას ეპიგრაფის სახით, გამოხატული გრაფიკული სტრუქტურა აქვს (თავფურცლის მარჯვენა მხარეს თარიღის ქვემოთ ან გვერდით) და მხატვრული ტექსტის ნაწილს წარმოადგენს. ზოგი მოთხრობის წინა და მომდევნო დღიური აშკარად ტექსტის გარეთაა და მისი საშუალებით მწერალი, უნებლიეთ, თითქოს მხოლოდ მოიხელთებს ხოლმე იმ სიტუაციას თუ განწყობას, რომელშიც შეიქმნა ნაწარმოები. ზოგი კი მოზაიკურად ერთიანდება გამონაგონთან და მთლიანი ტექსტის ნაწილად აღიქმება. ამავე პერიოდში იწერება ერთიორი პატარა ნაწარმოები ასეთი სათაურით: „დღიურ-ამბავი». ასეთ შემთხვევებში ერთი და იგივე ტექსტი ჩანს ერთდროულად დღიურადაც და ამბადაც. („ამბავში» გურამი უნდა გულისხმობდეს გამონაგონს, რომელიც გადმოსცემს თითქოს მწერლისაგან დამოუკიდებლად, ობიექტურად არსებულ რეალობას. ის სცილდება კონკრეტულ დროსა და სივრცეს და უკავშირდება ზოგადს, განსხვავებით კონკრეტული და სუბიექტური დღიურისაგან.) საინტერესოა ადრეული რომანის გახსენებაც: ის აგებულია როგორც სხვადასხვა დღიურის ერთიანობა. ასეთივე მნიშვნელობა აქვს მოსკოვიდან „წერილის მაგიერ» (გურამის სიტყვებია) გამოგზავნილ მოთხრობებს. 1959 წელს გურამი წერს ვრცელ მოთხრობას „დღიურს». ერთ მხატვრულ ქსოვილში, ერთიანი სათაურის ქვეშ ის აერთიანებს რეალური დღის ამსახველ სიუჟეტს და გამონაგონს. ამ ნაწარმოებში, თითქოს მწერლისათვისაც მოულოდნელად, იხსნება მისთვის ამ ორი სხვადასხვა ჟანრის ერთმანეთისაკენ სწრაფვის არსი: ცხოვრებაში შემოჭრილ შემოქმედებას მიჰყავს ის ისეთი სიღრმეებისაკენ, ყოველდღიურობაში ხელმისაწვდომი რომ არ არის.

ასე რომ, მწერალი თითქმის ყოველთვის სხვადასხვა ხერხით ცდილობს ისევ და ისევ იმ წუთის, ადგილის თუ სიტუაციის მოხელთებას, როდესაც იბადება მხატვრული შემოქმედება. თითქოს მას ერთი მეორის გარეშე არც აინტერესებს.

ამ მოსაზრებას განამტკიცებს მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების საოცარი ერთიანობა, ურთიერთგამსჭვალვა, რაც კარგად ჩანს დღიურიდან ამოღებულ სტრიქონში. ეს სტრიქონი ერთხელ უკვე მოვიხმე: „გავდივარ გარეთ, რომ ჩემი მოთხრობების გმირთა ცხოვრებით ვიცხოვრო...» სხვათა შორის, ასე აღიქვამდნენ გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებას მისი თანამედროვენი, რაც ხშირად ვლინდებოდა მწერლის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნებულ წერილებში. შეიძლება ერთის თქმა: დროთა განმავლობაში მწერალი გურამ რჩეულიშვილი თითქოს არაჩვეულებრივი სისწრაფით მიიწევდა „წინ», რომ მთლიანად დამთხვეოდა თავისი მოთხრობების გმირს გურამს. ეს ეხება, სხვათა შორის, საკუთარი სახელების ხმარებასაც. მას შემდეგ, რაც 1958 წლის თებერვალში მოსკოვიდან გამოგზავნილ წერილში გურამმა კატეგორიულად მოითხოვა მოთხრობაში „სიკვდილი მთებში» მთვარი გმირის სახელი „გურამი» არ შეეცვალათ, მწერლის ალტერ ეგო თითქმის უცვლელად მის სახელს ატარებს. არსად

აღარა ჩანს არც ცქიტო და არც ვაჟა ჯანდიერი. („გურამი ჯობნის ცქიტოს და ამრეზილად უყურებს...» ამონაწერი 1957 წლის გაზაფხულის მოთხრობიდან). შავ ავტოგრაფებში ზოგჯერ გაპარულია გვარიც _ რჩეულიშვილი.

პრობლემა იყო 1957 წლის თებერვალსა და ადრე გაზაფხულზე შექმნილი ზოგიერთი ნაწარმოების რედაქტირება (გამოქვეყნდება მომდევნო ტომში). ეს ნაწარმოებები წარმოადგენენ რეალური დღიურისა და გამონაგონის მოზაიკურ მთლიანობას. მკითხველმა ისინი შეიძლება მექანიკურ ერთიანობადაც კი აღიქვას. თავდაპირველი რედაქციისას ტექსტად ვთვლიდი მხოლოდ ამბავს, გამონაგონს. მოთხრობებს შორის ჩართული დღიურები რჩებოდა ტექსტის გარეთ და თავისთავად გადადიოდა კომენტარში. დაკვირვების შემდეგ გაირკვა, რომ ასეთი მიდგომით ხელოვნურად ვწყვეტდი ერთიან ნაკადს. ეს ნაკადი ავლენდა ცხოვრებაში ჩართულ შემოქმედებით პროცესს. საინტერესოა, რომ მას მწერალი ხანდახან არც კი აზუსტებს: მაგ. „სამი ამბავი და მგონი ორი დღიური.»

ამ ორი სხვადასხვა ჟანრის ერთ ტექსტად გაერთიანების საფუძველს იძლევა ავტოგრაფის მთლიანობა. ეს მთლიანობა სხვადასხვანაირად იჩენს თავს (განხილული იქნება მომდევნო ტომის შენიშვნებში). თავფურცელზე მოთავსებული სათაური უფრო ჟანრულ განსაზღვრას წარმოადგენს: მაგ. „სამი ამბავი და ორი დღიური». (აღსანიშნავია, რომ გურამი ჟანრულ განსაზღვრას სხვა შემთხვევებშიც იყენებს ხოლმე მაგ.: „ლია და გია–ამბავი», „სათაგური. ოჯახური იდილია», „იულონი», ტრაგედია [1]1») ის ერთ მთლიანობად კრავს დღიურსა და ამბავს. არქივში აღმოჩენილ სიაში მწერლის მიერ შეტანილია მხოლოდ „ამბები» (იხ. შენიშვნები) და არაფერი წერია დღიურების შესახებ. ამ შემთხვევაში ვარჩიე მთლიანად ავტოგრაფს დავყრდნობოდი. შესაძლოა, მწერალს მხოლოდ ცენზურის შიშით ეთქვა უარი თავის ჩანაფიქრზე. პირველი მოთხრობების პუბლიკაციისას უკვე უარყოფილი იყო დღიურ-ეპიგრაფები, თუმცა ჰემინგუეის მოთხრობების სახით ამის პრეცედენტი ნათარგმნ ლიტერატურაში უკვე არსებობდა.

და მაინც, უმთავრესი და გადამწყვეტი ჩემთვის ასეთი რედაქციისას (თუმცა არ გამოვრიცხავ სხვა გამოცემებში განსხვავებულ მიდგომასაც) მაინც იყო 1957 წლის თებერვალ-მარტის მოთხრობების აღქმა მთელი შემოქმედების ფონზე. აქ მხატვრული ნაწარმოებისა და რეალური დღიურის ურთიერთმიმართება განიცდის გარკვეულ ევოლუციას. ასეთი თვალთახედვით ეს ნაწარმოებები გაიაზრება მხოლოდ ეტაპად ამ ევოლუციაში.

აღსანიშნავია, რომ 1957 წლის გაზაფხულის შემდეგ გურამი ამ ჟანრს აღარ დაბრუნებია.

საკმაოდ დამაფიქრებელი იყო მოთხრობების წინ მოთავსებული დღიურების ტექსტად ჩათვლა-არჩათვლის პრობლემა. ზოგიერთ შემთხვევაში დღიურების ტექსტად აღიარების მხოლოდ ფორმალური ნიშნებია მოცემული: თავფურცლის მარჯვენა მხარეს თარიღის ქვეშ (მაგ. „ასვლის», „პაპა გოგოთურის» და სხვა მოთხრობების წინა დღიურები. იხ. ამ მოთხრობათა შენიშვნები). ამ დღიურების შინაარსის პლანი უშუალო კავშირშია ნაწარმოების დაწერის დღესთან, თარიღთან. განსხვავებით დღიურ-ეპიგრაფებისაგან, რომელნიც ხშირად თავისი თარიღითაც კი უპირისპირდებიან ნაწარმოების დაწერის თარიღს (მაგ. „შემოდგომა ბაბუა კოტესი»). ასეთ შემთხვევებში გრაფიკული სტრუქტურა და შინაარსის პლანი არ შეესაბამება ერთმანეთს. ჩვეულებრივ, დღიურ-ეპიგრაფებში რეალური დღის ამსახველი სიუჟეტი გამოყენებულია მხოლოდ საშენ მასალად. ის არ არის დაკავშირებული ნაწარმოების დაწერის დღესთან. ეს მაფიქრებინებს, რომ ამ დღიურების ეპიგრაფად ჩამოყალიბების პროცესი არ არის

დასრულებული, შესაძლოა მხოლოდ იმიტომ, რომ არ არის გადათეთრებული. ამ გამოცემაში მოთხრობის წინა დღიურები ჩათვლილია ტექსტის ნაწილად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მწერლის მიერ უკვე გაკეთებულია. მოთხრობა „გაზაფხული გადის» თავფურცლების შავი და თეთრი ავტოგრაფების შედარებისას კარგადა ჩანს რეალური დღიურის ეპიგრაფად, შესავალ დღიურად ჩამოყალიბების პროცესი (იხ. შენიშვნა ამ მოთხრობისათვის).

ზოგადად ამ წლებში მხატვრული ტექსტის მომდევნო და წინ წამძღვარებული დღიურები შეიძლება პოტენციურ დღიურ-ეპიგრაფებად წარმოვიდგინოთ (ყველა ასეთი დღიური მოცემულია შენიშვნებში).

დათარიღებისათვის

შეიძლება ითქვას, რომ მხატვრული ნაწარმოების დათარიღება გურამ რჩეულიშვილის ავტოგრაფების ერთ-ერთი ზოგადი სტილური მახასიათებელია. ის იცვლება წლიდან წლამდე.

1956-1957 წლებში იშვიათად გვხვდება უთარიღო ნაწარმოებები. გურამი ხანდახან ერთ-ორ წინადადებიან ჩანახატსაც კი სრულად ათარიღებს: აღნიშნავს დაწერის წელს, თვეს, რიცხვს, ადგილს, ხშირად საათსა და წუთსაც კი. თარიღს ხშირად სვამს თავფურცელზე მოთავსებული სათაურის შემდეგ ან იმ ფურცელზე სათაურის შემდეგ, საიდანაც იწყება მოთხრობა და მოთხრობის ბოლოსაც.

1957 წლის გვიანი გაზაფხულიდან ეს სწრაფვა მაქსიმალურად სრული თარიღისაკენ იწყებს რღვევას: ხან აკლებს თვეს, ხან წელს, ხან დღეს, შიგადაშიგ გვხდება უთარიღო ნაწარმოებებიც. ერთ-ერთი ვრცელი ჩანაწერი, „ბებიაჩემისათვის», ასეა დათარიღებული: „წელი. თვე. რიცხვი.» 1957 წლის შემდეგ კი უკვე იშვიათად ზის თარიღი ნაწარმოების ბოლოს. პირველი ვრცელი დაუთარიღებელი მოთხრობა არის „უსახელო უფლისციხელი» [1957 წლის ზაფხული], შემდეგ, „სიკვდილი მთებში». აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დაუთარიღებელია თითქმის ყველა დიდი მოცულობის ნაწარმოები 1958 წლის ზაფხულის შემდეგ: „დევების ცეკვა», „ბათარეკა ჭინჭარაული», „ირინა და მე», „ალავერდობა», „მარინე,» „ნათელა» და სხვები. დათარიღების თავისებურებას გურამის ავტოგრაფებში, მის ევოლუციას მკითხველი ადვილად მიადევნებს თვალს ამ გამოცემაში, სადაც დაცულია დათარიღების ავტორისეული სტილი ნაწარმოების ბოლოს. (ცხადია, გასწორებულია მწერლის მიერ არასწორი დათარიღების შემთხვევები, რასაც მექანიკური ხასიათი აქვს. იხ. შენიშვნებში: „შეყვარება», „ნადირობა» და სხვები). ამოღებულია მხოლოდ თარიღები სათაურის შემდეგ, რომ ზედმეტად არ გადაეტვირთა ტექსტი, ყოველი ცალკეული შემთხვევა აღნიშნულია „შენიშვნებში».

თარიღის აღნიშვნასაც გურამის ავტოგრაფებში თავისებური ფუნქცია აქვს. მეტი დატვირთვა ვიდრე ჩვეულებრივ. ვფიქრობ, რომ ამ დეტალშიც უნდა ვლინდებოდეს მწერლისათვის ყოველდღიური ცხოვრებისა და მხატვრული შემოქმედების ურთიერთმიმართების თავისებურება. ზუსტი თარიღით ის კვლავ ამახვილებს ყურადღებას იმ დროზე, ადგილსა თუ სიტუაციაზე, როდესაც ხდება შემოქმედებითი პროცესის „გადმოღვრა», რასაც მუდმივობის სუნთქვა მოაქვს წარმავალ დროში. დათარიღება ტექსტის სხვა კომპონენტებთან ერთად თითქოს რაღაც დიდი ტექსტის ნაწილს შეადგენს. ეს ტექსტი მოიცავს ყველაფერს, რაც გურამ რჩეულიშვილთანაა დაკავშირებული.

პუნქტუაციისათვის

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ გურამის ნაწარმოებთა ხელნაწერები გამოირჩევა პუნქტუაციის სიმცირით. ხშირად მოკლე წინადადებიანი აბზაცები არ მთავრდება სასვენი ნიშნით, დიალოგებში პუნქტუაციის ნიშნები უმეტესად იხმარება თითქოს გარკვეული აზრობრივი მთლიანობის და არა ყოველი ცალკეული რეპლიკის დამთავრების შემდეგ. იშვიათად გვხვდება კითხვისა და ძახილის ნიშნები როგორც დიალოგებში ასევე თხრობისას. აღსანიშნავია, რომ იშვიათი გამონაკლისის გარდა, არასოდეს ზის კითხვის ნიშანი სიტყვა „ჰკითხას» შემდეგ. არასოდეს ხმარობს მწერალი სასვენ ნიშანს დიალოგებში რეპლიკების დასასრულისას.

რისი ბრალია ეს? სიჩქარის, უცოდინრობის, უყურადღებობის, მწერლის მიერ საერთოდ სასვენი ნიშნების უგულებელყოფის თუ გულმავიწყობის, ძნელია დაბეჯითებით რაიმეს თქმა. ძნელია ისიც, რომ ავტოგრაფებზე დაკვირვებისას მკითხველს არ გაუჩნდეს გარკვეული ეჭვები და შეკითხვები.

რატომ არის, რომ ხანდახან პუნქტუაციურად უფრო მოწესრიგებულია ნაჩქარევად ნაწერი შავი ავტოგრაფები, და არა თეთრი. მაგალითად, ზოგჯერ შავ ავტოგრაფებში მოკლე წინადადებიანი აბზაცების შემდეგ წერია წერტილი ან სხვა სასვენი ნიშანი, ხოლო იმავე ადგილების თეთრ ავტოგრაფებში თავდაპირველად დასმული წერტილი გადაშლილია მწერლის მიერ (ამ ტომში მოთავსებულ ავტოგრაფებში მკითხველს შეუძლია, თვალი მიადევნოს მწერლის შემოქმედების ამ თავისებურებას.) შავი ავტოგრაფები მთავრდება წერტილით, რაც ცხადია, მიანიშნებს ნაწარმოების დასასრულს, ხოლო ხშირად იმავე ნაწარმოების თეთრი ავტოგრაფის ბოლოს არ უზის წერტილი. რატომ არის, რომ საერთოდ ასეთი მწირი პუნქტუაციის ფონზე ზოგიერთ მოთხრობაში არაბუნებრივი სიხშირით იხმარება ორწერტილი ყველა საჭირო და ზოგადი თვალსაზრისით არასაჭირო ადგილას.

ავტოგრაფებზე დაკვირვებამ ერთი მიმართულებით წარმართა ჩემი ფიქრი:

ხომ არა აქვს სასვენ ნიშნებს გურამთან ფუნქციური დატვირთვა და ტექსტის სხვა ელემენტებთან ერთად ხომ არ ქმნიან ისინი კიდევ ერთ დამატებით პლანს სათქმელის გამოსახატავად!

ამ მხრივ საინტერესო მასალას იძლევა ზემოთ ნახსენები ორწერტილის ინტენსიური ხმარების შემთხვევებზე დაკვირვება ზოგადად მწერლისათვის დამახასიათებელი მწირი პუნქტუაციის ფონზე. ეს სასვენი ნიშანი 1956 წლის ბოლო და 1957 წლის დასაწყისის რამდენიმე მოთხრობის მხოლოდ თეთრ ავტოგრაფებში იმდენად თანმიმდევრულად იხმარება, რომ მოთხრობა „ნადირობის» დათარიღებისას ის ერთ-ერთ მყარ კრიტერიუმადაც კი იქცა (იხ. „ნადირობის» შენიშვნები მეორე ტომში). ბუნებრივი იყო პუნქტუაციის ამ ნიშნის შეცვლა რედაქტორების მიერ სხვადასხვა სასვენი ნიშნით, რადგანაც მათ ხელნაწერზე არ უმუშავიათ.

ხელნაწერების შესწავლიდან გაირკვა, რომ კონტექსტთან შეუსაბამობით იწყება ამ ორწერტილის ფუნქციური დატვირთვა, მასში სემანტიკური მნიშვნელობის დაბადება, რაც ზოგჯერ მას სიმბოლოდაც კი აამაღლებს ხოლმე. ასეთ შემთხვევებში ეს სასვენი ნიშანი უკავშირდება მოთხრობის მთლიანობას, სათაურსა და ეპიგრაფს, საერთოდ მწერლის ოთხწლიან შემოქმედების პროცესს, რომელსაც გასდევს მოლოდინის, მომავლის თემა. ამ თემის შექმნას, ჩემი აზრით, პუნქტუაციის ეს ნიშანიც უწყობს ხელს.

1956 წლის გვიან შემოდგომაზე და დეკემბერში დაწერილ ზოგიერთ მოთხრობათა თეთრი ავტოგრაფები მოწმობს, რომ ისინი გადათეთრებულია იმ დროს, როდესაც დაიწერა მოთხრობა „ნადირობის» თეთრი ავტოგრაფი ანუ 1957 წლის თებერვალში. ამის საფუძველს, გარდა დათარიღებისათვის შემუშავებული ზოგადი კრიტერიუმისა, გვაძლევს ორწერტილის ხშირი ხმარება ამ მოთხრობათა მხოლოდ თეთრ ავტოგრაფებში, რაც მოთხრობა „ნადირობაში» ფუნქციურად დაიტვირთა. ჩემი აზრით, ამ სასვენი ნიშნით გურამს გვიანი შემოდგომის და დეკემბრის მოთხრობებში რეტროსპექტულად, ლაიტმოტივივით შეჰყავს მოლოდინის, მომავლის თემა ჯერ კიდევ იქამდე, სანამ ის მოთხრობა „ოცდაერთში» სიუჟეტის ნაწილი გახდებოდა.

ძალიან ხშირად პუნქტუაციის გარეშე დატოვებული დიალოგი ორ კონკრეტულ პიროვნებას, ან თუნდაც რამდენიმე ადამიანს შორის, თითქოს სცილდება კონკრეტულ დროსა და სივრცეს, უპიროვნო ხდება და ჰაერში ეკიდება. ჩემი აზრით, იგივე ეფექტი იქმნება პუნქტუაციის გარეშე დამთავრებული მოკლე წინადადებიანი აბზაცებით. ხანდახან კი დიალოგებში ზოგადი უპუნქტუაციობის ფონზე, ხშირად ნახმარი მხოლოდ კითხვის ნიშანი თითქოს კონკრეტულ სიტყვებზე მაღლა დგება და ზოგადი კითხვის სახით წარდგება ხოლმე მკითხველის წინაშე. ერთ უსათაურო მოთხრობაში („სკოლიდან გამოვარდნილი ბავშვები ...») რეპლიკების ბოლოს ძახილის ნიშნების რაოდენობის თანდათანობით ზრდას შეაქვს საოცარი ემოციური მუხტი ნაწარმოების დინამიკაში და კინო-კადრის ეფექტის შექმნას უწყობს ხელს: თითქოს ნელ-ნელა ახლოვდება გამოსახულება, სულ უფრო და უფრო ძლიერდება ხმა, გამაყრუებელ ხმაურში გადადის, საბოლოოდ ყოვლისმომცველი ხდება და მთელ ეკრანს იპყრობს, სასვენი ნიშნების გარეშე დატოვებული შეძახილები „თვირთვილაში» დოღის დროს ქმნის მთლიანობად ქცეული, გახელებული მაყურებლის თუ ბოლოს საყოველთაო გლოვის შეგრძნებას. გარკვეული მოთხრობების უწერტილო დასასრული კი, ჩემი აზრით, ფორმის სხვა ელემენტებთან ერთად, შეიძლება მიანიშნებდეს მწერლის სწრაფვას ღია დასასრულისაკენ, იმას, რის შესახებაც ერთ-ერთ დღიურში წერს: ჩემზე რომ იყოს, მოთხრობას დასასრულის გარეშე დავტოვებდიო. ამონაწერი 1957 წლის დღიურიდან: „ორი წერტილი იჭერს ყველაფერს, რადგან მათ შორის სწორი ხაზი გადის, ერთზე კი შეგიძლია იტრიალო რამდენიც გინდა. სულ უწერტილოდ კი მტერმა თქვა.»

ზოგადად ნაწარმოებებში იგრძნობა მწერლის სურვილი პუნქტუაციის ნიშნებით არ შეწყვიტოს შემოქმედებითი ნაკადი. პუნქტუაციის ნიშნების სიმცირით ის თითქოს ცდილობს შექმნას სამყაროს დაუნაწევრებლობის, მთლიანობის შეგრძნება. ასეთი თვალთახედვით გურამის თითოეული მოთხრობა წარმოგვიდგება გზად ამ მთლიანობისაკენ.

პუნქტუაციის სიმცირით მოთხრობებში იქმნება თითქოს რაღაც ბინდი, ბურუსი, გარსი, რაც თანხმობაშია მათ ხილვისეულ, ზმანებისეულ ბუნებასთან. შეიძლება იფიქრო, რომ პუნქტუაცია ნაწილია იმ გამჭოლი ევოლუციური შიდა სიუჟეტური ხაზისა, რომელიც გამოავლენს რჩეულიშვილის მოთხრობათა იგავურ სიბრძნეს (ამის შესახებ, ერთხელ, რადიოინტერვიუში, ჩემი აზრით, სამართლიანად, ილაპარაკა გურამის ერთ-ერთმა მეგობარმა მწერალმა). ამ სიბრძნის არსი უფრო რეალისტური პროზის მიღმაა საძიებელი.

ცხადია, სასვენი ნიშნების სიმცირე ზოგჯერ, ალბათ, გამოწვეულია იმით, რომ ტექსტი მწერლის მიერ არ არის გამოსაცემად მომზადებული და ზოგჯერ კი ერთდროულად ყველა თავდაპირველად ნახსენები მიზეზით. ყოველ შემთხვევაში ასეა თუ ისე, მიუხედავად ჩემი მოსაზრებებისა, დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ, ამ გამოცემაში ტექ-

სტი პუნქტუაციურად მთლიანად მოწესრიგებულია თანამედროვე ნორმების შესაბამისად რედაქტორის მიერ. შენარჩუნებულია მხოლოდ ორი წერტილის ხმარების თავისებურება, რადგან ამ სასვენ ნიშანს აშკარად ფუნქციური დატვირთვა აქვს.

გარდა ზოგადი მოსაზრებისა (პუნქტუაციის სწორება ნებადართულია თვით უმკაცრეს აკადემიურ გამოცემებშიც კი) აღსანიშნავია კიდევ ერთი მომენტი: პუნქტუაციის ხმარებისას, ისე როგორც ტექსტის გრაფიკული სტრუქტურის მოწესრიგებისას (იხ. შემდეგ) ის არ არის ზედმიწევნით თანმიმდევრული, თითქოს უფრო ძიების პროცესშია, ეს შეეხება თუნდაც ერთი მოთხრობის მთლიანობას. ხშირ შემთხვევაში ძნელია კანონზომიერების დადგენა, გარდა ერთისა: მიჰყვე ნაწარმოებს, რომელშიც სასვენ ნიშანსაც ხშირად დამატებითი მნიშვნელობა შეაქვს ტექსტში.

რა თქმა უნდა, მწერლისაგან დამოუკიდებლად არ იყო სასურველი და არც ზოგადად სწორი, თუნდაც ჩემთვის მისაღები, ზემოთ ნახსენები მოსაზრებების მიხედვით პუნქტუაციის უნიფიცირება. ტექსტის დატოვება კი ისე როგორც არის, რისკის წინაშე აყენებდა რედაქტორს: არ აღქმულიყო ყველაფერი როგორც ქაოსი. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტექსტი აბზაცებს შიგნით მწერლის მიერ მოწესრიგებულია და სასვენი ნიშნის არქონა მკითხველს არ უშლის ხელს სწორად გაიგოს აზრი.

ჩემი მოსაზრებების საილუსტრაციოდ მომყავს პატარა მოთხრობა „ბაბუა და შვილიშვილი» მთლიანად დაცული ავტორისეული პუნქტუაციით:

ბაბუა, შვილიშვილი და თოვლის ბაბუა

გურამი ზის ფანჯარასთან. ფანჯარა ეზოში გადის: იქ ბავშვები თამაშობენ. გურამთან ბაბუა მიდის და ეკითხება

_ რას აკეთებ?

_ ვუცქერ _ პასუხობს შვილიშვილი

_ რას?

_ ეზოს, ბაბუა

_ რატომ?

_ ისე, ბაბუა, დედა არ მიშვებს, რომ მეც ვითამაშო

_ არა უჭირს, მოესწრები, ჯერ პატარა ხარ, თვალიც გიჭრის, მე კი თითქმის ველარა ვხედავ

_ ბავშვებსაც ვერ ხედავ, ბაბუ?

_ ვერა

_ ვერც სახლებს?

_ ცოტასღა ვარჩევ, შვილო

_ ხეებს?

_ ხეებსაც თითქოს

_ ბავშვებს ვერა არა?

_ ბავშვებს ვერა

_ იცი რას აკეთებენ ისინი, ბაბუა?

_ არა

_ თოვლის ბაბუას

_ მეც მიყვარდა შენსობას

_ მაშინაც ცოტა თოვლი იყო ხოლმე, ბაბუა?

_ ხან ცოტა, ხან ბევრი

_ ახლა ცოტაა, ნახევარი მიწა ჰყვება თოვლს
_ მაგი არ ვარგა, შვილო
_ რატო ბაბუ?
_ იმიტო რო თოვლის ბაბუა მიტომაა თოვლის ბაბუა, რომ თოვლი უნდა იყოს სულ
_ მიწა არ ვარგა, როცა ჰყვება?
_ აჰ, გაგიგონია?
_ ბაბუ, როდის იყო მერე კარგი თოვლი კიდევ?
_ გუშინ ყოფილა, მამაშენმა თქვა
_ კიდე?
_ გუშიწინ, იმის წინ
_ დღეს რატომ არ არის?
_ დღეს გადნა, გავს
_ მოვა კიდევ, ბაბუ?
_ წელს არ ვიცი
_ მაინც ბაბუ, მაინც?
_ არ ვიცი, ბიჭო
_ მე კი ისე მინდა თამაში, დედამ თქვა, ხვალ გაგიშვებო ეზოში, მოვა კიდე თოვლი ბაბუ?
_ წელს არ ვიცი, გაისად კი უეჭველად, მაშინ დიდიც შეიქნები, უკეთესია
_ გაისად ციგასაც ვიყიდი, არა, ბაბუა, გავიზრდები კიდეც, არა?
_ ჰო, ბიჭო, ჰო.

(1957 წელი. მაისი)

თავისებურად იხმარება პუნქტუაცია ნაწარმოების დათარიღებისას. არსებობს პარალელური ფორმები. ავირჩიე „პაპა გოგოთურის» დათარიღებისას ნახმარი პუნქტუაციის ნიშნები, რაც ამ პერიოდის ავტოგრაფებში ხშირად გვხვდება: „1956 წლის 6 მაისი. კვირა. 12_1 საათი.»

გრაფიკული სტრუქტურა

გურამ რჩეულიშვილის ავტოგრაფთა გრაფიკული სტრუქტურის ზოგად თავისებურებას, გარდა ძალიან იშვიათი გამონაკლისისა, ქმნის დიალოგების გამოწევა აბზაცებს გარეთ, ანუ მწერლის ხელნაწერებში დიალოგის დასაწყისის მიმნიშნებელი ტირე გათანაბრებული არ არის აბზაცის დასაწყისთან, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე. ჩემი აზრით, ეს ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მოთხრობები სავსეა დიალოგებით.

ჩემთვის ამ ფაქტში ჩანს მწერლის მიდრეკილება დრამატული ფორმისაკენ. ამ მიდრეკილების ფორმალური ელემენტები, ჩემი აზრით, მის შემოქმედებაში ადრევე გამოჩნდა.

უფრო მოგვიანებით გურამმა რამდენჯერმე მითხრა: რომ უნდა მხოლოდ პიესების წერა და რომ დრამატული ფორმა, რომელშიც მთლიანად „ჩაკარგულია» მწერალი, არის მისთვის უმაღლესი (აღსანიშნავია, რომ გურამ რჩეულიშვილის ბოლო დაუმთავრებელი ნაწარმოებია ტრაგედია „სურამის ციხე»).

მწერლის გრაფიკული სტრუქტურის ეს ზოგადი თავისებურება, ისე როგორც პუნქტუაციისა, ისევ ბევრი ყოყმანისა და მერყეობის შემდეგ, ამ გამოცემაში შესწორებულია ზოგადი წესების შესაბამისად.

გურამ რჩეულიშვილის ნაწარმოებთა გრაფიკული სტრუქტურის სხვა თავისებურებანი, რაც იქმნება ტექსტის აბზაცებად, სხვადასხვა ნიუანსების შემცველ აზრობრივ მთლიანობებად გაერთიანებით, მთლიანად შენარჩუნებულია და მკითხველი ამას ადვილად მიადევნებს თვალს. ყველა ცალკეული შემთხვევის შესახებ მითითებულია შენიშვნებში. აქ ზოგადად შეიძლება მხოლოდ იმის თქმა, რომ ტექსტის გრაფიკული სტრუქტურა, ჩემი აზრით, ხშირად მოდალური ქვეტექსტის შემცველია და ვფიქრობ, რომ მასში ჩანს თითქოს თვითონ მწერლის და არა მთხრობელის უშუალო, ემოციური დამოკიდებულება ნაწარმოებში გამოხატული ამბის მიმართ (იხ. მოთხრობები „სათაგური», „მაია ბენზინის სუნმა...», „კოლა და ვანო» და სხვები).

აღსანიშნავია, რომ ხშირად განსხვავება შავსა და თეთრ ავტოგრაფებს შორის ძირითადად შემოიფარგლება აბზაცებით, რომელთაც მწერალი სქელწვერა წითელი ან ისეთივე ლურჯი ფანქრით, კვადრატული ფრჩხილებით აღნიშნავს ხოლმე შავ ავტოგრაფებში, უკვე მოთხრობის დამთავრების შემდეგ, როდესაც ტექსტს ხელახლა უბრუნდება.

ამ მხრივ საინტერესო უნდა იყოს გურამის აზრი აბზაცების შესახებ ზოგადად, რომლის შესახებაც ის მოსკოვიდან გამოგზავნილ წერილში წერს:

„სხვათა შორის წავიკითხე „მაიორ კატრენის» პირველი ნაწილი. ძალიან უმწეო მომეჩვენა ტოლსტოის შემდეგ. თვითონ აბზაცები გარეგნობითაც, წაუკითხავად, იქ გაცილებით წვრილია, არატევადი. „ანა კარენინაში» კი ნოყიერადაა ჩაწყობილი, მშვიდად, რაღაც ღირსეულად.»

ჩანახატ-ჩანახაზები

გურამ რჩეულიშვილის 1956, უფრო მეტად კი 1957 წლის გაზაფხულის ხელნაწერებში (იხ. მომდევნო წიგნი) ხშირად გვხვდება, ერთის შეხედვით, გაურკვეველი ჩანახატ-ჩანახაზები, რომელთა აღნიშვნის გარეშე ძნელია სრულყოფილად დაახასიათო ამ პერიოდის ავტოგრაფები. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ისინი არაა შემთხვევითი, ვთქვათ, მწერლის მიერ ფიქრის ან რაღაც შეყოვნების წამს კალმის უბრალო ვარჯიში, წვალება. ამ ჩანახატ-ჩანახაზებს ყოველთვისა აქვს, ჩემი აზრით, შინაარსობრივი დატვირთვა. ისინი თითქოს ცდილობენ გადმოსცენ ფარული, დამატებითი მნიშვნელობა, რის შესახებაც ნაწარმოებში პირდაპირ არაა მითითებული. ყოველი ცალკეული შემთხვევა აღნიშნულია შენიშვნებში. თუმცა მათი ფარული შინაარსი უშუალოდ არ არის ხოლმე დაკავშირებული იმ ნაწარმოებებთან, რომელთა ავტოგრაფების ფურცლებზეცაა ისინი. ასეთი ტიპის ჩანახატ-ჩანახაზების გააზრება შეიძლება უფრო გურამ რჩეულიშვილის მთელი შემოქმედების, ან სულაც მთელი ცხოვრება-შემოქმედების ფონზე. მაგალითად, ერთ-ერთი ნაწარმოების დასაწყისში გვხდება მრავალფიგურიანი, ძნელად გასარჩევი ჩანახატი. იმავე გვერდზე დიდი ასოებით წერია „სიზმარი» (აღწერილია შენიშვნებში). ამ სიზმრის ცალკეული ფიგურები ლაიტმოტივივით გასდევს 1957 წლის გაზაფხულის თვეების ზოგიერთ მომდევნო ჩანახატს. ზუსტად ერთი წლის შემდეგ, 1958 წლის გაზაფხულზე მოთხრობაში, „ირინა და მე» იგივე ფიგურები ხორცს ისხამს სიტყვაში. ეს არის პერიოდი, როდესაც მწერლის ალტერ ეგოს

წინაშე უკვე მთელი სიძლიერით წარდგა „ბოროტი კაცი.» („მე მინდოდა, მოთხრობა დამეწერა უბოროტ-კაცოდ?» „ირინა და მე»)

გურამი რატომღაც პაგინაციის რიცხვ „1»-საც სხვადასხვანაირ მოხაზულობას აძლევს. ეს არ იფარგლება მხოლოდ ერთი ავტოგრაფით და მოიცავს 1957 წლის გაზაფხულის ბევრ ხელნაწერს. (ყოველი ცალკეული შემთხვევა აღნიშნული იქნება მომდევნო წიგნის შენიშვნებში.) რისკენ მიისწრაფვოდა, რა ფორმა უნდოდა მიეცა გურამს ამ ფიგურულად გაფორმებული ერთიანებისათვის, რომელიც ხან ისარს წააგავს, ხან მახვილს, ხანაც კი ისარს, რომელიც თითქოს ნინოს ჯვრის მოხაზულობას იღებს და ზოგჯერ კი მთელ ჩანახატად გადაიქცევა ხოლმე. პირველად ასეთი ერთიანი გვხვდება მოთხრობაში „გაზაფხული გადის». დაწერილია 1956 წლის მაისში (იხ. შენიშვნები).

ამავე რიგისაა ისევ ამ პერიოდში ასო „ტ»-ს თავში ადამიანის სახის ჩახატვა. (იხ. მეორე წიგნის შენიშვნებში.) ასეთი „ტ» ხშირად 1957 წლის მხოლოდ თეთრ ავტოგრაფებშია ხოლმე და მეტ-ნაკლები სიხშირით იხმარება. ზოგიერთ ავტოგრაფში კი ყველა სიტყვის ასო „ტ» ამგვარადაა გაფორმებული. პირველად ის გამოჩნდა 1956 წლის ნოემბერში დაწერილ მოთხრობის სათაურში _ „პირველად ტრამალებში».

პირველად, ისევ 1957 წლის გაზაფხულზე, იმ ფურცელზე, რომელზეც წერია „მინიატურები იაპონური პოეზიის სტილში» (დაიბეჭდება მეოთხე ტომში) ხატია წრე. მასში ოთხკუთხა ფიგურებისაგან ჩახატულია, შეიძლება იფიქრო, ლაბირინთი. მის ქვემოთ წერია „მაგიური წრე». შემდეგ, ამ პერიოდის ავტოგრაფებში, ეს წრე ზუსტად იმავე ფიგურებით, რამდენჯერმე მეორდება (აღნიშნულია შენიშვნებში), ოღონდ უკვე უწარწეროდ. თუ ვიგულისხმებთ, რომ წრე არის უსასრულობის სიმბოლო და წრეში ამოტვიფრული გამოსახულება კი ძალიან წააგავს ქართულ, ტოლკუთხა, ე.წ. ბოლნურ ჯვარს, მკვლევარს შეიძლება რაღაც გარკვეული აზრი გაუჩნდეს კიდეც.

გურამ რჩეულიშვილის ავტოგრაფების კიდევ ერთ თავისებურებას ქმნის მწერლის ფაქსიმილე, რომელიც, ისე როგორც ჩანახატ-ჩანახაზები, ძალიან ხშირად იხმარება 1957 წლის გაზაფხულზე შექმნილ ავტოგრაფებში. (ყველა ცალკეული შემთხვევა აღნიშნულია შენიშვნებში. ამგვარივე რიგისა ამავე პერიოდში შექმნილი ნაწარმოებათა ავტოგრაფებში მწერლის ავტოპორტრეტები: გურამს თითქოს ხილულად შემოჰყავს ის თვალი, ვისი თვალთახედვიდანაც ხდება თხრობა.

არქივზე მუშაობისას შემექმნა შთაბეჭდილება, რომ მწერლის ეს ჩანახატ-ჩანახაზები ნაწილია იმ საიდუმლოსი, რომლის შესახებაც მწერლის ტექსტებში პირდაპირ არსად არაფერი წერია. („ჭკვიანი არის ის, ვინც კარგად მალავს თავის აზრებს.» ამონაწერი 1956 წლის დღიურიდან.)

მომდევნო ტომში მოთავსებული იქნება გურამ რჩეულიშვილის ჩანახატ-ჩანახაზების რამდენიმე ნიმუში.

ამ გამოცემაში მთლიანად გასწორებულია ორთოგრაფია და პირის ნიშნების არასწორი ხმარება. აგრეთვე შემდეგი სიტყვების არამართებული ფორმები: „ფართოდ», „იწყობოდა», „მსიამოვნობდა», „გამოჩდა», „ეწყობოდა», „სათვალეები», „გალაქტიონი», „ვიღაცეები». გასწორებულია ზოგიერთი საჭოჭმანო სიტყვა თუ აქა-იქ გვხვდება მართებული პარალელური ფორმები, თუნდაც გამონაკლისის სახით. აგრეთვე შესწორებულია სიტყვები: „კარები», „გვერძე», „კიბეებზე».

დატოვებულია ზოგიერთი არასწორი ფორმა იმ პრინციპით, რომ „ენაც ისტორიაა». ასეთებია რუსიციზმები: „პოდიეზდი». მკითხველს მივაქცევინებ ყურადღებას, რომ „პოდიეზდი» და არა „პადიეზდი». ეს უშუალოდ დაკავშირებული იყო საოჯახო ლექსიკასთან. ასევე ვამბობდით: „კოტლეტი», „სოსისი» და სხვა, რაც თითქოს ქართულ

ჟღერადობას აძლევდა სიტყვას. აღსანიშნავია, რომ გურამი მოთხრობაში „სიყვარული მარტის თვეში» თვითონვე ცვლის თავდაპირველ „ვაგონს» „რონოდად» და შემდეგ ისევ უბრუნდება „ვაგონს», ალბათ, როგორც უფრო ბუნებრივს სამოციანი წლების მეტყველებისათვის.

დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ გასწორებულია ერთ-ერთი ყველაზე ხშირად ხმარებული სიტყვა «ჩქარა», რომელსაც გურამი ხმარობს როგორც „მალე», ისე „სწრაფად» მნიშვნელობითაც. ვყოყმანობდი, რადგან ეს სიტყვა ჩემთვის გამოავლენს მწერლის ცხოვრება-შემოქმედების სიღრმისეულ საზრისს, რომელშიც თითქოს მოხსნილია განსხვავება ამ ორ სხვადასხვა მნიშვნელობას შორის. თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება მიმაღებინა იმ ფაქტმა, რომ ჩემი მოსაზრების საფუძველი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ სუბიექტური აღქმა.

გურამის ხელნაწერების თავისებურებაა ზმნისწინების: «მო», «შემო», «ამო», «გამო» და ასე შემდეგ არატრადიციული ხმარება: «შევიდას» ნაცვლად «შემოვიდა» «გავიდას» ნაცვლად «გამოვიდა», «გადატრიალდას» ნაცვლად «გადმოტრიალდა» და ასე შემდეგ…

იქმნება შთაბეჭდილება, რომ გურამი მოქმედების ადგილას, ყველგან, საკუთარ თავს გულისხმობს, როგორც მაყურებელს, ამიტომ ზმნისწინების ერთი შეხედვით მცდარი ხმარება არ გაგვისწორებია.

1957 წელს მწერალთა კავშირმა გადაწყვიტა აღედგინა ბეჭდითი ორგანო „ჩვენი თაობა». ეს ჟურნალი ომამდე გამოდიოდა. გარკვეული დაბრკოლებების გადალახვით, ბატონ მიხეილ კვესელავას უშუალო ძალისხმევით (იმ ხანად ის ცეკაში კულტურის განყოფილების გამგედ მუშაობდა), რედაქტორობა დაევალა ბატონ ვახტანგ ჭელიძეს. იგი „ნიანგიდან» ახლადდაარსებულ ჟურნალში გადაიყვანეს. ბატონმა ვახტანგმა თან წაიყვანა ახალგაზრდები, რომლებიც მასთან ერთად მოღვაწეობდნენ: ნოდარ დუმბაძე, ედიშერ ყიფიანი, არლი თაყაიშვილი, ჯემალ ლოლუა, დიმიტრი ერისთავი და სხვები. ვახტანგ ჭელიძის მცდელობით ჟურნალს ნაცვლად „ჩვენი თაობისა» დაერქვა „ცისკარი». აღდგა ძველი ქართული ჟურნალის დასახელება. ის შემაერთებელი ხაზი, მემკვიდრეობითობა, რაც ერთი საუკუნით დაშორებულ ორ ჟურნალს შორის შეიძლება არსებობდეს, სიტყვის სემანტიკაშია საძიებელი და, ალბათ, უშუალოდ არის დაკავშირებული «დათბობის» პერიოდში ჩასახულ იმედებთან.

1957 წლის თებერვალში „ცისკრის» პირველი ნომერი მზად იყო გამოსაცემად და რედაქცია ეძებდა მოთხრობებს ჭაშნიკისათვის. ედიშერ ყიფიანის რჩევით, რომელსაც გურამის მოთხრობები სხვა ჟურნალში მოღვაწეობის დროს ჰქონდა წაკითხული, სადაც მათი დაბეჭდვა ვერ მოხერხდა, ვახტანგ ჭელიძემ მიიწვია გურამ რჩეულიშვილი. გურამის მიყვანა დაევალა თურმე ნოდარ დუმბაძეს. ადრინდელი მარცხით გულგატეხილ გურამს თავდაპირველად კატეგორიული უარი უთქვამს. ბოლოს ნოდარმა თურმე ძლივს დაითანხმა და თვითონვე წაიღო რედაქციაში მისი ნაწერები. შეირჩა მოთხრობები. გურამი „ცისკარში» მხოლოდ მას შემდეგ მისულა, როცა გაუგია, რომ იბეჭდება.

ქ-ნი ციალა ჩხეიძე იხსენებს: „ნოდარ დუმბაძემ მოიტანა ხელნაწერი. მოგვეწონა ძალიან. მახსოვს, გურამის პირველი მოსვლა. ვისხედით გრძელი მაგიდის ირგვლივ: მუხრან მაჭავარიანი, მე, ვახტანგ ჭელიძე, გიორგი შატბერაშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი. გურამი გაწითლდა ყურებამდე, არ მინდოდაო ჯერ მოსვლა. მე მგონი ჯერ არ ღირს დაბეჭდვაო...»

პროზის განყოფილების გამგე ბატონი ვახტანგ ჭელიძის რედაქტორობის დროს შეუცვლელად იყო ბატონი გიორგი შატბერაშვილი, „ცისკრის» რედაქტორთან ერთად გურამის და მისი შემოქმედების დიდი მფარველი და მოამაგე, მწერლის გარდაცვალების შემდეგ კი რჩეულიშვილის მოთხრობების პირველი ორი კრებულის რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორი.

„ცისკრის» პირველი ნომერი, მართალია, დაგვიანებით, მაგრამ მაინც გამოვიდა 1957 წლის ივნისში, მწერლის მოღვაწეობის დასაწყისიდან ერთი წლის შემდეგ. ამ ნომერში დაიბეჭდა გურამ რჩეულიშვილის ხუთი მოთხრობა: „სათაგური», „სიყვარული მარტის თვეში», „ნელი ტანგო», „შემოდგომა ბაბუა კოტესი» და „თვირთვილა». „ცისკრის» ამავე ნომრის ჭაშნიკში გურამთან ერთად მკითხველის წინაშე წარდგა გურამ გეგეშიძე მოთხრობით „სანამ ერთად ვართ» და ანზორ სალუქვაძე თავისი ლექსებით.

გურამ რჩეულიშვილს ამ დროისათვის უკვე დაწერილი ჰქონდა სიყვარულის, ცხენების, ზღვის, ბაკურიანის, ხევსურეთის ციკლის მოთხრობები ანუ ყველა ის ნაწარმოები, რომელიც ამ ტომშია მოთავსებული. დაწერილი იყო პატარა მოთხრობა „ოცდაერთი». მოთხრობის ქვეტექსტში იგრძნობა, თუ რა მოუთმენლად ელოდა ის მკითხველთან პირველ შეხვედრას.

მიუხედავად იმისა, რომ რედაქტორმა დაიცვა სიფრთხილე: გარეკანის მეორე გვერდზე მოთავსებული იყო ლენინის დიდი პორტრეტი სამსტროფიანი ლექსით ლენინისადმი, ჟურნალს თავიდანვე მაინც ძნელი ბედი ერგო ჯერ კიდევ პირველი ნომრის გამოსვლამდე, წაუკითხავად. როგორცა ჩანს, ცეკაში სიგნალები იყო წასული მწერალთა კავშირიდან და „ცისკრის» რედაქცია ცეკამ სპეციალურად მოწვეულ ბიუროზე „გაანადგურა». ბატონი ვახტანგი იხსენებს, რომ ამ კრებაზე ხშირად ისმოდა რჩეულიშვილის გვარიც. ყვებიან: წინააღმდეგ გამოვიდა ბესო ჟღენტი. სიმონ ჩიქოვანი წამოხტა თურმე გურამის დასაცავად, ხომ ხედავ ტალანტიაო.

1957 წელს ახალგაზრდა მწერალი „ცისკრის» რედაქციამ უფლისციხეში მიავლინა. ამ მივლინების შედეგად დაიწერა მოთხრობა „უსახელო უფლისციხელი» და გამოქვეყნდა კიდეც აგვისტოს ნომერში პეტიტით აწყობილი რუბრიკით „წარსულის ფერფლის ქვეშ.» ბატონი ვახტანგი ეძიებდა გზებს მისი ნაწარმოებების გამოსაქვეყნებლად.

1958 წლის თებერვლის ბოლოს „ცისკრის» მესამე ნომერში გამოქვეყნდა გურამ რჩეულიშვილის მოთხრობა „სიკვდილი მთებში». ეს იყო ფაქტობრივად მისი ნაწარმოებების ბოლო პუბლიკაცია. მიუხედავად იმისა, რომ ამბობდნენ, „ცისკარმა» გურამ რჩეულიშვილით გაითქვა სახელიო და თითქოს ისეთი არავინ იყო, რომ არ ეღიარებინა მისი ნიჭი, ახალგაზრდა მწერლის ყველა ურთიერთობა რედაქციასთან მისი დამარცხებით მთავრდებოდა. ხანგრძლივი ბრძოლისა და ყოყმანის შემდეგ, გურამის საოცარი ძალისხმევით, 1960 წლის აგვისტოში დაიბეჭდა კიდევ ორი მოთხრობა: „ირინა და მე» და „ალავერდობა». ამ ნაწარმოებების რედაქცია, ფაქტობრივად, მწერალთან შეუთანხმებლად გაკეთდა. გურამი „ცისკრის» ამ ნომრის გამოსვლას ვეღარ მოესწრო.

1960 წლის შემდეგ რჩეულიშვილის ნაწარმოებები პერიოდულად იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში (იხ. შენიშვნებში). გამოიცა ხუთი წიგნი: 1961 წელს „სალამურა», 1965 წელს „მოთხრობები. პიესა» გიორგი შატბერაშვილის რედაქციით და წინასიტყვაობით, 1967 წელს ცალკე წიგნად „ალავერდობა», 1977 წელს „მოთხრობები», 1985 წელს ერთტომეული „სად გაექცევი ზამთრის ღამეს», გურამის უახლოესი მეგობრის, მისი ბიოგრაფისა და შემოქმედების უშურველი მოამაგის ნუგზარ წერეთლის რედაქციითა და ვრცელი წინასიტყვაობით, 1975 წელს გამოვიდა პატარა კრებული რუსულ ენაზე თამაზ ჭილაძის წინასიტყვაობით.

ამჟამად გურამ რჩეულიშვილის მკითხველს ვთავაზობ მწერლის ნაწარმოებთა სრულ კრებულს ხუთ ტომად. ტომებში ნაწარმოებები განლაგდება ჟანრულ-ქრონოლოგიური პრინციპით.

1 ტომი _ მოთხრობები (1956 წელი).

2 ტომი _ მოთხრობები (1957 წელი).

3 ტომი _ მოთხრობები (1957-1958-1960 წლები).

4 ტომი _ პიესები. კინოსცენარები. ლექსები. მინიატურები.

5 ტომი _ დღიურები, ჩანაწერები, პირადი წერილები. ამ წიგნს დართული ექნება არქივის სრული აღწერილობა.

განზრახული მაქვს აგრეთვე, გამოვცე გურამ რჩეულიშვილის ცხოვრების ამსახველი ფოტოები საოჯახო ალბომიდან, ბავშვობის დროინდელი, „წერის დაწყებამდე» გაკეთებული რამდენიმე რეფერატი და ჩანაწერები. ვფიქრობ, ამ წიგნს დავურთო მწერლის მოკლე ბიოგრაფია, გურამის დედის, მარიამ ნიჟარაძის დღიურები: „ჩემი უსაყვარლესი შვილის გურამის ირგვლივ» და ამონაწერები გურამის მამის, მიხეილ რჩეულიშვილის მოგონებებიდან, „ზოგი რამ წარსულიდან, რაც კარგად მახსოვს».

შენიშვნები

„მთის კალთაზე შეფენილ მეჩხერ ტყეში...»

არქივში შემონახული ხელნაწერი (1-39გვ.) არც დასათაურებულია და არც დათარიღებული. ავტოგრაფს ფანქრით, სხვა ხელით აწერია „მოხუცი მონადირე». იმავე ფანქრით დანომრილია ხელნაწერის გვერდები (პაგინაცია იწყება მეექვსე გვერდიდან). რამდენიმე ადგილას ჩამატებულია პუნქტუაციის ნიშნები. პირველ გვერდზე, „ჩიბუხს კვამლი მიემატას» შემდეგ, გადაშლილია: „ბაბუას თვალებს სიცოცხლე». როგორცა ჩანს, ხელნაწერი მზადდებოდა გამოსაქვეყნებლად.

თარიღი დავადგინე პირადი მოგონების, ავტოგრაფის თავისებურების და მწერლის დღიურების მიხედვით.

1956 წლის 24 იანვარს გურამი ალპინისტების ჯგუფთან ერთად მიემგზავრებოდა კარპატებში, მწვერვალ გოვერლას დასალაშქრავად. ბოლო წუთამდე, გამგზავრების წინ, მზით განათებულ შუშაბანდში იჯდა ტახტზე და კედელს მიყრდნობილი კითხულობდა ჰემინგუეის მოთხრობებს. (ვაჟა გიგაშვილის გადმოცემით ეს იყო ოციან თუ ოცდაათიან წლებში გამოცემული კრებული: მოთხრობები და ერთი პიესა _ „მეხუთე კოლონა», პატარა ფორმატის, მაგრამ სქელი, ყავისფერყდიანი წიგნი, რომელიც გურამსა და ვაჟას ნათხოვარი ჰქონდათ მეგობარი გოგონასაგან.) გურამი გატაცებით კითხულობდა, არადა აგვიანდებოდა. დედა ღელავდა. უცბად წამოხტა შუაზე, გაკეცილი თაბახის ფურცლები (შეიძლება რვეულის) და ავტოკალამი ჯიბეში ჩაიდო, ზურგჩანთა აიღო, თქვა, მორჩა, ვიწყებ წერასო, გადაგვკოცნა და სირბილით დაეშვა კიბეზე.

წავიდა თუ არა გურამი, მაშინვე, ან ცოტა ხნის შემდეგ, ლომბერის მაგიდაზე, სადაც ჩვეულებრივ ლურსმულწარწერებიანი ფირფიტების ფოტოები იდო ხოლმე (გურამი თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი იყო და სწორედ იმ დროს გატაცებით სწავლობდა ლურსმულს), ვნახე განივად გაჭრილ ცალხაზიანი რვეულის ფურცლებზე ფანქრით ნაწერი რამდენიმე გვერდი. აღმოჩნდა, რომ ეს იყო

მოთხრობა მოხუც მონადირეზე. სამუდამოდ დამახსოვდა ფინალი: მოხუცი მონადირე მის მიერ სასიკვდილოდ დაჭრილ ჯიხვთან ერთად, ჩამავალი მზის სხივებით განათებული, ფეხზე მდგარი ხვდება სიკვდილს. კარგად დამახსომდა აგრეთვე ის ფურცლები, რომელზეც ეწერა მოთხრობა. (მოხუცი მონადირისა და ჯიხვის სიკვდილის ეპიზოდი გამახსენდა 1958 წელს, როდესაც გურამი აღელვებული მიყვებოდა ჩვენი ბიძაშვილის, გიგი აბაშიძის გარდაცვალების ბოლო წუთებს, როგორ დაეყრდნო უკვე მთლიანად დაუძლურებული გიგი საწოლს ხელებით, როგორ წამოიწია ლოგინიდან, თითქოს სიკვდილს არ ურიგდებაო და ასე ვაჟკაცურად დალია სული.)

ავტოგრაფი ლომბერის მაგიდის უჯრაში შევინახე.

არქივზე მუშაობის დაწყებისთანავე ვეძებდი ავტოგრაფს მოხუც მონდირეზე, იმ განივად გაჭრილი ცალხაზიანი რვეულის ფურცლებს, რომლებზეც, ჩემი ღრმა რწმენით, ეწერა გურამის პირველი ნაწარმოები. მივაკვლიე: ეს მოთხრობა 1985 წელს ნუგზარ წერეთლის მიერ გამოცემულ ტომში დასათაურებული იყო როგორც „მოხუცი მონადირე» და შეცდომით დათარიღებული 1957 წლით.

ავტოგრაფი, გარდა ბოლო სამი გვერდისა, ნაწერია შავი ფანქრით. გვერდები ავტორის მიერაა დანომრილი. გვერდების აღმნიშვნელ რიცხვებს შემოვლებული აქვს რკალოვანი ფრჩხილი ქვემოთა მარცხენა მხრიდან. ამგვარად მხოლოდ პირველი ავტოგრაფების პაგინაციაა გაფორმებული. (იხ. ავტოგრაფების დახასიათებისათვის).

მოთხრობა მოხუც მონადირზე არქივში შემონახულ არც ერთ სიაში (იხ. შესავალი, ავტოგრაფების დახასიათებისათვის) არ არის შეტანილი.

ნუგზარ წერეთლის და ერლომ ახვლედიანის აზრითაც ეს მოთხრობა არ შეიძლება იყოს გურამ რჩეულიშვილის პირველი ნაწარმოები, რადგან გურამი თავდაპირველად სულ სხვანაირად წერდაო. მართლაც, პირველი მოთხრობების უმეტესობა ერთი შეხედვით, ობიექტური მთხრობელით, დეტალისადმი განსაკუთრებული ინტერესით, აღწერილობითი ხასიათით, (რაც ამ მოთხრობების პირველივე წინადადებებსაც ეტყობა: „ასოცდაოთხოთახიანი ფინური სახლი...», „ოროთახიანი სადგურის მოსაცდელში...», „ოთახი იყო გრძელი და ვიწრო...» და სხვა). სტილით უფრო დოკუმენტური პროზისაკენ იხრება. 1956 წლის 24 მარტის დღიურში გურამი წერს: „მინდა აღვწერო განვლილი დღეები...» 1956-1957 წლების მოთხრობების უმეტესობას მითითებული აქვს ზუსტი თარიღი: წელი, რიცხვი, ხშირად საათი და წუთიც კი.

ეს მოთხრობა თითქოს ამოვარდნილია მწერლის შემოქმედების ქრონოლოგიური ჩარჩოდან, სადაც მისი მისი სტილური თავისებურებანი ევოლუციურად გამოვლინდა.

1956 წლის 14 მარტის დღიურში გურამი წერს: „ბევრჯერ, არც ისე ბევრჯერ, უფრო სწორად 5-6-ჯერ მიცდია, დამეწერა რაიმე საინტერესო, გინდაც უინტერესო, მაგრამ მაინც დამეწერა რაიმე, ჯერ ყაზბეგს ვბაძავდი, მერე ვინ იცის ვის, მაგრამ ერთ გვერდზე მეტის დაწერა ვერ შევძელი...» შესაძლოა, რომ ეს მოთხრობა არის ერთ-ერთი იმ მოთხრობათაგანი, გურამმა „ყაზბეგის მიბაძვით» რომ დაწერა და დახევას თუ დაკარგვას გადაურჩა. შეიძლება ითქვას ასეც: გურამმა ეს მოთხრობა დაწერა იქამდე, სანამ „წერას დაიწყებდა». ამ მოთხრობას კავშირი აქვს და გაიაზრება არა იმდენად მომდევნო მოთხრობებთან მიმართებაში, არამედ უფრო მთელი შემოქმედების ფონზე.

პირველად გამოქვეყნდა 1985 წელს გამოცემულ ტომში „სად გაექცევი ზამთრის ღამეს» სათაურით: „მოხუცი მონადირე».

ცქიტო და სელიოდკა

მოთხრობის მწერლისეული ხელნაწერი დაკარგულია. არქივში ინახება მხოლოდ კუთხოვანშრიფტიან მანქანაზე გადაბეჭდილი, სხვა ხელით ნასწორები ეგზემპლარი (3გვ.). სათაური „ცქიტოც» აწერია სხვა ხელით. დათარიღებულია.

გადაბეჭდილი ეგზემპლარი შეიძლება ჩაითვალოს ავტოგრაფად. ამის საფუძველს გვაძლევს რედაქციული სწორებების მიღმა ამოკითხული ტექსტი. აგრეთვე ამ პერიოდის ავტოგრაფებისთვის დამახასიათებელი სრული თარიღი: „1956 წლის 24 მარტი. ფილოსოფიის ლექცია». თვე და რიცხვი გადაშლილია რედაქტორის მიერ. დატოვებულია მხოლოდ წელი.

გადაშლილია რუსიციზმებიც: „პოდიეზდი», „პაკრიშკა», „ფიტილი», „თვალები გააღო». მათ ხშირად ვხვდებით ამ პერიოდის მოთხრობებში. ამოღებულია აგრეთვე, მწერლის ბუნებრივი თხრობისათვის ჩვეული სიტყვები. მაგალითად, ფრაზაში „მსხვილმა რკალებმა გამარჯვებულად გადაიარეს», გადაშლილია „გამარჯვებულად».

ვაჟა გიგაშვილის გადმოცემით ეს მოთხრობა სხვა ავტოგრაფებთან ერთად გურამს მისთვის მიუცია გადასაბეჭდად. ხელნაწერები შემონახული უნდა ყოფილიყო ვაჟა გიგაშვილის მამის შალვა გიგაშვილის არქივში (შალვა გიგაშვილი _ ვაჟთა I სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის ცნობილი მასწავლებელი, მწერალი), თუმცა ჯერ-ჯერობით მათი მიკვლევა ვერ მოხერხდა. ვაჟა გიგაშვილი იყო გურამის მოთხრობების არა მარტო ერთ-ერთი პირველი მკითხველი, არამედ გადამბეჭდავიც: მთელ ნაცნობ-მეგობრებში მარტო მას ჰქონდა საბეჭდი მანქანა. ვაჟა ბეჭდავდა კუთხოვანშრიფტიან მანქანაზე, რომელიც ეკუთვნოდა მის ბიძას დედის მხრიდან, ცნობილ მწერალს დემნა შენგელაიას..

დავასათაურე პირველი სიის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ცქიტო არის გურამის პირველი მოთხრობების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერსონაჟი, ლირიკული გმირი.

გურამი კარპატებიდან დაბრუნდა 1956 წლის 9 თებერვალს (იხ. პირველი მოთხრობის შენიშვნა). არქივში შემონახულ თორმეტფურცლიან ცალხაზიან რვეულებში აღწერილია კარპატებში გატარებული დღეები. სავარაუდოა, რომ დღიურები დაწერილია კარპატებიდან დაბრუნების შემდეგ, სულ ორ-სამ კვირაში. სწორედ მაშინ თბილისში დაიწყო მღელვარება. ამ მღელვარებას მალევე მოჰყვა ცხრა მარტის დღეები: არ შეიძლებოდა ლექციების გაცდენა, ქუჩაში ხეტიალი, გამოცხადდა კომენდანტის საათი. ვაჟა გიგაშვილის გადმოცემით, გურამმა წერა დაიწყო ცხრა მარტის ამბების დროს. უნივერსიტეტში საოცარი სიმკაცრეა, ძალაუნებურად ვზივარ ლექციებზე და ვწერო, უთქვამს მისთვის. ერლომ ახვლედიანის და გურამ გეგეშიძის აზრითაც გურამმა წერა რომ დაიწყო, ეს ცხრა მარტის სტრესულმა სიტუაციამაც განაპირობა: დაინახა, რა სასტიკია ცხოვრება და როგორ საჭიროა რაღაცა დამოკიდებულება მისადმი.

გურამ გეგეშიძე, გურამის ახლო მეგობარი და თანამოკალმე, იხსენებს:

„1955-1957 წლებში მოდაში იყო ჰემინგუეი. ჰემინგუეის წაკითხვის შემდეგ ვიგრძენი, რომ შემიძლია დავწერო მოთხრობა, აღვწერო რაღაც უბრალო ამბავი და ეს იქნება საინტერესო. მაშინ თბილისში არავინ წერდა ასე. ბევრს ჰემინგუეიც არ ჰქონდა წაკითხული. ნოდარ ჩხეიძე (კრიტიკოსი, ჟურნალისტი. ჩემი ძმის უფროსი მეგობარი. გურამი ძალიან აფასებდა და ენდობოდა მის მხატვრულ გემოვნებას და აზრს) გვიკითხავდა საგანს, რომელსაც ერქვა „ნარკვევი» (გურამ გეგეშიძე ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა. _ მ. რჩ.). ყველა სტუდენტს ერთხელ მაინც უნდა წაეკითხა ამ სემინარზე თავისი მოთხრობა ან ნარკვევი. იმ ზამთარს გურამი და მე ნაკრაში ვიყავით ალპინისტურ ბანაკში. ჩამოვედი, დავწერე რაღაც მოთხრობა. ჯერ ჯეკ ლონდონის

სტილში ვწერდი. მერე აღვწერე ერთ-ერთი ასვლა ალპინისტურ ბანაკში. ვემზადებოდი სემინარისათვის. არ წამაკითხა ნოდარ ჩხეიძემ, იფიქრა: ალპინისტია, სპორტსმენი, ალბათ არაფერი მოუმზადებია, შეიძლება, არც აინტერესებსო. დადგა სექტემბერი, დავწერე რამდენიმე მოთხრობა ჰემინგუეის სტილში. წავაკითხე გურამს. აღფრთოვანდა, როგორც იცოდა ხოლმე. სოსო კორინთელი, ნიკო ლეონიძე და სხვები, ჩემი თანაკურსელები, უკვე აღიარებული მწერლები იყვნენ. ყველამ იცოდა მათ შესახებ. მე ვუთხარი: მეცა ვწერ მოთხრობებს-მეთქი. წავაკითხე. ძალიან მოეწონათ. ამათ უთხრეს ნოდარ ჩხეიძეს: გურამ გეგეშიძეცა წერსო. ნოდარ ჩხეიძესაც ძალიან მოეწონა.

ერთხელ ნოდარმა მითხრა: მოდი მოვაწყოთ შენი მოთხრობების განხილვა. წინააღმდეგი წავედი. არ მიყვარდა ყურადღების ცენტრში დგომა, გურამისაგან განსხვავებით. ხომ გახსოვს „იულონშიცა» წერს. მართლა ეგრე იყო. თავს სულ არენაზე, რინგზე აღიქვამდა. მე უფრო მსიამოვნებს კუთხეში ყოფნა, როცა არ მიცნობენ. ნოდარმა დამიყოლია. უნივერსიტეტის მეორე სართულზე, 83-ე აუდიტორიაში უამრავი ხალხი შეიკრიბა. გაჭედილი იყო აუდიტორია. წაიკითხეს ჩემი მოთხრობები. მერე გამოვიდნენ რეზო ინანიშვილი, ბესო ჟღენტი, აუდიტორიას აშკარად მოსწონდა. გამოვიდნენ აგრეთვე ზურა კიკნაძე, ედიშერ გიორგაძე, ზურა კიკნაძემ თქვა ასე: „ამ მწვალებლურ საშინელ ცხოვრებაში ძლივს გამოჩნდა რაღაც». ედიშერ გიორგაძე ლაპარაკობდა კომუნისტური სისტემის ბორკილებზე. ერლომ ახვლედიანმა თქვა: ძლივს იწერება ნაწარმოები ადამიანზე როგორც ადამიანზე ... ადამიანის ინტიმურ ცხოვრებაზე.»

გურამ გეგეშიძე ამ განხილვის მერე ძალიან პოპულარული გახდა. ლიტერატურულ წრეებში გაიგეს მისი სახელი. ამბობდნენ: ახლებურია, ასეთი ტრადიცია ჯერ არ იყოო.

თავდაპირველად არავინ იცოდა, რომ გურამ რჩეულიშვილიც წერდა. აგი აბაშიძე (გურამის ახლო მეგობარი და ნათესავი, ფილოლოგი, კრიტიკოსი, აგრეთვე ცნობილი ალპინისტი) იხსენებს, რომ 1956 წელს, როდესაც გურამ გეგეშიძის მოთხრობების განხილვიდან გამოვიდნენ, რომელიც უნივერსიტეტის პირველი კორპუსის 93-ე აუდიტორიაში მიმდინარეობდა, გურამს უთქვამს: „მოგწონს ჩიკოს მოთხრობები? ასეთ მოთხრობებს მეცა ვწერ» «სიმართლე გითხრა, ძალიან გამიკვირდა, _ თქვა აგიმ. _ გურამი არ იყო მწერლის ტიპი ... რა თქმა უნდა, არაფერი მითქვამს.»

ერლომ ახვლედიანმა მიამბო: „9 მარტის დღეები იყო, უფრო სწორედ შემდეგი დღეები. ვიღაცები დაიჭირეს. დაიჭირეს ედიშერ გიორგაძეც, რომელმაც სიტყვა თქვა „კომუნისტის» რედაქციის წინ გამართულ მიტინგზე. მაშინ მე და გურამი იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს. გურამი იმ დღეებში არ გაჰკარებია არაფერს, არ ჰქონდა რევოლუციური პათოსი. თავისუფლება სულ სხვა კატეგორიაა... („რა ამპარტავნები ვართ ერთი მუჭა თავისუფლებისმოყვარე ერი, რომელმაც არ იცის, სად არის თავისუფლება...» _ ამონაწერი გურამ რჩეულიშვილის 1957 წლის დღიურიდან.) სტუდენტებს იჭერდნენ, ლექციებიდან გაჰყავდათ. ლექციის გაცდენა არ შეიძლებოდა. მახსოვს კარგად, მარტის ბოლო იყო, ნესტიანი, ღრუბლიანი დღე. ლექცია გვქონდა მეორე კორპუსის სარდაფის სართულში. ისტორიულზე ვიყავით ორივე. უკანა მერხზე ვიჯექი, გურამი ჩემგან ხელმარჯვნივ იჯდა, ცოტა წინ, კიდეში. რატომღაც უცებ მე შემომიბრუნდა. რატომღაც იმიტომ, რომ არ ვიყავით ისე ახლო მაშინ და მითხრა: „რაღაც მინდა განახო ლექციის შემდეგ. წამოდი ჩემთან სახლში.» მაშინ გავიგე, რომ გურამი ლარსის ქუჩაზე ცხოვრობდა. ავედით თქვენთან. წამაკითხა. არ მახსოვს, რომელი მოთხრობები. მაშინ დაკონკრეტებული პროზა ჩემთვის ძნელად აღსაქმელი იყო. ჩემთვის ლიტერატურა იყო სულ სხვა რაღაც. მერე წამოვედით ჩემთან. მე ვუთხარი, მეცა მაქვს ნაწერები და წაგაკითხებ-მეთქი. მაშინ ძალიან ბევრს ვმუშაობდი. წავიკი-

თხეთ ჩემი. ძალიან მოეწონა. გურამის პროზის გემო მერე გავიგე. მაშინ ვერ აღვიქვი როგორც მწერლობა... გამიკვირდა კიდეც, რად უნდა ეგეთ ბიჭს წერა-მეთქი. გურამი ძალიან მომწონდა შორიდან თავისი აზროვნებით. იმ დღეს დაიწყო ჩვენი მეგობრობა, რომელიც მერე აღარ შეცვლილა _ თითქოს გურამის ავსება და ჩემი დაკლება.»

ძალიან მალე ყველასთვის გახდა ცნობილი, რომ გურამ რჩეულიშვილი წერდა. გურამ გეგეშიძემ თქვა: „გურამმა წამაკითხა თავისი „ცქიტო» და სხვები. მეც ძალიან მომეწონა. მერე გურამმა წამაკითხა ვაჟა გიგაშვილის მოთხრობები. ისინიც ძალიან მომეწონა. მე, ვაჟამ და გურამმა თითქმის ერთდროულად დავიწყეთ წერა. ერთმანეთს ვაქებდით, მხარში ვედექით. მახსოვს, ერთხელ მე და გურამი ლაპარაკ-ლაპარაკით მოვდიოდით „დინამოს» სტადიონისაკენ. კიროვის ბაღს რომ მივუახლოვდით, გურამმა მითხრა: „ფრანგ მწერლებს გევხარ, ლამაზად წერ, კარგი გემოვნება გაქვსო. მე ვუთხარი: შენ მიხეილ ჯავახიშვილის ტიპის მწერალი იქნები, იმ რანგის, ისე წერ-მეთქი. მერე ჩაიგდო ნოდარმა ჩვენი მოთხრობები ხელში და თურმე სტუდენტებს უკითხავდა სემინარებზე.., ისე რომ გვარს არ ასახელებდა. სტუდენტები ამბობდნენ: ახალი მოვლენაა, ერთი სკოლაა, ერთმანეთს ჰგავს, ოღონდ სხვადასხვა ავტორისა უნდა იყოსო.

გურამ რჩეულიშვილის ერთი პატარა მინიატურა, დაწერილი 1957 წლის გაზაფხულზე, ეხმაურება გურამ გეგეშიძის მონათხრობს: „ჰემინგუეი .. ახალი სტილი ... თევზი დაგლეჯილი ზვიგენის პირით.»

გურამ რჩეულიშვილი 1956 წლის 29 მარტის დღიურში წერს: „ ... გამეხსნა, ერთის სიტყვით, ჯერ კიდევ შეუხორცებელი იარა. თავი ძლივს დავიჭირე ხელში, რომ მოგონებათა მთელ აკიდოს არ გავეტაცე. ახლაც ძლივს ვიკავებ გრძნობას, რომ არ შევუდგე ჟინის მოკვლას წერით, მასზე წერით, რამდენი ხანი მაწვალებს ეს აზრი. მინდა დავიწყო, ვიწყებ, მაგრამ ბოლოს ფარ-ხმალსა ვყრი და თავს ვანებებ, გადავდივარ სხვა რამეზე. ასე დავწერე პირველი ჩემი ნოველა, რომელიც ძალიან მომწონს, მაშინვე მარიკას (მარიკა საყვარელიძე _ გურამის ახლო მეგობარი და თანაკურსელი.) მისივე დაჟინებული თხოვნით წავუკითხე და მასაც მოეწონა, მერე ქართლოსმაც წაიკითხა, შემიქო. ეს ნოველა დამაწყებინა ძველი სიყვარულის დამსხვრევის გახსენების შემდგომმა დღეებმა. იგი იწყება ზაფხულის წვიმიანი დღის აღწერით. ეს დღე მზიას გათხოვების მერე იყო. ჩვენ (იგულისხმება გურამის მეგობრები: ნუგზარ წერეთელი, ბორია ინასარაძე, ქართლოს სვანიძე _ მ.რჩ.) ბორჯომში გიჟური გავარდნა მოვაწყვეთ. დავკარგე მთელი ბარგი, მერე გამოვიარე ხოვლეში, თავგადატვლეპილმა. მივაკითხე არქეოლოგიურ ექსპედიციას, ჩამოვედი თბილისში ახალი ბარგის წასაღებად.

თბილისში ვიჯექი სახლში და წვიმდა მთელი დღე კოკისპირულად, მე კი ვიჯექი, თავზე წყლულები დამისკდა, ხოვლეში უქუდოდ სიარულისას დამსკდარი და ვუყურებდი წვიმას. მოწყენილი ამინდი, წვიმა, უკაცური ქუჩა ჩემი გულის დარდს ერთგვარ თანაგრძნობას უწევდა. მერე მინდოდა, დამეწერა ამ დარდის ამბავი, მაგრამ სულ სხვა რამეზე გადავედი, კალამმა ჩემდა უნებურად სხვა დამაწერინა. როცა დავამთავრე და წავიკითხე, გამიხარდა. ჩემს გრძნობას სხვა ფორმებში უფრო კარგად გადმოეცა ის ჩემი დარდი, მელანქოლია, უიმედობა და შეუპოვრობის ნაპერწკალი. თუნდაც ის ამბავი, რომ სახლში არ მინდოდა გაეგოთ, რომ მე ვდარდობდი რაიმეზე.» (1956 წელი. 31 მარტი. უნივერსიტეტის სამკითხველო.)

სავარაუდოა, რომ „პირველ ნოველაში» გურამი გულისხმობს „ცქიტო და სელიოდკას». მწერლის მიერ შედგენილ პირველ სიაშიც (იხ. შესავალი) პირველ მოთხრობად დასახელებულია „ცქიტო და სელიოდკა» („[1] 1. ცქიტო და სელიოდკა: პირველი მოთხრობა».) მეორე სიაშიც „გადაბეჭდილები» _ ჩემი აზრით, ისევ ეს მოთხრობა იგულის-

ხმება: „[1]14. პირველად დაწერილი». ასე რომ, გურამი „ცქიტო და სელიოდკას» თავის პირველ მოთხრობად თვლიდა.

არქივში შემონახული მასალების მიხედვით გურამ რჩეულიშვილის პირველი დღიური დათარიღებულია 14 მარტით (დაიბეჭდება მეხუთე ტომში), პირველი მოთხრობა 24 მარტით. არქივში ინახება პირველი სამი მოთხრობის მხოლოდ ნაბეჭდი ვარიანტები.

„ცქიტო და სელიოდკა», სათაურით „ცქიტო», პირველად გამოქვეყნდა 1961 წელს „ცისკარში», [1]9. 1961 წელსვე წიგნში „სალამურა».

ფინურ სახლში: კარპატებში

ავტოგრაფი დაკარგულია. ავტოგრაფის მაგივრობა გაგვიწია 1960 წლამდე კუთხოვანშრიფტიან მანქანაზე გადაბეჭდილმა ცალმა (1-3გვ.). ნაბეჭდი ვარიანტი უსათაუროა და დათარიღებული. „მერე» ჩამატებულია გურამის მიერ. პირველ სიაში დასათაურებულია როგორც „ფინურ სახლში: კარპატებში». მეორე სიაში: „ასოცდაოთხოთახიანი ფინური სახლი». სათაურად ავიღე პირველი ვარიანტი.

არქივში ინახება ფოტოსურათები გურამის კარპატებში მოგზაურობის პერიოდიდან, გადაღებული გურამ თიკანაძის მიერ. (გურამ თიკანაძე – გურამის მეგობარი, მთამსვლელი, სპორტის ოსტატი, ფოტოჟურნალისტი. ჩემი აზრით, პირველი ქართული მხატვრული ფოტო დაკავშირებულია მის სახელთან.) ხუთ სურათს უკან აქვს წარწერები. ერთ-ერთ ფოტოსურათზე, როგორც წარწერიდან ჩანს, აღბეჭდილია დაბა იასინია და ფინური სახლი, ალბათ ის ტურბაზა, რომელზეც ამ პატარა მოთხრობაშია ლაპარაკი. მოგვყავს მთლიანი ჩანაწერი:

„დაბა იასინია

მდებარეობს იმიერკარპატებში, ჩეხოსლოვაკიის საზღვრიდან 45 კილომეტრის დაშორებით. იგი სამრეწველო დაბაა. ძირითადად ამზადებენ ხე-ტყეს. მოსახლეობას გუცულები შეადგენენ. ერთ-ერთი განშტოებაა უკრაინელების. ენა უკრაინულის დიალექტია. ტანისამოსი აცვიათ ჭრელი. ქალებს თეთრი პერანგი, იუბკად წინ და უკან ჩამოფარებული კაბები. კაცებს ახლა ჩვეულებრივ აცვიათ. ქუდები ყურებზეც იხურება. დაავადებულები არიან სიფილისით.

ლვოვიდან მატარებელი ღამის 11 საათზე გადიოდა იმიერკარპატეთისაკენ. კიდევ თორმეტი საათის გზა დარჩა იასინიამდე. შემდეგი დილა მთებში გაგვითენდა. ჩვენი მოლოდინის საპირისპიროდ თოვლი ძლიერ ცოტა იყო, რამაც ჩვენზე ცუდად იმოქმედა. სადგურიდან ტურბაზამდე თითქმის საათი ვიარეთ. იასინიას ტურბაზის კოლექტივმა ერთობ კარგად მიგვიღო. სწრაფად მოგვათავსეს ცალკე ოთახებში და აბანო გაგვიცხელეს. არავინ უქმად დროს არ კარგავდა. მიზანი ორი ჰქონდა ყველას: პირველი (ძირითადი) თხილამურები და სათხილამურო გადასვლა, მეორე (არანაკლებ ძირითადი) რუს გოგონებთან არშიყი. შედეგები მიზნების განხორციელების შესახებ იხ. თიკანაძის საგაზეთო სტატიებში.

1956 წ. მარტი.»

ნუგზარ წერეთლის არქივში ინახება გურამის ნაჩუქარი გურამ თიკანაძის მიერ იმიერკარპატებში გადაღებული კიდევ ერთი ფოტო. ამ ფოტოზე აღბეჭდილია ისევ

იასინიას ტურბაზა აივნის მოაჯირზე შემომსხდარი ქართველი ალპინისტებით. ამ ფოტოს უკანა მხარეს გურამის ხელით აწერია:

„ბევრი კარგი მოგონება დამრჩა იასინიას ტურბაზიდან: 13 მოარშიყე ალპინისტი. რუსი, უკრაინელი, ბელორუსი გოგონები, გუცულის ქალები ჭრელი კოფტებითა და გვერდზე ჩაჭრილი კაბებით. თიკანას დარბაისლური არშიყი, გოგი ჩიჩუას თვალების ჭყეტვა, აგისა და გიგის ოლიმპიური სიმშვიდე გოგოებისადმი, რასაც გიგი ზოგჯერ უხვევდა გვერდზე. ომარას გაუთავებელი შაყირი, ჟორას, შოთას, ოთარის, ზიპოს კარტი და კარტი. პოეზიის გლახაობა, კვაჭის ცხენსაშენი, ირაკლის ფოტოები. სიმღერები, ჩაფლავება. გულის არ გატეხვა. „как нибудь», როგორმე, (.....) პაკლონიკობს დღეს.

მე და გურამს გუცული ოფიციანტები მოგვეწონა. მას მარფა, მე ანა-მარია, მერე რატომღაც ერთმანეთისები უფრო მოგვეწონა. მიუკარებელნი გამოდგნენ გუცულები. ესენიც ხომ მთიელები არიან. ცეკვები საღამოობით. მომღერალი ჩეხი იანუში. ხარკოველი დეფექტური მონდომებული არშიყი და ვოკალისტი დედის 39 წლიანი ბიჭი და სხვადასხვა.

1956 წლის თებერვალი. იასინიას ტურბაზა.»

გურამის არქივში შემორჩენილია დღიურები, რომლებშიც კარპატებში მოგზაურობის დღეები რეტროსპექტიულადაა აღწერილი. გარდა დღიურებისა ინახება გურამის მიერ კარპატებიდან გამოგზავნილი პატარ-პატარა ბარათები და წერილები. წერილებს წერდა მატარებელში, რკინიგზის სადგურზე ტურბაზაში. გვწერდა ყველა წვრილმანს. იცოდა, რომ დედა მოუთმენლად ელოდა თავისი ვაჟიშვილის ყოველდღიური ცხოვრების ქრონიკას. დღიურები და ჩანაწერები გამოქვეყნებული იქნება მეორე ტომში.

პირველად გამოქვეყნდა გიორგი შატბერაშვილის რედაქციით 1965 წელს გამოცემულ წიგნში, „მოთხრობები. პიესა,» სათაურით „გუცულები».

(„გამარჯობათ! ნიაზმა ფეხი ფეხს...»)

არსებობს მხოლოდ უსათაურო შავი ავტოგრაფი (1-ბგვ.). თარიღი მიახლოებით დადგენილია სტილისა და ავტოგრაფის გაფორმების მიხედვით: ქვევიდან ნახევარრკალად შემოხაზული გვერდების ნუმერაცია, შუაში გაჭრილი თაბახის ფურცელი და სხვა (იხ. ავტოგრაფების დახასიათებისათვის). სავარაუდოა, რომ გურამი ამ მოთხრობას გულისხმობდა პირველ ნომერ „სისულელედ» (თუმცა არ უწერია არსად), როდესაც მსგავს ფურცლებზე, მსგავსი ხელით დაწერილი მოთხრობის ავტოგრაფზე მიაწერა: „სისულელე [1]2.» (იხ. მომდევნო მოთხრობის შენიშვნა) სავარაუდოა ისიც, რომ ეს ორი დაუთარიღებელი მოთხრობა ერთმანეთს მოსდევს ქრონოლოგიურად.

მოთხრობის გმირის პროტოტიპია გურამის უფროსი მეგობარი ნიაზ დიასამიძე, 50-იანი წლების თბილისის მნიშვნელოვანი კოლორიტული ფიგურა. ნიაზი წერდა პატარ-პატარა ნაწარმოებებს, მაგრამ ძირითადად ცნობილი იყო თავისი განუმეორებელი იუმორით. ნიაზის სიტყვა-პასუხი და სხარტი გამონათქვამები ერთი წრიდან მეორე წრეს გადაეცემოდა ხოლმე. ის ცნობილი იყო თავისი მუსიკალური ნიჭითაც: უკრავდა და წერდა სიმღერებს. გურამთან და ნუგზარ წერეთელთან მას ახლობლური, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. ნუგზარის თქმით, ის განსაკუთრებით პატივს სცემდა გურამს კაცური სიძლიერის გამო. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ნიაზ დიასამიძე უცნობი არ არის დღევანდელი თბილისისთვისაც.

პირველად გამოქვეყნდა 1985 წელს წიგნში, „სად გაექცევი ზამთრის ღამეს».

დათო და გურამი ბუხართან ბაკურიანისაკენ

ავტოგრაფი (1-6 გვ.) უსათაუროა და დაუთარიღებელი. დასათაურებულია პირველი სიის მიხედვით: „42. დათო და გურამი ბუხართან. ბაკურიანისაკენ.» დათარიღებულია სტილის, თემატიკის (1956 წლის დასაწყისის ბაკურიანის ციკლის მოთხრობები), ავტოგრაფის გაფორმების და სხვა საფუძველზე (იხ. ავტოგრაფების დახასიათებისათვის). ისეთივე თაბახის ფურცლებზე, ოღონდ მთლიანზე, (ეს მოთხრობა წერია შუაში გაჭრილ თაბახის ფურცელზე) იმავე მელნით და ხელით დაწერილია მოთხრობა დათარიღებული 1956 წლის 31 მარტით.

მოთხრობის ბოლოს, იმავე გვერდზე (ხელწერიდან ჩანს მაშინვე), მიწერილია მწერლის მიერ „სისულელე 2».

მოთხრობის გმირის პროტოტიპია გურამის მამიდაშვილი და მეგობარი დათო ჯავახიშვილი. გარდა ყველაფრისა, გურამი და დათო ცხოვრობდნენ ერთად ყოფილი რენინგერისა და კალინინის ქუჩების კუთხეში მდებარე ორბელიანების სახლში, კათოლიკური ეკლესიის პირდაპირ და ცხადია, ერთ სკოლასა და ერთ კლასში სწავლობდნენ. ჩვენ, რჩეულიშვილები, ვცხოვრობდით პირველ სართულზე. (ამჟამად ჩვენ ყოფილ ბინაში ცხოვრობს დათო ჯავიხიშვილი თავისი ოჯახით.) მეორე სართულზე ცხოვრობდნენ ივანე ჯავახიშვილი თავისი ოჯახით (ანასტასია ორბელიანი, ივანე ჯავახიშვილის მეუღლე, იყო პირველი მევიოლინე ქალი საქართველოში) და კიტა აბაშიძე თავისი ოჯახით (მეუღლე _ თეკლე ორბელიანი).

ამონაწერი მიხეილ რჩეულიშვილის მოგონებებიდან: „ჩვენ, ყველანი (აბაშიძეები და ჯავახიშვილები) ერთ სახლში ვცხოვრობდით, ნათესავები ვიყავით და გურამი მათთან ერთად იზრდებოდა. განსაკუთრებით უყვარდა დათო ჯავახიშვილი, აგი და გიგი აბაშიძეები (თავისი თანატოლები).»

ამ მოთხრობით იწყება გურამის ბაკურიანის ციკლის მოთხრობები.

მოთხრობა პირველად გამოქვეყნდა ნუგზარ წერეთლის რედაქციით 1985 წელს გამოცემულ წიგნში „სად გაექცევი ზამთრის ღამეს» სათაურით: „მეგობარი».

(„ოთახი გრძელი იყო და ვიწრო...»)

ნაწერია ფერადი ქაღალდის ფურცლებზე (1-5გვ.), არც დათარიღებულია და არც დასათაურებული. თაბახის ფურცელს ემჩნევა, რომ ოთხად იყო გაკეცილი, როგორცა ჩანს, გურამს ჯიბეში ედო. დათარიღებულია მხოლოდ სტილის და თემატიკის მიხედვით (იხ. წინა მოთხრობები). სავარაუდოა, რომ დაწერილია ბაკურიანში.

მკითხველისათვის ალბათ საინტერესო იქნება 1956 წლის თებერვალში გურამის მიერ ბაკურიანიდან ნუგზარ წერეთლისადმი გამოგზავნილი წერილის გაცნობა:

„ჩემო ნუგზარ, კარგად ვიმგზავრე. ჩამოვედი და მშვენივრად მოვეწყე, მთის ქუჩაზე, მოხუც დიასახლისთან. ქუჩის სულ ბოლო სახლია, ტყესთან რომ ამოხვალთ, იკითხეთ მიქაბერიძის ბინა. ორსართულიანი სახლია. მეორე სართულზე მომცეს პატარა ოთახი. რაც მთავარია, მაგიდა დგას, სადაც შეიძლება წერა. ნახევარ დღეზე მეტი პარკში ვარ. ისე მომნატრებია თხილამურებით სრიალი, დაღლას ვერა ვგრძნობ. დღეს

კოხტაზე ვაპირებ ასვლას. ჯერჯერობით მზიანი და უქარო ამინდია, ცოტა ხალხია ჩამოსული. სიწყნარეა, რაც მე მჭირდება. მარტოობა, როცა საწერი დამიგროვდება და მინდა განვთავისუფლდე, არ არის ცუდი, მაგრამ მაინც მოწყენილი ვარ. წამოსვლა არ გადადოთ, გამოცდებს დაამთავრებთ თუ არა, იმ ღამესვე წამოდით.»

ქვეყნდება პირველად.

ბაკურიანიდან წამოსვლა

შემონახულია მხოლოდ შავი ავტოგრაფი. ნაწერია გურამისათვის უჩვეულო წვრილი ხელწერით ორად გაკეცილი თაბახის ფურცლის ორივე მხარეს ლურჯი მელნით (1-3გვ.). მოთხრობა უსათაურო. ტექსტს მოსდევს თარიღი (იხ. ტექსტი) მინაწერით: „ახალი ისტორიის ლექცია. ყვება ჩერჩილის ცხოვრების შესახებ». მოთხრობის ბოლო ორი წინადადება გადაშლილია „პარალელური ხაზებით», არ ამოიკითხება (იხ. ავტოგრაფების დახასიათებისათვის). ბოლო ცარიელ გვერდზე სხვისი ხელით წერია: „მზიანი დღე».

სავარაუდოა, რომ არსებობდა თეთრი ვარიანტი, რომელიც დაიკარგა სხვა ავტოგრაფებთან ერთად (იხ. პირველი მოთხრობების შენიშვნები). შემონახულია ორი, 1960 წლამდე კუთხოვანშრიფტიან მანქანაზე გადაბეჭდილი (პირველი და მეორე პირები) მოთხრობის ტექსტი (იხ. წინა მოთხრობების შენიშვნები). ნაბეჭდი ვარიანტის მეორე პირში ჩემი ხელითაა შეტანილი შესწორებები შავი ავტოგრაფიდან არქივზე მუშაობის პერიოდში. თარიღის მომდევნო ტექსტი გადაშლილია სხვის მიერ შავი მელნით. ამავე მელნით, ასევე სხვის მიერ, ალაგ-ალაგ ნასწორებია მთელი ნაბეჭდი ტექსტი. კორექტურა და გვერდების ნუმერაცია გაკეთებულია ვაჟა გიგაშვილის მიერ.

შავ ავტოგრაფსა და 1960 წლამდე გადაბეჭდილ ვარიანტს შორის სხვაობა ძირითადად სტილური ხასიათისაა. ამ გამოცემაში ვეყრდნობი ნაბეჭდ ვარიანტს. ჩემი აზრით, ის წარმოადგენს თეთრი ავტოგრაფის ასლს.

„პირველ სიაში: „28: ბაკურიანიდან უკან.» მეორე სიაში: „ბაკურიანიდან წამოსვლა.»

მოთხრობა სათაურით „მზიანი დღე» პირველად გამოქვეყნდა 1961 წელს ტომში „სალამურა».

მინიატურა: სადგური ბორჯომში

ავტოგრაფი (1-2გვ.) დაუთარიღებელია და უსათაურო. ნაწერია შუაში გაჭრილ თაბახის ფურცელზე ფანქრით, გაკრული ხელით. თავდება აღნიშვნით: „———. ———» . ასეთი აღნიშვნით გურამი ამ პერიოდში (იხ. მომდევნო მოთხრობების შენიშვნები), ჩვეულებრივ, გამოჰყოფდა ხოლმე მოთხრობის ნაწილებს ერთმანეთისაგან. ეს ნიშანი მაფიქრებინებს, რომ მინიატურა თავდაპირველად ჩაფიქრებული იყო მოთხრობის ნაწილად. ორივე სიაში მისი ცალკე ნაწარმოებად შეტანა მოწმობს თავდაპირველი ჩანაფიქრის შეცვლას.

ასლი გადაბეჭდილია 1960 წლამდე კუთხოვანშრიფტიან მანქანაზე (იხ. ავტოგრაფების დახასიათებისათვის). რუსული ტექსტი ნაბეჭდ ვარიანტში შეტანილია ვაჟა გიგაშვილის მიერ.

დათარიღებულია სტილისა და თემატიკის მიხედვით.

პირველ სიაში: „67. მინიატურა: ბაკურიანის სადგურზე.» მეორე სიაში: „2. მინიატურა: სადგური ბორჯომში». როგორცა ჩანს, გადაბეჭდვის შემდეგ დაზუსტდა, რომ მოქმედების ადგილია ბორჯომის სადგური და არა ბაკურიანის.

ქვეყნდება პირველად.

(„ვაჟამ ქუჩა გადაჭრა...»)

27 მარტით დათარიღებულია ორი უსათაურო ნაწარმოები. ერთი იწყება სიტყვებით: „ვაჟამ ქუჩა გადაჭრა ...» მეორე კი: „ზღვის ნაპირას...». მოთხრობის მომდევნო დღიურიდან ირკვევა, რომ ისინი დაწერილია ერთმანეთის მიყოლებით: ერთი სახლში, ხოლო მეორე უნივერსიტეტში. ამ ავტოგრაფში (1-6გვ.) გვერდების ნუმერაციას შემოვლებული აქვს რკალოვანი ფრჩხილები. შიგადაშიგ ნასწორებია წერის პროცესშივე.

დღიური, რომელიც მოსდევს მოთხრობას თარიღის შემდეგ:

„ჩვენთან ზის აქაური გერმანელი, რომელიც მამას ლათინურ წარწერებს უწერს ხელნაწერ სადოქტორო ნაშრომში, რომელიც 2-3 დღეში მან (მამამ _ მ.რჩ.) ერევანში უნდა წაიღოს. იქვე აპირებს დაცვას. ჩემი და და ეს ახალგაზრდა, მაღალი, ხორცსავსე, საშუალო სილამაზის სახის გერმანელი შეეწყვნენ ერთმანეთს. ახლა ისინი ერთად მუშაობენ და თან დაუსრულებლივ ლაპარაკობენ. ჩემი ბიძაშვილი ირაკლი და ნუგზარი რეზინის ნახევრადდაფუშული ბურთით თამაშობენ. (ალბათ, ნუგზარ დურმიშიძე, მამაჩემისა და დედაჩემის მეგობრების _ სერგო და ნანა დურმიშიძეების ვაჟი. დურმიშიძეები ცხოვრობდნენ ლარსის ქუჩაზე, ჩვენს ზემოთა სართულზე. ცნობილი აკადემიკოსი სერგო დურმიშიძე და დედაჩემი თანაკურსელები იყვნენ. მათ ერთმანეთთან ძალიან ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ. სერგო დურმიშიძის დახმარებით გურამმა 1959 წელს დაიწყო საქართველოს ისტორიის მუზეუმში მუშაობა. მოგვიანებით სერგო დურმიშიძემ დაწერა მოგონებები გურამზე: „ახალგაზრდა პროზაიკოსი გურამ რჩეულიშვილი.» იხ. წიგნში: „ზოგი რამ წარსულიდან.» 1987 წელი. თბილისი. მან გაიხსენა გურამის ცხოვრებიდან რამდენიმე მნიშვნელოვანი ეპიზოდი. _ მ.რჩ.). მე ვწერ და თან მალულად ხორცსავსე გერმანელ დიაცს ვჭვრეტ. ის არც იხედება. უჰ, მაგისი!! ხუთ საათზე მამაჩემიც მოვიდა. წავიდა ტკბილი საუბარი _ მიხაილ დიმიტრიჩ და კიტია (ასე ჰქვია გერმანელს). მარინე ამბობს, ნახევარს მე დავწერო, მერე დედაც აპირებს დაწერას. ჩვენ ვიცინით.»

ქვეყნდება პირველად.

(„ზღვის ნაპირას, თავთხელ წყალში...»)

ავტოგრაფი (1-19გვ.) უსათაუროა და დათარიღებელი. ამ მოთხრობაში პირველად შეიცვალა დათარიღების სტილი (იხ. ტექსტი). თარიღის შემდეგ დაზუსტებულია დაწერის ადგილი: „ისტმატი» (იგულისხმება ისტორიული მატერიალიზმის ლექცია). მოთხრობას მოსდევს დღიური თარიღის შემდეგ. დღიური, მართალია, ავტოგრაფის იმავე გვერდზეა, მოთხრობა რომ მთავრდება, მაგრამ მისი გვერდების ნუმერაცია უკვე რომაული ციფრებით, თავიდანაა დაწყებული.

დღიური: „დღეს დილით დედამ ჩვეულებრივი ნოტაცია წამიკითხა პოლიტეკონომიის შესახებ. მერე მარინეს ვეჩხუბე. ის მამას რაღაცებს უწერდა ლათინურად სადოქ-

ტორო ხელნაწერში. მე ხმამაღლა ვკითხულობდი დოსტოევსკის, ამაზე წავიჩხუბეთ. გუშინდელი ნაჩხუბრები ვიყავით და ერთმანეთს არაფერს ვუთმობდით. მე გადავწყვიტე, ურეაქციოდ ამეტანა მისი ყვირილი. მერე დედა ჩაერია. მერე წავიკითხე (.....). დედა ზევით ავიდა ჩემი სწავლის ფულის საშოვნელად. ამ დროს დათო ღოღობერიძე მოვიდა. ვილაპარკეთ, ვიშაყირეთ.

ბოლოს წამოვედით უნივერსიტეტში. 4 საათი ვიუსაქმურეთ. ყ-ნი სამჯერ დავინახე, მაგრამ განგებ არ მივედი. ბოლო საათის მერე ქვევით ჩავედი განგებ. აქ უნდა გამოევლო. როცა მოვიდა, მივესალმეთ. ბოდიში მომიხადა, შენი ჟურნალი ვერ მოგიტანეო. მერე თავისი დარდი გამიზიარა. გვერდწითელი მიბარებს. მეშინია, ყ-ის გვართან უნდა იყოს დაკავშირებული, თუმც კი ის ყ-ი ჩვენი არაფერიაო, ვინ არის, ისიც არ ვიცითო. მერე ქვევით ფანჯარასთან მიმიყვანა და ლაპარაკობდა. ბევრი იტიკტიკა. ცოტა სულელი უნდა იყოს. რაღაც ისეთებს ურევს. წავედით გვერდწითელისკენ, ერთმანეთს ვაწვებოდით იდუმალ. მერე ვუთხარი, არ მიხვიდე მეთქი, ისევ წამოვედით მხარდამხარ. შევედით სააქტო დარბაზში, რაღაც ტყის მეგობართა სხდომაზე. სამგორზე ტყეები დარგითო. ვიღაცამ დაიძახა: _ როდის გაათავებთ მაგ ტინგიცობასო. ახალგაზრდა მთავრობა აღშფოთდა. კუპრაძე კი იჯდა დარბაისლურად.

_ უჰ, რა სიმპატიური კაცია. ეს მდივანი კი ბრიყვი, ლაწირაკი ჩანს. დათომ შაყირი არ მოგვაკლო. ჩქარა დამთავრდა. ქვევით შოთა ესიტაშვილი შემხვდა, მოლოტოვიდან ჩამოვედიო. საღამოს 5 საათის ლექციაზე მივედი. დავწერე გიგულის, ირაკლის, მარინეს ამბავი. დასვენებაზე რუსიშვილი მოვიდა. (გურამის მეგობარი, თანაკურსელი.) დაიწყო ლაზღანდარობა. როცა შევხურდით, ჯ-ს შეხედა, მას დიდი, თხელი, დაჩეხილი ცხვირი აქვს, ბუნებაც ისეთივე, თუ არ ვცდები, და იხუმრა, ერთი მაგასთან „დურაჩკა» მათამაშა ცხვირზე დარტყმაზეო. ისე კარგადა თქვა, რომ სიცილით გავიგუდეთ. ნუგზარი მოვიდა, მარჯანიშვილში პრემიერაზე მივდივართ ციალა ბარათელიასთან ერთადო. მანეთი მე, სხვამ მეორე, რუსიშვილი შეჰპირდა. წავიდა. დათო მაჭავარიანი, დაპორტყნილი ხელებზე, მარიკას რაღაცას უყვებოდა. მეორე შესვენებაზე, ედიშერას, ლევანს და ვიღაცას ვესაუბრე. პაპიროსი მოვწიე.

ახლა ინგლისურზე ვზივარ. ამ უკანასკნელმა კომპლიმენტიც კი მითხრა: მე არავის არ ვთხოვ დასწრებასო. თუ არ გინდა წადიო.

თემო ბერიძე (თანაკურსელი, მეგობარი, 1960 წელს გურამთან ერთად იყო გაგრაში. გურამთან გატარებული ბოლო დღეები მან გაიხსენა წერილში: „რამდენიმე დღის გახსენება». დაიბეჭდა „ცისკარში»: 1976წ. [1]12.) გაუთავებლივ შაყირობს. ინგ. ლანძღავს, ემუქრება. თემო განაგრძობს, რეზო თავს იჭერს, ჩუმად ყვება».

მოთხრობის მოქმედ პირთა პროტოტიპები არიან ჩვენი უმცროსი ბიძაშვილები: გია და ირაკლი ნიჟარაძეები და მათი დედა ნინო ფარქოსაძე, ჩვენი ბიძის მეუღლე (ბიცოლა) დედის მხრიდან, მუსიკოსი და პოეტი. მათთან ერთად ვისვენებდი ერთ ზაფხულს ახალ ათონში.

ქვეყნდება პირველად.

პაპა გოგოთური

არსებობს მხოლოდ შავი ავტოგრაფი (1+1-11გვ.). დასათაურებულია პირველი სიის მიხედვით: „57. პაპა გოგოთური.» თავფურცლის ზედა ნახევარზე წვრილი ასოებით, ფანქრით, სხვა ხელით აწერია „პაპა გოგოთური». ამავე ფანქრით შიგადაშიგ გაკეთე-

ბულია რამდენიმე შენიშვნა, როგორცა ჩანს, მბეჭდავისათვის. ვფიქრობ, რომ მწერლის მიერ წერის პროცესშივე გადაშლილია რამდენიმე სიტყვა.

არქივში შემონახული ავტოგრაფებიდან „პაპა გოგოთური» პირველი მოთხრობაა, რომელსაც გაკეთებული აქვს თავფურცელი (იხ. ავტოგრაფების დახასიათებისათვის). შემდეგ ავტოგრაფებში თავფურცელზე, ჩვეულებრივ, წერია ხოლმე სათაური, თარიღი და დღიური. ამჯერად წერია მხოლოდ თარიღი და მოკლე დღიური:

„1956 წლის 31 მარტი

ცივა გარეთ. ნუგზარი და ჯიგარო (გურამ რჩეულიშვილის მიერ გურამ რუსიშვილისათვის შერქმეული მეტსახელი). დარბიან ბორიას (ბორია ინასარიძე _ გურამის უახლოესი მეგობარი. ის დიდი ხნის განმავლობაში იყო კოლხიდმშენის მმართველი. _ მ.რჩ.) საძებნელად, რომელმაც ლენულის დღეობაზე უნდა წაგვიყვანოს.»

ეს დღიური თავისი გრაფიკული სტრუქტურით (თარიღის ქვეშ, ფურცლის მარჯვენა მხარეს), თავდაპირველად ჩემ მიერ ჩათვლილი იყო დღიურ-ეპიგრაფად, ანუ მხატვრული ტექსტის ნაწილად. (იხ. ავტოგრაფების დახასიათებისათვის)

თარიღი წერია ორჯერ: თავფურცელზე და მოთხრობის ბოლოს. ამ თარიღს მოსდევს მინაწერი: „ფილოსოფიის ისტ. მეორე საათი და ახალი ისტ. პირველი საათის ნახევარი» და დღიური: „ვზივარ ლექციაზე იმიტომ, რომ გარეთ არაფერი მაქვს საქმე, ვწერ ამავე მიზეზით _ რაიმე ხომ უნდა ვაკეთო, რითიმე ხომ უნდა მოვიკლა ეს დაწყევლილი ჟინი, რომელსაც ცხოვრება ჰქვია. შეიძლება მე ცოტა ბედნიერი ვარ, რომ გარდა სხვა რაიმესი წერითაც ვიკლავ ამ ჟინს, შეიძლება უფრო უბედური, ეს ბოლო უფრო სწორეა. მეჩვენება, მთელ ტანზე მახურებს, ვგრძნობ, საცაა, ნერვიული ჩხვლეტა დამეწყება. რისგან? მე ხომ ჯერ მხოლოდ ოცდაერთი წლისა ვარ. კარგი ჩოკინა ვყოფილვარ. ამ ქვე. მეტი მეტი ორი ამდ. ვიცხ.» ბოლო სიტყვები წერია წვრილად, რათა დატეულიყო ამავე ფურცელზე. შესაძლებელია, ამავე მიზეზით იყოს განპირობებული მათი შემოკლებაც. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ „პაპა გოგოთური» ბევრი პარამეტრით აღმოჩნდა „პირველი» მოთხრობა. ამ მოთხრობიდან იწყება რაღაც ახალი ტალღა რჩეულიშვილის შემოქმედებაში, როგორც სიღრმისეული, აზრობრივი სტრუქტურის მხრივ (იხ. მარინე რჩეულიშვილის მოგონებები: ჟურნალი „ცისკარი», 1992 [1]2), ისე გრაფიკული სტრუქტურით, რაც ცხადია, ისევ შინაგანი პროცესების გამოვლენას უნდა წარმოადგენდეს. ამავე მოთხრობაში უკვე აშკარად გამოიკვეთა მწერლის ზოგადი სწრაფვა მწირი პუნქტუაციისაკენ: დიალოგში იშვიათად იხმარება კითხვისა და ძახილის ნიშნები, წერტილი დიალოგში იხმარება რაღაც გარკვეული აზრობრივი მთლიანობის და არა ყოველი რეპლიკის დამთავრების შემდეგ და სხვა (იხ. ავტოგრაფების დახასიათებისათვის). აქვე გამოიკვეთა პუნქტუაცია დათარიღებაშიც: „1956 წელი. 31 მარტი». ეს სასვენი ნიშნები ბევრჯერ მეორდება მოთხრობების დათარიღებისას.

ვაჟა გიგაშვილის გადმოცემით გურამი და ვაჟა ერთად იყვნენ ხევსურეთში მინდია არაბულთან ზამთრის არდადაგებზე (ვაჟა მაშინ სკოლის მოსწავლე ყოფილა). იქ შეხვდნენ პაპა გოგოთურის პროტოტიპს _ დათვისელ არაბულს. ჩამოსვლის შემდეგ ვაჟასაც დაუწერია მოთხრობა პაპა გოგოთურზე. მისივე თქმით, მათი კონკრეტული შთაბეჭდილებები ერთმანეთს ემთხვევა. (იხ. ვაჟა გიგაშვილის მოთხრობების კრებულში „დრო და ჟამი» _ მოთხრობა „გოგოთურებთან»).

პირველად გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკარში», 1963 წ. [1]12.

(„ბავშვებო ბოხი, გულთბილი...»)

მომდევნო ოთხი უსათაურო, უთარიღო მოთხრობა, დაჯგუფებული საერთო თემატიკის (საბჭოთა კავშირის შესახებ დაწერილი ნაწარმოებები), სტილის (გროტესკულ-იუმორისტული) მიხედვით, ჩემი აზრით, ქმნის ერთგვარ ციკლს. ეს ციკლი შემდეგ წლებშიაც ივსება სხვა ნაწარმოებებით. ავტოგრაფები (პირველი მოთხრობა 6გვ.) დათარიღებულია აგრეთვე ფურცლის ფორმატის, ხარისხის, ხელწერის (მოდიდო, მომსხო, გაკრული ასოები, მკრთალი, ლურჯი მელანი) მიხედვითაც, რაც მსგავსია 1956 წლის აპრილით დათარიღებული მოთხრობებისა. ნახევარრკალებით შემოვლებულმა გვერდების ნუმერაციამ დათარიღებისათვის მომცა დამატებითი ინფორმაცია. მხედველობაში მივიღე აგრეთვე მინაწერი მოთხრობის ბოლოს: „პირველი კარის დასასრული», თუმცა მას გაგრძელება მსგავსი აღნიშვნით არ მოჰყოლია.

პირველად გამოქვეყნდა გაზეთ „ქომაგში», 2000 წ. ¹2.

(„ბავშვებო! ბოხი, ხავერდოვანი ხმით...»)

ავტოგრაფი (1-13გვ.) დაწერილია სწორხაზიან, დიდ, თაბახის ფურცლებზე ფანქრით, მსხვილი ასოებით, გაკრული ხელით დათარიღებისათვის იხ. შენიშვნა წინა მოთხრობისათვის.

გამოქვეყნდა გაზეთ «ქომაგში» 2000წ. ¹2.

(„პიონერთა ბანაკმა...»)

დათარიღებისათვის იხ. წინა მოთხრობების შენიშვნები.

ავტოგრაფი (1-6გვ.) დაწერილია თაბახის ფურცლებზე საშუალო ზომის ასოებით.

მახსოვს, ერთ ზაფხულს დედა და მე მანგლისის პიონერთა ბანაკში ვისვენებდით. დედა ბოტანიკის მასწავლებლად იყო წასული. ზაფხულის ბოლოსთვის ხევსურეთიდან ჩამოვიდა გურამი, მაშინ ის სკოლაში სწავლობდა. მზეზე დამწვარი, ძლიერი, თავისუფალი ვერ ემორჩილებოდა ბანაკის რეჟიმს. დედა ღელავდა. ბანაკის დახურვის დღეს გურამს მიანდეს დროშის ტარება. მახსოვს, ის საოცრად სერიოზული გამომეტყველებით, წინ და ოდნავ ზევით აწეული ხელებით, დროშით ხელში როგორ მიუძღოდა პიონერთა რაზმების საზეიმო სვლას. შემდეგ მოულოდნელად მოსწყდა ბანაკელებს. ამაყი გამომეტყველებით, სერიოზულობით სავსე მიაბიჯებდა ის თავის გზაზე. დედა მასწავლებლებთან ერთად იდგა აწითლებული სახით. უფროსები და მაყურებელი ბავშვები იცნოდნენ. გურამს რაღაცებს ანიშნებდნენ. აბნეულმა პიონერებმა აუჩქარეს, მაგრამ ვერ დაეწიენ. გურამი მიხვდა მხოლოდ მაშინ, როდესაც სულ მარტო აღმოჩნდა ფინიშთან.

პირველად გამოქვეყნდა გაზეთ ქომაგში» 2000წ. ¹2.

(«შეიძლება? გაისმა…»)

დათარიღებისათვის იხ. წინა მოთხრობების შენიშვნები.

ავტოგრაფი (1-9გვ.) ნაწერია მსხვილი ასოებით, თაბახის ფურცლებზე, ფანქრით.

ქვეყნდება პირველად.

ფეხბურთი იწყება!

არსებობს მხოლოდ შავი ავტოგრაფი (1+1-19გვ.). დათარიღების საფუძველი გახდა ნახევარრკალებით შემოვლებული გვერდების ნუმერაცია, აგრეთვე ხელწერა, ფურცლის ხარისხი, ფორმატი. ეს არის მეორე ავტოგრაფი, პირველია „პაპა გოგოთური» თავისებურად გაფორმებული თავფურცლით: თაბახის ფურცლის ქვედა ნახევარზე დიდი ასოებით წერია სათაური. მოთხრობის ერთ-ერთი გმირის სახელი „ჩერჩილა», გურამის მეგობრის დათო ღოღობერიძის მეტსახელი იყო. შეარქვა გურამმა. დათო ღოღობერიძე ნახსენებია, აგრეთვე, ერთ-ერთი შემდეგი მოთხრობის მომდევნო დღიურში.

ქვეყნდება პირველად.

ქვიშა, უდაბნო, კაცი, ნავი

არქივში ინახება ამ მოთხრობის ორი შავი უსათაურო ავტოგრაფი (1-4გვ.) და (1-8+1/2.გვ.)

რვეულის ფურცლებზე წერია მოთხრობის ნაწყვეტი სიტყვებიდან: „ჩაჯდა ნავში, დაეშვა ქვევით…» სიტყვებამდე: „იქვე დატოვა და გარეთ გამოვიდა…» ეს ორი ავტოგრაფი განსხვავდება ერთმანეთისაგან. რვეულის ფურცლებზე თავდაპირველად ჩაწერილია თითქოს მოთხრობის გეგმა (რაც იშვიათია გურამისათვის), რომელიც მალევე გადადის თხრობაში. ან არსებობდა მეორე შავი ავტოგრაფი მთლიანად და შემორჩა მხოლოდ ნაწყვეტი, ან მხოლოდ ეს ნაწილია მწერლის მიერ თავიდან დაწერილი. მომყავს ნაწყვეტი:

„ჩაჯდა ნავში, დაეშვა ქვევით, ნაპირთან ქალი მოვიდა ფეხშიშველი. კოკა წყლით გაავსო, დაბრუნდა უკან, მოვიდა მიწურში, როგორია მიწური აღწერა ჰემინგუეის ნოველები, გაყვითლებული ბიბლია, ნიცშე, ბაირონის კაენი… წამოწვა ჩალაზე, თვალები აულაპლაპდა, ცრემლი არ მოსვლია „ფიქრები … მოწყენა». მიზანს ვეღარა ვხედავ. საღამოს კაცი მოვიდა. ეუბნება 10 წელია აქა ვცხოვრობთ, მახსოვს წინ (10 წლისა) როგორ გვიყვარდა ერთმანეთი, გახსოვს, რომ ჩვენ ერთმანეთი მოვიტაცეთ.

მახსოვს, ქალს სახე არ ეცვლება. სახე დამწვარი მზისაგან, თმა გახუნებული. ფიქრობს, ახლა დაიწყებს ლანძღვას. ყველაფერი დავკარგე შენთვის. შენ კი ბავშვი არა გყავს, მემკვიდრე. შენ კი არაფერი დაგიკარგავს, ან რა უნდა დაგეკარგა, რაც არა გქონდა.» ჰო, მართლა, ბევრი დაკარგა, იგი ხომ 23 წლისა უკვე ფიზიკის დოცენტი იყო, დიახ, დაკარგა.

რა კარგი იყო პირველი დღეები, როდესაც ნიცშესა და ბიბლიას კითხულობდნენ. და მათ შეიყვარეს ღმერთი და მოძმე თვისი, ვით თავისი თავი. მის მერე რამდენი გადაარჩინეს სიკვდილს, დახრჩობას, ქალაქში მაინც არ დაბრუნდნენ. და მე სულ უფრო მიყვარს, ალბათ, ეს მუდმივობაა, მაგრამ მას არ ვუყვარვარ, რატო?

_ გესმის, კაცო, რატომ არ გიყვარვარ?

_ არ ვიცი.

_ გესმის? მე მინდა ვიყვირო დღეს, იმიტომ რომ ათი წელი ჩუმად ვიყავი.

_ იყვირე.

_ მე შენ მიყვარხარ.

_ ვიცი,

ქალი აკანკალდა „იცის გაიფიქრა, თვალზე ცრემლი მოადგა. იცის, დარწმუნებულია მას აღარაფერი დარჩენია გასაგები ჩემგან. ის მე მიცნობს. როდის გამიცნო ნეტავი, ათი წელი არც ისე ცოტაა ალბათ» მას აღარ ვუყვარვარ.

_ მითხარი, გიყვარვარ შენ, შენ.

_ მე?

_ ჰო, შენ.

_ აღარ.

_ გიყვარდი?

_ ჰო.

ვუყვარდი, ყოველთვის ვუყვარდი, მაგრამ ყოველთვის ჰქონდა გულში ადგილი სიძულვილისათვის, მე კი იგი არ დავიტოვე, მე დავიცალე, ამოვიწურე. იგი კი სავსეა ისევ, მას ვძულვარ, მას შეუძლია სხვა უყვარდეს.

ქალი ატირდა, ცრემლები ღაპაღუპით მოდიოდნენ.

კაცმა თვალი აარიდა მის ცრემლებს და უაზრო თვალები პურის გუდას მიაშტერა.

ქალმა ცრემლი შეიშრო, მივარდა კაცს და ფეხების კოცნა დაუწყო, თან ლუღლუღებდა:

_ მე შენ მიყვარხარ.

_ ვიცი.

წყნარად უთხრა კაცმა და, მერე ადგა, მტირალი ქალი იქვე დატოვა და გარეთ გამოვიდა.»

მოთხრობის ბოლოს, თაბახის ფურცლის მეორე გვერდზე წერია თარიღი მინაწერით:

„ 1956 წლის 16 აპრილი.

ფეხბურთის მატჩის გადმოცემა. მოიგო ლოკომოტივმა (მოსკოვი) თბილისის დინამოსთან 1:8. მარინე და მე ვღლიცინებთ, დედა იბუტება. მამა კითხულობს კუკუნიას ლექსს ასიკოზე. მერე მე მეჩხუბება. მე არა ვსწავლობ.» (ასიკო _ ავქსენტი ცაგარელი, გურამის დედის დეიდაშვილი, მწერალ ავქსენტი ცაგარლის ძმისშვილი. ბიძის პატივსაცემად ერქვა ეს სახელი. გარდა ნათესაობისა დედას უახლოესი მეგობარი. კუკუნია _ ნინო ფარქოსაძე. იხ. შენიშვნა მოთხრობისათვის „ზღვის ნაპირას, თავთხელ წყალში...»).

პირველად გამოქვეყნდა 1985 წელს ტომში „სად გაექცევი ზამთრის ღამეს» სათაურით: „ქალი და კაცი.»

სიყვარული შემოდგომაზე

არსებობს დათარიღებული და დასათაურებული მხოლოდ შავი ავტოგრაფი (1+1-6 გვ.). თავფურცელზე ლამაზი, მოდიდო ასოებით წერია სათაური. მოთხრობა პირველ სიაში მოიხსენიება როგორც „57. მასწავლებელი და პალმა.» ეს არის სიყვარულის ციკლის პირველი მოთხრობა.

არქივში ინახება ერთგვერდიანი ჩანაწერი. ამ ჩანაწერის თარიღი მიახლოებით დადგენილია ამ ნაწარმოების მიხედვით. მომყავს ჩანაწერი უცვლელად:

„ფ ურ ც ე ლ ი ი დ ე ე ბ ი ს ა თ ვ ი ს

სიყვარული უდაბნოში

ოაზისში

ზაფხულში ოფლი, გამოყოლილი ვნება გაზაფხულიდან. ღამე
სიგრილე. უფლისციხე.
გაზაფხულზე ჭლექი.
შემოდგომაზე თვითკმაყოფილება, კახეთი. წინანდალი.
ზამთარში რწმენა: იქნება გაზაფხული, თუმც არც ზამთარია ცუდი.
თათრები. გარდაბანი ან ქურდამირი. ნადირობა ღორზე.
გაყიდვა.
გიგული (.....) დიდება კოცონს.

შეყვარებული წყვილი. კინოსკენ გზა: უნივერსიტეტი _ რუსთაველის კინო. დაშვება კიბეზე. თირვა. შეხვ. ლექტორთან, მოსე, პალტოების აღება. კარებში. გადახტომა გუბეზე, ფეხით თუ ტრამვაით. სამედიცინოსთან ლექტორი. მათხოვარი, ნაცნობი ბიჭები, თვალის ჩაკვრა, გოგოები, ნაცნობი გოგო სახლის წინ, ზემელი. ჯგუფები. იპურჭყებიან. სიაბანდი მოკითხვები. ტელაგრეიკიანი მათხოვარი, ჩქარა ტროლეიბუსი. ბილეთი სხვამ აიღო, საუბარი ძია ოთართან. ძლივს ბილეთი. სპეკულანტთან სესხობა. როგორ მოგეწონათ, ზრდილობისათვის, ისე რა? შენ არა. ზოგჯერ კაცს ისე მოსდის წერისას, როგორც ხატვისას ან გადმოხატვისას. იწყებს ერთის ხატვას, გამოსდის მეორე, ასევე მომდის მე წერისას აი, უვიცობა სად არის.

ელა გეორგიევნა და მისი პალმა. სიყვარული. სიკვდილი, მარტოხელა ადამიანი.
ბავშვის სიყვარულით
(ტარიელზე) «

(1956 წლის მაისი)

ელა გეორგიევნა, წარმოშობით გერმანელი, ამ მოთხრობის გმირი ქალის ელენეს პროტოტიპია. ის ძალიან დიდი ხნის განმავლობაში იყო გურამის გერმანული ენის მასწავლებელი.

არქივში ინახება პატარა ბლოკნოტი ჩანაწერებისათვის. ამ წიგნაკის ყდის შიდა მხარეს გურამის სკოლისდროინდელი ხელით წერია: „გ. რჩეულიშვილი. 1947წ.» შემდეგ გვერდზე კი ფანქრით, მსხვილად: „1946-47-48-49 წლები.» ეს პატარა ბლოკნოტი მოსწავლე გურამისათვის, როგორცა ჩანს, ერთდროულად დღიურიც იყო და გერმანულის რვეულიც, სადაც მასწავლებელიც წერდა ხოლმე თავის შენიშვნებს. ერთ-ერთ გვერდზე, გურამის ხელით შევსებული გერმანული ტექსტების ქვეშ, წერია ელა გიორგიევნას ბარათი გურამის დედისადმი: „Многов. Мария Дмитриевна. Просьба обратить внимание на чтение. Он совсем дома не читает. Гурам должен прийти в субботу на урок. Е.Ш.» (ელა გიორგევნას მეუღლის გვარი იყო შაგრევსკი.) იმავე კალმით და ხელით მიწერილია: „Прошу Вашей подписи». აქვეა დედაჩემის ხელმოწერაც.

პირველად გამოქვეყნდა 1961 წელს: „დროშა» [1]1. 1961 წელს ტომში „სალამურა».

(„ახლად დაძრულ მატარებელს...»)

შავი ავტოგრაფი დათარიღებულია (1-11გვ.) და უსათაურო. გვერდების ნუმერაცია ნახევარრკალებით არის შემოხაზული. ნაწერია უფრო მუქი მელნით ვიდრე წინა ავტოგრაფები. რამდენიმე ადგილას ნასწორებია წერის პროცესშივე. მაგ. გვ.1 „მდინარე ძლივსღა ჩანდა» შეცვლილია „მდინარე აქა-აქ ჩამოსულ ბუჩქებში იკარგებოდა». „ორთქლმავალი გაჭირვებით მიიზლაზნებოდა» შეცვლილია: „ძლივს მიიზლაზნებოდა.»

პირველად გამოქვეყნდა 1985 წელს ტომში „სად გაექცევი ზამთრის ღამეს.»

ციგნის ქალი და ოთხი ბიჭი
(ეცადეთ, ასიამოვნოთ ერთმანეთს!)

შავი ავტოგრაფი (1-9გვ.) დათარიღებულია და დასათაურებული. გვერდების ნუმერაცია ნახევარრკალებით არის შემოხაზული. თავფურცლად გამოყენებულია ბოლო ცარიელი გვერდი. სათაური წერია ფურცლის ქვედა ნახევარზე. ტექსტის შემდეგ ძალიან გაკრული ხელით წერია თარიღი. მოსდევს დღიური:

„ბოლო დილით დავამთავრე. 1 საათი და 30 წუთი. გუშინ რეზო თოდუამ (გურამის სკოლის მეგობარი) უბედურად დამათრო ჯერ არაყით, მერე შამპანურით. როგორ შევვარდი რუსთაველის კინოში, არ მახსოვს. მეძინა გარე სკამზე. ახლა ცოტა მიბრუის თავი.»

პირველად გამოქვეყნდა 1985 წელს ტომში „სად გაექცევი ზამთრის ღამეს.»

გაზაფხული გადის

არქივში შემონახული ავტოგრაფებიდან „გაზაფხული გადის» პირველი ნაწარმოებია, რომელიც გურამმა გადაათეთრა და ამდენად მისი რამდენიმე ავტოგრაფი არსებობს: ორი შავი (1+1-11+11-12გვ.) და (1გვ.), ერთი თეთრი (1+1-7გვ) და 1960 წლამდე გადაბეჭდილი ცალი მწერლის მიერ შეტანილი რუსული ტექსტით (1+1-5გვ.). ნაბეჭდი ვარიანტის თავფურცელზე სხვა ხელით აწერია: „რჩეულიშვილი». სავარაუდოა, რომ გადაბეჭდილია 1957 წელს, როდესაც ხდებოდა მოთხრობების შერჩევა „ცისკრის» პირველი ნომრისათვის.

ყველა ავტოგრაფი დათარიღებულია და დასათაურებული.

ერთ-ერთი შავი ავტოგრაფი წარმოადგენს თავფურცელს, რომლის ქვედა ნახევარზე მოდიდო, მოგრძო ასოებით, გაკრული ხელით წერია სათაური. მეორე შავი ავტოგრაფის თავფურცლის დასაწყისში წერია სათაური. სათაურს მოსდევს თარიღი და დღიური, თეთრი ავტოგრაფის დღიურის ვარიანტი:

~~„დიად! მე~~

~~შემოდგომაა. აცივდა. ვზივარ სახლში და მსიამოვნებს, რომ გარეთ გასვლა არ შემიძლია.~~ (გადახაზულია მწერლის მიერ _ მ.რჩ.) ავადა ვარ. როდის ვიყავი ბოლოს ავად, აღარც მახსოვს, ალბათ, მეოთხე ჯგუფში.

ახლა ისევ გავხდი _ ვზივარ სახლში და მსიამოვნებს, რომ გარეთ გასვლა არ შემიძლია. შემოდგომაა. აცივდა.

მესმის: მეეზოვე შრიალით გვის ჩამოცვენილ ფოთლებს.»

ამავე ავტოგრაფზეა მწერლის ხელმოწერა: „გ. რჩეულიშვილი.»

შავი ავტოგრაფის რამდენიმე ადგილი ჩასწორებულია მწერლის მიერ, სავარაუდოა, რომ წერის პროცესშივე. მაგალითად: სიტყვა „არაყი» შეცვლილია „ღვინით» რამდენიმე ადგილას, „ლევანი» შეცვლილია „ჯემალით». შავი ავტოგრაფი მთავრდება მარჯვენა მხარეს დიდი ასოებით გაკრული ხელით მიწერილი თარიღით: „1956 წლის 28 მარტი. კვირა.» თარიღის მარცხენა მხარეს სხვა მელნით მიწერილია ბოლო აბზაცი, „ნეტავ მეკოცნა, ნეტავ» ბოლომდე. „მაინც ვერ ვაკოცე» თეთრ ვარიანტში არ არის გადატანილი. შავი ავტოგრაფის პირველი გვერდის ნუმერაცია „1» პირველად არის ფიგურულად გაფორმებული (იხ. ავტოგრაფების დახასიათებისთვის), თითქოს მწერალი ცდილობს რიცხვი რაღაც ცხოველს თუ ფრინველს მიამსგავსოს. გვერდების ნუმე-

რაცია შიგადაშიგ ნახევარრკალით არის შემოხაზული. ჩამატებულია სასვენი ნიშნები. შავი ავტოგრაფი ნაწერია მუქი ლურჯი მელნით, გაკრული მსხვილი ასოებით. თარიღს მოსდევს დღიური. სავარაუდოა, რომ ის საფუძვლად დაედო მოთხრობის ტექსტს, შესავალ დღიურს (იხ. ტექსტი):

„ვსწავლობ სამხედროს, პოლიტეკონომიას _ ეშმაკმა დალახვროს ორივე. ვკითხულობ ახლად გამოსულ თჰომას Mანნ _ ის «Bუდენბროოკს». იმასაც გავაგზავნიდი ეშმაკებისაკენ. ღამდება. გარეთ ქარი ქრის, ცივა. მზე ჩასვლისას გამოვიდა, რაღაც საზარლად, საშიშად თუ საიდუმლოდ ანათებს. დერეფნის ბოლოს ზის ორივე ფეხით კუტი მკერავი ჩახუნა. დედა, ბებო და კოკორკა (ლუკა ხუნდაძე, დეიდის მეუღლე) საუბრობენ. თემა: ეკონომიკა, პოლიტიკა, სისულელეები. ჩემ გვერდით ზის ჩემი და. კითხულობს მარჯანიშვილის მოგონებებს. ძალიან მოსწონს. მაჩვენებს მის სურათებს.

მაგონდება: „Bუდენბროოკს» გუშინწინ იყიდა და მათხოვა თამრიკომ. ალბათ პირველი საღამოა ჩემს ცხოვრებაში: გარეთ გასვლა არ მინდა.»

თეთრი ავტოგრაფის თავფურცელზე წერია სათაური, თარიღი და შესავალი-დღიური. ამდაგვარადაა გაფორმებული 1956-1957 წლების მომდევნო ავტოგრაფების უმეტესი თავფურცლები.

შავი და თეთრი ვარიანტების შედარებისას ჩანს დღიურ-ეპიგრაფად ჩამოყალიბების პროცესი.

პირველად გამოქვეყნდა 1961 წელს ტომში „სალამურა».

სიყვარული მარტის თვეში

არქივში ინახება ამ მოთხრობის როგორც თეთრი (1+1-19გვ.) ასევე შავი ავტოგრაფი (1+1-19გვ.), აგრეთვე 1960 წლამდე გადაბეჭდილი ცალი (1+1-4გვ.). სამივე ავტოგრაფი დათარიღებულია და დასათაურებული.

შავი ავტოგრაფის თავფურცლის ქვედა ნახევარზე წერია სათაური მსხვილი ასოებით, გაკრული ხელით, ლურჯი მელნით. ასეთივე ხელწერითა და მელნით ნაწერია მთელი ავტოგრაფი. სავარაუდოა, რომ იგი მწერლის მიერ სხვა დროსაა ჩასწორებული. განსხვავებულია როგორც ხელწერა, ასევე საწერ-კალმის მელნის ფერი. ამავე საწერ-კალმით თარიღის შემდეგ მიწერილია ბოლო აბზაცი. გვერდების ნუმერაცია რამდენიმე ადგილას ნახევარრკალებით არის შემოხაზული.

თეთრ ავტოგრაფში გადაშლილია რამდენიმე სიტყვა. მეშვიდე გვერდის მეორე მხარე თავისუფალია: არც ტექსტი წერია და არც გვერდის ნომერი, როგორცა ჩანს, შემთხვევით. თეთრი თავფურცლის ქვედა ნახევარზე წერია სათაური და თარიღი. თარიღის შემდეგ ფურცლის მარჯვენა მხარეს წერია გალაკტიონის ლექსი (იხ. ტექსტი). მარცხენა მხარეს წერია ტიუტჩევის ლექსი, გადაშლილი მწერლის მიერვე. ავტოგრაფში ამ ცნობილი ლექსის მხოლოდ ავტორის გვარი და პირველი სიტყვები ამოიკითხება: „Любовь с хорошей...» მარცხენა მხარეს წერია ესენინის ლექსი: „Кто любил, тот любить не сможет, кто не любил, тот прогорел...» ამ მოთხრობის ეპიგრაფი. ტექსტის ბოლოს წერია თარიღი.

სავარაუდოა, რომ მოთხრობა გადაბეჭდილია „ცისკრის» პირველი ნომრისათვის. ამ ნომერში 1957 წელს პირველად დაიბეჭდა გურამ რჩეულიშვილის ხუთი მოთხრობა: „სიყვარული მარტის თვეში», „ნელი ტანგო», „თვირთვილა», „სათაგური», „შემოდგომა ბაბუა კოტესი». ნაბეჭდი ვარიანტი გურამის მიერ შიგადაშიგ ნასწორებია შავი ფანქრით. ეს ვარიანტი ჩავთვალე მწერლის ბოლო ნებად და ამჟამად ამ რედაქციით

ვთავაზობ მკითხველს. თავფურცელზე მოთავსებული ეპიგრაფიც დავტოვე. გადაბეჭდილ ცალში ის რედაქტორის მიერ უნდა იყოს გადაშლილი.

ნაბეჭდი ვარიანტის ბოლო ცარიელ გვერდზე მელნით, წყვეტილი ხაზებით ჩახატულია, ვფიქრობ, ავტოპორტრეტი.

არქივში ინახება ერთი ჩანაწერი. ის დავათარიღე ამ მოთხრობის მიხედვით: „...ახლა დავამთავრე ერთი პატარა მოთხრობის წერა, რომელსაც დავარქვი „სიყვარული მარტის თვეში.» ჯერ მხოლოდ დილის ათი საათია. დედას ძინავს, ბებომ კი გაიღვიძა და თავისთვის წვალობს. მე კარგ ხასიათზე ვარ რატომღაც. არა, კარგზე კი არა უბრალოდ რაღაცას ძლიერადა ვგრძნობ. ამას ვეძახი მე კარგ ხასიათს.» (1956 წლის 29 მაისი)

პირველად გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკარში» 1957 წელს [1]1, წიგნში „სალამურა» 1961 წელს.

როგორ უყვართ ახლა ერთმანეთი!

არსებობს ამ მოთხრობის მხოლოდ შავი ავტოგრაფი (1+3-19გვ.). (დაკარგულია პირველი ორი გვერდი) და 1960 წლამდე გადაბეჭდილი ცალი. შავი ავტოგრაფის თავფურცლის ქვედა ნახევარზე წერია სათაური დიდი ასოებით, გაკრული ხელით. (დასაწყისში გურამის მამის ხელით წერია: „აკლია პირველი ორი გვერდი.» ბოლო გვერდზე ტექსტს მოსდევს თარიღი (თვე არ არის მითითებული) მინაწერით და მოკლე დღიურით:

„1956 წლის

კვირა 1 საათი

ორშაბათი ერთი

საათი _ ვზივარ ცირეკიძეებთან. (ჩვენი კარის მეზობელი ლარსის ქუჩაზე) ბავშვს ვყარაულობ.

დღეს გადავწყვიტე დავიწყო სწავლა საგნების. მინდა, ივნისამდე ჩავაბარო. გუშინ დათო მუსხელიშვილი შემხვდა. ხოვლიგორის გათხრები ივნისში დაიწყებაო _ ვნახოთ.»

მოთხრობის დაწერის თვე დადგენილია ამ დღიურის მიხედვით: 1956 წლის ივნისამდე.

ნაბეჭდი ვარიანტი კუთხოვანშრიფტიან მანქანაზეა გადაბეჭდილი ვაჟა გიგაშვილის მიერ. პირველი გვერდის კორექტურა მასვე ეკუთვნის. ნაბეჭდი ტექსტი განსხავდება შავი ავტოგრაფისაგან. ჩანს არსებობდა თეთრი ავტოგრაფიც, ნაბეჭდი ვარიანტის ასლი, რომელსაც ამჟამად მიჰყვება ტექსტი. I სიაში დასათაურებულია, ან უბრალოდ მოიხსენიება ცქიტოზე დაწერილ სხვა მოთხრობებისაგან გამოსაცალკევებლად როგორც: „17. ცქიტომ საბანი გვერდზე გადააგდო.»

ავტოგრაფი მთავრდება წერტილ-მძიმით, ნაბეჭდი ვარიანტი წერტილით. პირველად გამოქვეყნდა 1961 წელს ტომში „სალამურა», ერთ-ერთი სათაურით: „დილა უნივერსიტეტის ქუჩაზე».

საბავშვო

არსებობს მხოლოდ უსათაურო და დათარიღებული შავი ავტოგრაფი (1+1+1-39+34-39გვ.), მოგვიანებით ნასწორები მწერლის მიერ განსხვავებული მელნით. ჩამატებულია, ასევე მოგვიანებით, სუფთად ნაწერი, შუაში გაჭრილი რამდენიმე თაბახის ფურცელი. არქივში ცალკე ინახებოდა თავფურცელი, რომელზეც მსხვილი ასოებით წერია: „საბავშვო». ხელწერისა და თემატიკის მიხედვით ის ჩავთვალე მოთხრობის თავფურცლად. ავტოგრაფის ერთ-ერთ გვერდზე, ფრჩხილებში, წერის პროცესშივე მიწერილია მწერლის სურვილი, დაწეროს ამ მოთხრობაში „ცოტა რამ ნადირობიდან.» ტექსტში ალაგ-ალაგ, ჯგუფ-ჯგუფად გვხვდება კითხვის ნიშნები. ისინი გამოხატავენ მწერლის მერყეობისა და დაფიქრების კვალს. მაგალითად: ხელნაწერის მესამე გვერდზე: „რა ვუთხრა» გაიფიქრა თავისთვის „არ გაარტყას, უშნო შვილი რად მინდა, გაარტყას ჩხუბიც არ ვარგა. (???)» მეცამეტე გვერდზე: „მან თოფი სასწრაფოდ ჩამოკიდა ადგილზე და სირბილით წავიდა (გაქანდა?) დედის მოსახმარებლად.» მეთვრამეტე გვერდზე „იგი აშკარად ამჩნევდა დათოს დასერიოზულებას და ზევით უფროსი ვაჟის ანაბრად (??) მიმავალ ბავშვებს სიყვარულით უყურებდა» და სხვა. ერთი დღიური წინ უსწრებს მოთხრობას:

„დილით ნაბახუსევმა გავიღვიძე.

დედამ მითხრა, დათუნა (დათო ღოღბერიძე _ მ.რჩ.) იყოო გუშინ, ღამის ორის ნახევარზე მთვრალი ჩავედი მასთან. დეიდა ფეფიკომ: პრაქტიკაზე მიდისო სიონში, ახლა სასოფლოსთან ნახავო. (ფეფიკო საყვარელიძე _ დათო ღოღობერიძის დედა, დედას ახლობელი. ქართულ მანქანაზე ცნობილი მბეჭდავი ქალი. მასთან დადიოდნენ აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი და სხვები) წავედი. გაუხარდა ჩემი ნახვა. მერე 25 მანეთი მომცა: წადი: ჩემი სადღეგრძელო დალიეო. გამიხარდა. საღამოს ჯინას დავპირდი ფუნიკულიორზე წაყვანას და ფული არა მქონდა.

ასე! უკვე გავხურდი. ვიწყებ წერას:»

დღიურის შემდეგ არის ნიშანი „ ——_ . ——», რაც ჩვეულებრივ, იხმარება ტექსტის ნაწილების ერთმანეთისაგან გამოსაყოფად. „პაპა გოგოთურის» მსგავსად, შესაძლოა, ეს დღიურიც მომავალში გამხდარიყო შესავალი-დღიურის საფუძველი და ამდენად მხატვრული ტექსტის ნაწილი. (იხ. ავტოგრაფების დახასიათებისათვის) თუმცა „პაპა გოგოთურის» თავფურცელზე მოთავსებული დღიურისაგან განსხვავებით ის არ გამოირჩევა გრაფიკული სტრუქტურით.

დღიურს მოსდევს ოცდაათგვერდიანი ტექსტი ნაწერი გაკრული, მსხვილი ასოებით. მოჰყვება თარიღი.

ტექსტი მთავრდება სამჯერ ერთმანეთის ქვემოთ მოთავსებული ისეთივე დამთავრების ნიშნით, როგორც ადრე აღვნიშნეთ. თარიღს უშუალოდ მოსდევს დღიური, ნაწერი ისეთივე ხელწერით და მელნით როგორც ტექსტი:

„დავიწყე ნამთვრალევმა ამის წერა და ჩქარა დავიღალე, მერე ნუგზარიც მოვიდა, წავედით დასალევად, გზაზე გურამ დუდუჩავაც (გურამ დუდუჩავა _ გურამის და ზურაბ წერეთლის მეგობარი, ინჟინერი.) შეგვხვდა, კარგი სმა გავაჩაღეთ ლუდების. გურამი ძალიან კარგი ბიჭია. წინა დღეს ჟორა და მე კიროვის ბაღში ვსვამდით კონიაკს, ლუდსა და ლიმონათს. მოსკოვში თამაშობდნენ თბილისის „დინამო» და მოსკოვის „სპარტაკი». მოიგო „სპარტაკმა» 4:2. (ამბობენ მოაგებინესო) შუა სმაში ერლომე შემოგვესწრო. წავიდა საუბარი, მე უკვე გული მქონდა აჩუყებული. დავინახეთ გურამ თიკანაძე და ჯინა მიქაძე _ დავუძახეთ მოვიდნენ. ჯინა არაჩვეულებრივი გოგოა. ვაჟკაცურად „გაგვისწორა ანგარიში». ჩვენთან ერთად ქეიფობდა. მე აშუღურ ლექსებს ვამბობდი. მერე ტიციანი დავურტყი, რომელიც სიმთვრალეში სულ პირზე მაკერია:

„დიდებულია ყაბახზე დილა,

ახალი მთვარის ვხედავ კუნძულებს,
ორბელიანთა გაუთხოვარ
ქალების ძუძუებს.»

ჯინამ თქვა, რომ ეგეთი ლექსები მიყვარსო. მერე თქვა, ექვსი თვით მივდივარ რუსეთში გათხრებზეო _ ორი თვე მოლდავეთში, ოთხი მოსკოვში.

მე მაგარი მთვრალი ვიყავი. უკვე ერლომემ საათის გამოსახსნელი ფულიდან ნახევარბოთლიანი კონიაკი მოიტანა. ცოტა ჯინას დავუსხით. თიკანა ანგლობდა.

მე ვამბობდი სადღეგრძელოს, რამ მოიტანა აღარ მახსოვს, ხო, მგონი, ოსკარ უაილდი მომაგონდა. მუდმივი მეთქი არაფერი მიყვარს, თვით სიყვარულიც მეთქი. ჟორამ თქვა: „მუდმივი მხოლოდ სიტყვა „მუდმივიაო». მე ვთქვი, „ყოველ გაზაფხულზე ახალი მიყვარს». ცოტა ვიცრუე. ჯინა აშკარად ნასიამოვნები იყო საუბრით, მერე წამოდგნენ ჯინა და გურამი, მე გავაცილე ცოტა. ჯინა იგონებდა ხევსურეთს: მახსოვს, კანკალებდიო ცხენის დანახვაზე, ახლაც იმ დღეს ამფიბიაში მჯდარი გნახეო, მე ყოველთვის ვაჟკაცობის მაგალითად მყავხარო. მე მესიამოვნა, მერე შევპირდი, ფუნიკულიორზე წაგიყვან-მეთქი ხვალ. არ შევასრულე. საერთოდ არავითარ შეპირებებს აღარ ვასრულებ, თუმცა რა ვიცი. საერთოდ ჯინა ძალიან კარგი გოგოა, ერთობ ბავშვური, რაც უხდება.»

არქივში ინახება ზუსტად იმავე ხელით და კალმით, ისეთივე თაბახის ფურცლებზე ნაწერი, პირველი ივნისით დათარიღებული დღიური:

„1 ივნისი. 1956 წელი.

ღამეა 1 საათი. შაქრო ბურდილაძემ ამომიყვანა პობედით. ვერ შევედი კინოში „ირინა სახლში». დავრბოდით ხუმრობით ბიჭები. ვაშაყირებდი ჯიგაროს.

მეორე დღეა, ვკითხულობ ოსკარ უაილდის „Портрет Дориана Грея.» გამიტაცა. ვებმები მხატვრისა, ლორდ ჰენრის და დორიან გრეის საუბარში. მაქვს ჩემი აზრები . . . ოდნავ მავიწყდება. გეგმაში მაქვსნ დავწერო „ტრაქტატი სიყვარულზე» რიგით მეექვსე. სიმბოლო ფოცხვერი იქნება.

ახლა უნდა დავიძინო. ხვალ დილით ხუთ საათზე ვაპირებ ადგომას. ცხრაზე სამუშაოზე უნდა წავიდე. იქნება ცოტა ფული გავაკეთო. ნახვამდის, საკუთარო ჩემო თაო.»

როგორცა ჩანს, გურამი 1 ივნისიდან 14 ივნისამდე მაგიდას არ გაკარებია. ამან განაპირობა დღიურისა და მოთხრობის ერთნაირი ხელწერა და მელანი. ამ პერიოდის განმავლობაში ბიჭები ცდილობდნენ ფიზიკური შრომით ცოტაოდენი ფულის შოვნას. ჟორა ბერძენიშვილი იხსენებს: „ გურამი, მე და კიდევ ერთი ალპინისტი ბოტანიკური ბაღის შესასვლელი გვირაბის თავზე კლდეს ვათავისუფლებდით ჩამოშლილი ქვებიდან. ყოველ დილით კლდეზე ვეკიდეთ, ძალიან სახიფათო და ძნელი სამუშაო იყო. საკმაო ფული უნდა აგვეღო. კარგად ვიმუშავეთ. იქვე მაცხოვრებლებიც ძალიან კმაყოფილები იყვნენ. თუმცა დამქირავებლებმა მოგვატყუეს და ფული არ მოგვცეს... « აგი აბაშიძე იხსენებს: „ჯუმბერ მეძმარიაშვილს, მე, გურამს, თემურ კუხიანიძეს და კიდევ რამდენიმე ალპინისტს შეგვთავაზეს სატელევიზიო ანძის შეღებვა. დავიწყეთ. ჩვენ შორის იყო შალიკო რჩეულიშვილი. ფასი მოგვამატებინა, გატყუებენო, გვითხრა. ფასზე ვერ შევთანხმდით და დაგვითხოვეს.» ასე რომ, ორივე მცდელობა ბიჭების დამარცხებით დამთავრდა. ვფიქრობ, რომ ამ დღიურში ერთ-ერთ ასეთ შემთხვევაზეა ლაპარაკი.

მამაჩვენი, მიშა რჩეულიშვილი, კარგი მონადირე იყო. მახსოვს, ომის შემდგომი სიღარიბის წლები, როდესაც ნანადირევით ვირჩენდით თავს. დილით ადრე ჩემ ძმასა და მე სამზარეულოში ხშირად დაგვეხვედრია უზარმაზარეშვებიანი ტახი (მამა ნადირობიდან გვიან ღამე ბრუნდებოდა). ერთხელ შველიც მახსოვს, თავგადაგდებული

როგორ იწვა სამზარეულოს მაგიდაზე. ტახს მამა აბასტურმებდა და ყაურმადაც ინახავდა ზამთრისათვის. ხოხბების და კაკბების ჩახოხბილს ხშირად მივირთმევდით. ხანდახან მამას იმდენი მწყერი ჩამოჰყავდა, რომ ნაცნობ-მეგობრებს ვურიგებდით.

მახსოვს, ერთხელ მამამ გურამს აჩუქა გეკოს ტიპის სანადირო თოფი. მაგრამ გურამს ნადირობისადმი და თოფისადმი ინტერესი არასოდეს გაუმჟავნებია. განსხვავებით ვაჟა გიგაშვილისაგან, რომელიც გამუდმებით სთხოვდა მამას სანადიროდ წაყვანას.

ვაჟა გიგაშვილმა მითხრა, რომ გურამთან ერთად სამ-ოთხჯერ ყოფილა სანადიროდ, მაგრამ ყოველთვის უშედეგოდ. ნადირობა არც ერთხელ არ გამოგვივიდაო. გურამი არ იყო ხოლმე ნადირობით გატაცებული. რატომღაც სულ ხუმრობდა. ერთხელ, შუა ნადირობის დროს მითხრა: მოდი, დავსხდეთ, დავისვენოთ, ლაპარაკის ხასიათზე ვარ, მინდა მოგიყვე, როგორ მინდა მოვაწყო ჩემი მომავალი ოჯახი. მაშინ გურამს ერთი გოგო უყვარდა.

გულში რას ფიქრობდა გურამი, არავინ იცის. ოჯახური ტრადიციით კი ვაჟკაცობა ნადირობასთან და კარგ თოფთან იყო დაკავშირებული. თუმცა მამაჩემმა მაინცადამაინც არ იცოდა ნადირობის ამბების მოყოლა, „საგმირო ამბებზე» და თოფებზე საუბარი. მახსოვს, როგორ გვიანაც არ უნდა დაბრუნებულიყო ნადირობიდან, მაშინვე ჩამოჯდებოდა, თოფს დაშლიდა, გაწმენდდა, სარჩულში ჩადებდა და სად ინახავდა, არავინ იცოდა.

პირველად გამოქვეყნდა ჟურნალ „არილში» 2000 წელს, [1]1.

(„მაია ბენზინის სუნმა შეაწუხა...»)

არსებობს მხოლოდ საშუალო ზომის ლამაზი ასოებით, ღია ლურჯი მელნით ნაწერი დაუთარიღებელი და უსათაურო შავი ავტოგრაფი (1-12გვ.). თარიღი მიახლოებით დადგენილია ფურცლის, ხელწერის და აგრეთვე გურამის მამის მიხეილ რჩეულიშვილის სადოქტორო დისერტაციის დაცვის თარიღის მიხედვით: 1956 წლის 31 ივნისი. (იმავე საკითხზე ლაპარაკია 27 მარტით დათარიღებული უსათაურო მოთხრობის მომდევნო დღიურში.)

1956 წლის ზაფხულში დედა, გურამი და მე წავედით ერევანში მამას სადოქტორო დისერტაციის (თემის სათაური იყო: „Отгонное овцеводство Грузии и пути его улучшения») დაცვაზე. დაცვის შემდეგ გაიმართა საკმაოდ მძაფრი და სერიოზული კამათი, რაც საბოლოოდ მამას გამარჯვებით დამთავრდა. მახსოვს, მთელი დაცვის განმავლობაში, გურამი სვეტს ამოფარებული, აწითლებული, დაძაბული სახით როგორ უსმენდა მამას და როგორი აღელვებით ადევნებდა თვალს ყველაფერს, რაც დარბაზში ხდებოდა. გარეთ რომ გამოვედით, ღიმილით მითხრა: რომ ჩაშლილიყო, საშინელ შურისძიების გეგმებს ვაწყობდიო. საერთო ქება-დიდებასა და მილოცვებში ჩაიარა დესერტაციამ აკადემიკოს რუხკიანის სახლში. დაცვის შემდეგ, ბანკეტამდე, მთელი ოჯახი სასტუმროში წავედით დასასვენებლად. დედას წამოღებული ჰქონდა თევზი ბანკეტისათვის. თევზის მიღებაზე სომხებმა უარი უთხრეს. მახსოვს, გურამი სასტუმროში როგორ იჯდა ფანჯარასთან და ხმაამოუღებლივ, ხარბად, რაც მისთვის უჩვეულო იყო, მიირთმევდა თბილისიდან წამოღებულ შებოლილ თევზს. ამის შემდეგ ის ასევე ჩუმად, ხმაამოუღებლივ წავიდა თბილისში, ჩვენ კი ბანკეტზე, რუხკიანებთან.

გურამის საოცარმა შინაგანმა მღელვარებამ თავისებური გამოხატვა ჰპოვა როგორც მოთხრობის სიუჟეტში, ისე თავისებურ აბზაცში (იხ. მოთხრობის ტექსტი), რომელიც

ერთი შეხედვით წააგავს სალექსო სტრიქონს. შეიძლება ეს უყურადღებოდაც კი დარჩენოდა რედაქტორს, თუ არა მსგავსი შემთხვევები მომდევნო ნაწარმოებებში, როდესაც გურამის შინაგანი განწყობა გამოსავალს სხვა რამესთან ერთად, ტექსტის გრაფიკულ სტრუქტურაშიც ჰპოვებს ხოლმე.

ამ მოთხრობიდან უკვე აშკარად გამოიკვეთა მწერლის პუნქტუაციის თავისებურებაც: დიალოგებში სასვენი ნიშანი უზის გმირის რეპლიკას გარკვეული აზრობრივი მონაკვეთის დასრულებისას და არა ყოველი რეპლიკის შემდეგ.

პირველად, სათაურით „სევანი», გამოქვეყნდა 1985 წელს წიგნში „სად გაექცევი ზამთრის ღამეს.»

გაზაფხული მოდის
(წაწლაობა არაყთან)

ამ მოთხრობის შავი ავტოგრაფი (1+1-6+1/2გვ.) ნაწერია მსხვილი ასოებით, გაკრული ხელით, დათარიღებულია. ბოლო აბზაცი მიწერილია მოგვიანებით, განსხვავებული ხელწერით და უფრო მკრთალი მელნით. მოთხრობის ბოლოს წერია სრული თარიღი: „წელი 1956, თვე ივლისი, რიცხვი 17. 1-1/2.» აღსანიშნავია, რომ თარიღში თვე არასწორადაა მითითებული. არქივში ინახება 18 ივნისს დაწერილი დღიური. დღიურის ბოლოს ერთმანეთზე წერია ორი თვე: „ივნისი» და „ივლისი». (მსგავსი უზუსტობების შესახებ დათარიღებაში იხ. ავტოგრაფების დახასიათებისათვის)

დღიური: „საშინელ ხასიათზე ვარ. არაფრის კითხვა არ შემიძლია, არც წერა. ჩემი ჭკუით რაიმე მინდოდა დამეწერა. გამოვიდა ეს სისულელე. დღეს რუსულის გამოცდაზე დამაგვიანდა, საღამოს ეთიოპია თამაშობს. ტარიელმა (იგ. ტარიელ ჩუბინაშვილი, ისტორიკოს-არქეოლოგი. ჩვენი ოჯახის ახლობელი) ცოლი დაითანხმა ხოვლეში წამოსვლაზე. არ ვიცი, რა ვქნა. ალბათ, დავიძინებ. არც მეძინება.»

დღიურში ნახსენები ეთიოპიის ფეხბურთელთა გუნდის მატჩი, როგორც დავაზუსტე, თბილისში ჩატარდა 1956 წლის ივნისში, რუსულის გამოცდაც ივნისში უნდა ყოფილიყო.

ავტოგრაფში წითელი ფანქრით მინაწერი ეკუთვნის სხვას.

შავი ავტოგრაფის გვერდების ნუმერაცია ჩასმულია ნახევრადკვადრატულ ფრჩხილებში, განსხვავებით წინა მოთხრობების რკალოვანი ფრჩხილებისაგან.

თეთრი ავტოგრაფი (1გვ.) წარმოადგენს სატიტულო ფურცელს, რომლის ქვედა ნახევარზე წერია სათაური, ქვესათაური, ეპიგრაფი შავი ავტოგრაფისაგან განსხვავებული გამოყვანილი ასოებით, წმინდა კალმისტრით. ამ ავტოგრაფის ფურცელი განსხვავდება შავი ავტოგრაფისაგან. ასეთ ფურცლებზე დაწერილია შემოდგომის მოთხრობები. სავარაუდოა, რომ არსებობდა მთლიანი თეთრი ავტოგრაფი და შემორჩა მხოლოდ თავფურცელი.

არქივში ინახება ერთ თაბახის ფურცელზე გურამის მიერ გაკეთებული ორი ჩანახატი. ჩანახატები ჩასმულია შავი ფანქრით მოხაზულ სხვადასხვა ჩარჩოში. პირველ ჩარჩოში დიდი ასოებით წერია მოთხრობის სათაური „გაზაფხული მოდის». ხატია თმაგაშილილი ფეხმძიმე ქალი. ქალი დგას დიდი ბოქლომით დაკეტილ კართან. ქალს უკან მოსდევს ხელჩაკიდებული პატარა ბიჭი ფალოსით. ბავშვს მოსდევს ბატკანი. ბატკანი ჭამს ბალახს, რომელიც ბიჭს უკან გაშვერილ ხელში უჭირავს. ჩანახატის ბოლოს ხატია ფალოსი. მეორეში უფრო პატარა ასოებით წერია: „მარტი, გიჟობის თვე» (იხ. მოთხრობის შენიშვნა). ჩანახატები, როგორც ჩანს, გაკეთებულია მოთხრობის და-

წერიდან საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ, („მარტი, გიჟობის თვე» დაწერილია შემოდგომაზე.)

პირველ სიაში: „გაზაფხული მოდის».

პირველად გამოქვეყნდა 1975 წელს წიგნში „სად გაექცევი ზამთრის ღამეს.»

ლია და გია
(ამბავი)

არსებობს დათარიღებული და დასათაურებული მხოლოდ შავი ავტოგრაფი (1-16+16-19გვ.) თარიღში თვე მწერლის მიერ არასწორადაა აღნიშნული. დაზუსტდა მინაწერი დღიურით. დუშეთის სამხედრო ბანაკში გურამი წავიდა ივნისში და არა ივლისში. ასევე მოთხრობის მომდევნო დღიურში ნახსენები რუსულის გამოცდაც უნდა ჰქონოდა ივნისში. (იხ. წინა მოთხრობის შენიშვნა.) შავი ავტოგრაფის პირველი 9 გვერდი წერია ერთნაირი მელნით, ერთნაირი ხელწერით. მეცხრე გვერდიდან მეცხრამეტემდე ნაწერია უფრო მკრთალი მელნით. სავარაუდოა, რომ წერა დაიწყო თავიდან. გვერდების ნუმერაცია გრძელდება. ეს ჩანს თარიღშიც: „წელი 1956. რიცხვი 17[23] და 29[11-12]. თვე ივლისი.» მოთხრობას მოსდევს დღიური:

„ქალაქში უსაქმობაა. ოცდაცხრაში მივდივარ სამხედრო ბანაკში, თმას არ ვიცი რა ვუყო. სამი თვის წინ მქონდა გადაკრეჭილი. ახლა კიდევ მინდა გადავიკრიჭო. ვნახავ. გუშინ კინოში ვიყავით რუსულის გამოცდის მერე. მარიკამ დაგვპატიჟა: ბერდო, დევი (დევი ბერძენიშვილი, ბერდო გოგოჭური _ გურამის თანაკურსელები) და მე. ვნახეთ „მკვლელობა დანტეს სახ. მოედანზე.» დადგმა რომისა. არაჩვეულებრივი კინოა. გადაწყვეტილი მაქვს, დავწერო რეცენზია, მაგრამ მერე: ერთხელ კიდევ მინდა ვნახო. სამი ადგილია, თითო თითო მოთხრობად და ცალკე კინოდ ღირს: I. სოფლელებმა ამოწყვიტეს გერმანელთა გარნიზონი. ტოვებენ სოფელს. სოფელში რჩება მედუქნე, კუტი, ბრგე მოხუცი. მამა მთავარი მოქმედი პირი ქალისა. ამ ამბამდე ორი წლით ადრე მას პარალიჩმა გაუარა და ღვინოს არა სვამდა. ახლა მოითხოვა, წინ დაიდგა ღვინო, ყოველგვარი საჭმელი, მარცხენაში ნაგანი უჭირავს. ჯანსაღი, გლეხური წითური სახე უღიმის. შვილი, რომელსაც მამა ძლიერ უყვარს, იძულებულია დატოვოს. II. ნაგანის ტყვიისაგან კვდება მფარველი, სკეპტიკოსი, მთავარ მოქმედ პირ ქალზე შეყვარებული კაცი ეფიცება ქალს სიყვარულში. გენიალური ადგილია: შეიგრძნობ სიყვარულის მარადიულობას. კიდევ მეტი: მხოლოდ ადამიანთა შორის ადამიანებს ახასიათებთ ეს გრძნობა ასე წმინდად. უპირისპირდება, ჩემი აზრით, ქალის შვილის ადამიანთა სირცხვილს. ვაჰმე, რომ ეგეთი სირცხვილი ბევრი აქვს კაცობრიობას.)

III. ქალს კლავენ. კლავენ შვილის ამხანაგები. გინდაც შვილს მოეკლას.

IV. არის კიდევ ერთი. ქორწილია მოხუცი დამბლადაცემულის დუქანში. აკეთებენ ფოკუსებს. დიდი ხანია ესეთი ჯანსაღი, ალალი სიცილი აღარ მინახავს. ხარხარებს მთელი სუფრა. კარგია.

ასე, ნახვამდის.

ეს მოთხრობა გავიაზრე სხვანაირად: მოხუცი ზის და ფიქრობს ხიდის თავში. მერე მოდიან და აფხიზლებენ. თითქოს ქალაქელები. ისევ მიდიან. მოხუცი კი ზის და ფიქრობს. მერე სპლინი ერევა. ასეც დავწერე. მერე. (ფიქრობს სისხლის აღებაზე. შვილის სიკვდილზე)»

მეცხრამეტე, ბოლო გვერდი გამოყენებულია თავფურცლად. დიდი ასოებით, რამდენჯერმე ფიგურულად შემოვლებული ხაზებით, წერია „ამბავი». სათაური აღებულია I სიიდან: „58. ლია და გია _ ამბავი.» პერსონაჟთა რეპლიკების შემდეგ იშვიათად ხმარობს პუნქტუაციის ნიშნებს.

პირველად დაიბეჭდა 1985 წელს წიგნში, „სად გაექცევი ზამთრის ღამეს» სათაურით: „გზაზე შატილისაკენ.»

როგორ გამოიცვალა „უკუთესობისაკენ»

იგორ კობლუკოვი

არსებობს მხოლოდ შავი ავტოგრაფი (1+1-2+1-14გვ.). გვერდების ნუმერაცია კუთხოვანი ფრჩხილებითაა გაკეთებული. პირველი გვერდი წარმოადგენს თავფურცელს სათაურითა და თარიღით. თავდაპირველად თავფურცელზე ეწერა „ივლისი», შემდეგ გადაშლილია და ზევიდან აწერია „აგვისტო». 1956 წლის ზღვის დღიურებიდან ჩანს, რომ მოთხრობა დამთავრებულია აგვისტოში, ახალ ათონში ყოფნისას. ამიტომ ეს მოთხრობა დათარიღდა ივლის-აგვისტოთი. სავარაუდოა, რომ თავფურცელი დაწერილია ივლისში დღიურისა და ტექსტის ნაწილის დასრულების შემდეგ. ხოლო აგვისტოში თავფურცელზე, ძველ თარიღში გადაშალა თვე და აღნიშნა უკვე მოთხრობის დამთავრების თარიღი.

არქივში თავფურცელი ინახებოდა მომდევნო დღიურსა და მოთხრობასთან ერთად (ანუ პოტენციური დღიური-ეპიგრაფია. იხ. ავტოგრაფების დახასიათებისათვის). ესეც მოწმობს მის განსხვავებას მოთხრობებისაგან დამოუკიდებლად დაწერილი დღიურებისაგან, რომელნიც ქმნიან ცალკე ტექსტს. მათ არასოდეს მოჰყვება მხატვრული ნაწარმოები.

დღიური:

„ორთვიანი შესვენების მერე (არა, სამხედრო ბანაკში, შუაგულ სიცხეში დავწერე ერთი, გამოვგზავნე წერილით, არ მიუღიათ) მივუჯექი ჩემს მაგიდას საწერად. საფანქრეში მამის ნაყიდი მუდმივი კალმისტარი მეგულებოდა. გავხსენი კოლოფი. დამცეცხლა. შევუკურთხე რუსიშვილს. იმან წაიღო, ალბათ, გუშინ აქა ტრიალებდა. უცებ დავკარგე წერის ხალისი. ლამის გადავდო. თან დაწყებაც მეშინია, ვაი, თუ არ გამოვიდეს.

ასე! გუშინწინ ჩამოვედი დუშეთის სამხედრო ბანაკიდან. ვიწვალეთ ბევრი. ადგომა 6 საათზე, საუზმე 11, სადილი 5, ვახშამი 19, ძილი, 11. ვიძინებდით 1-ზე. დანარჩენი დრო ვიდექით, ან ვიწექით, ან ვისხედით სიცხეში. სკდებოდა თავები. თავი მაინც მუშაობდა. მოდიოდნენ იდეები, მიდიოდნენ. ძირითადი მაინც დამრჩა. ძალიან შემაწუხა წერის ჟინმა. მართლა მომწყურდა. ფეხზე მდგარმა დავწერე უზარმაზარი წერილი და პატარა მოთხრობა. მერე ცოტა დავისვენე. ახლა ისევ მომაწვა ჟინი _ სისხლივით. ავდექი ცხრაზე. ვსვამდი ჩაის. მოვიდა დევდარაიძე მიტო, მეორე ჭიქა დავლიე. ჩავიკეტე პატარა ოთახში, მესმის საუბრის ხმა, ყველაფერი რიგზეა, ვიღებ კოლოფს, გავხსენი კალმისტარი წაღებული დამხვდა. რუსიშვილის ყოფა ავატირე, ხელში რომ მომხვედროდა, სიამოვნებით დავფლეთავდი. თითქოს ცოტა დამეკარგა წერის ხასიათი. ახლა შემოვიდა მამას ნაცნობი ალექსანდრე კაჭახიძე. ეშმაკმა დალახვროს, საუბარი გაცხოველდა. აშკარად მეშლება ხელი. კალმისტარიც ჩხაპნის. ალბათ, ამით დავამთავრებ.»

სავარაუდოა, რომ ივლისში წერა შეწყვიტა მეექვსე გვერდზე ნიშნამდე: „ . ——». შემდეგ, უფრო მოწესრიგებული ხელით, წერა განახლებული უნდა იყოს აგვისტოს პირველ რიცხვებში, უკვე ახალ ათონში.

ამონაწერი 7 აგვისტოს დღიურიდან:

„დილის 8 საათია. ვზივარ ზღვიდან 159 ნაბიჯის დაშორებით, პატარა ოთახში. მესმის ტალღების ხმაური, ვუყურებ ზღვას და ვწერ დაბოლოებას, უფრო სწორედ უკვე დავაბოლოვე თბილისში დაწყებული მოთხრობა სამხედროთა ცხოვრებაზე, რომელსაც დავარქვი: „როგორ გამოიცვალა „უკეთესობისაკენ» იგორ კობლუკოვი». დაწყება მომწონს, არა უჭირს რა, მაგრამ ბოლო არ გამომივიდა. ახალ ატმოსფეროში მიჭირს წერა, თან ეჭვი მიპყრობს. ტყუილა ხომ არ ვწერ საერთოდ, ვინ იცის, ღმერთმა დაიფაროს. ძალიან მინდა წერა. მომდის ათასი აზრი, მაგრამ თავს ვერ ვუბამ. თავდება მელანი, მწყინს, თან მიხარია, ხვალამდე გადავდებ წერას. ძალიან მომწონს ჩემი ოთახი, წამოვწვები, მოვიფიქრებ, შემდეგ რა დავწერო. თავდება მელანი. ... დილით კარგად ვიცურავე ... ერთი წამით: ჩემი ფანჯრიდან მშვენივრად მოჩანს: მთელი ფლოტილია, პატარა სათევზაო კარჭაპები სერავენ ჰორიზონტს. მშვენიერია.»

ამონაწერი 1956 წლის 7 აგვისტოს დღიურიდან: „ ... ვწერ ჯერ კიდევ სამხედრო ბანაკში გააზრებულს...» აქ უნდა იგულისხმებოდეს ისევ ეს მოთხრობა.

ამ მოთხრობას უნდა მიესადაგებოდეს ნაწყვეტი 1956 წლის ივნისში გურამის ჯარიდან მოწერილი წერილიდან: მარინე! კარგი იდეა მაქვს ჯარის ცხოვრებაზე საერთოდ. დავდივარ და მწყობრში ვოცნებობ) ასე უფრო ლამაზად და ჩქარა გადის დრო. ღამდება, ასოებს ძლივსღა ვარჩევ. ჯარისკაცის ცხოვრებაშიც არის სილამაზე, ამ ბრძანებებში, დაღლაში, წესრიგში თუ უწესობაში. საერთოდ ყველგან არის კარგი და საინტერესო, მხოლოდ უნდა შეგეძლოს დაინახო და განაზოგადო. დაღამდა. ნახვამდის. თქვენი გურამი.»

სავარაუდოა, რომ თავფურცელი შექმნილია ივლისში, დღიურისა და მოთხრობის ნაწილის დამთავრების შემდეგ. აგვისტოში კი თავფურცელზე, ძველ თარიღში გადაშალა თვე და დაწერა უკვე მოთხრობის დამთავრების თარიღი.

პირველად გამოქვეყნდა 1985 წელს წიგნში, „მოთხრობები. პიესა.»

„სტილნი» (ანუ ქალაქის) ბიჭები და ზღვა

არსებობს დათარიღებული და დასათაურებული მხოლოდ შავი ავტოგრაფი(1-19გვ.). თავფურცლად გამოყენებულია ბოლო თავისუფალი გვერდის ქვედა ნახევარი. თავფურცელზე წერია სათაური და თარიღი: „1956 წლის აგვისტო.» გვერდების ნუმერაცია ცალმხრივ შემოვლებული კუთხური ფრჩხილებითაა შემოხაზული. თავფურცელზე სათაური წერია გამოყვანილი ხელწერით, რაც, ჩვეულებრივ, დამახასიათებელია მხოლოდ თეთრი ავტოგრაფისათვის.

პირველად გამოქვეყნდა 1985 წელს წიგნში, „სად გაექცევი ზამთრის ღამეს.»

შუა ზაფხულში ყველგანა ცხელა

არსებობს ამ მოთხრობის ერთი შავი (1-11გვ.) და ორი თეთრი ავტოგრაფი (1+1-11გვ.), (1გვ.). ყველა ავტოგრაფი დათარიღებულია და დასათაურებული. შავი ავტოგრაფი ნაწერია ღია ლურჯი მელნით, გაკრული ხელით. რამდენიმე ადგილას, მოგვია-

ნებით, მუქი მელნითაა ნასწორები. ასეთი მელნით დაწერილია თეთრი ავტოგრაფი. შავ ავტოგრაფში ყველა რეპლიკა, გარდა დასაწყისისა, შემოჰყავს „ელენესა» და „ვაჟას», თეთრ ავტოგრაფში კი „გოგოსა» და „ვაჟს». მხოლოდ ორ ადგილას თავდაპირველად დაწერილი სახელები გადაშლილია მწერლის მიერ და ზედ აწერია: „ვაჟი», „გოგო». შავ ავტოგრაფში თეთრისაგან განსხვავებით ციტატა სახარებიდან მოყვანილია რუსულად. თეთრი ავტოგრაფის თავფურცლის ქვედა ნახევარზე წერია სათაური თარიღით, მოსდევს წვრილი ხელით ნაწერი შესავალი დღიური (იხ. ტექსტი).

მეორე თეთრი ავტოგრაფის ქვედა ნახევარზე წერია მხოლოდ სათაური ყავისფერი ფანქრით. ყავისფერი ფანქარი აქ პირველადაა ნახმარი. (იხ. ავტოგრაფების დახასიათებისათვის)

თეთრი და შავი ავტოგრაფები წერია განსხვავებული ხარისხისა და ფორმატის ფურცლებზე. თეთრი ავტოგრაფის ტიპის ფურცელს პირველად შევხვდით ავტოგრაფში „გაზაფხული მოდის». ვფიქრობ, რომ ამ ორი მოთხრობის თეთრი ავტოგრაფები ერთ დროსაა დაწერილი, რაც ხელწერითა და მელნის ფერითაცაა სავარაუდო. თეთრი ავტოგრაფის ნუმერაცია შემოხაზული არაა. კვლავ გვხვდება რეპლიკის შემოყვანის პიესებისათვის დამახასიათებელი ფორმა.

შესაძლებელია, რომ თეთრი ავტოგრაფი დაწერილია შემოდგომაზე (თუმცა მხოლოდ თავფურცელია შემონახული) ოქტომბერ-ნოემბერში. ასეთ ფურცლებზეა ნაწერი შემოდგომის მოთხრობები.

I სიაში: „32. შუა ზაფხულში ყველგანა ცხელა.»

პირველად გამოქვეყნდა 1985 წელს წიგნში „სად გაექცევი ზამთრის ღამეს.»

რა შეედრება ახალგაზრდობას

არსებობს დათარიღებული და დასათაურებული მხოლოდ შავი ავტოგრაფი (1+1-7+1/2გვ.). აქვს თავფურცელი სათაურით (ჩასმულია ბრჭყალებში) და თარიღით. ტექსტი ნაწერია საშუალო ასოებით, გაკრული ხელით, ღია ლურჯი მელნით, 1956 წლის გაზაფხულ-ზაფხულისათვის (შემოდგომამდე) დამახასიათებელ ფურცლებზე. თარიღის შემდეგ მინაწერი დღიური: „არ მახსოვს. ორი დღე ვსვამდი. დილის 11-12. ეს აზრი მომივიდა სამხედრო ბანაკში, ოღონდ ცოტა სხვა სტილში. არ მომწონს, როგორც მინდა, ისე არაა. რაღაც მიჭირს წერა, სულ მეჩქარება, მაგვიანდება. ვგრძნობ, ასე არაფერი გამოვა.» მოსდევს თარიღი: „1956 წელი ან 15 ან 16 აგვისტო.»

პირველად გამოქვეყნდა წიგნში „სად გაექცევი ზამთრის ღამეს,» 1985 წელს.

რუსის გოგონა ზღვაზე

არსებობს დათარიღებული და დასათაურებული შავი ავტოგრაფი (1+1-7+1/2.გვ.)

თავფურცელი გაფორმებულია სხვა ამ პერიოდის თავფურცლების მსგავსად. სათაური ჩასმულია ბრჭყალებში. მოსდევს თარიღი: „1956 წელი. 17 აგვისტო». ტექსტის ბოლოს, თარიღის შემდეგ წერია დღიური: „ხელს მიშლიან ჯურხა და ნოდარი. მივდივარ _ 1-1.45. დედა ავატირე, აღარ მაცალეს.» მოთხრობა დაწერილია ახალ ათონში. (ნოდარ ზედელაშვილი _ ისტორიკოსი, ჟურნალისტი, გურამის ბავშვობის მეგობარი. იმ ზაფხულს ჩვენს ოჯახთან ერთად ისვენებდა, ჯურხა ნადირაძე _ ისტორიკოსი, ასევე გურამის მეგობარი, ერთად სწავლობდნენ უნივერსიტეტში.)

პირველად გამოქვეყნდა წიგნში „სად გაექცევი ზამთრის ღამეს.»

ბანაობა მზის ჩასვლისას

არსებობს დასათაურებული და დათარიღებული მხოლოდ შავი ავტოგრაფი (3გვ.) თავფურცლად გამოყენებულია მოთხრობის ბოლო ფურცლის უკანა ცარიელი გვერდი. ქვედა ნახევარზე წერია სათაური ბრჭყალებში და თარიღი. მოთხრობას მოსდევს თარიღი და მინაწერი:

„მურტალი პახმელია, დაბეგვილ, გაოხრებული ვარ.»

პირველად გამოქვეყნდა 1985 წელს წიგნში „სად გაექცევი ზამთრის ღამეს.»

გასართობად ომს არაფერი აჯობებდა

არსებობს უსათაურო და დათარიღებული შავი ავტოგრაფი (1-5+1/2.). პირველ სიაში მოიხსენიება ეპიგრაფის პირველი სიტყვებით: „24. გასართობად ომს არაფერი აჯობებდა». თავფურცლად გამოყენებულია ავტოგრაფის ბოლო ფურცლის ცარიელი უკანა გვერდი. თაბახის ფურცლის ქვედა ნახევარზე, სხვა დროს (განსხვავებული მელანი) დაწერილია მეორე ეპიგრაფი (იხ. ტექსტი), მოსდევს თარიღი. „გაგონილის» შემდეგ სიტყვა „ჩემი» გადაშლილია. ტექსტს მოსდევს თარიღი და დღიური:

„დღეს უკვე მეორე დავწერე. პახმელიაზე ბორჯომის და ხაშის მაგივრად ნოველებით გამოვდივარ. ზედ არაყის მაგივრად დღიურებს ვატან. „აბა დელა». გული მიწუხს _ სმა და ცურვა, სულ გავიოხრე ეს ოხერი.»

პირველად გამოქვეყნდა 1985 წელს წიგნში „სად გაექცევი ზამთრის ღამეს» სათაურით: „ომი.»

ნელი ტანგო

„ნელი ტანგოს» სამი ავტოგრაფი არსებობს: შავი (1+1-13+1/2.), თეთრი (1+1-11) და 1960 წლამდე გადაბეჭდილი ცალი. სამივე ავტოგრაფი დათარიღებულია. ამ ავტოგრაფებს სხვადასხვა სათაურები აქვს. შავი ავტოგრაფის ქვედა ნახევარზე წერია სათაური ბრჭყალებში და თარიღი: „საუბარი კაფეში», წელი 1956. აგვისტოს 23.» ამ ავტოგრაფს მოსდევს დღიური:

„დღეს ნოდარ ზედელაშვილის დაბადების დღეა. ურა!

გუშინ ვსვით! ურა!

დღეს ვსვამთ! ურა!

მურტალ ხასიათზე ვარ. მივდივარ დიდ საცურაოზე.» (იხ. შენიშვნა მოთხრობისათვის „უკანასკნელი აბენსერაჟი».)

თეთრი ავტოგრაფის ზედა ნახევარზე წერია სათაური უბრჭყალებოდ: საუბარი ცეკვის დროს. და ეპიგრაფი (იხ. ტექსტი). ეპიგრაფის ბრჭყალები და აქვე ეპიგრაფის მომდევნო ინიციალები „გ.რ.» მწერლის მიერაა გადაშლილი. თეთრ ავტოგრაფში უმნიშვნელო ცვლილებებია გურამის მიერ გაკეთებული. მაგ: „კარტი» შეცვლილია „ქაღალდით», „მოაგარაკეები» „რუსებით», „მეუღლე» „ცოლით». მეორე სიაში დასათურებულია როგორც „ნელი ტანგო».

ნაბეჭდი ვარიანტის თავფურცლის ზედა ნახევარზე წერია სათაური „საუბარი ცეკვის დროს». მოსდევს ეპიგრაფი-შესავალი (იხ. ტექსტი). სათაურისა და ეპიგრაფის ზევით გურამის ხელით, ფანქრით, დიდი ასოებით წერია სხვა სათაური: „ნელი ტანგო». რამდენიმე ადგილას მელნით ჩემ მიერ ჩასწორებულია ერთი-ორი ადგილი. ვბაძავ გურამის ხელს. ნაბეჭდ ვარიანტში ალაგ-ალაგ შენარჩუნებულია თეთრი ავტოგრაფის გრაფიკული სტრუქტურა. (რეპლიკების დასაწყისი გაწეულია მარცხნივ, არ არის გათანაბრებული აბზაცების დასაწყისთან. იხ. ავტოგრაფების დახასიათებისათვის)

1956 წლის აგვისტოში მთელი ოჯახი ვისვენებდით ახალ ათონში. ჩვენთან ერთად იყო ნოდარ ზედელაშვილი და ჩვენი ბიძაშვილი გოგი რჩეულიშვილი. ხანდახან მამაც გვაკითხავდა ხოლმე. ჩასვლისთანავე გურამმა სთხოვა მშობლებს: ცალკე მინდა დასახლება, მარტო მინდა ვიყო, სამუშაო მაქვსო. მცირე წინააღმდეგობის შემდეგ მშობლები დათანხმდნენ თავიანთ ვაჟიშვილს, თუმცა არც ისე ხალისით. გურამის წერა, დედაჩვენის აზრით, ჯერ მთლიანად „ჰაერში იყო გამოკიდებული და პირი არ უჩანდა.» ჩემი ძმა დასახლდა ზღვასთან ახლოს, ყვავილებში ჩაფლულ, თეთრ-ცისფრად შეღებილ ხის სახლში. ეს სახლი იდგა პატარა ბექობზე, ახალი ათონის უკიდურეს შორეულ წერტილში, ჩვენგან საკმაოდ მოშორებით, უფრო გაგრის მხარეს. გურამმა აქ თითქმის მთელი ორი თვე დაჰყო. მახსოვს, ჩვენი წამოსვლის შემდეგაც დარჩა. პატარა ოთახის ერთ კუთხეში, ღია ფანჯარასთან იდგა დაბალი ხის ტახტი (შეიძლება ნიკელებიანი საწოლი), პატარა მაგიდაზე მუდმივად ეყარა გურამის ხელით შევსებული თაბახის ფურცლები. ეს ერთი-ორჯერ სტუმრად მისულ დედას იმედს აძლევდა და შვილის მოთხოვნის სამართლიანობაში არწმუნებდა. აღსანიშნავია, რომ გურამი ახალ ათონში ეუფლებოდა სხვადასხვა სტილით ცურვას. თვითონ კმაყოფილი იყო: ცურვის კლასი საგრძნობლად ავიმაღლეო.

მომყავს ამონაწერი 1956 წლის დღიურიდან, სადაც ეს ოთახია ნახსენები: „ზღვა. მშვენიერი ზღვა ჩანს ასევე მშვენიერი ჩემი პატარა ფანჯრიდან. ტალღები, ზღვის შვილები კეკლუცად ეთამაშებიან დედას. შორს ნავი მიცურავს...» აგვისტო 1956 წელი. ივლის-აგვისტოთი დათარიღებული ყველა მოთხრობა ამ ოთახშია დაწერილი.

ნოდარ ზედელაშვილი იგონებს: რამდენიმე დღის წინ (იგულისხმება „ნელი ტანგოს» დაწერამდე) ერთად ვიყავით პლაჟზე წამოწოლილები. ვიღაცა ყვებოდა, რომ წინა დღეს ერთი კაცი პლაჟზე იდგა, მისი შვილები კი ზღვაში ცურავდნენ. ზღვა ღელავდა. მამა მიხვდა, რომ შვილებს უჭირდათ. შეატყო, საქმე ცუდად იყო, შეცურა, ძლივს გამოიყვანა ბავშვები და თვითონ ნაპირზევე გაუსკდა გული. ორი დღის შემდეგ გურამმა წამიკითხა „ნელი ტანგო». ამ მოთხრობაში აღწერილი იყო ეს შემთხვევა.

„ნელი ტანგო», ჯერ კიდევ მისი ზუსტი თარიღით გამოქვეყნებამდე (23 აგვისტო _ გურამის გარდაცვალების დღე) მკითხველმა მწერლის მიერ თავისი ცხოვრების აღსასრულის წინასწარმეტყველებად აღიქვა.

აღსანიშნავია, რომ ამ მოთხრობას სათაურით „ნელი ტანგო» გურამი სხვადასხვა წლების ჩანაწერებსა თუ დღიურებში მოიხსენიებს ხოლმე.

ამონაწერები დღიურებიდან:

„ნელ ტანგოს» მივაწერე „საუბარი ცეკვის დროს» რატომღაც, რომელიც პირველად განზრახული მქონდა სათაურად. გამიკვირდა, რომ ასევე დატოვეს უაზროდ მიწერილი. ალბათ, ასევე დარჩებოდა, რომ მოთხრობისათვის „სიკვდილი მთებში» მიმეწერა „ნამდვილი ამბავი». აქ უკვე მე, მე რასაც მინდა, იმას ვწერ და მიბეჭდავენ. მიკვირს. მე ცელქი, ცოტა სულელი, და ძალიან გიჟი, ვხდები მწერალი და ყველა ჩემს სიტყვაზე მარტო მე ვაგებ პასუხს.» (ამონაწერი 1957 წლის ოდესის დღიურიდან).

„ჩემი მოთხრობების საწინააღმდეგოდ, ცხოვრება სიკვდილების შემდეგ მიდის თავისი გზით, არის სრულიად არასწორი აზრი, რადგან სიკვდილი თავისი არსებობით საერთოდ ძირეულად ცვლის სიცოცხლეს და ასე ყველაფერი. „სათაგური» დაცინვა ოჯახური იდილიის, თავის მოტყუება რატომ? როცა ეს ცხოვრება სულ არ არის თავისთავად თავის მოტყუება და სწორედ ის არის ნამდვილი ცხოვრება. ყველასათვის ცნობილია, რომ სიკვდილის შემდეგ ცხოვრება გრძელდება ისევე სხვებისათვის, ოღონდ დიდი ლიტერატურის ამოცანა სწორედ ის არის, გაიგოს, რა ცვლილება შეაქვს კონკრეტულად ყოველი ადამიანის ცხოვრებაში სიკვდილს, თორემ ისე, საერთოდ, სიკვდილი ტოლძალოვანია სიცოცხლის. ლიტერატურა ამბობს კონკრეტულად. აქ არის ფსიქოლოგიები და სხვა. ჩემი იყო ექსპრესია ცხადი, მოკლებული ყოველგვარ კონკრეტულობას! (რაც მთავარია).» (ჩანაწერი რვეულის ფურცელზე. თარიღდება 1959 წლით).

„ასეთი ძალადობა თავისი თავისადმი უცხოა შექპირისათვის. ყველა მისი მერყეობანი არაჩვეულებრივად ცხადია კაცობრიობის დიდი გონებისათვის .. ის არ ეძიებს სიკვდილში ხელოვნურად მაღალ ზეცას, იმ ქვეყანას, საიდანაც აქ უნდა მოვიდეს იქ შენახული, იმოღვაწეოს თავის ასპარეზზე და თავის მაგიერ სხვა გამოიძახოს. ამას შეგიძლია ძალიან პესიმისტურად შეხედო ჩემი „ნელი ტანგოსავით», მაგრამ შექსპირი ისეთი დიდი სიხარულით, ოპტიმიზმით ხატავს ამ ამბავს, რომ პირიქით მხნევდები და ორივე: სიკვდილი, სიცოცხლე ჯანსაღი ჩანს» (ამონაწერი 1958 წელს ერლომ ახვლედიანისადმი გაუგზავნელი წერილიდან).

„...ყველა გმირის სახის გამოუვალი მარცხი: იულონი, გურამი, ერლომის დიდი მონა, ან „ნელი ტანგო» ჩემი, ნუთუ ეს დეკადანსია, თუნდაც ჩემთვის იმიტომ, რომ წერის დროს ვგრძნობ შექმნის საშინელ სურვილთან ერთად, საკუთარ თავზე თითქოს ვიღაცის დაღლის ვერ მოშორებას, რაც თვითონ წინადადების დაწყობაშიც კი მიშლის ხელს. III. შეიძლება თუ არა, თუ ეს მართლა დეკადანსის ბოლოა, ვაქციო იგი რენესანსად ჩემივე თავში...» (ამონაწერი 1959 წლის ჩანაწერებიდან.)

„... ამ მხატვრულ ნაწარმოებს (იგულისხმება „ჩემი ლიტერატურული შეხედულებები» _ მ.რჩ.) აქვს თავისი მიმმართველი თეორიული გეზი, რომელიც არ ჰქონდათ პირველ მოთხრობებს. დღემდეც კი, წარმოიდგინეთ, მხვდება ხალხი, მეკითხებიან, რა მიზნით დავწერე „ნელი ტანგო» და ხომ სწორია ის, რომ სიკვდილი არაფერია და ცხოვრება თავისი გზით გრძელდება. ეს არა ახალი ჭეშმარიტება, ცხოვრების თავისი გზით გაგრძელების შესახებ, რასაკვირველია, სწორია, მაგრამ ნაწარმოებში ეს ამბავი იმიტომ კი არ არის მოცემული, რომ სიკვდილი არაფერია, არამედ იმიტომ, რომ ავტორისათვის უზარმაზარი ტრაგედიაა თვითონ სიკვდილი და ის გარდაუვალი ფაქტი, რომ მაშინვე, ახლო წამშიც კი, ცხოვრება თავისი გზით გრძელდება. ეს ჩემი განწყობა, როგორც ეტყობა, ნაწარმოების სუსტი მხატვრულობის გამო, შიგ არ ჩანს. ეს ერთი, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი მე მხვდება როგორც გადმომღერებელს ევროპული თუ ამერიკული „დაკარგული თაობის» მოტივებისა. სასურველი იქნებოდა, რომ ჩემმა თეორიულმა ნაწილმა მხატვრულთან კავშირში, გააქარწყლოს ეს შეხედულება და ჩვენ: საზოგადოებამ, თქვენ და მე, ერთმანეთს პირდაპირ, გულწრფელად დავუწყოთ ყურება...» (1960 წლის 26 იანვარი. ამონაწერი ვახტანგ ჭელიძისადმი მიწერილი წერილიდან.)

1957 წლის აპრილში თბილისში მოკლეს ულამაზესი ვაჟკაცი, შემოქმედი, გურამის უმცროსი მეგობარი ლადო ქოქიაშვილი (იხ. მოთხრობა „უღელტეხილის» მომდევნო დღიური მომდევნო ტომში) ამ სიკვდილმა შეძრა მწერლის სულიერი სამყაროს სიღრმისეული შრეები და თავისი კვალი დააჩნია მის შემოქმედებას. თუმცა, მაშინვე, ყო-

ველდღიურ ცხოვრებაში რეალურად თამაშდებოდა „ნელი ტანგოს» სიტუაციების მთელი სერია და ამ სიტუაციების მთავარ მოქმედ პირად თვითონ მწერალი აღიქვამდა საკუთარ თავს. გურამის მეგობარი გოგონას გადმოცემით, ლადოს მკვლელობიდან არც ისე დიდი ხნის შემდეგ, მათ ნახეს რაღაც ფილმი ივ მონტანის მონაწილეობით. ფილმში ივ მონტანი იპარსავდა წვერს ქსელში შეუერთებელი ელექტროსაპარსით. თურმე გურამს საოცრად გაუკვირდა. შევიდნენ მეორე სეანსზეც, შესამოწმებლად. კინოთეატრიდან გამოსვლის შემდეგ გურამმა თქვა: აი, ეს არის ცხოვრება. არაფერი იცვლება. ყველაფერი თავისი გზით მიდის.

არქივში ინახება სამი ერთმანეთის მსგავსი ჩანახატი. ეს ჩანახატები შეიძლება ჩაითვალოს „ნელი ტანგოს» ილუსტრაციად. („სოხუმის საცურაოზე ცალთვალა სომეხი ემიგრანტი გიტარას აკვნესებდა.») მათი შექმნის თანმიმდევრობა ასე მესახება: თავდაპირველად გურამმა პატარა ფურცელზე პატეფონის ფირფიტის ფონზე ჩახატა ცალთვალახვეული, წვერით შემოსილი კაცის პორტრეტი, სომბრეროს ტიპის ქუდით. ამ კაცს ტანად გამობმული აქვს გიტარა. გურამს ფირფიტაზე დიდი ასოებით წაუწერია: „Дождь идет». შემდეგ ვაჟა გიგაშვილს, მისი თხოვნით, მოზრდილი ბლოკნოტიდან ამოხეულ ფურცელზე, ლექციის დროს (ვაჟა სწავლობდა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, არქიტექტურულზე) დაუხატავს იგივე, ოღონდ უფრო კარგად. (ვაჟა, განსხვავებით გურამისაგან, კარგად ხატავდა. გურამს არა ჰქონდა არც სიმღერის და არც ხატვის ნიჭი. თუმცა ორივე, განსაკუთრებით კი მუსიკა, გაგიჟებით უყვარდა. მახსოვს, ერთხელ თქვა: მე რომ სიმღერა შემძლებოდა, ალბათ, არ დავწერდიო.) ამ ჩანახატს, ვაჟას ხელით, აწერია „Дождь идет». მესამედ იგივე ჩანახატი გვხვდება 1957 წლის ავტოგრაფში. „ცალთვალა სომეხი ემიგრანტი», ვაჟა გიგაშვილის ნახატი, გურამს კარგა ხანს ჰქონდა ჭიკარტებით დამაგრებული თავისი საწერი მაგიდის წინა კედელზე, იმ ადგილას, სადაც ერთ ხანობას დანჯღრეული პატეფონი იდგა. (იხ. მოთხრობა „ჩემს წინ კედელზე ათი სურათი ჰკიდია» მომდევნო eტომში.)

„ნელი ტანგოს» დაწერიდან ოთხი დღის შემდეგ გვხვდება დღიური: „...ვზივარ მარტო ჩემს პატარა ოთახში, ზღვა ხმაურობს, ფანჯარა ღიაა, მაგიდაზე დგას სარკე, მერე? მორჩა. არა კიდე ცოტაც და ავტირდები. არა, ვეღარა ვტირივარ. როგორ ხასიათზე ვარ? ვეღარა ვტირივარ. ჩვეულებრივ ე.ი. არ ვიცი, უფრო ცუდზე.»

პირველად გამოქვეყნდა 1957 წელს ახლადდაარსებულ ჟურნალ „ცისკრის» პირველ ნომერში. შემდგომ წიგნში „სალამურა» 1961 წელს.

„უკანასკნელი აბენსერაჟი»

შავი ავტოგრაფის (1+1-7გვ.) თავფურცლის ქვედა ნახევარზე წერია ბრჭყალებში ჩასმული სათაური (ეს სათაური ფრანსუა რენე შატობრიანის ნაწარმოების „უკანასკნელი აბენსერაჟის თავგადასავლის» რემინისცენცია უნდა იყოს.) და თარიღი: „წელი 1956. აგვისტოს 24. 9-19.» ტექსტის ბოლოსაც ზის თარიღი. მოსდევს მინაწერი: „პახმელია. გუშინ ნოდარის დაბადების დღე იყო. ვიყავი თამადა».

I სიაში „22. უკანასკნელი აბენსერაჟი.»

ნაწერია საშუალო ზომის ასოებით, მოწესრიგებული, ლამაზი ხელით. ერთ-ორ ადგილას გადაშლილია სიტყვა.

არქივში ინახება გურამის წერილი, მიწერილი ჯურხა ნადირაძისადმი (იხ. წინა მოთხრობების შენიშვნა). ეს დაუთარიღებელი წერილი ჯურხა ნადირაძემ გადმომცა 1992 წლის 2 ივნისს. წერილი, ჯურხას გადმოცემით, გამოგზავნილი უნდა იყოს ახა-

ლი ათონიდან 1956 წლის აგვისტოში. მასში აღწერილია აფხაზებთან ჩხუბის ამბავი, მსგავსი, ან სწორედ ის ამბავი, რაც საფუძვლად დაედო ამ მოთხრობის სიუჟეტს: „ჯურხა! მომილოცნია. ძალიან გადარჩი, მართლა ბედი გქონია. შენ რომ წახვედი, იმავე დღეს საღამოს ჩამოვიდა მავრი (მავრი ზალდასტანიშვილი, გურამის ახალგაზრდობის მეგობარი და მამას მეგობრის შვილი _ მ.რჩ). ღირსეულად იჯდა ბანოვანთა შორის ზიმში. გააჩერა. ერთად ვიცურავეთ. მთელი ჩვენი ოჯახი იქ იყო. მერე მამა წავიყვანეთ ათონის მონასტერში. ნოდარი, გოგი და მე დავრჩით. მამა კი წამოვიდა. მე კი ვიჯექი მთელი საათნახევარი, მართლა ვტკბებოდი ჩემს წინ გადაგრაგნილი ზღვის ფერითა და ხეობის სიმშვენიერით. ჰარმონიას ავსებდა მთაზე დადგმული ლამაზი სახლი. ნამდვილად ამშვენებს ადამიანი ბუნებას. მოკლედ, შემიყვარდა ამ საღამოს ჩვენი პლანეტა. ალბათ მოვა დრო, როცა (შეიძლება ჩვენც მოვესწროთ) განვითარდება ასტრონომია, საპლანეტაშორისო მიმოსვლა, რომ ადამიანი ისევე დაიცავს, ისევე შეიყვარებს მთელ დედამიწას, როგორც დღეს ჩვენ, თუნდაც შენ და მე საქართველო გვიყვარს. ვუყურებდი და უბრალოდ ვერ წარმომედგინა, რომ ამ სიმშვენიერეში შეიძლება კაცმა კაცს აწყენინოს. ახლა ხეობას ზევით ავაყოლე თვალი. ცოტა გამიფუჭდა გუნება: ხუთი ექვსი უნიჭო სახლი მართლა უადგილო ადგილას იდგა. უმოძრაოდ ვიჯექი, მაგრამ ტვინი არ ისვენებდა: ზედიზედ მომივიდა რამდენიმე საყურადღებო აზრი. გადავწყვიტე, მეორე დღესვე გამეკეთებინა....

ცხრა საათზე მავრი, ნოდარი, გოგი და მე იქვე, ათონის მონასტრის გადაკიდებულ სასაუზმეში ვისხედით. სმა წავიდა ღირსეული, დრო გადიოდა... მავრი და მე ანგარიშს ვუსწორებდით, ამ დროს მომესმა ნოდარის ხმა: გურამ, აქეთ, გვცემენ! გავვარდი. რას დაინახავ, აფხაზები, როგორც მერე გამოირკვა, ტყუილ-უბრალოდ ან შეცდომით დახვევიან ბიჭებს და უბათქუნებენ. სანამ შემეძლო, მოგეხსენება, ვივარგე, მაგრამ ნათლიმამამ მიღალატა და ორმოში ჩამივარდა ფეხი. ბლომად იყვნენ, წაქცეულს შემდგნენ წიხლებით. ერთი კი მომდეს ყბაში. მე სწრაფად გავაკეთე მკვდარი დაცვა და დავიძინე: როგორც ეტყობა, კაი ხანს მირტყეს, ადგომის არც თავი მქონდა და არც სურვილი. დავინახე, რომ გოგის და ნოდარს ხელს ვერ ახლებდნენ. როცა გავიღვიძე, მარტო ჩვენი ბიჭებიღა იყვნენ ... მე კარგად არ მახსოვს. გამოვსულვარ ღრიალით, ლანძღვით საცეკვაო მოედანზე, ვეძებდით იმათ, უშედეგოდ, კიდევ კარგი. ალბათ, კიდევ დაგვზელდნენ. ძლივს ვიდექით ფეხზე ... დღეს დილით გავიღვიძე. ვიხედები სარკეში, რას ნახავ, ყბა გასიებულია. ეგ არაფერი. ნოდარი გავაგზავნე ჩვენებთან... ვიყიდებით...» (იგივე ამბავი აღწერილია ნუგზარ წერეთლისადმი მიწერილ წერილში).

„ნელი ტანგოს» შენიშვნებში მოყვანილი პატარა ჩანაწერი, რომელშიც აღწერილია გურამის ფანჯრიდან გადაშლილი პანორამა, დაწერილი უნდა იყოს აფხაზებთან ჩხუბის მეორე ან იმავე დღეს. მომყავს ამ ჩანაწერის გაგრძელება: „... ეშმაკმა წაიღოს ზღვაც, ტალღებიც, ნავიც, ჩემი ფანჯარაც მეც. ვზივარ და გულზე ვსკდები. დღევანდელი დღე დაკარგულია. მარცხენა ყბა აფხაზის წიხლისგანა მაქვს გასიებული. ვეღარ გავალ ქალაქში, არადა გოგონას წასვლამდე ექვსი დღეღაა, როდის რა უნდა მოვასწრო. არაფერი გამოვა. მაგის დედაც ავატირე. თან სახლში მისვლაც არ მინდა ... ასე გასიებული ....ვაჰ, რა გაუძლებს ნოტაციებს. ყველაფერი მე დავიწყე მაინც. ავიტეხე სმა. ვიჯექი მესამე სან. ყოფ. ათონის მონასტერში და გავცქეროდი ყურეს. აი, ჭეშმარიტი სილამაზე. ვიჯექი მთელი სამი საათი უხმოდ. ვეწეოდი პაპიროსს. ოჰ, რა კარგია, რა ლამაზი ჩვენი პლანეტა. თავი კი გამალებით მუშაობდა. ოთხამდე პატარა ნოველა მომივიდა თავში. მაინც რა ლამაზია ჩვენი პლანეტა. ზღვის ყურე, წიწვის და ნაძვის ხეები, ალვები, სახლი ტყეში, უსაზღვრო სივრცე, ჩემს ქვევით უგემოვნებოდ ნაშენი სახლები აფუჭებენ ხედს. ვცდილობდი ყურადღება არ მიმექცია. მერე ვიქეიფეთ. 6

ბოთლი 23 ოთხმა კაცმა. აფხაზებმა ჯერ გოგის გაარტყეს. ჩავერიე. ჯერ ვურტყით, მერე ორმოში ჩამივარდა ფეხი. შემდგნენ. ეს ველურები უნიჭო სახლებივით აფუჭებენ ხასიათს, პეიზაჟს...»

(1956 წელი. ახალი ათონი.)

პირველად გამოქვეყნდა 1985 წელს წიგნში „სად გაექცევი ზამთრის ღამეს.»

ასვლა

შავი ავტოგრაფი დასათაურებულია. დათარიღებულია სხვადასხვანაირად. პირველი თარიღი წერია თავფურცელზე სათაურის შემდეგ და ჩასმულია ბრჭყალებში: „წელი 1956. აგვისტოს 29.» მეორე თარიღი წერია ხელნაწერის 35-ე გვერდის ბოლოს, გადაშლილი აბზაცის ზევით პატარა ასოებით: „ათონი. წელი 1956. აგვისტოს 29» და სავარაუდოა, რომ ჩაწერილია ბოლო აბზაცის გადაშლის შემდეგ, მესამედ თარიღი წერია 37-ე გვერდის ბოლო კიდეში უფრო პატარა ასოებით: „ათონი. წელი 1956. აგვისტოს 28.» როგორცა ჩანს, იმიტომ, რომ დატეულიყო იმავე გვერდზე. მეოთხე თარიღი წერია ცარიელი გვერდის დასაწყისში, მსხვილი ასოებით და ციფრებით: „წელი 1956. სექტემბრის 17». „ასვლა» დათარიღდა: 1956 წლის 29 აგვისტო _ 17 სექტემბრით.

არქივში „ასვლის» 35 გვერდი ინახებოდა ერთად. 36-49 გვერდები გაბნეული იყო სხვადასხვა საქაღალდეში. ავტოგრაფზე დაკვირვების შედეგად აღდგენილია „ასვლის» დაწერის სავარაუდო თარიღი. თავდაპირველად დაიწერა 37 გვერდი თავისი თარიღით ტექსტის ბოლოს (29 აგვისტო).

მაშინ ტექსტი ასე მთავრდებოდა: „საღამოსათვის მთელი ჯგუფი მოვიდა ბანაკში. ვაჟასა და ჯემალს კი დიდ კარავში ტკბილად ეძინათ.» შემდეგ ისევ 29-შივე გადაშლილია 35-ე გვერდის ბოლო აბზაცი და თარიღი ხელმეორედაა დაწერილი: „ათონი. წელი 1956. აგვისტოს 28.» ამ შემთხვევაში მოთხრობა მთავრდებოდა ასე: „უთენია ჯემალი და ვაჟა დაეშვნენ ბანაკში.» ასეთი ცვლილების შემდეგ 36-37 გვერდები საერთოდ ამოვარდა და ამიტომაც ინახებოდა სხვა გაბნეულ ფურცლებთან ერთად. ამ გვერდებს მამას ხელით აწერია: „ეს „ასვლა» უნდა აყოს.» 41-ე გვერდზე დაწერილი თარიღიდან ირკვევა, რომ „ასვლაზე « მუშაობა გურამმა განაახლა 17 სექტემბერს. ეს იგრძნობა ხელწერიდანაც. როგორცა ჩანს, ის არ დაკმაყოფილდა „ასვლის» ფინალით და ვაჟასა და ჯემალის ბანაკში დაშვების ამბავი განაგრძნო სიტყვებიდან: „ნისლში გახვეულ მწვერვალზე ორი ნაბიჯის იქით არაფერი ჩანდა...». ასე გაჩნდა ახალი 36-37 გვერდები, რამაც თავდაპირველად გამოიწვია გაუგებრობა. ეს ვარიანტი (იხ. ნაბეჭდი ტექსტი) ჩავთვალე მწერლის ბოლო ნებად.

პირველი ვარიანტის დასასრული:

„შევიდნენ ბანაკში. მთელი ბანაკი გამოეგება. გოგონები კოცნიდნენ, შემდეგ ჯემალმა პატაკი ჩააბარა. ბიჭებმა ბარგი ჩამოართვეს და ორივენი ჭამამდე აბანოში გააქანეს. ბარიდან ამოსული მთამსვლელი, ბავშვობის ძმაკაცი, ვაჟას აბანოში ამბავს აყოლინებდა:

_ ბიჭო, მაგრა გიწვალიათ.

_ აბა, კაცო.

_ გოგოებმა გაგტანჯეს, ალბათ.

_ არა.

_ მაშ?

_ არავინ, თოვლი იდო კლდეზე.

_ მართლა, ვაჟა, გაგახარო, გუშინწინ თბილისში ალპური კლუბის სამარშრუტო კომისიაზე ჩვენი შხელდა-უშბის ტრავერსი დაამტკიცეს და 2000 ფული მოგვცეს.

_ რას მეუბნები, მართლა?

_ აბა, ტყუილს ხომ არ გეტყვი, ხვალზევით მივდივართ.

_ გაუმარჯოს, გვეყო ბანაობა, მომშივდა, თან გადაქლერთილ ფეხებს ექიმს მოვარ-ჩენინებ, რომ ყველაფერი დროისათვის მოესწროს.

_ მაშ, წავედით, ბიჭები უშხვანარში ავლენ პირდაპირ.

_ გინდა, მაშ ხვალვე გავიდეთ აქედან.

_ ვნახოთ, ვნახოთ. _ გურამმა მოუარა და ახლა ზურგი დაუზილა ღრუბლით. საღა-მოსათვის მთელი ჯგუფი მივიდა ბანაკში. ვაჟას და ჯემალს კი დიდ კარავში ტკბი-ლად ეძინათ.

წელი 1956, აგვისტოს 29.»

პრობლემური იყო თავფურცელზე მოცემული დღიურის ფუნქციის გადაწყვეტაც: ჩვეულებრივი დღიურია, თუ მხატვრული ფაქტი! (იხ. ავტოგრაფების დახასიათებისათვის)

დღიურის დაწერის თანმიმდევრობა ასე მესახება: 29 აგვისტოს დაწერა „ასვლის» 37 გვერდი თავისი თარიღით, შემდეგ გაუკეთა თავფურცელი სათაურითა და დღიუ-რით. დღიურში აისახა რეალური დღე და მისი განწყობა წერის დასრულებისას. თუმ-ცა ჩანაფიქრში, ამ დღიურის გრაფიკული გაფორმების მიხედვით, ის თავიდანვე ეპიგრაფად უნდა ყოფილიყო ჩაფიქრებული.

თავფურცელზე მოთავსებული დღიური:

„ვწერდი ორი დღე. დღეში ორ-ორი საათი.

მომწყინდა, ალბათ, წამკითხველსაც მოაწყენს თავს.

ცხელა უღმერთოდ. ნოდარი და შურა (შურა მღებრიშვილი, გურამის უმცროსი მე-გობარი.) წავიდნენ გოგოებთან. უნდა ვისადილო.

შოთა მირიანაშვილის მოგონებებიდან. ასვლა მწვერვალ დონღუზ-ორუნზე 1954 წლის ზაფხულში: «შესაძლოა, ბევრმა არ იცოდეს, რომ მწერალი გურამ რჩეულიშვილი მთამსვლელობით იყო გატაცებული და საინტერესო ასვლებიც ჰქონდა შესრულებული. ჩვენ ერთად ბევრი მწვერვალი დაგვილაშქრავს კავკასიონზე. გურამის ერთ ნოველას საფუძვლად ის პერიპეტიები დაედო, რომელიც თან ახლდა ალპინისტურ ბანაკ «ნაკრას» თანრიგოსანთა 15 კაციან რაზმს, კავკასიონის ერთ-ერთ ულამაზეს და ამავე დროს გოროზ მწვერვალ დონღუზ-ორუნზე (4447მ), მე-4 კატეგორიის სირთულის გზით ასვლისას 1954 წლის ზაფხულში. რაზმში სამი სპორტული ჯგუფი შედიოდა. გურამი ერთ-ერთის წევრი იყო, მე კი რაზმის საერთო ხელმძღვანელი. ასვლა მეტად რთულ მეტეოპირობებში მიმდინარეობდა. 15 კაციდან ქართველები ექვსნი ვიყავით (გურამ რჩეულიშვილი, გივი აბაშიძე, გიორგი მახვილაძე, ომარ ბერაძე, ლევან ღლონტი და მე). დანარჩენი მონაწილეები სსრკ სხვადასხვა ქალაქების წარმომადგენლები იყვნენ (მოსკოვი, კიევი, ხარკოვი, დნეპროპეტროვსკი). მარშრუტის მთელი მწვერვალისწინა მონაკვეთზეა. თითქმის ვერტიკალური კლდოვანი ქედი, ჩაყინული კლდეებით, ავდარში (ძლიერი ქარი, ნისლი და დაბალი ტემპერატურა) მეტად სერიოზული დაბრკოლება აღმოჩნდა რაზმისათვის, რომლის მონაწილეთა უმთავრესობისათვის ასეთი სირთულის მარშრუტი პირველი იყო. როცა მე (გურამი ჩემს უკან მოდიოდა) ეს მონაკვეთი გავიარე და ყინულოვან «გუმბათზე» გავედი, საიდანაც მწვერვალამდე 3-4 თოკი იყო დარჩენილი, შემომესმა, რომ ქვემოთ მეტად სერიოზული სიტუაცია შეიქმნა და საჭირო იყო სასწრაფო ზომების მიღება. მწვერვალამდე დარჩენილი გზის გაკვალვა

გურამს მივანდე, მეკი სასწრაფოდ ქვემოთ დაშვება დავიწყე. გვერდი ავუარე თოკზე «ჩურჩხელებივით» ჩამოკიდებულ რამდენიმე მონაწილეს, რომლებმაც არაფერი იცოდნენ იმის შესახებ, თუ ქვემოთ რეალურად რა ხდებოდა. დავაიმედე ისინი მწვერვალის სიახლოვით, მივეცი მითითება, რაც შეიძლება სწრაფად ევლოთ და დაშვება განვაგრძე. რაც უფრო ქვემოთ ჩავდიოდი ჩოჩქოლის, ოხვრა-გმინვის და ტირილის კაკაფონია უფრო ხმოვანი და შემზარავი ხდებოდა. ერთი სული მქონდა, გამერკვია თუ რაში იყო საქმე. საოცრად ტრაგიკული და ამავე დროს კომიკური სურათის მოწმე გავხდი. თოკზე უმწეოდ იყო ჩამოკიდებული გიგი აბაშიძის ჯგუფის წევრი _ არნოლდი, მის გარშემო კლდეებზე თავი მოეყარა 5 თუ 6 მონაწილეს, რომლებიც პანიკას მოეცვა. გიგის ვარაუდით მარშრუტის სირთულით და უაღრესად არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობებით გამოწვეულმა დაძაბულობამ ბოლომდე გატეხა არნოლდი, როგორც ფიზიკურად, ასევე მორალურად, რის გამოც ასვლის გაგრძელებაზე უარი განაცხადა. როცა მე მას მივუახლოვდი, იგი სრულ აპათიაში იყო და არაფერზე რეაგირებდა. როგორც ჩანს, ამ ფაქტის უშუალო შემხედვარებს თავზარი დასცემოდათ, ვითარება სასწრაფო ზომების მიღებას მოითხოვდა, მითუმეტეს, რომ დღე იწურებოდა და შესაძლო იყო, რომ რიგ მონაწილეს მწვერვალისათვის ვერ მიეღწია. ასეთ სუსხიან ამინდში, თითქმის 4356 მეტრის სიმაღლეზე, უკარვოდ ღამისთევა კი კარგს არაფერს გვიქადდა. ზურგჩანთიდან თოკი ამოვიღე, გიგის ჩავაბი და ვთხოვე, არნოლდის ზემოთ «ასაყვანად», დამოუკიდებული დაცვა მოეწყო კლდისა და ყინულის გასაყარზე _ კლდოვანი თხემის თავზე. ვინაიდან თოკები კარგად იყო დამაგრებული, ერთმანეთის მოყოლებით (3-4 მეტრის დაცილებით) გავუშვი დარჩენილი მონაწილეები ზევით. მთელი ამ ხნის განმავლობაში ზემოდან სრულ ინფორმაციას მაწვდიდნენ. ამასობაში გიგის დათქმულ ადგილამდე ავიდა, თოკი საიმედოდ დაამაგრა და არნოლდის ზევით ათრევის სხვა საორგანიზაციო სამუშაოებიც შეასრულა. იმავდროულად გურამი ჯიუტად მიიწევდა მწვერვალისაკენ _ საფეხურს საფეხურზე ჭრიდა კრიალა ყინულზე. როცა ყინულის ფერდი თოვლის ფერდში გადავიდა და დახრილობამაც კლება იწყო, გურამმა თოვლი დატკეპნა, წერაყინი ღრმად დაარჭო და საიმედო დაცვა მოაწყო. ერთბაშად ამოძრავდა მთელი რაზმი. მონაწილეთა ნაწილი მწვერვალისაკენ დაიძრა, დაიწყო აგრეთვე არნოლდის გადარჩენის უნიკალური ოპერაციაც. საჭირო იყო 70 კგ წონის მქონე ადამიანის და მასთან ერთად 10-12 კგ წონის . . ზურგჩანთის 45-50 მეტრის სიმაღლეზე ატანა, ტექნიკურად რთული კლდოვანი რელიეფის, უამინდობისა და სიბნელის პირობებში. ცხადია, ასეთი რთული ამოცანის გადაწყვეტა მთამსვლელთა გამოცდილებაზე და მათ შერწყმულ კოლექტიურ მოქმედებაზეა დამოკიდებული. მე ქვემოდან ვმოქმედებდი. ჩემი ძირითადი ამოცანა იყო, არნოლდი ისე აგვეყვანა, რომ გზაში არაფერი დამართნოდა. საჭირო იყო მის სიახლოვეს ყოფნა და თვალყურის დევნება, რათა მას თავი კლდისათვის არ წაეკრა, ფეხი და ხელი არ მოეტეხა, ზურგჩანთა არ გამოსდებოდა კლდის უამრავ შვერილებს. დაზარალებულის ზემოთ აყვანა ჩემი კარნახით ხორციელდებოდა. ყოველ კონკრეტულ ვითარებაში ზემოთ მყოფთ უნდა სცოდნოდათ, რამდენი მეტრის აწევის შესაძლებლობა იყო. გავწვალდით, მაგრამ არნოლდი უხიფათოდ ავიყვანეთ ზემოთ. მის სიცოცხლეს უკვე აღარაფერი ემუქრებოდა. როცა ამ რთულ მონაკვეთზე სამაშველო ოპერაცია დავამთავრეთ, მონაწილეთა უმრავლესობა უკვე მწვერვალზე იყო და კარვებს დგამდა. მწვერვალამდე «გზა» ისე იყო დამუშავებული, გეგონებოდათ, რომ აქ სულ ცოტა ხნის წინ მუხლუხა ტრაქტორს გაევლო. ცხადია, ეს გურამის გმირული ნამოქმედარი იყო.

ისე ვიყავი მუშაობაში ჩართული, მხოლოდ ახლა შევამჩნიე, რომ ცა მოწმენდილიყო, ვარსკლავებით იყო მოჭედილი და, რაც მთავარია, გვიანი ღამე იყო. ამ ადგილიდან არნოლდის მწვერვალამდე აყვანა, უფრო სწორი იქნება _ ასრიალება, აღარ გაგვჭირვებია.

«დონღუზ-ორუნი» უზარმაზარი მასივია. თავზე მოზრდილი ყინულის ქუდი «ახურავს», რომელიც ჩრდილოეთისაკენ მიცოცავს და ბუნების განუმეორებელ საოცრებას ქმნის _ ყინულის კარნიზს, რომელიც 2 კილომეტრის სიმაღლიდან მრისხანედ დასცქერის არე-მარეს.

«დონღუზ-ორუნს» გვერდს მწვერვალი «ნაკრა» უმშვენებს, კავკასიონის კიდევ ერთი საოცრება. ერთად კი ისინი ბუნების გრანდიოზულ ანსამბლს ჰქმნიან. დრო და დრო «დონღუზ-ორუნის» ყინულის ქუდს, რომლის სისქეც ზოგ ადგილას 70 მეტრს აღწევს, წყდება ყინულის მასა და საზარელი გრუხუნით თავქვე მიექანება ხან მომცრო, ხან საშუალო, ხან კი ყოვლისწამლეკავი ზვავის სახით.

ის ღამე, ცხადია, მწვერვალზე გავათენეთ. დაშვების გზა გაცილებით იოლი იყო (მე-2 კატეგორიის სირთულე), იგი მწვერვალიდან ზემო სვანეთის ერთ-ერთ ულამაზეს ნაკრას ხეობაში ეშვება. სწორედ ამ ხეობის შუაგულში მდებარეობდა ჩვენთვის ახლა ყველაზე სანატრელი ალპინისტური ბანაკი «ნაკრა», რომელიც სპორტსაზოგადოება «ნაუკას» ეკუთვნოდა.

ვისაც ალპინისტური ბანაკის ცხოვრებასთან შეხების წერტილი ჰქონია, კარგად იცის, როცა ბანაკიდან ჯგუფი ასვლაზე გადის, მას უკანდაბრუნების საკონტროლო ვადას უნიშნავენ. ჯგუფის მხრიდან საკონტროლო ვადის გადაცილება აღიქმება უბედურების მაუწყებელ ნიშნად. ასეთ ვითარებაში საკონტროლო ვადის გასვლამდე ერთი საათით ადრე, ბანაკიდან ჯგუფის დასახმარებლად გადის მაშველთა პირველი ჯგუფი, ხოლო საკონტროლო ვადის გასვლის შემდეგ _ მთელი რაზმი, რაც ცხადია, ბანაკის მუშაობის რეჟიმს მნიშვნელოვნად არღვევს. ფაქტობრივად ბანაკის მთელი ძალისხმევა ამ მომენტიდან განსაცდელში ჩავარდნილი ჯგუფის გადარჩენაზეა კონცენტრირებული. საკონტროლო ვადა ჩვენს რაზმს მეორე დღის 12 საათზე გაუდიოდა. დონღუზ-ორუნის წვერიდან ბანაკ ნაკრამდე სულ ცოტა 8-10 საათის სასიარულო გზა იყო. ვინაიდან რაზმი საკმაოდ დაქანცული იყო, გადავწყვიტე, ქვემოთ დილის 4 საათზე, ოთხი შედარებით ნაკლებად დაღლილი და გამოცდილი მონაწილე გამეშვა. იმ ოთხში გურამიც იყო, ხელმძღვანელობა კი ლევან ღლონტს დავაკისრე. ბანაკის სასწავლო ნაწილის უფროსის სახელზე შევადგინე წერილი, სადაც მოყვანილი მქონდა დაგვიანების მიზეზები (უამინდობა, მარშრუტის ცუდი მდგომარეობა და ა.შ.) და ვითხოვდი საკონტროლო ვადის გადავადებას 18 საათამდე. ლევანს ხელმძღვანელობა იმ მოსაზრებით ვანდე, რომ მას ««დონღუზ-ორუნზე» მე-2 კატეგორიის სირთულის მარშრუტი წინა წლებში არაერთხელ ჰქონდა გავლილი.

ღამე ცუდად მეძინა, სულ საკონტროლო ვადაზე ვფიქრობდი, ვწუხდი იმის თაობაზე, რომ შესაძლო იყო, 11 საათამდე ბიჭები ბანაკში ვერ ჩასულიყვნენ.

დილის ოთხი სრულდებოდა, როცა ლევანი ჩემს კარავთან მოვიდა და მითხრა _ ბიჭები დასაშვებად მზად არიანო, ხოლო ჩვენი კარავი თქვენ წამოიღეთო. კარავიდან გამოვედი, ირგვლივ ყველაფერი ნისლში იყო გახვეული _ 5 მეტრის იქით არაფერი ჩანდა, ამ გარემოებამ კიდევ უფრო მომიტანა საფიქრელი _ გააგნებს კი ლევანი დაშვების გზას? ჯგუფს უკანასკნელი დარიგება მივეცი და კარავში დავბრუნდი. კარგა ხანს ვერ დავიძინე, ბოლოს ჩავთვლიმე. ჯგუფის წასვლიდან რა დრო გავიდა არ ვიცი, როცა გარედან ხმები შემომესმა.

გამიკვირდა, ასე ადრიანად ვინ ადგა-მეთქი. კარვიდან გამოვეხმაურე, გარედანაც მიპასუხეს. რამდენიმე წამში კარვის კარის ზედა ნაწილში ვიღაცის თავი გამოჩნდა. სახე ვერ გავარჩიე, წამოვჯექი და დავაკვირდი, წამიც და, ვიცანი კიდევაც. ჩემს გაოგნებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა იმ თავში ლევან ღლონტი შევიცანი. გონება დამიბნელდა, უბედური შემთხვევების საზარელი სურათები წარმომიდგა თვალწინ. ლევანს დავაშტერდი, მინდოდა, მისი სახის გამომეტყველებაში მისი მოულოდნელი გამოჩენის მიზეზი ამომეცნო, კარავში ბინდი იყო, ლევანის სახე რაიმე დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას არ იძლეოდა … მოგვიანებით მივხვდი, რომ არც ლევანმა იცოდა სად იმყოფებოდა, ან ვის ელაპარაკებოდა. ლევან, შენ აქ რა გინდა-მეთქი, _ შეპარვით შევეკითხე. ჩემი ხმის გაგონებაზე ლევანი შეკრთა და გაკვირვებული დამაშტერდა. შოთა ხარო! კარავთან კიდევ რამდენიმე კაცის მოსვლა ვიგრძენი. ხმებზე ვიცანი. ქვემოთ გაგზავნილი ჯგუფის წევრები იყვნენ. როცა მათ უხიფათობაში დავრწმუნდი, ლევანს უკან დაბრუნების მიზეზი ვკითხე. ჯგუფის სხვა წევრების მონათხრობიდან მივხვდი, რომ ბურუსში მათ გზა დაებნათ და მწვერვალის პლატოზე თითქმის ორი საათის ხეტიალის შემდეგ, ჩვენ კარვებს წააწყდნენ. ახლა კი მთელი სიცხადით შევიგრძენი საკონტროლო ვადის გადაცილების საშიშროება. სასწრაფოდ წამოვყარე რაზმი, ავკეცეთ კარვები და დაშვება დავიწყეთ. მწვერვალი კვლავ სქელი ნისლით იყო დაფარული. უკვე გათენებულიყო და თოვლის საფარს აქა-იქ ძველი კვალის ნიშნები აჩნდა. სწორედ ესენი ავიღე ორიენტირად და სულ მალე ბანაკში დასაშვებ გზას დავადექით. როცა სახიფათო გზა უკან დაგვრჩა და მყინვარიც თითქმის ჩავთავეთ, ლევანის ჯგუფი წინ გავუშვი, დავაბარე, რომ ბანაკამდე სირბილით ევლოთ, რათა მაშველი რაზმის მეწინავე ჯგუფს რაც შეიძლება ახლოს შეხვედროდნენ. როგორც ბანაკში დაბრუნებულებმა გავიგეთ, ხეობაში ჩასვლის შემდეგ, ლევანს გურამისათვის მიუნდვია ბანაკში ამბავის ჩატანა. მასაც თავი არ დაუზოგავს და ჩვენს საშველად გამოსულ მაშველებს ბანაკის ახლოს შეხვედრია. როცა მეწინავეებმა ამის შესახებ რაციით აცნობეს ბანაკს, მაშველთა ძირითადი ბირთვი უკვე მზად იყო გამოსასვლელად. ეს კი ალპინისტურ ენაზე იმის მაუწყებელი იყო, რომ ჩვენ საკონტროლო ვადა არ დაგვირღვევია. თუმცა ფორმალურად ამისათვის აუცილებელი იყო ჩემი ოფიციალური წერილი, რომელიც გურამმა ადრესატს (სასწავლო ნაწილს) ცოტა მოგვიანებით გადასცა. ასე დასრულდა დონღუზ-ორუნის პერიპეტიები.»

არქივში ინახება მწერლის ალპინისტურ მოღვაწეობასთან დაკავშირებული რამდენიმე საბუთი: ალპინისტის სააღრიცხვო ბარათი, გაცემული 1956 წელს. ამ ბარათში აღნიშნულია, რომ 1953 წელს გურამ რჩეულიშვილმა მიიღო მონაწილეობა სტაჟიორად საუნივერსიტეტო ალპინიადაში. 1954 და 1955 წელს მიიღო მონაწილეობა ისევ საუნივერსიტეტო ალპინიადებში უკვე ინსტრუქტორად. ჩამოთვლილია 18 დაპყრობილი მწვერვალი. აქვე აღნიშნულია, რომ ის ფლობს სათხილამურო სპორტს და აქვს თანრიგი ფრენბურთში. მეორე ბარათი მოწმობაა. მოწმობაში წერია, რომ სახ. უნივერ. არსებული სპორტული კლუბი აჯილდოვებს ისტ. ფაკ. მეოთხე კურსის სტუდენტს გურამ რჩეულიშვილს კავკასიონის უძნელესი მწვერვალის დაპყრობისათვის და ალპინისტურ ბანაკ „ნაკრაში» კარგი მუშაობისათვის. მოწმობა გაცემულია ალპიურ კლუბში წარსადგენად. აღნიშნულია 14 დაპყრობილი მწვერვალი. მესამე მოწმობით ირკვევა, რომ გურამი იყო საქართველოს ალპიური კლუბის უმცროსი ინსტრუქტური.

თავფურცელზე კალმისტრით, სხვა ხელით წერია შენიშვნები მბეჭდავისათვის.

პირველად დაიბეჭდა 1961 წელს წიგნში „სალამურა».

ცარიელდება აგარაკი

შემონახულია სამი ავტოგრაფი: შავი (1+1-11გვ.), თეთრი (1+1-18გვ.) და 1960 წლამდე გადაბეჭდილი ცალის მხოლოდ თავფურცელი თარიღითა და შესავალი დღიურ-ეპიგრაფით. ნაბეჭდი ტექსტი დაკარგულია. ამავე ავტოგრაფზე სათაური წერია გურამის ხელითაც და მოთავსებულია ბრჭყალებში. შავი ავტოგრაფის ზედა ნახევარზე წერია სათაური ბრჭყალებში. შემდეგ უზის თარიღი. ტექსტი ნაწერია გაშლილად, გაკრული ხელით, საშუალო ზომის ასოებით. მოსდევს თარიღი.

თეთრი თავფურცლის ქვედა ნახევარზე წერია სათაური ბრჭყალებში. ბრჭყალები გადაშლილია მწერლის მიერ, მოსდევს თარიღი. შემდეგ შედარებით უფრო წვრილი ასოებით წერია დღიურ-ეპიგრაფი თავისი თარიღით გვერდის მარცხენა მხარეს. ამავე თავფურცლის ზედა ნახევარზე წერია შესავალი დღიურიდან ბოლო წინადადება და სათაური. დღიური შიგადაშიგ ნასწორებია. ეს თავფურცელი არქივში ინახებოდა უმისამართო ფურცლებთან ერთად. თეთრი ავტოგრაფი 1956 წელს გურამმა აჩუქა ნუგზარ წერეთელს. მან გადმომცა ის რამდენიმე წლის წინ. ავტოგრაფს ნუგზარის ხელით აწერია: „გურამ რჩეულიშვილი». ნაწერია ლამაზი, გამოყვანილი ასოებით. ბოლოს უზის თარიღი.

არქივში ინახება ერთ თაბახის ფურცელზე გურამის მიერ შემოხაზულ ჩარჩოში ჩასმული სამი ჩანახატი: ერთში წერია „მე ახლა ბედნიერი კაცი ვარ» (იხ. შენიშვნები ამ მოთხრობისათვის), მეორეში „ვაჟას, 24 მინიატურა» (იხ. შენიშვნები მწერლის ნაწარმობების სრული გამოცემის მეოთხე ტომში), მესამეში „ცარიელდება აგარაკი». ამ ჩარჩოში ჩახატულია ორ გრძელ ჯოხზე წამოცმული ორი ბათინკი. ბათინკები მიაბიჯებენ. მთელ ჩარჩოში შტრიხებით ჩახატულია წვიმის წვეთები. შესაძლოა, რომ გურამს ეს ჩანახატები თავფურცლებად ჰქონდა განზრახული. (იხ. შენიშვნა მოთხრობისათვის „გაზაფხული გადის».)

I სიაში: „19. ცარიელდება აგარაკი. ზღვაზე (ჯანდიერი)».

პირველად გამოქვეყნდა სათაურით „ზღვასთან მარტოდმარტო» 1985 წელს ტომში „სად გაექცევი ზამთრის ღამეს.»

ოცდაერთი

არქივში ინახება დასათაურებული როგორც შავი (1+1-7გვ.), ასევე თეთრი (1+1-7გვ.) ავტოგრაფი. თეთრი დათარიღებულია. შავი ავტოგრაფის ქვედა ნახევარზე წერია სათაური ბრჭყალების გარეშე. ნაწერია მოყვითალო, მომცრო ფურცლებზე, რომელიც განსხვავდება 1956 წლის მარტი-აგვისტოს ფურცლებისაგან (თეთრი, მოგრძო). შავი ავტოგრაფი ნაწერია შერეული ხელით _ ბოლოსაკენ უფრო და უფრო გაკრული ხდება. იცვლება ასოების ზომაც, დახრილობაც. ნასწორებია ლურჯი მელნით.

თეთრი ავტოგრაფის თავფურცლის ქვედა ნახევარზე წერია სათაური ბრჭყალების გარეშე, ქვეშ თარიღი „წ. 1956. სექტ. 9». ქვემოთ, ფანქრით, დიდი ასოებით წერია „ჩიჩიკა» და აბნეულად ნაწერი ციფრები. ამ ციფრების ჯამი უნდა შეადგენდეს ოცდაერთს, თუმცა ძნელია მათი დალაგება. მოთხრობის ბოლოს წერია თარიღი. თეთრ ავტოგრაფში დაცული აბზაცები განსხვავდება შავი ავტოგრაფისაგან. მეექვსე გვერდის შემდეგი გვერდი, ეტყობა მექანიკურადაა დანომრილი როგორც „7». შავ ავტოგრაფში ავტორის მიერ შეტანილია ზოგიერთი შესწორება:

ხელნაწერის: გვ. 1 „როდის აბეჭდინებ?» შეიცვალა „როდის მიდიხარ?»

გვ. 3 „ისინი იყვნენ ხუთიდან» უსტვენ?» ——„სუდბა სოლდატადან» უსტვენ?»

გვ. 5 „როდის აბეჭდინებ?» ——_ „როდის მოვა დრო, როდის მოვა დრო?»

გვ. 5 „რა ვიცი, ან რა უნდა დავბეჭდო?» ——„რა ვიცი, ან რად ველი ასე გამწარებით?»

გვ. 7 „მე ამოცანას დავამთავრებ». —_ „მე ხაზვას დავამთავრებ».

წვრილი ასოებით მიწერილია მოთხრობის დასასრული წინადადებიდან: „ოთახის ბოლოში ახლა უკვე ღრმად მოხუცებული ოჯახის უფროსის ახალგაზრდობის სურათი ეკიდა...» ბოლომდე.

თეთრი ავტოგრაფი ნაწერია ღია მელნისფერ ფურცლებზე (ასეთ ფურცლებზე შემდეგ დაწერილია „მუნჯი ახმედი და სიცოცხლის» ნაწილი. იხ. მომდევნო ტომი)

მახსოვს, გურამმა „ოცდაერთი» დაწერა ჩვენს მეზობელ ცირეკიძეებთან, სადაც ის მარტო დარჩენილ ბავშვს ყარაულობდა. აღელვებული დაბრუნდა. „ხომ იცი, ოცდაერთი რა არის? აჩკოა», მითხრა და ხელნაწერი გამომიწოდა. ჩემი პრობლემებით ვიყავი გართული. მოთხრობა გულგრილად წავიკითხე. ძალიან ეწყინა, ვერ გაიგეო. მე, ხომ იცი, შენთვის ვწერ, ახლა სხვა მკითხველი უნდა მოვძებნოო. გურამს ამ მოთხრობის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა. 9 დეკემბერი, მოთხრობის გმირის კალენდარზე აღბეჭდილი რიცხვი, ჩემი დაბადების დღეა. რატომღაც, ამ დღის აღნიშვნა განსაკუთრებით უყვარდა დედას, ალბათ, იმიტომ, რომ გურამის დაბადების დღეს, 4 ივლისს არასოდეს ვიყავით ხოლმე თბილისში.

პირველად გამოქვეყნდა 1985 წელს, წიგნში „მოთხრობები. პიესა.»

ჩამოსახრჩობი

არსებობს მხოლოდ შავი ავტოგრაფი(1+1-7გვ.) დასათაურებული და დათარიღებული.

თავფურცლის ქვედა ნახევარზე წერია სათაური ბრჭყალებში, ქვეშ თარიღი. ტექსტის ბოლოს თარიღი მინაწერით: „მაზალო ამბავი იყო გუშინ. რაც იყო იყო.» სათაურში ბრჭყალები გადაშლილია გურამის მიერ.

ქვეყნდება პირველად.

შემოდგომა ბაბუა კოტესი

არსებობს ორი ავტოგრაფი: შავი(1-13გვ.) და თეთრი (1+1+1-8გვ.) შავი ავტოგრაფი ნაწერია გაკრული ხელით, მოდიდო ასოებით. მოთხრობის ბოლოს ზის თარიღი. ბოლო, ცარიელი გვერდი გამოყენებულია თავფურცლად. ქვედა ნახევარზე წერია სათაური: „შემოდგომა» (ბაბუა კოტესი)» და თარიღი.

თეთრ ავტოგრაფს აქვს ორი თავფურცელი: ერთი თავფურცლის ზედა ნახევარზე წერია სათაური თარიღით. მეორის ქვედა ნახევარზეც წერია სათაური თარიღით: „შემოდგომა ბაბუა კოტესი. 1956. 14 სექტ.» აქვეა წვრილი ასოებით ნაწერი დღიური თავისი თარიღით (იხ. ნაბეჭდი ტექსტი). მოთხრობის ბოლოს ზის თარიღი.

ჩვენი ბაბუა სიმონი, დედის მამა, ამ მოთხრობის, და ბევრი სხვა მოთხრობის გმირთა პროტოტიპია: „ბაბუა და შვილიშვილი», „ნადირობა», „კიდე კარგი», „კისკისებენ ქალები», (იხ. მომდვენო ტომში.) „სიყვარული შემოდგომაზე» და სხვა. ამ გმირთა

მეტყველება, აზრთა წყობა ბაბუას მეტყველების უშუალო გამოძახილია. გურამი იყო ბაბუას პირველი შვილიშვილი და შეიძლება ამიტომაც უყვარდა ის გამორჩეულად. ბაბუამ და ბებომ მთელი თავიანთი ცხოვრება გაატარეს ქუთაისში. ახალგაზრდობაში ბაბუა გამოირჩეოდა ფიცხი, ფეთქებადი ხასიათით, ვაჟკაცური ბუნებით. ბებო კი სიდარბაისლით, მოთმინებით, სიმშვიდით. იქ ისინი ცხოვრობდნენ თავდაპირველად თავის ოთხ შვილთან ერთად, შემდეგ კი უკვე მარტო, ლაზათიან, ბელეტაჟის ტიპის სახლში. ეს სახლი იდგა მაღალ დაფნისა და მანდარინის ხეებში ჩაფლულ ბაღში, რომლის მოვლა-პატრონობაც განსაკუთრებით უყვარდა ბაბუას. გურამი დაიბადა ქუთაისში. იქ გაატარა პირველი თვეები ბებია-ბაბუის მზრუნველობით გარშემორტყმულ ატმოსფეროში. ბაბუას მოხუცებულებამ, დაუძლურებამ, შემდეგ კი ბებოს გარეშე ცხოვრებამ უკვე თბილისში მრავალსართულიანი სახლის მეხუთე სართულზე, გურამის თვალწინ ჩაიარა. გურამი ბაბუას ხშირი სტუმარი იყო, ხან მარტო, ხან კი ამხანაგებთან ერთად.

1960 წლის ზაფხულში ბაბუა ჩვენთან ცხოვრობდა. გაგრიდან გურამის დაღუპვის ამბის ჩამოსვლისთანავე ის თავის ვაჟიშვილთან გადაიყვანეს. გარდაიცვალა იმავ დღეს. ბაბუა დაკრძალეს გურამის დაკრძალვამდე, მგონი, ერთი დღით ადრე. მახსოვს, დედამ მოიკრიბა ძალა და გამოემშვიდობა თავის მამას უკანასკნელ გზაზე.

პირველად გამოქვეყნდა 1957 წელს „ცისკრის» პირველ ნომერში, შემდგომ ტომში „სალამურა» 1961 წელს.

პროფესორი ლევან ჯანდიერი

არსებობს დასათაურებული და მხოლოდ თავფურცელზე დათარიღებული შავი ავტოგრაფი(1+1_7გვ.): „წელი 1956, სექტემბრის 17. 1-2 საუზმით.» თავფურცლის ქვედა ნახევარზე წერია ბრჭყალებში ჩასმული სათაური. მინაწერი მოთხრობის ბოლოს: „მეტი აღარ შემიძლია წერა. დავიღალე. ვწყვეტ აქ. მინდოდა ბევრის წერა, ჯობია შეშის ჩეხვამ დაღალოს. მაგის ყოფაც ავატირე.»

I სიაში: „52. პრ. ლევან ჯანდიერი.»

მეორე გვერდზე, სადაც გურამი წერს სიტყვებს „ივ. ჯავახიშვილის» _ იგი ცდილობს მაქსიმალურად მიამსგავსოს თავისი ხელწერა ივანე ჯავახიშვილისას.

ნაწერია ღია ლურჯი მელნით, ზომიერი ასოებით.

ამონაწერი მოთხრობისაგან დამოუკიდებლად დაწერილი დღიურიდან: „...ახლა ვზივარ. ჩემი და მარინე უკრავს, უფრო სწორედ სწავლობს დაკვრას, მაინც მსიამოვნებს ეს ხმებიც. ეტყობა, ესმის მუსიკა, ნიჭიერად სწავლობს. გუშინ მაგრა ვსვით ნუგზარმა და მე, დილით, როგორც ყოველთვის, მაგარი სმის შემდეგ, მომინდა წერა. ნოველას დავარქვი „პროფესორი ლევან ჯანდიერი». ბოლო მივახალტურე, სულ ექვსმა ფურცელმა მომქანცა...» (1956 წლის სექტემბრის 1).

მოთხრობის გმირის პროფესორ ლევან ჯანდიერის პროტოტიპად შეიძლება ჩაითვალოს მამის მხრიდან მთელი ჩვენი წინაპრები, მამაჩვენისა და ბიძაჩვენი ლეო რჩეულიშვილის ჩათვლით. სამეცნიერო სამუშაოში ჩაფლული მეცნიერი, რომელიც გაშლილი წიგნებითა და ფურცლებით სავსე საწერ მაგიდასთან ატარებს თავისი დროის უმეტეს ნაწილს, ჩვენი ოჯახისათვის მამაკაცის ყველაზე ბუნებრივი მდგომარეობა იყო. ეს სურათი წლიდან-წლამდე, ერთი სახლიდან მეორე სახლამდე ივსებოდა ახალ-ახალი ადამიანებით. მათ სათავეში იყო დიდი ივანე ჯავახიშვილი, მამას ალალი ბიძა, დედის ძმა. გურამი პაპა ვანოს გარდაცვალებისას ექვსი-შვიდი წლისა იქნე-

ბოდა. აქვეა კეთილზნიანი ოჯახის ფონი, ქმრის სამუშაოს სადარაჯოზე მყოფი გულისხმიერი და ნაზი მეუღლე. ასე ხედავდა დედა თავისი შვილის სასურველ მომავალს. გურამისათვის ამ ფორმის მისაცემად იბრძოდა ის მთელი ცხოვრება. ამავე მოთხრობაში ჩანს მწერლის მიერ მეცნიერის ფორმის და დედას იდეალის ამბივალენტური აღქმა. გურამ რჩეულიშვილის მხატვრულ შემოქმედებაში, ისე როგორც დღიურებში, ამ საკითხთან დაკავშირებული ბევრი მასალის მოძიება შეიძლება.

ამონაწერები გურამის დღიურებიდან:

_ „მართლა, ბიჭო, მეც აღარ შემიძლია, რატო ვსვამთ, ცოტაა საქმე გასაკეთებელი. აუჰ, რამდენი სამუშაოა. აი, აიღე ჩემი დარგი, ცოტა რამე რომ გააკეთო, ერთი სამი ენა მაინც უნდა იცოდე. მოკლედ, ფიქრიც კი მაშინებს. თუმცა ახლა ჩემს დარგს თავს ვანებებ და წერას ვიწყებ. მინდა ვწერო, რაღაც მაწვალებს.

_ ხო, შენ ბევრად მეტი გჭირდება კითხვა. მიდასტურებს ნუგზარი.

_ სწორია, შენ ხალასი ნიჭი გინდა მეტი. იქნები გამართული მწერალი. მერე მწერალი რა არის, ხელოვანი, ოჰ, მაგის, დამსვა ერთი მაწერინა.

_ შენ დაწერ, ბიჭო, გუშინ მამაჩემთან გაქე და მითხრა, მაგისგან კარგი კაცი დადგებაო (რა შუაშია?) ამ დამდგარ კაცებს ვერ ვიტან, ან პროფესორი, ან ჩინოვნიკი. გაჭირდა საქმე.» (1956 წლის 18 მარტი.)

„გურამ, მამიდა ნათელამ მითხრა, მიხარია, მამას დარგით ამდენ ახალგაზრდებში გურამი მაინც წავიდაო, შენ კი აღარ მუშაობ, ძალიან მწყინს. მამიდა ნათელასაც როგორ ეწყინება, რომ გაიგოს...» (მამიდა ნათელა _ ივანე ჯავახიშვილის ქალიშვილი. მასთან გურამს ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა.)

„დედა ისევ ასპირანტურაზე მელაპარაკება, რა ვუყო, არ ვიცი. ერთხანს დათო მუსხელიშვილის ლაპარაკის მერე, მეც ჭკუაში დამიჯდა. ახლა კი აღარ მეჩვენება საჭიროდ. რა უნდა ვიყო? ისტორიკოსი, ვთქვათ, არქეოლოგი, მერე როგორ? დავუშვათ კანდიდატი, მერე 45 წლისა დოქტორი ..... მართალია, პატარამ ბევრი ვიტყუე თავი, შთამაგონეს, თუ შთავიგონე, რომ ისტორიკოსი უნდა ვყოფილიყავი. ახლა მორჩა ილუზიები. ..... ახლა მინდა მეზღვაურობა ... თავს ვარწმუნებ, რომ გაისად, დამთავრების მერე წავალ საზღვაო სკოლაში...» (დათო მუსხელიშვილი _ ისტორიკოსი, არქეოლოგი, გურამის უფროსი მეგობარი. ახალი ათონიდან მასთან ერთად წავიდა ბიჭვინთის არქეოლოგიურ გათხრებზე.)

ამონაწერი დედას დღიურიდან: „ნუთუ ჩემს სიცოცხლეშივე ვერ მოვესწრები გურამი ჩამოყალიბდეს, გაუხდეს უფრო მყარი ხასიათი, იმსახუროს, იმუშაოს თავის შემოქმედებაში. ჰყავდეს ცოლი, შექმნას ოჯახი. აი, სად იქნება ბედნიერება ... 1959 წლის 14 მარტი სათარიღო დღეა. გურამი მეუბნება: დედა, მე გადავწყვიტე დავიწყო მუშაობა მუზეუმში. ძალიან მაინტერესებს ვიმუშაო შუა საუკუნეების ისტორიაში და პარალელურად ჩემს წერასაც განვაგრძობ.»

ალბათ ბუნებრივია, რომ ივანე ჯავახიშვილის შემდეგ მთელ ნათესაობას სურდა, რომ მათ შვილებს სპეციალობად ისტორიკოსობა აერჩიათ. როგორც ნათელა ჯავახიშვილი წერს) მთელ სანათესაოში ამ დარგით მხოლოდ გურამი წავიდა.

არსებობს ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილის (ივანე ჯავახიშვილის ვაჟიშვილის) პორტრეტი: ჭაღარა თმა, ცოცხალი, ჭკვიანი, ფიქრიანი თვალები, შეკავებული ღიმილი, ჩიბუხით ხელში. მზეზე დამწვარი სახე და ძლიერი, ჯანმრთელი, ლამაზი სხეული მოწმობს, რომ ის ახლად დაბრუნებული უნდა იყოს არქეოლოგიური ექსპედიციიდან (სურათის ფონი ქალაქის პეიზაჟს გამოხატავს). ვფიქრობ, რომ ასეთი გარეგნობისა უნდა ყოფილიყო პროფესორი ლევან ჯანდიერი, გურამის ამავე სახელის მქონე მოთხრობის გმირი.

პირველად გამოქვეყნდა წიგნში „სად გაექცევი ზამთრის ღამეს» 1985 წელს.

შურისძიება

არსებობს მხოლოდ დასათაურებული და დათარიღებული შავი ავტოგრაფი (1+1-17გვ.). თავფურცლის ქვედა ნახევარზე დიდი ასოებით დაწერილი სათაური ჩასმულია ბრჭყალებში. ტექსტი ნაწერია მომსხო ასოებით, გაკრული ხელით, ღია ლურჯი მელნით, რამდენიმე ადგილას ნასწორებია მწერლის მიერვე წერის პროცესში. თარიღი ჩაწერილია ბოლო ორ ხაზს შორის. როგორცა ჩანს, ბოლო წინადადება შემდეგაა ჩამატებული. მეორე ცარიელ გვერდზე წერია მხოლოდ დაწერის ზუსტი დრო: 12—1[19], ჩასმულია ჩარჩოში. სიტყვების შემდეგ „რაც უფრო უახლოვდებოდა, მით უფრო» გადაშლილია შემდეგი წინადადება: „კარგავდა ძალას, იცოდა, რომ მისი ერთი შეხედვა საკმაო იყო, სრულიად საკმაო და იგი უძლური ხდებოდა.» ნაცვლად წერია: „ემატებოდა ძალა».

ნუგზარ წერეთლის წიგნი, „მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ» თავისი მეგობრის მიმართ აშკარად ავთანდილისეული სიყვარულით არის დაწერილი. ამ ტომში მოთხრობილია ძალიან ბევრი ამბავი მწერლის ცხოვრებიდან, რაც უშუალოდ ნუგზარისათვის ან მხოლოდ მეგობართა ძალიან ახლო წრისათვის იყო ცნობილი. ეს ამბები მოწმობენ გურამის მოთხრობათა ავტობიოგრაფიულ ხასიათს. მათ შორისაა მოთხრობა „შურისძიება». ამონაწერი ნუგზარ წერეთლის წიგნიდან: „მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ»: „გურამის ტკივილს, მის წმინდა და ვაჟკაცურ განცდებს ნათლად ვხედავთ ნოველაში „შურისძიება», რომელიც დაწერილია 1956 წლის 22 სექტემბერს. .... ეს ნოველაც დღემდე გამოუქვეყნებელი იყო, მე ის ოცდაშვიდი წლის მერე წავიკითხე და ყველაფერი ისე ცხადად წარმომიდგა თვალწინ, თითქოს მარტოდმარტო დაღონებული ვიჯექი და ტელეეკრანზე მომხდარ ამბებს ვუცქეროდი...»

პირველად გამოქვეყნდა 1985 წელს წიგნში „სად გაექცევი ზამთრის ღამეს.»

მოხუცი და მე

არსებობს ორი ავტოგრაფი: შავი (1-9გვ.) და თეთრი (1+1-7გვ.). ორივე დასათაურებულია და დათარიღებული. (შავი ავტოგრაფის შემდეგ წერია მხოლოდ საათი: „9-10»). შავი ავტოგრაფი ნაწერია გაკრული ხელით, შიგადაშიგ ნასწორებია. მთელ ავტოგრაფში პირველი პირი შეცვლილია მესამეთი. თეთრში დატოვებულია ისევ პირველი პირი, თუმცა სხვა შესწორებანი გათვალისწინებულია. თეთრი ავტოგრაფის ქვედა ნახევარზე წერია სათაური ბრჭყალების გარეშე, თარიღი. მოთხრობის ბოლო ცარიელ გვერდზე წერია მხოლოდ თარიღი. თეთრში გამოკვეთილად ჩანს თავისებური აბზაცი, მწერლის ავტოგრაფთა გრაფიკული სტრუქტურის ერთ-ერთი თავისებურება: თეთრი ავტოგრაფის მესამე გვერდზე დაწყებული წინადადების ორი სიტყვა გადაშლილია და გადატანილი შემდეგ ხაზზე, სწორედ ამ „თავისებური აბზაცის» დასაწყებად. (იხ. ნაბეჭდი ტექსტი). ამ თვალსაზრისით საინტერესოა თეთრი და შავი ავტოგრაფების შედარება. ბოლო აბზაცი თეთრში გადაშლილია.

პირველად გამოქვეყნდა 1985 წელს წიგნში „მოთხრობები. პიესა.»

ვაჟა ჯანდიერი ჩხუბობს

ამ დაუთარიღებელი და უსათაურო მოთხრობის მხოლოდ შავი ავტოგრაფი(1-2გვ.) არსებობს. ნაწერია გაკრული ხელით, ავტოგრაფის გვერდები არქივში გაბნეული იყო სხვა უმისამართო ფურცლებთან ერთად, დანომრილია ავტორის მიერ. სავარაუდოა, ეს ის მოთხრობა იყოს, რომელიც პირველ სიაში მოიხსენიება, როგორც „27. ვაჟა ჯანდიერი ჩხუბობს». მეც ასევე დავასათაურე. მოთხრობის ადგილი ქრონოლოგიაში მოძიებულია ფურცლის ხარისხის, ფორმატის, აგრეთვე მთავარი გმირის სახელისა და გვარის მიხედვით. ვაჟა ჯანდიერი არის გმირი თითქმის ყველა შემოდგომის მოთხრობის, განსხვავებით ადრეული მოთხრობების ლირიკული გმირისაგან, რომელსაც ხშირად ჰქვია ცქიტო.

ქვეყნდება პირველად.

შეყვარება

არსებობს დასათაურებული და დათარიღებული მხოლოდ შავი ავტოგრაფი (1+1-7გვ.). თავფურცლის ქვედა ნახევარზე წერია სათაური უბრჭყალებოდ. აღსანიშნავია, რომ ბრჭყალები სათაურებთან ამ მოთხრობის შემდეგ აღარ გვხვდება. თარიღში თვე, სავარაუდოა, რომ მწერლის მიერ არასწორადაა აღნიშნული (მწერლის მიერ შეცდომით დათარიღების სხვა შემთხვევები იხ. ავტოგრაფების დახასიათებისათვის). მოთხრობის ტექსტს მოსდევს თარიღი. ამ თარიღიდან ირკვევა, რომ სასწავლო წელი დაწყებულია და გურამი თბილისშია. (აგვისტოში ახალ ათონში იყო. იხ. აგვისტოს მოთხრობები და დღიურები.) ასე რომ, ეს მოთხრობა დაწერილია შემოდგომაზე. დღიური, რომელიც მოსდევს ტექსტს:

„ჩვენთან იყო დემნა. მამამ წაიყვანა სასოფლოში. ნადირობა კიდევ ერთი დღით გადაიდო. რაღაც საქმეები გამოჩნდა. მარინე უკრავს. გუშინ საშინლად გააბრაზა დედა. მართალია, დედამაც ცოტა გადამეტება იცის, მაგრამ ძალიან იღლება მთელი დღე. ის აკეთებს ყველაფერს. ჩვენ კი ვანგრევთ. გუშინ მე ვიყავი ბაზარში და ნერვებაშლილი მოვედი. ის კი ბაზრის გარდა არეულ ფინანსებს და ყველაფერს აწესრიგებს. თან ჩვენ სწავლაზეც ზრუნავს, რაც ყველაზე ძალიან არ გვსიამოვნებს. საერთოდ ჩემი და ზოგჯერ უხეშია. ხანაც ძალიან კარგი. იმდენად, რომ თავისი გულამაჩუყებელი გამოსვლებით ლიტერატურაზე თავს მაბეზრებს. მაინც კმაყოფილი ვარ მისი. ჩემს ნაცნობებსაც ძალიან მოსწონთ. ვნახოთ, რას იზამს მერე. ნახვამდის. ამის ყოფა ავატირე. ყველაფერს ხომ არ დაწერს თავზე კაცი.»

პირველად დაიბეჭდა გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში» 1963 წ. 3 ოქტომბერს. 1985 წელს წიგნში „მოთხრობები. პიესა.»

კოლა და ვანო

არქივში ინახება სამი შავი ავტოგრაფი: (1+1-7გვ.), (1-2გვ.), (1გვ.). და ერთი თეთრი (I-II+1-6გვ.).

ერთი შავი ავტოგრაფი წარმოადგენს თავფურცელს, რომლის ქვედა ნახევარზე წერია ბრჭყალებში ჩასმული სათაური: „არტისტიც». ამ სათაურამდე გვხვდება სხვა სათაური „მსახიობები». სავარაუდოა, რომ გადაშლილია მწერლის მიერ. აქვე უზის თარიღი: „წ. 1956 26 ოქტ.». ქვემოთ მარცხენა მხარეს წერია: „დღიურიდან წ. 1956 28

ოქტ.». მარჯვნივ, წვრილი ასოებით წერია დღიური (ტექსტის ნაწილი). მეორე შავი ავტოგრაფი თავფურცელია. მის ქვედა ნახევარზე დიდი ასოებით გამოყვანილია სათაური. თავდაპირველად, როგორცა ჩანს, დაწერილი ყავისფერი ფანქრით. შემდეგ შემოვლებული აქვს კალმისტარი.

თეთრი ვარიანტისაგან განსხვავებული შავი ავტოგრაფის დღიური:

„კბილის ექიმიდან მოვდიოდი. რუსთაველისა და ჭავჭავაძის ქუჩის კუთხეში ხალხს მოეყარა თავი. ჯიშიან ულაყზე მჯდარ მოპუწკულ მხედარს ახმახი ოსი მილიციელი რაღაცას უმტკიცებდა გამწარებული.

_ რითია ჩემი ცხენი ნაკლები _ მეგრულად უქცევდა მხედარი.

_ კასო, ცხენი კი არა კანონი, მე რა.

_ სად წერია მაგი?

მილიციელმა ჩანთიდან რაღაც კოდექსი ამოიღო და წაუკითხა. მეგრელმა თავი გააქნია, მერე ცხენი მოატრიალა და გამზირიდან ქვებით მოგებულ ჭავჭავაძის ქუჩაზე წაიყვანა ოთხით.»

შავ ავტოგრაფში ახალი აბზაცები აღნიშნულია ყავისფერი ფანქრით. ტექსტის ბოლოს წერია თარიღი: „წელი 1956. ოქტომბრის 26. 19-19.45.» თეთრი ავტოგრაფის პირველი ორი გვერდი წარმოადგენს თავფურცელს სათაურით, თარიღით და შესავალი დღიურით (იხ. ტექსტი), გვერდები დანომრილია რომაული ციფრებით. შესავლის შემდეგ მოთხრობის გვერდების ნუმერაცია იწყება თავიდან, ოღონდ უკვე არაბული ციფრებით. პირველი გვერდის დასაწყისში სათაური: „კოლა და ვანო» წერია ფანქრით, სხვა ხელით. ტექსტი მთავრდება თარიღით (იხ. ნაბეჭდი ტექსტი).

თეთრისა და შავი ავტოგრაფების გრაფიკული სტრუქტურა ერთმანეთისაგან განსხვავდება. ეს ძირითადად შეეხება აბზაცებს, რაც აზრობრივი აქცენტების გადაადგილებას და ტექსტის დამატებითი, ემოციური, მოდალური მნიშვნელობის შექმნას უწყობს ხელს. თეთრ ავტოგრაფში „ჭოგრიტი მოიმარჯვას» შემდეგ დატოვებულია ინტერვალი (იხ. ნაბეჭდი ტექსტი). ასეთი „აბზაცი», რაც გურამის ავტოგრაფების გრაფიკული სტრუქტურის ერთ-ერთ თავისებურებად იქცა მომდევნო წლებში, აქ პირველადაა გამოყენებული (იხ. ავტოგრაფების დახასიათებისათვის). შავ ავტოგრაფში ამ ადგილას გვაქვს ჩვეულებრივი აბზაცი.

I სიაში: „39 კოლა და ვანო.»

II სიაში: «5. კოლა და ვანო.»

პირველად გამოქვეყნდა მნათობში, 1964წ. [1]12. 1985 წელს კი წიგნში „მოთხრობები. პიესა.»

მთებიდან ქალაქამდე

არსებობს ერთი შავი ავტოგრაფი (1+1-22გვ.) და ერთი თეთრი (1-14გვ.). დათარიღებულია ორივე ავტოგრაფი, დასათაურებული კი მხოლოდ შავი.

შავი ავტოგრაფი ნაწერია ორად გაჭრილ თაბახის ფურცელზე. პირველი გვერდი წარმოადგენს თავფურცელს. ქვედა ნახევარზე წერია სათაური, თარიღი და ეპიგრაფი. ეს ეპიგრაფი თეთრში არ არის გადატანილი:

„სამგორს დასახლდა ხევსური
მინდია ჭინჭარაული».

(ანა კალანდაძე)

ტექსტში ავტორის მიერ ყავისფერი ფანქრით აღნიშნულია აბზაცები, რაც დამატებით აზრობრივ მთლიანობებად ყოფს ტექსტს. ტექსტის ბოლოს წერია თარიღი მინაწერი დღიურით:

„წელი 1956, ოქტომბრის 27.

დღეს ნატას დღეობაა. (ნატა ღოღობერიძე, ლარსის ქუჩაზე ჩვენი კარის მეზობელი და მეგობარი. _ მ.რჩ.)

11-12. 5-5[39]»

თეთრი ავტოგრაფის პირველი გვერდის დასაწყისში სხვა ხელით წერია სათაური: „სალამურა». (ეს სათაური დაარქვა რევაზ ინანიშვილმა.) ამავე ხელით არის ტექსტი ნასწორები რამდენიმე ადგილას. ეს სწორებები ამ გამოცემაში არ მივიღეთ მხედველობაში. ტექსტის ბოლოს თარიღი გადაშლილია იმავე მელნით.

აღსანიშნავია, რომ გურამის მოთხრობებში ცხენებთან დაკავშირებული თითქმის ყველა ამბავი შესაბამება სინამდვილეს. (მაგ. „სიკვდილი მთებში», „ალავერდობა» და სხვა.) ნუგზარ წერეთელს წიგნებში „მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ» და „აი, მე, გურამი, ვდგავარ თქვენ წინ» ბევრი შემთხვევა აქვს მოყვანილი მწერლის ცხოვრებიდან, სადაც კარგად ჩანს ცხენისადმი გურამის განსაკუთრებული დამოკიდებულება.

გურამის პირველ ცხენს ერქვა სალამურა.

მამას მონაყოლებიდან: „ერთი მაღალფეხება ცხენი მყავდა, სალამურა ერქვა. კარგი ცხენი იყო, ლამაზი, ოღონდ გიჟი. მახსოვს, ერთხელ ალვანში ის ის იყო დავბრუნდი მთათუშეთიდან და დაღლილი ვიდექი მავთულხლართებიან ღობესთან. ამ ღობეში დენი გადიოდა. ცხენი მივუშვი, თავისთვის ძოვდა ბალახს. გურამი იქნებოდა ასე ექვსი-შვიდი წლისა, რაღაც წუთს გავიხედე ცხენისაკენ. გურამი ცხენს მოჰქცეოდა ზურგზე და აქეთ-იქით დაატარებდა. გაჯავრებას აზრი არა ჰქონდა. დავუძახე: დინჯად იჯექი, იცოდე, მთავარია, ფეხები არ შემოჰკრა-მეთქი. ამის თქმა და სალამურა როგორც გიჟი მოწყდა ადგილს (როგორც ეტყობა, გურამმა ჩემი თქმისთანავე შემოჰკრა ფეხები ცხენს აქეთ-იქიდან) და გამოვარდა სწორედაც ამ მავთულხლართებისაკენ. ის იყო გავიფიქრე გადახტომა ღობის სხვა მხარეს, რომ სალამურა ელვის სისწრაფით პირდაპირ ჩემკენ გამოქანდა და ისარივით წინა ფეხებით ჩაერჭო ჩემ წინ. გურამი არ ჩამოვარდნილა. ის დღე იყო და ის დღე, გურამს უმხედრო ცხენი ისე არ გაუშვია, რომ ზედ არ მოჰქცეოდა. უბელო უფრო უყვარდა..»

„...გურამი, ალბათ, 19-12 წლისა იქნებოდა... დილით მთათუშეთიდან დავეშვით ალვანში. თორღვას აბანოსთან შევჩერდით. მინდოდა გურამისათვის კარგად მეჩვენებინა. ვიბანავეთ კიდეც, ფსიტის მწვადებით გაგვიმასპინძლდნენ. დავგვიანდით. გვეხვეწნენ, ახლა წასვლა არ ღირს, სტორის ხეობა საშიშია და არ გადაიჩეხოთო. მართალაც, გზაზე დიდ უფსკრულთან დაგვიღამდა. თორღვაში ვერ დავრჩით იმიტომ, რომ მეორე დღეს ცხენები უნდა დაგვებრუნებინა უკან. ცხენიდან ჩამოვედი და გურამს ვუთხარი, უკან მომყევი-მეთქი. მოვკიდე ცხენს ხელი აღვირში და წინ გავუძეხი. ასე მივდიოდით ნელ-ნელა: აქეთ სალი კლდე იყო, იქით უძირო უფსკრული. ბილიკი იყო ძალიან ვიწრო. ძლივს ვაცილებდით ფეხებს ერთმანეთს. უკან არც მომიხედავს, გზა უნდა გამეკვლია გურამისა და ცხენისათვის. უეცრად წინ რაღაც გამოჩნდა, იმდენად ბნელოდა, რომ ვერ გავარჩიე, დათვმა გადაირბინა თუ კაცმა. ასე იყო თუ ისე ჩემი ცხენი შეფრთხა და ჯერ ადგილზე შეტოკდა. ვწევ წინ, არ მოდის, პირიქით, ეკრობა კედელს და უკან-უკან იწევს ფრუტუნით. ცხენი უფსკრულის მხარეს არასოდეს გადაიწევს. ამ დროს ვიწრო ბილიკზე ძალიან საშიშია, უკან მომყოლ ცხენს სხვა გზა არ რჩება და პირდაპირ იჩეხება უფსკრულში. მივიხედე უკან და რას ვხედავ, გურამი

ცხენზე არხეინად ზის, საშიშროების მოლოდინის გარეშე. ვხედავ გურამის ცხენი ფეხებით უკვე უფსკრულის პირს გაეკრა, ერთი უკან დახევა და გადაიჩეხება. გურამ! სწრაფად გადახტი ჩემს ცხენზე დავუძახე. დაძახება და გურამის გადახტომა ერთი იყო. ცხენმა როგორც კი იგრძნო მხედარი, გავარდა წინ. ასე გადავრჩით სამივე.»

ამონაწერი მიხეილ რჩეულიშვილის მოგონებებიდან:

„გურამი ცხენზე პირველად ალვანში შევსვი. მაშინ, როდესაც 7-8 წლისა იყო. კარგი ცხენები მყავდა. განსაკუთრებით კი თვირთვილა და სალამურა. (მომავალში მისი მოთხრობების გმირები.) ბავშვობიდანვე გურამი მეტისმეტად გამბედავი იყო და ალბათ ეს იყო იმის მიზეზი, რომ პირველი შეჯდომისთანავე გააჭენა ისეთი ფიცხი ცხენები როგორებიც იყვნენ სალამურა და თვირთვილა, ცხენით იმოგზაურა გურამმა ჩემთან ერთად დაღესტნის (ავარეთი, დიდოეთი) და თუშეთის მთების სამივე ხეობაში, წოვათში, ალაზნის თავი და სხვა. მე აქ ვმუშაობდი, ვატარებდი ცხვრის ბონიტირებას. ამ დროს გურამი კლდეზე ცხენს დააჭენებდა. გურამი ზოგჯერ სანადიროდ დამყავდა.»

I სიაში: „67. მთებიდან ქალაქამდე.»

სათაურით „სალამურა» ეს მოთხრობა პირველად დაიბეჭდა 1960 წელს „ცისკარში» [1]10. ასევე დაერქვა გურამის მოთხრობების პირველ წიგნს, გამოიცა 1961 წელს. (იხ. ავტოგრაფების დახასიათებისათვის)

ესტატე
(უმწეოდ იკბინებიან ბუზები)

ამ მოთხრობის ორი შავი ავტოგრაფი არსებობს: (1+1+1-6გვ). (1-2გვ) და ერთი თეთრი (I-II+1-5გვ.). ავტოგრაფების დასათაურება და დათარიღება ერთმანეთისგან განსხვავდება.

შავი ავტოგრაფის ქვედა ნახევრზე სათაური: „ესტატე» წერია ყავისფერი ფანქრით. შავი ავტოგრაფის მეორე სატიტულო ფურცელზე წერია სხვა სათაური: „უმწეოდ იკბინებიან ბუზები.» მოსდევს დღიური თავისი თარიღით. ტექსტი ნასწორებია ყავისფერი ფანქრით, ავტორის მიერ აღნიშნულია დამატებითი აბზაცები, ბოლოს უზის თარიღი.

მეორე შავი ავტოგრაფი წერია შუაში გახეული თაბახის ფურცლის ერთ ნახევარზე, რომელიც წინა ავტოგრაფის ფურცლის მსგავსია. ტექსტის შემდეგ წერია თარიღი: წელი 1956. ივლისის 25». ეს ფურცელი არქივში ინახებოდა უმისამართო ფურცლებთან ერთად. მოძიებულია როგორც „ესტატეს» შესავალი დღიურის შავი ვარიანტი.

თეთრი ავტოგრაფის პირველი ორი გვერდი თავფურცელია სათაურით, თარიღითა და დღიურით. (გვერდები კვლავ რომაული ციფრებითაა დანომრილი). ტექსტის გვერდების ნუმერაცია იწყება თავიდან არაბული ციფრებით. ტექსტის ბოლოს ზის თარიღი. თეთრი ავტოგრაფის მე-5 გვერდზე უკვე მეორედა გვხვდება ინტერვალი ორ წინადადებას შორის ხაზის შიგნით, თავისებური აბზაცი, რის შესახებაც იყო საუბარი წინა ავტოგრაფის შენიშვნებში (იხ. ნაბეჭდი ტექსტი).

თეთრი ავტოგრაფის ქვესათაურში: „უმწეოდ იკბინებიან ბუზები», ჩანს კვალი, რომ თავდაპირველად ნაცვლად სიტყვისა „უმწეოდ» აპირებდა დაეწერა „უმოწყა» (ალბათ, „უმოწყალოდ»). ზევიდან მუქად აწერია „უმწეოდ». შავშიც არის „უმწეოდ».

I სიაში: „69. უმწეოდ იკბინებიან ბუზები.»

პირველად გამოქვეყნდა 1961 წელს წიგნში „სალამურა».

ოპერა გამოვიდა
(სხეულით მოვაჭრე დედაკაცები)

არსებობს დათარიღებული და დასათაურებული მხოლოდ ორი შავი ავტოგრაფი (1+1-5გვ.) და (1გვ.). შავი ავტოგრაფის პირველი გვერდი თავფურცელია სათაურით, ქვესათაურით, თარიღით და თაბახის ფურცლის ქვედა ნახევარზე წვრილად ნაწერი დღიურით. მოთხრობის ბოლოს ზის სრული თარიღი. მეორე შავი ავტოგრაფი პირველი შავი ავტოგრაფის თავფურცლის ვარიანტია. ბოლო ხაზის შემდეგ მინაწერი: „ვისაც უნდა დაჯერება, ტყუილსაც იჯერებს. საუბარი ათონში.» მეორე გვერდზე ბარათი: „შალიკო! (შალიკო რჩეულიშვილი _ გურამის ბიძაშვილი და უახლოესი მეგობარი _ მ.რჩ.) ჩემი მისია დავამთავრე. ახლა შენ იცი. უფროსიც შენ იყავი და მოადგილეც. მე მიგულე ერთგულ მუშად და წილის ამღებად. ვახტანგთან მე მიგიყვან. გურამი».

I სიაში „21. ოპერა გამოვიდა».

ქვეყნდება პირველად.

მარტი გიჟობის თვე

არსებობს მხოლოდ დასათაურებული და დათარიღებული შავი ავტოგრაფი (1+1-15გვ.).

თავფურცლის ქვედა ნახევარზე წერია სათაური თარიღითა და შესავალი დღიურით. მოთხრობის ბოლოს თარიღი მინაწერით: „პირველი ამბავი დაწერილი ღამის საათებში 7-19[15]».

გურამი ჩვულებრივ, წერდა დილით ან შუადღისას. ეს ჩანს მოთხრობების თარიღის აღნიშვნისას. უთქვამს კიდეც _ დილით უკეთა ვგრძნობ თავს მუშაობისთვისო. ერთხელ მითხრა: დრო შემეცვალა, ახლა საღამოთი უკეთ ვმუშაობო. როგორც ამ მოთხრობის მინაწერიდანაც ჩანს, ეს „ერთხელ», სწორედ ნოემბრის ის დღე იყო, როდესაც დაიწერა „მარტი გიჟობის თვე.»

ერთ-ერთი დღიურიდან: „ბოლო ხანებში გაცილებით ცუდადა (სუსტად მუშაობისათვის) ვგრძნობ თავს დილით, ვიდრე საღამოს, წინათ ვერც წარმომედგინა საღამოს მუშაობა. საერთოდ მე იმ დროს ვინიშნავ გონებით, როდის შეიძლება კარგად მუშაობა, მუშაობით კი თითქმის არა ვმუშაობ.»

თაბახის ფურცელზე გურამის მიერ შემოხაზულ ოთხკუთხა ჩარჩოში დიდი ასოებით წერია: „მარტი გიჟობის თვე». ერთ მხარეს ხატია უთავო კაცის ფიგურა. მოპირდაპირე მხარეს ჩახატულია ფალოსი. ჩარჩოს მთელი შიგნითა არე დაფარულია თითქოს აშლილი, ნერვიული შტრიხებით. (იხ. აგრეთვე წინა შენიშვნები.)

ქვეყნდება პირველად.

თვირთვილა

არსებობს როგორც შავი (I-II+1-9გვ.), ისე თეთრი დასათაურებული და დათარიღებული ავტოგრაფი(I-II+1-9გვ.).

შავი ავტოგრაფის რომაული ციფრებით დანომრილი პირველი ორი გვერდი წარმოადგენს შესავალს. ნასწორებია ყავისფერი ფანქრით. გადაშლილია ბოლო აბზაცი: „მსაჯულთა კოლეგია სათათბიროდ გავიდა. მთავარმა მოსამართლემ მინდიას ხუთი

წლის ციხე გამოუტანა განაჩენად, მაგრამ მთელი რიგი მოვლენების გათვალისწინებით ექვსი თვის იძულებით შეუცვალა.» ტექსტში გვერდების ნუმერაცია, უკვე არაბული ციფრებით, იწყება თავიდან. ისიც ყავისფერი ფანქრითაა ნასწორები. ბოლოს უზის თარიღი.

თეთრი ავტოგრაფის პირველი ორი გვერდი უჭირავს შესავალს. გვერდები რომაული ციფრებითაა დანომრილი. თარიღი, სათაურის შემდეგ, გადაშლილია სხვა კალმისტრით. თარიღის შემდეგ ფანქრით ნაწერი სიტყვები _ „ძველად, სასამართლოში» _ ეკუთვნის სხვას. ავტოგრაფს ემჩნევა ცენზურის კვალი. რედაქცია, როგორცა ჩანს, ეძიებდა გზებს საბჭოთა სასამართლოში მიმდინარე დიალოგის გასამართლებლად. ამავე მიზეზით, ორი წლის შემდეგ მოქმედება პიესაში „მარინა» გადატანილ იქნა თვითონ მწერლის მიერ თბილისიდან პარიზში. მაგრამ არც ამჯერად გასჭრა „ეშმაკობამ», ამოიღეს „თვირთვილას» შესავალი, არ დაიბეჭდა პიესა „მარინა». ტექსტში სხვის მიერ შეტანილი შესწორებები (ეს ეხება სასვენ ნიშნებსაც) და ბოლო გადაშლილი წინადადება „ხევსურებმა გლოვა განაგრძეს» აღდგენილია. დავტოვეთ მხოლოდ „დასტურებთან» ნაცვლად „მოადგილეებისა». („ტაბლასთან ხევისბერი დარჩა მოადგილეებთან ერთად»). ტექსტის გვერდების ნუმერაცია იწყება თავიდან არაბული ციფრებით. სათაური ფურცლის დასაწყისში, უშუალოდ მოთხრობის წინ, დაწერილია სხვა ხელით. მოთხრობის ბოლოს თარიღი საათების გარეშეა და მთლიანად სხვის მიერაა გადაშლილი. თეთრი ავტოგრაფი მთავრდება შავისაგან განსხვავებული ტექსტით. (იხ. ნაბეჭდი.)

შავი ავტოგრაფის I გვერდზე „გაგიჟებული» თეთრში შეცვლილია „გახელებულით», „ჰო, ჰო მინდიავ», შეცვლილია: „ჰო, ჰო, თვირთვილავ», „მოგზაური» შეცვლილია „ტურისტით» და სხვა. თეთრი ავტოგრაფის მეხუთე გვერდზე გამოკვეთილად შემოდის სალექსო სტრიქონისათვის დამახასიათებელი აბზაცი. (იხ. ნაბეჭდი.)

ხალხის შეძახილი შავ ვარიანტში: „ აბა, მუხლით

ნუ, მეთქი

ჰაი, დედასა. «

გურამის ბევრ ამხანაგს, რომელიც სკოლის პერიოდში მონაწილეობას იღებდა სასახლიდან ხევსურეთში წასულ ექსპედიციაში, „თვირთვილას» წაკითხვის შემდეგ, გაახსენდა მიცვალებულის პატივსაცემად გამართული დოღი. ამ დოღში 16 წლის გურამმა ყველასათვის მოულოდნელად მიიღო მონაწილეობა.

ლალი მიქელაძე იხსენებს: „მიცვალებულის დოღი იყო, გურამი უეცრად გადააჯდა ცხენს და გააქროლა. ეს აქვს თავის მოთხრობაში აღწერილი. ხევსურეთში ასეთი წესია, რომ ყოველი სოფლის ბოლოს, შეიძლება დასაწყისში, დგას მაგიდა და მხედრებმა გაქროლვისას უნდა ჩაიმუხლონ და იქ დალიონ არაყი დოღის დროს. მახსოვს, გურამმა არ ჩაიმუხლა და ხევსურები გაეკიდნენ. გურამს უნდოდა გაქროლება. როგორც ეტყობა, არ იცოდა მაგათი წესები. ჩვენ ძალიან შეგვეშინდა, ახლა დამავიწყდა, რომელი სოფლის წინ იყო. ამიტომ ვეძებდი მის მოთხრობებს. წავიკითხე და ძალიან გამიხარდა, რომ აი, ზუსტად ის არის, რასაც ჩვენ ვუყურებდით. ჩვენ ვიდექით მოპირდაპირე ფერდობზე და ვნერვიულობდით. როგორ მიაგელვებენ ცხენებს. ახლა გურამი რას ჩაიდენს და ხევსურები რას გააკეთებენ. ღაჯიების გვეშინოდა, აკაწვრა რომ იციან.»

ჯინა მიქაძე იხსენებს: „დმანისში ცხენს მოახტა და დაიწყო ჯირითი. დმანისიც ხომ ქედიანია, სულ ხეობებშია. აი, მაშავერას და ფინეზაურის ქედები. ხან აქ გამოჩნდებოდა, ხან იქ ავარდებოდა. ირინა, საწყალი, რა დღეში იყო... თეთრი ცხენი და გურამი.

გავგიჟდი, „თვირთვილა» რომ წავიკითხე. გამახსენდა, სულ მაგაზე იყო ლაპარაკი მაშინ. უცებ მომაგონდა მისი გამოჩენა და დაკარგვა, გამოჩენა და დაკარგვა.»

ხევსურეთის ექსპედიციის თითქმის ყველა წევრს სამუდამოდ დაამახსოვრდა, ცხენის ფაფარს ჩაფრენილი გურამი როგორ დააქროლებდა უბელოს გუდამაყრის ხეობაში.

1950 წლის ზაფხულს ხევსურეთში გურამი შეხვდა ცნობილ მოქანდაკესა და გრაფიკოსს გოგი ოჩიაურს, რომელიც მაშინ სამხატვრო აკადემიის სტუდენტი იყო. იმ დღეების შემდეგ გურამსა და გოგის ერთმანეთთან ურთიერთსიყვარული და პატივისცემა აკავშირებდათ. გოგი ოჩიაური იხსენებს: „მაშინ (იგ. ხევსურეთის ექპედიციის დროს) მე და გურამს ერთად გვეძინა ჩემს კარავში. არავითარი წარმოდგენა არ მქონდა ვინ იყო. არც მახსოვს რაზე ვლაპარაკობდით, ოღონდ ძალიან სასიამოვნო იყო. მახსოვს ვკითხე, მამაშენი ვინ არის მეთქი. მეცხვარეო, მითხრა. მერე უკვე თბილისში გავიგე, რომ აკადემიკოსი ყოფილა. ვუსაყვედურე, მაგას რა მნიშვნელობა აქვს, მეცხვარეა, აბა ვინ არისო? (მამა მუშაობდა ცხოველთა გენეტიკაში) მერე კიდევ ბევრ რაღაცაზე ვლაპარაკობდით, ყველაფერზე, ხელოვნებისა და ლიტერატურის გარდა. მე თვითონ არ ვიცი, რატომ ვუთხარი გურამს: შენ აუცილებლად მწერალი გამოხვალ. რატომ არ ვუთხარი გურამ თიკანაძეს, რომელიც უფრო ახლო იყო ჩემთან, ან სხვა ვინმეს, ეტყობა, მაშინვე ვიგრძენი რაღაც.»

ექსპედიციის ერთ-ერთი წევრის ჯინა მიქაძის გადმოცემით, მას ხევსურეთში სწორედ გოგი ოჩიაურმა მიაქცევინა გურამზე ყურადღება: როგორ ახტება გურამი ცხენს, როგორ ზის, როგორ ხტება ცხენიდან, როგორ ჯირითობს, როგორი ანტიკური თავი აქვს, როგორი პლასტიკა და სხვა.

ასე რომ, ნახატი 1965 წელს გიორგი შატბერაშვილის მიერ გამოცემული წიგნის ყდაზე: „მოთხრობები. პიესა.» და საფლავის ქვაზე, ბუნებრივად უნდა დაბადებულიყო პირველი შთაბეჭდილებებიდან. გოგი ოჩიაურმა თქვა: „ჩემთვის გურამი განსხვავებული პიროვნება იყო ყველასგან. ის ერთგვარ დისკომფორტსაც კი ქმნიდა ქალაქში ამ განსხვავებულობით. როგორც თორღვა, ხევსურული მითოლოგიის გმირი და ამავე დროს რეალური პიროვნება, ის არ იყო უბრალო კაცი. თორღვას გარდაცვალების შემდეგ აღმოაჩინეს კიდეც მისი ხელდასხმულობის ნიშანი: მარჯვენა ბეჭზე მზე ეხატა, ხოლო მარცხენაზე მთვარე. აი, სწორედ ასეთი გაგება უდევს საფუძვლად ჩემს ნახატს. დააკვირდი, მხედარი თითქოს არ ზის ცხენზე. არც ცხენს და არც მხედარს თითქოს წონა არა აქვთ. ჩემთვის გურამი თავისი ბუნებით წარმართია, შეუგნებლად, ქვეშეცნეულად წარმართი. შემცნობი ყველაფრის, მთელი სამყაროსი ინტუიტურად. ჩემი გაგება გურამის ახლოა ტაბიძისეულ გაგებასთან, რომელიც შენატრის იმ დროს, როდესაც პოეტი იყო ერთდროულად ბედუინი და მეომარი. აი, ასე აღვიქვამ მეც გურამს., არა როგორც მარტო პოეტს, არამედ როგორც პოეტ-ბედუინს, მეომარს. ამიტომ შევსვი ცხენზე, მარჯვნიდან და მარცხნიდან მზე და მთვარე დავუხატე, წმინდა გიორგის ნიშნები, გამორჩეულობის ნიშნად.»

პირველად დაიბეჭდა 1957 წელს „ცისკრის» პირველ ნომერში, შემდგომ წიგნში „სალამურა» 1961 წელს.

ზამთარი იწყება

არსებობს მხოლოდ შსავი ავტოგრაფი (1+1-7გვ.).

შავი თავფურცლის გვერდის ქვედა ნახევარზე სათაური და თარიღი. ტექსტი კიდევ უფრო გამოკვეთილია გრაფიკულად. მოთხრობას ბოლოს უზის თარიღი.

I სიაში: „48 ზამთარი იწყება.»

არქივში ინახება გურამის მიერ ფანქრით მოხაზულ ოთხკუთხა ჩარჩოში ჩასმული ჩანახატი წარწერით: „ზამთარი იწყება». ნახატზე ზის, მე მგონი, უფეხო კაცი. იქვეა ქარქაშში ჩაგებული ხმალი და ჯამი საჭმლით.

ქვეყნდება პირველად.

სათაგური

არქივში ინახება ამ მოთხრობის ორი შავი (1+1-19გვ.), (1-2გვ.), და ერთი თეთრი (1-2+1-19გვ.) ავტოგრაფი, აგრეთვე ავტოგრაფი დაკავშირებული როგორც ამ მოთხრობასთან, ისე მომდევნო ნაწარმოებებთან (1-3გვ.)

შავი ავტოგრაფის თავფურცელზე წერია სხვადასხვა სათაური ორად გაკეცილი თაბახის ფურცელზე ერთმანეთის ზურგშექცევით: ერთ ნახევარზე „შეწყობილი ოჯახი», თარიღი, თარიღის შემდეგ წვრილად მიწერილია შესავალი-დღიური. მეორე ნახევარზე „სათაგური» (ოჯახური იდილია). შავი ავტოგრაფი ნაწერია ხალვათად, გაშლილად, საშუალო ზომის ასოებით, გაკრული ხელით, დამატებითი აბზაცები გამოყოფილია წითელი ფანქრით. შიგადაშიგ აღნიშვნები გაკეთებულია ყავისფერი ფანქრით. თარიღი უზის სიტყვების შემდეგ: „...ნათელამ სანაგვე ყუთს მიაშურა...» თარიღს მოსდევს 1957 წლის 6 თებერვლით დათარიღებული, როგორცა ჩანს, თავდაპირვლად შესავალ დღიურად განზრახული ტექსტი. ეს ტექსტი თეთრ ავტოგრაფში შეუერთდა მოთხრობის ტექსტს.

მეორე შავი ავტოგრაფი წარმოადგენს მხოლოდ თავფურცელს. სათაური დაწერილია ლურჯი ფანქრით, დიდი ასოებით, თაბახის ფურცლის ზედა ნახევარზე.

თეთრი ავტოგრაფის პირველი ორი გვერდიც თავფურცელია თავისი სათაურითა და დღიურით. მთელი მოთხრობის ტექსტი, ისე როგორც თავფურცელი, საგანგებოდ გამოყვანილი, შესამჩნევად გაშლილი, ლამაზი ხელწერითაა ნაწერი. თარიღი ასევე დიდი, ლამაზი ასოებითაა გამოყვანილი. თეთრი ავტოგრაფის ბოლო აბზაცი ტექსტში შემდეგაა ჩამატებული.

ორად გაკეცილ თაბახის ფურცლის ერთ ნახევარზე, დასაწყისში არის ამონაწერი შექსპირიდან: „: ჩუ, ისინი ღმუიან!

: მაშ დაე, ნადირობა იყოს ნამდვილი.»

ეს ამონაწერი გამოყენებულია 1957 წელს მოთხრობა „ნადირობის» ეპიგრაფად. (იხ. მეორე ტომი) აქვე წერია „სათაგურის» დღიური-შესავლის პატარა ნაწყვეტი. ფურცლის მეორე მხარეს კი ბარათაშვილის „მერნის» რეფრენი: „მირბის, მიმაფრენს...», საგანგებოდ გამოყვანილი ასოებით.

მოთხრობის თეთრ ავტოგრაფში განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ორწერტილი. რომლის ხმარებაც კულმინაციას აღწევს მოთხრობაში „ნადირობა». „სათაგური» გადათეთრებული უნდა იყოს მოთხრობა „ნადირობის» დაწერის შემდეგ. (იხ. ავტოგრაფების დახასიათებისათვის და მოთხრობა „ნადირობის» შენიშვნები მომდევნო ტომში.)

მოთხრობაში გამოიყენება თავისებური აბზაცი (იხ. ავტოგრაფების დახასიათებისათვის), ისეთი როგორიც გვქონდა მოთხრობაში „..მაია ბენზინის სუნმა...» ამ პატარა შტრიხში ჩანს მწერლის დამოკიდებულება ოჯახური იდილიის მი-

მართ. (იხ. აგრეთვე „ნელი ტანგოს» შენიშვნებში გურამის ჩანაწერებიდან ამოწერილი ტექსტი).

პირველად გამოქვეყნდა 1957 წელს, „ცისკარი», №1. 1961 წელს კი წიგნში „სალამურა».

ერთგული

არსებობს ამ მოთხრობის როგორც შავი (1+1-3+1-7გვ.), ასევე თეთრი (I-III+1-7გვ.) ავტოგრაფი, დათარიღებული და დასათაურებული.

შავი ავტოგრაფის თავფურცლის ქვედა ნახევარზე ყავისფერი ფანქრით წერია სათაური, შემდეგ გვერდებზე კი შესავალი, რომელსაც მოსდევს გაკრული ხელით ნაწერი, რამდენიმე ადგილას ყავისფერი ფანქრით ნასწორები ტექსტი. ტექსტს ბოლოს უზის თარიღი და ოთხკუთხა ჩარჩოში ჩაწერილი სიტყვა „ზედიზედ.» ეს სიტყვები აღნიშნავს, რომ 7 ნოემბერს ერთმანეთის მიყოლებით დაწერილია ორი მოთხრობა: „სათაგური» და „ერთგული». შავი ავტოგრაფის პირველი გვერდის მარჯვენა ზედა კუთხეში პაგინაციის ნიშანი „1» ჩასმულია კვადრატში. კვადრატის შიგნით ჩახატულია წრე. ოთხკუთხედის გვერდები და კუთხეები შეერთებულია ურთიერთგადამკვეთი სამ-სამი ხაზით, გადაკვეთის ადგილები მუქი წერტილებით არის აღნიშნული. 1957 წლის ავტოგრაფებში ასეთი გრაფიკული აღნიშვნები მრავლად არის გაბნეული. ასევე ხშირია გვერდის ნუმერაცია „1»-სათვის სხვადასხვა გრაფიკული გამოსახულების მიცემა (იხ. ავტოგრაფების დახასიათებისათვის). თეთრი ავტოგრაფის შესავლის პირველი სამი გვერდის ნუმერაციაც რომაული ციფრებითაა გაკეთებული. დასაწყისში წერია თარიღი, სათაური ბრჭყალებში, მოსდევს ისევ თარიღი, შემდეგ შესავალი. ტექსტის ნუმერაცია იწყება თავიდან. ტექსტის ბოლოს ზის თარიღი. თეთრი ავტოგრაფის მესამე გვერდზე ერთ-ერთი დიალოგში თადაპირველად დაწერილი წერტილი გადაშლილია მწერლის მიერ. (იხ. ავტოგრაფების დახასიათებისათვის) შავში იმავე ადგილას წერია კითხვის ნიშანი. თეთრში დამატებულია ბოლო ორი წინადადება, სიტყვებიდან: „გაბურძგნილმა კაცმა...» ბოლომდე.

ძირითადი განსხვავება შავსა და თეთრ ავტოგრაფებს შორის აბზაცებშია. გაძლიერებულია აქცენტები, შექმნილია ახალი აზრობრივი მთლიანობები.

პირველად გამოქვეყნდა 1961 წლის 29 სექტემბერს „ლიტერატურულ გაზეთში». ამავე წელს გამოქვეყნდა წიგნში „სალამურა».

პირველად ტრამალებში

არქივში ინახება ამ მოთხრობის ორი შავი (1+1-19გვ.), (1-2გვ.) და ერთი თეთრი (I-II+1-19გვ.) ავტოგრაფი, დათარიღებული და დასათაურებული. შავი ავტოგრაფის თავფურცლის ქვედა ნახევარზე წერია სათაური, თარიღი და წვრილად ნაწერი შესავალი დღიური. მოთხრობის ტექსტი ნაწერია გაკრული ხელით, ბოლოს უზის თარიღი, შიგადაშიგ ნასწორებია. დამატებითი აბზაცები აღნიშნულია ცისფერი ფანქრით. მეორე შავი ავტოგრაფი (1-4გვ.) წარმოადგენს შავი ავტოგრაფის თავფურცელზე მოთავსებული დღიურის პირველ ვარიანტს.

თეთრი ავტოგრაფის მთელ გვერდზე წერია სათაური, თარიღი, შესავალი დღიური თავისი თარიღით (იხ. ნაბეჭდი ტექსტი). დაცულია შავ ავტოგრაფში აღნიშნული აბზაცები. შესავალი დღიურის ნუმერაცია რომაული ციფრებითაა გაკეთებული, ხოლო

ტექსტისა არაბულით. თეთრი ავტოგრაფის პირველი გვერდის დასაწყისში წერია სათაური, შემდეგ გადაშლილია ტექსტის პირველი აბზაცი. მოთხრობა იწყება შავი ავტოგრაფისგან გასხვავებული წინადადებით. შავი ავტოგრაფის პირველი წინადადება („უუ იკივლა ორთქლმავალმა, ორთქლის დაჭირხნული ქულა გამოისროლა გვერდიდან და მუხრუჭების ჭრიალით გაჩერდა») თეთრში გადატანილია და შემდეგ გადაშლილი. ამ ავტოგრაფის სათაურში პირველადაა თავისებურად დაწერილი ასო „ტ», რაც შემდეგ 1957 წლის მარტი-აპრილი-მაისით დათარიღებულ მოთხრობებში ხშირად გვხვდება (იხ. ავტოგრაფების დახასიათებისათვის) ზოგიერთ შემთხვევაში ეს ასო გადამწყვეტია ნაწარმოების დათარიღებისას. თეთრ ავტოგრაფში ახლადშექმნილ აბზაცებთან რამდენიმე ადგილას გადაშლილია პუნქტუაციის ნიშნები. (იხ. ავტოგრაფების დახასიათებისათვის) თეთრ ავტოგრაფში იხმარება თავისებური აბზაცი. დაცულია ნაბეჭდ ტექსტში. „სტეპი» შეცვლილია „ტრამალით». შავ ავტოგრაფში თავდაპირველი „რონოდა» მწერლის მიერ ყველგან გადაკეთებულია „ვაგონად». შავ ავტოგრაფში ერთ-ორ ადგილას გაპარულია სახელი „გურამი» „ვაჟას» ნაცვლად.

კარპატებში მოგზაურობის დღიურები გამოქვეყნებული იქნება გურამ რჩეულიშვილის ნაწარმოებთა სრული გამოცემის მეხუთე ტომში (იხ აგრეთვე პირველი მოთხრობის შენიშვნა).

პირველად გამოქვეყნდა 1965 წელს წიგნში „მოთხრობები. პიესა.»

ედი

არსებობს მხოლოდ შავი ავტოგრაფი (1+1-19გვ.), დასათაურებული და დათარიღებული. ორად გაკეცილი თაბახის ფურცლის ნახევარზე წერია სათაური და შესავალი დღიური. თავფურცელი ყდასავითა აქვს შემოკრული ასევე შუაზე გაკეცილი თაბახის ფურცლებზე დაწერილ მოთხრობის ტექსტს. ნაწერია გაკრული ხელით. ბოლოს წერია თარიღი ორჯერ: ერთხელ სრული თარიღი წერია ავტოგრაფის ბოლო გვერდის თავისუფალ ადგილას და ჩასმულია ჩარჩოში:

წელი 1956.

ნოემბრის 12.

მეორე კი (მხოლოდ წელი) მიწერილია იმავე გვერდის ბოლოს. ტექსტიდან გამოყოფილია ხაზებით.

ედის პროტოტიპია ედიშერ რჩეულიშვილი, გურამის მამიდაშვილი, უახლოესი მეგობარი და გაჭირვების ტალკვესი. თელავში ვცხოვრობდით ერთ სახლში. მოთხრობის შესავალში აღწერილი ამბავი შეესაბამება რეალობას. არქივში შემონახულია გურამის წერილი ედისადმი. წერილი დაწერილი უნდა იყოს 1956-1957 წლებში: „ედი! ბორია ამოვიდა და მითხრა დილით მიდისო. რას მიშვრები! სამუშაო მაქვს და მაგ ოთახს ვუცდი. შენი თავის გარდა ცოტა იზრუნე საქართველოზეც. მნახე დილით. თუ ისე წახვალ, გასაღები ძველ ადგილას დატოვე და წერილიც დამიწერე. ეს უსტარი ჩეკის მაგიერ შეინახე ობლიგაციასავით. 20 წლის შემდეგ გათამაშდება პრესაში,

პატივისცემით _ გ. რჩეულიშვილი.»

პირველად გამოქვეყნდა 1985 წელს წიგნში, „სად გაექცევი ზამთრის ღამეს.»

მე ახლა ბედნიერი კაცი ვარ

არის შავი ავტოგრაფი (1-46გვ.) და თეთრი ავტოგრაფის ნაწილი (1-24გვ.). მოთხრობა დათარიღებულია. არა აქვს სათაური. შავი ავტოგრაფი ნაწერია გაკრული ხელით, ბოლო გვერდზე უზის თარიღი. ყავისფერი ფანქრით შეტანილია ცვლილებები. ეს ცვლილებები გათვალისწინებულია თეთრ ავტოგრაფში, ცვლილებები ძირითადად შეეხება საკუთარ სახელებს და აბზაცებს: „გურამი» შეცვლილია „ვაჟათი». ერთ-ორ ადგილას, შემთხვევით, გაპარულია „გურამი» „ვაჟას» ნაცვლად. (აღსანიშნავია, რომ „გურამი», როგორც ლირიკული გმირი რჩეულიშვილთან პირველად შემოდის მოთხრობაში „სიკვდილი მთებში») „მარო» (გურამის დედის სახელი) შეცვლილია „ქეთოთი». შავ ავტოგრაფში ჩანს კვალი, რომ გოგონას თავდაპირველად ერქვა „კრავაი». ეს სახელი შემდეგ გადაშლილია მწერლის მიერ და ზევიდან აწერია „ლეილა». ბოლო ვარიანტში გოგონას მოთხრობაში თავიდანვე ჰქვია „ლეილა» და გმირი არქმევს „კრავაის». შავში: „მყავს ოთხი წლით უმცროსი ცოლი, ანდრონიკაშვილი კრავაი...» თეთრში: „... ცოლი, რომელსაც კრავაის ვეძახი...»

გურამს განსაკუთრებით მოსწონდა სახელი ვამეხი, რომელიც მოთხრობაში მის შვილსა ჰქვია. ნუგზარ წერეთლის გადმოცემით, მას მეგობრები ერთ-ერთ ზედმეტ სახელად ვამეხს ეძახდნენ. ვამეხი გურამს შეარქვა გურამ გეგეშიძემ მყინვარწვერზე ყოფნისას. ამონაწერი ნუგზარ წერეთლისადმი მიწერილი წერილიდან: „„გამარჯობა ნუგზარ! გწერს და ყველა კარგს გისურვებს შენი ძმაკაცი ვამეხ რჩეულიშვილი...»

შავ ავტოგრაფში ყველგან აღნიშნულია დამატებითი აბზაცები. ყველგან ამოღებულია კიდევ ერთი მოქმედი პირი „და». შავი ავტოგრაფის ოცდამეხუთე გვერდზე გურამის მამის, მიხეილ რჩეულიშვილის ხელით წერია: „აქამდე გადაწერილია გურამის ხელით და დასაბეჭდად მომზადებული (იხ. ცალკე შეკვრა). ეს ჩანაწერი, ისე როგორც სხვა მსგავსი ჩანაწერები ავტოგრაფებზე, მოწმობენ, რომ თავის დროზე გურამის მამაც ცდილა თავისი შვილის არქივის მოწესრიგებას. შავი ავტოგრაფის მეათე გვერდზე წერია: „საღამოობით ბებო ათასნაირ ამბებს გვიყვებოდა, თან ჭურჭელს რეცხავდა.» ამ წინადადებას მოჰყვება კვადრატულ ფრჩხილებში მწერლის შენიშვნა: „რამე კარგი ამბავი», რაც თეთრ ავტოგრაფში არ არის განხორციელებული. თეთრი ავტოგრაფის მეორე გვერდზე, როგორცა ჩანს, შემთხვევით დატოვებულია მოქმედი პირი „და». თეთრი ავტოგრაფი ნაწერია ლამაზად გამოყვანილი ხელით, გათვალისწინებულია შავში აღნიშნული შესწორებები. ამ პრინიციპით არის შესწორებული ჩემ მიერ შავი ავტოგრაფის ის ნაწილიც, რომლის თეთრი ვარიანტი არ არსებობს.

თეთრი ავტოგრაფის ბოლო, 24-ე გვერდის დასაწყისში წერია: „მინდოდა სიცოცხლე», ამის შემდეგ ტექსტი არ გრძელდება. ვფიქრობ, რომ მომდევნო გვერდების თეთრი ავტოგრაფი საერთოდ არც არსებობდა.

არქივში ინახება გურამის ჩანახატი. ჩანახატის ქვემოთ გურამს დიდი ასოებით წაუწერია: „მე ახლა ბედნიერი კაცი ვარ» (ეს არის მოთხრობის ბოლო ფრაზა ხაზგასმული მწერლის მიერ), რაც მაფიქრებინებს, რომ ეს ჩანახატი გაკეთებულია სპეციალურად ამ მოთხრობისათვის. რადგან მოთხრობა უსათაუროა და არც არქივში შემონახულ სიაშია შეტანილი, ამიტომ ეს სიტყვები ავიღე სათაურად.

ბებო საშას სახე მთლიანად ავტობიოგრაფიულია. მისი პროტოტიპია მამას დედა, ივანე ჯავახიშვილის ალალი და, ალექსანდრა, საშა ჯავახიშვილი. გურამსა და ბებოს გამორჩეული სიყვარულით უყვარდათ ერთმანეთი. ეს ბევრ მოთხრობაში იგრძნობა (მაგ. თუნდაც _ „ასვლა»). ასე მგონია, რომ გურამის ბევრი თვისება, თუნდაც გულღია, მიმნდობი, უშურველი, და საურთიერთობოდ ღია ხასიათი, განურჩევლად სოციალური მდგომარეობისა, ასაკისა, სქესისა და გონებრივი ცენზისა, ბებო საშადან მოდიოდა. გურამის თვალებიდან, როდესაც ისინი დედაჩემის თვალებიდან მომდინარე

ცეცხლით არ იყვნენ სავსენი, ბებოს ნაღვლიანი, ჭკვიანი, დაფიქრებული, სიყვარულითა და სიკეთით სასვე მზერა გამოსჭვიოდა. ბებომ თბილისში ფრანგული კოლეჯის დამთავრების შემდეგ პეტერბურგში სწავლის გაგრძელებას კახეთში ხალხოსნად გასვლა არჩია. ბებოსთან ერთად კოლეჯში სწავლობდა მწერალი ქალი ჩარსკაია. ამბობენ, რომ მისი „Княжна Джаваха»-ს პროტოტიპია ჩვენი ბებო საშა ჯავახიშვილი. ბებოს გარდაცვალების შემდეგ თელავში მეზობელ-ნათესავებში დიდხანს იყო საქებარ სიტყვად შემორჩენილი „ბებო საშასავით», რაც მიანიშნებდა ბებოს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ თვისებებთან ერთად ასევე ადამიანის უნარს, იყოს არაჩვეულებრივად გამრჯე, შრომისმოყვარე და სხვის მომსახურე.

ამონაწერი გურამის დღიურიდან:

„ბებოჩემისათვის

წელი თვე რიცხვი

... ბევრი, ბევრი ამბების მოგონება შემიძლია იმ დროდან, როდესაც მეხსიერება ჯერ კიდევ იმდენი არ მქონდა, რომ მაშინდელი განცდილი დღემდე დამეხსომებინა და ყველაფერი ეს ბებოჩემის წყალობით. შემდგომი ამბებიც, რაც კი ჩემი ცხოვრების საუკეთესო განცდებთანაა დაკავშირებული, განუშორებელია ბებოჩემთან. ყოველი ჩვენგანი, მთელი ჩვენი მრავალრიცხოვანი ნათესაობა, კახეთს, თელავს კარგ ადამიანობას, ქველმოქმედებას განუყოფლად უკავშირებს ბებოს სახელს.

ახლაც თვალწინ მიდგას მისი უაღრესად კეთილი, მაგრამ მკაცრად შეკრული სახე, ოდნავ წინ გამოწეული ქვედა ტუჩით, რაც განსაკუთრებულად საყვარელსა ხდიდა მას. იგი წელში მოხრილი, შავი კაბით, ენერგიულად დააბიჯებდა კიბეებზე. ყველას ეხმარებოდა. იქ დედას გამოსტაცებდა საქმეს ხელიდან, მერე ჯიბიდან ვაშლს ამოიღებდა და შალიკოს ან რომელიმე ბიძაშვილს აძლევდა.

მისი დევიზი იყო: არავინ არ შეეწუხებინა და ყველას დახმარებოდა....»

ამონაწერი მიხეილ რჩეულიშვილის მოგონებებიდან: „თავისი 19 შვილიშვილიდან (ნატაშას შვილების ჩათვლით) გურამი ბებოს გამორჩეულად უყვარდა, გურამსაც ასევე უყვარდა ბებო. საერთოდ ბებო საშას დიდი გავლენა ჰქონდა გურამზე. გურამის კეთილი, რაინდული, მგრძნობიარე ბუნების ჩამოყალიბებაზე დიდად იმოქმედა ბებოსთან მეტად ახლო და უშუალო ურთიერთობამ. ყველამ იცის ის, რომ გურამი მეტად დიდ პატივს სცემდა უფროსებს, განსაკუთრებით მოხუცებს. საფიქრელია, რომ ყველა ამ ხალხში გურამი თავის ბებოს ხედავდა».

პირველად გამოქვეყნდა 1965 წელს წიგნში „მოთხრობები. პიესა», სათაურით „მე ახლა ოცდახუთი წლისა ვარ.»

ბაიათი თარზე

არსებობს სამი შავი ავტოგრაფი(1+1-19გვ.), (1-2გვ.), (1-3+1გვ.) და ორი თეთრი (1-2+1-7გვ.), (7-9გვ.). ყველა ავტოგრაფი დათარიღებულია და დასათაურებული.

შავი ავტოგრაფის თავფურცლის მთელ გვერდზე წერია სათაური, თარიღი, შესავალი: „ხევსურეთში გაგონილი ამბავი». ნასწორებია შიგადაშიგ ყავისფერი ფანქრით. ტექსტი ნაწერია გაშლილად, გაკრული ხელით. ბოლოს უზის თარიღი.

მეორე შავი ავტოგრაფი წარმოადგენს შესავლის პირველ ვარიანტს: „ნამდვილი ამბავი». სავარაუდოა, რომ თავდაპირველად „ნამდვილი ამბავი» დაწერილი იყო ცალკე მოთხრობად. ის პირველ სიაში მოიხსენიება როგორც „74. გაქცეული».

მესამე შავი ავტოგრაფი ჩანაწერებია მოთხრობის ტექსტისათვის. ნაწილი ჩანაწერებისა გაკეთებულია ყავისფერი ფანქრით. ყავისფერი ფანქრით ნაწერი ერთ-ერთი ფურცლის მეორე მხარეს წერია ბარათი: „თემო! პირველის ნახევრამდე პეტრიაშვილის კუთხეში ფოსტასთან დამიცადე. რაც ადრე მოხვალ, ჯობია! გურამი.» (სავარაუდოა, იგულისხმებოდეს თემო ბერიძე, ბარათის ბოლოს ძახილის ნიშანი გადაშლილია გურამის მიერ.) გვერდის ბოლოს ყავისფერი ფანქრით, როგორცა ჩანს, აპირებდა თავისი პროფილის დახატვას. შემდეგ გადაშალა. ბარათი ნაწერია ლურჯი მელნით.

თეთრი ავტოგრაფის თავფურცელზე თავდაპირველად დაწერილი სათაური თარიღით გადაშლილია მწერლის მიერ. ტექსტში გვერდების ნუმერაცია იწყება თავიდან. ბოლოს ზის თარიღი. ნაწერია საგანგებოდ გამოყვანილი ასოებით. თეთრი ავტოგრაფის დასაწყისში მამას ხელით წერია: „აქედან ახალი გვერდი.»

მეორე თეთრი ავტოგრაფის მეშვიდე, მეცხრე გვერდები მოწმობენ, რომ არსებობდა კიდევ ერთი თეთრი ავტოგრაფი, რომელიც დაიკარგა. ამ გვერდებზე წერია თეთრი ავტოგრაფის დასასრულის ვარიანტი. არსებობს ამ ვარიანტის შავი ავტოგრაფიც. „აბა ომის რატო გეშინია? არ ვიცი» ამ სიტყვების შემდეგ:

„_ შენ თუ მოკვდები, მერე რა გედარდება, ქვა-ქვაზეც ნუ დარჩენილა. _ დათომ ტუჩები მოკუმა.

_ ეგ სწორეა, მაგრამ მაინც.

_ რა მაინც.

_ რა და შენი ვაჟკაცობა ვიღას ადარდებს, ყველა იხოცება ომში.

_ შენ თუ აღარ იქნები, რა გენაღვლება.

_ არ ვიცი. აი, ბიძაჩემი ოცდახუთი წლის წინ მოკლეს დანით, ახლაც ახსოვს ყველას მისი სახელი.

_ რომელი? ოთხი ბოთლი თავისი მწვადით რო გამოგვიგზავნეს იმის პატივსაცემად?

_ ჰო.

_ მაინც არ მესმის.

_ არც მე მესმის, ხო იცი, ტყვია ბრმა არის, ალბათ იმის მეშინია, დანით ჩხუბი მაინც ვაჟკაცურია.

_ შენ ამბობ. რომ როცა შენი სახელის მომგონებელი ცოცხალი რჩება, გიხარია, არა?

_ ჰო.

_ რა ჰო, შენ თვითონ არ გესმის, აღარა თქვა, სიკვდილის არ მეშინიაო. _ დათომ ყრუდ გაიცინა.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა.»

შესავალში თეთრსა და შავ ავტოგრაფებს შორის უმნიშვნელო სხვაობაა. შავში რეპლიკები შემოჰყავს „მეორეს», „მესამეს», „მეოთხეს». თეთრში კი რეპლიკები შემოდის დეფისებით. თეთრ ავტოგრაფში შექმნილია თავისებური აბზაცები. თეთრ ავტოგრაფში „მაგას რომ ალყები გაურღვევია, ტყუილიას» შემდეგ დაწერილი მძიმე მწერლის მიერ გადაშლილია.

I სიაში: „ 54 ბაიათი თარზე.»

პირველად გამოქვეყნდა 1964 წელს, „მნათობი», [1]12, 1965 წელს კი, წიგნში „მოთხრობები. პიესა.»

კიდე კარგი

არსებობს ამ მოთხრობის შავი (1+1-2+1-7გვ.) და თეთრი (1-2+1-5გვ.) ავტოგრაფი. ორივე დასათაურებულია და დათარიღებული. შავი თავფურცლის ქვედა ნახევარზე თავდაპირველი სათაური: „დეიდა კოკონა» გადაშლილია. (კოკონა მესხი იყო გურამის დედის მამიდაშვილი, ექიმ-გინეკოლოგი, მთელი ნათესაობისა და საერთოდაც, ყველა გაჭირვებული ადამიანის დამხმარე. ძალიან უყვარდა გურამი. დაუზარებლად უსრულებდა ყველა თხოვნას.) ქვემოთ წერია სხვა სათაური: „კიდე კარგი...» პირველ ორ გვერდზე წერია შესავალი დღიური თარიღით: „დღიური: 1956 წ. 38 ნოემბერი». ტექსტი რამდენიმე ადგილას ნასწორებია ყავისფერი ფანქრით. აღნიშნულია დამატებითი აბზაცები. ბოლოს უზის თარიღი.

თეთრი ავტოგრაფის თავფურცლის მთელ გვერდზე წერია სათაური, თარიღი და დღიური თავისი თარიღით. ტექსტში გვერდების ნუმერაცია იწყება თავიდან. ბოლოს უზის თარიღი (იხ. ნაბეჭდი ტექსტი).

პირველად გამოქვეყნდა 1985 წელს წიგნში „სად გაექცევი ზამთრის ღამეს».

ერთხელ:

არსებობს ორი ავტოგრაფი შავი (1-4გვ) და თეთრი (1-3გვ.). ორივე ავტოგრაფი დასათაურებულია და უთარიღო. ეს არის მეორე ნაწარმოები სათაურით „ერთხელ».

თარიღის დადგენაში დამეხმარა შავ ავტოგრაფში ყავისფერი ფანქრით გაკეთებული შესწორებები და სხვა (იხ. ავტოგრაფების დახასიათებისათვის). ამ დათარიღების სასარგებლოდ მეტყველებს აგრეთვე სტილი, ფურცლის ფორმატი, ხარისხი და ხელწერა.

პირველად გამოქვეყნდა 1961 წელს ტომში „სალამურა».

„სკოლიდან გამოვარდნილი ბავშვები...»

არსებობს უსათაურო და დაუთარიღებელი მხოლოდ შავი ავტოგრაფი (1-19გვ.). დათარიღებისას დავეყრდენი ყავისფერ ფანქარს, ფურცელს და ხელწერას. ასეთ ფურცლებზე პირველად დაწერილია 1956 წლის 14 აგვისტოს ავტოგრაფი. ნაწერია მსხვილი, გაკრული ხელწერით, რომელიც უფრო და უფრო გაკრული და მსხვილი ხდება მოთხრობის ბოლოსათვის. მინაწერი ერთ-ერთი ფურცლის მარცხენა მხარეს: „ქუჩის ბოლოს გაღიმებული უფროსთა სახეები მაღაზიებიდან, ავტომატის ფარდულებიდან, რესტორანებიდან, სახლის ფანჯრებიდან.» სწორების დროს „ლენინ-სტალინთან» დამატებითი ძახილის ნიშნებია მიწერილი. მწერლის მიერ ყავისფერი ფანქრით შიგადაშიგ ჩამატებულია სხვა პუნქტუაციის სხვა ნიშნებიც.

პირველად გამოქვეყნდა 1979 წელს „ლიტერატურულ საქართველოში», [15].

თოვლი მოდის

არქივში ინახება შავი (1+1-7გვ.) და თეთრი (1+1-7გვ.) დასათაურებული და სხვადასხვანაირად დათარიღებული ავტოგრაფები.

შავი ავტოგრაფის თავფურცლის ქვედა ნახევარზე წერია სათაური თარიღით: „სად გაექცევი ზამთრის ღამეს. 1956. 17. წლის ბოლო.» ნასწორებია მწერლის მიერ წითელი

ფანქრით. მოთხრობას ბოლოს უზის თარიღი. დიალოგი მიწერილია თარიღის შემდეგ იმავე ფერის ფანქრით. თარიღს მოსდევს რეალური დღიური:

„პირველი საღამო. ცივა. ღორის ხორცს წვავენ.

მურტალი სუნია. იქითა ოთახში ბავშვები პატრიოტიზმზე რაღაც თემასა წერენ.

_ „ხარატაანთ კერა» ვისია?

_ მრევლიშვილის _ ვერ ვითმენ მე, მოწაფეები გაჩუმდნენ. მერე ისევ ალაპარაკდნენ.

ღორის ხორცმა უარესი სუნი აუშვა.

ცივა.

პალტო მოსხმული მაქვს და ისე ვწერ.»

თეთრი ავტოგრაფის ქვედა ნახევარზე დიდი წითელი ასოებით წერია სათაური: „თოვლი მოდის». შემდეგ შესავალი-დღიური, რომელიც მოთხრობის შავი ავტოგრაფის ბოლოს მოთავსებული დღიურის ოდნავ შეცვლილი ვარიანტია.

თეთრ ავტოგრაფს მოსდევს თარიღი: „წელი 1957. 17 დეკემბერი». არასწორი დათარიღების საფუძველი (1957 წელი), ვფიქრობ, საძიებელია იმ ფაქტში, რომ ეს მოთხრობა გადათეთრებული უნდა იყოს 1957 წლის იანვარ-თებერვალში დაწერილ მოთხრობებთან ერთად. (იხ. მოთხრობა „სათაგურის» და „ნადირობის» შენიშვნები მეორე ტომში.)

აღსანიშნავია, რომ ორი წერტილი, ამ პერიოდის მოთხრობების პუნქტუაციის დამახასიათებელი სასვენი ნიშანი, ხშირად იხმარება მხოლოდ თეთრ ავტოგრაფში.

პირველად გამოქვეყნდა წიგნში „მოთხრობები. პიესა» 1965 წელს.

აქ კი თბილა?

არქივში ინახება ორი ავტოგრაფი: შავი (1+1-9+1!2გვ.) და თეთრი (1+1+1-9გვ.). ორივე ავტოგრაფი დათარიღებული და დასათაურებულია.

შავი ავტოგრაფის თავფურცლის ქვედა ნახევარზე წერია სათაური მკრთალი წითელი ფანქრით, დიდი ასოებით. ტექსტში რამდენიმე ადგილას წითელი ფანქრით ჩამატებული სიტყვები გადატანილია თეთრ ავტოგრაფში. თარიღს მოსდევს დღიური: „გუშინ გეპეის ჯაზის ბიჭები ჩამოვიდნენ. ცოტა გავმხიარულდი. მალე ჩამოვა დუდუჩავაც. ალბათ კიდევ დავრჩები 3-4 დღე. აქამდე წასვლას ვაპირებდი, რაღაც უცებ მომწყინდა.» მოთხრობა დაწერილია ბაკურიანში.

თეთრი ავტოგრაფის თავფურცლის ქვედა ნახევარზე წერია სათაური დიდი წითელი ფანქრით და თარიღი. თავფურცელზე მოთავსებულ თარიღში, ისე როგორც წინა ავტოგრაფში, წელი არასწორადაა მითითებული: „წ. 1957 დეკ. 29». მოთხრობის ბოლოს ზის სწორი თარიღი. ორი წერტილი სასვენ ნიშნად მხოლოდ თეთრ ავტოგრაფში იხმარება (იხ. მოთხრობა „ნადირობის» შენიშვნები მეორე ტომში).

შავი ავტოგრაფის ბოლოს გადაშლილია წინადადება: „უცებ ჩაიცვა, თხილამურები სახლში დატოვა. და დინამოსაკენ...»

თეთრ ავტოგრაფში თავდაპირველად დაწერილი წინადადება „ვაჟა იჯდა და სიამოვნებდა მისი გაწელილი, დამახინჯებული ქართული» გადაშლილია ავტორის მიერ და მის ნაცვლად წერია: „ვაჟას არ ეხამუშებოდა მისი გაწელილი, დამახინჯებული ქართული.»

თეთრში გადატანილი არ არის შავი ავტოგრაფის ბოლო წინადადება: „ზიზღით აარიდა თვალი.» თეთრ ავტოგრაფში გადატანილია და შემდეგ გადაშლილი ბოლო წინადადება: „ძლივს მოასწრო კედლისაკენ გადაბრუნება.»

აღსანიშნავია, რომ ბოლო ორი მოთხრობის ავტოგრაფები გრაფიკული სტრუქტურით და ხელწერით ერთმანეთის მსგავსია.

I სიაში: „23. აქ კი თბილა?» II სიაში: „13. აქ კი თბილა?»

პირველად გამოქვეყნდა 1985 წელს წიგნში „სად გაექცევი ზამთრის ღამეს.»

პინგ-პონგი

არსებობს ორი ავტოგრაფი: შავი (1-2+1-6გვ) და თეთრი (1+1-6გვ.), დათარიღებული და დასათაურებული.

შავი ავტოგრაფის თაბახის ფურცლის მეოთხედი ნაწილის ორივე გვერდზე წერია შესავალი-დღიური, რომლის შემდეგაც იწყება ტექსტი გვერდების ახალი ნუმერაციით. ტექსტს ბოლოს უზის თარიღი. აქვეა მინაწერი: „მელანი გათავდა». ნასწორებია წითელი ფანქრით.

თეთრი ავტოგრაფის თავფურცლის ქვედა ნახევარზე წერია სათაური თარიღით, შემდეგ შესავალი დღიური (იხ. ტექსტი). მოთხრობის დასაწყისში არის სათაური. ორწერტილი სასვენ ნიშნად იხმარება მხოლოდ თეთრ ავტოგრაფში (იხ. მოთხრობა „ნადირობის» შენიშვნები მეორე ტომში). ბოლოს ზის თარიღი. ტექსტში სიტყვები „პროექტი მოგიწონეს», სავარაუდოა, რომ ეხმიანება არქივში შემონახულ დედას დეპეშას. დედა გურამს ატყობინებს „ცისკრის» პირველ ნომერში მისი მოთხრობების დაბეჭდვის თაობაზე დადებით პასუხს.

ერთ შემთხვევაში რეპლიკის ბოლოს დაწერილი წერტილი გადაშლილია მწერლის მიერ (იხ. ავტოგრაფების დახასიათებისათვის).

თეთრ ავტოგრაფში გადმოტანილი არ არის შავ ავტოგრაფში ჩამატებული, წითელი ფანქრით ნასწორები ბოლო წინადადება:

„ახლა მას მარტო თამაშის მოგება უნდოდა.»

პირველად გამოქვეყნდა 1985 წელს წიგნში „სად გაექცევი ზამთრის ღამეს.»